




ილია ჭავჭავაძის სახელობის
ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის

წელიწდეული

I



ილია ჭავჭავაძის სახელობის
ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა

Kutaisi Ilia Chavchavadze scientific library

წ ე ლ ი წ დ ე უ ლ ი

I

ექდენება საქართველოში წიგნის ბეჭდვის
300 წლისთავს

**Dedicated to 300th Anniversary of the Introduction of Printing
Books in Georgia**

ქუთაისი

2009

Kutaisi

“წელიწადეულში“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები და რეცენზირებული ქართველოლოგიური (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური...) გამოკვლევები.

სარედაქციო საბჭო:


იოსებ ასათიანი (ინგლისური ტექსტის რედაქტორი), მერაბ გვაზავა (რედაქტორი), ეკა დადიანი, გიზო თავაძე, რუსუდან კაშია, მერაბ კეზევაძე, მაია მიქაუტაძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), ლია რუსაძე, ტარიელ ფუტკარაძე (მთავარი რედაქტორი), ლეილა ქველიძე, რიტა წაქაძე, ამირან ხვადაგიანი, ხალიდ მუჰამედ ალამი.

რედაქციის მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, ლ.ნუცუბიძის ქ. №1
ელ-ფოსტა: Library_Kutaisi@posta.ge
Library_Kutaisi@gmail.com

190723

© საგამომცემლო ცენტრი “ქუთაისი“, 2009

ISSN 1987-9288



ნომადი ბართაია

ქართულში შემოსული აღმოსავლური
შორისდებულები ი. ბრინჯაშვილის "ქალაქური
ლაქსიკონის" მიხედვით

1997 წელს, საარქივო მასალაზე დაყრდნობით, რუსუდან კუსრაშვილმა გამოაქვეყნა იოსებ გრიშაშვილის "ქალაქური ლექსიკონი", რომელიც მდიდარია აღმოსავლური ლექსიკით. ამჯერად ჩვენ დავინტერესდით მასში მოცემული აღმოსავლური წარმოშობის შორისდებულებით.

არიქა

არიქა — სიტყვის მასალაა. არიქა, წყალი და სხვა. არიქა, ჩქარა! — შორისდებული, რომელიც იხმარება სიჩქარეში ასაქეზებლად (ი. გრიშაშვილი, 1997).

არიქა[თ]! — საგანგაშო ძახილი საშველად, მისახმარებლად, გასაფრთხილებლად და სხვ. (ქეგლ).

არიქა მომდინარე ჩანს არაბულ-სპარსული ლექსებიდან **تحرك (harakat)**, რომლის მნიშვნელობებია: 1. მოძრაობა; 2. წასვლა; 3. მანერა... (ხ. ბარანოვი, 1957, ი. რუბინჩიკი, 1983).

ეტყობა, ქართულ ენაში ამ ლექსიკურმა ერთეულმა შორისდებულის მნიშვნელობა მიიღო.

აფერუმ

აფერუმ — 1. ხმა მოწონებისა: ვაშა, ბრავო... (ი. გრიშაშვილი, 1997).

აფერუმ — [სპ.] შორისდებული; გამოხატავს მოწონებას — ყოჩაღ! ბარაქალა! (ქეგლ).

აფერუმ სპარსულად იწერება და იკითხება ასე — **أفارين (afarin)**. მისი მნიშვნელობაა — 1. შორისდ. ყოჩაღ! კარგია! ბრწყინვალეა!; 2. ქება (ი. რუბინჩიკი, 1983).

აფსუს

დანანება, "აფსუს, დრო შეიცვალა" (ხ. ჭიჭინ., ნიკ. ბართ., 1985, გვ. 26). "აფსუს, ტაია შელიას შეგირდო" (კ. გამსახ., "დიონისოს ღიმილი", 1925, გვ. 187) (ი. გრიშაშვილი, 1997).

აფსუს! შორისდებული; გამოხატავს დანანებას. მითითებულია, რომ **აფსუს-ი** (დასანანი) არის სპარსული წარმოშობის (ქეგლ).

სპარსულად **აფსუს** იწერება და იკითხება ასე — **افسوس (afsus)**. მისი მნიშვნელობებია 1. შორისდ. ვაიმე! ოჰ! სამწუხაროა! 2. სინანული (ი. რუბინჩიკი, 1983).

ბარაქალა

ბარაქალა — ყოჩაღ! (არაბულად დალოცვა ყოფილა: ღმერთმა გაკურთხოს!). "კარგათა სთქვი, ბარაქალა"!... შექებთითი სიტყვა - ყოჩაღ! ვაშა!" (ი. გრიშაშვილი, 1997).

Annual publishes the papers of the Kutaisi Ilia Chavchavadze scientific library I International Scientific Conference and other reviewed research papers in Kartvelology (linguistic, literary studies, folklore, historiography, culture studies, ethnology, etc..).

EDITORIAL BOARD:

Ioseb Asatiani (editor of the English texts), Merab Gvazava (editor), Eka Dadiani, Gizo Tavadze, Rusudan Kashia, Merab Kezevadze, Maia mikautadze (managing editor), Lia Rusadze, Taniel Putkaradze (editor in chief), Leila Qvelidze, Rita Tsakadze, Amiran Khvadagiani, Khalid Muhamed Alami.

Address of the Editorial Office: L. Nutsubidze str. #1

e-mail: Library_Kutaisi@posta.ge

Library_Kutaisi@gmail.com

© Publishing Centre "Kutaisi", 2009

ISSN 1987-9288

შინაარსი

ვატი ანთაძე - საშუალო სპარსულიდან ქართულში

შემოსულ შორისდებულთათვის.....9
Fati Antadze- The Middle Persian loan interjections in Georgian.....19

ნომადი ბართაია - ქართულში შემოსული აღმოსავლური

შორისდებულები ი. გრიშაშვილის ქალაქური ლექსიკონის მიხედვით.....21
Nomadi Bartaia - On some Oriental borrowed interjections in Georgian
according to I. Grishashvili's "Urban Dictionary".....25

მერაბ ბერიძე - კორ- ფუძიანი საკუთარი სახელები.....27

Merab Beridze - Proper names with kor- root in Georgian.....31

თეიმურაზ გვანცელაძე - ვახუშტი ბაგრატიონის

ნათესავებულებები: ცნობები კავკასიულ ხალხთა და მათ ენათა
შესახებ. I. საქართველო.....33
Teimuraz Gvantseladze - Vakhushti Bagrationi's Information on the
Caucasian Peoples and Their Languages.I. Georgia.....42

თამარ გოგოლაძე - ალექსანდრე ხახანაშვილი – ქართველოლოგი.....43

Tamar Gogoladze - Alexandre Khakhanashvili - an expert of the
Georgian language.....49

ოთარ გოგოლიშვილი - განმანათლებელი (ზაქარია ჭიჭინაძე

და აჭარა).....50
Otar Gogolishvili - The Educator (Zakaria Chichinadze and Achara).....53

ია გორგიშელი - საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ბიბლიოთეკის ელექტრონული ბიბლიოთეკა (2001-2009).....54
Ia Gorgisheli - Electronic data of the National Library of the Georgian
Parliament (2001-2009).....62

ნატო გულუა - V-VI საუკუნეების საქართველოს ისტორია და

ლევან გოთუას “ქვის ხოხობი”.....63
Nato Gulua - V-VI centuries Georgia's history and Levan Gotua's "Stone
Pheasant".....67

როზეტა გუჯეჯიანი - ქართული საზოგადოებრივი

აზრის ისტორიიდან (ლევან დადუშქელიანი - საზოგადო
მოღვაწე და პუბლიცისტი).....68
Rozeta Gujejiani - From the history of the Georgian society thought
(Levan Dadeshkeliani – a public man and publicist).....76

ბიჭიკო დიასამიძე - აჭარა ოსმალთა ბატონობის პირველ ათწლეულებში.....	78
Bichiko Diasamidze - Achara in the first decades of the Ottoman rule.....	85
მირიან ებანოიძე - შემოქმედების საკითხი ანტიკურობასა და ქრისტიანობაში.....	87
Mirian Ebanoidze - The question of creativity in the Age of Antiquity and Christianity.....	89
გურამ თაყნიაშვილი - კონტროლის განხორციელება საბიბლიოთეკო პერსონალის მართვაზე.....	91
Guram Takniashvili - Modern library management.....	95
გოდერძი თევდორაძე - შალვა ნუცუბიძის ერთი ხელნაწერის შესახებ.....	97
Goderdzi Tevdoradze - On Shalva Nutsubidze's a manuscript.....	100
ზურაბ თოდუა - ქუთაისის თანამედროვე ფერწერა: ფასეულობითი ორიენტაციები, სტრუქტურა.....	101
Zurab Todua - Contemporary painting of Kutaisi: value orientation, structure.....	106
ეთერ ინჭკირველი - ბიბლიური ისაკის სახე ქართულ ფოლკლორში.....	108
Eter Intskirveli - Image of Biblical Isaac in the Georgian Folklore.....	113
რუსუდან კაშია - კათოლიკე მისიონერთა საქმიანობის ერთი ასპექტი XVIII ს. საქართველოში.....	114
Rusudan Kashia - On one aspect of Catholic Missions' activities in Georgia in the 18 th century.....	118
რუსუდან კაშია, რამაზ ხაჭაპურიძე - ხალხური საგვარეულო მაგიური მედიცინა (ქვემო იმერეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით).....	119
Ramaz Khachapuridze, Rusudan Kashia - Folk Clannish Hermetic Medicine (According to the Materials of Kvemo mereti).....	125
მერაბ კეზევაძე - იმერეთის სამეფო სტამბის გაუქმების შემდგომი პერიოდი და უცნობი მესტამბე-მონაზონი.....	126
Merab Kezevadze - Kutaisi Central Archive Post period of the abolishment of Imereti royal printing house and the unknown typographer monk.....	133
სოფიო ქექუა - გალის ზემო ზონის სკოლების სასწავლო საგნები და მათი სწავლების ენა (2009 წლის მონაცემები).....	134

ბიჭიკო დიასამიძე - აჭარა ოსმალთა ბატონობის პირველ ათწლეულებში.....	78
Bichiko Diasamidze - Achara in the first decades of the Ottoman rule.....	85
მირიან ებანოიძე - შემოქმედების საკითხი ანტიკურობასა და ქრისტიანობაში.....	87
Mirian Ebanoidze - The question of creativity in the Age of Antiquity and Christianity.....	89
გურამ თაყნიაშვილი - კონტროლის განხორციელება საბიბლიოთეკო პერსონალის მართვაზე.....	91
Guram Takniashvili - Modern library management.....	95
გოდერძი თევდორაძე - შალვა ნუცუბიძის ერთი ხელნაწერის შესახებ.....	97
Goderdzi Tevdoradze - On Shalva Nutsubidze's a manuscript.....	100
ზურაბ თოდუა - ქუთაისის თანამედროვე ფერწერა: ფასეულობითი ორიენტაციები, სტრუქტურა.....	101
Zurab Todua - Contemporary painting of Kutaisi: value orientation, structure.....	106
ეთერ ინჭკირველი - ბიბლიური ისაკის სახე ქართულ ფოლკლორში.....	108
Eter Intskirveli - Image of Biblical Isaac in the Georgian Folklore.....	113
რუსუდან კაშია - კათოლიკე მისიონერთა საქმიანობის ერთი ასპექტი XVIII ს. საქართველოში.....	114
Rusudan Kashia - On one aspect of Catholic Missions' activities in Georgia in the 18 th century.....	118
რუსუდან კაშია, რამაზ ხაჭაპურიძე - ხალხური საგვარეულო მაგოური მედიცინა (ქვემო იმერეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით).....	119
Ramaz Khachapuridze, Rusudan Kashia - Folk Clannish Hermetic Medicine (According to the Materials of Kvemo mereti).....	125
მერაბ კეზევაძე - იმერეთის სამეფო სტამბის გაუქმების შემდგომი პერიოდი და უცნობი მესტამბე-მონაზონი.....	126
Merab Kezevadze - Kutaisi Central Archive Post period of the abolishment of Imereti royal printing house and the unknown typographer monk.....	133
სოფიო ქექუა - გალის ზემო ზონის სკოლების სასწავლო საგნები და მათი სწავლების ენა (2009 წლის მონაცემები).....	134

Sophio Kekua - School subjects and the language of instruction at the schools of Gali Upper Zone schools (according to the data of 2009).....136

მანანა კვაჭაძე - საგანმანათლებლო ტრადიციათა შესახებ: სწავლა-აღზრდა ძველ საქართველოში (ტიპოლოგიური ანალიზის ცდა)....138
Manana Kvachadze - On the Educational Traditions: Education and upbringing in Georgia (An attempt of typological analysis).....147

ციური ლაჭაძი - ჯგავხეთი (დიდებული წარსული და მტკივნეული აწმყო).....149
Tsiuri Lapachi - Javakheti (Glorious past and painful present).....156

გენადი მახარაძე - ქართული წიგნი და პრესა აჭარაში.....157
Genadi Makhharadze - Georgian book and press in Achara.....165

ქეთევან მეგრელიშვილი - ირანულ ანთროპონიმთა დაკვიდრებისათვის ქართულში (საშუალო ირანული ენობრივი ეპოქა).....167
Ketevan Megrelishvili - On the penetration of Iranian anthroponyms into Georgian (Middle Iranian Linguistic Epoch).....174

ნინო მინდაძე - სამედიცინო ანთროპოლოგია.....175
Nino Mindadze - Medical anthropology.....180

მაია მიქაუტაძე, ეკა დადიანი - იმერხეული სიტყვაფორმები და ონომასტიკური მასალა, როგორც ქართული სამწიგნობრო ენის სალექსიკონო ბაზისა და საქართველოს ისტორიის უშრეტე წყარო.....181
Maia Mikautadze, Eka Dadiani - Imerkhevan word-forms and onomastics material as an inexhaustible source of the Georgian literary vocabulary and the Georgian history.....191

ავთანდილ ნიკოლეიშვილი - მემედ აბაშიძე – ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობისთვის მებრძოლი მამულიშვილი.....193
Avtandil Nikoleishvili - Memed Abashidze - fighter patriot for the national and state unity of Christian and Moslem Georgians.....205

ნიკოლოზ ოთინაშვილი, ზაზა ოთინაშვილი - ტირიფონის ველის ონომასტიკონი.....207
Nikloz Otinashvili, Zaza Otinashvili - Tirifoni Plain onomastics.....212

მანანა პაპავა - გერმანული პრესის სათავეებთან.....213
Manana Papava - On the origins of the German press218

ზეინაბ სარია - ჯემალ კარჩხაძის „რაჰათ-ლუხუმი“.....219
Zeinab Saria - Jemal Karchkhadze's 'Rahat Lukhum' (Turkish delight).....224

რუსუდან საღინაძე - მღვდელმონაწამე სიმონ მჭედლიძის
საგამომცემლო საქმიანობა.....226
Rusudan Saginadze - Publishing works of the Saint Simon Mchedlidze.....231

მანანა ტაბიძე - ენობრივი სიტუაციის ცვლის ეტაპები
თანამედროვე საქართველოში და მოსახლეობის ენობრივი კომპეტენციის
ცვლის დინამიკა.....233
Manana Tabidze - Stages of changes of the language situation in modern
Georgia and dynamics of change of the language competence in its
population.....245

ჰეთერ ჯ. უეიქფილდი - ამერიკული
ბიბლიოთეკების პრეზენტაცია.....246
Heather J. Wakefield - Presentation American Libraries.I.....248

ტარიელ ფუტყარაძე - ოლთისი: სახელის ეტიმოლოგიისა და
ციხე-ქალაქის რეალური ისტორიისათვის.....250
Tariel Putkaradze - Oltisi: on the etymology of the name and the real
history of the acropolis.....263

შუშანა ფუტყარაძე - მასალები სტამბოლის ქართული
სავანის არქივიდან: 1. კ. გამსახურდიასა და ა. ხოშტარიას წერილები
“ქართულ-გერმანული ლექსიკონის” შესახებ.....268
Shushana Putkaradze - Materials from the Istanbul Georgian Cloister:
1. K. Gamsakhurdia and Ak. Khoshtaria's correspondences about the
“Georgian-German Dictionary”.....277
დანართი.....272

გიორგი ქავთარაძე - "არიან-ქართლი" – მითი თუ რეალობა?.....284
Giorgi Kavtaradze - “Arian-kartli” - myth or reality ?.....291

რევაზ შეროზია - ენობრივი პოლიტიკის საკითხები XX
საუკუნის 30-იანი წლების საქართველოში.....293
Revaz Sherozia - Questions of the Language policy in 30s of 20th c.
Georgia.....297

რიტა წაქაძე - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის
სამეცნიერო ბიბლიოთეკა.....299

ემზარ ჭანტურიძე - ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში
დაცული პირველწყაროები საქართველოს შესახებ.....305
Emzar Chanturidze - The primary sources about Georgia preserved in
Kutaisi I.Chavchavadze scientific library.....320

ალექსანდრე ჭულუხაძე - ტერმინ "ერის" ეტიმოლოგია და
სემანტიკა უძველეს ქართულ წყაროებში.....321
Alexander Chulukhadze - Etymology and semantics of the term er-
"nation" in the ancient Georgian sources.....325

შორენა ხადური - ფრანგული ენის *on* და ქართული ენის
თავად ნაცვალსახელების შესახებ (სოციოლინგვისტური ასპექტი).....326
Shorena Khaduri - On the French *on* and the Georgian *tavad*
pronouns (Sociolinguistic aspects).....331

სტივენ ჯონსი - საქართველოს "ვარდების რევოლუცია":
ძალადობრივი მშვიდობა.....332
Stephen Jones - Georgia's Rose Revolution of 2003: A Forceful Peace 1335

ფატი ანთაძე

საშუალო სპარსულიდან ქართულში
შემოსულ შორისდებულთათვის

ქართული ენის ურთიერთობა ირანულ ენებთან ამ ენათა განვითარების ნებისმიერ ქრონოლოგიურ საფეხურზე, ეს იქნება ძველი, საშუალო თუ ახალი ირანული ეპოქა, ქართული ირანისტიკისათვის აქტუალურ საკითხად რჩება. აკად. მ. ანდრონიკაშვილის ფუნდამენტურ გამოკვლევებსა (მ. ანდრონიკაშვილი, 1966; მ. ანდრონიკაშვილი, 1996) და ასევე სხვა ქართველ ირანისტთა ნაშრომებში პრაქტიკულად ამომწურავადაა განხილული ქართველურ ენობრივ წრეში შემოსულ ირანიზმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ასპექტები და შესაბამისად მათი ფონეტიკური შეთვისება. რაც შეეხება ირანულიდან შემოსულ ნასესხობათა სტრუქტურულ-სემანტიკურ ადაპტაციას ქართველურში, ეს საკითხი უსათუოდ საჭიროებს ვრცელ და საგულდაგულო შესწავლას (ზ. ანთაძე, 2008, I, გვ. 8; ზ. ანთაძე, 2008, II, გვ. 36). წინამდებარე სტატიაში ყურადღება მიპყრობილია საშუალო სპარსულიდან შემოსული სამი ნასესხების ფუნქციური სტატუსის, კერძოდ, მათი კომუნიკაციური დატვირთვის, ასევე დერივაციულ-ფრაზეოლოგიური აქტივობის მიმართ.

ქართულის ურთიერთობა საშფერლობო ირანულ ენებთან, სახელდობრ, საშუალო და ახალ სპარსულთან ხორციელდებოდა როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი გზით. ზეპირმეტყველებით კონტაქტებს განაპირობებდა აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, თავდაპირველად ალბათ მცხეთაში, როგორც პირველ სატახტო ქალაქში და შემდგომ თბილისში, ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული XX საუკუნის I მეოთხედის ჩათვლით, სპარსელთა სახლობა (მ. ალექსიძე, 2009; Divān Bigi, 1972). აქვე დავსძენთ, რომ ხსენებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილზე სპარსული პოლიტიკურ-კულტურული გავლენა და, შესაბამისად, სპარსელთა ყოფნაც სხვადასხვაგვარი ინტენსივობით იყო წარმოდგენილი (ადრექრისტიანულ ქართლზე სპარსული კულტურის გავლენის შესახებ იხ. კ. გამსახურდია, 1995). საშუალო ირანულ ენობრივ ეპოქაში, ანუ ისლამამდელი ირანის ხანაში, სპარსელთა სახლობის ძველად თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანს “ათეშგა” - მაზდეანური სამლოცველო შემორჩა. ცხადია, ამგვარი სახლობების ფონზე ადგილობრივ მოსახლეობას, მის ნაწილს მაინც, უშუალო შეხება ჰქონდა საშუალო სპარსულთან, რის შედეგადაც ამ ენიდან, სავარაუდოდ, რიგი სიტყვები და გამოთქმები შემოდიოდა ქართულში.

სპარსულ-ქართულ ზეპირმეტყველებით ენობრივ ურთიერთობათა უმთავრესი მიმანიშნებელია კომუნიკაციურ ერთეულთა, კერძოდ, ცალკეულ ფრაზათა, ფრაზეოლოგიურ წინადადებათა, ვოკაბიტთა თუ შორისდებულთა სესხების ფაქტი. ამგვარი ნასესხობები, თბილისურ მეტყველებაში

დამკვიდრებულ აღმოსავლური წარმომავლობის სხვა ნასესხობებთან ერთად, ძირითადად გრიშაშვილისეულ “ქალაქურ ლექსიკონშია” თავმოყრილი (ი. გრიშაშვილი, 1997). აქ წარმოდგენილ კომუნიკაციურ ერთეულთა სესხების ძირითად წყაროდ ახალი სპარსული გვევლინება (ფ. ანთაძე, 2008, I; ნ. ბართაია, 2008).

ახალი სპარსული წარმომავლობის ნასესხობათაგან განსხვავებით, საშუალო სპარსულიდან ქართულში შემოსული ნასესხობები ნომინაციური ერთეულებითა და ანთროპონიმებითაა წარმოდგენილი (მ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 279-517). რაც შეეხება კომუნიკაციურ ერთეულებს, სახელდობრ, შორისდებულებს, მ. ანდრონიკაშვილი მიუთითებს სინონიმური მნიშვნელობის ორ შორისდებულზე “გლახ” და “ვაგლახ” (მ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 300).

“გლახ/ვაგლახ“-ის გარდა, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ, საშუალო სპარსულიდან მომდინარედ მივიჩნევთ ქართულში დღემდე ძალზე აქტიურად მოქმედ შორისდებულს “ვაი”. ეს უკანასკნელი წერილობითად უკვე IX საუკუნის ბოლოდან დასტურდება. იგი გვხვდება ქართული ოთხთავის უძველეს ჭელიშურ ვერსიაში - “ვაი შენდა ქორაზინდა, ვაი შენდა ბეთსაიდა!” (მათე 11,21; ლუკა 10,13), “ვაი სოფელსა საცთურთა მათგან” (მათე 18,17), “ვაი მის კაცისაი, რომელთაგან მოვიდეს საცთური” (მათე 18,20) (ივ. იმინიშვილი, 1986); სულხან-საბასთან “ვაი“-ს გვერდით გვხვდება “ვაე” და “ვოი” ფორმები (ორბელიანი, 1991-1993).

IX საუკუნის მიწურული, როცა “ვაი” პირველად დასტურდება ქართულ ტექსტებში, საშუალო (ძვ. წ. IV ს. — ახ. წ. VI-VIII სს.) და ახალ ირანულ (ახ. წ. XI ს. — დღემდე, კლასიკური სპარსული ახ. წ. X-XV სს.) ქრონოლოგიურ ჩარჩოებს მოქცეული პერიოდია (Основы, 1981, წ. 208-209, 1982, 5). სასაწერ ირანთან ქართული სამყაროს მჭიდრო ურთიერთობებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, “ვაი” საშუალო სპარსულიდანაა შემოსული, სადაც ის “vi” ფორმით დასტურდება - „vāi ō mārtōm bāvat“; “ვაი კაცობრიობას!” (H. Nyberg, 1974, 201) ნიბერგი მიუთითებს “vi“-ს ავესტაში წარმოდგენილ პრაფორმა *vayu* -ზეც “*vayu barat*” - “ვაი ძახილით”. (H. Nyberg, 1974, 201). საშუალო სპარსულ “*vi ō mārtōm*“-ში რეალიზებული მოდელი “შორისდებული “vi” + ობიექტზე მიმართული წინდებული *ō* + სახელი”, ახალ სპარსულში დარჩა იგივე სტრუქტურა, ოღონდ *ō* წინდებული შეცვალა “*be*” წინდებულმა. იხ. მაგ. “*vāi be hāl - e mān*” ვაი ჩემს დღეს“. სამივე ირანული ენიდან მოყვანილ მაგალითში *vayu* // *vi* // *vāi* მწუხარების, სინანულის გამომხატველი შორისდებულია.

ქართულში “ვაი” პოლისემიურ შორისდებულს წარმოადგენს, რომელიც გამოხატავს ტკივილს “თავი მისკდება! ვაი, ვაი მიშველეთ” (შ. არაგვისპირელი), მწუხარებას “ვაი, რა გაათენებს იანვრის ღამესო!” (ხალხ.), დანაწევას “ვაი, მოვზუციდი” (ი. ჭავჭავაძე), შიშს “ვაი!” - შეპკვილა თიკომ” (შ. არაგვისპირელი), დამუქრებას, დაქადნებას “ვაი, მე შემხვედროდა”, გაკვირვებას “ვაი! გაიკვირვა ნიკოლამ” (ი. ეკალაძე) (ქეკელი, ტ. IV, თბ., 1955).

მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელთან “ვაი” გამოხატავს წყევლას, მუქარას “ვაი იმას, ვინც შენთვის ავი მოინდომოს!” (ი. ჭავჭავაძე), “შებრალებას, წუხილს ვინმესთვის “ვაი, ამ ღღის მომსწრეს!” (აკ. წერეთელი), აღნიშნავს, რომ დასახელებული რამ არის ცუდი, ან ნაძალადევი “მითამ-და გაიხუმრა არჩილმა, მაგრამ ვაი ამ ხუმრობას!” (ი. ჭავჭავაძე) (ქეგლ, ტ. IV, თბ., 1950-1964).

“ვაი”-ს შემცველი მიცემითბრუნვიანი ფორმა (შორისდებულ. “ვაი” + სახელი მიცემითში) სიღრმისეული სტრუქტურის მიხედვით, საშუალო სპარსულ ($vi + \bar{o}$ წინდებული + სახელი) და ახალ სპარსულ ($v\bar{a}i + b$ წინდებული + სახელი) მოდელთა ანალოგიურია. სამივე შემთხვევაში შორისდებულთ გამოხატული ემოცია ობიექტისაკენაა მიმართული. როგორც საშუალო და ახალსპარსული, ასევე ქართული მოდელები წარმოადგენს ფრაზეოსქემებს შორისდებულის ფუნქციით. ფრაზეოსქემა თითქმის იდიომაა, ის შედგება რამდენიმე ფიქსირებული კომპონენტისა და ერთი ღია ვალენტობისაგან, მაგალითად, “Что за X” (“რა X-ია!”), აქ “Что за” ფიქსირებული კომპონენტებია, X კი ღია ვალენტობა, რომელიც ივსება ცვლადი ერთეულებით, ვიქვან “Что за шум (смех, плач)!” (რა ხმაურია [სიცილია, ტირილია!]) (И. Шаранов, 2007, 30). მკაცრი მიდგომით, ფრაზეოსქემა ფრაზეოლოგიური შორისდებულის კატეგორიაში მხოლოდ ღია ვალენტობის ფიქსირებული სიტყვით შევსების საფუძველზე გადადის, შდრ., დახურული ვალენტობის ფრაზეოლოგიზმი შორისდებულის ფუნქციით «Вот это да!» (“აი, ეს კი ჰო!”), სადაც „да” ღია ვალენტობის დახურულად გარდაქმნილი ფიქსირებული სიტყვაა და ღია ვალენტობის მქონე ფრაზეოსქემა “Вот это X!” (აი, ეს კი X-ია), სადაც “X” არის არა ფიქსირებული, არამედ ცვლადი სიტყვა (И. Шаранов, 2007, 30).

ჩვენს შემთხვევაში ფიქსირებული კომპონენტი საშუალო სპარსულში “vi”-თა და \bar{o} წინდებულთ, ახალ სპარსულში “vāi”-თა და “be” წინდებულთ, ქართულში კი “ვაი”-თა და მიცემითი ბრუნვის “-ს” ფორმანტითაა წარმოდგენილი; სახელი კი სამივე ენის განხილულ მოდელებში ცვლადი ერთეული და არაფიქსირებული სიტყვაა. წარმოადგენს თუ არა ეს მოდელები, ანუ ღია ვალენტობის ფრაზეოსქემები, რთულ, მრავალკომპონენტთან შორისდებულებს?

ფრაზეოსქემის, როგორც მეორადი შორისდებულის სახეობისა და ზოგადად მეორადი შორისდებულის, ასევე ფრაზული ტიპის შორისდებულის მიმართ სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებობს (А. Вежицкая, 1999, 617; В. Виноградов, 1947, 7–50; Д. Гуттнер, 1966, 3–27; И. Шаронов, 2007, 223–237; Haegeman L., 1984, 41-60). ვინოგრადოვის, გუტნერისა და ჰაეგემანის “რბილი მიდგომა” არ გულისხმობს ფრაზეოსქემის გამოშორისდებულებისას მის კომპონენტთა კომბინატორული უნარის სრულ გაბათილებას და, შესაბამისად, დახურულ ვალენტობას. ვეჟიციკაისა და შარონოვის მკაცრი მიდგომით კი, წინადადებისგან სინტაქსური გამოცალკევება, სრული დესემანტიზაცია და ვალენტობის დახურვა აუცილებელი პირობაა ფრაზეოსქემათა გადასასვლელად შორისდებულთა კატეგორიაში. საშუალო სპარსული “vi + M წინდებული + სახელი”, ახალი სპარსული “vāi + b წინდებული + სახელი” და ქართული “ვაი + სახელი მიცემით ბრუნვაში”

მოდლეები არ ხასიათდება სრული დესემანტიზაციითა და ვალენტობის დახურვით. ამის მიუხედავად, ვიზიარებთ რა რბილ მიდგომას, მათ ფრაზეოლოგიურ მრავალკომპონენტთან შორისდებულებად მივიჩნევთ, რადგან ისინი ახორციელებენ შორისდებულის ძირითად ფუნქციას — გამოხატავენ რეაქციას კონკრეტული არაენობრივი სიტუაციის მიმართ.

ამგვარად, ზემოთ მოტანილი შინაარსობრივად ტოლფარდი საშუალო სპარსული, ახალი სპარსული და ქართული მოდელები წარმოადგენს პირველად შორისდებულ “vi/vâi/ვაი”-თი მოტივირებულ ფრაზეოლოგიური შორისდებულებს.

“ვაი“-ს შემცველი მიცემითბრუნვიანი ფრაზეოსქემით წარმოქმნილი ფრაზეოლოგიური შორისდებულები საკმაოდაა წარმოდგენილი ქართულ ლექსიკონებში (ალ. ნეიმანი, 1950; თ. სახოკია, 1950-1955), იხ. “ვაი ჩემ თავს!”, “ვაი ჩემ (შენ, მის ...) დღეს/მოსწრებას!” “ვაი ჩვენ (შენ) დედას!” “ვაი შენ (ჩემ, მის ...) პატრონს!”, “ვაი შენს (ჩვენ) მტერს!” ამ შორისდებულებში მკაფიოდაა ასახული მამოტივირებელი “ვაი”-ს სემანტიკა, ისინი კონკრეტული ობიექტისაკენ მიმართულ მწუხარებას, დანანებას, სიბრაღულს, ასევე უარყოფით შეფასებას (იხ. “ვაი ჩემ (შენ, მის ...) პატრონს!”) ან მუქარასა თუ სიბრაღულს (იხ. პოლისემიური “ვაი შენ დღეს!”) გამოხატავენ.

“ვაი“-ს ბაზაზე ქართულში სხვა სტრუქტურის ფრაზეოსქემაც დასტურდება - “შორისდ. ვაი” + კუთვნილ. ნაცვ. სახ//ნათეს. ბრუნვიანი სახელი + ბრალი”, იხ. “ვაი ჩემი (შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი) ბრალი!” ან “ვაი იმ ხალხის ბრალი!”. შორისდებულის შინაარსის ეს ფრაზეოსქემა სემანტიკურად ძალზე ახლოს დგას მიცემითბრუნვიან მოდელთან, გამოხატავს რა ობიექტისაკენ მიმართულ შეცოდებას (“ვაი მაგისა, მშობლის ბრალი, რა დღეში ჩაცვივიან” (ი. ჭავჭავაძე), ან მუქარას (“თუ კარვად არ მოიქცევი, ვაი შენი ბრალი!”). არსებობს განსახილველი მოდელის გავრცობილი ფორმაც “ვაი, ჩემი (შენი, მისი) ცოდვის ბრალი!”.

“ვაი“-ს ეფუძნება ასევე წოდებითბრუნვიანი ფრაზეოსქემა და მასზე აგებული ფრაზეოლოგიური შორისდებულები, მაგ.: “ვაი (შენ) ჩემო თავო!”, “ვაი შე საწყალო!”, “ვაი სირცხვილო!” “ვაი დედა(ვ)!”.

ამრიგად, “ვაი“-ზე დაფუძნებულ ფრაზეოსქემებში სამი ბრუნვა — მიცემითი, ნათესაობითი და წოდებითია წარმოდგენილი. სამივე მოდელის სემანტიკა საკმაოდ ახლოს დგას ერთმანეთთან, რაც შეეხება საშუალო სპარსულ სტრუქტურას “vi + ð წინდებული + სახელი”, მას ყველაზე მეტად მიცემითბრუნვიანი სქემა ესადაგება, რადგან ð წინდებულის ფუნქციას ქართულში მიცემითი ბრუნვა ტვირთულობს.

“ვაი“-მ აწარმოა ასევე ქართულში დიდ სიხშირით დადასტურებული ერთეული მხოლობითი რიცხვის, პირველ პირზე მიმართული კლიტიკიანი შორისდებული “ვაი მე!”, რომელიც რეალურად მიცემითბრუნვიანი მოდელის სახეობას წარმოადგენს. ამას ადასტურებს “ვაიმე“-ს სინონიმური ფრაზეოლოგიური შორისდებულიც “ვაი ჩემ თავს!”.

ქართულში წარმოდგენილია ასევე “ვაი“-თი მოტივირებული არაშორისდებულური მნიშვნელობის ორკომპონენტური გრამატიკული ერთეულებიც. ასეთებია ზმნიშველური მნიშვნელობის “ვაი, რომ - სამწუხაროდ” (ალ. ნეიმანი, 1978), რთული ნაწილაკი “ვაითუ — იქნებ” (ალ. ნეიმანი, 1978). ვფიქრობთ, “ვაითუ“-ს უფრო დაზუსტებული მნიშვნელობა უნდა აისახოს ლექსიკონებში. ესაა, — “ვაი, იქნებ”, ანუ “იქნებ” ავის უეჭველი ელფერი.

“ვაი“ გრამატიკულ პოლისემანტად გვევლინება. დასტურდება რა რიგ კონტექსტებში გაარსებითებული ფორმით. იხ. “ვაითა გმობე, (ვ)უით გზარდე” (ხალხ.), “ვაის გავეყარე და (ვ)უის შევეყარეო” (ხატოვანი გამოთქმა). ამ ტიპის პოლისემიურობა განპირობებულია უაფიქსო გრამატიკულ-სემანტიკური დერეივაციით. *vai*-ს ახალ სპარსულშიც აქვს სუბსტანტიკური მნიშვნელობები - “მოთქმა, გოდება, ნალველი” (Ю. Рубинчик, 1985; M. Moïn, 1998).

გვაქვს ასევე “ვაი“-ზე დაფუძნებული ზმნა “ვაებს” და მისი შესატყვისი სახელი “ვაება”.

“ვაი“-თი მოტივირებული სტრუქტურული დერეივაციები წარმოდგენილია რედუბლიცირებული (“ვაი-ვაი”), ალიტერაციული (“ვაი-ვვი”) და კოპულატური კომპოზიტებით — “ვაი-უშველბელი”, “ვაი-ვიში”, “ვაი-ვალალი” (ამ კომპოზიტის მეორე კომპონენტი ახალსპარსული წარმომავლობისაა *vā lval* - გოდება, მოთქმა, ტირილი“ (Ю. Рубинчик, 1985; M. Moïn, 1998) და “ვაი-ვაგლახი”, ეს უკანასკნელი უნიკალური მაგალითია იმ თვალსაზრისით, რომ ორივე კომპონენტი წარმოადგენს საშუალო სპარსული წარმომავლობის გაარსებითებულ შორისდებულს (“ვაგლახ“-ის შესახებ იხ. შემდგომ).

ქართულში ფუნქციონირებადი არც ერთი შორისდებული არ ამჟღავნებს “ვაი“-ს ანალოგიურ ფრაზეოწარმოებით და დერეივაციულ აქტივობას, რაასაც ამ ნასესხობის გაქართულების, მსესხებელ ენაში მისი ადაპტაციის მაღალი ხარისხის მაჩვენებლად მივიჩნევთ დიდი სიხშირით გამოყენებისა და სტილისტური ნეიტრალიზაციის ფონზე.

საშუალო სპარსული წარმომავლობის წუხილის გამომხატველი მეორე შორისდებულია “გლახ“, რომელიც სულხან-საბასთან განმარტებულია “ვითარცა “ყე” და “ქვე” სიტყუათა საქვევარი” (ორბელიანი, 1991-1993), ხოლო “ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი” “გლახ“-ს განსაზღვრავს, როგორც “ვაი“-ს არქაულ სინონიმს (ქეგლ, 1950-1964). იგი ამ მნიშვნელობით ხშირად დასტურდება რუსთაველთან: “გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია!”, “მე გლახ, რა მომიღბენია”, “მე, გლახ, მათ ჩემთა პატიუთა სხვაცა დამერთო ზედაო”.

შორისდებული “გლახ“ სპეციფიკური ნასესხობაა იმ თვალსაზრისით, რომ მისი ეტიმონი *gilah*//*gilak* წარმოადგენს არა კომუნიკაციურ, არამედ ნომინაციურ ერთეულს, კერძოდ, არსებით სახელს. ნომინაციური შინაარსის ეტიმონი არც შემდგომ ქრონოლოგიურ საფეხურზე შემოსულ, სახელდობრ, ქართულში დამკვიდრებულ ახალი სპარსულიდან მომდინარე შორისდებულებს უდასტურდება.

საშუალო სპარსული *gilah/gilak* “ტირილი, ჩივილი, ვაება” ქართულში “გლახ” ფორმით საშუალო სპარსულ და ქართულ ბგერათა ფონეტიკური მიმართების წესების შესაბამისადაა ადაპტირებული (მ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 182-215). რაც შეეხება ფუნქციურ-სემანტიკურ მხარეს, *gilah/gilak* ქართულში დამკვიდრდა, როგორც კომუნიკაციური ერთეული “გლახ” შორისდებულის სახით და ასევე, როგორც ზედსართული და არსებითული მნიშვნელობის ნომინაციური ერთეულები, რაც უფრო მოსალოდნელი იყო ეტიმონის ნომინაციური სტატუსის ვათვალისწინებით. ეს ნომინაციური ერთეულებია “გლახა”, “გლახაკი”, “გლეხი”. საკმაოდ მაღალია მათი დერევაციული პოტენციალი. რამდენადაც წინამდებარე სტატია შორისდებულებს ეხება, ჩვენ არ შეგუდებით *gilah/gilak*-იდან მომდინარე სახელთა განხილვას, მხოლოდ დავსძენთ, რომ *gilah/gilak* ერთადერთი საშუალო სპარსული სიტყვაა, რომელიც ქართულში დამკვიდრდა როგორც ნომინაციურ, ასევე კომუნიკაციურ ერთეულად.

სავსებით შესაძლებელია, რომ საშუალო სპარსული *gilah/gilak* ფუნქციონირებდა არსებითი სახელისა და ასევე მეორეული ფრაზული შორისდებულის სახით. ამგვარი მაგალითები უხვადაა წარმოდგენილი ნებისმიერ ენაში (А. Вежбицкая, 1999; И. Шаронов, 2007; L. Haegman, 1984). იხ. მაგალითად, ქართული “სიცოცხლე”, როგორც არსებითი სახელი და “სიცოცხლე!”, “სიცოცხლე და კარგად ყოფნა!”, როგორც მეორეული, ფრაზული შორისდებულები ჯანმრთელობის, სიკეთის, სურვილის მნიშვნელობით. ანალოგიურია “სიკვდილ”-ის მაგალითი, რომელიც გვეკლინება როგორც არსებით სახელად, ასევე ავი სურვილების შემცველ მეორეულ. ფრაზული ტიპის მარტივ შორისდებულად ან რთული შორისდებულის კომპონენტად: “სიკვდილი!”, “ჭირი და სიკვდილი!”, “სიკვდილი და არგადარჩენა!”.

“გლახ”-ის პარალელურად “ვეფხისტყაოსანში” დასტურდება მისი სინონიმური “ვაგლახ”, რომელმაც შემდგომ სრულად გამოდევნა “გლახ” ფორმა: “ვაგლახ თქვენსა ვერა მჭერეტსა” (შ. რუსთაველი). ამ მაგალითში “ვაგლახ”, მსგავსად “ვაი”-სა, წარმოდგენილია მიცემითბრუნვიან ფრაზეოსქემაში. კომპოზიციური შორისდებული “ვაგლახ” საშუალო სპარსულიდან მომდინარე ორი ნასესხობის “ვა(ი)”-სა და “გლახ”-ის კონტამინაციას წარმოადგენს, რაც მიგვითითებს ქართულში დამკვიდრებულ ნასესხობათა შორის არსებულ სისტემურ კავშირთა, ამ შემთხვევაში დერევაციულ, კერძოდ, კომპოზიციურ ურთიერთმიმართებათა შესწავლის საჭიროებაზე. ამგვარი მიდგომა უკეთ გამოავლენს ნასესხობათა სტატუსსა და მათი ადაპტაციის ხარისხს მსესხებელ ენაში.

“ვაი”-სთან სემანტიკურად ახლო მდგომი “ვაგლახ” წუხილის გარდა, დანაწესასაც გამოხატავს (იხ. ქეკელი, 1950-1964); სადღესოდ სწორედ დანაწესის სემანტიკური კომპონენტია წამყვანი “ვაგლახ”-ის შინაარსობრივ სტრუქტურაში. ეს კომპონენტი აერთმნიშვნელიანებს მას “აფსუს”-თან (“ვაგლახ”-ის “აფსუს”-ით ჩანაცვლების შესახებ იხ. ქეკელი).

“ვაგლახ”-იც, “ვაი”-ს მსგავსად, გრამატიკული პოლისემანტია, იგი გვევლინება როგორც შორისდებულის, ასევე არსებითისა და ზედსართავის ფორმით. “ვაგლახ”-ის სუბსტანტივური მნიშვნელობები პოლისემიურ სტრუქტურას ქმნიან — 1. “ვაის ძახილი, ვაება, გოდება, ტირილი” (“თუ მკვლარი მნახოს, დამმარხოს, თქვას ვაგლახი და უები”,¹ შ. რუსთაველი); 2. “ტანჯვა, წამება, დარდი, უბედურება” (“ხომ ზედავ რა ჭირსა და ვაგლახში ჩავეარდით”, ილია ჭავჭავაძე) (ქეგელ, 1950-1964; აღ. ნეიმანი, 1978). არსებით სახელ “ვაგლახ”-ის აბსოლუტური სინონიმი მისით მოტივირებული კომპოზიტი “ვაი-ვაგლახ”-ია.

“ვაგლახ”-ს ზედსართავი მნიშვნელობაც აქვს, რაც აფართოვებს მის პოლისემიურ მოცულობას. ეს მნიშვნელობაა “ცუდი, უხეირო” — “ამისთანა ვაგლახ ზამთარში ხუთ მანეთს როგორ არ მოგვეცემენ” (ეკ. გაბაშვილი).

“ვაი”-ს სუბსტანტივად გამოყენების არე კონტექსტულურად უფრო შეზღუდულია. “ვაი” არსებითის მნიშვნელობით მეტწილად სინონიმურ (ვ)უი-სთან გვხვდება ალიტერაციული წყობით. ეს ორი სინონიმი ერთმანეთს რიგ კონტექსტებში უპირისპირდება როგორც “ავი, ცუდი რამ” და “სხვაგვარი სახის ავი, ცუდი რამ”. იხ. ზემომოყვანილი “ვაით ვშობე, (ვ)უით ვზარდე”. “ვაის შევეყარე, (ვ)უის გავეყარე”.

“ვაგლახ”-ით ნაწარმოებია პოლისემიური ზმნიხედა “ვაგლახად”, რომლის შინაარსია 1. “არასასიკეთოდ, საუბედუროდ” (“მე ვხედავდი, რომ მარი ვაგლახად შეგიყვარდა”, აღ. ყაზბეგი), 2. “ტყუილ-უბრალოდ, ადვილად” (“მაგრამ ქართველი ადვილად არვისგან გაიციცხვისო”, აკ. წერეთელი) (ქეგელ, 1950-1964) პოლისემიურია ასევე ნასახელარი ზმნა “ვაგლახებს”/“ვაგლახობს” — 1. მოსთქვამს, ტირის, გოდებს” (ქეგელი); 2. “წვლობს, ცოდვილობს”. ეს უკანასკნელი მნიშვნელობა (“წვლობს, ცოდვილობს”) არაა ასახული ლექსიკონებში, თუმცა თანამედროვე ქართულში “ვაგლახებს/ვაგლახობს” სწორედ “წვალების, ცოდვილობის, ჯახირის” მნიშვნელობით გამოიყენება. ამ ზმნის ბაზისი “ვაგლახ”-ის სახელური, სუბსტანტივური მნიშვნელობაა.

“ვაგლახ” შორისდებულს ეფუძნება “ვაიმე”-ს ანალოგიური სტრუქტურისა და სინონიმური შინაარსის მეორეული შორისდებული “ვაგლახმე”. ამ ორ შორისდებულს ერთმანეთისაგან მხოლოდ ენაში გამოყენების სიხშირე განასხვავებს. “ვაგლახმე” ძალზე აქტიურად მოქმედი “ვაიმე”-ს საპირისპიროდ იშვიათად გამოიყენება და ინფორმანტთა აღქმაში არქაულობითაა შეფერული.

ასე რომ, “ვაგლახ” საკმაოდ ქმედითი საბაზისო ერთეულია გრამატიკული დერივაციის თვალსაზრისით; როგორც ვხედავთ, ამ შორისდებულს ეფუძნება მეორეული შორისდებული, არსებითი და ზედსართავი სახელები, ზმნიხედა, ზმნა.

აფიქსური დერივაციების სახით დასტურდება “ვაგლახ”-ით ნაწარმოები იშვიათად ხმარებული ზედსართავები, კერძოდ სუფიქსური “ვაგლახიანი” — “მტრალი, მგლოვიარე, მოვაგლახე” და “ვაგლახური”, რომელიც “ვაგლახ”-

¹ ამ კონტექსტში “ვაგლახ”-ის მსგავსად, “უები”-ც გაარსებითებული შორისდებულია, ოღონდ მრავლობითის ფორმით.

ის ზედსართაული მნიშვნელობის სინონიმურია და განიმარტება როგორც “ცული, მძიმე, გაჭირვებული, ბედუკუდმართი” (ქეგლ, 1950-1964). “ვაგლახი” ცირკუმფექსთა მეშვეობითაც წარმოქმნის ზედსართავებს — “მო-ვაგლახ-ე” — “ვაგლახიან”-ის სინონიმი; “სა-ვაგლახ-ო”, ანუ “სამწუხარო, სავალალო, საუბედურო” (ქეგლ, 1950-1964). ყველა ზემოთ მოყვანილი აფიქსური დერივატი “ვაგლახ”-ის სუბსტანტიური მნიშვნელობითაა მოტივირებული. ამავე მნიშვნელობას ეფუძნება კომპოზიტები “ვაი-ვაგლახი” და “ვაგლახბედი”.

ნულოვანია შორისდებულ “ვაგლახ”-ის ფრაზეოწარმოებითი პოტენციალი. ამ მხრივ, პროდუქტიული “ვაი”-საგან განსხვავებით, “ვაგლახ” არ ფიგურირებს არც ერთ ფრაზეოსქემაში, რასაც სავარაუდოდ, ენაში მისი ნაკლები სიხშირით გამოყენებაც განაპირობებს. ვფიქრობთ, სიხშირის ფაქტორი გარკვეულწილად სტილისტურ მარკირებასაც უკავშირდება. დიდი სიხშირით გამოყენებული “ვაი”-ს საპირისპიროდ, უფრო იშვიათი “ვაგლახ” მწიგნობრული სტილით მარკირებულ ერთეულად აღიქმება. სასაუბრო და დიდწილად სამწერლობო ქართულშიც “ვაგლახ” ახალსპარსული წარმომავლობის “აფსუს”-ითაა ჩანაცვლებული. ეს უკანასკნელი ინფორმანტთა მიერ მიიჩნევა “აღმოსავლურ” სიტყვად, მაშინ როცა “ვაგლახ” მკვიდრ ქართულ სიტყვად აღიქმება. ამის მიზეზი “ვაგლახ”-ის ხანგრძლივი, საშუალო ირანული ეპოქიდან მომდინარე არსებობაა ქართულში, რადგან ნასესხობის სიძველე ხელს უწყობს მის გათავისებას ენის მატარებელთა მიერ და ამასთანავე ამკრთალებს ამ ნასესხობათა უცხოობის შეგრძნებას (თ. ბოლქვაძე, 2007, გვ. 49).

შემაჯამებელი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საშუალო სპარსული წარმომავლობის “ვაი”-ს, “გლახ”-ისა და მისი დუბლეტის, საკუთრივ ქართულ ნიადაგზე კონტამინირებული “ვაგლახ”-ის არსებობა გვაფიქრებინებს საშუალო სპარსულიდან ქართულში რიგ ენობრივ ერთეულთა ზეპირი გზით შემოსვლას, რადგან ვერბალური კომუნიკაციის ისეთი ინტენსიური ფორმა, როგორიცაა ცოცხალი სასაუბრო ურთიერთობები, დიდწილად განაპირობებს ნებისმიერი სახის კომუნიკაციურ ერთეულთა, მათ შორის შორისდებულთა სესხების პროცესს.

“ვაი”-სა და “გლახ”-ის ეტიმონებს საშუალო სპარსულში სხვადასხვა ფუნქციური სტატუსი აქვთ. კომუნიკაციური ერთეული, კერძოდ, შორისდებული “vāi” სრულად შეესაბამება ქართული “ვაი”-ს მნიშვნელობას. “gilah //gilak” კი, მნიშვნელობით “ტირილი, ჩივილი, ვაება” ნომინაციური ერთეულია, რომელიც ქართულში ნომინაციურ ერთეულთა (“გლახა, გლახაკი, გლახი”) პარალელურად კომუნიკაციურ ერთეულებსაც, კერძოდ, წუხილისა და დანანების გამომხატველ შორისდებულებს (“გლახ//ვაგლახ”) დაედო საფუძვლად. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც საშუალო სპარსულიდან ქართულში შემოსული ნომინაციური ერთეული კომუნიკაციურ ერთეულთა კატეგორიაში გადადის. ვვარაუდობთ, რომ “gilah //gilak”-ს საშუალო სპარსულშიც ჰქონდა როგორც ნომინაციური, ასევე კომუნიკაციური სტატუსი. ამგვარი დაშვების

მისაძღვებლობას რიგ სახელთა შორისდებულის სახით ფუნქციონირების უხივერსალური ტენდენციის არსებობა გვაძლევს. იხ. მაგალითად ქართულში “სიცოცხლე” და “სიკვდილი”, როგორც არსებითი სახელები და “სიცოცხლე!”, “სიცოცხლე და კარგად ყოფნა!” ან “სიკვდილი!”, “ჭირი და სიკვდილი!”, “სიკვდილი და არგადარჩენა!”, როგორც მეორეული და ფრაზული შორისდებულები.

მწუხარების გამომხატველი “ვაი” შინაარსობრივად ახლო მდგომ მწუხარებისა და ამავდროულად დანანების გამომხატველ “გლახა//ვაგლახ“-ს უპირისპირდება როგორც ხშირად ხმარებული და სტილისტურად ნეიტრალური ერთეული მცირე სიხშირით წარმოდგენილ და არქაულ-მწიგნობრული სტილით შეფერილ ერთეულს.

“ვაი” და “ვაგლახ” შორისდებულების შემთხვევაში დასტურდება გრამატიკული პოლისემია; განხილული შორისდებულები შორისდებულთან ერთად სახელურ მნიშვნელობას ითავსებენ, ეს უფრო მკაფიოდ ჩანს “ვაგლახ“-ის მაგალითზე.

საანალიზო შორისდებულთა ბაზაზე წარმოქმნილია ასევე პროკლიტიკიანი მეორეული შორისდებულები “ვაიმე!” და “ვაგლახმე!”, რომლებიც ერთმანეთს გამოყენების სიხშირით უპირისპირდებიან. ფართოდ გავრცელებული “ვაიმე“-სგან განსხვავებით, “ვაგლახმე” ძალზე იშვიათად ხმარებული შორისდებულია.

“ვაგლახ” და “ვაი” ფრაზეოწარმოებითი პოტენციალითაც განსხვავდებიან. “ვაგლახ” არ წარმოქმნის არც ერთ ფრაზეოსქემას, “ვაი“-ზე დაფუძნებული მეორეული შორისდებულები კი, საკმაოდ აქტიურად ფუნქციონირებენ ფრაზეოსქემებითაა წარმოდგენილი. ამ ფრაზეოსქემებში დასტურდება “ვაი“-ს შემცველი მიცემით-, ნათესაობით- და წოდებითბრუნვანი მოდელები: “ვაი + სახელი მიცემით ბრუნვაში”, მაგალითად, “ვაი შენ მტერს”; “ვაი + სახელი ნათესაობით ბრუნვაში”, მაგალითად, “ვაი მისი ბრალი!”; “ვაი + სახელი წოდებით ბრუნვაში”, მაგალითად, “ვაი ჩემო თავო!”. ქართული მიცემითბრუნვიანი მოდელის შესატყვისი სტრუქტურა საშუალო სპარსულში შემდეგი სახითაა წარმოდგენილი — “vāi + წინდებული ო + სახელი”, მაგალითად, “vāi ო martōm!” - “ვაი კაცობრიობას!”.

“ვაი” და “ვაგლახ” ქართულში დერივაციულ აქტივობასაც ამჟღავნებენ აწარმოებენ რა როგორც აფიქსურ, ასევე კომპოზიციურ ერთეულებს. ვფიქრობთ, ნებისმიერი ნასესხობის დერივაციული და ფრაზეოწარმოებითი პოტენციალის ამოქმედება მიჩნეულ უნდა იქნას მსესხებელ ენაში ამ ნასესხობათა, ჩვენს შემთხვევაში, “ვაი” და “გლახ//ვაგლახ” შორისდებულთა ადაპტაციის ერთ-ერთი ძირითად კრიტერიუმად.

დამოწმებული ლიტერატურა

მ. ალექსიძე, 2009 - მ. ალექსიძე, სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში, თბ., 2009.

მ. ანდრონიკაშვილი, 1966 - მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, I, თბ., 1966.

მ. ანდრონიკაშვილი, 1996 - მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, ტომი II, ნაწილი I, თბ., 1996.

ფ. ანთაძე, 2008 - ფ. ანთაძე, სპარსულ ფრაზეოლოგიურ წინადადებათა სესხებისათვის ქართულში, აღმოსავლეთი და კავკასია. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის აღმოსავლეთისა და კავკასიის კვლევითი ცენტრი №6, თბ., 2008.

ფ. ანთაძე, 2008 II - ფ. ანთაძე, ნასესხობათა სინონიმისა და ომონიმისათვის (სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა მასალაზე). დავით კობიძე 100. საიუბილეო კრებული მიძღვნილი დავით კობიძის 100 წლისთავისადმი, თბ., 2008.

ნ. ბართაია, 2008 - ნ. ბართაია, სპარსული ლექსიკიდან ქართულში შემოსული სიტყვები იოსებ გრიშაშვილის "ქალაქური ლექსიკონის" მიხედვით. აღმოსავლეთი და კავკასია. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის აღმოსავლეთისა და კავკასიის კვლევითი ცენტრი, №6, თბ., 2008.

კ. გამსახურდია, 1995 - კ. გამსახურდია, ადრექრისტიანული ქართლის კულტურული მონაბეჭი. თბ., 1995.

ი. გრიშაშვილი, 1997 - ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი (გამოსაცემად მოამზადა რ. კუსრაშვილმა), თბ., 1997.

ივ. იმნაიშვილი, 1986 - ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმეფონია-ლექსიკონი, თბ., 1986.

ალ. ნეიმანი, 1978 - ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978.

ს.ს. ორბელიანი, 1991-1993 - ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული (გამოსაცემად მოამზადა ილ. აბულაძემ), ტ. I-II, თბ., 1991-1993.

თ. სახოკია, 1950-1955 - თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი, ტ. I-III, თბ., 1950-1955.

ქეგლ, 1950-1964 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), თბ., 1950-1964.

გ. ყიფიანი, 2009 - გ. ყიფიანი, ძველი თბილისის ზოროასტრული ტაძარი, თბ., 2009.

А. Вежбицкая, 1999 – А. Вежбицкая, Семантика междометий, Москва, 1999.

А. Вежбицкая, 1999 – А. Вежбицкая, Семантические универсалии и описание языков, Москва, 1999.

В. Виноградов, 1947 – В. Виноградов, Русский язык. Грамматическое учение о слове, Москва, 1947.

Д. Гуттнер, 1966 – Д. Гуттнер, Некоторые особенности междометия в английском языке, Вопросы языка и литературы, вып. 2. 1966.

Основы, 1981 – Основы Иранского языкознания. Среднеиранские языки, Москва, 1981.

Основы, 1982 – Основы Иранского языкознания. Новоиранские языки, Москва, 1982.

Ю.А. Рубинчик, 1985 – Ю.А. Рубинчик, Персидско-Русский словарь, т. I – II (под ред. Ю. А. Рубинчика), Москва, 1985.

И. Шаронов, 2007 – Шаронов И. А. О скрытых признаках производных междометий, Скрытые смыслы в языке и коммуникаций, сб. статей РГГУ, Москва, 2007.

Divian bigi, 1972 - āli rezā divān bigi, sāfār-e mohājerāt dār jāng-e noxostin-e jāhān, Tehrān 1972.

L. Haegeman, 1984 - Haegeman L., Interjections and phrase structure // Linguistics, vol. 22, №1, 1984.

M. Moin, 1998 - Mohāmmād-e Moin Fārhāng-e fārsi, j. I-VI. Tehran, 1998.

H. Nyberg, 1974 - Nyberg H.S. A. manual of Pahlavi, Part2. Glossary. Wiesbaden, 1974.

FATI ANTADZE

THE MIDDLE PERSIAN IOAN INTERJECTIONS IN GEORGIAN

The given paper deals with certain communicative units that penetrated into Georgian from Middle Persian, namely, interjections “vai” and “glax/vaglux”. “vaglux”, the doublet of “glax” is a contaminated form of Middle Persian interjections “vai” and “glax” that appeared on Georgian grounds and gradually substituted the initial “glax” form.

Georgian borrowings from Middle Persian are mostly represented by nominative units, whereas the communicative units embrace only the above-mentioned interjections. They must have penetrated into Georgian orally, as the intense form of verbal communication i.e. live conversational relations largely condition the process of borrowing of all kinds of communicative units, including interjections.

The etymons of “vai” and “glax” had various functional statuses in Middle Persian. The communicative unit, namely, interjection “vai” fully corresponds in meaning with Georgian “vai”. However, “gilah/gilak” was a nominative unit and had the meaning of “crying, complaining, moaning”. It penetrated into Georgian both as nominative (“glaxa, glaxaki, glexi” (meaning beggar, poor man, peasant)) and communicative unit (interjection “glax, vaglux” expressing sorrow and regret). Based on the materials available, it can be concluded that this is the only case when a nominative unit borrowed by Georgian from Middle Persian becomes a communicative one. It can be assumed that “gilah/gilak” had both nominative and communicative status in Middle Persian. This assumption can be proved by the universal tendency of the interjectional function of certain nouns, e.g. Georgian nouns “sicocxle” (life)

and "sikvdili" (death) also serve as secondary and phrasal interjections: "sicocxle!" (Bless you!), "sicocxle da kargad qopna!" (Long Live! Welfare!) or "sikvdili!" (Hell!), "čiri da sikvdili" (Woe Betide You!), "sikvdili da argadarčena!" (Hell Broke Loose!). "vai" expressing sorrow opposes "glax/vaglax" expressing sorrow and regret, as the former is used more frequently and is stylistically neutral, whereas the latter is used rarely and is archaic and bookish.

Interjections "vai" and "vaglax" are grammatically polysemantic, as they are both interjections and nominative units. This is especially vivid in case of "vaglax".

Clitic secondary interjections "vaime" and "vaglaxme" are formed on the basis of the above-mentioned interjections. The difference between the two is in the frequency of usage: "vaime" is widely used, whereas "vaglaxme" is extremely rare. "vaglax" and "vai" also differ in their phrase-formation potential. "vaglax" does not form any phrasal scheme, whereas the secondary interjections based on "vai" are represented by actively functioning phrasal schemes. These phrasal schemes include models with "vai" plus noun in the dative, genitive or vocative cases: "vai + noun in the dative case" e.g. "vai šen mters!" (To Hell with your Enemy!); "vai + noun in the genitive", e.g. "vai misi brali!" (Poor Him! Just He Wait!); "vai + noun in the vocative" e.g. "vai čemo tavo!" (Poor Me!). The Georgian structure with the noun in the dative case is represented in Middle Persian in the following form: "vai + o +noun", e.g. "vāi o martōm!" (Woe be to mankind!).

In Georgian "vai" and "vaglax" reveal derivational activity, as they form both affixal and compositional units. Hence, it can be concluded that a large derivational and phrase-forming potential of any borrowing, in our case, interjections "vai" and "vaglax", is one of the criteria of adaptation of the borrowings in the borrower language.

ნომადი ბართაია

ქართულში შემოსული აღმოსავლური
შორისდებულები ი. ბრიშაშვილის "ქალაქური
ლექსიკონის" მიხედვით

1997 წელს, საარქივო მასალაზე დაყრდნობით, რუსუდან კუსრაშვილმა გამოაქვეყნა იოსებ გრიშაშვილის "ქალაქური ლექსიკონი", რომელიც მდიდარია აღმოსავლური ლექსიკით. ამჯერად ჩვენ დავინტერესდით მასში მოცემული აღმოსავლური წარმოშობის შორისდებულებით.

არიქა

არიქა — სიტყვის მასალაა. არიქა, წყალი და სხვა. არიქა, ჩქარა! — შორისდებული, რომელიც იხმარება სიჩქარეში ასაქეზებლად (ი. გრიშაშვილი, 1997).

არიქა[თ]! — სავანგაშო ძახილი საშველად, მისახმარებლად, გასაფრთხილებლად და სხვ. (ქეგლ).

არიქა მომდინარე ჩანს არაბულ-სპარსული ლექსებიდან **حرکت** (**harakat**), რომლის მნიშვნელობებია: 1. მოძრაობა; 2. წასვლა; 3. მანერა... (ხ. ბარანოვი, 1957, ი. რუბინჩიკი, 1983).

ეტყობა, ქართულ ენაში ამ ლექსიკურმა ერთეულმა შორისდებულის მნიშვნელობა მიიღო.

აფერუმ

აფერუმ — 1. ხმა მოწონებისა: ვაშა, ბრავო... (ი. გრიშაშვილი, 1997).

აფერუმ — [სპ.] შორისდებული; გამოხატავს მოწონებას — ყოჩაღ! ბარაქალა! (ქეგლ).

აფერუმ სპარსულად იწერება და იკითხება ასე — **أفرین** (**afarin**). მისი მნიშვნელობაა — 1. შორისდ. ყოჩაღ! კარგია! ბრწყინვალეა!; 2. ქება (ი. რუბინჩიკი, 1983).

აფსუს

დანანება, "აფსუს, დრო შეიცვალა" (ზ. ჭიჭინ., ნიკ. ბართ., 1985, გვ. 26). "აფსუს, ტაია შელიას შეგირდო" (კ. გამსახ., "დიონისოს ლიმილი", 1925, გვ. 187) (ი. გრიშაშვილი, 1997).

აფსუს! შორისდებული; გამოხატავს დანანებას. მითითებულია, რომ **აფსუს**-ი (დასანანი) არის სპარსული წარმოშობის (ქეგლ).

სპარსულად **აფსუს** იწერება და იკითხება ასე — **سوسفا** (**afsūs**). მისი მნიშვნელობებია 1. შორისდ. ვაიმე! ოჰ! სამწუხაროა! 2. სინანული (ი. რუბინჩიკი, 1983).

ბარაქალა

ბარაქალა — ყოჩაღ! (არაბულად დალოცვა ყოფილა: ღმერთმა გაკურთხოს!). "კარგათა სთქვი, ბარაქალა!... შექებითი სიტყვა - ყოჩაღ! ვაშა!" (ი. გრიშაშვილი, 1997).

ბარაქალა — [არაბ.] შორისდებული; გამოხატავს მოწონებას, წაქეზებას — ყოჩაღ! ვაშა! (ქეგლ).

ქართულ ენაში არის ხატოვანი თქმა **ბარაქალა დედაკაცი** შემდეგი მნიშვნელობით: ყოჩაღი, ხელგამომავალი, ხელფურჩი, გამრჯე (თ. სახოკია, 1979).

ბარაქალა არაბული წარმოშობის შორისდებულია — **بارك الله (bârak Allah)** მნიშვნელობით — “გაკურთხოს ღმერთმა”, რომელიც შედგება ორი ელემენტისგან — **بارك (bârak)** — კურთხევა და **الله (Allah)** — ღმერთი (ხ. ბარანოვი, 1957).

ანალოგიური ფორმითა და შინაარსით ეს შორისდებული შესულია სპარსულ ენაში.

ბასტა

ბასტა — ამ სიტყვას თულუხჩები ხმარობდნენ, როცა თულუხი წყლით აევსებოდათ... (ი. გრიშაშვილი, 1997).

სპარსულ ენაში არის ზმნა **بستن (bastan)** — 1. დაკეტვა; 2. აკრძალვა; ლიკვიდაცია; 3. მიბმა; 4. გადახვევა. მისგან ნაწარმოებია ნამყო ღროის მიმღეობა **بسته (baste)** — დაკეტილი... (ი. რუბინჩიკი, 1983).

ამჟამად, რომ **ბასტა** მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან — **بسته (baste)**, რომელიც ქართულში შორისდებულად არის დამკვიდრებული.

ზაჰრუმალა

ზაჰრუმალა — **ზაჰრი** სპარსულად “შხამს” ნიშნავს და **მარ** — “გველს” (ი. გრიშაშვილი, 1997).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა გვგვდება შემდეგი ფორმებით: **ზანრუმა, ზანრუმალ, ზანრუმალა** და განმარტებულია ასე — [სპ.] შორისდებული. არგადარჩენა! სიკვდილი (ითქმის წყველად...) (ქეგლ).

ზაჰრუმალა მომდინარეობს სპარსული რთული სიტყვიდან **زاهرامار (zahremâr)** მნიშვნელობით — “გველის შხამი” (**زهر /zahr/** — “შხამი”, **مار /mâr/** — “გველი”) (ი. რუბინჩიკი, 1983).

ფონეტიკური პროცესი ასეთი ჩანს: **ზაჰრემარ- > ზაჰრუმარ- > ზაჰრუმალ- > ზაჰრუმალა.**

ქალაქურ ლექსიკონში ცალკეა მოცემული **ზაჰრუმალა**-ს შემდეგი ფონეტიკური ვარიანტები: **ზაჰრუმარი** და **ზანრუმანი.**

ზაჰრუმალას ქართულში შორისდებულის სახე მიუღია.

ზურნა

ზურნა — 1. არაბულად **სურნა** ნიშნავს იერიქონის საყვირს... ჩვენში **ზურნა** ეწოდება მთელ დასს; **ზურნა** ჩამოჰგავს კლარნეტს, გამოჭრილია ლერწმისაგან, იხმარებოდა ბრძოლის დროსაც და ლითონისაგან კეთდებოდა... მითითებულია, რომ არის არაბული სიტყვა (ი. გრიშაშვილი, 1997).

საბას განმარტებით, “**ზურნა** სხვათა ენაა, ქართულად სტვირი ჰქვიან” (ს.ს. ორბელიანი, 1991).

ზურნა — [სპ.] აღმოსავლური ჩასაბერი საკრავი ერთგვარი. ეტყვიან ვისმე თავმომაბეზრებელი ტირილის, ყვირილის და მისთ. შემთხვევაში (ქეგლ).

სპარსულ ენაში ზურნა — **زورن** (zürnâ) არის შემდეგი ფონეტიკური ვარიანტებით: **زرن** (zornâ), **سرن** (sornâ) და **سرنای** (sornây). მისი მნიშვნელობებია: სტივრი; სალამური (ი. რუბინჩიკი, 1983).

ამ სიტყვის ქეგლ-ისეული განმარტება რომ განვავითაროთ, მეგრულში არის გამოთქმები: **ვაი, სი დო ზურნა!** (**ვაი, შენ და ზურნა!**); **ზურნა სი!** (**ზურნა შენ!**) და სხვა, სადაც **ზურნა** უარყოფით კონტექსტშია მოცემული.

ქართული სმენისთვის თავმომაბეზრებელი ხმის გამო **ზურნას** ქართულში უარყოფითი ემოციის გამოხატველი შორისდებულის სახე მიუღია.

მაშალახ

მაშალახ — იღებდა ალახს. “...**მაშალახ!** — იძახდნენ მუსულმანები” (ივ., 1981 წ., № 133). “ქების შესმა” (ი. გრიშაშვილი, 1997).

მაშალახ მომდინარეა არაბულ-სპარსული კომუნიკაციური ერთეულიდან — **ما شاء الله** (mâšâ'allah), რომლის მნიშვნელობებია: 1. შორისდ. ყოჩაღ! 2. გათვალის საწინააღმდეგო ფორმულაა (ბ. ბარანოვი, 1957; ი. რუბინჩიკი, 1983).

მაშალახ-ი იდენტური ფორმითა და შინაარსით არის თურქულ ენაში (**maşallah**) (თურქ.—რუს. ლექსიკონი, 1977).

ქართული **მაშალახ**-ის ფონეტიკური იდენტურობა თურქულ **maşallah**-თან ქართულში მის თურქულის გზით შემოსვლაზე მიუთითებს.

ფაჰა

ფაჰა — “სიტყვის მასალა სიამოვნების დროს” (ი. გრიშაშვილი, 1997).

სპარსულ ენაში არის გაკვირვების გამოხატველი შორისდებული **ბ** (**bah**) და მისი გაორმაგებული ფორმა — **ბ-ბ** (**bah-bah**) მნიშვნელობით — საოცარია! ყოჩაღ! შესანიშნავია! (ი. რუბინჩიკი, 1983).

სავარაუდოა, შორისდებული **ფაჰა**, ბაგისმიერთა (**ბ/ფ**) მონაცვლეობითა და ბოლოში **ა** ნმოვნის განვითარებით, მომდინარე იყოს სპარსული შორისდებულიდან — **ბ** (**bah**).

შაბაშ

შაბაშ — 1. შექება. 2. საჩუქარი, ქორწილში დედოფლის ცეკვის დროს რომ გროვდება. 3. ყველიერის ყენის გასამრჯელო. 4. მუშაობის გათავება (**ავაშაბაშე** — მუშაობას მოვრიჩი), საქმის ბოლო, დასრულება... (ი. გრიშაშვილი, 1997).

შაბაში (სპ.) ქორწილში (ღვინში) მოცეკვავის ან მემუსიკეთა სასარგებლოდ შეგროვილი ფული (ქეგლ).

საბა ამ შორისდებულს ინდური წარმოშობისად მიიჩნევს: **შაბა-შაბა** (**შაბა-შაბაშ**) — ინდოთა ენითა იტყვიან მოსაწონი-მოსაწონი (ს.ს. ორბელიანი, 1991).

შაბაშ შემდეგი სპარსული რთული სიტყვიდან მომდინარე შორისდებულია — **شباب** (**šâbâš**). მისი მნიშვნელობებია: 1. ფული, წვრილმანი გასამრჯელო (მუსიკოსების, მომღერლების, მოცეკვავების და სხვა); 2. შორისდ. ყოჩაღ! ბრწყინვალეა!... (ი. რუბინჩიკი, 1983).

სპარსული — **شباب** (**šâbâš**) მომდინარეა სპარსული ასევე რთული სიტყვიდან **شباب** (**šâbâš**). იგი შედგება ორი ელემენტისგან: **شاد** (**šâd**) — მხიარული და **بند** (**bâš**) — **بندان** (**bûdan**) — ყოფნა ზმნის აწმყო დროის ფუტე.

შაბაშ-ი ჯერ კიდევ “ვეფხისტყაოსანში” გვხვდება: “გლახ, დაგივლია, არ ჰნახავ, **შაბაშ** მართალსა ბჭობასა (901/1).

რაც შეეხება **შაბაშის** “ქალაქურ ლექსიკონისეულ” მეოთხე განმარტებას (მუშაობის გათავება...) მას სპარსულ ენასთან არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო. ქეგლ-ის მიხედვითაც იგი არა სპარსულიდან, არამედ ებრაულიდან არის მომდინარე.

ხაბარდა

ხაბარდა — 1. განზე ჩამოდექი, ჩამომეცალე, გზა მომეცი. “მას ეხლაც სახლიდან სახლზე გაუბრუნდა თვალები და სხვადასხვა სანახაობით გატაცებულ თავისთავიც დაავიწყდა — ხაბარდა, ხაბარდა! — ძლივს გაავიწყდა მას მეეტლემ” (პ. ლორია, “ბედნ. დედა”, 1941 წ., №12). ამ სათაურით წერილიც კი აქვს მოლაყბეს ცისკარში (1960 წ., №6, გვ. 134); 2. კრინოლინი. ძვ. თბილისის აივნებიდან ჩამოვარდა რვა თვის ორსული ქალი, რომელსაც “ხაბარდა” ეცვა და გადაარჩა. **ხაბარდა** გაიბერა პარაშუტივით... **ხაბარდიანი კაბა** იყო განიერი კაბა, რომლის ქობაც მავთულის რკალზე იყო გაკეთებული... (ი. გრიშაშვილი, 1997).

ხაბარდა — [არაბ.-სპ.] 1. მეეტლეებისა და მისთ. შეძახილი. ჩამოდექი, გადადექი გზიდან. 2. (საუბ.) იგივეა, რაც კრინოლინი (ქეგლ). ქალაქურ მეტყველებაში “**ხაბარდას**” ორი შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონია: 1. **გზა მომეცი...** და 2. **განიერი კაბა**.

როგორც თ. სახოკია აღნიშნავს, “ძველ თბილისში ყოველ ნაბიჯზე გაისმოდა ეს სიტყვა (ხაბარდა ნ. ბ.) ქუჩებში, როცა უნდოდათ მეორე, პირდაპირ მომავალი, განსაკუთრებით ცხენიანი ან ურმიანი გზიდან ჩამოეცილებინათ. სურათხატოვნად იხმარებოდა, როცა უნდოდათ მეტოქისთვის ეთქვათ: ვერას დამაკლებ, ტყუილად ნუ მოდიხარ ჩემს წინააღმდეგო” (თ. სახოკია, 1979).

ხაბარდა მომდინარეობს სპარსულ ნიდაგზე წარმოშობილი არაბულ-სპარსული ჰიბრიდული სიტყვიდან **خابردار (xabardâr)**, რომლის მნიშვნელობებია: 1. საქმეს გაცნობილი; 2. სამხ. სმენა! 3. შორისდ. ფრთხილად! ეი! (ი. რუბინიკი, 1983).

خابردار (xabardâr) შედგება ორი ელემენტისაგან არაბ. **خبر (xabar)** — ამბავი და სპარს. **دار (dâr)** — **داستان (dâstan)** — ქონა, ყოლა ზმნის აწმყო დროის ფუძე. ქართული **ხაბარდას** პირველი განმარტება (განზე ჩამოდექი, ჩამომეცალე, გზა მომეცი), რომელიც გამაფრთხილებელი შინაარსის მატარებელია, შინაარსობრივად ემთხვევა სპარსული **خابردار (xabardâr)**-ის მესამე განმარტებას (სმენა! ფრთხილად! ეი!), რომელიც წარმოადგენს შორისდებულს.

რაც შეეხება **ხაბარდას** მეორე მნიშვნელობას (განიერი კაბა), მსგავსი განმარტება ჩვენს ხელთ არსებულ სპარსულ ლექსიკონებში არ დასტურდება. როგორც ჩანს, შორისდებულში ქართულში შეიძინა ნომინაციური დატვირთვა. ეს სემანტიკური გადააზრება, ალბათ, ასოციაციითაა მოტივირებული. განიერკაბიანი ქალის გავლა, ეტყობა, იწვევდა გზის მიცემის ასოციაციას.

ჰალა-ჰალა

ჰალა-ჰალა — ვა, **ჰალა-ჰალაა!** — ამბობენ. “საქვეყნოდ სიბრძნის შეძენა არ არის **ჰალა-ჰალაო** (აკაკი, გაზ. “მელანის ოინები”), მანგრე **ჰალა-ჰალად** ვინ დაიჭერს ხელში” (აკაკი, ივ., 1840 წ. №2, გვ. 25) (ი. გრიშაშვილი, 1997).

ჰალა არაბულ-სპარსული ლექსემაა — **حالا (hâlâ)** შემდეგი მნიშვნელობებით: ახლა, ამჟამად (გაფაროვი, 1976), საიდანაც სასაუბრო სპარსულში მიღებულია გამოთქმა **حالا-حالا (hâlâ-hâlâ)**. მისი მნიშვნელობაა — 1. ასე ჩქარა. მაგ., ეს საქმე ასე **ჰალა-ჰალად** ვერ დამთავრდება; 2. ჯერაც (ი. რუბინიკი, 1983).

როგორც ჩანს, “ქალაქური ლექსიკონისეული” შორისდებული **ჰალა-ჰალა** მომდინარეა სპარსული **حالا-حالا (hâlâ-hâlâ)**-დან.

დამოწმებული ლიტერატურა

- ბ. ბარანოვი, 1957 — Баранов Х., Арабско–русский словарь, Москва, 1957.
- ი. გრიშაშვილი, 1997 — ი. გრიშაშვილი, “ქალაქური ლექსიკონი“, საარქივო მასალა გამოსაცემად მოამზადა რუსულადან კუსრაშვილმა, თბ., 1997.
- თურქ.-რუს. ლექსიკონი, 1977, — Турецко–русский словарь, Москва, 1977.
- ს.ს. ორბელიანი, 1991 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991.
- ი. რუბინჩიკი, 1983 — Персидско–русский словарь, под редакцией Ю. Рубинчика, Москва, 1983.
- თ. სახოკია, 1978 — თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.
- ჭეველ, 1986 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული. თბ., 1986.

NOMADI BARTAIA

ON SOME ORIENTAL BORROWED INTERJECTIONS IN GEORGIAN ACCORDING TO I. GRISHASHVILI'S "URBAN DICTIONARY"

In 1997 Rusudan Kusrashvili published “Urban Dictionary” based on the archive materials of Ioseb Grishashvili’s works. The “Urban Dictionary” is replete with Oriental words. Among them the entries comprise some interjections that the Georgian language adopted through Persian; these lexical units are the following:

ariqa – apparently stemming from the Arabic-Persian lexeme تكرح (harakat), meaning: 1. movement; 2. going; 3. manner...(Barnovi 1957; Rubinchik 1983). Very likely this word developed a meaning of an interjection in Georgian.

aferin - [Persian . افران (âfarin)], interjection, expressing praise, approvement, Bravo!

afsus - [Persian سوسفا (afsûs)], “regret”; expressing regret. The publication indicates of its Persian origin.

baraqala - Interjectin of Arabic origin: بللا كراب (bârak âllah), meaning – god bless you; the word is composed of two elemnts: كراب (bârak)- blessing, and الله (âllah) – the god (Barnovi 1957).

basta – entered into the Georgian usage as an interjection from the Persian word بست (baste).

zahrumala - stems from the Persian compound زهرامر (zahremâr) meaning زهر /zahr/, venom and امر /mâr/, snake (Rubinchik 1983). Phonetical process looks as follows: zahreman -> zahrumar -> zahrumal -> **zahrumala**. “Urban Dictionary” gives other variants additionally as **zahrumari**, and **zakhrumani**.

zurna – 1. In the Arabic language **surna** means *Jericho Trumpet*... **zurna** resembles clarinet; it is cut out from reed or made of metal (Grishashvili 1997), and was also used in the battlefield. Persian has the following phonetic varieties of

zurna: انرز (zornâ), انرس (sornâ) and ج انرس (sornây). Its meanings are: *salamuri* and *stviri* (folk flutes) (Rubinchik 1983).

mashala – comes from an Arabic-Persian communicative unit **هللا عاشام** (mâšâ'allah), meaning: 1. Interj. Bravo! 2. A spell pattern against 'eyeing' (Barnovi 1957; (Rubinchik 1983). Phonetic coincidence of the Georgian **mashala** with Turkish **mašallax** indicates its entrance through Turkish.

Paha – in Persian it is an interjection expressing 'surprise'. **هب** (**bah**) and its duplicated form - **هب-هب** (**bah-bah**), with the meaning – Gosh! Bravo! Amazing! (Rubinchik 1983).

shabash – 1. praise. 2. present collected during wedding dance for bride. 3. fee for a masker performer of the equinox /shrovetide festival. 4. completion of the task/work. E.g. **a-va-shabashe v/t.** 'I have finished the work up.'... (Grishashvili 1997).

The paper also discusses: **shabashi** (Persian), شاباش (**šâbâš**), **khbarda** [Arabic-Persian] زابردخ (**zabardâr**), **hala-hala** - Arabic-Persian lexeme **الاح** (**hâlâ**).

მერაბ ბერიძე

ქორ- შუპიანი საკუთარი სახელები

ნაგენეტიკური სახელების შესახებ აკაკი შანიძე წერს: “გენეტიკური სახელებისგან უნდა გარჩეულ იქნეს ნაგენეტიკური სახელები. გენეტიკურია სახელი, რომელსაც გენეტიკის გაგებაც აქვს, მაგრამ ამასთან ერთად სხვა ბრუნვის ფორმებსაც გვიჩვენებს.... ხოლო ნაგენეტიკურია სახელი, რომლის ფუძე მარტო წარმოშობით არის გენეტივი (ნათ. ბრუნვა), მაგრამ გენეტიკის გაგება აღარა აქვს. ასეთია მრავალი გეოგრაფიული სახელი, რომელთაც ბოლოში **-ის** მოუდის: თბილ-ის-ი, ქუთა-ის-ი, მანგლ-ის-ი, შინდ-ის-ი, რუ-ის-ი, ურბნ-ის-ი და სხვ. ასეთივეა **-თა-ზე** გათავებული სოფლის სახელები: ჩხიკვ-თა, ცაბაურ-თა, მოწამე-თა და მისთ.” (ა. შანიძე, 1973, გვ.114).

ჩამოთვლილთაგან ყველა თანხმოდანფუძიანი სახელია. მესხურში (სამცხური, ჯავახური) გენეტიკური სახელები გვხვდება იმ შემთხვევაში, როდესაც აღამიანს მოიხსენიებენ მამის სახელით, ოღონდ **-ძე-ს** გარეშე. პეტრე პავლესი (იგულისხმება პავლეს ძე), გიორგი დავითისა (დავითის ძე) და სხვა. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც არაოფიციალური სია დგება. როდესაც ერთი პიროვნების მრავალ შთამომავალზე ვლაპარაკობთ, მაშინ საქმე სხვაგვარად არის.

მე-16 საუკუნის ერთ ოსმალურ “დავთარში” დღევანდელი არტაანის მიდამოებში დასტურდება სოფლები: **ვარდოსანი** და **ბურდოსანი**, რომლებშიც გამოყოფილია საკუთარი სახელები **ვარდო** და **ბურდო** (მ. ბერიძე, 2001, გვ. 154). ასეთივე წარმოებისაა და გამოიყოფა აღამიანის საკუთარი სახელი **ქურდოსანი** (მთისა და ნასოფლარის სახელი ახალციხის რაიონში). მათ შესახებ ნათქვამია შემდეგი: “ქართული ენისათვის ცნობილი წარმოებაა: ბურდ-ო, ვარდ-ო, ქურდ-ო და ა. შ. ყველა ის საკუთარი სახელი იყო ქართულ ონომასტიკონში. დღეს ძირითადად მეტსახელებად გვხვდება და მათი გაგრძელება ბევრად შეიძლება. მომდევნო **-ს** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, -ა არის სავრცობი, ხოლო **-ნ** მრავლობითობის ნიშანი. თითოეული სახელის მნიშვნელობა ასეთია: **ქურდოსანი, ბურდოსანი, ვარდოსანი**. -ებ-იანი მრავლობითით იქნება: **ქურდოსები, ვარდოსები, ბურდოსები**. ე.ი. სიტყვა მიუთითებს ამა თუ იმ ნაკვეთის, მიწის, ჭალის, ყანის, პიროვნების საკუთრებაზე (მ. ბერიძე, 2001, გვ.154). **ქურდ-, ვარდ-, ბურდ-** ფუძეები ძველთაგანვე მონაწილეობდნენ ქართული გვარსახელების წარმოქმნაში: ქურდაძე, ვარდიძე, ვარდოშვილი, ვარდოსანიძე, ბურდული და სხვ.

ასეთივე წარმოებისაა ადგილის სახელი **კოროსანი**, რომელიც მინდორს ჰქვია ასპინძის რაიონში. მასში გამოიყოფა საკუთარი სახელი **კორო**, რომელიც მეტსახელად გვხვდება სამცხე-ჯავახეთში. ამ უკანასკნელში

გამოიყოფა **კორ-** ფუძე და **-ო** მაწარმოებელი, ეს ფუძე შეიძლება **-ა** სუფიქსითაც შეგვხვდეს გვარში **კორაშვილი**. **კორ-** **-ია** და **-ე** მაწარმოებლით დადასტურებული აქვს ალ. ლლონტს (ალ. ლლონტი 1986, გვ. 147). ისევე როგორც წინა ჩამოთვლილ ტოპონიმებში **კორ-ო-ს-ა-ნ-** არის ამოსავალი სახელი, რომელიც შემდეგ გაფორმდა **-ა** მატოპონიმებელი სუფიქსითა და მესხურისათვის დამახასიათებელი სახელობითი ბრუნვის ნიშნით ხმოვანფუძიან სახელებთან.

კორ- ფუძე კიდევ ერთი ტოპონიმური სახელის ფუძისეულ ნაწილად მიგვაჩნია. ასპინძის რაიონის სოფელ აწყვიტაში არის **კორანთილეღე**.

კორ- ამ შემთხვევაში საგვარეულო სახელს უდევს საფუძვლად. ტოპონიმი ასე დაიწყო: **კორ-ა-ან-ნ-ი->კორ-ა-ან-თ-ი->კორანთი**. მსგავსი წარმოება ცნობილია მესხეთის ონომასტიკაში. საბოლოოდ **კორანთ** ფორმას შეიძლება მოეცა **კორათი**, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში პროცესი ბოლომდე არ მივიდა. საზღვრულდაკარგული მსაზღვრელი უნდა იყოს იმერზევში დადასტურებული **კორანთი** სათიბის სახელად (ნ. ცეცხლაძე, 2004, გვ. 190). ასეთივე წარმოება დადასტურებულია ქიზიყის ტოპონიმიში, ოღონდ **კორ-** წარმოდგენილია **-ია** დაბოლოებით. აგანაში გოგიაშვილთა ერთ-ერთ განშტოებას ჰქვია **კორიანია!** **კორიანთი** (ალ. ლლონტი, 1982, გვ. 33).

კორ- ფუძე, როგორც ვნახეთ, შეიძლება გაფორმებული იყოს **-ა**, **-ე**, **-ია**, **-ო** სუფიქსებით. შეიძლება, **კორ-** ფუძე ასევე გამოიყოს სახელში კოროშეთი, რომელიც სოფელ ხიზაბაგრის აღმოსავლეთით დაფიქსირა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ნიკო ბერძენიშვილმა. მანვე ჩაწერა ლექსი:

“კოროშეთს თივა მოვთიბე,

ოლდან დამიძირია,

გოგო შენი სიყვარულით

მე ვერ დამიძინია” (ნ. ბერძენიშვილი, 1964, გვ. 171).

კოროშეთი და ოლდანი, როგორც ლექსიდან ჩანს, ახლომდებარე სოფლებია.

კოროშეთის ადგილმდებარეობა და ლოკალიზაცია დაზუსტებული აქვს ს. ჭიქიას (ს. ჭიქია, 1958, გვ. 295). მე-16 საუკუნეში იგი ნასოფლარის სახითაა აღწერილი.

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ **კოროშეთში -ოშ** ცალკე მაწარმოებელია; შდრ.: მიტ-უშ-ა, ნუნ-უშ-ა (შდრ.: მიტო, მიტა, ნუნუ, ნუნა, ნუნია, ნუნუკა), არ გამოირიცხება, რომ **-შ -ს-ს** ზანური ვარიანტიც იყოს, მით უმეტეს, რომ გვაქვს **-იშ** დაბოლოებიანი ვარიანტიც — **კორიშა** (ალ. ლლონტი, 1986, გვ. 146).

კორ- ფუძეს გამოვყოფთ ისტორიულ სახელში **კორაშენი**. იგი დაფიქსირებულია მე-16 საუკუნეში (ს. ჭიქია, 1958, გვ. 93). **-შენ** ტერმინ-ფორმანტი პროდუქტიულია ქართულ ტოპონიმიში. ამ შემთხვევაშიც ამოსავალი უნდა იყოს ადამიანის საკუთარი სახელი, რადგან **“-შენ** კომპონენტის ტოპონიმები საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფით

საკმაოდ ბევრია. ყველაზე პროდუქტიულია იგი ახალ- მსაზღვრელთან (ახალშენი). დანარჩენ შემთხვევაში პირველ კომპონენტად- ადამიანის საკუთარი სახელი გვგვდება“ (მ. ბერიძე, 1992, გვ. 87). ასე რომ, კორაშენში შეიძლება გამოიყოს საკუთარი სახელი **კორა**, რომელიც -ა კნინობითის მაწარმოებელი სუფიქსით გაფორმებული **კორ-** ფუძეა.

კორ- ფუძიანი სახელები ტოპონიმებად, როდესაც ონომიზაცია ხდება ანთროპონიმის საშუალებით, საქართველოს ტერიტორიაზე სხვაგანაც გვგვდება. დღემთის რაიონში არის სოფელი **კორაანი**, ხოლო ხაშურის რაიონის ზემო ოსიაურის ჭის სახელად გვაქვს **კორაანთ ჭა** (აღლ. ლონტი, 1988, გვ. 53).

კორათხევი არის ნასოფლარი თბილისის შემოგარენში, რომელიც დაცარიელდა 1952 წელს (ს. მელიქიძე, 2007, გვ. 78) და რომელსაც ფონეტიკურ ვარიანტად აქვს **კვარათხევი**.

ნასოფლარის სახელიდან არის მოტივირებული შემდეგი ტოპონიმების წარმოქმნა: **კორათხევის გზა**, **კორათხევის სასაფლაო**, **კორათხევის წყარო**, **კვარათხევის წყარო**, **კორათხევის ხატი**, **კორათხევის ხევი** (ს. მელიქიძე, 2007, გვ. 78).

კორო ადამიანის სახელად არის მითითებული. “ღუბი ყანებში ცალ-ცალკე ყანებს სახელები ერქვა: ისიდორას ყანა, **კოროს ყანა**, **კორო** ერთ თათარს ერქვა, ბიჭა ბილანას ეძახდნენ“ (მ. ბერიძე, 2008, გვ. 40). თათარში იგულისხმება მაჰმადიანი მესხი.

ზედა ვარძიის ხევის სიახლოვეს, მტკვრის ხეობაში ერთ ნასოფლარს **კორისხევი** ჰქვია, რომელიც მე-16 საუკუნეში ხუთკომლიანი სოფელი იყო (ს. ჯიქია, 1958, გვ. 373-374); აქ ცხოვრობდნენ პაპუნა ივანესძე, ბასილა ძე მისი, მაზნია გიორგისძე, სახელად ბაირამ და ერთიც ამოუკითხავი სახელის მქონე ოჯახის უფროსის შვილიშვილი (ს. ჯიქია, 1941, გვ. 253). ნასოფლარის სახელში რომ ამოსავალი ადამიანის საკუთარი სახელი **კორა** იყოს, ნათესაობით ბრუნვაში კვეცა არ მოხდებოდა და გვექნებოდა **კორასხევი**, ამიტომ სავარაუდოა ფუძეთა ომონიმია. როგორც ჩანს, ერთისა და იმავე ფორმის ფუძეს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა.

კორ- ფუძის ერთი მნიშვნელობა მცენარეულობას უკავშირდება, რადგან იგი გაფორმებულია **-ნარ** სუფიქსით. ი. სიხარულიძეს ამის არაერთი მაგალითი აქვს დაფიქსირებული: **კორნალი**, ტყე, სოფელი ბზუბზუ (ი. სიხარულიძე, 1958, გვ. 52). ასევე ტყის სახელია სოფელ მახუნცეთში (ი. სიხარულიძე, 1958, გვ. 53). ბალს ჰქვია **კორნალი** სოფ. აქუცაში (ი. სიხარულიძე, 1958, გვ. 57), **ბუჩქნარია** კაკაბაძიებში (გვ. 58), **ტყეა** სოფელ მერისში (გვ. 63), ასევე **ტყეა** სოფელ ცხადიეთში (გვ. 131), **საძოვარია** სოფელ გორგაძეთში (გვ. 132) და **სათესია** სოფელ ძაბლავეთში (გვ. 137). **კორნალა** ჰქვია საძოვარსა და ტყეს ჭინკაძიებში (გვ. 50). **კორნალია** არის სათესი ზვარეში (გვ. 67). **კორითავი** ასევე ტყეა ქუთურეთში (გვ. 137), ხოლო **კორნალიქელი** საძოვარია აღმართში (გვ. 130).

ჩამოთვლილ სახელთაგან უმრავლესობა ტყის აღმნიშვნელია ან მცენარეულობას უკავშირდება (ბუჩქნარი, ბალი). იქ, სადაც სათესს ან

საძოვარს აღნიშნავს (ერთხელ ტყესთან ერთად), იგულისხმება, რომ აღრე იქნებოდა მცენარეულობა.

კორნალი აქვს დადასტურებული ალ. ღლონტს გურიაში მთისა და ტყის სახელად (ალ. ღლონტი, 1993, გვ. 104) და იქვე არის **კორნალის ღელე** (ალ. ღლონტი, 1993, გვ. 104).

ასევე მცენარეულობის აღმნიშვნელი უნდა იყოს სოფლის სახელი **კორა** ახალგორის რაიონში.

კორ- ფუძეს გამოვყოფთ სახელში **კორანტე** ფრონეების ხეობაში (ალ. ღლონტი, 1988, გვ. 53). სავარაუდოდ, იგი უნდა მოდიოდეს **კორიანი ტყიდან**.

ალ. ღლონტს დამოწმებული აქვს **კორმაღალია**, **კორმაღალა**, რომლის პარალელურ ფორმად **რკომაღალია**, **რკომაღალა** მოჰყავს. ამ ფორმათაგან, ვფიქრობთ, ძირითადი უნდა იყოს **კორმაღალი**, რადგან გვაქვს იმავე არეალში ტაბონიმი **კორმაღლის გუა** (ალ. ღლონტი, 1988, გვ. 104). ამ შემთხვევაშიც მცენარეულობა უნდა იყოს ამოსავალი სახელდებისას.

კომპოზიტურ სახელად გვხვდება კორაველი (ნ. ცეცხლაძე, 2004, გვ. 190), ისევე, როგორც **ტყეველი**.

ამგვარად, **კორ-** ფუძიანი საკუთარი სახელები საქართველოს ტოპონიმიაში ომონიმური წარმომავლობისაა. ერთი ნაწილი უკავშირდება ადამიანის საკუთარ სახელს, ხოლო მეორე — მცენარეულობას.

დამოწმებული ლიტერატურა

მ. ბერიძე, 2001 — მ. ბერიძე, არტაანის გუბერნიის ტოპონიმთა უახლესი ისტორია, კრებული, ახალციხე-ყარსი, 2001.

მ. ბერიძე, 2008 — მ. ბერიძე, ღრელის, საფარისა და ლაშხევის ტოპონიმია, სსიპ ახალციხის ინსტიტუტის შრომები, I, 2008.

მ. ბერიძე, 1992 — მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმკური ანალიზი), 1992.

ნ. ბერძენიშვილი, 1964 — ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964.

ს. მელიქიძე, 2007 — ს. მელიქიძე, მცხეთის რაიონის ტოპონიმია, 2007.

ი. სიხარულიძე, 1958 — ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი I, თბ., 1958.

ალ. ღლონტი, 1982 — ალ. ღლონტი, ქიზიყის ტოპონიმია, 1982.

ალ. ღლონტი, 1993 — ალ. ღლონტი, სუფსა-ნატანების ხეობები, 1993.

ალ. ღლონტი, 1988 - ალ. ღლონტი, ფრონეების ხეობის ტოპონიმია, თბ., 1988,

ალ. ღლონტი, 1988 — ალ. ღლონტი, სუფსა-ნატანების ტოპონიმია, 1988.

ალ. ღლონტი, 1986 — ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.

აკ. შანიძე, 1973 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

ნ. ცეცხლაძე. 2004 — ნ. ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის აუზის ტობონიმიიდან, 2004.

ს. ჯიქია, 1958 — ს. ჯიქია, “გურჯისტანის ვილბიეთის დიდი დავთარი“, თბ., 1958.

MERAB BERIDZE

PROPER NAMES WITH KOR- ROOT IN GEORGIAN

Akaki Shanidze writes the following about the nouns derived from the former genitive case forms: “from the genitive nouns we should make distinction between the genitive proper and former genitives. A noun is considered to be in the genitive, if it has the meaning of genitive and at the same time is capable of declining in the other cases as well... And we class the nouns as former genitives whose stem is genitive only by its origin but it does not carry the genitive meaning. To these belong a considerable number of place names that have final *-is*: Tbil-is-i, Kuta-is-i, Mangl-is-i, Shind-is-i, Ru-is-i, Urbn-is-i, etc. The same is said about the names of villages ending with *-ta*: Chkhikv-ta, Tsabaut-ta, Motsame-ta and the like.

All the above-listed nouns are of consonant stems. In Męshkhan (Samtskhan, Javakhan) genitive nouns occur in family names if only a person is mentioned with patronymics without *-dze*. Eg.: Petre Pavl-es-i, (meaning: Pavles-dze, ‘son of Pavle’), Giorgi Davitisa (Davitis-dze) etc. This form of reference takes place when they make informal lists. But when they speak of many descendents of one person they use different forms.

In one of the Ottoman ‘Davtari’ (records) of the 16th century we find the names of villages of the modern Artaani: *Vardosani* and *Burdosani*, in which we can identify the first names *Vardo* and *Burdo*. Of the similar origin is the place name *Korosani*, a name of a field in Aspindza region. The name *Koro* is found as man’s nickname in Samtskhe-Javakheti. Here we can separate *Kor* as root and *-o* as forming element that can also be replaced with *-a* suffix in the family name *Kor-a-shvili*. *Kor-* with *-ia* and *-e* formants has been attested by Al. Glonti.

Root *kor-* is also identified in the place name ‘*Korantighele*’, (in the village of Atskhvita in Aspindza region); the toponym is disintegrated as *Kor-a-an-n-i*, *-> Kor-anti*, *Koranti*. The name of a pasture *Koranti* attested in Imerkhevi must have been the attribute to the noun that has been lost. The similar form is found in Kiziqi anthroponym. In Agana ‘Gogishvili’ family name has a sub-name *Koriaani/Koriaanti*.

The root *kor-* can also be identified in the name *Korosheti* (which Niko Berdzenishvili found to the east of the village of Khizabavri).

Kor- is also found in the historical name *Korasheni* in a 16th century records.

The root *kor-* is found in other parts of Georgia in the place names that are derived from personal names. In the Dusheti region there is a village of *Koraani*, and in the village of Zemo Osiauri of the Khashuri district the name of a well is *Koraant Tcha*.

Koratkhevi is a name of a former village in the outskirts of Tbilisi, which became desolate in 1952. Its phonetic variant is *Kvaratkhevi*.

Related to this former village of *Koratkhevi* are the following place names, as *Koratkhevis gza* (Koratkhevi Road), *Koratkhevis sasaplao* (Koratkhevi cemetery), *Koratkhevis tskaro*, / *Kvartkhevis tskaro* (Koratkhevi spring), *Koratkhevis khati* (icon), *Koratkhevis khevi* (valley); *Koro* is also attested as a first name, as in *Koros Qana* (Koro's field).

One meaning of the root *kor-* is related to plants as it is formed with a suffix *-nar*:

Thus, proper names of the root *kor-* origin in the Georgian place names are of homonymous origin: a number of which is related with personal names and the other with plants.

თეიმურაზ გვანცელაძე

ვახუშტი ბაგრატიონის ნათესავემეცხველება: ცნობები კავკასიულ ხალხთა და მათ ენათა შესახებ.

I. საქართველო

ვახუშტი ბაგრატიონს (1696-1757 წწ.) უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების დაფუძნებისა და განვითარების საქმეში. იგი პირველი ქართველი პროფესიონალი მეცნიერია, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართულ ისტორიოგრაფიას, წყაროთმცოდნეობას, ეთნოლოგია-ეთნოგრაფიას, გეოგრაფიას... მისი ფუნდამენტური ნაშრომი “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” (1745 წ.) და ამ ნაშრომს დართული გეოგრაფიული რუკები უნიკალური წყაროებია არა მარტო საქართველოს ისტორიის, ეთნოლოგია-ეთნოგრაფიისა და გეოგრაფიისათვის, არამედ მთლიანად კავკასიის კომპლექსური კვლევისთვისაც.

ვახუშტი ბაგრატიონს თავისი დროისათვის საუკეთესო განათლება ჰქონდა მიღებული და წარმატებითაც იყენებდა ამ ცოდნას თავისი სამშობლოსა და ერის სასიკეთოდ. მას ჩამოყალიბებული ჰქონდა მკაფიო კონცეფცია მემკვიდრისათვის სავალდებულო თვისებების, მატიანის დანიშნულება-ფუნქციებისა და აღსაწერი ფაქტებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

მეტად მნიშვნელოვანია ვახუშტის თვალსაზრისი მატიანის შემადგენელ შინაარსობრივ კომპონენტთა შესახებ: “არამედ ესე მატიანე განიყოფების ოთხწილად: ადგილის აღწერად, ნათესავმეტყუელებად, წლისმრიცხველობად და მოქმედების აღწერად, და ესეცა განიყოფების ორად — საეკლესიოდ და სამოქალაქოდ”. როგორც ვხედავთ, ვახუშტი მომხრე იყო მატიანის წერისას კომპლექსურობის პრინციპის დაცვისა. იგი ხედავდა, რომ ძველი მატიანეები ამ თვალსაზრისით ბოლომდე არ იცავდნენ ამ პრინციპს და მათში შედარებით მკრთალად იყო ასახული ქრონოგრაფია და ნათესავმეტყუელება (ეთნოგენეზისი და ერის შემადგენელ ჯგუფთა ეთნოლოგიურ-ეთნოგრაფიული დახასიათება). იგი წერდა: “ხოლო უკეთუ ჩუენ ქართველთა მატიანე შემოიპყრობს სამსა მას წილსა მატიანისასა, არამედ წლისმრიცხველობასა და ნათესავმეტყუელებასა მცირედ, ხოლო მოქმედების აღწერასა განავრცელებს, გარნა ამასაც ეკლესიის მატიანეს შეამოკლებს და სამოქალაქოსა მოგვითხრობს შესხმით და ვრცლად ადგილით ადგილად და ოდესმე შემოკლებით ნოედამ ვიდრე ბრწყინვალეს გიორგისამდე, ხოლო შრომა ჩუენი ამისთვის არს: ვინდათვან ორნი წილნი იგინი გამოუჩინელ არიან, რათა გამოვაცხადოთ, და მესამისა განვრცელებული შევამოკლოთ, რათა მკითხველთა არა საწყინოდ და ადრე საცნობელ იყოს” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 4).

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიმოვიხილავთ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ აღწერს, ნათესავმეტყველების თვალსაზრისით, ვახუშტი ბაგრატიონი საქართველოს მოსახლეობასა და ქვეყანაში გავრცელებულ ენებს.

ვახუშტისეული ტერმინი **“ნათესავმეტყველება”** წარმოადგენს ბერძნული **“ეთნოლოგია”** სახელის ქართულ კალკს: შდრ.: ბერძნ. **ეთნოს** “ხალხი, ერი; ტომი; თემი” და **ლოგოს** “სიტყვა; მოძღვრება”. ეს კალკირებული სახელი ვახუშტის თხზულებაში გამოყენებულია საკმაოდ ფართო მნიშვნელობით და გულისხმობს ერისა და მის შემადგენელ ეთნოგრაფიულ ჯგუფთა აღწერა-დახასიათებას ეთნოლოგიურ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. კერძოდ, ავტორი აგვიღწერს მოცემული ეთნოსის წარმომავლობასა და მიმართებას სხვა ეთნოსებთან (ეთნოგენეზის), ეთნოსის განსახლების გეოგრაფიას, რელიგიასა და რწმენა-წარმოდგენებს, სოციალურ სტრუქტურას, ფიზიკურ (ანთროპოლოგიურ) მახასიათებლებს, ზნე-ჩვეულებებს, მოკლედ უთითებს ცნობებს სამეტყველო ენის შესახებ და ა.შ.

ბუნებრივია, რაკი ვახუშტის თხზულება მიზნად ისახავდა საქართველოს წარსულისა და აწმყოს კომპლექსურ აღწერას, ამ ძალზე ვრცელი წიგნის ნათესავმეტყველებითი ნაწილებიც სწორედ ქართველი ერისა და მის განუყოფელ ეთნოგრაფიულ ჯგუფთა დახასიათებას ეძღვნება, მაგრამ ავტორი საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს უთმობს საქართველოში მოსახლე დიასპორების ისტორიასა და ნათესავმეტყველებითი თვალსაზრისით აღწერა-დახასიათებასაც, რაშიც ზოგჯერ მეტ-ნაკლები ყურადღება ენობრივ მხარესაც ექცევა.

კავკასიოლოგიური თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ვახუშტი მთლიანად და უკრიტიკოდ იზიარებს ლეონტი მროველის კონცეფციას კავკასიელ ხალხთა საერთო გენეტიკური წარმოშობის შესახებ და იმეორებს ლეონტის ცნობებს მათი განსახლების არეალის საკითხზე.

ვახუშტი ასახელებს თარგამოსის შთამომავალ კავკასიელ ეთნოსთა რვავე ეთნარქეონიმს: ჰაოსს, ქართლოსს, ეგროსს, ბარდოსს, მოვაკანს, ჰეროსს, ლეკოსსა და კავკასოსს (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 14). ლეონტისეულ და ვახუშტისეულ ჩამონათვალში სპეციალისტები სავსებით სამართლიანად ხედავენ იბერიულ-კავკასიური წარმოშობის ხალხთა გენეტიკური ერთიანობის ასახვას და ამ მხრივ დაბრკოლებას არ ქმნის თარგამოსიანთა შორის ჰაოსის (სომეხთა წინაპრის) მოხსენიება, ვინაიდან ლეონტი მროველისთვისაც და მისი იდეური მემკვიდრე ვახუშტი ბაგრატიონისთვისაც ჰაოსის შთამომავალი სომეხებიც (ჰაიკებიც) ქართველთა მონათესავენი, ანუ იბერიულ-კავკასიური მოდგმისანი იყვნენ, ხოლო მათი ენა ქართულის მონათესავე იყო — ჰაოსის შთამომავლებში იგულისხმებიან ურარტუს სამეფოს დაცემამდე კავკასიის სამხრეთ ნაწილში მოსახლე ურარტუელები და მათი ენა, რომლებსაც გვიან შეერივნენ ინდოევროპული წარმოშობის სომეხურ (არმენულ) ენაზე მეტყველი არმენები (ლეონტი მროველის ამ მოსაზრების შესახებ ვრცლად იხ.: რ. გორდუზიანი, 1993).

გვ. 47; ა. ჯაფარიძე, 1994, გვ. 72; მ. სანაძე, 2001, გვ. 166-167; ტ. უშტკარაძე, 2005, გვ. 203-205).

თარგამოსიანთა ეთნარქ-ეპონიმების სამემკვიდრეო ტერიტორიათა აღწერისას ვახუშტი, ლეონტი მროველის მსგავსად, ცალკე არ ასახელებს ამჟამინდელ აფხაზთა ეთნარქ-ეპონიმს, რაც ფრიალ საყურადღებოა თანამედროვე აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის თვალსაზრისით. თუკი ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრები მუდამ სახლობდნენ ამ მიწაზე, მაშინ მოსალოდნელი იყო, ეს ფაქტი არ გამოჩნებოდათ არც ლეონტისა და არც ვახუშტის. მათ ცნობებში კი დასავლეთ საქართველო ლიხის ქედიდან შავ ზღვამდე და კავკასიონის ქედიდან ლაღოს მთამდე დასავლელ ქართველთა წინაპარი ეგროსის წილად მოიხსენიება: “ხოლო ეგროსის წილი არს: აღმოსავლით მთა მცირე ლიხისა, სამკრით მთა ლაღოსი, ჩდილოთ კავკასი, დასავლით შავი ზღუა ანუ პონტოსი” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 49). ეგროსის სამემკვიდროს თავის მხრივ უშუალოდ ესაზღვრებოდა კავკასოსის სამფლობელო, რომელიც მოიცავდა კავკასიონის ქედის გადაღმა მდებარე მიწა-წყალს მდინარე თერგის მარცხენა ნაპირიდან შავ ზღვამდე: “ხოლო კავკასოს წილი არს: კავკასიის მთის ჩრდილოდ კერძი, ლეკანის საზღვრიდამ ვიდრე ზღუადმდე პონტოსი ანუ შავისა” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 49).

ლეონტისა და ვახუშტის ამ ცნობებთან პირდაპირი კავშირი აქვს იმ ფაქტს, რომ ამჟამინდელი აფხაზები (თვითსახელწოდება: აფსუა) ენობრივი და გენეტიკური თვალსაზრისით ყველაზე ახლოს დგანან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური ჯგუფის ეთნოსებთან: აბაზეთთან, ადიღელებთან, ყაბარდოელებთან და აწ უკვე გამჭრალ უბიხებთან, რომელთაგან არცერთის თავდაპირველი ბინადრობა დასავლეთ საქართველოს მიწაზე არ დასტურდება რომელიმე სანდო წერილობითი წყაროს მონაცემებით (ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ზოგი მეცნიერის ჰიპოთეზა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველებამდე აფხაზურ-ადიღური მოდგმის მოსახლეობის ბინადრობის შესახებ, რომელიც ზოგი გეოგრაფიული სახელის დაუსაბუთებელ “ეტიმოლოგიზებას” ემყარება. ამ ჰიპოთეზის ანალიზისათვის იხ.: თ. გვანცელაძე, 2008, გვ. 3-21). აფხაზები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური ჯგუფის **ერთადერთი ეთნოსია**, რომელიც კავკასიონის ქედის **გადმოღმა** ცხოვრობს, რაც სხვა გარემოებებთან ერთად გვაფარაულებინებს, რომ მათი წინაპრები თავიდან ბინადრობდნენ სწორედ ჩრდილოეთ კავკასიის იმ ტერიტორიაზე, რომელიც კავკასოსის წილად აქვთ დასახლებული ლეონტი მროველსა და ვახუშტი ბაგრატიონს (ვრცლად იხ. კრებ.: ნარკვევები, 2007).

საყურადღებოა, რომ ვახუშტი თანამედროვე აფხაზეთის მთელ ტერიტორიას არ უწოდებს აფხაზეთს. იგი ამ მიწაზე განათავსებს 2 ერთეულს: ჭიქეთსა და აფხაზეთს ოდიშის ნაწილთან ერთად (ჭიქების სახელით გვიან შუა საუკუნეებში აფხაზთა ერთ-ერთ ჯგუფი აღინიშნებოდა).

ჭიქეთის საზღვრები მოიცავს ტერიტორიას მდინარე ბზიფის (კაპეტის წყლის) მარჯვენა, ჩრდილო-დასავლეთისაკენ: “ხოლო ამ აფხაზეთს იქით, კაპეტის წყლის დასავლეთს, ბაგრატიონთ ჟამს აქეთ უწოდებენ ჭიქეთს,

არამედ გორგასლის ცხორება უწოდებს ჯიქეთს ამ ჯიქეთის ჩდილოთ კერძოს, კავკასის მთის იქითს კერძს ზღუამდე. და ამ აწინდელს ჯიქეთს მზღვრის: აღმოსავლით კაპპეტის წყალი; დასავლით შავი ზღუა; სამხ. ა. იგივე ზღუა; ჩდილოთ კავკასი” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 786).

ამ ცნობაში ფრიად საყურადღებოა ვახუშტის მითითება, რომ ჯიქეთი ახლანდელი აფხაზეთის მიწის ნაწილს (დღევანდელი გაგრის რაიონსა და სოჭი-აღღერის მიდამოებს) იმთავითვე კი არ ეწოდებოდა; არამედ მხოლოდ ბაგრატიონთა საგვარეულოს გამეფების დროიდან დარქმევია, მანამდე კი ჯიქეთი კავკასიონის გადაღმა არსებულა. ეს ცნობა კიდევ ერთი სარწმუნო საბუთია იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ **აფხაზეთა (აფსუთა) წინაპრების თავდაპირველი საცხოვრისი მართლაც კავკასიონის გადაღმა არსებულა და ისინი გვიან მოხულან ამ მიწაზე.**

ამავე მოსაზრებას ეხმარება ვახუშტის ცნობა საკუთრივ აფხაზეთის ისტორიული წარსულისა და საზღვრების შესახებ: “ხოლო ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინაფთჳან წილი ეგროსისა არს ზღუამდე, მის გამო ეწოდა ეგრივე. არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი. გარნა უმეტეს საგონებელ არს, ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა სახელი ესე. ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით ანაკოფიის დასავლეთით მთა მცირე, კავკასიიდან ჩამოსული ზღუამდე; დასავლით ზღუა და კაპპეტის მდინარე. არამედ სხუანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღუამდე; ჩდილოთ მზღვრის მთა კავკასი, სამკრით ზღუა შავი. სიგრძე ამისი არს ანაკოფიიდან კაპპეტის მდინარემდე ანუ ზღუამდე; განი ზღვდამ კავკასის თხემამდე” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 783-784). შტრ.: ოდიშის საზღვრები, რომელთა შესახებ ვახუშტი გვამცნობს:

“ხოლო საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი, და ხაზი ისულეთამდე, მერმე თაკუერსა და ოდიშს შორისი მთა, კავკასიდან ჩამოსული სამკრით და კულად თაკუერიდამვე წარსრული კავკასი ჩდილოთ, ვიდრე ეგროსის სათავემდე, ოდიშსა და სუანეთს შორისი; სამკრით მდინარე რიონი, გურია-ოდიშს შორისი, და კულად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთი შავი ზღუა; დასავლით ზღუა შავივე და კულად ანაკოფიის მცირე მთა. კავკასიდან ჩამოსული სამკრით ზღუამდე; ჩდილოთ კავკასის მთა”.

ამ ცნობათა მიხედვით, საკუთრივ აფხაზეთი XVIII საუკუნეში, ან მის წინა პერიოდში მოიცავდა ახლანდელი აფხაზეთის ერთ მცირე ნაწილს — მდინარე ბზიფიდან (კაპპეტის მდინარიდან) ახალ ათონამდე (ანაკოფიამდე), რომელიც თავდაპირველად ეგროსის წილი და ეგრის (ეგურისს//ეგროსისს) სახელით ცნობილი ტერიტორიის ნაწილი ყოფილა; ალექსანდრე მაკედონელის დროს მისთვის ბერძენებს უწოდებიათ აბასა, ქართველებს კი აფხაზეთი დაურქმევიათ. აქ ვახუშტი ადასტურებს, რომ ახლანდელი აფხაზეთის ეს ნაწილიც, ჯიქეთის მსგავსად, თავდაპირველად ქართული მიწა ყოფილა, რაც მთლიანად ეხმარება სხვადასხვა ენაზე არსებული წერილობითი და კარტოგრაფიული წყაროების მონაცემებს (ვრცლად იხ.: ნარკვევები, 2007).

ასევე სრულიად სანდოა და სხვა წყაროებს ეთანხმება ვახუშტის ცნობა იმის შესახებ, რომ დასავლეთ საქართველოს თავდაპირველად, ირანში ხოსროიან მეფეთა დინასტიის ბატონობის დასასრულამდე ეგრისი რქმევია და შემდგომ, ლეონ ერისთავის გამეფებიდან, დარქმევია აფხაზეთი, მოგვიანებით კი, ბაგრატ III-ის გამეფების დროიდან — იმერეთი (ტერმინ “იმერეთს” ვახუშტი მისი თავდაპირველი სემანტიკით, ტერმინ “ამერეთის” ანტონიმად იყენებს). აქ საყურადღებო ის მომენტიცაა, რომ ვახუშტი დასავლეთ საქართველოს სახელწოდებად ტერმინ “აფხაზეთის” დანერგვის დროდ ლეონ ერისთავის მიერ “აფხაზეთის სამეფოს” შექმნის პერიოდს, ანუ VIII-IX საუკუნეთა მიჯნას კი არა, არამედ XI საუკუნეს ასახელებს. იგი დასავლეთ საქართველოს შესახებ წერს:

“ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად ეგრისი, მეორედ ა ფ ხ ა ზ ე თ ი, მესამედ ი მ ე რ ე თ ი. რამეთუ ე გ რ ი ს ი ეწოდების ეგროსის გამო, ძისა თარგამოსისა, რომელსა ძმათა შორის თვსთა ზუდა წილად ქუეყანა ესე, და იწოდებოდა სახელითა ამით, ვიდრე ხოსროვანთ გარდავლინებამდე. ხოლო ა ფ ხ ა ზ ე თ ი — ლევანის გამო, რომელი, შემდგომად პირველის ლეონისა, მეორე ლეონ ერისთაობდა აფხაზეთს ქრისტესსა ღმერთსა, ქართულსა ე. ესე ლეონ, შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვალებისა, გამეფდა და დაიპყრა სრულიად ეგრისი, და ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თვსსა, და მოიღო საერისთოსა თვსისა სახელი ეგრისსა ზედა. არამედ ი მ ე რ ე თ ი — ბაგრატიონთა მიერ, რამეთუ, რაჟამს დაიპყრეს სრულიად აფხაზეთი და ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს ამერეთი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი, უმეტესად შეერთებისათვის, და აწცა საზოგადოდ უწოდებენ იმერეთსა” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 742).

აფხაზთა ნათესავმეტყველებით დახასიათებაში ვახუშტი ხაზს უსვამს მათ ანთროპოლოგიურ მსგავსებას მეგრელებთან, რელიგიურ სინკრეტიზმს (ეგრპათაყვანისმცემლობის შეთავსებას ქრისტიანობასთან), მეკობრეობას, ნათესავთა პატივისცემას, ცოლქმრობის ინსტიტუტის სიწმინდეს, სტუმართმოყვარეობას, პატრონის ერთგულებას. ასევე ხაზგასმით აღინიშნება ისიც, რომ აფხაზთა დედაენა განსხვავდება ქართული ენისაგან, მაგრამ წარჩინებულნი ფლობენ ქართულ სამწიგნობრო ენასაც.

ამ კონტექსტში საყურადღებოა ისიც, რომ ავტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ მაშინდელ აფხაზთა ნაწილს შეეძლო მეგრულად ლაპარაკი. ვფიქრობთ, მეგრულის მოუხსენიებლობა უნდა ადასტურებდეს იმას, რომ ვახუშტის მეგრული მეტყველება ქართული სამწიგნობრო ენის ნაწილად, მის “მერყვნილ” ტერიტორიულ ვარიანტად მიაჩნდა, რასაც ადასტურებს შემდეგი ცნობა მისი თხზულებიდან:

“ენით არიან -- დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არამედ აქუსთ თვსიცა ენა, გარნა წამკლარი ქართულივე, ვითარცა: ღმერთი — ლორთი, ჩემი — ჩქიმი. და აქუსთ ქვიანი ქართულივე და არა სხუა” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 783).

ამ უკანასკნელ ცნობაში ტერმინი “ენა” გამოყენებულია დიალექტის, კილოს, ენის ტერიტორიული ვარიანტის მნიშვნელობით, რასაც ადასტურებს “ქართულივე” სიტყვაფორმაში იგივეობის აღმნიშვნელი **-ვე** ნაწილაკის გამოყენება: “აქუსთ თვსიცა ენა, გარნა წამკლარი **ქართულივე**”.

ჩქიქთა აღწერისას ვახუშტი ხაზს უსვამს აფხაზთა და ჩქიქთა ცხოვრებ წესისა და ქცევის ნორმების მსგავსებას, მათი სამოსლისა და იარაღ იდენტობას, ერთი მხრივ, ჩერქეზებისა და, მეორე მხრივ, დასავლეთ ქართველთა ჩაცმულობასთან, იარაღთან და ქცევასთან: “და არს აღგიღესე ყოვლითურთ აფხაზეთისა: მოსავლით და ცხოვლით, წესით და ქცევითა არამედ კაცი უმეტეს მკვეთ მგზავსნი. ყოფილან პირველად ქრისტიანნი არამედ აწ უცნობელნი მისნი. გარნა იუწყე აფხაზთა და ჩქიქთა სამოსელნი და იარაღნი, და საჭურველნი, ვითარცა ჩერქესთანი, რომელთა ზნე უამად იმერნიცა ვმარობენ” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 786-787).

აღმოსავლეთ საქართველოს აღწერისას ვახუშტი საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმის შესახებ, რომ ქვემო ქართლში წარმოდგენილი მოსახლეობა ეთნიკურად ქართველია, მაგრამ მათი ნაწილი სარწმუნოებით განსხვავდნენ დანარჩენ ქართველთაგან, რაკილა აღიარებენ სომხურ გრიგორიანობას მაგალითად, სომხეთის აღწერა მთავრდება ცნობით: “ამ აღგიღოთა ში მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართულსა სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 312); ტაშირის აღწერაში ვკითხულობთ: “მსახლობელნი არს სარწმუნოებით სომეხნი. არამედ სამწყსონი არიან დბანისისა და მოსილთა არიან ბინძურად და გაზეთილნი, გრძელჩოხიანნი, ავეფერ-უშუერად, გარს არიან ჰაეროვანნი და ტანოვანნი, შეძმლენი, ლაშქრობათა ში გამოუცდელნი, უკმარნი” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 313); აბოცხ მოსახლეობის შესახებ ავტორი წერს: “სარწმუნოებით იყვნენ სომეხნი კაცი ჰაეროვანნი და ტანოვანნი, არამედ უშუერად მოსილნი, ვითარ ტაშირელნი, გარნა ბრძოლასა გამოსადეგნი...” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 314); დბანისის კევის აღწერაში ჩართულია ცნობა: “...არამედ სარწმუნოებით უმეტესნი ქართველთანი” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 315). აქ იგულისხმება, რომ დბანისელთა უმრავლესობა მართლმადიდებელ უმცირესობა კი — ქართველი გრიგორიანი. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში ვახუშტი არ იცნობს ეთნიკურ სომეხთა კომპაქტურ დასახლებებს. სამაგიეროდ, იგი გვისახელებს ზოგ ადგილას ჩამოსახლებულ მაჰმადიან ელებს, რომლებიც მნიშვნელოვან წილს არ ქმნიან აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაში.

მაჰმადიან ელთა დახასიათებისას ვახუშტი უპირატესად ყურადღება რელიგიურ მომენტს, მესაქონლეობას, ქართველი მეფეებისადმი ერთგულებას და მხნე მებრძოლობას აქცევს, მაგრამ არაფერს ამბობს მათი ენის შესახებ, თუმცა თავისთავად იგულისხმება, რომ ისინი სხვაენოვანნი არიან. მაგალითად, მდინარე ხრამის (ქციის) ხეობის აღწერაში ჩართულია ცნობა: “ნაჰიდურს ქუეით, ქციის ამიერ და იმიერ კიდესა, სახლობილნი მოჰმადიანნი, მოხარკენი და მოლაშკრენი მეფისა...” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 323-324); ალგეთის ხეობის აღწერისას ავტორი წერს: “ხოლო ალგეთის შესართავის ჩდილოდ, იაღლუჯამდე, მტკურის პირს, სახლობილნი მოჰმადიანნი... მოხარკენი არიან მეფისა, საცენი ყოვლითა პირუტყუნი” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 328); ბოსტანქალაქისა (ამჟამინდელი ქალაქ არუსთავისა) და გარეჯის აღწერაში ჩართულია ცნობა: “ყარაიის ქალაქს

ეით, მტკურის კიდეს, ესახლნენ ელნი დემურჩიასალნუ, სავსენი რუტყუთა..." იგივე აღწერა მთავრდება კიდევ ერთი ცნობით: "ხოლო ათარნი, რომელნიცა დავსწერინით, არიან სუნნი, ქცევითა ვითარცა ენის პირუტყუთა მწყემსთა, გარნა მვნენი, შემმართველნი, ახოვანნი, ეროვანნი; უწოდებენ თარაქამად, ვინაფთვან ბრიყუნი, უცოდინარნი იან, ქალნიცა ეგრეთნივე, არამედ მოშავვკრემანონი, მვნენი და მბრძოლნი ეროს კაცთა, ცხენითა თუ ქუეითად" (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 332); რალაჯისა და ქისიყის აღწერაში ჩართულია ცნობა: "და არს ესე ნადირო კეთილი. გარნა ყოფილ არსცა ძუელად შენობა დაბნებთა, ამედ შემდგომად ბერქას გამოსვლისა ოკერ არს. კულად ყოფილ არს ხაზნის მოსაბრუნთა შინა ძუელად შენობა ქრისტეანეთა, და შემდგომად სხნეს ელნი, და უმეტეს ხანთა — ელი ფადარი, დიდი, მრავალი. გარნა ქცა აჰყარა შანადირ იორის-პირის ელითურთ" (ვ. ბაგრატიონი, 1973, 541).

XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან ამ მაჰმადიანი მოსახლეობის წილის შთამომავალთ საბჭოური ეთნოფაბრიკაციული პოლიტიკის ნიადაგზე ერბაიჯანელები ეწოდა, რაც არ არის ისტორიულად გამართლებული.

სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავდა მიწა-წყალს ჩოლიდან ქართლის ყელამდე, ბაიბურდამდე და ჭანეთამდე, აგრეთვე არის ჩათვლით შავ ზღვამდე, ვახუშტის ცნობით, არ არსებობდა ენოტომელთა კომპაქტური დასახლებანი. აქაურთა ნათესავმეტყველებითი ხასიათება ასეთია:

"ხოლო კაცნი და ქალნი არიან მზგავსნი ქართველთანი, არამედ ეტეს ნელიად და ენა-ტკილადა მოუბარნი, ტანოვანნი, მვნენი, მმართველნი, შუენიერნი, ცოდნა-ველოვნების მოყუარენი, არამედ აწ, მადიანობის გამო, არლარა. სარწმუნოებით იყვნენ წლისამდე ქრისტესა ე, ქართულისა ტიდამდე სრულიად ქრისტეანენი ქართველთა თანა და წყსონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი იან მოჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტეანენი, არამედ კლარჯეთს გლეხნიცა ეტესნი მოჰმადიანნი; გარნა ვინანიცა არიან ქრისტეანენი, ივინიცა წყსელნი არიან, ვინაფთვან არლარა რაისა მორჩილებენ ქართლის ალიკოზსა, და ბერძენთა არა სცალს მათთჳს. ამისთჳს უეფისკოპოზონი უხუცონი არიან, თვნიერ რომელნიმე ქართლს იკურთხიან. ენა საკუთრად ესთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა ია უბნობენ აწ თათრულსა და თჳსთა სახლებთა ანუ ურთიერთის ობრობათა შინა იტყუან ქართულსავე. სამოსლით მოსილნი არიან იჩინებულნი და მოჰმადიანნი ვითარცა ოსმალნი და ქრისტეანენი თარცა ბერძენნი, ხოლო ჯავახეთისანი და ვიეთნიმე მესხნიცა, ვითარცა იალელნი. და გულისსჳმა ჰყავ ეგრეთვე ქალნიცა მათნი" (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 660-661).

როგორც ვხედავთ, ამ დახასიათებაში წამყვანი ადგილი უჭირავს კონსტატირებას, რომ სამცხე-საათაბაგოს მკვიდრნი იგივე ქართველები იან, მაგრამ, უამთა სიავის გამო, მათ დიდ ნაწილს მიღებული აქვს ჰადიანობა და წარჩინებულთა შორის ფეხი მოუკიდებია თათრულ

(ოსმალურ-თურქულ) ენას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვახუშტი, ძველქართულ ტრადიციის თანახმად, ქართველად მიიჩნევს იმას, ვისთვისაც ქართულ დედაენაა, თუმც, უამთა სიავის მიზეზით, შეიძლება, სხვა ენაზე ლაპარაკობდეს (მ. ტაბიძე, 2005, გვ. 23-26), ხოლო ზნე-ქცევას, ჩაცმულობას და რელიგიას ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს მაგალითად, ისპირის (ისტორიული სპერის) მოსახლეობას ავტორი ქართველებად მიიჩნევს, თუმცა იმის აღნიშვნაც არ ავიწყდება, რომ ისინი უკვე მთლიანად მაჰმადიანნი არიან და ოსმალთა ზნეც შეუთვისებიათ: “კაცნი იუწყე მზავსნი სამცხისანი, და აწ მოჰმადიანნი სრულიად, ენი ქართულითა და ზნითა ოსმალთათა” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 686, თორთომის მოსახლეობის აღწერისას ვახუშტი ქართულ-თურქულ ორენოვნებაზეც მიუთითებს, მაგრამ თორთომელები მას მაინც ქართველებად მიაჩნია: “კაცნი ვითარცა მესხნი, და აწ სრულიად მოჰმადიანნი, ენი ქართულითავე, არამედ უზნობენ თურქულსა” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 687). ჭანეთის აღწერა კი იმითაა თავისებური, რომ ვახუშტი ხაზს უსვამს უეჭველად ქართველი ერის განუყოფელ ნაწილად მოაზრებულს ჭანთა უმრავლესობის მიერ სამწიგნობრო ქართულისა და ზეპირი ქართულ კოინეს უცოდინრობას: “კაცნი არიან ჯელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა, და სარწმუნოებით აწ სრულიად მოჰმადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიპოვებიან ქრისტიანენი, არამე იციან კულად ქართული ენა ვიეთთამე” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 690).

ასევე მნიშვნელოვანია ისტორიული ჰერეთის ნაწილის, კაკ-ელისენი აღწერისას მოწოდებული ცნობა ფიფინეთში ლეკთა ჩამოსახლების შესახებ: “ხოლო მთის ძირს არს ფ ი ფ ი ნ ე თ ი, სად დასხნა მეფემან ლეკ-ლეკნი, რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიიდან ყინული, და იყო არჩილამცავერეთ. შემდგომად იწოდა ჭ ა რ ი...” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 539) ამ ცნობის მიხედვით, ნათელი ხდება, რომ ლეკთა ჩამოსახლება ახლანდელ საინგილოს მიწაზე კახთა ზოგი მეფის არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკის შედეგად დაწყებულა, რაც შემდგომში ამ მიწაზე ლეკთა და აზერბაიჯანელთა მომრავლებით, 1921 წელს კი ამ ქართული რეგიონის საქართველოსაგან მოწყვეტით დასრულდა.

ვახუშტი ბაგრატიონმა შესანიშნავად იცის ქართველი ერი განუყოფელი ნაწილის, თუშების ორივე ქვეჯგუფის — ჩალმათუშებისა და წოვათუშების ქართული წარმოშობის შესახებ. განსხვავებით ზოგი ჩვეულებრივ თანამედროვე მეცნიერისაგან, მას წოვათუშები სულაც არ მიაჩნია ნახურს წარმოშობისად და ამ შემთხვევაში რელევანტურ ნიშნად არ თვლი ამჟამად ბაცბურ ენად სახელდებული წოვათუშური მეტყველების არსებობას ფაქტს. კავკასიონის ქედის გადაღმა მდებარე ამ მხარის აღწერისას ვახუშტი მიუთითებს, რომ თუშეთი თავიდან ლეკოსის წილი იყო და შემდგომ გახდა ქართველი მეფეების სამფლობელო (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 552), რაც ლოგიკურად თავსდება კავკასიელ ხალხთა წარმოშობის და განსახლების ლეონტი მროველისეული კონცეფციის ჩარჩოებში, რადგან ამ კონცეფციის მიხედვით, ქართლოსის, ჰეროსისა და ლეკოსის წილი

წათა გამმიჯნავი ბუნებრივი ზღუდე ავკასიონის ქედი ყოფილა. ღმათუშებს ვახუშტი სარწმუნოებითა და ენით ქართველებს უწოდებს ხოლო სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართულითა” — ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 554), ხოლო ფარსმანის ჳევის (ამჟამინდელი ფარსმის თემის) კხოვრებთა შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს: “გარნა ფარსმანის ჳევისანი რწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი” (ვ. ბაგრატიონი, 1973, გვ. 555). ამ ცნობათა გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ ხუშტის წოვათუშები წარმოშობით ნახური მოდგმის “ეთნოსად” კი არ აჩნდა, როგორც დღეს ფიქრობს ზოგი მკვლევარი, არამედ ქართველი ენის განუყოფელ ნაწილად, რომელთა წინაპრებს გადაულახავთ ავკასიონის დი, დასახლებულან ლეკოსის წილ მიწაზე და ამჟამინდელ ჩეჩენთა წინაპრების მეზობლობაში შეუთვისებიათ ნახური მეტყველება. ე.ი. ივათუშური მეტყველება სუბსტრატი კი არ არის, არამედ სუპერსტრატი დაფენილია ქართულ ენაზე.

რაც შეეხება იმდროინდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოსების ბლობას, ვახუშტისა და სხვა ავტორთა ცნობები მათ მიერ იმიერავკასიის რამალებიდან ჳერ დვალეთში შემოსვლის, შემდეგ კი ჩრდილოეთ ავკასიიდან სამხრეთით გადმონაცვლების შესახებ დამაჯერებლად აქვს ხნალიზებული ეთნოლოგ რ. თოფჩიშვილს (რ. თოფჩიშვილი, 2008), ხტომ ამ საკითხს აქ აღარ განვიხილავთ.

დამოწმებული ლიტერატურა

- ვ. ბაგრატიონი, 1973 — ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი უშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა რითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
- თ. გვანცელაძე, 2008 — თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ეთნიკური ტორიის ლინგვისტური საფუძვლები, ძირითადი პრობლემები, თბ., 2008.
- რ. გორდეზიანი, 1993 — რ. გორდეზიანი, ქართული თვითშეგნების ოყალიბების პრობლემა, თბ., 1993.
- რ. თოფჩიშვილი, 2008 — რ. თოფჩიშვილი, ოსთა წინაპარი ანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბ., 2008.
- ნარკვევები, 2007 — ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი. ელესი დროიდან დღემდე, თბ., 2007.
- მ. სანაძე, 2001 — მ. სანაძე, “ქართლის ცხოვრება” და საქართველოს ტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე). თბ., 2001.
- მ. ტაბიძე, 2005 — მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005.
- ტ. ფუტყარაძე, 2005 — ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ნაწილი I. ისტანობამდელი ეპოქა, ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები, აისი, 2005.
- ა. ჳაფარიძე, 1994 — ა. ჳაფარიძე, ქართველთა წინაპრების ბიბლიური ორია აღამიდან იესომდე, თბ., 1994.

TEIMURAZ GVANTSELADZE**VAKHUSHTI BAGRATIONI'S INFORMATION ON THE CAUCASIAN PEOPLES AND THEIR LANGUAGES**

Vakhushti Bagrationi (1696-1757) is the author of a fundamental book "Description of the Kingdom of Georgia" (1745), which is a unique work about Georgia, its history, geography, and the ethnology of the Caucasus. The book represents noteworthy information not only about Georgia, but about the history of the territory, ethnologic peculiarities, religious and languages of other ethnic groups living in Georgia and its neighboring countries.

The present paper discusses the issue of the importance of Vakhushti Bagrationi's information on Georgia for scientific researches of ethnical, religious and language situations.

The analytical text contains information, which has a crucial importance for establishing the history of settling Abkhazians, Armenians, nomadic Moslem tribes, and Ossetians on the territory of Georgia. E.g.: the author's information about the present-day Abkhazians supports the viewpoint, according to which Abkhazians first lived in the North Caucasus and they came later on the land of present-day Abkhazia. Armenians and the tribes of Turkish origin did not live compactly in the East Georgia by the 17th-18th cc. and others.

თამარ გოგოლაძე

ალექსანდრე ხახანაშვილი – ქართველოლოგი

XIX საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეები, რომლებმაც მიზნად ისახეს ქართველი ერის წმინდა ტრადიციის (ენა, მამული, სარწმუნოება) დაცვას და განვითარებისათვის ბრძოლა, აქტიურად იღვწიან მისი სადა და კულტურის კვლევა-შესწავლისათვის. ამ მხრივ დიდია ღვაწლი იოანე სოსოვიძის ალექსანდრე ხახანაშვილისა (1864-1911).

ა. ხახანაშვილის წინაპრების ერთი ნაწილი XIX საუკუნეში ქართლში დამკვიდრებულა. ისინი წარმოშობით გლეხები ყოფილან. ალექსანდრეს მამა, სოლომონი, მღვდელი იყო, ტფილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, გორის სამაზრო სასწავლებლის პედაგოგი, 41 წლიდან კი გორის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დეკანოზი.

დედა – ანა ღვთისაგარის ასული ნებალაძე, სილაამაზითა და ხელოვნებით განთქმული ქალი იყო. ა. ხახანაშვილის და-ძმა ადრე დაიბადებოდა, ასევე – მშობლებიც და პატარა ალექსანდრე ნათესავეების ზრუნვლობის ქვეშ დარჩა.

ა. ხახანაშვილმა ჯერ გორის საქალაქო სასწავლებელში მიიღო განათლება, შემდეგ თბილისში გადავიდა და ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში გააგრძელა სწავლა. სწორედ გიმნაზიის კედლებში ჩამოყალიბდა ა. ხახანაშვილი, როგორც მომავალში საქართველოს ისტორიისა და ქართული მეცნიერების მოყვარული.

სასწავლებელი მან 1883 წელს წარჩინებით, ოქროს მედალზე დასრულა და იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1887 წელს ა. ხახანაშვილმა პედაგოგთა მოსკოვში წარუდგინა სადიპლომო ნაშრომი “ბიზანტიის სახელმწიფო და მისი ეკლესია კომუნების ეპოქაში”, რომელმაც პროფესორ ვ. გერციხის რედაქციაში მიიბეჭდა. ხახანაშვილმა კანდიდატის ხარისხით დაასრულა მოსკოვში მისი სახელმწიფო ფაკულტეტი.

ა. ხახანაშვილი 1888 წლიდან იყო “მოსკოვის საიმპერატორო ფილოლოგიური საზოგადოების” წევრ-კორესპონდენტი, 1899 წლიდან კი სამედიცინო წევრი.

1907 წლიდან ა. ხახანაშვილი ახლადდაარსებული “საქართველოს ისტორიისა და საეთნოგრაფიო საზოგადოების” სამედიცინო წევრია, 1898 წლიდან ლაზარეანთ ინსტიტუტის სწავლული მდივანი; როგორც არტური ისტორიის წევრი: ყველაზე უფრო გამრჩე და პროდუქტიული ქართველი ისტორიკოსი თანამედროვეთა შორის... ყველა საკითხი, რომელსაც იგი ხელს უწყობდა, კარგ განმარტებასა და ახსნას პოულობდა” (შ. ბაღრიძე, 1968, 15).

სწორედ რომ ა. ხახანაშვილის ღვაწლით, ლაზარეანთ ინსტიტუტიცა ქართული მწერლობის შესწავლის ერთ-ერთი მძლავრ კერად.

ქართული ენისა და მწერლობის საკითხები რუსეთში ორ უმაღლესსაწავლებელში ისწავლებოდა — პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე და მოსკოვის ლაზარევის სახელობის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში. პეტერბურგის სამეცნიერო ცენტრს ნიკო მარი ედ სათავეში, მოსკოვისას კი — ალექსანდრე ხახანაშვილი.

ქართველოლოგიაში ამ დროისათვის ბევრი რამ იყო ჯერ კიდევ გასაკეთებელი, საჭირო იყო მრავალრიცხოვანი მეცნიერული კადრები მომზადება ქართველოლოგიაში, მისი გაცნობა მსოფლიოს მეცნიერულ სამყაროსათვის. და აი ამ საქმეს წარმატებით უძღვება პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილიც.

1900 წელს ა. ხახანაშვილის თაოსნობით მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა თხოვნით მიმართეს რექტორატს “დაეარსებინათ ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრა”. ამ მოთხოვნას მხარდაჭერაც მოჰყვა და უკვე 1901 წლიდან ქართულ ენასა და სიტყვიერებას კვირავთ ეთმობოდა ორი საათი. ლექციების კითხვა მიენდო ალექსანდრე ხახანაშვილს რომელმაც 1901 წლის 16 სექტემბერს წაიკითხა თავისი პირველი ლექცია.

ა. ხახანაშვილის ღვაწლს სათანადო მონოგრაფია მიუძღვნა პროფესორმა შოთა ბადრიძემ, რომლის წიგნიდანაც მოგვყავს მასალა ხახანაშვილის ბიოგრაფიიდან, მაგრამ მისი ქართველოლოგიურ საქმიანობიდან საკუთრივ რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალს ჩვენ წარმოგიდგენთ.

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ალექსანდრე ხახანაშვილის ცხოვრების მოღვაწეობის ან მისი ქართველოლოგიური ღვაწლის სრული კვლევა. ჩვენება, არამედ მხოლოდ ერთი მომენტის — გაზზე “კვალის” 1864 წლის რამდენიმე ნომერში დაბეჭდილი პუბლიკაციის საფუძველზე განვიხილავთ, რას ფიქრობდნენ ევროპის ცნობილი მეცნიერები ქართული ენის ურთიერთობის შესახებ სხვა ენებთან და რა პოზიცია ეკვირა მხრივ ქართველ მეცნიერს, ეთნოგრაფს, ისტორიკოსსა და საზოგადოებრივ მოღვაწეს ა. ხახანაშვილს ორიენტალისტთა X საერთაშორისო კონგრესს რომელიც ვენევაში გაიმართა. როგორც ცნობილია, ქართული ენა პრობლემით ევროპელი მეცნიერები ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებში დაინტერესდნენ; კერძოდ, ქართულს/ქართველურს აკავშირებდნენ ინდოევროპულთან, ურალურ-ალათაურთან... 1864 წელს ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ფრიდრიხ მიულერმა ნაშრომში “კავკასიურ ენათა ადგილი ენათმეცნიერებაში”, დასვა საკითხი, რომ კავკასიურ ენები, მსგავსად ბასკურისა, ევროპის დასავლეთში, წარმოადგენს გადმონაშთ უფრო დიდი ენათა ჯგუფის. ასეთ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც უფრო ადრე მოღვაწეობდა ქართველი მეცნიერი პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი და სადაც სწავლობდნენ ქართველი სამოციანელები ჩნდება დაინტერესება ფრიდრიხ მიულერის თეორიით და თავად ალექსანდრე ცაგარელი, გაიზიარებს რა მას, აყენებს საკითხს ქართული ენის არქიტექტურა ალდგენისათვის, ურომლისოდაც შეუძლებელია აღნიშნულის კვლევა; თქ

იმ ქართული ენა ენათესავენა მსოფლიოში არსებულ ენათა ოჯახებს, აზე მკვეთრად და სრული კატეგორიულობით იგი განაცხადებს ჰიენტალისტთა მეშვიდე ყრილობაზე ქ. ვენაში 1886 წელს. ფაქტობრივად იყო ქართველი მეცნიერის პირველი გამოსვლა ქართული ენის აგილის განსაზღვრისათვის მსოფლიო ენათა სისტემაში.

ვენის კონგრესიდან ორ წელიწადში, ჯერ კიდევ სტუდენტი ნიკორი გამოთქვამს თავის თვალსაზრისს ქართული ენის მსგავსების შესახებ მიტურ ენებთან (რასაც მოგვიანებით იგი უარყოფს კიდევ).

ამავდროულად მეცნიერებში დღის წესრიგში დგება წინა აზიისა შუამდინარეთის ძველ ენებთან იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის კითხვი (ეღუთარდ მაიერი, ფრ. ჰომელი).

მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი ფრიც ჰომელი აცხადებს: კირე აზია ოდესღაც თითქმის მთლიანად დასახლებული იყო იმ ხალხებით, მღლებიც ხეთებთან ერთად შეადგენდნენ ერთ მონათესავე ეთნიკურ უფს, ხალხთა ამ ალაროიდულ ჯგუფს ეკუთვნოდნენ: ა)ელამიტები და ხეები ბ) ძველი სომხეთის მკვიდრნი (ნამდვილი ალაროიდელები), ე.ი. ბარტუს (ბიბლიის მიხედვით — არარატის) მკვიდრნი, რომელთა ამომავლებადაც უნდა ჩავთვალოთ ქართველები” (შ. ძიძიგური, 1974, 239). ასეთ დროს რუსეთში პეტერბურგის უნივერსიტეტის მოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჯერ ალ. ცაგარელი, შემდგომ კო მარი ეწვევიან ფართო კვლევას ქართული ენის ადგილის საზღვრისათვის მსოფლიოს ენათა სისტემაში.

აღნიშნულ პერიოდშივე მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ლოლოგიურ ფაკულტეტს კანდიდატის ხარისხით ამთავრებს ქართველი ლგაზრდა ალექსანდრე ხახანაშვილი, რომელიც სულ მალე ეცნობა ია ოქრომჭედლოშვილს (1838-1898). ამ უკანასკნელს ეკავა ქართული ს კათედრის პროფესორის თანამდებობა მოსკოვის აღმოსავლური ბის ინსტიტუტში და ეძებდა კიდევ თავის შემცვლელს, რაზედაც წვია ა. ხახანაშვილი. აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის შემდეგ ხარვანთ, ანუ ლაზარევის ინსტიტუტი იყო ერთადერთი ცენტრი, აც მეცნიერულად ისწავლებოდა ქართული ენა და მწერლობა. აქ ა. ხანაშვილი 1889 წლიდან ასწავლიდა ქართული ენის გრამატიკას. ჯდროულად მუშაობს იგი ქართული სიტყვიერების ისტორიაში, კავკასიისა საქართველოს სხვადასხვა რეგიონების გარდა, მოგზაურობს პარიზში, ნლონში, ვატკიანში, პირადად ხვდება ფრიც ჰომელს, იცნობს და არებს ბარონ უსლარის მოსაზრებებს, აქვეყნებს წერილებს ქართულ ინალ-გაზეთებში.

XIX ს. 90-იანი წლებიდან ა. ხახანაშვილი სისტემატურად აწილეობს ისტორიკოსებისა და ორენტალისტების სამეცნიერო ლობებსა და კონგრესებში, რომლებიც იმართება რუსეთსა და ევროპის ნებში.

პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილის მონაწილეობას ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესზე ქენევაში მკვლევარნი (შ. ბადრიძე) ჰენელოვან მოვლენად თვლიან. ამაზე მოთავსებული იყო ვრცელი ილი გაზეთ “კვალში” 1894 წლის №42, №43, №44 ნ. ქ. ხელმოწერით.

აღნიშნული წერილისა და ავტორის ინიციალების დასადაგენად ქართულურნალ-გაზეთების ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში მოცემულია გაშიფვნი. უ. — ნოე უორდანი. აშკარაა, ა. ხახანაშვილთან ერთად, უორდანიც ესწრებოდა აღნიშნულ კონგრესს და აკეთებდა დაწვრილ ჩანაწერებს, რაც აისახა კიდევაც მის ვრცელ საინფორმაციო წერილში.

აღნიშნულ ინფორმაციამდე “კვალის” №35-ში იბეჭდება ხახანაშვილის პატარა წერილი “აზრი პროფ. ჰომმელისა ქართული შესახებ”. ა. ხახანაშვილი გამოთქვამს ღრმა გულისტკივილს იმის გამო, რომ “ქართული ენის მკოდნენი ანუ იბერისტები სრულებით მოიპოვებიანო”. გამონაკლისია ცნობილი ორიენტალისტი ჰომმელომელმაც მ. ბროსეს წიგნიდან შეისწავლაო ქართული და ზმნამდე ჩასულა. მას სწამსო, “რომ ქართულ ენას ნათესაობა აქვს ისეთ ენებ რომელნიც საუბედუროდ გამოკვლელნი არ არიან და მაშასადამე შეუძლებელიაო. პირად საუბარში პროფ. ჰომმელს გამოუკვეთავს ან რომ ქართულ ენას ნათესაობა აქვს ეტრუსკულ, ბასკურ, ელამიტ ჰიტიტურ ენებთანო. იგი აპირებს დაამტკიცოს ქართული ენის კავშირი ამ ენებთან. ამით “დავაპყარებ ალაროიდულ ოჯახობას ენისასო”. მ. ჰქონია პატარა წერილიც, სადაც იგი უპირისპირებს ქართულ მიდიურს, სულ ორ-სამ მაგალითზე აშენებული. პროფესორის აზრი და მაგალითებიც თვალსაჩინო არ არიან. პირველი ამის მაგალითიაო წერს ა. ხახანაშვილი, — ზმნა მიდიურად — ტურნა, ტურნაკი, ტურნასაც ადარებს ქართულს: ვარ, ხარ, არს?! დანარჩენი მაგალითები ხახანაშვილს უფრო დაშორებულად ჩაუთვლია ჰემმარიტების ძიების (აქვე იგი ასახელებს ჰომმელის წერილს “Oesterraichen Monatschrift fur Orient”, რომელშიც მიმოხილულია ა. დელატრის წიგნი “Le peuple empire des Medes jusqu'a la fin du regne de Caxers”).

ამჟამად, ა. ხახანაშვილი ცდილობს, გაითვალისწინოს რა ჰომმელის ავტორიტეტი, ამავდროულად მიანიშნოს ჰემმარიტად მეცნიერ კვლევის ჩატარების აუცილებლობაზე, რაც შეუძლებელია თავად კვლამდობის, ქართული ენის, საფუძვლიანი შესწავლის გარეშე. ამას ავითარ იგი მოგვიანებით თავის პირველ ლექციაზეც მოსკოვის უნივერსიტეტისტორია-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე 1901 წლის 16 სექტემბერს, სადა მას მოკლედ მიმოუხილავს ქართული ენის შესწავლის საერთო მდგომარეობა და აღუნიშნავს ის ფაქტი, რომ დღემდე ქართული ენის ბუნებრივი მეცნიერებისათვის გამოცანას წარმოადგენსო:

“ამ შეუსწავლელობის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ქართული ენის დაინტერესებული ევროპელი მკვლევრები (მაგ.: ბროსე, ბიურნუფი, მიულერ) ან არ იცნობდნენ ქართულ ენას, რომ მისთვის ნამდვილი ადგილი მოენახათ ლინგვისტიკაში, ან თუ იცნობდნენ (როგორც მაგ.: მ. საუკუნის მისიონერები) ლინგვისტიკაში სუსტნი იყვნენო” (შ. ბადრი 1968, გვ.17). მხოლოდ ქართული ენის ბუნების სწორი გაცნობა და მისი მინაგანი თვისებების წვდომა შესაძლებელს გახდის იმის გარკვევას, რა ადგილი ეკუთვნის ქართულ ენას მსოფლიო ენებს შორის: “ეკუთვნის იგი ინდოევროპულ ან ურალურ-ალათაურ ჯგუფს, როგორც ამტკიცებდნენ

პარი ბროსე და მაქს მიულერი, თუ სრულიად განცალკევებულ ჯგუფს, როგორც ფრიდრიხ მიულერი ფიქრობდაო” (შ. ბადრიძე, 1968, გვ.18).

ალბათ, ამიტომ და სწორედ ამიტომ, 1894 წლის 23 აგვისტოს ენევის უნივერსიტეტის დიდ დარბაზში მსოფლიოს 18 სახელმწიფოსა და 97 უნივერსიტეტიდან წარგზავნილი 400 ორიენტალისტის წინაშე, ააორგანიზაციო კომისიამ, გამოყო რა მხოლოდ 5 სექცია (ეთნოგრაფიულ-ეოგრაფიული — უნგრელი ვამბერის ხელმძღვანელობით, საბერძნეთი და ალბანეთი და ძველი სექციები ა) ინდოეთი; ბ) ინდოეთის ლინგვისტიკა და არიელთა ენები; გ) სემიტური ენები — ჰალის უნივერსიტეტი — როფ. კაუტჩი; დ) მუსულმანური ენები — შეფერი, პარიზის უნივ., ე) გვიბტე და აფრიკის ენები — მას-პერო. ზ) შერეული — აღმოსავლურ-დასავლური — პროფ. შლეგელი), ადგილი არ აღმოჩნდა ქართულისათვის ასე დაანაწილეს აღმოსავლეთის შესწავლა და ქართული ენა არც ერთ აწილში არ მოხვდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ენა არც ერთ ამ რეზულს არ ეკუთვნის. მხოლოდ ის კი არ არის გამოკვლეული, რომელი გუფის ნაწილს შეადგენსო” წერს ერთგვარი სინანულით, ამჯერად ორესპონდენტის ფუნქციით, ნოე უორდანი (შ. ბადრიძე, 1968, გვ. 8). ამიტომ მათ აირჩიეს საეთნოგრაფიო სექცია, რომელშიც იყო მოხსენებები 112 დასმული საკითხის ირგვლივ. ა. ხახანაშვილმა, რომელიც არგზავნილი იყო მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების მიერ, აღნიშნულ სექციაში გააკეთა მოხსენება ფრანგულ ენაზე “უცხოური გავლენები ართულ ცივილიზაციაზე”. მისი მიზანი იყო გაერკვია, თუ რა კულტურულ-ეონომიკური გავლენა იქონიეს საქართველოზე მისმა მეზობელმა ქვეყნებმა: იზანტია?, სპარსეთმა, არაბეთმა და რუსეთმა.

სწორედ ამ მოხსენებაში ა. ხახანაშვილმა, შეეხო რა ენის საკითხებსაც, არონ პ. უსლარის (1816-1875) თვალსაზრისზე დაყრდნობით, განაცხადა, რომ “კოლხიდელნი აირიენ ქართველებში და ამ შერევამ იქონიაო გვლენა მეგრულ-ლაზური ენების ლექსიკურ შედგენილობაზეო”. სწორედ მ ფრახას ვარსკვლავით შენიშვნა ახლავს “კვალის” რედაქტორისა და წერლის, 60-იანელის, გიორგი წერეთლისა, რომლის ტონიც ძალზე ეაცრია: “ჩვენ ძალიან გვაკვირვებს, რომ ბატონი ხახანოვი დამყარებია სლარის შემდგარ აზრს და თვითონ, როგორც ქართველ მკვლევარს, ამ განზე არა წარმოუდგენია რა, რადგან იმას ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა, რომ მეგრულს, ლაზურსა და ქართულს მკიდრო ნათესაობა არამცთუ მის შემადგენლობაში ეტუბათ, არამედ გრამატიკულ აგებულება მისაც ერთი და იგივეა და მაშასადამე იმათი ერთტომობა და ერთი რამოვლობა უტყუარ საბუთზეა დამყარებულიო” (“კვალი”, 1894, №43, გვ.14-15).

ზემოთქმულიდან გამომდინარე:

1. 1894 წლისათვის გარკვეული არაა საბოლოოდ ქართული ენის ქართველური ენების) ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში;
2. იგრძნობა ქართული ენის საფუძვლიანი შესწავლის ნაკლებობა როპის უნივერსიტეტთა მეცნიერებშიც;

3. იგრძნობა დაპირისპირება, თუ აზრთა გაუზიარებლობა პეტერბურგისა და მოსკოვის აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტის ქართულ ენის მკვლევართა შორის;

4. იკვეთება მხოლოდ ის აზრი, რომ ქართული ენა განცალკევებულია სხვა ენებისაგან და უფრო ახლოა წინა აზიის მკვდარ ენებთან;

5. ალ. ხახანაშვილი, მიუხედავად მრავალმხრივი განათლებისა, ხშირად ემყარება ავტორიტეტულ აზრს, რასაც ვერ ვიტყვით მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე გიორგი წერეთელზე.

6. ვფიქრობთ, მოცემული მასალა საყურადღებოა აღნიშნულ თვალსაზრისით ქართველოლოგიის ისტორიის შესწავლისათვის.

დამოწმებული ლიტერატურა

შ. ბადრიძე, 1968 - შ. ბადრიძე, "აღმოსავლეთმცოდნეობაში გამოჩენილი მოჭირნახულე", თბ., "ლიტერატურა და ხელოვნება", თბ., 1968.

შ. ძიძიგური, 1974 - შ. ძიძიგური, "ლიტერატურულ-ენათმეცნიერულ ნარკვევები", თბ., 1974.

ვაზ. "კვალი", 1894 წ., №42, №43, №44.

TAMAR GOGOLADZE**ALEXANDRE KHAKHANASHVILI - AN EXPERT OF THE GEORGIAN LANGUAGE**

The public figures of the 60-ies of the 19th century who struggled for the renaissance and development of the three sacred things (the Language, the Fatherland and the Faith) of the Georgian nation were very active in the process of research and study of the language and culture. From this point the role of the professor Alexandre Khakhanashvili (1864-1911) is great. He founded "the Chair of the Georgian Language and Speech" together with the Georgian students at Moscow University.

In September 16, 1901 he delivered his first lecture to a multitudinous auditorium. A. Khakhanashvili underlined the question why it is necessary to be interested in the problems of Georgian language study, that the foreign researchers working on the questions of the Georgian language (Brosset, Biurniph, Muller) either do not know the Georgian Language and they were not able to state its place in the linguistics or they knew it but not too well. For this reason he thought that it was necessary to have a thorough knowledge of this language and then defining to which linguistic group it should belong to Indo-European or Ural-Aleutian (as Mari Brose and Max Muller tried to prove) or it should belong to separate (as Fredric Muller thought).

It is necessary to point out Alexandre Khakhanashvili's speech at the X International Congress of Orientalists (Geneva, 1894) and XI International Congress of Orientalists (Paris, 1897) where he expressed very interesting ideas about the Georgian Language. In the same year, a participant of the congress, discusses the mentioned problem in the article published in the journal "Kvali".

ოთარ გოგოლიშვილი

ბანმანათლებელი (გაქარია ჭიჭინაძე და აჭარა)

ზაქარია ჭიჭინაძეს განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის აჭარაში. მისი სიყვარული აჭარლებისადმი ობიექტურად გადმოსცა აპოლოწულაძემ წიგნში "ძმური სიტყვა": "ზაქარია პატარა კაცია, თითქმისწავლელი, მაგრამ ბევრი ძლიერი კაი საქმე აქვს გაკეთებული, ქართველმუსლიმანების კეთილდღეობისათვის პირდაპირ შემოიღო. საქართველსხვა დიდებული და ნასწავლი პირები თუ მხოლოდ წერდნენ თავიანთმგანობიერ წერილებს და სხვებს მოუხმობდნენ: დაეხმარეთ, გაანთავისუფლდაიხლოვეთ ქართველი მუსლიმანებიო, ეს პატარა კაცი მართო სიტყვად და წერას არ სჯერდებოდა. ის პირდაპირ საქმესაც აკეთებდა. რამდენჯერმე ფეხით მოიარა აჭარა-ქობულეთი. პირადად გაეცნო ხოჯებს და სხვა გავლენიან პირებს, პირდაპირ ძმურად ელაპარაკა ყველას და აუხსნა: ვინ ვართ ჩვენ და ვინა ხართ თქვენ. ბლომად დაარიგა ქართულწიგნი და ანბანი, აღწერა აჭარა-ქობულეთის ყველა სოფლები, გაეცნოთქვენს ძველ ისტორიას. ერთი სიტყვით, ზაქარიას შრომა და ღვაწლი დაუფასებელია".

ზაქარია ჭიჭინაძე გრძობდა, რომ საუკუნეების ჩამოშორებულძმების - აჭარლების ეროვნული გათვითცნობიერებისათვის, პირველ რიგში საჭირო იყო აჭარაში ქართული სკოლის გახსნა, რაც საფუძველი იქნებოდა მშობლიური ენის აღორძინებისა. ეს საქმე მაშინ არც ისე ადვილი იყო ამიტომ ზაქარია ჭიჭინაძემ აირჩია ინდივიდუალური, რთული, ჯერ კიდევ გაუკვლავი, სახიფათო გზა. მან ფეხით შემოიარა აჭარის ყველა სოფელამასთანავე, მოსახლეობის ნაწილს სურვილისამებრ უფასოდ ქართულწიგნებს ურიგებდა, პარალელურად, ქართულ ანბანსა და წერა-კითხვასწავლიდა. მას ბევრი მოწაფე და მიმდევარი გამოუჩნდა, რომლებმაც შემდეგში თვითონვე ასწავლიდნენ სხვებს ქართულ წერა-კითხვას.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებამგამგებობის სწდომავე 1894 წლის 7 ივნისს გაკეთებულ მოხსენებაში აჭარაში სკოლების გახსნისა და ქართული წიგნების გავრცელების შესახებ ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავდა: "სამი წლის განმავლობაში მე დავიარაქობულეთის სოფლები, აჭარის, ლივანის, მაჭახელის და ზეგნის. ადგილებში 350-ზე მეტი სოფელი აღმოჩნდა, ყველგან ქართულ ენაზელაპარაკობენ ქართველი მაჰმადიანები, მათი საჭირო სახმარებელი ეს ქართული ენაა. სიმღერა, ტირილი, თამაში და სხვანი - სულ ქართული. ქობულეთისა და აჭარაში ქართული წიგნებიც გავრცელდა".¹ ყველა ქართულ წიგნს, რომელიც ჩამოაქონდა აჭარაში, გასავრცელებლად, თავში და ბოლოში ქართულ ანბანს ურთავდა, რაც აჭარლებისათვის ადვილი ყოფილიყო ქართული წერა-კითხვის შესწავლად მართლაც, ამ მეთოდმა დადებითი შედეგი გამოიღო.

¹ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 465, აღ. 1, საქ. 231, ფურც. 45.

ზაქარია ჭიჭინაძის პატრიოტულმა, დაუღალავმა მოღვაწეობამ უმოკლეს როში საკვირველი შედეგი გამოიღო. მისმა მართალმა სიტყვამ ქართველ მაკმალიანებს თვალთ აუხილა და მათში გამოაცოცხლა ქართული სული. აჭარია ჭიჭინაძე აჭარელთა მაშინდელ ბედშეჯ ყოფას ზემოდან კი არ აკურებდა, პირიქით, მათი ცხოვრებით ცხოვრობდა. ამისათვის მან უსლომანური ლოცვებიც კი შეისწავლა და მერეთში შედიოდა სალოცავად. როგორც ზაქარია ჭიჭინაძეს აკაკი წერეთელმა ხუმრობით უთხრა: რაა ზაქარია, აჭარაში გაგვზავნეთ, რომ აჭარლები გააქრისტიანო, შენ კი პირიქით გამუსლიმანებულხარ და ჯამეში ლოცვა დაგიწყიაო". ზაქარია ჭიჭინაძემ ამაზე უპასუხა: ჩემო აკაკი, სამშობლოს გამრთელების იტერესებისათვის ყველაფერი უნდა ილონოს ქართველმაო".

ზაქარია ჭიჭინაძემ აჭარლებმა თავიანთი სხეულის ნაწილი იგრძნეს და შეიყვარეს იგი. ნებისმიერი აჭარელის ოჯახში მისი სტუმრობა დიდ სიხარულს იწვევდა და ამიტომაც მას მიაგეს სასიყვარულო სახელი "ზაქარია ეფენდი". იმ დროისათვის ზაქარიას მოქმედება ეროვნული გმირობის ტოლფასი იყო. განა ადვილი საქმე იყო ახლად შემოერთებული აჭარის მიყრუებულ სოფლებში მარტოდმარტო სიარული და ისიც ქართული წესების სავესე ხურჯინით მაშინ, როცა აჭარაში მძლავრობდა ისლამი. ჰოხედავად ხიფათის, შიმშილისა და გაჭირვებისა, მან თავისი მისია პირნათლად შეასრულა.

ზაქარია ჭიჭინაძე ყველა სოფელში რამდენიმე დღეს ჩერდებოდა და აქებდა ჩანაწერებს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და სოფლის ისტორიის შესახებ. თავის ჩანაწერებს შემდეგ წიგნებად სცემდა და ურიგებდა. ვასოდ ისევ აჭარლებს. იგივე წიგნები იყიდებოდა აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეში, რათა საქართველოს სხვა კუთხეების მცხოვრებთ უკეთ შესწავლათ და შეეგნოთ თავიანთ მომმეთა ისტორია და ყოფა-ცხოვრება.

900-იან წლებში ზ. ჭიჭინაძე ქართველ მაკმალიანთა ცხოვრებაზე ტენსიურად ბეჭდავს წიგნებს. მათი რაოდენობა 20-ზე მეტი იყო. მათ არის აღსანიშნავია: "ქართველ მაკმალიანთა დიდი გადასახლება", "უსლომანი ქართველები და მათი სოფლები საქართველოში", "ქართველ მაკმალიანთა ცხოვრება" და სხვა მრავალი.

ზაქარია ჭიჭინაძე ძლიერ განიცდიდა აჭარელთა გადასახლებას ერქეთში. ამის შესახებ ხშირად აქვეყნებდა წერილებს ქართულ ჟურნალ-ნეტებში, სადაც მოუწოდებდა მატერიალური და მორალური დახმარება წიით დამშეული მოსახლეობისათვის და ჩაეგონებინათ მათთვის, არ ტოვებინათ მამა-პაპათა მიწა-წყალი.

როდესაც 1881 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის ავრცელებელი საზოგადოების პირველი ქართული სკოლა გაიხსნა, ითველი მაკმალიანებისათვის, ზაქარიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ილის შენახვა იმ დროისათვის დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, აც საზოგადოება სრულყოფილად ვერ ფარავდა და ამიტომ ქართველი ზოგადო მოღვაწეები ბათუმში ხშირად მართავდნენ საქველმოქმედო ღამოებს, რომელთა შემოსავლსაც სკოლას ახმარდნენ. ზაქარია ჭიჭინაძე ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და სკოლას უფასოდ ეასცემდა იმ დროისათვის ძვირადღირებულ წიგნებსა და ელმძღვანელოებს. ზაქარიამ იცოდა, რომ ქართული წიგნის გარეშე ას გამართლება და გამოვლიძება შეუძლებელი იქნებოდა და ამიტომაც ქართული წიგნის აღორძინებას შეალია ხანგრძლივი სიცოცხლე. აეთი "ლომისი" აღნიშნავდა: "საქართველოში ბევრი ყოფილა

მწიგნობრობის რაინდი, მაგრამ მათგან ყველაზე თავდადებული ზაქარია ჭიჭინაძეა, სწორუბოვარი მოღვაწე, რომლის წყალობით, მის მიერ დაწერილ და გამოცემული წიგნებით მოფენილია მთელი საქართველო. მართლაც ზაქარია ჭიჭინაძემ წიგნების გამოცემა 1875 წლიდან დაიწყო. თავისი ცოცხლის განმავლობაში 107 წიგნი დაწერა და დასტამბა, 120 წიგნი დაბეჭდვა კი ვერ მოასწრო. მისი ხელშეწყობითა და რედაქტორობით დაიბეჭდა სხვადასხვა ავტორის ათობით წიგნი. ზაქარია ჭიჭინაძის თანამშრომლობდა ყველა ქართულ გაზეთში; მის მიერ გაზეთებში დაწერილი წერილები რამდენიმე ათასს შეადგენს. მარტო ბათუმის გაზეთში დაბეჭდა მისი 200-ზე მეტი წერილი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებისა და ისტორიის შესახებ ("ლომისი", 1922, № 6).

აჭარელთა სიყვარული გამოხატა თავის მისალმებაში 1922 წელს გამართულ ზაქარია ჭიჭინაძის იუბილეზე ბათუმის გიმნაზიის მოსწავლე იუსუფ ცივაძემ, რომელიც შემდგომში ცნობილი იურისტი გახდა. მის შემდეგი თბილი სიტყვებით მიმართა იუბილარს: "თქვენ ხართ ის პიროვნება რომელმაც ჩვენი მივიწყებული აკვანი, იდეალი და აზროვნება თვალწინ დაგვიყენეთ, გაიზიარეთ ჩვენი ჭირ-ვარამის ხვედრი, გასწიეთ მძიმე შრომა აუტანელ პირობებში და დედაბოძი ჩვენი ისტორიის მსვლელობის წარსულის ახსენით. თქვენ ჩაწვდით ღრმად ქობულეთელის, აჭარელის შავშელის, ლივანელის, იმერხეველის და სხვათა ადგილების მცხოვრებ ხალხთა გულში და გამოიცანით მათი მწარე წარსული და ნაკლებად ჩაახდეთ ისინი დიდ სარკეში, რომლის შედეგადაც შესაძლებელია სწორად გარკვეულ გზაზე დაყენება" ("ტრიბუნა", 1922, № 214).

ზაქარია ჭიჭინაძე იმდენად დიდებული ადამიანი იყო, რომ თავისი დიდი საცხოვრებელი სახლიდან მას სიცოცხლის ბოლო წლებში ერთ-ერთი ოთახიც კი არ შერჩა. ამის მიზეზი ის იყო, რომ წლების განმავლობაში მან სახლში შეისახლა გაჭირვებული თბილისელები. სიკვდილის წინ ზაქარია ჭიჭინაძემ აჭარელთა დიდ მოამაგეს იოსებ იმედაშვილს დაუტოვა ანდერძი, რომ მისი სახლიდან გამოესახლებინათ მდგმურები და გადაეცათ იგი აჭარიდან სასწავლებლად თბილისში ჩამოსული სტუდენტებისათვის. ეს იყო ამ კუთხის ქართველებისადმი უდიდესი დახმარება. ამიტომ მისი სახელი საქართველოს ამ განუყოფელი კუთხის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა. ზაქარიას სახელი მიანიჭეს ბათუმის ერთ-ერთ ქუჩასა და ქედის რაიონის სოფელ ხარაულას საშუალო სკოლას.²

დამოწმებული ლიტერატურა

- საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, 465, აღწ. 1, საქ. 231, ფურც. 45.
 გაზეთი "ლომისი", 1922 წ., № 6.
 გაზეთი "ტრიბუნა", 1922 წ., № 214.
 აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 129, ფურც. 3

². აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 129, ფურც. 34

OTAR GOGOLISHVILI

THE EDUCATOR
(ZAKARIA CHICHINADZE AND ACHARA)

Zakaria Chichinadze has special contribution to Achara. Apolon Tsuladze's book "Brotherly Word" provides an objective rendering of Zakaria Chichinadze's illustrious deeds and exploits done in favor of the Georgian Muslims. He traveled village by village in Achara-Kobuleti several times on foot studying the history of the region, carrying out truly valuable work that can hardly be overestimated. During his trip from one place to another Zakaria Chichinadze distributed Georgian books free to the aspiring population and at the same time conducted lessons to spread literacy among Georgians. He made many disciples who then followed his steps to continue teaching reading and writing in the area.

In 1894 Zakaria Chichinadze wrote: "For three years now I have traveled in the villages of Achara discovering more than 350 villages. Everywhere Georgian Moslems speak Georgian... I have even distributed Georgian books in Achara."

Every Georgian book delivered in Achara had been provided with the alphabet on the first and last pages to ease the learning process. The method proved to yield positive results.

Zakaria Chichinadze's patriotic, zealous work and truthful words opened the eyes of Moslem Georgians and animated Georgian spirits into their mentality. The Moslems felt a kinship with Zakaria Chichinadze and developed very strong love towards him.

Having in mind the historical period of Zakaria Chichinadze's activities in Achara his devotion was no less, if not more, than the demonstration of the national heroism. Zakaria Chichinadze stayed several days in each and every village to have necessary time for making records about the everyday life of the people and history of the locality. Later he would publish his records as books and gave them free of charge to the Georgian Moslems. The same books could be found in various bookstores in the country for the purpose of encouraging the general public to familiarize themselves with the story and customs of their Mohammedan brothers.

In 1881 the 'Society of Spreading Literacy among Georgians' opened the first Georgian school for Georgian Moslems in Batumi. Zakaria Chichinadze greatly rejoiced in the fact. At that period it was a no easy task to provide the complete financial support for the school. To this end the 'Society' often arranged charity events in Batumi to raise money for the maintenance of the school. Zakaria Chichinadze took an active part in those events giving the school books and textbooks free of charge that were quite expensive then.

In *Tribuni*, the newspaper, N 138 of 1922, Petre Mirianashvili wrote: "In the story of the 19th century Georgian culture there is hardly any better public figure than Zakaria Chichinadze who can be called 'a truly concerned treasurer.' "

ია გორგიშელი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ბიბლიოთეკა (2001-2009)

თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაცია მეტია, ვიდრე ოდესაც ცოდნის ისტორიის მანძილზე. მასზე ხელმისაწვდომობა ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა.


საინფორმაციო ტექნიკის მძლავრმა განვითარებამ ინფორმაციის დიდი რაოდენობის მიღების საშუალება მისცა ყველას, ვისაც ხელმიწვდება ინფორმაციის ელექტრონულ საშუალებებზე. ინფორმაციის შეთავაზება ყოველთვის იყო ბიბლიოთეკის მთავარი ამოცანა. ბიბლიოთეკებში ინფორმაციის შეკრების, დამუშავებისა და წარდგენის ფორმები რადიკალური ცვლილებები მოხდა. ინფორმაციის ამ ზღვაში მნიშვნელოვან ადგილს ელექტრონული ბიბლიოთეკები იკავებენ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ბიბლიოთეკის კოლექციები ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შენახვას, დაცვასა და მისი ხელმისაწვდომობის გაზრდას ემსახურება. ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-საიტზე (<http://www.nplg.gov.ge>) შესაძლებელია გეძლევათ, ნახოთ სხვადასხვა ფორმატში წარმოდგენილი "ელექტრონული წიგნი".


1. ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ბიბლიოთეკა - ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა.

2001 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გადაწყვიტა, შეექმნა ქართული მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონული ბიბლიოთეკა.

პირველ ეტაპზე ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის ასოციაციასთან ერთად დაიწყო წიგნებისა და მათგან განთავსებული გამოცემების შეტანა, რითაც საფუძველი დაეკვირვებინა ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნას საქართველოში. ეს ეტაპი მოიცავს სამ წელს და რამდენიმე წიგნისა და ჟურნალის ელექტრონულ ფორმად გადაყვანა მოხერხდა: განთავსდა "ვეფხისტყაოსნის" სამი გამოცემა (1937, 1966, 1978), ბიბლია და სახარება, ქართული მართლმადიდებლური ლიტერატურა, საქართველოს ისტორიის ნარკვევების 9-ტომიანი, ქართული ლიტერატურის 5-ტომიანი, დისერტაციები, პუბლიცისტიკური მასალები და სხვა.



სამწლიანი პერიოდისთვის ეს საკმაოდ მცირე მასალა იყო. ნოლოგიურად ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა საკმაოდ მძაბრად და ხანგრძლივი პროცესია. თითოეული ნაწარმოებისთვის ნებოდა სტატიკური ვებ-გვერდები, რომელშიც შეუძლებელი იყო ძებნა ახალი ნაწარმოების დამატებაც დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ახერხა პროგრამული უზრუნველყოფა "ქორის თვალი", რომელმაც რუნველყო დასკანირებული გვერდების ამოცნობა და ტექსტურ ფორმატში აყვანა. ელექტრონულ ბიბლიოთეკაში ტექსტების შეტანა ორი მეთოდით შობოდა: ერთი, როცა მბეჭდავს ხელით შეჰყავდა ტექსტი კომპიუტერში მეორე "ქორის თვალის" მეშვეობით. თუმცა "ქორის თვალით" მხოლოდ თვაროვანი ტექსტების შეტანა ხერხდებოდა. იმ შემთხვევაში კი, როცა ქსტი რამდენიმე შრიფტით (მაგ.: რუსული, არაბული) იყო აკრეფილი, არის თვალით" მისი შეყვანა შეუძლებელი ხდებოდა და ტექსტის ეფვა ხელით მიმდინარეობდა. შედეგად, ერთ თანამშრომელს დღეში უალოდ 20 ფურცელი შეჰყავდა, რაც "ზღვაში წვეთი" იყო.




2004 წლის დასაწყისში UNESCO-ს პროექტის ფარგლებში ბეჭდური პოცემების ელექტრონულმა არქივმა დაიწყო პროექტის - "ქართული ეასიკური ლიტერატურის ანთოლოგია" - განხორციელება. პროექტი ექტრონული კოლექციების შესაქმნელად ახალი ტექნოლოგიის დანერგვასა

და გამოყენებას ითვალისწინებდა. ხელით ტექსტის აკრეფის ნაცვლ გამოყენებულ იქნა “ქორის თვალი”. ელექტრონული კოლექციებ შესაქმნელად შეიარჩა reenstein Digital Library Software (GSDL, <http://www.greenstone.org/>) პროგრამული პაკეტი, რომელიც უზრუნველყო ელექტრონული კოლექციების შექმნასა და გავრცელებას, როგორც ინტერნეტში, ასევე კომპაქტ-დისკებზე.

სამუშაოების დასაწყის ეტაპზე გადაწყდა GSDL-ის ქართულ სამომხმარებლო ინტერფეისის შექმნა, რაც 2 თვეში წარმატებულად განხორციელდა. <http://www.nplg.gov.ge/gsd/>

კოლექციის პირველ გამოცემაში მთელი მეტაინფორმაცია ტრანსლიტირებული იყო (ქართული დასახელებები ლათინური ანბანის აღნიშნული ტრანსლიტერაცია სპეციალურად გაკეთდა ქართული კლასიკული ლიტერატურის ინტერნეტში პოპულარიზაციის მიზნით. კოლექციაში შევიდა 2056 ნაწარმოები. reenstein-ის ამ ვერსიაში ქართული ენა ოფიციალურად იყო ჩართული, ამიტომ გადაწყდა კოლექციის მეორე გამოცემის შექმნა ამ ვერსიაზე. “ქართული კლასიკური ლიტერატურის ანთოლოგიის” მეორე გამოცემას ასამდე ახალი ნაწარმოები დაემატა. ასევე დაიხვეწა ძიების მექანიზმი და ანბანური საძიებელი.

2005 წლის ზაფხულში გადაწყდა, კოლექციას დამატებოდა საუკუნეების კლასიფიკატორი, რომელიც დაალაგებდა ავტორებს მოღვაწეობას საუკუნეების მიხედვით. ამავე წელს კოლექციას დაემატა ავტორთა ბიოგრაფიები ფოტოებით. აღსანიშნავია, რომ ძებნის მექანიზმი დაემატა სიტყვის დაბოლოებების შეკვცა.




დღეს ბიბლიოთეკის საიტზე განთავსებულია “ქართული კლასიკული ლიტერატურის ანთოლოგიის” ერთმანეთის იდენტური ორი კოლექცია ერთში ავტორებისა და სათაურების სია ლათინური ტრანსლიტერაციით ხოლო მეორეში - ქართული ანბანით. სხვა მხრივ კოლექციები იდენტურ თითოეული მათგანი შეიცავს 93 მწერლის 2138 ნაწარმოებს. მომხმარებელს ინტერფეისი არის ქართულ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე.

2006 წელს Greenstone-ის კოლექციებს დაემატა “საქართველოს ამოქალაქო საზოგადოების ციფრული ბიბლიოთეკა”, რომელშიც აერთიანებულია ქართულ ენაზე გამოცემული ლიტერატურა სამოქალაქო ანათლების, ადამიანის უფლებების, სამართლის, ეკონომიკის, საერთაშორისო რთიერთობების და სხვა მომიჯნავე დარგებში.


2008 წელს ამავე კოლექციას ცალკე კოლექციის სახით გამოეყო ართული პერიოდული გამოცემები. მასში შესულია საქართველოში ოქმედი სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ინსტიტუტებისა და ფონდების მიერ გამოცემული პერიოდ-გამოცემები. ამოქალაქო განათლების ბიბლიოთეკა დღესდღეობით ყველაზე მზარდი კოლექციაა.

2009 წელს Greenstone-ის კოლექციას დაემატა სრულიად ახალი, ჯამდე არსებული კოლექციებისაგან განსხვავებული ფორმატის ვოტოკოლექცია. აქ გამოყენებულ იქნა Greenstone-ის 2.8.1 ვერსია. დაგვილია, მასში სრულად განთავსდეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული ფოტოდოკუმენტები: ლუარსაბ ტოგონიძის ფოტოკოლექცია, ვოტომასალები ნიკო ნიკოლაძის და თეიმურაზ ბაგრატიონის პირადი არქივებიდან და ბიბლიოთეკის ისტორიის ფოტო არქივი. ჯერჯერობით იმდინარეობს ლუარსაბ ტოგონიძის კოლექციის გაციფრება, რომელშიც თავსე მეტი ცნობილი ქართველი მოღვაწის ფოტოა შესული. Greenstone-ის კოლექციების საერთო ზომაა 8 გბ.

2006 წელს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ მკითხველებს შესთავაზა ადგილი ერთი კოლექცია (<http://www.nplg.gov.ge/dlibrary>). ბიბლიოთეკის ანამშრომლებმა შეიმუშავეს პროგრამული უზრუნველყოფა, რომელშიც უფელდლიურად თავსდება წიგნებისა და დისერტაციების სრული ტექსტები. კოლექციას დაერქვა ბეჭდური არქივისა და დისერტაციების ციფრული კოლექცია და მასში წარმოდგენილია ნაბეჭდი გამოცემების ორიგინალების ანალოგიური ვერსიები და ელექტრონული წიგნები PDF (PDF - Portable Document Format) ფორმატში. 2001 წელს შექმნილი ელექტრონული ბიბლიოთეკა გადატანილი იქნა ამ კოლექციაში. აღსანიშნავია, რომ ამ კოლექციის თემატურ საძიებელში გამოყენებულია დუის ათწილადი ლასიფიკაცია. ძიება შესაძლებელია საკვანძო სიტყვებითა და ველების ხედვით.




ეროვნულ ბიბლიოთეკას დღემდე არ გააჩნია ლიტერატურის გაციფრებისთვის საჭირო ტექნიკური ბაზა, ამიტომ ჩვენი ელექტრონული ბიბლიოთეკა დამოკიდებულია გამომცემლობებსა და ავტორებზე. მაგ ბიბლიოთეკაში მოაქვთ თავიანთი გამომცემები ელექტრონულ ფორმატში გადმოცემული მასალა, საავტორო უფლების გათვალისწინებით, გარკვეულ დამუშავების შემდეგ თავსდება ეროვნული ბიბლიოთეკის შესაბამის ციფრულ კოლექციაში (http://www.nplg.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=177).



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ PDF კოლექციის თითოეული ობიექტი მიბმულია ელექტრონულ კატალოგზე. <http://www.nplg.gov.ge/ec> ელექტრონულ კატალოგში მოძიებულ წიგნსა თუ დისერტაციას ბოლოს თუ აქ მიწერილი სრული ტექსტი, ეს არის ბმული, რომელზე დაწკაპუნებდ შემთხვევაში გაიხსნება ამ წიგნისა თუ დისერტაციის ელექტრონული ვარიანტი, ე.ი. ამ ბმულის მეშვეობით თქვენ უკვე ელექტრონულ ბიბლიოთეკის PDF კოლექციაში გადადიხართ.

ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ბიბლიოთეკა დღემდე შედგენიარად გამოიყურება:




ერ
E
ბ
ეს
უ
ე
ს
არ
ს
მა
დ
ს
დ
ბ
20
ის

ელექტრონული ბიბლიოთეკების განვითარება საქართველოს ჰლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დამოკიდებულია უკონტაქტო, ნერისა და სპეციალური სერვერების შექმნაზე. ასევე ელექტრონული ბიბლიოთეკებისთვის შექმნილი მძლავრი და თანამედროვე მართვის ატემებიდან ერთ-ერთის შესწავლასა და დანერგვაზე. ეს კი საშუალებას გვცემს, შევქმნათ ელექტრონული არქივები და ციფრული ბიბლიოთეკები ლტურული მემკვიდრეობის ისეთი მასალებისთვის, როგორცაა ძველი ხეობები და ჟურნალები, ძველი და იშვიათი წიგნები, აუდიო მუსიკალური აალები, პლაკატები და ფოტოსურათები, რუკები და ა.შ.

2. ეროვნული ბიბლიოთეკის საერთაშორისო პროექტები

2008 წელს ეროვნული ბიბლიოთეკა ევროპის 8 ქვეყანასთან თად FUMAGABA-ს პროექტით ჩაერთო The European Library-ში. The ropean Library (<http://www.TheEuropeanLibrary.org>) ევროპის 48 ეროვნული ბლიოთეკის რესურსებთან თავისუფალი დაშვების საშუალებას იძლევა. პროექტი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ The European Library-ში ივე განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ექტრონული კატალოგები და ციფრული ბიბლიოთეკის ორი კოლექცია: მოქალაქე განათლებისა და ქართული ლიტერატურის, ასევე ბეჭდური აქივისა და დისერტაციების PDF კოლექციები. პორტალზე მომხმარებელს შუალება ეძლევა მსოფლიოს 32 ენაზე გაეცნოს საბიბლიოთეკო სალებს, როგორც წიგნებს, რუკებსა და ფოტოებს, ასევე მუსიკასა ა ვიდეო მასალებს. ამ პროექტში მონაწილეობა ძალზედ მნიშვნელოვანია ქართველოს საბიბლიოთეკო ელექტრონული რესურსების პოპულარიზაციისა ა ეროვნული კულტურის წარმოჩინებისათვის.




მოგეხსენებათ, აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორმა ჯეიმს ოლინგტონმა მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის შექმნის წინადადება 2005 წელს წამოაყენა. ამ წინადადების თანახმად, კულტურის ნიმუშების მდიდარი მარაგი, რომელიც ამერიკულ ორგანიზაციებშია დაცული,

მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკის მეშვეობით, უფასოდ დაუბრუნდება მსოფლიოს და ეს მოხდება ისეთი ფორმით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება უნივერსალური და საყოველთაო ხელმისაწვდომობა. ჯერჯერობით www.wdl.org-ze მუშაობა დასრულებული არაა, მას ერთგვარი ჩონჩხის სახე აქვს და განთავსებულია მხოლოდ ის მასალები, რომლებიც კონგრესის ბიბლიოთეკაშია დაცული. პროექტზე მუშაობა კი მომავალი 8 წლის განმავლობაშიც გაგრძელდება და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემა მას დასრულებული სახე. რაც შეეხება ეროვნული ბიბლიოთეკის მონაწილეობას, პროექტის შესახებ ინფორმაცია ჩვენთვის ცნობილი გახდა 2006 წელს, ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორების კონფერენციის ფონდის საიუბილეო ყრილობაზე (CENL–(<http://www.cenl.org/>), თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს არა მარტო ეროვნული ბიბლიოთეკა, არამედ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ლიტერატურის ინსტიტუტი და ა.შ. ანუ ყველა ის უწყება, სადაც დაცულია მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლები. პორტალზე საკუთარი ადგილი ყველა ქვეყანას აქვს გამოყოფილი და ტექნოლოგიურად ყველაფერი მზად არის, თუმცა როდის დაიწყება ქართულ მასალებზე მუშაობა ჯერჯერობით უცნობია. ამ ეტაპზე ცნობილია, რომ საქართველო მასში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას და მომავალში მსოფლიო ციფრულ ბიბლიოთეკაში განთავსდება ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ის უნიკალური მასალები, რომლებიც მსოფლიო კულტურისა და მეცნიერების საგანძურს წარმოადგენენ.

3. ქართული ელექტრონული ბიბლიოთეკები ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-საიტზე

ელექტრონული ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვისაც ინტერნეტ ქსელში შესვლის შესაძლებლობა აქვს. მსოფლიოს ყველა ბიბლიოთეკის საიტზე არის ბმულები ან ინფორმაცია ელექტრონული ბიბლიოთეკების შესახებ. ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე განთავსებულია ინფორმაცია საქართველოს და მსოფლიოს ელექტრონული ბიბლიოთეკების შესახებ.



დღესდღეობით ქართულ ინტერნეტ სივრცეში რამდენიმე ელექტრონული ბიბლიოთეკაა. მათ შორის აღსანიშნავია:

1. <http://www.lib.ge/> ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია ქართველი და უცხოელი კლასიკოსები და თანამედროვეები.

2. <http://www.literatura.ge/index.php?page=1> - ქართული ლიტერატურული პორტალი (11.09.2009 - 776 ავტორი, 4615 ნაწარმოები, 18496 რეგისტრირებული მკითხველი).

3. <http://children.iatp.ge/> ქართული საბავშვო ლიტერატურა (20.08.09 ბოლო განახლება).

4. <http://www.webmix.ge/vvi/index.php> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფონდ “ირმის ნახტომის” პროექტი “ვახტანგ VI” - ქართული და ქართულად თარგმნილი ლიტერატურის ელექტრონული ბიბლიოთეკა (25.12.2008 ბოლო განახლება).

5. <http://literatura.iatp.ge/> (ბოლო განახლება 19.08.08).

თანამედროვე პოეტები თუ მწერლები თავიანთი შემოქმედების წიგნად გამოცემას ხშირად მის ლიტერატურულ საიტებზე განთავსებას ამჯობინებენ, მაგრამ ხშირია შემთხვევა, როდესაც ინტერნეტმკითხველი ქართულ გაციფრებულ ლიტერატურას ვერ პოულობს. ეს აიხსნება იმით, რომ ქართულენოვანი ელექტრონული წიგნების რაოდენობა ინტერნეტში ნაკლებია. ამასთან, მომხმარებელს არა აქვს ქართულ რესურსებში ძიების უნარ-ჩვევები სათანადოდ მაღალ დონეზე განვითარებული, იგი საკმარისად არ არის განსწავლული ამ კუთხით. იმისათვის რომ ბიბლიოთეკის მომხმარებელმა ბიბლიოთეკაში თუ მის კედლებს გარეთ შეძლოს უფრო ეფექტურად გამოიყენოს ელექტრონული რესურსები, საჭიროა მივცეთ მათ შესაბამისი ცოდნა და გაუზიაროთ გამოცდილება.

დამოწმებული ლიტერატურა

ი. გორგიშელი, 2009 - ი. გორგიშელი, ეროვნული ბიბლიოთეკა ელექტრონულ პროექტებზე მუშაობას აგრძელებს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შრომები, 17 (302), თბ., 2009.

ი. გორგიშელი, 2006 - ი. გორგიშელი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-საიტის ანალიზის მცდელობა და ბიბლიოთეკების ვებ-საიტების შეფასების კრიტერიუმები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შრომები 1(6), თბ., 2006.

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/000133>

გ. ვარამიშვილი, 2006 - გ. ვარამიშვილი, ციფრული ბიბლიოთეკის პროგრამული უზრუნველყოფის - «grinstounis» დანერგვა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შრომები 1(6), თბ., 2006.

თ. ჩხენკელი, 2006 - თ. ჩხენკელი, საინფორმაციო ტექნოლოგიები მსოფლიოს ეროვნულ ბიბლიოთეკებსა და საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შრომები 1(6), თბ., 2006.

ბილინგტონი, ჯეიმს. ბიბლიოთეკა ახალი სამყაროსთვის // <http://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2005/11/21/AR2005112101234.html>;

The Public library service: IFLA/UNESCO guidelines for development.-- München : Saur, 2001.–p.17 <http://archive.ifla.org/VII/s8/proj/publ97.pdf>

IA GORGISHELI

ELECTRONIC DATA OF THE NATIONAL LIBRARY OF THE GEORGIAN PARLIAMENT (2001-2009)

Collections of the electronic library of the National Parliamentary Library of Georgia serves for storage and protection of the cultural heritage and provides the accessibility to it.

The electronic books have been allocated since 2001 on the website:(<http://www.nplg.gov.ge>) to this date.

In 2001-2003 the process of converting the books and similar publications into electronic format began. There were two ways of making entry of the texts into electronic library: by means of typing the text manually and by using the Hawk-Eye Software.

At the beginning of 2004 within the framework of UNESCO the project-”The Anthology of the Georgian Classical Literature”-was implemented in order to facilitate the popularity of the Georgian classical literature through internet. For the purpose of creating the electronic collections “Greenstone Digital Library Software(GSDL)” <http://www.nplg.gov.ge/gsd/> was selected.

In 2006 the “Greenstone” collection was enriched with “The digital library of Georgia’s civil society. “ In 2008 Georgian periodical publications were separated from this collection as an individual one.

In 2009 absolutely new photo- collection of quite a different format was added to “Greenstone”.

In 2006 the National Library offered its readers one more collection (<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/>). The library staff drew up a software in which books and dissertations are put in PDF format.

The library takes part in international projects such as the European Library, which are very important for the popularization of Georgia’s electronic libraries and Georgian culture.

ნატო გულუა

V-VI საუკუნეების საქართველოს ისტორია და ლევან გომეხას “ქვის ხოხობი”

ლევან გომეხამ მოთხრობა “ქვის ხოხობის” შექმნით ქართველი ერის ცხოვრების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ეპოქას მოჰფინა ნათელი. ამჯერად მისი არჩევანი შეჩერდა ვახტანგ გორგასლის მეფობის ხანაზე, როცა ახლადგაქრისტიანებულ ქვეყანას დაწოლა, განადგურება და გამაზღვრება დაემუქრა. ნაწარმოებში აქცენტირებულია გორგასლის სახელთან დაკავშირებული ორი მნიშვნელოვანი მოვლენა: მოლაღატე ვარსკენ პიტიახშის სიკვდილით დასჯა და თბილისის დაარსება. “ქართლის ცხოვრების”, როგორც ჭლანშერის (“ქართლის ცხოვრება”, 1955, გვ. 216), ისე ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებათა მიხედვით, ვარსკენ პიტიახშის სიკვდილი ბაკურ მეფეს უკავშირდება: “მეფემან ბაკურ შეკრიბა სპა თვისი და წარვიდა უგრძნეულად. ამას ვარქსენ იღვა ველსა ზედა კიდესა მტკურისასა, სადა ერთვის მდინარე ანაკერტისა. მუნ დაესხა ბაკურ მეფე, შეიპყრა ვარქსენ და დაჭერილი მოჰკიდა ძელსა” (“ქართლის ცხოვრება”, 1955, გვ. 118). სომეხი ისტორიკოსის ლაზარ ფარაბეცის (ლ. ჯანაშია, ლაზარ ფარაბეცის ცნობები საქართველოს შესახებ) ცნობით კი ვარსკენ პიტიახში, როგორც ირანის პოლიტიკის გამტარებელი და მეფის მოწინააღმდეგე ერისთავთა ერთ-ერთი ბელადი, ვახტანგ გორგასალმა ჩამოიშორა (ნარკვევები, 1973, გვ. 101). სწორედ ამ უკანასკნელ წყაროს აღიარებს თანამედროვე ისტორიოგრაფია და ლევან გომეხაც მასზე დაყრდნობით ქმნის “ქვის ხოხობს”.

საქართველოს სატახტო ქალაქის მშენებლობის საკითხს რაც შეეხება, აშკარაა, რომ მწერალი იზიარებს ხალხურ გადმოცემებს, რომელთა მიხედვით, თბილისის დამაარსებლად ვახტანგ გორგასალმა მიჩნეული, მაშინ, როცა ჭლანშერის თხზულებაში გარკვევითაა აღნიშნული, რომ ვახტანგ გორგასალმა მხოლოდ საფუძვლის ჩაყრა მოასწრო: “და ვითარცა მოვიდა მოციქული წინაშე ვახტანგ მეფისა, და ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისა და საფუძველი ოდენ დაედვა” (“ქართლის ცხოვრება”, 1955, გვ. 200). მამის დაწყებული საქმე კი დაიჩიმ განახორციელა: “განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეფოვოდ” (იქვე, გვ. 205).

მწერალმა მოთხრობაში ქართლის ირანელთა უღლისაგან განთავისუფლებისათვის, ქვეყნის ცენტრალიზაციისა და შეუზღუდავი სამეფო ხელისუფლების შექმნისათვის თავდაუზოგავად მებრძოლი ვახტანგ მეფის მოღვაწეობის შესახებ ცნობილი ისტორიული ფაქტები ხალხის ფანტაზიით შექმნილ გმირულ ხასიათთან შეაზავა და, საბოლოოდ, ჰიპერბოლიზებული მხატვრული სახე მიიღო. ვფიქრობთ, ლ. გომეხას მიზანიც ის იყო, რომ

დაეხატა რეალური, ამავე დროს, ლეგენდარული, შეუზღუდავი ძალისა და გაქანების გმირი-მმართველი რადიკალურად განსხვავებული მწერლის თანამედროვეთაგან - რომელიც თავისი მეზობელი სულის მქონე ხალხის დახმარებით სძლევს მტერს და მოიპოვებს თავისუფლებას. სწორედ ამ მიზნით დაარღვია მან მოთხრობაში ისტორიული თანმიმდევრობა; დროის თვალსაზრისით ერთ სიბრტყეზე მოაქცია და ურთიერთკავშირში წარმოგვიდგინა სამშობლოს მოღალატის სიკვდილი და დედაქალაქის მშენებლობა.

მიუხედავად ეპიზოდების გადაადგილებისა, მოთხრობაში ასახული მოვლენები ფაქტობრივად სინამდვილეს წარმოსახავს. მასში რეალურადაა ნაჩვენები, რა მძიმე შედეგები მოჰყვა სპარსელების მიერ ქართლის დაპყრობას: “და დაიპყრეს ქართლი სპარსთა, იხიზნა მეფე ვახტანგ, ძე მირდატისი. დამალეს ჯვრები ქართველთა... და ყოველთა შინა ეკლესიათა ქართლისათა - სპარსთა მსახურთა აღაგზნეს ცეცხლი... ჰოდა იყო ქვეყანა რბული და მიძალეული...” (ლ. გოთუა, 1958, გვ. 106). მაგრამ მკითხველისათვის მალე ცხადი ხდება, რომ მტერმა იმ არსებობის ვერ სძლია, რასაც ქართული გმირული სული ჰქვია და მან მადლიანი ქართული მიწიანი - თბილი, გოგირდოვანი წყლების ხეობიდან - დაიწყო ამომრთელება, გაჯანსაღება.

მოთხრობაში ვახტანგ გორგასალი გამოყვანილია როგორც მთლიანი ხასიათი, განზოგადებული სიკეთე, რომელიც ებრძვის ბოროტებას, ღალატს და იმარჯვებს. საქართველოს მტერი მრავალრიცხოვანი ჰყავდა, მაგრამ, ნაწარმოების მიხედვით, ბოროტებას მხოლოდ ერთი სახე და ერთი სახელი აქვს - ვარსქენ პიტიახში. მას ავტორი ვახტანგ გორგასლის მხატვრული სახის საპირისპიროდ გვიხატავს: “და იყო სათქმელად კაცი - ვარსქენ პიტიახში სპარსთა”. მოთხრობაში იგი არა მარტო საქართველოს მოღალატეა, რომელმაც ქვეყნისა და სარწმუნოების დაცვისათვის აწამა ბეულღე - შუშანიკი, არამედ ბოროტების მკვეთრად გამოხატული, ზოგადი სახეა, მთელი ერი რომ აწამა, კვერთხი რომ დაჰკრა და დაამახინჯა ჯოჯო-ბერი (ალბათ ის ხუცესი, იაკობ ცურტაველის მიხედვით შუშანიკისა და რწმენის დასაცავად რომ გამოიღო თავი), მარჯვენა რომ მოაჰკრა ვახო-ლისეღს - კირითხუროს, შურის ციხის აგებაში არმონაწილეობისათვის. ყოველივე ამისათვის ვარსქენი განსაკუთრებულ ზიზღს იწვევს თანამემამულეებში.

ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს ის ტერიტორია, სადაც დღეს დედაქალაქია გაშენებული, სპარსელთა მიერ სრულიად მოოხრებული და ტყით დაფარული იყო. “უდაბური აღვილია, ჩაყრუებული, ახლო სოფლებს ნაფუძვრები და შეჭვარტლული ნაბუხრალები შერჩენოდა. ქართველი ადამიანი ერიდებოდა ამ ტაფობს. დევ-ხეების კენწეროებზე ბუდობდნენ სვაგები და შევარდნები” (ლ. გოთუა, 1958, გვ. 108). მეფეს არ გააჩნდა დაცული და ხალხმრავალი დედაქალაქი, ისეთი, ერს რომ მოაძლიერებდა და მხოლოდ “ლაშქრისა და ციხის სარდლად” თვლიდა თავს. ამიტომ ის გულდაგულ ეძებდა ქვეყნის გულს საქართველოს სატახტო ქალაქის ასაგებად და შეარჩია სწორედ ის გავერანებული, სპარსთ პიტიახშთა ბუდე-ბუნაგად

ქცეული ტაფობი, სადაც მცხეთის საპირისპიროდ აღმართულიყო “ქართლის ხერხემალში ხანჯლად გაყრილი” შურის ციხე, “ძველ ქართულ ბალავარზე ჯუჯად წამომჯდარი ახალი სპარსული ციხე-ქონგური”.

უცხო ტომების, ცეცხლის რჯულისათვის გზის დახშობა, ყოველმხრივ დაცული შურის ციხის აღება და მის მიდამოებში დედაქალაქის აშენება - ერთი დაკვრით ორი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა - შეიძლება ითქვას, მეფის აუხდენელი ნატვრა იყო. “ორხელა მეოცნებე” უწოდეს მას ჯოჯო-ბერმა, ბაკურა თაბორელმა, შავლეგო ვერელმა და ვახო ლისელმა - გოგირდოვან, ცხელ გუბურაში ჩაწოლილმა მოხუცებმა, რომელთაც შურის ციხის ახლომანლო მოხეტიალე ვახტანგ გორგასალი შემთხვევით წააწყდა. მაგრამ მეფე ყოველ ნასოფლარს თავის დანაშაულად, “კინისარდლობად, ვერმეფობად” თვლიდა და ოცნების განხორციელებაზე ჭიჭურად, უტეხად ფიქრობდა. მოხუცებთან საუბარმა კი კიდევ უფრო გაუძლიერა მას დანაშაულის გრძობა, როცა გაიგო, ერთ დროს ღირსეული ადამიანები როგორ გადაიქცნენ ხიზნებად და სოფელდაკარგულებად.

ყოფილი ხუცესი, ბზის ჯვრიანი ჯოჯო-ბერი, ვარსკენ პიტიაშვის მძლავრობის შედეგად, მეტეხის კლდის ჯოჯოებიანი ქვაბის ბინადარი გამხდარა და “სათნოებადაკარგული, წარწყმედილი, ბერ-ცოდვილი” დღენიდაღ მოლაღატის გვემასა და დასჯას ევედრება ღმერთს. ხელმადლიანი მევენახე ბაკურა თაბორელი, თაბორის გადაწვისას ცეცხლის ღმერთი რომ დაუწყევლა მტერს, უსოფლო და უმამულო კაცად ქცეულა. უპატრონოდ მიტოვებული ვერაც სპარსელებს დაუნგრევიათ და ამის გამო შავლეგო ვერელს სახელიდა შერჩინია საკუთარი. ცალხელა ვახო ლისელს კი ყოფილ ქვითხუროსა და ციხე-გალავნის ოსტატს, მოძალადის სამსახურში ჩადგომას, მარჯვენის დაკარგვა უმჯობინებია: “მტერს თუ შევძელი წესს ავუგებ, ხოლო ციხეს არამც და არაო!” კონსტანტინე გამსახურდიას რომან “დიდოსტატის მარჯვენას” გმირის, მარჯვენამოკვეთილი კონსტანტინე არსაკიძისაგან განსხვავებით, ვახო ლისელი სიცოცხლეს განაგრძობს, ცაციათი ტალახისგან ქალაქის თარგს ძერწავს, ნათელ მომავალსა და ქვეყნის აღმშენებლობაზე ოცნებობს. არც ვახტანგ გორგასალია ტირანი ხელისუფალი, სამართლიან ბრალდებად იღებს მოხუცების მიერ გულწრფელად ნათქვამ საყვედურებს: “ქართველთა მეფის იმედი გვექონდა”... “თვით გორგასალს აუღია ხელი ბრძოლაზე”... “ხარკიანობასა და უპატრონობაში ჩავეტოვებდით”...

აღსანიშნავია, რომ ლ. გოთუა ხშირად მიმართავს საკუთარი სახელების გაორმაგებას და ამ მხატვრული ხერხით ეფექტურად გვიჩვენებს ურთიერთსაპირისპირო თუ გაორმაგებულ ხასიათებს. მაგალითად, “გმირთა ვარაშში” დავით მეფისა და დავით ქონდაქარის მხატვრული სახეებით მწერალმა ორი რადიკალურად განსხვავებული ხასიათი წარმოაჩინა, “ქვის ხოხობში” კი პირიქით, ვახტანგ გორგასალი და ვახო-ლისელი - სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომი ადამიანები - მეფე და ხელოვანი, ერთი სულისკვეთების გამომხატველი, საერთო მისწრაფებათა მქონე გმირები არიან.

მოხუცებთან შეხვედრამ მეფეს აგრძობინა, რომ მტრის წინააღმდეგ მარტო არ მოუწევდა ბრძოლა, რადგან ყოველი ქართველი გულითადად ნატრობდა შურისძიებასა და საქართველოს გაძლიერებას. ამიტომ კიდევ უფრო თამამი და დახვეწილი გახდა მისი ამდენი ხნის ნაფიქრი: “განა ქართველები არა ვართ? განა ჩვენს მიწა-წყალზე არა ვზივართ... ცხელ გუბეში ვინ გვყავს მეტოქე!” - უკვე ხმამაღლა ოცნებობს მოხუცებივით დედიშობილა, იარებნაჩენი მეფე. მისმა სიშიშველემ, ღრმაგუბანიანმა თვალებმა, ალაღად გადაწერილმა პირვარმა და ჯვარნიშნიანმა ისარმა, რომლითაც გორგასალმა ხოხობი ჩამოაგდო, გაფანტა მათ შორის თავდაპირველად გაჩენილი, მტრისაგან დაპყრობილი ქვეყნისათვის ნიშანდობლივი უნდობლობა: “ტანზე რომ ჩაიცვამს, ვინ იცის, ვინ გამოდგება, რა ნიშატს დაიჭერსო”...

გულგახსნილმა მოხუცებმა მას არც ვინაობა ჰკითხეს და არც მოსვლის მიზანი, ისე გაანდეს მტრის საიდუმლო, იმ იმედად, რომ “იქნებ თავისი კეთილი კვალი ნახოს სიტყვებმა”. თურმე, მათი საერთო მტერი, ვარსკენ პიტიახში ავად შექნილა, ცურტავიდან შურის ციხეში ჩამოსულა, რათა ემკურნალა გოგირდოვანი, თბილი წყლით, ბაკურა თაბორელისათვის წართმეული საწნახელით რომ უზიდავდნენ ყოველ ღამე.

მოხუცებმა ბევრი სხვა რამეც შეაგონეს მეფეს, კბილიც მართებულად გაჰკრეს, სხეულიც გამოუწრთეს თავისებურად ცხელი, გოგირდოვანი წყლით და ხსიათიც განუმტკიცეს. ვახო ლისელომა კი ასწავლა, რომ მშობლიური მიწის სიმხურვალე ამოელო და ისე ემუსრა მტერი, ეშენებინა ციხე-ქალაქები. აქამდე გულგატეხილ ვახტანგ გორგასალს ახლადდაბადებისა და უშრეტი ძალის მოპოვების შეგრძნება დაეუფლა, დარწმუნდა, რომ თავისი ქადილის: “მინც ავიღებ!” სინამდვილედ ქცევის დრო დადგა.

თითქმის შეუძლებლის მიღწევა შურის ციხის აღება - იმის ნათელი დადასტურებაა, რომ მტერზე გასამარჯვებლად მარტო ერთი ჯაცის, თუნდაც ვახტანგ გორგასლის, ძალა და გამჭირაზობა არ კმარა, ამისათვის მთელი ერის სურვილი და მონდომებაა საჭირო.

დაბოლოს, ციხის აღების წინ ხოხობი რომ ყივის, რაც, ისევე როგორც კ. გამსახურდიას “დიდოსტატის მარჯვენაში”, ბრძოლისა და მოქმედების, გათენებისა და გამარჯვების გამომხატველია, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მოთხრობის ოპტიმისტურ დასასრულს. ლ. გოთუას ხოხობი თბილისის სიმბოლოდ ესახება, ამიტომაც დაადგმევინა ვახტანგ გორგასალმა ქვისგან გამოკვეთილი ხოხობის ქანდაკება, რომლის “ზეაწეული ნისკარტიდან ტფილისის წიაღისეული, მარად ცხელი შადრევანი იჩუხუხებდა” სიძლიერის, დოვლათის, მარადიულობის ნიშნად.

დამოწმებული ლიტერატურა

- ლ. გოთუა, 1958 - ლ. გოთუა, ქვის ხოხობი, ტ. IV, თბ., 1958.
 ა. მირიანაშვილი, 1984 - ა. მირიანაშვილი, ლევან გოთუა (ცხოვრება და შემოქმედება), თბ., 1984.
 ა. ნიკოლეიშვილი, 2003 - ა. ნიკოლეიშვილი, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, ქუთაისი, 2003.
 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.
 “ქართლის ცხოვრება”, ტ. I, თბ., 1955.
 “ქართლის ცხოვრება”, ტ. IV, თბ., 1973.

NATO GULUA

V-VI CENTURIES GEORGIA'S HISTORY AND LEVAN GOTUA'S
“STONE PHEASANT”

With his story “Stone Pheasant” Levan Gotua threw light on one of the important epochs of the life of the Georgian nation. He decided on to write about King Vakhtang Gorgasali's time. This is the period when the newly Christianized country appeared under the threat of disintegration and returning to Mazdeian faith. The story emphasizes two important events: death sentence to Varsken Pitiakhsh for his treason and foundation of the city of Tbilisi. According to the stories of the *Georgian Chronicles*, as with Juansheri so with Vakhushthi Batonishvili alike, the death of Varsken Pitiakhsh is related to king Bakur. As for Lazar Parceptsi, an Armenian historian, he says that Varsken Pitiakhsh as the conductor of the Iran politics and the leader of a group of lords and an opponent to the king was deposed by Vakhtang Gorgasali himself. As modern historiography recognizes the latter version of the fact Levan Gotua creates his “Stone Pheasant” on the bases of this information.

As to the story of building the capital city it is obvious that the author follows the folk tradition according to which Tbilisi was founded by Vakhtang Gorgasali, whereas in Juansheri's story there is clear evidence that King Vakhtang Gorgasali could only manage to lay the foundation of the city.

Thus, Levan Gotua mixed historical facts with folklore to create a literary image of the champion king who devoted himself for the liberation of the country from the Iranian dominance, and for its centralization and for gaining the limitless royal authority. In the end the author gives a hyperbolized image of the hero-ruler who with the help of his heroic people defeats the enemy and gains independence. The author's contemporary Georgians differed radically from the people of King Vakhtang Gorgasali's epoch. This is why Levan Gotua does not follow chronological sequence and puts the death of the homeland traitor and the founding of the capital city on the same time plane.

როზეტა გუჯეჯიანი

ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან (ლევან დაღეშქელიანი – საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი)

ლევან დაღეშქელიანის სახელი ქართულ პერიოდულ პრესაში XIX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან ჩნდება. იგი აქტიურად თანამშრომლობს ეროვნული მიმართულების ჟურნალ-გაზეთებთან – “ივერია”, “დროება”, “მოგზაური”...

ლევან დაღეშქელიანის დაბადების თარიღი 1873 წელია, გარდაცვალებისა კი ჭერჯერობით, უცნობია, რადგან ლევან დაღეშქელიანის კვალი ქრება 1905 წლის ცნობილი მოვლენების დროიდან და, სამწუხაროდ, დღემდე მისი შემდგომი ცხოვრების გზა, გარდაცვალებისა და დასაფლავების დრო და ადგილი, უცნობია.

ლევან დაღეშქელიანი სვანეთის მთავართა შთამომავალია. იგი თენგიზ დაღეშქელიანის ძმისშვილია. მამამისი ბექირბი დაღეშქელიანი ცხოვრობდა ცხუმარის თემში (ბალსქვემო სვანეთი), სადაც მდებარეობდა დაღეშქელიანთა ერთ-ერთი რეზიდენცია. ამ ოჯახს დიდი სიყვარულით იხსენიებს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი. ცნობილია, გაბრიელ ეპისკოპოსმა ორჯერ შემოიარა სვანეთი (1864 და 1873 წლებში) და ორივეჯერ წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის მასპინძლები თავადი თენგიზ დაღეშქელიანი და მისი ძმები იყვნენ (გაბრიელ ეპისკოპოსი, 1867; გაბრიელ ეპისკოპოსი, 1875): “თენგიზი და მისი მეუღლე, აფხაზეთის თავადთა საგვარეულოდან, არიან მორწმუნენი, ზნეობრივნი... მათ დიდი სიყვარულით მიგვიღეს. სტუმართმოყვარული ტრადიციის მიხედვით, თვითონ თენგიზი და მისი ძმა ფეხზე იდგნენ და გვემსახურებოდნენ” (გაბრიელ ეპისკოპოსი, 1867). მეორე მოგზაურობის დროსაც გაბრიელ ეპისკოპოსი დაღეშქელიანებს სტუმრობდა ეცერის სასახლეშიც და ცხუმარშიც, ბექირბის ოჯახში (გაბრიელ ეპისკოპოსი, 1875).

ლევან დაღეშქელიანი ძირითადად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქუთაისსა და ცაგერში. მისი მეუღლე იყო ბარბალე გრიგოლის ასული გელოვანი (თ. მიბჩუანი, 2003, გვ. 76). ჩვენთვის უცნობია ლევანის ცოლ-შვილის შემდგომი ბედიც.

ლევან დაღეშქელიანი მონაწილეობდა 1905 წლის მღელვარებებში. იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდა ლეჩხუმსა და სვანეთში. 1905 წლის გამოსვლების ჩასმობის დროს სადამსჯელო რაზმებმა გადაწყვეს ლევანის სახლ-კარი ლეჩხუმში (ე. გაბლიანი, 1925, გვ. 109-110), დააპატიმრეს თვითონაც და მისი ცოლ-შვილიც. ამის შემდეგ ლევან დაღეშქელიანის კვალი ქრება. მისი შემდგომი ცხოვრების შესახებ არაფერი ვიცით. ერთი გადმოცემით, ლევანი გაექცა ჟანდარმებს და თავი თურქეთს შეაფარა, სადაც მალე გარდაიცვალა; სხვა გადმოცემით, იგი ჟანდარმებმა მოკლეს ქუთაისში და ეს ამბავი სასტიკად გაასაიდუმლოეს.

ქართულ პერიოდულ გამოცემებში ლევან დადემშქელიანის პუბლიკაციები 1890-იანი წლებიდან ჩნდება. მისი პუბლიცისტიკის მთავარი მიმართულება ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების ქადაგებაა. იგი ერთგულია "ივერიის" კულტურულ-საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებებისა.

ლევან დადემშქელიანი აქტიურად ეხმაურება ყოველ ეროვნულ წამოწყებას და განსაკუთრებული ენთუზიაზმითა და ექსპესიულობით ცდილობს დიდი ილიას იდეების ცხოვრებაში რეალიზებას.

პუბლიცისტური მოღვაწეობის პარალელურად, ლევან დადემშქელიანი ლეჩხუმის თავადაზნაურთა საკრებულოს წევრია და 1900-1905 წლების განმავლობაში ამ საკრებულოში განსახილველად დასმული თითქმის ყველა ეროვნული მნიშვნელობის საქმის ინიციატორი და შემსრულებელია.

ლევან დადემშქელიანი საგაზეთო წერილებს, უმეტეს შემთხვევაში, სრულად აწერს სახელს და გვარს, ზოგჯერ გვარის ფორმა ოდნავ შეცვლილია "ლევან დადემშქელიანი"; ხანდახან კი "ლე- და-". ხან მხოლოდ ინიციალებით — "ლ. დ. ". ასევე, ლევან დადემშქელიანის ფსევდონიმებია: "დაშდან-გელან", "დაგდაშან-გელან-სვანი", "ბუნებით სვანი"...

ერთ-ერთ პირველივე წერილში ლევან დადემშქელიანი ქართული კულტურის მოამბეად წარმოგვიდგება. იგი აღწერს სვანეთის ყოფას და სახარულით აღნიშნავს, რომ "სვანეთის ცხოვრებას მოლიმარე მხარეცა აქვს. ეს არის სწავლა-განათლება: აქ დაარსდა 7 სკოლა ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისა, რომელმაც მსწრაფლ მოიზიდა ხალხი. მიზეზი კი უნდა იყოს, რომ ამ სკოლებში ქართულსაცა აქვს ყურადღება მიქცეული, რადგან საზოგადოდ ხალხი ძლიერ მონდომებულია შეისწავლოს ქართული წერა-კითხვა. მარტო ეცერის საზოგადოებაში 90 მოწაფეა. არა-თუ მარტო შვილების სწავლას ცდილობენ მშობლები, თვითონაც არიან მსურველნი ქართულის წერა-კითხვის შესწავლისა. მაგალითად, ცხუმარის სკოლის მასწავლებელმა ბატონმა ჩლაიძემ გახსნა საკვირაო სკოლა, რომელშიც დაიარებიან ხანში შესული კაცებიც და გულს მოდგინეთ სწავლობენ ქართულ წერა-კითხვას. დიდის მადლობის ღირსნი არიან. მასწავლებლები, რადგან გულწრფელად და დაუღალავად ასრულებენ მათს წმიდა მოვალეობას ამ ყოვლის მხრივ შევიწროებულს ქვეყანაში. ყველა ამ სასურველ მოვლენას ხელს უწყობენ ადგილობრივი თავადები და სამღვდელთა" ("ივერია", №66).

ლევან დადემშქელიანი ზრუნავს ლეჩხუმში ახალი სასწავლებლის დაარსებისთვის. "მთავრობამ გადასწყვიტა დაარსდეს ლეჩხუმში სამ-კლასიანი სასწავლებელი... კარგი იქნება მთავრობამ დანიშნოს კომისია და დაავალოს საუკეთესო ადგილის მოპოება ამ სკოლის შენობის ასაგებად" ("ცნობის ფურცელი", №2010).

ლევან დადემშქელიანი დიდი გულისყურით ადევნებს თვალს სვანეთის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას, ეხმაურება მასწავლებელ ალფეზ მუსერიძის ტენდენციურ წერილს, რომელშიც სუბიექტური კუთხითაა გაშუქებული სვანეთის სკოლების მდგომარეობა. ვითარების უკეთ შესწავლის მიზნით, ლევან დადემშქელიანი მიდის ზემო სვანეთში და საკუთარი თვალთ ნანახ ფაქტობრივ მასალას სთავაზობს მკითხველს: "მგონია, ბ-ნი მუსერიძეც დამეთანხმება, რომ ხალხის გაწვრთნასა და გამოფხიზლებას

არა თუ ხუთსა და ექვსს, არამედ ოცსა და ორმოცს წლებს ანდომებენ და მაშინაც ვერ ასრულებენ საქმეს ისე, როგორც სასურველია... წინსვლა სვანეთში ადვილათ მიმდინარეობს, რადგან ხალხი ნიჭიერია. სამწუხაროდ, მეთაურებსა და დროებით მუშაეთ აკლიათ როგორც ხალხის საკეთილდღეოდ ზრუნვა, ისე მოთმინებაცა... არ შემძლია არ ვუსაყვედურო თავად დადემშქელიანებს და ზოგიერთ მასწავლებლებს. პირველად გულუხვად გაუწოდეს ხელი და ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინეს სკოლებს დაარსებიდან შარშანდლამდე, მერმე კი ერთობ შეასუსტეს თავიანთი ზეგავლენა სკოლების სასარგებლოდ. ხოლო ზოგიერთნი მასწავლებელნი სრულიად არ სცდილობენ ხალხის დაახლოვებას და დაკავშირებას... დღემდის ჩინებულად დაწყებული საქმე ჩინებულადვე მიდიოდა, მაგრამ დღეს კი შთანთქა მისი სხივმომფენი ნათელი რაღაც ძლიერებამ. ავიღებ მაგალითად ეცერის სკოლას, რომლის მასწავლებლად წელს თვით ბ-ნი მუსერიძე ბრძანდება. ამ სკოლაში წინა წლებში 55-ზედ მეტი მოწაი დაიარებოდა, წელს კი 15 მოწაფეც არ დაიარება. რა არის მიზეზი? სამწუხაროდ, ბ-ნი მუსერიძე გვერდს უხვევს ნამდვილს მიზეზს და ძაგა... ერთ სვანურ ანდაზას: მონადირე დათვის თვალით ხედავდა და კვალს კი ეძებდაო. **ჩემის აზრით მიზეზი სწავლის შეფერხებისა არის ახლად მოგონილი უკუღმართი პროგრამა (ამით ჭერ არ ხელმძღვანელობენ სვანეთში, მაგრამ მარტო მისის შინაარსის გაგონებით ისე დაშინდნენ სვანები, რომ ერთი მესზუფედი მოხწავლაც არ დაიარება წელს სკოლებში** ("ივერია", №137).

ეს "უკუღმართი პროგრამა", რომლითაც ქართული ენის სწავლესა უნდა შეწყვეტილიყო აფხაზეთში, სვანეთსა და სამეგრელოში, ძალიან მალე ამოქმედდა სვანეთშიც, რასაც ადგილობრივი განათლებული საზოგადოებისა და საერთოდ მთელი მოსახლეობის მძაფრი რეაქცია მოჰყვა.

1902-1904 წლების ეროვნული მიმართულების ქართული პრესა აქტიურად აშუქებდა სვანეთისა და სამეგრელოს მოსახლეობის უკმაყოფილებასა და პროტესტს, გამოწვეულს ხელისუფლების ახალი სასწავლო პროგრამით, რომლითაც ადგილობრივ სკოლებში ქართული ენის ნაცვლად სლავურ გრაფიკას მორგებული ე. წ. სვანურ-მეგრული სახელმძღვანელოებით უნდა ეხელმძღვანელათ. "ივერიის" ერთ-ერთ მთავარ წერილში ამ პროგრამის ანტიპუმანური, ანტიეროვნული ხასიათია შეფასებული: **"მოულოდნელი ახთა, შეუძლებელი აცხადდა. და აცხადდა მხოლოდ ჩვენში და სხვაგან არხათ არც სომეხთა შორის, არც თათართა შორის და არც სხვა კავკასიელებში არ აღმოჩენილა იმისთანა ჭკვა-მოკლე და უკუღმართი ადამიანი, რომელსაც ეთქვას, სკოლებში სწავლება თემურ კილო-კავებზე უნდა იყოს და არა დედაენაზეო"** ("ივერია", №186).

1903 წლის 28 მარტის ლენჩხუმის თავად-აზნაურთა კრებაზე ლევან დადემშქელიანმა წამოჭრა საკითხი "სვანეთში, როგორც საქართველოს ერთ მხარეს და თვით ქართველთ ტომით დასახლებულს, არ მოიხმოს პირველ დახაწყის სკოლებში ქართული ენა. კრებამ

დიდი სიამოვნებით მიიღო ეს სარჩელი და ოქმში შეიტანა“ (“ივერია”, №77).

ლევან დადემშქელიანის წინადადებას გამოეხმაურა “ივერია” მეთაური წერილით: “ექვი არ არის, რომ ასეთი დადგენილება გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი გადამთიელი პოლიტიკანი ქადაგებს ჩვენს დაყოფას, დანაწილებას, რა არის სვანები და მეგრელები ქართველები არ არიან და ქართულს ენას რა ხელი აქვს ან მათ სასწავლოში, ან მათ სალოცავშიო. **საბრალოა, როცა ვინმე ამტკიცებს სვანური და მეგრული ქართული არ არისო...** ქართველმა რომ ქართული ენა ისწავლოს, არა თუ დასაწყის, არამედ საშუალოსა და უმაღლეს სკოლაშიც ბუნებრივი საქმეა, ჩვენ ბუნებრივი სიმართლეა... ყოველი მორიგი საზოგადო კრება თავად-აზნაურობისა, როგორც იმერეთის, ისე ამერეთისაც, ვალდებულია ქართული ენის სათანადო სწავლებას თვალყური ადევნოს” (“ივერია”, №79).

ლევან დადემშქელიანის ამ სარჩელს საზოგადოების დიდი გამოხმაურება მოჰყვა. “ივერიის” შემდეგი ნომრის მთავარი სტატიაც კვლავ ამ წერილს უბრუნდება: “ადგილობრივის ენების სწავლება სავალდებულო უნდა იქმნეს ამიერ კავკასიის საშუალო სკოლებში” (“ივერია”, №80).

ამ მეტად მტკივნეული თემის განხილვა გრძელდება შემდეგ ნომრებშიც: ცნობილი მოღვაწე და პუბლიცისტი ქაიხოსრო გელოვანი **ლევან დადემშქელიანის მიერ წამოჭრილ პრობლემას “ფრიად მნიშვნელოვან სარჩელს” უწოდებს.** იქვე იგი გვთავაზობს მოკლე ექსკურსს სვანეთის ისტორიიდან: “იმის დასამოწმებელი საბუთების აღნუსხვა, რომ სვანები ტომით... იგივე ქართველი ხალხია, — რასაკვირველია, ვინც ჩვენის წარსულის ყოფა-მდგომარეობის ცოტა რამ მაინც იცის, — მისთვის საჭირო აღარ უნდა იყოს... სვანების დედაენა, რომლითაც მას შეუძლიან გამოსთქვას სავსებით თავისი აზრი და გრძობანი, რომლითაც შეუძლიან შეიძინოს გონებრივი განვითარება და ყოველგვარი სწავლა, არის ქართული ენა, ის ენა, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი ანბანი, თავისი ისტორია, თავისი ლიტერატურა” (“ივერია”, №82).

ამავე თემატიკას განიხილავს ცნობილი საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ლოლუა სამეგრელოს მაგალითზე: მეგრელები “დღეს იძულებულნი არიან ფარულად ისწავლონ იგი (ქართული), როგორც პირველ დღეთა ქრისტიანენი ლოცულობდნენ” (“ივერია”, №82). ამავე საკითხს ეხმაურება დუტუ მეგრელი (“ივერია”, № 128) და ა. შ.

ქართული ენის სწავლების აკრძალვამ და დედაენის ნაცვლად გაურკვეველი სლავურ-სვანური სახელმძღვანელოებით სწავლების დაწყებამ ისე შეძრა სვანეთის საზოგადოება, რომ ამ მხარის თერთმეტივე სკოლაში სწავლის პროცესი შეჩერდა. ამასთანავე, წირვა-ლოცვაზე დასწრებაც შეწყვიტა მოსახლეობამ, რადგან მათთვის წარმოუდგენელი მკრეხელობა იყო საეკლესიო სწავლების მოსმენა არა მშობლიურ ქართულ ენაზე, არამედ ხელოვნურად შექმნილი სლავურ-სვანური ლოცვებისა და წიგნების საფუძველზე.

ლევან დადემშქელიანი ღრმად და ამომწურავად აშუქებს სვანეთში შექმნილ მიძიმე ვითარებას, აღწერს რა აღშფოთებული ადგილობრივი

მოსახლეობის სულიერ მდგომარეობას. ამასთანავე, იუმორისტული შტრიხებით გვიხატავს რუსეთის იმპერიალისტური იდეოლოგიის ხაზის გამტარებელს — ადგილობრივ მასწავლებელ გაბროს (გაბრიელ ნიჟარაძე). ლ. დადეშქელიანის ამ წერილს ეპიგრაფად აკაკის სტრიქონები აქვს წამძღვარებული: *“კრულია მისი ხსენება, ვინც დაჰმობს დედა-ენასა, თვის ტომს ღალატობს და მითი აპირობს მალა ფრენასა”* (აკაკი). შემდეგ კი წარმოდგენილია სვანეთში შექმნილი ვითარება: **“იმ რაღაც “უკულმართმა პროგრამამ” სვანები ერთობ ააღვლა და ამბობდნენ: ჩვენს ბავშვებს სკოლაში არ გავუშვებთო, რადგან სამშობლო ქართული ენა გამოიცხვლია და უიმისოდ ყოველი შრომა უნაყოფო იქნებაო... აღმოგვიჩნდა ისეთი “მოღვაწე”, ჩვენი კუთხის შვილი, განათლებული “გაბრო” — დაიწყო ქადაგება უაზრო: “თქვე ბრიყვნო და ბრმანო! რისი საქართველო, რის ქართული ენა! ჩვენ ხომ ქართველები არა ვართ, სვანები ვართო. ჩვენთვის საჭიროა “უცხო ენით” გავნათლდეთ და “უცნაური” ენით შემოვიღოთ ეკლესიებში წირვა-ლოცვა”** სვანეთის გმირი “გაბრო უმგულიანიცი” (უკულმართი) თავის ქადაგებით მსწრაფლ გაემართა იქით, საიდანაც მიჰქრის სიო “უმგულობისა”. მას ამბობი უყვეს და დანიშნეს მესტიის მასწავლებლად... როდესაც ერს ამგვარი მალა გონიერი და განსწავლული შვილი დაგებადება, მოდი ლა სინარულისაგან სული ნუ შეგიხუთდება და თავქვე ნუ დაემხობი. (“ივერია”, №267).

სვანეთის მოსახლეობის მღელვარება გავრცელდა მთელ საქართველოში. ხალხის უკმაყოფილებას გამოეხმაურნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეებაც. დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე, დეკანოზი ივანე მარგიანი, ქაიხოსრო-გელოვანი, ეგნატე გაბლიანი... პერიოდული პრესის მასალებიდან ჩახს, რომ სვანეთის სკოლებში მთელი ნახევარი წლით ჩაიშალა სწავლის პროცესი. ასეთივე მღელვარებამ მოიცვა სამეგრელოს მოსახლეობაც. შემდეგ კი ხელისუფლება იძულებული გახდა, ადგენინა ქართული ენის სწავლება სვანეთშიც და სამეგრელოშიც.

ლევან დადეშქელიანი გამოეხმაურა რუსეთის სინოდის შორსმძიავალ მცდელობას, სვანეთის ეპარქიის სოხუმთან შეერთების შესახებ: “სვანეთი სოხუმის ეპარქიას უნდა შეუერთონო. ამ ამბავმა თავზარი დაგვცა... სვანეთსა და სოხუმს შუა ორი ეპარქია სძევს. ან რა დასაჯერებელია, ერთი მუჭა სვანეთი მახლობელს ეპარქიებს მოსწყვიტონ და შორეულს (სოხუმის) ეპარქიას მიაკრან... სვანეთი ლეჩხუმის მაზრისაა, საერო სასამართლო ლეჩხუმსა და ქუთაისს იყოს და სასულიერო — სოხუმსა და ბათუმში. ეგ შეუძლებელია ისედაც აწეწილსა და ღარიბ-ღატაკ სვანეთისათვის... ეს და მრავალი ამისთანა ამბავი იმ “ვესტიკების” ღალადია, რომელთაც არაერთხელ გამოულაშქრნიათ უკულმართის აზრით ჩვენის ქვეყნის დასაწვრილმანებლად. სრული იმედი გვაქვს, სათანადო მთავრობა არ მიაქცევს ყურადღებას მაცდურსა და მავნე “ელემენტების” ღალადს” (“ივერია”, №260).

ლევან დადეშქელიანი ცდილობს სვანეთის ყოფითი პრობლემების მოგვარებასაც. ამ პერიოდის სვანეთს აწუხებდა უგზობობა, უქეიმიობა, მხარეს არ ჰყავდა მსაჯული... ლევან დადეშქელიანი რამდენიმე სტატიაში

მოითხოვს სვანეთის გზებისათვის გამოყოფილი თანხის მიზნობრივ დახარჯვას, სახალხო სამკურნალოს აშენებას, მუდმივ მსაჯულს სვანეთისათვის: “ამ სამიოდე წლის წინად დიდად მოხარულნი ვიყავით, რადგან გავიგეთ, რომ მთავრობამ 40000 ათასი მანეთი გადასდო სვანეთის გზებისათვის, სახალხო სამკურნალოსაც აგვიშენებნო, ექიმი და მსაჯული მუდმივი გვეყოლებო. მაგრამ ვერაფერს მაგას დღემდისაც ვერ მოვესწარით. ექიმი აქ მოდის ივლის-10 სექტემბრამდე. მაშინ კი, როცა ხალხი ვაცივებისაგან, ან სხვა რაიმე სენისაგან იხოცება, უშემწეოდ ვართ” (“ივერია”, №66).

სვანეთის საჭირბოროტო საკითხებს ლევან დადემშქელიანი ხშირად უბრუნდება. აღსანიშნავია, რომ მან ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა ერთ-ერთ კრებაზე, თავადიშვილისათვის გასაოცარი წინადადებაც წამოაყენა: “რადგანაც გზები, წოდების განურჩევლად, ყველასთვის საჭიროა, იმისათვის არ იქნება ურიგო, რომ ჩვენ, თავად-აზნაურობამ, თოხით და ბარით მუშა ხალხს ნივთიერი შემწეობა აღმოვუჩინოთ”-ო. ცხადია, მის ამ წინადადებას მხარდამჭერნი არ აღმოუჩნდნენ (“ივერია”, №77).

ცნობილი სასულიერო და საერო მოღვაწის მღვდელ პოლიეექტოს კარბელაშვილის სვანეთში მოგზაურობის ჩანაწერებში ლევან დადემშქელიანის კიდევ ერთი დიდი დამსახურების შესახებაა ინფორმაცია დაცული. კალას თემიდან გრაფ ლევაშოვს “სახარება დროებით წაუღია პეტერბურგში. რამდენიმე წელი გასულა და სახარების დაბრუნება ფიქრადაც არავის მოსდიოდა. დაიწყეს კალელებმა ჩოქოლი — ჩვენი სალოცავი სახარება მოგვიტანეთო. ამიტომ კეთილშობილებით სავსე ლევან დადემშქელიანს ერთი განგაში აუტეხია სატახტო გაზეთებში. ამის გამო გაბრიელ ეპისკოპოსს მიუმართავს არზით დიდის მთავრისთვის... სახარება დაუბრუნებიათ და გაბრიელისათვის ჩაუბარებიათ” (“ივერია”, №233).

ლევან დადემშქელიანი და მისი ოჯახი მატერიალურადაც ეხმარებოდნენ ღარიბებსა და უმწეებს. 1903 წელს მოუსავლიანობამ და სტიქიურმა უბედურებამ დიდად დააზარალა ზემო სვანეთი. მათ დასახმარებლად ლევანის მამამ — ბექირბი დადემშქელიანმა “დაზარალებულთა დახმარების კომიტეტი” შექმნა ცხუმარის თემში. “დაზარალებულთა სასარგებლოდ სოფ. ცხომარში ცოტა რამ შეიკრიბა. დაზარალებულთათვე შესწირა 12 ფუთი პური თავადმა ბექირბი დადემშქელიანმა”. იქვე ლევან დადემშქელიანი მსურველებს აცნობებს, რომ დახმარების გაწევა და შემოწირულობის მიღება შესაძლოა ცაგერშიც (“ცნობის ფურცელი”, №2300).

ლევან დადემშქელიანი ქართული კულტურის დიდ მოამაგედ გვევლინება და მხარში უდგას ყოველ სასიკეთო წამოწყებას. “ცნობის ფურცლის” ერთი ინფორმაციით, “ლეჩხუმიდან გვატყობინებენ, რომ უოშხის საზოგადოების ს. ჭრებალს ამიერიდან კვირაში ორჯერ გაიმართება ბაზრობა... ბაზრობის გახსნა დანიშნულია 30 აპრილს... იმავე საღამოს, იქვე თავად ლევან დადემშქელიანის თაოსნობით და გამგებლობით. **“ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” ხახარჯებლად გაიმართება ქართული წარმოდგენა.** იგი გაიმართება აგრეთვე კვირას, 2 მაისს” (ცნობის ფურცელი, №2434).

1905 წლის მღელვარებების დროს ლეჩხუმში მომხდარი შეტაკებისას დაიღუპა შამშე გელოვანი. მისი დასაფლავების დღე მთელ ლეჩხუმის მაზრაში ცარიზმის საწინააღმდეგო გამოსვლებით აღინიშნა. მიტინგზე სიტყვით ლევან დადეშქელიანიც გამოვიდა. საარქივო მასალებით, ლეჩხუმისა და სვანეთის რევოლუციურ გამოსვლებში ლევან დადეშქელიანი აქტიურად მონაწილეობდა (ე. გაბლიანი, 1925, გვ. 109-110). სადამსჯელო რაზმმა “დააპატიმრა ლეჩხუმის მაზრაში აჯანყების ხელმძღვანელის ლევან დადეშქელიანის ცოლ-შვილი და გადასწვა მისი სახლ-კარი” (ე. გაბლიანი, 1925, გვ. 110).

ამრიგად, ქართული პერიოდული პრესისა და ლეჩხუმის თავდაზნაურთა საკრებულოს ოქმების მიხედვით, ასევე, მცირეოდენი ეთნოგრაფიული მასალით, ლევან დადეშქელიანი წარმოგვიდგება დიდი ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებისა და “ივერიის” საზოგადოებრივ-კულტურული მიმართულების მიმდევრად და განმახორციელებლად. სამწუხაროა, რომ მისი კვალი უცნაურად ქრება ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან¹.



ლევან დადეშქელიანი

¹ პატივცემულო მკითხველო, უმორჩილესად გთხოვთ, მოგვაწოდოთ ლევან დადეშქელიანის შესახებ არსებული დოკუმენტური ან ეთნოგრაფიული მასალა.

დამოწმებული ლიტერატურა

- ე. გაბლიანი, 1925 - ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925.
- გაბრიელ ეპისკოპოსი, 1867 — Православие на Кавказе, Обзорение сванетских приходов. Из Записок преосвященного Гавриила епископа имеретинского. Из журнала Православное Обзорение, январь, М., 1867.
- გაბრიელ ეპისკოპოსი, 1875 — Отчетъ Общества Возстановления Православного христіанства на Кавказе за 1873 г. Тифлис 1875 г.
- “ივერია”, №66 — გაზ. “ივერია”, 27 მარტი, №66, 1902.
- “ივერია”, №260 — გაზ. “ივერია”, 5 დეკემბერი, №260, 1903.
- “ივერია”, №267 — გაზ. “ივერია”, 14 დეკემბერი, №267, 1903.
- “ივერია”, №77 — გაზ. “ივერია”, 10 აპრილი, №77, 1903.
- “ივერია”, №137 — გაზ. “ივერია”, 26 ივნისი, №137, 1903.
- “ივერია”, №79 — გაზ. “ივერია”, 12 აპრილი, №79, 1903.
- “ივერია”, №80 — გაზ. “ივერია”, 13 აპრილი, №80, 1903.
- “ივერია”, №82 — გაზ. “ივერია”, 16 აპრილი, №82, 1903.
- “ივერია”, №233 — გაზ. “ივერია”, 1 ნოემბერი, 1903.
- თ. მიბზუანი, 2003 — თ. მიბზუანი, კონსტანტინე დადიშელიანი, თბ., 2003.
- “ცნობის ფურცელი”, №2300 — გაზ. “ცნობის ფურცელი”, 22 ოქტომბერი, №2300, 1903 წელი.
- “ცნობის ფურცელი”, №2010 — გაზ. “ცნობის ფურცელი”, 11 დეკემბერი, №2010, 1904 წელი.
- “ცნობის ფურცელი”, №2434 — გაზ. “ცნობის ფურცელი”, 10 მარტი, №2434, 1904 წელი.
- “ცნობის ფურცელი”, №2300 — გაზ. “ცნობის ფურცელი”, 22 ოქტომბერი, №2300, 1903 წელი.
- “ცნობის ფურცელი”, №2010 — გაზ. “ცნობის ფურცელი”, 11 დეკემბერი, №2010, 1904 წელი.
- “ცნობის ფურცელი”, №2434 — გაზ. “ცნობის ფურცელი”, 10 მარტი, №2434, 1904 წელი.

ROZETA GUJEJANI

FROM THE HISTORY OF THE GEORGIAN SOCIETY THOUGHT
(Levan Dadashkeliani – a public man and publicist)

Levan Dadashkeliani's name appeared in the Georgian press since the last decade of the 19th century. He worked actively with "Iveria," "Droeba," "Mogzauri", - the newspapers and magazines writing about national concerns and issues of the period. Levan Dadashkeliani's birth date is 1873 but the date of his death is shrouded to these days. His trace vanishes since the crushing of the rebellion of 1905 and unfortunately, his further life route, death and time and place of his burial is unknown.

Levan Dadashkeliani was a scion of the Svan aristocratic family. His father, Bekirbi Dadashkeliani, lived in Tskhumari community (Balskvemouri Svaneti), where there was one of the mansion houses of the Dadashkeliani family. This family is mentioned with great warmth and love in Saint Gabriel the Bishop's writings. The Bishop travelled twice in Svaneti and in both instances his hosts were prince Tengiz Dadashkeliani and his brothers.

Levan Dadashkeliani lived and worked mainly in Kutaisi and Tsageri. He was married to Barbale Grigolis-asuli Gelovani.

Levan Dadashkeliani participated in the destabilization events of the country of 1905. He carried out the propaganda of the national-liberation ideas in Lechkhumi and Svaneti. After the suppression of the revolutionary actions of the masses punitive troops burnt Levan Dadashkeliani's domicile in Lechkhumi. They arrested him and his wife and children. Since then Levan Dadashkeliani's trace vanishes. We do not know anything about his further life. Without direct evidences Levan Dadashkeliani is said to have escaped from gendarmes and found a haven in Turkey, where he died soon. According to some other versions he was killed in Kutaisi by gendarmes and the case was made a strictly secret.

In the Georgian periodicals Levan Dadashkeliani's publications come out from 1980. The basic directions of his articles are the preachings of the ideas of the national liberation movement. He is faithful to the *Iveria* cultural and political views.

Parallel to his publicistic exploits Levan Dadashkeliani is an active member of the Lechkhumi Nobility Assembly and is the initiator of almost every single question of national importance stipulated in the Assembly meetings and implemented during the years 1900- 1905.

In most cases Levan Dadashkeliani puts his full name on the newspaper articles, sometimes slightly changing it as Levan Dadashkeliani/Dadashkeliani or "Le- Da-," with initials "L.D." Or sometimes he uses his pen-names: "Dashdan-Gelan", "Dagdashan-Gelan-Svani," and "Bunebit-Svani"...

Levan Dadashkeliani is a guardian and a charity monger of the Georgian culture. He strives for the opening and furnishing of schools in Svaneti and Lechkhumi and keeps an alert eye on the social and cultural life of these regions. He is very enthusiastic

in teaching the Georgian language in these schools. He is against footing the program labelled by the public as “the perverse program”, which was intended to expunge the Georgian literacy in the schools of Abkhazia, Svaneti and Megrelia. Nationally oriented Georgian press actively elucidated the problem and Levan Dadashkeliani was one of the most interesting publicists who discussed the issue. In March 28, 1903 in the Lechkhumi Nobility Essambly he brought to the agenda the restoration of teaching in the Georgian language. The Essambly was unanimous in adopting the Levan Dadashkeliani’s action and had it registered in the proceedings. Levan Dadashkeliani got a great number of positive feedbacks from the Georgian public men. *Iveria* supported him with an editorial article (“All are miserable who do not think of Svan and Megrelian as Georgian”.)

Banning the Georgian language and replacing the mother tongue with obscure Slavonic mixed with Svan vernacular triggered off the protest waves among the Svan population and all the eleven schools of the region suspended the academic process. At the same time people ceased to attend divine services at the churches as they thought it was sin to listen to prayers presented in new books on the artificial Slav-mixed-with Svan language and not in their native Georgian language. Levan Dadashkeliani investigated the situation and reported the story to readers.

The unrest of the Svan population spread all over the Georgia. Eventually the Government had no other way than to restore the Georgian language in Svaneti and in Megrelia as well.

Levan Dadashkeliani made all efforts to solve everyday problems of the Svaneti and Lechkhumi regions and often returned to the same questions over and over again until accomplishing the aims.

Levan Dadashkeliani and his family gave charity to poor and needy.

According to the Georgian periodicals of the time and to the recorded proceedings of the Lechkhumi Nobility Essambly and also to some scanty ethnographic materials Levan Dadashkeliani is presented as the avid follower and the realizer of the national liberation ideas developed by Ilia Chavchavadze and of social and cultural directions promulgated in the pages of *Iveria*.

ბიჭიკო ღიასამიძე

აჭარა ოსმალთა ბატონობის პირველ ათწლეულაებში

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით აჭარის ისტორიის ის მონაკვეთი, რომელიც ოსმალთა ბატონობის დამყარების მოვლენებს ასახავს, ბოლო დრომდე, შეიძლება ითქვას, ბურუსით იყო მოცული ისტორიული წყაროების უქონლობის გამო. მართალია, ცნობილი მკვლევრების გ.ტივაძის, მ.სვანიძის, ნ.შენგელიას, ხ.ახვლედიანის, შ.ვარშანიძისა და სხვათა ნაშრომებში არაერთი საკითხია გაანალიზებული ოსმალთა ბატონობის დროინდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, მაგრამ აჭარის შესახებ ბევრი საკითხი ვარაუდის დონეზე იყო გაშუქებული და ახალ დასაბუთებებსა და არგუმენტებს საჭიროებდა.

ბოლო წლებში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა და საქართველო-თურქეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთთანამშრომლობამ და მეგობრობამ შესაძლებელი გახადა თურქეთის არქივებსა და წიგნთსაცავებში მოძიებულიყო ჩვენი ისტორიისათვის უძვირფასესი მასალა. მხედველობაში გვაქვს ბატონების ნოდარ შენგელიასა და ზაზა შაშიკაძის მიერ თურქეთის არქივებში მიკვლეული დოკუმენტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, უფრო ობიექტურად გავიაზროთ XVI საუკუნის II ნახევრის აჭარისწყლის ხეობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება ოსმალთა ბატონობის დამყარების პირველ ათწლეულებში.

პირველი საკითხი, რომელიც ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს, ესაა აჭარისწყლის ხეობაში ოსმალთა ბატონობის დამყარების თარიღის განსაზღვრა. ბოლო წლებამდე იგი XVII საუკუნის პირველი ათწლეულებით (პირველი ნახევარი) განისაზღვრებოდა, რადგან 1595 წლით დათარიღებულ “გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში” აჭარა არაა მოხსენიებული და ითვლებოდა, რომ ამ დროს ჯერ კიდევ თავისუფალი იყო ეს მხარე ოსმალთაგან, თუმცა 1611 წლიდან, სულთან აჰმედ I-ის დევთერდარის აინი ალის დავთრის მიხედვით, აჭარის სანჯაყი (შიდამთიანი აჭარა) ჩილდირის ანუ ახალციხის ვილაიეთში შედიოდა, ხოლო ბათუმის სანჯაყი — ტრაპიზონის ვილაიეთში (მ. სვანიძე, 1960, გვ. 46-47). ასე რომ, ოსმალთაგან აჭარა დაპყრობილი ჩანს XVII საუკუნის დასაწყისიდან, თუმცა ეს თარიღი კიდევ უფრო ზუსტდება ბოლო წლებში სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში აღმოჩენილი ორი დოკუმენტით (ზ. შაშიკაძე, 2002, გვ. 156).

პირველი დოკუმენტი, რომელიც 1561 წლით არის დათარიღებული, გვაუწყებს, რომ აჭარის ხეობის სახელწოდების ნაპივს უფლებს გარეშე განაგებს ქრისტიანი ბეჟანი, მისი ძალაუფლება არ ვრცელდება ას კაცზეც, მას არ ძალუძს სანჯაყის დაცვა, აწყობს არეულობებს და დაუმორჩილებელია. ამიტომ, არზრუმის ბეგლარბეგის ბრძანებით, იგი ჩამოერთვა მას და

აჭარის ლივის ხეობა გადაეცა ისპირის სანჯაყბეგ მეჰმედს (ზ. შაშიკაძე, 2002, გვ. 156).

მეორე დოკუმენტით, რომელიც 1563 წლით თარიღდება, ვიგებთ რომ “აღნიშნული აჭარის ქვეყნის განდგომილ თავადთაგან ბეჟანბეგი დედაქალაქში ჩავიდა, მორჩილებისა და ერთგულების ფიცის მიღების შემდეგ ისლამი აღიარა, სამასი ათასი ებოძა და მეჰმედის სახელი დაერქვა” (ზ. შაშიკაძე, 2002, გვ. 156).

ამ დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ აჭარისწყლის ხეობას 1561 წლამდე მართავდა ქრისტიანი ბეჟანი, რომელიც აწყობდა არეულობებს ოსმალთა წინააღმდეგ, არ ემორჩილებოდა მათ. ამიტომ იმის მომიზეზებით, რომ მას არა აქვს საკმარის ძალა და ვერ დაიცავს სანჯაყს, იგი გადააყენეს და აჭარის ხევი დაუმორჩილეს ისპირის სანჯაყბეგს. 1563 წელს ბეჟანი ჩავიდა სტამბოლში, სულთნის წინაშე ერთგულების ფიცი დადო, მუსლიმანობა აღიარა და ამის სანაცვლოდ სანჯაყბეგობაც მიიღო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1563 წლიდან აჭარისწყლის ხეობაში ოსმალთა მმართველობა დამყარდა. ამ აზრს უფრო აძლიერებს კიდევ ერთი ოსმალური დოკუმენტი — “ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი”, რომელიც, მკვლევარ ზ. შაშიკაძის აზრით, სულთან სელიმ II-ეს ხანაშია (1566-1574) შედგენილი. დავთარში შეტანილია თითოეული სოფელი კომლთა რაოდენობით. აღრიცხულია მოსახლეობისაგან დატლილი სოფლებიც კი. ამდენად, ეს არის აჭარისწყლის ხეობის ოსმალთა მიერ დაპყრობის შემდეგ შედგენილი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პირველი დოკუმენტი, რომელიც მოსახლეობაზე გადასახადების გაწერის მიზნით იყო შედგენილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირველად აჭარისწყლის ხეობის ოსმალთა მიერ დაპყრობა XVI საუკუნის 60-იან წლებში მომხდარა. ეს, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხავს ამ მხარეში დროდადრო ათაბაგთა თუ ქართველ მეფეთა გავლენის აღდგენას. ასე მომხდარა ამავე 70-იანი წლების შუა ხანებში, როცა 1574 წელს შაჰ-თამაზის მიერ სამცხის აოხრებისას დევნილი ათაბაგის დედა და შვილები თავს აფარებენ აჭარას (“ქართლის ცხოვრება”, IV, 1973, გვ. 232), ანდა 1609 წელს, როცა “შემოიკრიბნა მამია გურიელმან სპანი, შევიდა აჭარას, მოსწყვიტნა ოსმალნი და დაიპყრა კულად თვითვე აჭარა” (“ქართლის ცხოვრება”, IV, 1973, გვ. 724), მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით.

ოსმალური წყარო “ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი” ასევე საინტერესო ინფორმაციას იძლევა **აჭარის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის, ტერიტორიის შესახებ**. კერძოდ, იგი მხოლოდ აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა, როგორც ამას ფიქრობდა ზოგიერთი ავტორი, თუ მასში შედიოდა ქობულეთი, ჩაქვი და ბათუმის მიმდებარე ტერიტორიები, ანუ დღევანდელი აჭარის ტერიტორია.

“ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარის” მიხედვით, ეს ადმინისტრაციული ერთეული (ლივა) ორ ნაჰიედ (რაიონად) იყოფოდა (ზემო და ქვემო აჭარის ნაჰიე). წარმოდგენილი ადმინისტრაციული დაყოფის სურათი იმის საფუძველს იძლევა, რომ დავსვით კითხვა: რადგან არსებობდა ზემო აჭარის ლივა, ხომ უნდა არსებულებოდა ქვემო აჭარის ლივაც? თუ ეს ასე არ იყო, დავთარს რატომ ეწოდა “ზემო აჭარის” და არა საერთოდ

“აჭარის ლიგა” მაშინ, როცა მასში შემავალი ორი ნაჰიე მთელ აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა? ხომ არ იგულისხმებოდა ქვემო აჭარის ლიგაში ბათუმის ლიგა, რომელიც სხვა — ტრაპიზონის ვილაიეთში იყო გაერთიანებული მასთან ტერიტორიულად მომიჯნავეობისა და საურთიერთობოდ მოხერხებულობის გამო, სახელწოდება კი მას მთავარი ცენტრის — ბათუმისა მიეცა?

ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობა იმის შესახებ, რომ ფარნავაზმა (ძვ.წ.-ის III ს.) ქვეყანა დაჰყო საერისთავოებად და “მეექუსე ვაგზავნა ოძრხის ერისთავად, და მისცა ტასისკარიდამ, ვიდრე არსენათამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა” (“ქართლის ცხოვრება”, I, 1955, გვ. 24). ზღუამდის საზღვარი რომელ მხარეს უნდა ჰქონოდა, თუ არა აჭარას?

ვფიქრობთ, იგივე აზრი იკითხება ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაშიც, როცა გურიის აღწერისას ჯუმათის ეკლესიაზე საუბრობს. იგი, განმარტების სახით, 525-ე სქოლიოში მიუთითებს, რომ “ჯუმათი მაღალს გორზეა, საიდანაც მოჩანს მთელი იმერეთი იალბუზამდე და ფერსათამდე, აგრეთვე გურია, ბათუმის მხარე, შავი ზღვა, ფოთი” (ვახუშტი ბატონიშვილი, 1904, გვ. 313). ვფიქრობთ, აქ ავტორი ბათუმს ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად წარმოადგენს და არა გურიის შემადგენელ ნაწილად. თუმცა იგივე ვახუშტი ბატონიშვილი, გურიის აღწერისას დღევანდელი ქობულეთის რაიონს, ბათუმს, გონიოს და ერგეს გურიის შემადგენლობაში განიხილავს, ამასთან გურიის საზღვრებს ასე განმარტავს: “ზღო სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდან ზღუამდე და განი — ჭოროხიდან რიონამდე (ვახუშტი ბატონიშვილი, 1904, გვ. 323). როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილი აქ გურიის საზღვრების სხვანაირ განმარტებას იძლევა, მაგრამ ვფიქრობთ, საქმეში სიცხადე შეაქვს მისსავე აზრს ნაშრომის სხვა ადგილზე. კერძოდ, როცა იგი ამთავრებს ჭოროხის ხეობის დახასიათებას და იწყებს აჭარისწყლის ხეობის აღწერას, იგი წერს: “არამედ ვინაჲდგან აღვწერენით ბათომი, გონია და ერგე გურიასა ზედა, აწ ერგეს ზეიდამ ვიწყებთ, აჭარის წყლის შესართავიდამ (იქვე, გვ. 325). ვფიქრობთ, აქ განმარტებაა იმის, თუ რატომ იწყებს აჭარის დახასიათებას “აჭარისწყლის შესართავიდამ” (“ბათომი, გონია და ერგე აღწერა გურიასა ზედა” — ბ.ღ.). ამას მოჰყვება კიდევ ერთი განმარტება გურიის დახასიათების დასასრულს, “განა გურიელს ეპყრა ოდესმე აჭარა, ჭანეთი, არამედ არს სამცხისა” (იქვე, გვ. 324). ვფიქრობთ, აქ ვახუშტი ბატონიშვილი იმის განმარტებას იძლევა, თუ რატომ განიხილა ბათუმი, გონია, და ერგე გურიის აღწერისას: იმიტომ, რომ ისინი გურიელს ეპყრა ერხანს, ხოლო აჭარა (აჭარისწყლის ხეობა - ბ.ღ.) და ჭანეთი განიხილა სამცხეთთან ერთად, რადგან ისინი ყოველთვის სამცხის ნაწილებად მიიჩნეოდა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ცნობილი მკვლევრის — დ.ბაქრაძის XIX საუკუნის 70-იან წლებში აჭარაში მოგზაურობის ჩანაწერები, სადაც აჭარის ტერიტორიულ საზღვრებზე მსჯელობისას, ჩურუქ-სუსა (ქობულეთი) და ჩაქვის კაზებს, იგი, აჭარისაგან ხელოვნურად გამოყოფილად თვლის. იგი წერს: “ეტყობა ეს საზღვარი წარსულში არ არსებობდა და მთელი

კინტროიმის ხეობა აჭარაში შედიოდა, ზღვამდე აღწევდა და ბათუმსაც მოიცავდა” (დ.ბაქრაძე, 1987, გვ. 69). ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი დ.მუსხელიშვილი ითვალისწინებს რა საქართველოში მთისა და ბარის ტრადიციულ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა კანონზომიერებას, თვლის, რომ რადგანაც “ოდესღაც არსებობდა “ქვეყანა დიდაჭარა,” რომელიც აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა, ცხადია, ეს გულისხმობს “მცირე აჭარის” არსებობასაც. ზემოთქმულის შემდეგ არ არის გამორიცხული, რომ ეს უკანასკნელი (“მცირე აჭარა”) სწორედ დღევანდელი ბარის აჭარის უძველესი სახელწოდება იყოს. რაც შეეხება სახელწოდებას “ქობულეთს,” იგი შედარებით გვიანდელია” (დ.მუსხელიშვილი, 2007, გვ. 74). უფრო ქვემოთ, მკვლევარი კიდევ უფრო დაბეჭივებით მიუთითებს, რომ “ქობულეთი, ჩაქვი, ბათუმი, ქვემო და ზემო აჭარა “ქვეყანა აჭარის” ის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულებია, “ხევებია”, რომელთა წარმოქმნაც ჩვენ ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაში ვივარაუდეთ (იქვე, გვ.103). თუ ყველა ზემოთქმულს იმასაც დავამატებთ, რომ უძველესი დროიდან, ისტორიის ყველა ეტაპზე აშკარად ჩანს აჭარისწყლის ხეობის ზღვისპირეთთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა (ა. ინაიშვილი, 1975, გვ. 48-49; ა.კახიძე, შ.მამულაძე, 1991, გვ. 5-6; დ. მუსხელიშვილი, 2007, გვ. 90-91), კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდება XVI საუკუნის დოკუმენტიდან გამომდინარე ჩვენი ვარაუდი იმის შესახებ, რომ XVI საუკუნის 70-იან წლებში ადმინისტრაციულ ერთეულში “აჭარა” შედიოდა დღევანდელი ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებისა და აჭარისწყლის ხეობის ტერიტორიები ქალაქი ბათუმით.

განსაკუთრებით ღირებულია, ეს დოკუმენტები **აჭარისწყლის ხეობის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გასაანალიზებლად**. დავთრის მიხედვით, XVI ს. 60-იანი წლების ბოლოს, აჭარისწყლის ხეობაში 94 სოფელია 540 კომლით. აღრიცხულ სოფელთაგან 35-მდე სოფელი დაცლილია მოსახლეობისაგან, უმრავლესობაში 2-5 კომლია. ისმება კითხვა, რამ გამოიწვია აღრიცხული 94 სოფლიდან მესამედზე მეტის დაცარიელება, მათი ნასოფლარებად ქცევა? მიზეზი შეიძლება იყოს: შავი ჭირი, ხშირი ომიანობისას დიდი მსხვერპლი და მოსალოდნელი საფრთხის გამო მოსახლეობის აყრა.

მასობრივი ავადმყოფობა შავი ჭირი, რომელსაც შეეძლო მხარისათვის ასეთი ზიანის მიყენება, XIV საუკუნის შუა ხანებშია ცნობილი, ევროპაში “შავი სიკვდილის” სახელით, რომელმაც ამ კონტინენტის ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობა გაანახევრა. იგი საქართველოშიც მძვინვარებდა და მას 1366 წელს მეფე ბაგრატ V-ის მეუღლე დედოფალი ელენეც უმსხვერპლია (ივ.ჭავჭავაძის შვილი, 1966, გვ. 107), მაგრამ მანინ დაცარიელებულ-დაცლილი სოფლები XVI საუკუნის 60-იანი წლების ოსმალურ დავთარში არ არისახებოდა. ისინი ოსმალებს არც დააინტერესებდათ და გავერანებულ-გატყვევებულიც იქნებოდა. სავარაუდოა, რომ ამ სოფლების დაცარიელება, მოსახლეობის შემცირება ოსმალთა შემოსვლის ახლო ხანებში მოხდა, როცა ჯერ კიდევ იყო ნასოფლარები და ხსოვნა მათ შესახებ. ამ აზრს

სარწმუნოს ხდის 1573 წლის ერთი ოსმალური დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ “აჭარის ლივის გზებზე მდებარე სოფლები დაცლილია მოსახლეობისაგან და ქურდებისა და ყაჩაღების ბუდედ არის ქცეული”. სულთან ავალებს ლივანის, მაჭახლის და ფერთეკრეკის სანჯაყბეგებს, რომ ყველაფერი იღონონ გაქცეული მოსახლეობის უკან დასაბრუნებლად (ზ.შაშიკაძე, 2006, გვ. 11). იმ ხანებში მასობრივი ჭირის შესახებ არაფერი ვიცით, ამიტომ რჩება ორი მიზეზი: ხშირი ომიანობა, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისიდან მუსრს ავლებდა მოსახლეობას და ამასთან დაკავშირებული მოსახლეობის მიგრაცია ქვეყნის შედარებით უსაფრთხო ადგილებში.

XVI საუკუნის 40-იანი წლებიდან ირან-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ საქართველოსათვის ხშირად ბრძოლის ასპარეზად აქცევდა აჭარისწყლის ხეობას, რომელზეც გადიოდა სატრანზიტო გზები სამხრეთ საქართველოს პროვინციებისაკენ. აჭარისწყლის ხეობაში ამჟამად არსებული ათობით სოფლის მკვიდრებმა იციან მათი სოფლის წარსული, წინაპართა საფლავები. ხშირ შემთხვევაში, ამ სოფლების ასაკი 300 წელს არ აღემატება. ამავე სოფლებში არის ძველი სამაროვნები, რომელთა ფართობი თანამედროვე სამასწლიანი სოფლის სამაროვნების ფართობს უტოლდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი XVII და უფრო ადრინდელი საუკუნეების მცხოვრებთ უნდა ეკუთვნოდეთ.

დავთრის მიხედვით, დაცლილია კავიანის ციხის რაბათი, ოთალთას ციხის რაბათი, მაშინ როცა მიმდებარე სოფლებში: ჭვანაში 20 კომლია აღრიცხული, ბარათაულში — 5 და სხვა. დაცლილია ხიხაძირის ციხის რაბათი, მაგრამ ასევე დაცლილია მისი მიმდებარე სოფლებიც (კალოთა, ქოჩაკი, რაგთა), ორი კომლი ჩანს თხილვანაში. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, დაცლილია და არა დანგრეული ოთოლთას, კავიანის, ხიხაძირის, ციხის რაბათები. ე.ი. მოსახლეობას ისინი მიუტოვებია.

ზემო აჭარის ნაპიეში ყველაზე დიდ სოფლებად ჩანს: ხულა - 37 კომლი, ღორჯომი - 32, ჭვანა - 20; ქვემო აჭარის ნაპიეში კი: მერისი - 26 კომლი, ორცვა - 26, საღორეთის რაბათი - 24 კომლი.

ამ აღწერით დავთარში არ ჩანს სოფელი ბაკო, რომელიც XIII საუკუნის 30-40-იან წლებში საკმაოდ ხალხმრავალი დასახლებაა. ტბელ აბუსერისძე გვამცნობს, რომ სწორედ ბაკოელთა მოწადინებამ, ძველი ეკლესიის სიმცირემ და “ერისა ვერდატევაჲმან” ააშენებინა მას ეკლესია (აბუსერისძე ტბელი, 1998, გვ. 68). არ ჩანს სხვა მრავალი სოფელიც, რომელთა სიძველეს, როგორც ზემოთ ითქვა, სამაროვნებიც ადასტურებენ. მათზე ინფორმაციას კი მხოლოდ გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრებით თუ მივიღებთ. სავარაუდოდ, ასევე საინტერესო მეცნიერულ ინფორმაციას მივიღებთ საქართველოს სხვა მხარეებში ადრე გაჩენილი ე.წ. “აჭარული სოფლების” (ზესტაფონის რაიონის სოფელი “აჭარა”, ლენჩუშის “აჭარა”) ეთნოლინგვისტური შესწავლითაც.

მოტანილი მასალები ცხადყოფს ამ მხარის და აჭარის გარეთ არსებული ძველი ე.წ. “აჭარული სოფლების” გადაუდებელ მეცნიერულ შესწავლას.

ამ დოკუმენტებით, აგრეთვე, აშკარად ჩანს, რომ ოსმალები დაპყრობილ ადგილებში შესვლისთანავე ცდილობდნენ მათი მმართველობისა და ცხოვრების წესის დანერგვას, მუსლიმანური რელიგიის გავრცელებასა და სალოცავეების მშენებლობას. ამას კი თავისი შედეგები მოჰქონდა ადგილობრივთა სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ სფეროში.

არზრუმის მეჩეთის სავაყუფო მიწებზე მსჯელობისას ნათქვამია, რომ “ახლადამენებულ მეჩეთს აუცილებლად სჭირდებოდა ვაყუფები (ზ. შაშიკაძე, 2006, გვ. 129) და საუბარი გრძელდება არზრუმის ახლადამენებული მეჩეთისათვის მუსტაფა ფაშას მიერ (XVI საუკუნის 70-90-იანი წლები) მიწების შესყიდვის თაობაზე. ნათქვამია, რომ მიწები თითქმის მთლიანად შეძენილია ქართველი მფლობელებისაგან. როგორც ჩანს, ოსმალთა გაბატონებას მოჰყვა მეჩეთების მშენებლობა და მათთვის მიწების (ვაყუფების) შეძენა ძირითადად ქართველთაგან. საფიქრებელია, რომ მსგავს პროცესს ექნებოდა ადგილი აჭარაშიც. XIX საუკუნის 60-90-იან წლებში აჭარაში მოგზაურობისას, ცნობილ მკვლევრებს (გ. ყაზბეგი, დ. ბაქრაძე, ზ. ჭიჭინაძე, თ. სახოკია) აღრიცხული აქვთ ასზე მეტი ეკლესია-მონასტრის ნანგრევი. ზოგიერთ სოფელში ორი ეკლესიის ნანგრევია დაფიქსირებული (ორთახოხნა, სალორეთი, დარჩიძეები). მარტო დღევანდელი ქედის რაიონის ტერიტორიაზე 40-დე, ხოლო შუახევის რაიონის ერთ — მარეთის ხეობაში 20-დე ეკლესია-მონასტრის ნანგრევია აღრიცხული (ზ. ჭიჭინაძე, 1913, გვ. 164-186). სავარაუდოა, რომ ოსმალთა გაბატონებისა და მეჩეთების მშენებლობის პარალელურად, ინგრეოდა ქრისტიანული სალოცავეები. სხვანაირად არ აიხსნება ის, რომ ათობით ეკლესია-მონასტრიდან ჩვენს დრომდე მხოლოდ ხალათის ეკლესიამ მოაღწია მეტნაკლებად სრული სახით. ნიშანდობლივია, რომ ზოგან დღესაც შემორჩენილია ეკლესიებისათვის დამახასიათებელი ბზის კორომები და შესაბამისი ტოპონიმები.

ყველა ზემოთქმული, ჯერ ერთი, აზუსტებს აჭარის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის საკვანძო საკითხებს და, მეორე, აუცილებელსა და გადაუდებელს ხდის ამ მხარეში ინტენსიურ ისტორიულ-არქეოლოგიურ-ეთნოლოგიურ კვლევა-ძიების ჩატარებას და ხალხის მეხსიერებაში ჩვენი წარსულის შესახებ ჯერ კიდევ შემორჩენილი ზეპირსიტყვიერი გადმოცემების შეკრებასა და მეცნიერულ დამუშავებას.

სავაყუფო მიწების აღრიცხვის დავთრები (ვაყუფ-ნამე), რომლებიც 1563 და 1579 წლებით თარიღდება, იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ ავსებს და აზუსტებს სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას.

მაგალითად, პირველ დავთარში ნათქვამია, რომ იმერხევის ლივის სოფელი დაბა შეუსყიდია აჭარის ბეგ ბეჟან ნავაროზის ძეს, მასვე შეუსყიდია აჭარის სანჯაყში მდებარე სოფლები: საბუთხური, დოლოგაური და დიდვაკე (ზ. შაშიკაძე, 2002, გვ. 130). ეს ის ბეჟანია, ალბათ, რომელიც 1563 წელს სტამბოლში ჩავიდა, ისლამი აღიარა, სულთანს ერთგულება გამოუცხადა და სანჯაყბეგობაც მიიღო (ზ. შაშიკაძე, 2002, გვ. 156). ხსენებული ბეჟანის წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული (რ. ხალვაში, 2003; ბ. დიასამიძე, 2004, გვ.

98-105). აქ ახალი ინფორმაცია ისაა, რომ ბეყანი ნავაროზის ძე ყოფილა, თუმცა გასარკვევია, ეს მამის სახელია, თუ გვარი.

ასევე საინტერესოა ვაყუფ-ნამეში სპირიდონისძეების ხსენება. დოკუმენტში ნათქვამია, რომ შავშეთისა და იმერხევის ნაპიებში მდებარე ყველა ვაყუფი შესყიდულია მეჰმედ და აჰმედ სპირიდონისძეებისაგან. ეს სპირიდონისძეები უნდა იყვნენ შთამომავლები 1516 წლის დოკუმენტში “კათალიკოზის სამწყსონი თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოში მოხსენიებული სფირიდონისა” (ი.დოლიძე, 1979, გვ. 242-244; დ.ბაქრაძე, 1987, გვ. 75-76). თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ნახევარი საუკუნის მანძილზე სპირიდონისძეების მამული გაფართოებულა და მათ საგამგეო ტერიტორიებში შესულა შავშეთისა და იმერხევის მიწებიც. ამ ვარაუდს მხარს უჭერს კიდევ ერთი ოსმალური დოკუმენტი, რომელიც 1550 წლის 8 დეკემბრით თარიღდება და მოგვითხრობს ოსმალების მიერ მაჭახელის ციხის აღებაზე, რომელიც სპირიდონისძეებს ეკუთვნოდათ (ზ. შაშიკაძე, 2002, გვ.130).

თუ ყველა ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან ოსმალთა აჭარაში გაბატონება და ოსმალური ცხოვრების წესის დანერგვა, მუსლიმანობის გავრცელება და მეჩეთების მშენებლობა, მათ მატერიალურ უზრუნველყოფაზე ზრუნვა და შესაბამისად ქრისტიანობის შევიწროება ექვს არ უნდა იწვევდეს. ბუნებრივია, ყველაფერი ეს ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას, საცხოვრებელი ადგილებიდან აყრასა და ქვეყნის შედარებით უსაფრთხო ადგილებზე დასახლებას გამოიწვევდა, რასაც 1573 წლის დოკუმენტიც ადასტურებს, სადაც ლაპარაკია აჭარის ლივის გზებზე მდებარე სოფლების დაცარიელებასა და მათ ქურდებისა და ყაჩაღების ბუდედ ქცევაზე. ამას ემატებოდა მოსახლეობის ბრძოლებში მონაწილეობით გამოწვეული მსხვერპლი და შესაბამისად მისი რაოდენობის შემცირება.

ყველაფერი ამის გათვალისწინებით, შეიძლება ახსნა მოეძებნოს აჭარისწყლის ხეობაში შექმნილ იმ დემოგრაფიულ და სოციალურ ვითარებას, რომელიც წარმოდგენილია ზემოხსენებულ XVI საუკუნის 70-იანი წლების ოსმალურ დოკუმენტში.

დამოწმებული ლიტერატურა

ა. ავალიანი, 1960 - ა. ავალიანი, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლების წინ, XIX საუკუნის 40-70-იან წლებში, თბ., 1960.

ვახუშტი ბატონიშვილი, 1904 - ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, რედაქცია მ. ჭანაშვილისა, ტფილისი, 1904.

დ. ბაქრაძე, 1987 - დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ, ბათუმი, 1987.

ი. დოლიძე, 1979 - ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1979.

ბ. დიასამიძე, 2004 - ბ. დიასამიძე, ერთი ოსმალური წყაროს შესახებ, “საისტორიო მაცნე”, XII, 2004.

- ა. ინაიშვილი, 1975 - ა. ინაიშვილი, დიდაჭარის განძი და კოლხური ნივთიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, სდსმ, V, 1975.
- ა. კახიძე, შ. მამულაძე, 1991 - ა. კახიძე, შ. მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1991.
- ნ. მუსხელიშვილი, 2007 - ნ. მუსხელიშვილი, აჭარის ისტორიული კოლონიზაციისათვის, წგ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა; I, ბათუმი, 2007.
- თ. სახოკია, 1985 - თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985.
- მ. სვანიძე, 1960 - მ. სვანიძე, საქართველო-თურქეთის ურთიერთობების ისტორიიდან XVII საუკუნის დამდეგს, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, IV, 1960.
- ზ. შაშიკაძე, 2002 - ზ. შაშიკაძე, ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი, როგორც წყარო აჭარის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 341, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 2002.
- ზ. შაშიკაძე, 2002 - ზ. შაშიკაძე, ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემდ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-აკლევითი ცენტრის კრებული, ტ.III, ბათუმი, 2002.
- ზ. შაშიკაძე, 2004 - ზ. შაშიკაძე, გაზეთი "აჭარა," 17 იანვარი, 2004.
- ზ. შაშიკაძე, 2006 - ზ. შაშიკაძე, არზრუმის მეჩეთის ქართული საგაყუფო მიწები, კრ. "აღმოსავლეთი და კავკასია", №4, თბ., 2006.
- ზ. შაშიკაძე, 2006 - ზ. შაშიკაძე, აჭარისწყლის ხეობის სოფლები და მისი მოსახლეობა XVI საუკუნის მეორე ნახევარში, ჟურნალ "ჩვენებურის" ვებგვერდი, www.cheneburi.net (ქართული ვარიანტი), 2006.
- ზ. ჭიჭინაძე, 1913 - ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანურ ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი, 1913.
- ივ. ჯავახიშვილი, 1966 - ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966.
- რ. ხალვაში, 2003 - რ. ხალვაში, ბეჟან აბუსერიძე - აჭარის უკანასკნელი ქრისტიანი მმართველი, გაზ. "აჭარა", 20 ივნისი, 2003.

BICHIKO DIASAMIDZE

ACHARA IN THE FIRST DECADES OF THE OTTOMAN RULE

The historical span of the period of the occupation of Achara, the south-west Georgia by the Ottomans has been, until recently, obscured for the paucity of historical sources. Specialists discussed many questions on the level of conjecture. The gap needed to be filled with new evidences and argumentations.

The new developments of political affairs and the friendly collaboration between Georgia and the Republic of Turkey made it possible to investigate valuable historical materials in the Turkish archives and libraries that enables us to provide objective assessment of the social and political circumstances of the late half of the

16th century Acharistskali valley population in the first decades of the Ottoman domination.

The first question is related to determination of the starting date of the Ottoman rules in the Acharistskali Valley. According to the last years' data it was believed to begin in the early half of the 17th century, as "the Great Record Book of Gurjustan Villaiet" dated 1595 does not mention Achara which backed the assumption that the region was free from the Ottomans at this time.

According to the newly revealed documents dated 1561 and 1563 it becomes known that the Acharistskali Valley belonged to Bezhan, a Christian, until 1561 who did not obey to the Ottomans. Bezhan was then abdicated and the Valley ruling was entrusted to Sanjaqbeg of Ispiri. In 1563 Bezhan paid homage to Sultan in Istanbul, adopted the Moslem faith and got the title of Sanjaqbeg at this expense. This simply means that the Ottoman domination was established in the Acharistskali valley in 1563. The reliability of this fact is supported by the first document of social and economical nature that was drawn up for the purpose of levying taxes on the population after the Ottoman domination in the 60s of the 16th century. All these confirm that the first occupation of the Acharistskali Valley took place at this very period. This does not exclude intermittent restoration of Atabag rules or of the Georgian kings, but all these attempts must have been short lived.

These documents are of particular importance for the analysis of the Acharistskali Valley social and economic situations. According to the records of the book by the close of the 16th century the Valley has 94 villages with 540 families. From the registered villages about 35 are practically depopulated, most of them having 2-5 families. The question is what were the reasons that made villages turn into abandoned areas? They might be: the plague, heavy casualties inflicted by frequent wars, or leaving the place and fleeing for the fear of the imminent dangers. We should exclude the plague as there is no reference of the mass infection at the period. Then the last two reasons remain: frequent wars from the beginning of the 16th century annihilated the population and people migrated to the safer places of the country.

These documents show clearly that the Ottomans tried to establish their rules and their own ways of life immediately after the occupation of the territories, spreading Moslem faith and building edifices for worship. These, undoubtedly, bore the consequences in the social, economic and spiritual spheres of the locals.

We can conclude that the introduction of the Ottoman rules and ways of life in the 60s of the 16th century Achara, the spread of the Moslem faith, building mosques and material providence for the new life oppressed the Christian population. Naturally enough, it caused inconvenience to the local population who abandoned their homes and resettled down to the safer places. A document of 1573 tells us about the depopulation of the villages along the Livi roads and turning them into a haven of thieves and robbers. To compound the trouble the human life loss in the constant wars greatly reduced the population.

All these give the answer to the serious demographic and social conditions of the the Acharistskali Valley population featured in the Ottoman documents of the 70s of the 16th century.

მირიან ებანოიძე

შემოქმედების საკითხი ანტიკურობასა და ქრისტიანობაში

შემოქმედების განხილვა ანტიკურ და ქრისტიანულ სამყაროში იმთავითვე შესაქმნის გაგებასთან არის დაკავშირებული — ერთი მხრივ, ქაოსის მოწესრიგებისა და კოსმოსის შექმნის, მეორე მხრივ კი, არარადან სამყაროს შექმნის საიდუმლოს ზიარებასთან. ანტიკურმა და ქრისტიანულმა სამყარომ არ იცის რომანტიზმისათვის დამახასიათებელი სუბიექტური შემოქმედის, გენიოსის ცნება, რომელიც, თავის თავზე დაყრდნობით, თავისუფლად და ყოველგვარი ჩარევის გარეშე ქმნის ნაწარმოებს. მისთვის უცხოა ავტორის კონცეფცია, როგორც ნაწარმოების მთლიანობის, ორიგინალობის წყარო და “ავტორიტეტულ-ავტორიტარული” ფიგურა. თუკი რომელიმე აედს საკუთარი სიმღერის წარმომავლობაზე დავუსვამდით კითხვას, პასუხად მივიღებდით, რომ მას ეს მუზებმა ასწავლეს. შუასაუკუნეებისთვის დამახასიათებელი წარმოდგენა თავს იჩენს მიქელანჯელოსთან იმით, რომ მისი როლი ქანდაკების შექმნაში ზედმეტი მარმარილოს მოცილებაში გამოიხატება. ქრისტიანული გაგებით, შემოქმედის სახელი ღმერთს უიგივდება. თვით აპოფატეკურ დისკურსშიც კი, სადაც ღმერთის ყოველგვარი თვისება ადამიანურ წარმოდგენებს მიეკუთვნება, არეოპაგელი ადგილს ტოვებს ერთადერთი თვისებისათვის — ენერგია, ანუ შემოქმედების სიყვარული ღმერთისადმი და ღმერთის სიყვარული შემოქმედებისადმი კი არ მიეწერება, არამედ უიგივდება უფალს. ადამიანის უნარი — შექმნას რაიმე, ღვთის მსგავსებიდან მომდინარეობს, მაგრამ შემოქმედის, ანუ კრეატორის ცნებას შუა საუკუნეებში ადამიანთან მიმართებაში გადაწერის, ანუ სკრიპტორის ცნება ცვლის. ამით ხაზი ესმება, რომ რაც იწერება ან იქმნება, ღვთაებრივი ჩარევისა და მონაწილეობის გზით იქმნება, ადამიანი მხოლოდ თანამონაწილეობს და აღსარულებს, იგია კალამი უფლის ხელში, ხდება გადაწერა იმ უხილავი ტექსტისა, რაც სულიწმინდის კარნახთანაა დაკავშირებული და არა ადამიანური ძალებისა და შესაძლებლობების გამოვლენა; სწორედ ეს თავისებურება ჩანს გადაწერის ინსტიტუტში და ეს ასეა მაშინაც კი, როცა თითქოს უბრალო კოპირება ხდება წინამორბედი ტექსტისა. აქაც უფალი აძლევს ძალას, რათა სწორედ ეს და არა სხვა ტექსტი იქნას გადაწერილი, ამასაც “დაწერა” ეწოდება. სწორედ ამიტომ ინაცვლებს უკანა პლანზე ორიგინალობის, “საავტორო უფლებების”, გავლენისა და ნასესხობის ცნებები, მათ ადგილს იკავებს ციტირებები, დამოწმებები, ავტორიტეტისადმი მიმართვა. ყოველი ტექსტი უნდა ვიკითხოთ, როგორც ნიშნები და მინიშნებები ღმერთზე, ღვთაებრივ გამოცხადებაზე და არის კიდევ წერილი ღვთაებრივი გამოცხადება. წმინდა მამებთან, ზოგჯერ “საკუთარ” ტექსტსაც კი, თითქოს ციტირების ელფერი

დაჰკრავს, ზოგჯერ სხვისი ტექსტიც საკუთრად ცხადდება. საკუთარი ტექსტის წმინდანისადმი მიწერის შემთხვევა არავითარ უხერხულობას არ უქმნის “ფსევდო დიონისე არეოპაგელს”, მსოფლიო საეკლესიო კრებაზეც აქცენტი კანონიკურ პრობლემებზე კეთდება და არა ავტორობაზე არეოპაგიტული კორპუსების გარშემო. ორიგინალობის დამცირების სურვილის უკან არა მხოლოდ ადამიანურ თავმოყვარეობასა და პატივმოყვარეობაზე ამბობდა ჩანს, არამედ ამით ტექსტის მნიშვნელობასაც ესმება ხაზი. ამგვარ მოვლენასთან უნდა გვექონდეს საქმე იოანე ზოსიმეს “ქებად და დიდებად ქართულისა ენისაჲს” შემთხვევაშიც. იოანე ზოსიმეც თავს “მჩხრეკელად” და გადაძწერად მოიხსენიებს, რამაც ადვილად არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ საქმე უბრალოდ გადაწერასთან და არა ორიგინალურ ტექსტთან გვაქვს. ეს ტექსტი სწორედ ღვთაებრივი წარმომავლობისაა, რაც “განჩხრეკვის” შედეგად დაიბადა და ამაშია ადამიანის მონაწილეობა.

მიუხედავად “თანამედროვეობასთან” დაპირისპირებისა, ხელოვნების ანტიკური და შუასაუკუნეობრივი გაგება მნიშვნელოვნად განსხვავდება. თუკი ღემიურგი ქაოსს კოსმოსად გარდაქმნის და აწესრიგებს და პლატონი იდეისა და მატერიის (“ეიდოსისა” და “ჰიულეს”) ურთიერთობის გადმოსაცემად ცვილზე ბეჭდით გაკეთებული კვალის მეტაფორას იშველიებს, ქრისტიანული შესაქმე არარაოდან შექმნაა. მას წინ არავითარი მასალა, ცვილი ან ქაოსი არ უძღვის, რაც შემოქმედებითობას დააკნინებდა და ღმერთს მომწესრიგებლად წარმოგვიდგენდა; ღვთისმეტყველებისათვის მისაღები არ არის შუასაუკუნეებში გავრცელებული ფრაზა (რომელსაც თომა აქვინელთან ვხვდებით), რომ ღმერთი ისევე ქმნის სამყაროს, როგორც მესაათე საათს. ეს ხელოსნური შრომაა და არა შემოქმედება, მისთვის დამახასიათებელი მასალისა და ფორმის იდეოლოგიით. ადამიანი “რალაცისაგან” ქმნის “რალაცას”, მას წინ შექმნილი და გამზადებული სამყარო უსწრებს, ამიტომ კი არ ქმნის, არამედ ამზადებს. შექმნა გაჩენასა და სასწაულს უკავშირდება. მას არავითარი მიზეზი, არავითარი წინაპირობა არ გააჩნია. თუკი ამის სიმულირებას ვინმე ახდენს, მას ჯაღოქარს ან ილუზიონისტს ვუწოდებთ. კიდეც ერთი განმასხვავებელი ნიშანი ღვთაებრივი და ადამიანური “შემოქმედებისა” დროსთან მიმართებაა. ადამიანი ქმნის დროში, ღვთაებრივი შემოქმედება მარადიულობასთანაა დაკავშირებული და ის თავად ქმნის დროს. მას არავითარი “მანამ” ან “შემდეგ” არ გააჩნია. შესაქმე უპირველესად შვიდი დღის, ანუ დროის შექმნაა და შემდეგ იმის, რაც დროშია. ამგვარად, ქრისტიანული შემოქმედებისათვის ნაძალადეგია მასალისა და ფორმის სახით სამყაროს გაგება. ვულგარულ წაითხვას მასალისგან ფორმის მიღების ხელოსნური გაგება მოხმარების ნივთებიდან მთელ სამყაროზე გადააქვს და ხესაც, ადამიანსაც და ყველაფერს მასალისა და ფორმის ერთიანობად განიხილავს, რაც რალაც მიზნისთვის და მოხმარებისთვის შეუქმნია ღმერთს, მაგრამ მასალა და ფორმა ხელოსნურ შრომას მოითხოვს, ანუ დამზადებას და გაკეთებას, რითაც ხელოსნობის იდეოლოგია საკუთარ წარმომავლობას ღმერთს უკავშირებს, რომელმაც ყველაფერი “გააკეთა”.

ხელი საჭიროა იმისათვის, რომ მასალას (ქვა, სიტყვა, ფერი, ბგერა) ფორმა მიანიჭო, მაგრამ არის თუ არა აკაკი წერეთლის “განთიადში” სიტყვები უბრალოდ მასალა? თუ აქ სიტყვები პირველად ხდებიან სიტყვები, როგორც ეს რილკესთანაა? მათი სხვებით შენაცვლება შეუძლებელია, ჩვენ ამ სიტყვებს ვერც კი ვამჩნევთ, როცა ვლაპარაკობთ, ისინი თითქოს ქრება, რადგან უბრალო აგურებია მეტყველების პროცესში, მიზანი კი შეტყობინებაა და მათი როლიც შეტყობინების შედეგად იკარგება, ისევე, როგორც კარგად აშენებულ სახლში აგურებს ვეღარც ვამჩნევთ, მაგრამ აკაკის ლექსში ეს აგურები ბრწყინავს და ელვარებს. სწორედ ამიტომ, პარადოქსულად აღარ მოგვეჩვენება ჰაიდეგერის აზრი, რომ “ქმნილებაში მასალისეული არაფერია”.

რა ქმნის ტექსტის ღვთაებრივი წარმომავლობის და ადამიანურ “ქმნილებაში”, მის მიერ აგებულ შენობაში ტაძრის არსებობის შესაძლებლობას? ეს უკვე მადლისა და წყალობის საკითხია და მხოლოდ ადამიანი ვერ იქნება ამის გარანტი. გერმანელი ფილოსოფოსი ჰაიდეგერი შუასაუკუნეების რიტორიკით გვატყობინებს, რომ ტაძარს ტაძრად მხოლოდ ღმერთის მონაწილეობა ქმნის და არა არქიტექტურული თავისებურება ან ადამიანის ჩანაფიქრი.

დამოწმებული ლიტერატურა

მ. ჰაიდეგერი, 1995 - მ. ჰაიდეგერი, “დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა”, თბ., 1995.

MIRIAN EBANOIDZE

THE QUESTION OF CREATIVITY IN THE AGE OF ANTIQUITY AND CHRISTIANITY

Exploration of creativity in the Age of Antiquity and Christian world is closely intermingled to the *Genesis* – the sacred acts of creating order out of chaos, on the one hand, and creation of the world from nothing, on the other.

The antique and Christian worlds do not recognize the phenomenon of a genius, subjective artist, making the artwork without any involvement from out. It is not familiar with the concept of author as an authoritarian figure, as a source of the wholeness and originality of the work.

Had we asked some Aed about the origin of his own songs, he would have answered that he had learned them from the muse. The typical medieval notion is reflected in Michelangelo's belief that every stone had a sculpture within it, and that the work of sculpting was simply a matter of chipping away all that was not a part of the statue.

The understanding of art in antiquity and the medieval world differs to a great extent. Plato establishes the opposition of idea and material. According to the Christian theology, the cosmos was created from nihil. Otherwise the God would have been descended to „handworker”: the man makes things from something, but god needs nothing – neither cause nor time or circumstances.

In Christian discourse “Creator” is a name of God. The skills of the man create originates from its resemblance to the God, but the notion of the creator has is replaced by the concept of the “scripture” or “rewriter. It underlines the divine origin of the creative process. The man is just a cooperater and fulfils what is endowed to him. He is a pen in the “hands” of the God. It is the act of rewriting the text dictated by the Holy Ghost and not the demonstration of the man’s skills and possibilities. It is true in case of simple coping of previous texts too. God gives us strength to rewrite even this text. It is the phenomenon of “writing”.

Behind the wish to reduce originality we can read not only rejection of the man’s egoistic will, but emphasizing importance of the text. This is valid in case of Ioanne Zosimes, “The Appraisal of the Georgian Language”. Ioanne Zosime names himself as “rewriter”. It does not mean that we are not dealing with original text.

What makes the text of divine origin and the possibility of divinity in the human endeavors? Is it a kunst-work? This is a sphere of divine charity and the human being cannot guarantee that.

გურამ თაყნიაშვილი

კონტროლის განხორციელება საბიბლიოთეკო პერსონალის მართვაში

თანამედროვე ეტაპზე, როდესაც უნივერსალური, სამეცნიერო და საჯარო ბიბლიოთეკები მოქცნენ შეცვლილ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოში, ერთობ გართულებულია საბიბლიოთეკო პერსონალის მართვა. იმ ბიბლიოთეკებში, სადაც ასობით თანამშრომელია დასაქმებული, ბიბლიოთეკების მართვა შეუძლებელია ადრე მიღებული მეთოდებით. ბიბლიოთეკების მართვის მიღებული სამი მეთოდიდან (ეკონომიკური, აღმინისტრაციული და სოციალურ-ფსიქოლოგიური) თანამედროვე ეტაპზე უპირატესობა ენიჭება კადრების მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მეთოდს. თანამედროვე საბიბლიოთეკო მენეჯმენტი აყალიბებს საბიბლიოთეკო პერსონალის მართვის ფორმებს, ამ მიმართულებით კონტროლის აუცილებლობას და იმ გარემოებებს, რამაც განაპირობა კადრების მართვის სირთულე.

საბიბლიოთეკო კადრების მართვის ფორმები და მეთოდები ძირეულად შეიცვალა ბოლო 15-20 წლის განმავლობაში. ცვლილებები გამოწვეულია ისეთი ობიექტური გარემოებებით, როგორებიცაა:

ა) უპირველეს ყოვლისა, თვისებრივი ცვლილებები მოხდა თვითონ საბიბლიოთეკო კადრების შემადგენლობაში. არასპეციალური განათლებით ბიბლიოთეკაში მოსულმა კადრების დიდმა ნაწილმა მოკლე დროში აითვისა თანამედროვე საბიბლიოთეკო ტექნოლოგიები. ისინი მომზადებულნი აღმოჩნდნენ გარდამავალ პერიოდში; მათ კარგად იციან თავიანთი უფლებები და მოვალეობები, ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ ბიბლიოთეკის მართვაში. დიდი რაოდენობის საბიბლიოთეკო კადრების მართვაში გართულდა პიროვნებათა შორისი დამოკიდებულება. ასეთ გარემოში რთულია მომზადებული და ყოველმხრივ ინფორმირებული კადრის მართვა მართა აღმინისტრაციული მეთოდით. ცხადია, აქ ერთმანეთს უნდა შეერწყას მართვის ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფორმები.

ბ) უნივერსალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში გართულდა კადრებთან მუშაობის სამართლებრივი რეგულირების პროცედურები: სამუშაოზე მიღება, დათხოვნა, შრომითი ხელშეკრულების გაფორმება. ქვეყანაში მოქმედი შრომითი კანონმდებლობა ბიბლიოთეკის მენეჯერს ზღუდავს თვითნებური მოქმედებისგან.

გ) ცვლილებები შეეხო ასევე ბიბლიოთეკის შრომითი კოლექტივების მორალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს. ბიბლიოთეკების მართვაში თანამედროვე მენეჯმენტი მოითხოვს, მეტი ყურადღება დაეთმოს თითოეული თანამშრომლის საქმიან და პიროვნულ თვისებებს; მის ხასიათს, შესაძლებლობებსა და მიდრეკილებებს, რომელთა ერთობლიობა ბევრწილად განაპირობებს თანამშრომლის შრომის ნაყოფიერებას. ბიბლიოთეკის

ხელმძღვანელობამ ამ მიმართულებით ისეთი ატმოსფერო უნდა შექმნას, სადაც თითოეული თანამშრომელი მაქსიმალურად გამოავლენს საკუთარ შესაძლებლობასა და უნარს, პროფესიულ დონეს, იმ მონაცემებს, რომლებმაც განაპირობა მისი სამუშაოზე მიღება.

ბიბლიოთეკის წარმატებებს განსაზღვრავს ინტელექტუალური ადამიანური და სტრუქტურული კაპიტალი. სწორედ ადამიანურ რესურსებს შესწევს უნარი, შექმნას ხარისხიანი ღირებულება საბიბლიოთეკო პრაქტიკაში არსებულ გამოცდილებას გამოყენებით.

პერსონალის მართვაზე კონტროლის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენს დაამკვიდროს საჭირო და აუცილებელი მომენტები ბიბლიოთეკის შრომით კოლექტივში და შეამციროს არაეფექტური ტენდენციები. მმართველობითი ხასიათის სიახლე იძულებს თანამშრომლებს იმუშაონ ერთად და იყენონ ერთიმეორეზე დამოკიდებულნი, თითოეულმა თანამშრომელმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა იმ პროცესებზე, რომლებსაც თვითონ ასრულებს. მაკონტროლებელი ორგანო ყურადღებას აქცევს თანამშრომლისა და ხელმძღვანელი პირის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. ეს ურთიერთობა უნდა ატარებდეს კონსულტაციურ ხასიათს, მასში არ უნდა ჭარბობდეს მბრძანებლური ხასიათის მომენტები. მენეჯერს კარგად უნდა ესმოდეს, რომ ბრძანების გაცემა უფრო ადვილია, ვიდრე დარწმუნება. დარწმუნება ანუ მოტივაცია განიხილება როგორც პიროვნების მართვის ერთ-ერთი ფორმათავანი. კონტროლი ამ მიმართულებით ხორციელდება ყველა იმ ზომისა და ფორმის შესწავლაზე, რომელიც მხოლოდ ბიბლიოთეკაში გამოიყენება ადმინისტრაციის მიერ. ბიბლიოთეკის თითოეულ დანაყოფში შექმნილი ატმოსფერო უნდა ანვიტარებდეს პიროვნების შემოქმედებით უნარს. პერსონალის მენეჯმენტის ისეთი ფორმები, როგორცაა დაძალება, იძულება, შეგუვლიანება და სხვ. გამოყენებული უნდა იქნეს საგანგებო შემთხვევაში; ამ კუთხით ადმინისტრაცია ითვალისწინებს თანამშრომლის ფსიქოლოგიურ პრიორიტეტს, მის ხასიათს, ტემპერამენტს, თვითკონტროლის უნარს, პროფესიულ დონეს და ა.შ.

საბიბლიოთეკო პერსონალის მართვაზე კონტროლის განხორციელების პროცესში ყურადღება ექცევა კადრების შერჩევისა და მოზიდვის დაგეგმარებას. ბიბლიოთეკის ღირექციაში წინასწარ უნდა დაგეგმოს კადრებით უზრუნველყოფის სამუშაოები და მიმართულებები. ასეთი გეგმა უნდა ითვალისწინებდეს პირობითად სამ მომენტს:

1. არსებული ადამიანური რესურსების შესაძლებლობების შეფასება, რამაც უნდა ცხადყოს ამ კოლექტივის ძალებითა და შესაძლებლობებით ბიბლიოთეკის უახლოეს მომავალში მიზნისა და მისიის შესრულება.

2. ბიბლიოთეკის წინაშე მდგარი ამოცანების რეალიზაცია; ასეთი შეფასების კრიტერიუმში სახელმძღვანელოდ უნდა იქცეს კადრების შერჩევის პროცესში.

3. მომავალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროგრამის შემუშავება. ასეთი პროგრამა შესაძლებელია შემუშავდეს კომპეტენტური სპეციალისტების მიერ, სადაც გათვალისწინებული იქნება თანამედროვე, დღევანდელი ხარვეზები ბიბლიოთეკის მუშაობაში და დაისახება კონკრეტული ღონისძიებები სამომავლო მომსახურების თვალსაზრისით. არსებული ადამიანური რესურსების შესაძლებლობების შეფასება უნდა მოხდეს არა

იმდენად რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლით (მკითხველთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი, დამუშავების, კატალოგიზაციის, საინფორმაციო მომსახურების ხარისხი და ა.შ.). ახლო მომავლისათვის შემუშავებულ პროგრამაში ნათლად უნდა გამოიკვეთოს კადრების მართვის მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებები. მაკონტროლებელი ჯგუფი სწავლობს საკადრო პოლიტიკის მართებულობას: თანამშრომლის ქიღვიპი პროცედურების დაცვას, ატესტაციას, დოკუმენტაციას და ა.შ. საბოლოოდ დასკვნაში აღინიშნება ამ თანამდებობაზე (უბანზე) დანიშნული კადრის მიზანშეწონილობა; რამდენად შეესაბამება იგი თანამდებობას და როგორია მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი. საკადრო პოლიტიკაზე კონტროლის განხორციელება იმავე დროს გულისხმობს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორცაა კადრებთან მუშაობის დაგეგმარება. ბიბლიოთეკის დირექციამ წინასწარ უნდა დაგეგმოს იმ სამუშაო ძალების რაოდენობა და ხარისხი, რომელიც აუცილებელია ბიბლიოთეკის ოპერატიული (თანამედროვე) და პერსპექტიული მიზნების მისაღწევად. შრომითი რესურსების გამოზნულ ფორმირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკის ეფექტური მუშაობისთვის. ამიტომ ადამიანური რესურსების ფორმირება განსაკუთრებით სამეცნიერო და უნივერსალურ ბიბლიოთეკებში უნდა ემყარებოდეს მეცნიერულ საფუძვლებს. ამ მდგომარეობის შესწავლისას მაკონტროლებელი ორგანო ყურადღებას უნდა აქცევდეს თითოეული პიროვნების, თანამშრომლის ამ ადგილზე შერჩევისა და დანიშვნის სისწორეს. საბიბლიოთეკო პერსონალის მართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პოტენციური შრომითი რესურსების ფორმირებას. შრომითი რეზერვის შექმნა ნიშნავს საკადრო პოლიტიკის განვითარებას დიალექტიკურ რეჟიმში. შრომითი რეზერვის ხარისხობრივი შემადგენლობა იმთავითვე განაპირობებს ბიბლიოთეკის ხვალისდელ დღეს.

შრომითი რეზერვიდან კონკურსის წესით შერჩეული კანდიდატი თავისი მონაცემებით უნდა აკმაყოფილებდეს იმ სტანდარტულ მოთხოვნებს, რომელიც ჩამოყალიბებულია აღნიშნული თანამდებობის პირთათვის და რომელიც დამოწმებულია დოკუმენტის სახით. თითოეული თანამშრომლის თანამდებობრივი ინსტრუქცია, თავისი ძირითადი არსით, უნდა შეესაბამებოდეს ამ თანამშრომლის პროფესიულ ღონეს, მის უნარსა და შესაძლებლობებს, რაც რეალიზებული უნდა იქნეს საბოლოო შედეგის სახით.

პერსონალის მართვის საკითხების შესწავლის პროცესში მაკონტროლებელი ჯგუფი ამოწმებს კადრის შერჩევისა და დანიშვნის პროცედურის დაცვას. რამდენად უნდა იქნას გათვალისწინებული ამ პროცესში კანდიდატურის პირადი თვისებების ერთობლიობა: კანდიდატის სურვილი იმუშაოს მოცემულ თანამდებობაზე; აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოტივაციას, სტიმულირებას, ენთუზიაზმს. საქართველოს საჯარო და სასკოლო ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკარებმა სწორედ ენთუზიაზმის წყალობით შეინარჩუნეს ბიბლიოთეკები; ისინი მოტივირებულნი არიან მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, იმის აუცილებლობით, რომ წიგნი და ბიბლიოთეკა ნიადაგ საჭიროა მოსახლეობის აღზრდისა და განათლებისათვის.

ბიბლიოთეკაში თანამდებობის პირის შერჩევის დროს (განყოფილების უფროსი, დეპარტამენტის დირექტორი და სხვ.) ყურადღება უნდა მიექცეს მის პიროვნულ თვისებებს, ქცევის მანერას, ხასიათს, უნარს. მას უნდა შეეძლოს შეკრას მცირე კოლექტივი და მიაღწიოს მაღალ შრომით მაჩვენებელს რაც შეიძლება ნაკლები რესურსების გამოყენებით.

ბიბლიოთეკაში თანამდებობის პირთა შერჩევა სარეზერვო რესურსებიდან დამატებით მოთხოვნებს უყენებს კანდიდატურას. ამ პროცესში შეიძლება ჩატარდეს ტესტირება, სადაც გამჟღავნდება კანდიდატურის ინტელექტუალური დონე. ხელმძღვანელ პირთა შერჩევა ზოგიერთ ქვეყანაში წარმოებს ე.წ. შეფასების ცენტრებში, სადაც პრეტენდენტს აძლევენ რთულ მმართველობით დავალებებს, მაგილითად, ავლენს თუ არა კანდიდატურა პედაგოგიურ ტაქტს, შეუძლია თუ არა კავშირი დაამყაროს მისთვის უცხო კოლექტივთან, მხედველობაშია მისაღები კანდიდატურის ტაქტი, ქცევის მანერა, გარეგნული იერი; შეუძლია თუ არა საჭაროდ გამოსვლა, როგორია მისი მეტყველების კულტურა, შეუძლია თუ არა მისცეს ინტერვიუ და ა.შ.

შრომითი რესურსების ფორმირებისა და განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომელთა სოციალურ ადაპტაციას. მაკონტროლებელი ორგანო უშუალოდ თანამშრომლებთან გასაუბრებით სწავლობს პიროვნების, განსაკუთრებით ახლად დანიშნული სპეციალისტის ფსიქოლოგიურ გარემოს: როგორ შეეჩვია იგი კოლექტივს, რა სიმძნელებია მის მუშაობაში, სწორად იქნა იგი ამ თანამდებობაზე დანიშნული, თუ არა.

საბიბლიოთეკო პერსონალის მართვა მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ დონეზე საჭიროებს ამ სფეროში არსებული გამოცდილებისა და პრაქტიკის შესწავლას, დაკვირვებას, გამოქვეყნებული მასალების გაცნობას. ამ კუთხით ბევრი რამ არის შექმნილი აშშ-ს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის სპეციალისტების მიერ.

ბიბლიოთეკების მართვის სტილი და ორგანიზებული კულტურა ბევრწილად დამოკიდებულია ბიბლიოთეკის მენეჯერის ინფორმაციულ კულტურაზე, მის უნარზე აკონტროლოს ნებისმიერი საბიბლიოთეკო სიტუაცია. ეს მომენტი უფრო აქტუალურია დღეს, როდესაც შესაძლებელია მოულოდნელი გარემოებები შეიქმნას საბიბლიოთეკო სფეროში.

საბიბლიოთეკო კადრების მართვის კონტროლის პროცესში ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რამდენადაა გამოყენებული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის მიერ სოციალურ-ფსიქოლოგიური და სოციალურ-პედაგოგიური მეთოდები, როგორია მთლიანად ბიბლიოთეკის კოლექტივში არსებული მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, არის თუ არა ერთიმეორესთან შეხამებული პიროვნების აქტივზაციისა და ინიციატივის მომენტი მთლიანი კოლექტივის ინტერესებთან; ეს გარემოებები ერთგვარად განაპირობებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, ერთის მხრივ და აადვილებენ ბიბლიოთეკის მართვას, მეორე მხრივ.

თანამედროვე საბიბლიოთეკო მენეჯმენტი კონტროლის ფუნქციას განიხილავს, როგორც ბიბლიოთეკის მართვის ისეთ კომპონენტს, რომელსაც შეუძლია კეთილგონივრული ზეგავლენა მოახდინოს მთლიანად ბიბლიოთეკის

მართვაზე, სწორი და რაციონალური გზით წარმართოს ბიბლიოთეკის შრომითი რესურსები და ამით ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკის მუშაობის ხარისხის ამაღლებას. ბიბლიოთეკის სამუშაო ამოცანებზე განხორციელებული კონტროლი უნდა მიმდინარეობდეს მშვიდ გარემოში. ამ პროცესმა ბიბლიოთეკის კოლექტივში არ უნდა შექმნას დაძაბული სიტუაცია. თითოეული თანამშრომელი ინფორმირებული უნდა იქნეს წინასწარ, რომ კონტროლის ჩგუფი არ არის სადამსჯელო ღონისძიებებისათვის შემოსული და მის მიერ შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები ემსახურება ბიბლიოთეკის პრესტიჟის ამაღლებას, სამუშაო ძალების გონივრულ გამოყენებას, დადებითი მომენტების წახალისებასა და თანამშრომელთა შორის ოპტიმისტური განწყობის შექმნას.

დამოწმებული ლიტერატურა

რ. ბერიძე, 2009 - რ. ბერიძე, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბ., 2009.

ხარისხის მართვა უნივერსალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბ., 2008.

Сулова И.М., 1993 – Сулова И.М., Менеджер библиотеки – Учебное пособие, М, 1993.

Управление библиотекой, 2002 – Управление библиотекой, СПб, 2002.

GURAM TAKNIASHVILI

MODERN LIBRARY MANAGEMENT

In modern libraries management of the library personnel is one of the main problems. In universal libraries, with hundreds of specialists, running the personnel is based on statute, regulations and instructions, whose elaboration and realization demands specific control. In view of these circumstances running the library personnel is considered as one of the directions of the management. Management of the library personnel has utterly changed for the last 15-20 years as a result of the objective circumstances in which the libraries turned out to be. Management of the library personnel is affected by the social-economical and psychological environment of the library. The methodological approach to this problem has totally changed due to preferences given to the horizontal method rather than the vertical method of library management.

For the management of the staff it is very important to pay attention to personal qualities, character, aspirations and abilities of a personnel, which determines the capacity for work of the staff in total.

Newly-enrolled non-specialists in library matters not only studied professionally the traditional technologies, but also gain literacy in the modern library technologies.. In this respect it became more complicated to manage well-trained and well-informed staff. In this process economical, social and psychological methods of managing will fill up each other.

The aim of managing the personnel is to achieve a high-quality service with less labor resources. In order to achieve such level it is necessary to pursue the right policy in selecting the staff. The function of control in the libraries is implied through studies of dynamic changes of the personnel.

The effective work of scientific universal libraries and final results in many ways depend on the rightfulness in formation of human resources. The formation of labor resources is strongly affected by a manager, whose ability and skills fully determine the course of affairs in accordance with modern requirements. The management of the staff should be conducted with such methods and forms that it could enable to provide normal psychological and ethical atmosphere. In the process of management administrative, psychological and ethical methods should be reasonably used.

გოდერძი თევდორაძე

შალვა ნუსუბიძის ერთი ხელნაწერის შესახებ

მეცნიერთა შორის დიდი ხანია მიმდინარეობს კამათი დასავლეთისა და აღმოსავლეთის აზროვნების, მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. წარმოდგენილი საკითხი განიხილეს ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმაც, მათ შორის — ივანე ჯავახიშვილმა და შალვა ნუსუბიძემ.

ქუთაისის ი. ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული შალვა ნუსუბიძის ხელნაწერი, რომლის ერთი ნაწილი დაბეჭდილია ჟურნალ “შრომაში”, ნაწილი კი გამოუქვეყნებელია, ძირითადად, სწორედ ამ საკითხს ეხება.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა შესახებ ქართველ ფილოსოფოსს, აღნიშნული ხელნაწერის გარდა, აქვს სხვა ნაშრომებიც, რომლებიც თავმოყრილია მისივე შრომების IV ტომში. შ. ნუსუბიძემ პასუხის ძიება ანტიკური ხანიდან დაიწყო, განიხილა “არეოპაგიტული წიგნები”, ნეტარი ავგუსტინეს თეორიები და საერთოდ, სისტემატიური მიდგომის მეთოდით, წარმოადგინა მთლიანი სურათი არსებული პრობლემატიკისა (შ. ნუსუბიძე, 1976).

ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული, ხსენებული ხელნაწერის პირველი ნაწილი წარმოადგენს ანოტაციას, რომლის სათაურია: “აღმოსავლეთისა და დასავლეთის აზროვნება ანტიკური ფილოსოფიის ათვისებაში”. ავტორი ერთგვრიდან ანოტაციაში განიხილავს პრობლემის გადაწყვეტის ორ გზას. პირველი, ეს არის “არეოპაგიტული წიგნების” კვლევა და მეორე — ნეტარი ავგუსტინეს ნააზრევი. შალვა ნუსუბიძე ნაშრომის ბოლოში აკეთებს საკმაოდ კრიტიკული ხასიათის დასკვნას: “შრომაში გაკეთებულია სისტემური განხილვა და შედარება ორივე ნააზრვის როგორც პრინციპული მიდგომისა, ისე იმ მასალისა, რომელიც თითოეულ მათგანს აქვს თავისი ათვისების საგნად; ნაჩვენებია, რომ არეოპაგიტიკის ავტორის მიერ გაგებულია უკანასკნელი პრობლემატიკა ანტიკურობისა და მოცემულია მისი ორგანული განვითარების გზა. მეორე შემთხვევაში, მიუხედავად მცირე ქრონოლოგიური განსხვავებებისა, ავგუსტინეს შეეძლო, მაგრამ ვერ მოახერხა ამ პრობლემატიკის გაგება და მისი ნააზრევი ეკლექტიკური გამოვიდა” (შ. ნუსუბიძე, 1976).

შალვა ნუსუბიძის ინტერესი მხოლოდ რამდენიმე ნაშრომით არ შემოფარგლულა. იგი ყოველთვის ცდილობდა, დაეცვა თავისი პოზიციები თუნდაც კომუნისტური იდეოლოგიის მქონე ჟურნალში მცირე ზომის სტატიითაც კი. პირდაპირი თუ ფილოსოფიური ხედვებით შეფარული აზრებით მეცნიერი ყოველთვის ახერხებდა თავისი სათქმელის საზოგადოებამდე მიტანას. სწორედ ასეთი ხასიათისაა ხელნაწერის მეორე ნაწილი, რომელიც წარმოადგენს 1962 წელს სამხატვრო აკადემიის

სახვითი ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამოშვებული პირველი ტომის - "ესთეტიკის ისტორიის" რეცენზიას. ქართველი მეცნიერი მიესალმება აღნიშნულ საქმეს და წერს უდავოდ ღრმა მეცნიერულ, კრიტიკული შინაარსის წერილს.

შალვა ნუცუბიძის შენიშვნები, პირველ რიგში, შეეხება წიგნში მოცემული პრობლემატიკის გადაწყვეტის გზებსა და რუსი ავტორების მიერ ბერძნული ტექსტების მთარგმნელობითი ხასიათის შეცდომებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მის შინაარსობრივ მხარეზე. კონკრეტულად ეს შეეხება ფსევდო დიონისე არეოპაგელის შრომებში მოცემულ ტერმინოლოგიასა და პერიოდიზაციას, მისი წარმოშობის ისტორიას.

"ესთეტიკის ისტორიის" ავტორთა შრომებში მეცნიერის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა მიმართების საკითხი. შალვა ნუცუბიძეს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ამ საკითხზე სპეციალური ნაშრომი, ძირფესვიანად იცნობდა წარმოდგენილი პრობლემის ძირითად არსს; ამიტომაც მას არ გამოჰპარვია ამ წიგნის არც ერთი ნიუანსი და არ გასჭირვებია დაენახა ის შეცდომები, რომლებიც დაუშვეს ცნობილმა რუსმა მეცნიერებმა. იგი მიესალმება ისეთ მსჯელობას, განხილვის ისეთ მიმართულებას, როდესაც ებრძვიან "ევროპოცენტრიზმს", რომლის მიხედვითაც მთლიანად იგნორირებულია აღმოსავლეთი და ესთეტიკური თეორიულობის სამშობლოდ მხოლოდ დასავლეთის კულტურაა ჩათვლილი. ქართველი მეცნიერი წერილში სამართლიანად აცხადებს, რომ ტერმინი "ევროპოცენტრიზმი" სწორედ მან შემოიღო და დაამკვიდრა 1941 წლიდან. შალვა ნუცუბიძე აქვე იხსენებს თავის წერილებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სადაც იგი დამატებით რენესანსის ეპოქასაც განიხილავს (შ. ნუცუბიძე, 1941).

მეცნიერი არასაკმარისად მიიჩნევს "ესთეტიკის ისტორიის" პირველ ტომში განხილულ საკითხებს. მას მიაჩნია, რომ პრობლემის სრულად წარმოდგენისათვის აუცილებელია რენესანსის ეპოქის გაშუქება, რომელიც მას მოცემული აქვს რუსულ ენაზე" (შ. ნუცუბიძე, 1941). წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემა ვერ გადაიჭრება და იგი დაინტერესებულ მკითხველს ბევრ შეკითხვას დაუტოვებს.

შალვა ნუცუბიძეს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღმოსავლეთის რენესანსისა და აზროვნების განხილვის დროს, სხვა ქვეყნების კულტურებთან ერთად (ინდოეთი, ჩინეთი და ა.შ.), განხილული უნდა იყოს საქართველოში იმ დროს არსებული ესთეტიკური შეხედულებები, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი და ერთ-ერთი სარბიელი. მეცნიერი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ჩვენი ქვეყანა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მდებარეობს და, რომ ასეთი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, აქ გვხვდება მკვეთრად განსხვავებული კულტურები. ამ და სხვა არგუმენტებზე დაყრდნობით, შალვა ნუცუბიძე წიგნის ავტორებისაგან მოითხოვს ქართული კულტურა და აზროვნება სლავიანურ კულტურათა გვერდით მაინც მოიხსენიებოდეს. მეცნიერის აზრით, მასში განხილული საკითხები მჭიდროდა დაკავშირებული მეხუთე საუკუნის საქართველოში არსებულ ესთეტიკურ აზროვნებასთან.

ქართველი მეცნიერი საერთო ჯამში ნაშრომს დადებითად აფასებს. მას სამართლიანად მიაჩნია აღნიშნული საკითხის განხილვისას ფსევდო

დიონისე აროპაგელის, იგივე პეტრე იბერის “არეოპაგიტული ძიებების” საფუძვლიანი მიმოხილვა. მის გარეშე შალვა ნუცუბიძე შეუძლებლად თვლის ანტიკური და საშუალო საუკუნეების ფილოსოფიის სრული სურათის წარმოდგენას, ვინაიდან იმდროინდელი მეცნიერების მიღწევები ბევრადაა დამოკიდებული აღნიშნულ ნაშრომზე.

ქართველი ფილოსოფოსი მიუთითებს იმ ნაკლზეც, რომელიც, მისი აზრით, არსებულ წიგნს ახასიათებს. ესაა არასაკმარისი მონაცემები და, ამასთანავე, მათი დამსახურების არათანმიმდევრულობა. ყოველივე ამან კი შესაძლებელია მკითხველს გაუძნელოს სწორი მიმართულების პოვნა.

შალვა ნუცუბიძე მისთვის დამახასიათებელი სიღრმით განიხილავს წიგნში მოყვანილ რამდენიმე ფილოსოფიურ დასკვნას და რუს ავტორებს დელიკატურად მიუთითებს: “მოყვანილი ფრაგმენტი ადასტურებს, რომ “ესთეტიკის ისტორიის” შემდგენლები ან ჩქარობდნენ, ან საკმაოდ ვერ ერკვეოდნენ ძნელ არეოპაგიტული ტექსტში” (შ. ნუცუბიძე, 1941).

კონკრეტულად ამ შემთხვევაში, ქართველ მეცნიერს მხედველობაში აქვს პეტრე იბერის თხზულების “საღმრთოთა სახელთათვის” თარგმანსა და განხილვაში არსებული სერიოზული ხარვეზები. იგი ასევე ყურადღებას ამახვილებს ქრონოლოგიური ხასიათის შეცდომებზეც, რომლებსაც, მისი აზრით, გარკვეული მნიშვნელობა და შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. მაგალითად, “ესთეტიკის ისტორიის” პირველ ტომში პეტრე იბერი მოხსენიებულია არა როგორც მეხუთე, არამედ მეექვსე საუკუნის ფილოსოფოსის, პროკოფი კესარიელის გვერდით.

შალვა ნუცუბიძე ბოლოს წიგნის კიდევ ერთ ნაკლზე მიუთითებს. იგი მიიჩნევს, რომ როცა განიხილება ევროპისა და აზიის კულტურათა ურთიერთმიმართება, მასში აუცილებლად უნდა მიეკუთვნოს თავისი ადგილი ისეთ მოაზროვნეებს, როგორებიც არიან ექვთიმე ივერიელი, იოანე მოსხი და იოანე პეტრიწი, როგორც რესტავრაციას არეოპაგიტიკისა.

აღნიშნული ხელნაწერი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევდა ქართველი ფილოსოფოსი იმას, რომ ქართული კულტურა და მეცნიერება შესაბამის დონეზე ყოფილიყო წარმოდგენილი და მას სამართლიანად დაემკვიდრებინა ადგილი მსოფლიო მეცნიერული აზროვნების ისტორიაში.

დამოწმებული ლიტერატურა

- შ. ნუცუბიძე, 1941 - შალვა ნუცუბიძე, აღმოსავლეთის რენესანსი და ევროპოცენტრალიზმის კრიტიკა, აკადემიის უწყებანი, 1941წ., №8.
 შ. ნუცუბიძე, 1976 - შალვა ნუცუბიძე, შრომები ტ. IV თბ., 1976.
 შ. ნუცუბიძე, 1976 - შალვა ნუცუბიძე, შრომები ტ. V თბ., 1976.

GODERDZI TEVDORADZE**ON SHALVA NUTSUBIDZE'S A MANUSCRIPT**

The manuscript discussed in this paper is the review of the first volume – "The History of Aesthetics" published by Scientific Research Institute of the Academy of Fine Arts in 1962.

Shalva Nutsubidze reviews some philosophic conclusions stated in the book with his characteristic systemic methods and gives some delicate hints to Russian authors: "The passage stated above confirms that the compilers of "The history of Aesthetics" either did the work hurriedly or were not well aware of difficult text of Areopagitica."

The review of "The History of Aesthetics" by Shalva Nutsubidze is presented as deeply argumentative scientific work and indicates one more textual defect at the end of the book. He believes that while discussing about the European and Asian culture relations there should be mentioned and placed the following thinkers such as Ekvtime Iverieli, Ioane Moaskhi and Ioane Petritsi, as the restoration of Areopagitica.

ზურაბ თოდუა

ქუთაისის თანამედროვე ფერწერა: ფასეულობითი ორიენტაციები, სტრუქტურა

“თანამედროვე” ანუ “აქტუალური” ხელოვნების” (“contemporary art”) ცნების ქვეშ ხელოვნებათმცოდნეობა გულისხმობს საკმაოდ ჰრელ, რთულ და ზშირად ნაკლებად გასაგებ მოდელს, რომელსაც შეადგენს პოსტმოდერნისტული ხელოვნების რეპერტუარი სხვადასხვა აქციების, პერფორმანსების, ინსტალაციების, ე.წ. ვიდეო-არტის, მედია-არტის, ნეტ-არტის და ა.შ. სახით. ისინი ზოგადვერობულ არტ-სივრცეში გაბატონებულ მხატვრულ პრაქტიკას წარმოადგენენ. თუ ამ კონტექსტში განვიხილავთ ჩვენი დროის ქუთაისურ ხელოვნებას, ვაღიარებთ, რომ ის, როგორც ქართული სახვითი ხელოვნება ზოგადად, დღეს ისევ იმყოფება ახალი საუკუნის ხელოვნების არარსებულ მდგომარეობაში. მეტანაციონალური პორიზონტის ჩარჩოებში იგი კრიტიკულად რეაგირებს თანამედროვე მხატვრულ კონტექსტზე და ინარჩუნებს თავისი ხელოვნების პერმეტიულობას (შეიძლება ითქვას, ზედმეტი მონდომებითაც კი!). თუ დედაქალაქში, სახელმწიფოს, სატელევიზიო მედიის არასაკმარისი მხარდაჭერის პირობებშიც კი, contemporary art-ის ზოგიერთი სახე მაინც პოულობს გამოვლინების რაღაც ფორმებს, ქუთაისის ხელოვნება ამ გზაზე ჯერჯერობით მხოლოდ მისკენ მიჰავალი ბილიკების თეორიული გააზრების მდგომარეობაშია. ამიტომ ტერმინი “აქტუალური” თანამედროვე ქუთაისური ხელოვნების მიმართ ნაკლებად გამოსაყენებელია, რადგანაც სინამდვილეში იგი მიეკუთვნება ხელოვნებას, რომელიც აგრძელებს წარსული საუკუნის ტრადიციებს და საკმაოდ კომფორტულად გრძნობს თავს არსებულ კონტექსტში. ეს გკარანახობს, განვიხილოთ ცნება “ქუთაისის თანამედროვე ხელოვნება” მხოლოდ დროებით ასპექტში, ასე ვთქვათ, ონტოლოგიურ ფორმატში, როგორც დღეს არსებული ობიექტური მოცემულობა, იმ ესთეტიკური ფასეულობების გამოვლინებით, რომლებსაც იგი ეყრდნობა მიმდინარე მხატვრულ პრაქტიკაში. ინარჩუნებს რა მენტალურ კავშირებს ქართული ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ზოგად ტენდენციებთან, იგი, ამავე დროს, არ კარგავს განვითარების საკუთარ გზებს; ამიტომ მისი დღევანდელი მდგომარეობის გაანალიზება, ძირითადი ფასეულობების მონიშვნა, აქტუალურ პრობლემად ისახება.

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, ხელოვნებაში რადიკალური ცვლილებები შეიმჩნევა. სოციალისტური რეალიზმის გაბატონებული დიქტატი თავისი აუცილებელი თემებით, “ნეიტრალური” პეიზაჟებით, პორტრეტებითა და ნატურმორტებით, რომელთა ფარგლებს მიღმა გასვლა თუმცა არ იკრძალებოდა, მაგრამ არც რეკომენდირებული იყო, ახლა თავისუფალი გამოფენების თამამმა

პროექტებმა შეცვალა. ხელოვნებას თითქოს მიეცა მძლავრი იმპულსი შემოქმედებითი ექსპერიმენტირებისათვის. ახალგაზრდა ქუთაისელმა მხატვრებმა ფართო ფრონტით და აჩქარებული პროგრამით და არც თუ ისე ხარისხიანი რეპროდუქციებით დაიწყეს XX ს. ხელოვნების იმ სხვადასხვა მიმართულების ათვისება, რომლებმაც უცხოეთის მხატვრულ სამყაროში უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი ისტორიის თაროებზე. ბინარულმა ოპოზიციამ — ოფიციალური / არაფორმალური — თავისი აქტუალობა დაკარგა. დადგა დრო სტილური არეულობისა. სტილის კატეგორია უკვე არ ხდება განმსაზღვრელი ხელოვნების განვითარების გაგებაში. ამიტომ ქუთაისისა და რეგიონის მხატვართა გამოფენებზე 90-იანი წლების ბოლოს და ახალი საუკუნის დასაწყისში გაბატონდა ის, რასაც “თანამედროვე ექლექტიკა” შეიძლება ვუწოდოთ. შემოქმედებითი ძიებების ამპლიტუდა ორ უკიდურესობას შორის — “სრული რეალიზმიდან” “სრულ აბსტრაქციამდე” მერყეობდა, რაც საცვებით ამართლებდა მოდერნიზმის მამამთავრის ვ. კანდინსკის სიტყვებს, რომელიც ჯერ კიდევ XX ს. პირველ წლებში ამტკიცებდა, რომ “ეს ორი უკიდურესობა ხსნის ორ გზას, რომელსაც ბოლოში ერთსა და იმავე მიზნამდე მიყვავართ”. “დიდი აბსტრაქცია” და “დიდი რეალიზმი”, XX ს. დასაწყისში გაყოფილი. საუკუნის შემდეგ კვლავ დაუახლოვდა ერთმანეთს რეალური სამყაროს ასახვისადმი მიმართებაში. აქედან დაისვა საკითხი მხატვრის შემოქმედებითი თავისუფლების პირობითობაზე: იგი თავის შემოქმედებაში არც თუ ისე თავისუფალია, როგორც ეჩვენება. ჯერ კიდევ 1911 წელს ნარკვევში “სულიერების შესახებ ხელოვნებაში” ვ. კანდინსკი აღნიშნავდა, რომ: “ყოველ ეპოქას მიეცემა შემოქმედებითი თავისუფლების საკუთარი დონე და ყველაზე ღიდ გენიოსებსაც კი არ შეუძლიათ გადაახტნენ თავისუფლების ამ საზღვრებს”. ოფიციალური დიქტატის მსხვერველამ მხატვარს თითქოს თავისუფლების იმედი გაუჩინა, თუმცა, სოციალისტური იდეოლოგიის ადგილზე მოსული საბაზრო ეკონომიკისა და შოუ-ბიზნესის იდეოლოგია მას კვლავ დაპყრობით დაემუქრა. როგორც მომდევნო დრომ გვიჩვენა, ქუთაისური მხატვრობა “ასე ნანატრი თავისუფლებისათვის” მზად არ აღმოჩნდა. ჯერ კიდევ არასაკმარისია რეგიონის ოსტატების მიერ საკუთარი თავის თავისუფალ მხატვრებად აღიარება და გათავისება იმისა, რასაც ვ. კანდინსკი ძიების “შინაგან აუცილებლობას” უწოდებდა. ერთის მხრივ, რეგიონის მხატვრული ისტებლიშმენტი ვერ წირავს ახალი ძიებებისათვის საკუთარ სტაბილურობას, მეორეს მხრივ კი, მხატვრების ახალგაზრდა გენერაციაც ვერ ამყლავნებს საკმარის აქტიურობას თავის განვითარებაში და პრობლემატურს ქმნის საკუთარი თავის მიკუთვნებულობას სამყაროში მიმდინარე სწრაფად ცვალებადი პროცესებისადმი. თუმცა, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველ მხატვრულ კულტურას აქვს უფლება აირჩიოს განვითარების საკუთარი ვექტორი და დინამიკა, რომ იმანენტურ კანონზომიერებებს, რომლებითაც არსებობს ყოველი ხელოვნება, აქვს ახალი პირობებისადმი ადაპტაციის საკუთარი პერიოდები, რომლებიც უფრო ხშირად იგვიანებს და არ ემთხვევა პოლიტიკურ ციკლებს.

ამიტომაც, ბოლო ოცი წლის მანძილზე, ქუთაისის მხატვრული ცხოვრება არ ხასიათდება განვითარების ტემპების აჩქარებით. ხელოვნების ევოლუცია აქ მიმდინარეობს ფართული შინაგანი ცვლილებების მშვიდ პროცესში. ეს ტენდენცია აიხსნება იმით, რომ იმერეთის რეგიონში არის ჩამოყალიბებული ინტელექტუალური ფენა, ერთიანი სტილური ტრადიცია, რომელიც ქმნის მდგრად ბაზისს ქალაქისა და რეგიონის მხატვრული ცხოვრების თანმიმდევრული განვითარებისათვის. ქუთაისური ფერწერა ავლენს საკმაო ენერჯისა და სიმყარეს, რომ შეინარჩუნოს თავისი ტრადიციული ფასეულობები. მეორეს მხრივ, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს უახლესი არტ-სისტემისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა: სხვადასხვა კონცეპტუალურ-სტრატეგიული მიმართულებების გალერეები, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, სათანადო არტ-ბაზარი, კონსერვატიულობიდან განათავისუფლებული სამხატვრო განათლება და ა. შ.

მთლიანობაში, ჩვენი ქალაქის მხატვრობის ესთეტიკური ფასეულობების განვითარებას ახასიათებს მიზიდულობის ორი ძირითადი პოლუსი: ერთის მხრივ, ნაციონალური და მსოფლიო რეალისტური ფერწერა და, მეორეს მხრივ, მოდერნიზმის ზოგიერთი გამოცდილება, რომლებსაც ძირითად ვხედავთ ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებაში. მაგრამ ამ ბუფერკაციის წყალგამყოფი არ არის გადაულახავი: რეალისტი მხატვრები ისეთივე წარმატებით ცდიან ძალებს ავანგარდულ ხელოვნებაში (თ. თაღუმაძე, ვ. მეძარიანი, ვილი, ჯ. ჭეიშვილი, ა. აბესაძე, ლ. ბუცხრიკიძე), როგორც მოდერნისტული ექსპერიმენტირებისაკენ მიმართული მხატვრები ავითარებენ რეალისტურ ტრადიციებს (ბ. ცნობილი, ა. ამაშუკელი, ქ. რობაქიძე, თ. სულაბერიძე, ი. სვანიძე და სხვ.). აღსანიშნავია ისიც, რომ მოდერნისტული ხელოვნების სხვადასხვა ელემენტის რეპროდუცირება ახალგაზრდების მიერ ხდება ინტერპრეტაციის საკუთარ შესაძლებლობებთან შეერთებაში.

ქუთაისისა და რეგიონის ფერწერის ფასეულობით ორიენტაციაში წამყვანი რჩება რეალიზმი, როგორც მისი აუქციონებლური მეთოდი. უფროსი და საშუალო თაობის მხატვრები (ა. ჩოგოვაძე, გ. ფრანგიშვილი, ე. ჯოხაძე, მ. ჩოგოვაძე, ვ. წვერაძე, ზ. მუჯანაძე, ჯ. ჭეიშვილი, ვ. კაპანაძე, ა. ჯიბუტი) უპირატესობას ანიჭებენ რეალისტური ხელოვნების იმანენტურ კანონზომიერებებს, გამოსახავენ რა რეალური სინამდვილის პარადიგმებს "ცხოვრებისეული შესატყვისობის" ფორმებში, რომლებშიც შეაქვთ ქართული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი პოეტური და რომანტიკული გრძნობები.

თანამედროვე რეალიზმი არ არის შემოღობილი ჩინური კედლით სხვა მიმდინარეობების ზეგავლენისგან, რასაც შეაქვს მის ტრადიციულ გაგებაში ახალი ასპექტები. გარკვეულწილად, ეს პროცესი მყდარდება ქუთაისის ფერმწერთა შემოქმედებაშიც. ზოგი მათგანი (გ. ფრანგიშვილი, ვ. ხაჯაველიძე, ა. ჩოგოვაძე, მ. ჩოგოვაძე, ზ. მუჯანაძე და სხვ.) თანმიმდევრულად მიჰყვება XIX ს. კლასიკური რეალიზმის დებულებებს, რჩება რა ერთგული მიმეზისის პრინციპებისადმი, ფორმის ობიექტური თვითფასეულობისა და ფერადონების ოპტიკური კანონებისადმი. სხვების (თ. დათუაშვილი, თ. ლანჩავა, ლ. დათიაშვილი) რეალისტური ძიებების მთავარი ვექტორი მიმართულია სხვადასხვა ესთეტიკური რეალიის მეტა-

ენობრივი სინთეზისაკენ და, აქედან გამომდინარე, ისინი თავისუფლად იყენებენ პოსტიმპრესიონიზმის, ნეოექსპრესიონიზმის, სოცრეალიზმის და ა.შ. ფორმაპლასტიკურ ასპექტებს, აერთიანებენ რა ხედვის სუბიექტურობას სახვითი მოტივის ობიექტურ კონკრეტულობასთან. ზოგის ინტენცია მიმართულია ბუნების მასალის ეპიკური სიდიადის აღიარებისაკენ, მისი ზეყოფიერ, იდეალურ განზომილებაში გადაყვანისა და, ამავდროულად, მოტივის საგნობრივ-პლასტიკური თავისებურებების შენარჩუნებისაკენ. ასეთ ნაწარმოებებში, დაზღუდი ფერწერის საშუალებებისა და ტექნიკური, ხერხების სინკრეტიზმი ეპიკურ ულერადობასა და ფრესკულ განზოგადებას აძლევს ბუნებაში მოპოვებულ ან მხატვრის წარმოსახვაში შექმნილ სახეებს (ჭ. ჭეიშვილის სურათები). ყურადღებას იპყრობენ ის მხატვრები (ი. ჩოგოვაძე, გ. ჩხაიძე, თ. თაღულაძე), რომელთა ნამუშევრების არსობრივი ინტრიგა დაფუძნებულია სამყაროს ლირიკულ-რომანტიკულ განცდაზე. მათი ტილოების “ფერწერული მანეტრა” არასდროს არ სპობს ნატურიდან მიღებული შთაბეჭდილებების კონკრეტულობას და ყოველთვის აღიქმება სუბსტიტურ დონეზე. ეს ნაწარმოებები “რეალისტური სენსიზმის” თავისებური ნიშნეებია, რომლებიც შეიძლება შედარებულ იქნან მედიტაციის მდგომარეობასთან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მედიტაციაში მყოფი ადამიანი თითქოს ითიშება გარეგანი გამაღიზიანებლების შემოქმედებისგან, “სენსიზმის” მდგომარეობაში კი, პირიქით, იგი რჩება რეალურ სამყაროში და მას ეხსნება დამატებითი ენერგეტიკული და სულიერი არხები, რომელთა მეშვეობით იგი სხვა დონეზე ამყარებს კავშირებს სამყაროსთან და იქედან მიღებულ იმპულსებს პოეტურ ფორმებში მოსავს.

ესთეტიკურ ფასეულობათა შორის უკანასკნელ წლებში ახალგაზრდა ქუთაისელ ფერმწერთა ყურადღებას იპყრობს პრიმიტივი (“ნაივიზმი”), რომლის გამოვლენება სხვადასხვაგვარია მხატვართა შემოქმედებაში. ზოგადად, ამ მიმართულებაში შეიძლება დავინახოთ პრიმიტივისტული ტენდენციების დაძლევის ორი ტიპოლოგიური ხერხი: ნაივური დეკორატიული ელემენტების სტილიზაცია მათი ნორმატიული მნიშვნელობის შენარჩუნებით და პრიმიტივიზმის ტრადიციებთან სიუჟეტურ-თემატური გადახაზილები. ნაივური საწყისისადმი მიმართვა, რომელიც აგებულია შემოქმედების მაქსიმალურად თავისუფალ, გახსნილ სისტემაზე, ფორმების დეფორმაციაზე, მათი სემანტიკის, რიტმის, ლოგიკის სრულიად სუბიექტურ გამოყენებაზე, ქმნის ახალი შემოქმედებითი იდენტურობის საშუალებას, მარგინალურს თავისი არსით. ჩვენს გამოფენებზე წარმოჩენილი ნაივური პარადიგმები, ბუნებრივია, ტიპოლოგიურად “არასუფთა” ფოლკლორია, რომელიც ნათლად ამჟღავნებს თავის მეორადობას ჭეშმარიტი (ანუ გლენური) სახვითი ფოლკლორისადმი, რადგანაც ჭეშმარიტი პრიმიტივი გულისხმობს სწავლული არტისტიზმის სრულ გამორიცხვას, აქ კი იგი იქმნება პროფესიონალი მხატვრების მიერ, რის გამოც იკარგება კავშირი “ფოლკლორულ მესხიერებასთან” და ბევრ შემთხვევაში რჩება მხოლოდ პრიმიტივის ზედაპირული სტილიზაცია.

რეგიონული ნაივური ფერწერის დისკურსიული ვექტორების მიმართულება ვლინდება შინაარსობრივად განსხვავებულ ნაწარმოებებში. ასეთია, ფილოსოფიური ქვეტექსტების მქონე სურათები-იგავები, რომლებშიც

ყოველთვის არის დიალოგის შეთავაზება მაყურებლისათვის ყოფიერების იმანენტურ პრობლემებზე (ნ. არაბიძის პატარა, დიდაქტიკური ხასიათის მქონე სურათები), ან ნაივური ხედვით დანახული ვირტუალური სამყაროს რომანტიკული-იდილიური მოტივები (ა. ამაშუკელის, ა. აბესაძის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები), ან ხალხური (უფრო რუსული) შემოქმედების ხატოვანი პრინციპების გამოყენებაზე აგებული სუფთა ზემოთი ხასიათის სახეები (მ. ბაგრატიონის, დ. ქუთათელაძის ნაწარმოებები) და სხვ.

ქუთაისის თანამედროვე ფერწერის სემანტიკურ სურათში რეალისტური ფერწერის ძიებების გვერდით მიმდინარეობს XX ს. ავანგარდის ამა თუ იმ “იზმების” საარეგენერაციო მოვლენებიც. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ინარჩუნებს აბსტრაქციონიზმი. სხვადასხვა თაობის მხატვრების შემოქმედებაში ისახება კომპოზიციური მინიმალიზმისა და უსიუყუტობის თვითკმარობა, რაც, საბოლოო ჯამში, აბსტრაქციონიზმის ორი ტენდენციის — კონკრეტული აბსტრაქციონიზმის და აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის სახეს იძენს, სადაც მხატვრის ემოცია განთავისუფლებული რეალური ფერწერული წინასახეებისგან, გარდაისახება ფერის “სუფთა სუბსტანციებში” (ი. ლანჩავას, თ. თაღუმაძის, ვ. მეძმარიაშვილის, გ. ადგიშვილის ნაწარმოებები).

იმერეთის არტ-სივრცეში გვხვდება, აგრეთვე, უსაგნო აბსტრაქციონიზმის საპირისპირო მოვლენის — პოპ-არტისადმი ინტერესი, რომელშიც თავის უტილიტარულ საუკუნეს მოხდილი საგნები და ნივთები, ამოგლეჯილი არსებობის რეალური კონტექსტიდან, საექსპოზიციო ფეფურანტებად გამოდის და, მათი ავტორების აზრით, საგამოფენო სივრცეში ესთეტიკური ფასეულობების მნიშვნელობას იძენს. სინამდვილეში კი ისინი ნეკროფილურ პროცესს განიცდიან, რადგანაც, ერთის მხრივ, კარგავენ თავის ფუნქციონალურ თვისებებს, ხოლო, მეორეს მხრივ, ვერც რაიმე მნიშვნელოვან მხატვრულ სტატუსს იძენენ (ბ. ცნობილიაძის კომბინაციები).

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა ქუთაისელი მხატვრების ეს ორიენტაცია ევროპული ხელოვნების ფასეულობებისადმი (ზემოთ ხაზგასმულის გარდა — სიურრეალიზმისადმი, კონცეპტუალური ხელოვნებისადმი, ნეოექსპრესიონიზმისადმი და სხვ.) თავის საბაზო პრინციპებში ორვექტორიანია: ინტერესი ევროპის მხატვრული ცენტრებისადმი შერწყმულია მათ შემოქმედებაში ეთნიკურ ორიენტაციასთან, ნაციონალური საწყისების გააზრებასთან. ამიტომ ისინი მკვეთრად არ “ვარდებიან” ქუთაისური ფერწერის განვითარების საერთო კონტექსტიდან და მათი მიმართვა მოდერნისტული “იზმებისადმი” არის უფრო მანერისტული, ვიდრე პრინციპული.

ჩვენს აგრესიულ-პრაგმატულ დროში, როდესაც მოდურია თავყანისცემა ზემოთ აღნიშნული “აქტუალური ხელოვნების” სხვადასხვა ფეტიშების მიმართ, ქუთაისის ფერმწერები თანმიმდევრულად ტრადიციულები არიან და სახელობრ ამიტომ მათი ფერწერა ინარჩუნებს გარკვეულ ხარისხობრივ დონეს. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ კარგად აპრობირებული ფერადპლასტიკური ძიებების მიღმა ისინი კარგავენ დრამატული დროის შეგრძნებას და თვით კვლევის მთავარ საგანს — ადამიანს. ამიტომაც,

ნარატული სურათი (თხრობითი კომპოზიცია), ისევე როგორც პორტრეტული უანრი თითქმის გაქრა ქუთაისური ფერწერის სტრუქტურრიდან და თუ კიდევ ინარჩუნებს სადმე თავს, მხოლოდ რამდენიმე ენთუზიასტის მადლით. განიცდის კრიზისს ჩვენი ხელოვნებისათვის ისეთი ტრადიციული უანრი, როგორიცაა ნატურმორტი, საერთოდ გაქრა ისტორიული სურათი. ჩვენმა ხელოვნებამ დაკარგა სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციონირების ბევრი ასპექტი. იგი პროფესიონალური პრობლემების წრეში ჩაიკეტა. ქუთაისელი ფერმწერების მხატვრული შეგნება თანამედროვე ევრაზიული ხელოვნების მხატვრულ პრაქტიკას ერთი-ორი თაობით ჩამორჩა. ჩვენს მხატვართა მთავარი ესთეტიკური ფასეულობაც — რეალიზმი — მეტ სიღრმისეულ გააზრებას მოითხოვს დღეს — საბაზრო ეკონომიკის, დემოკრატიის, პოსტმოდერნიზმის საერთო ქაოსის პირობებში. ქუთაისური ხელოვნება, ქართულ ხელოვნებასთან ერთად, არ უნდა იყოს დემარკაციული ხაზით გამოყოფილი ზოგადსაკაცობრიო მხატვრული პროცესებისგან, უნდა ეძიებდეს მასთან სიახლოვის ანალიტიკურ გზებს და აგებდეს ამისათვის კომუნიკაციურ ხილებს. როგორც ამას ფრანგი მოქანდაკე ოგიუსტ როდენი ამბობდა, იგი უნდა იყოს “დროის სულისა და ადამიანის ოცნების მხატვრულ ფორმაში განსახიერება”.

დამოწმებული ლიტერატურა

- სახვითი ხელოვნების ქრონიკები — 2005, ქუთაისი, 2006.
 სახვითი ხელოვნების ქრონიკები — 2006, ქუთაისი, 2008.
 სახვითი ხელოვნების ქრონიკები — 2007, ქუთაისი, 2009.
 Каңдинский В. О духовном в искусстве. М., 1992.

ZURAB TODUA

CONTEMPORARY PAINTING OF KUTAISI: VALUE ORIENTATION, STRUCTURE

1. “Contemporary art” (known in the West as “actual” or “contemporary art”) means completely motley, difficult and often less understood model, which is made by postmodern art repertoire with different actions, performances, installations, video art, net-art, media-art etc. Discussing the contemporary practices of Kutaisi I use the concept “Contemporary Painting of Kutaisi” only as the given data, in ontological format, as it has hardly anything in common with “Contemporary art” in the western sense. Therefore, we use concept “Contemporary Painting of Kutaisi” only in temporary aspect or in ontological format with displaying of those aesthetic values on which it is based upon in the current artistic researches.

2. After liberation from the Soviet ideology and in the period of radical changing in the field of social-political and cultural life, (end of 70 years and beginning of 90 years) the time of style disturbances came in the art. The category of the style isn't a determiner in the plan of development of the art. At this time in Kutaisi artistic life dominates "Contemporary eclecticism". The amplitude of researches fluctuated from "complete realism" to "complete abstraction". Though, it wasn't a realization of creative liberty but rather a compensation caused from the prohibitions in the Soviet period. Because painters of Kutaisi were not ready for the natural, innovative experiments. Later the civil war, war in Abkhazia, and economic crisis sufficiently reduced development of artistic life in Kutaisi.

3. In the first ten-years of the new century, Kutaisi art isn't characterized with the fast pace of development or any differences except the traditional ways. The reason of this is that Kutaisi and Imereti region has not a corresponding utilities of the contemporary arts and besides there is a developed intellectual stratum, joint stylistic tradition, that makes a stable base for development of painting of the town and region without radical changes. On the other hand in our country there is no essential infrastructure for the abovementioned "contemporary" art.

4. In value orientation of Kutaisi painting realism prevails as a founder method. The artists of older and new generation prefer immanent conformity of realistic art, reflects paradigms of reality within the forms of "life equivalence". In last years in the creative work of the young painters the attention is paid to the direction to esthetic values of primitivistic art ("Naivistic"). In the direction there are two typological ways: 1) stylization of naive decorative elements with preserving of their normative significance and 2) subject –thematic signs with primitivistic traditions. The discursive direction of vectors of Naivistic painting is displayed in the compositions different with content.

5. In semantic picture of painting of contemporary Kutaisi with realistic painting researches there is observed regenerative appearances of "isms" of vanguard art (abstractionism, pop-art, surrealism, conceptual art.), but this orientation of the young artists are more superficial and manneristic in its basic principles than principal and thoroughly considered.

6. Within the approved color-plastic researches the artists of Kutaisi lose sense of dramatic time and the subject of self-research – a man. Therefore, narrative composition as well as portrait genre is almost disappeared from Kutaisi painting structure. Such genre as are painting that is very rare guest in the exhibitions of the artists is in crisis.

7. Under those conditions when the art is given powerful impulse for creative experiment, Kutaisi art mustn't be separated through demarcated line from the common artistic processes, it must search for analytical ways and make communication bridges. Just these ways are one of the main possibilities for its qualitative renovation.

ეთერ ინწკირველი

ბიბლიური ისაქის სახე ქართულ ფოლკლორში

უწვილობა, როგორც ბიოლოგიური მოვლენა, ადამიანის ფსიქოლოგისთვის მეტად დამთრგუნველია. ზღაპარში უდიდესი მნიწვნელობა აქვს მემკვიდრის ყოლას. აქ ხშირად ვხვდებით უწვილობის გამო დაღონებულ ხელმწიფეს. უძველესი რწმენის თანახმად, სული იმ შემთხვევაში აგრძელებდა ცხოვრებას სხეულის დატოვების შემდეგ, თუ დარჩებოდა მემკვიდრე, რომელიც წინაპრების კულტს დაიცავდა (ი. ლიპერტი, 1925, გვ. 224). ამგვარად, მემკვიდრის ყოლას დიდი მნიწვნელობა ჰქონდა ადამიანებისთვის, მეტადრე მეფისთვის, რომელიც ღვთაებრივი ძალის მქონეა, ეს ძალა კი პერიოდულად უნდა განახლდეს, ესე იგი ახალგაზრდა მემკვიდრით უნდა შეიცვალოს (რ. ჩოლოყაშვილი, 2004, გვ. 128). ხელმწიფის განახლება სამყაროს განახლების ტოლფასი იყო.

ებრაელი ერის წინამძღოლის - აბრაამის უწვილობა, უნაყოფობა გაიგება არა მხოლოდ მის პიროვნულ, არამედ მთელი ერის ტრაგედიად. ებრაული ტრადიციით, სწორედ აბრაამისა და სარას შვილი ითვლება მამის ჭეშმარიტ გამგრძელებლად და არა ისმაელი — მოგვი აგარისგან შობილი აბრაამის ძე.

“მეუფეო, რაი მომცე მე, რამეთუ მე წარვწყმდები უწვილოდ” - მიმართავს აბრაამი უფალს და, ერთი შეხედვით, მეტად თამამ განცხადებას აკეთებს ბიბლიაში.

ქართულ ხალხურ ლექსშიც გვაქვს სითამამესთან საქმე: ზოგიერთ ვარიანტში აბრაამი ყოველგვარი კრძალვის გარეშე სთხოვს უფალს შვილს, სხვა შემთხვევაში კი ავლენს სიფრთხილეს, რაც ხალხურ ლექსში აბრაამის მიერ იმთავითვე შვილის მსხვერპლად შეწირვაში გამოიხატება:

*“ფიცსა მივცემ გამჩენელსა,
თუ რომ შვილი გამიჩნდება,
შვიდ წელიწადს ჩემი იყოს,
შემდეგ საღვთოდ დაიკვლება!”* (ქზ, გვ. 242)

ანდა:

*“ღმერთო, ერთი შვილი მამე,
შენთვის საღმერთოდ გაიზრდება!”* (იქვე, გვ. 245)

ერთი შეხედვით პარადოქსულ განცხადებას აკეთებს აბრაამი ქართულ ხალხურ ლექსში — უფალს სთხოვს ძეს, რომელსაც ისევ უფლისთვის დაკვლას უბირებს. როგორც ჩანს, ხალხური ლოგიკისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ყოველივე კეთილის მიზეზის — ღმერთის მიერ აბრაამის მოულოდნელად გამოწვევა. იმისათვის, რაც ბიბლიაში დაუფიქრებლად, მომენტალურად წყდება, ებრაულ ფოლკლორში — სამ დღეში, ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ შვიდი წლის ფიქრის, ანალოზის საშუალება მისცა აბრაამს. აქ უფრო გამძაფრებელია სიტუაცია. ბიბლიაში აბრაამი ერთ დღესაც არ ფიქრობს შვილზე, აქ კი მთელი შვიდი წელი ემზადება

შვილის მსხვერპლად შეწირვისთვის. ეს უფრო მძიმე იქნებოდა აბრაამისათვის, ვიდრე უცბად, დაუფიქრებლად გადაწყვეტა.

ებრაულ სამეცნიერო ლიტერატურაში ისაკი პასიურ პიროვნებად არის დახასიათებული. აღინ შტაინზალცის აზრით, ის მუდამ თავისი მამის ჩრდილში იყო, მისი ინდივიდუალობა მამის ძლიერი ფიგურის უკან დგება. ისაკი უნდა ქცეულიყო არაჩვეულებრივ პიროვნებად, რომ შესძლებოდა იმ გიგანტური სულიერი მემკვიდრეობის ტარება, რომელიც მას მხრებზე დააწვა (ლ. შტაინზალცი, 1995, გვ. 43-44). ისაკს ღირსეულად უნდა გაეგრძელებინა მამისეული გზა, ისე უნდა ეპოვნა ადგილი სამყაროში, რომ არ უნდა დათრგუნულიყო მისი ინდივიდუალობა. ისაკის თვითდამკვიდრება სამსხვერპლოზე იწყება, სადაც ის შეკრული წევს.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ როგორც ებრაულ, ასევე ქართულ ფოლკლორში ისაკის გაცილებით უფრო საინტერესო სახე იხატება, ვიდრე ბიბლიაში.

თუ ბიბლიაში ისაკი ჩვეულებრივი ყრმაა (ის ჩვეულებრივ დაცვიეთს და ჩვეულებრივად იზრდება), “აბრაამის ლექსში” ისაკი განსაკუთრებული ნიშნებით არის აღბეჭდილი. აქ, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმულია მისი არაჩვეულებრივი შობა და ბავშვობა:

*“სამი თვე მუცლით ატარა,
მეოთხე თვეს გაუჩნდება”* (ქზბ, გვ. 247);
*“იმ მეორე წელიწადსა მშვენიერად აღიზრდება,
იმ მესამე წელიწადსა ისაკ მეტად დამშვენიდება,
იმ მეოთხე წელიწადსა, მამასთან დაეძინება,
იმ მეხუთე წელიწადსა, ღვთის მონება შეეძლება,
იმ მეექვსე წელიწადსა ისაკ ტანად აღიზრდება,
იმ მეშვიდე წელიწადსა აბრაამ ცოლსაც გაუტყდება”*
(იქვე, გვ. 261);

*“ხუთი წლისა რო შეიქნა, ცხენზე ჯდომა შეეძლება.
დიდად უკვირს ყოველ კაცსა, – ეს ყმაწვილი რათ იზრდება?”*
(იქვე, გვ. 242).

ბიბლიური სიუჟეტის ქართული ხალხური ვერსიის თითქმის ყველა ვარიანტში ისაკი, აღთქმის თანახმად, მსხვერპლად უნდა შეიწიროს შვიდი წლის ასაკში.¹ უნდა ითქვას, რომ რიცხვი შვიდი საკრალური რიცხვია და გამოხატავს სრულყოფილებას. ეგვიპტური სიბრძნით, მთელი განფენილია შვიდში. ბუდას შვიდი ნაბიჯი სიმბოლურად მეშვიდე - უმაღლეს კოსმიურ სიბრტყესთან მიახლოებას გამოხატავს. “აბრაამის ლექსში” კი ისაკის შვიდი წლის აღნიშვნით მისი სრულყოფილება არის მინიშნებული. ისაკი არ არის ჩვეულებრივი ბავშვი, მეტიც: შვიდი წლის ასაკში ის უკვე აღარ არის ბავშვი, რადგან მასში უკვე მომწიფებულია მოვალეობის, ღვთის სიყვარულის და, საერთოდ, რელიგიური გრძნობა. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ შვიდი წელი ისაკის ცნობიერების სრულყოფილებაზე მიუთითებს.

საინტერესოა, რომ ებრაული ფოლკლორის - აგადას მიხედვით, აბრაამის გამოცდის ეპიზოდში, მოქმედებაში ერევა სატანა - ბოროტი ძალის პერსონიფიციკრებული სახე. ის აქეზებს ღმერთს აბრაამის წინააღმდეგ,

¹ერთადერთი გამონაკლისია ვარიანტი, სადაც თორმეტი წლის ასაკში იწირება ისაკი (ქზბ, გვ. 251).

რომ მას (აბრაამს) ერთი მტრედიც არ შეუწირავს ღმერთისთვის შვილის სანაცვლოდ. შემოქმედი დარწმუნებულია აბრაამში: “მაშინაც კი, თუ მე ვუბრძანებ, რომ მსხვერპლად საკუთარი შვილი შემომწიროს, ის მე დამიჭერებს” (პ. ლეიბოვიჩი, 1997, გვ. 143).

ამას არ მოჰყოლია ისაკის მსხვერპლად შეწირვის მოთხოვნა. ღმერთს სჭირდებოდა, ისევე ყოფილიყო დარწმუნებული ისაკის პიროვნებაში, როგორც აბრაამში. ებრაული ტრადიციით, გამოცდის პირველბიძგი სწორედ ისაკი იყო: ერთხელ, როდესაც ისმაელი მამის მოსანახულებლად მოვიდა, ძმებს შორის კამათი გაიმართა. ისმაელის აზრით, ღმერთს ის უფრო უყვარდა, რადგან საკუთარი ნებით დათანხმდა წინადაცვეთაზე, ხოლო ისაკი მხოლოდ რვა დღის იყო. მაშინ ისაკი უპასუხებს: “ღმერთისთვის შეწირული სამი წვეთი სისხლით ამაყოფ? მე ოცდაჩვიდმეტი წლის ვარ და თუ შემოქმედი მთელ ჩემს სხეულს მოინდომებს მსხვერპლად, მე სიხარულით მივცემ მას” (რ. ვეისმანი, 1990, გვ. 243). ებრაული ფოლკლორის მიხედვით, ღმერთმა მაშინვე მოუწოდა აბრაამს მსხვერპლად შეეწირა საკუთარი ძე. აგადა მოგვითხრობს, დილით ადრე ადგა აბრაამი, მოამზადა საუკეთესო ტოტები, თვითონ დატვირთა ვირი და არავინ დაინძარა, მაშინ, როცა ამ სამუშაოს, ჩვეულებრივ, მონები ასრულებდნენ. სამი დღე დასჭირდათ, რომ მორიას მთამდე მიეღწიათ. გზაში სატანამ მოხუცის სახე მიიღო და ყველანაირად ეცადა გადაეწმუნებინა აბრაამი. რომ ვერაფერს გახდა, ის მაინც მოახერხა, რომ ისაკს მსხვერპლშეწირვის საიდუმლო გაანდო.

ასევე ქართულ ფოლკლორში ისაკმა წინასწარ იცის მსხვერპლშეწირვის საიდუმლო, ოღონდ, არა ეშმაკისგან: “ვიცი სამლოდ მე გინდივარ, გული რაზე გილონდება?” (ქზბ, გვ. 240). მეტიც, ისაკი მამას თვითონ ახსენებს უფლის ნებას, ეხმარება და ამხნეებს კიდევ აბრაამს საღვთო ვალის აღსრულებისას:

*“რალას იყურები მამა, მზე დედასთან მიბრძანდება.
ხელ-ფეხიდან მგრა შექვარ, მოძრაობა არ მექნება,
თორემ სული ტკბილი არის, შვილი მამას მოუჩვენა”*
(იქვე, გვ. 241)

ქართულ ხალხურ “აბრაამის ლექსში” ისაკი მთელი თავისი შეგნებით არის მზად შესაწირად. რაც მთავარია, მას ბოლომდე აქვს გაცნობიერებული თვით-მსხვერპლშეწირვის მთელი სიბრძნე:

„კალთას სისხლი თუ მოგეცხო, სამღვთობა წავიხდება“ (გვ. 114), - ეუბნება ის მამას და თითქოს მიანიშნებს, რომ უფალი აბრაამისგან სწორედ უსისხლო მსხვერპლს ითხოვს და არა ტრადიციულ “ხელ-მხრის განბანის” რიტუალს, რომელსაც სამსხვერპლო ცხოველის სისხლით ასრულებდა ხევისბერი მსხვერპლშეწირვის შემდეგ.

ასეა თუ ისე, ისაკის ორსახოვნება აშკარაა ამ ეპიზოდში: გასაგებია, რომ ის მსხვერპლია, აბრაამი — ქურუმი, ღმერთი - მსხვერპლის მიმღები. ისაკი კი იმითაც არის საინტერესო, რომ ფოლკლორში ის ერთდროულად არის მსხვერპლიც და ქურუმიც (ან თანაქურუმი), რადგან მისი თავისუფალი ნებით ხდება ყველაფერი. და თუ ებრაული ტრადიცია მსხვერპლშეწირვის ეპიზოდში მთელ ყურადღებას აბრაამის ფსიქოლოგიაზე ამახვილებს, ქართულ ტრადიციაში აბრაამი და ისაკი თანაბრად არიან ტრაგიზმით აღბეჭდილი.

მეტიც, შვიდი წლის ყრმამ თავის თავზე გამოსცადა ღმერთის სიყვარული ყველაზე მძიმე მომენტში — სიკვდილის პირისპირ (ე. ინჟიკრელი, 2002, გვ. 99). ისაქის მძიმე ღვაწლი რელიგიურ აზრს იძენს მხოლოდ ნებაყოფლობითობისას. ისაქის სახე ფოლკლორში სწორედ იმით არის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი, რომ ის ნებითი მსხვერპლია და არა იძულებითი. საუბრობს რა მსხვერპლშეწირვის რიტუალზე ქართულ და უცხოურ ტრადიციაში ირაკლი სურგულაძე აღნიშნავს, რომ მსხვერპლი მაშინ განხორციელდება, როცა შეწირვა ნეტარება შეწირულისთვის (ი. სურგულაძე, 2003, გვ. 158). ანტიკურ ტრადიციაშიც კი, განსაკუთრებით კარგ ნიშნად ითვლებოდა, თუ ცხოველი შვიდად მივიდოდა სამსხვერპლოზე (იქვე, გვ. 163).

საგანგებოდ უნდა გამოიყოს მსხვერპლშეწირვის სარიტუალო მომენტი. უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ ისაქი არის მსხვერპლი, რომელიც უნდა დაიწვას ან მოხარშოს. არისტოტელეს მიხედვით, ხარშვაში ხდება სიკვდილი და ახლად დაბადება. ოლგა ფრეიდენბერგი ზოგადად აღნიშნავს, რომ ხორცის მოხარშვა ან ცეცხლში დაწვა ნიშნავდა არა მხოლოდ გაახალგაზრდავებას, არამედ პალინგენესიას, ე. ი. ახალ დაბადებას, აღდგომას. ცნობილია, რომ პელოპის თავისმა ქალიშვილებმა, მამის გაახალგაზრდავების მიზნით, დაანაკუწეს, მოხარშეს და ახლად შექმნეს. დიონისე-დაგრევსაც ზოგ ვარიანტში წვავენ, ზოგან ხარშავენ და ის აღდგება. რაც შეეხება კოკონს: „*ცეცხლი ისეთი ანთია, ალი ზეცას ავარდება*“ (ქპპ, გვ. 261). ცეცხლის ალს „აბრაამის ლექსში“ საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს, ისევე როგორც სხვადასხვა რელიგიაში მოხარშული ან დამწვარი მსხვერპლის კვამლს, რომლითაც, ფაქტობრივად, იკვებება ღვთაება, რომელსაც მსხვერპლს აღუვლენენ. ხარშვასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი ვარიანტი, რომელშიც აბრაამის ცრემლები ქვებში თევზებად გადაიქცევა:

“ - *მამაჩემო, თევზებს ხარშავ, განა საღმრთოდ შეიძლება?!*

- *შვილო თევზი ენა არი, მულამ სიზმრად მელანდება!*”

(იქვე, გვ. 251).

საიტერესოა თევზის სიმბოლიკა: ის დაკავშირებულია ნაყოფიერებასთან, სიბრძნესთან, ძლიერებასთან... აფრიკული ტრადიციით, თევზი არის მკვდარი ადამიანის სულის ხორცშესხმა. ჩინეთში, ინდოეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში თევზი ახალ დაბადებას აღნიშნავს, ამიტომ მისი სახე ხშირად გამოიყენება დაკრძალვის ან მსხვერპლშეწირვის რიტუალებში. ადრექრისტიანულ მწერლობაში იესო ქრისტე ხშირად იწოდება “თევზად”, ხოლო ქრისტიანები — „მეთევზეებად“. ამ მხრივ, ძალზე საინტერესოა თევზის ბერძნული სახელწოდება - *ἰχθυσ*, რომელიც იმიფრებოდა როგორც ბერძნული ფორმულის — *Ἰησους Χριστος θεου υἱος σωτηρ* - იესო ქრისტე, ძე ღვთისა მსხნელი — აბრევიატურა.

ისაქის და ქრისტეს ფუნქცია ერთმანეთს უტოლდება. ორივენი მხოლოდშობილნი არიან და ორივეს შობა სასწაულოდ არის დაკავშირებული: ერთ შემთხვევაში ოთხმოცდაათი წლის სარა აჩენს ისაქს (ეუბრაული აპოკრიფული ლიტერატურის თანახმად, სარას ზებუნებრივად ჩაესახება ისაქი), მეორე შემთხვევაში კი ქალწულ მარიამს ჩაესახება სულიწმიდისგან ქრისტე. ისაქი აბრაამის ნანატრი შვილია — “სიბერის ძე”. ღმერთს სჭირდებოდა ყველაზე ძვირფასი მსხვერპლი აბრაამისგან, ყველაზე სანუკვარი რამ. ბიბლიის კითხვისას, ისაქის მსხვერპლად შეწირვის

მოთხოვნა თითქოს მოულოდნელი არც არის: ისაკის სასწაულებრივი გაჩენა უკვე წინასწარ მიგვანიშნებს მის უჩვეულო ბედისწერაზე. აბრაამი უსიტყვოდ თმობს ისაკს, ისევე როგორც მამა ღმერთი თმობს თავის მხოლოდშობილ ძეს, „ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოთვილი, რომ მოსცა მას თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუბოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“. ერთი შემთხვევა რწმენითაა მოტივირებული, მეორე — სიყვარულით, ორივეს კი ერთი რამ აერთიანებს: დასთმო ყველაზე ძვირფასი, რაც გაგაჩნია, ეს ნიშნავს მოიპოვო ყველაზე მთავარი ამ ცხოვრებაში.

მსხვერპლშეწირვა მთაზე ხდება ბიბლიაშიც და ხალხურ ლექსშიც. ხე არის კოსმიური ღერძის სიმბოლო. საერთოდ, ის მთელს კოსმოსს აერთიანებს. მისი ტოტები განასახიერებს ზევას, ფესვები — მიწისქვეშა სამყაროს, ტანი კი არის ამ ორი პოლარული საწყისის გამაერთიანებელი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ებიკის ხეს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ბიბლიაში, ასევე ზეპირსიტყვიერებაში, რადგან მისი საშუალებით ხდება სამსხვერპლო ვერძის კოსმიურ ვერძად, კოსმიურ მსხვერპლად მოაზრება. რადგან ეს ვერძიც ისაკის პარალელური სახეა.

ისაკი იყო ის პიროვნება, რომელიც დაუკლავად შეიწირა მსხვერპლად და სიკვდილის გარეშე აღდგა მკვდრეთით. რომც დაკლულიყო იგი, მისი სიკვდილი ხალხის ცნობიერებაში არ იქნებოდა სიკვდილად აღქმული, რადგან სიკვდილი თვითონ ბადებს სიცოცხლეს. „დაბადება და სიკვდილი მარადიული ცხოვრების — უკვდავების ორი ფორმაა, რომელიც მიანიშნებს, რომ ახალი მდგომარეობიდან ძველში ბრუნდები და ძველიდან ახალში“ (ო. ფრეიდენბერგი, 1997, გვ. 63). როდესაც აბრაამი თავის შვილზე დანას აღმართავდა, სინამდვილეში ახალი დაბადებისთვის ამზადებდა მას.

დამოწმებული ლიტერატურა

ე. ინწკირველი, 2002 - ე. ინწკირველი, აბრაამის ამბავი ქართულ და ებრაულ ფოლკლორში, ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი, 2002.

ი. სურგულაძე, 2003 - ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003.

ქსპ - ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, ნაკვთ. II. შემდგ. ნ. შამანაძე, თბ., 1973.

რ. ჩოლოყაშვილი, 2004 - რ. ჩოლოყაშვილი, უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვანი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში, თბ., 2004.

P. M. Вейсман, 1990 - P. M. Вейсман, Мидраш рассказывает, Берешит I. Иерусалим, 1990.

П. Лейбович, 1997 - П. Лейбович, Новые исследования книги Брейшит в свете классических комментариев. Иерусалим, 1997.

Ю. Липперт, 1925 - Ю. Липперт, История культуры, 1925.

О. М. Фрейденберг, 1997 - О. М. Фрейденберг, Поэтика сюжета и жанра, 1997.

Л. Штайнзальц, 1995 - Л. Штайнзальц, Библейские образы. Иерусалим, 1995.

ETER INTSKIRVELI

IMAGE OF BIBLICAL ISAAC IN THE GEORGIAN FOLKLORE

the work deals with the psychological and social aspects of infertility as a biological phenomenon. The childless leader of the nation - Abraham, like the childless kings in fairy tales, is perceived as the tragedy of the entire nation.

It is emphasized in the Georgian folk text that Abraham's heart is heavy, as he has to sacrifice Isaac to the Lord. It should be noted that according to the Georgian folk version, Abraham is given seven years to think and decide what to do with respect to the same thing that is done rashly in the Bible, and in three days in the Hebrew folk texts. In the Georgian version the situation is compounded. According to the Bible, Abraham does not think much about his son, but here, he has seven years to get ready to sacrifice his son. It would have been more painful and distressing for him to take such decision after seven years' thinking. It is obvious that the challenge thrown unexpectedly by the Lord to Abraham turned out to be unacceptable to the people's logic.

It should be noted that in the Hebrew specialists literature Isaac is portrayed as a passive figure. The Georgian and Hebrew folk texts give more interesting portrait of Isaac than the Bible does.

First of all, I should mention Isaac's unusual birth in the Georgian folk texts: having been in the mother's womb, he grows strikingly rapidly. Besides that, his age - seven years - is sacral and denotes completeness, wholeness (like Abraham's hundred years). His love for God is matured and he is ready to perform the duty. In our opinion, seven years indicate the perfection of Isaac's consciousness.

The parallel material is taken from the Hebrew folklore, where Isaac meets Satan who tells him about the secret of sacrifice. Here, as well as in the Georgian folk versions, Isaac reassures his father, trying to relieve his feelings. It means that Isaac is well aware of the importance of his sacrifice.

Isaac is a victim. He should be fried or boiled. According to Aristotle, boiling means death and rebirth. In one of the versions, Abraham's tears in the pot turn into the fish that is the illustration of identity of Isaac and Christ in the exegetic literature. Fish symbolizes Jesus Christ. In the ancient Christian literature Jesus often was referred to as "fish", and the Christians - as "fishers". The Greek designation of "fish" ἰχθῦς, is deciphered as the abbreviation of Ἰησοῦς Χριστὸς θεοῦ υἱὸς σωτήρ, i.e. Jesus Christ, Son of God, the Savior.

The question of identity of Isaac's and Christ's functions is also considered in the work: both of them are only sons, the birth of both of them is connected with the miracle and both of them are sacrificed by their fathers. The first is motivated by the belief in God, the second - by the love for Adam's descendants. Both of them are united under the same omen: to lose something that is the dearest in one's life, i.e. to obtain something that is the most important in life.

In the Hebrew as well as in the Georgian folk texts, Isaac knows that he is a victim and should be sacrificed. Moreover, he helps his father to fulfill the divine duty. In the Georgian folk verse, Isaac is double-faced: it is quite understandable that Isaac is a victim, God is the receiver of the victim, Abraham is a priest. As to Isaac, he is a victim and a priest (or a co-priest) at the same time, as thanks to his free will everything happens. And if the Hebrew tradition draws attention to Abraham's psychology, in the Georgian tradition Abraham and Isaac are the bearers of the same tragedy. Moreover, a seven-year-old boy experiences the love for God at the very hard moment of his life - when he was facing the death. Isaac's rising from the scaffold is perceived as his rebirth: when Abraham lifted his hand to stab Isaac with a knife, he, actually, prepared him to be born anew.

რუსუდან კაშია

კათოლიკე მისიონერთა საქმიანობის ერთი ასპექტი XVIII ს. საქართველოში

XVII საუკუნეში კათოლიკური ეკლესიის განმტკიცებისა და კათოლიციზმის გავრცელების მიზნით, ვატიკანმა გადაწყვიტა გაეშალა ფართო მისიონერული საქმიანობა. იდეის სულისჩამდგმელი გახდა პაპი გრიგოლ XV, რომელმაც 1629 წ. დააარსა წმინდა კონგრეგაცია “დე პროპაგანდა ფიდელე” — “რწმენის გავრცელების, პროპაგანდის კონგრეგაცია”. მომდევნო პაპის — ურბან VIII-ის მიერ დაარსდა პროპაგანდის კოლეჯი. რომლის მთავარი მიზანი იყო მისიონერთა მომზადება. კათოლიკე მისიონერები გამოჩნდნენ ირანში. შაჰ აბას I-მა, რომელიც ოსმალეთს უპირისპირდებოდა, ევროპის ქვეყნებთან პოლიტიკური კავშირის მიზნით, მისიონერებს მოღვაწეობის საშუალება მისცა. საქართველოში თავდაპირველად (კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის დროს) ავგუსტინელი ბერები გამოჩნდნენ. მალევე მათთან ერთად დაფუძნდა თეატინელთა მისიონი.

XVIII ს. II ნახევარში თეატინელები საქართველოში კაპუჩინელებმა შეცვალეს. გორში ვახტანგ V-მ მათ გადასცა თეატინელთა ყოფილი ეკლესია და 1669წ. გორში კაპუჩინელთა მისიონი დაარსდა. იმავე პერიოდში დაარსდა მისიონი ქუთაისში.

1670 წლისათვის პატრებმა თბილისში უკვე ააშენეს საკუთარი ეკლესია (მ. პაპაშვილი, 1995, გვ. 208).

მისიონერთა მოღვაწეობის დადებითი ასპარეზი (საგანმანათლებლო, სამკურნალო, დავროლოგიის თავესსაფარი) სათანადოდაა გაშუქებული და შესწავლილი ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენ საქართველოში მათი მრავალწლიანი საქმიანობის მხოლოდ ერთ მხარეს შევხვებით.

მკვლევარი მურმან პაპაშვილი, რომელმაც კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობას მიუძღვნა ნაშრომი “საქართველო-რომის ურთიერთობა”, აღნიშნავს, რომ “XVIII ს. ბოლოს ირანის იმპერიაში და მათ შორის საქართველოშიც სომეხთა მხრიდან დაიწყო კათოლიკე მისიონერების ღეგნა. მართალია, შაჰის ბრძანებით, ირანის იმპერიაში კათოლიკე პატრებს ხელშეუხებლობის გარანტია მისცეს, მაგრამ ამან ეფექტურად ვერ იმოქმედა. შემდეგში ირან-საფრანგეთის 1708 წლის ხელშეკრულებამ კათოლიკე მისიონერებს ისევ მიანიჭა თავისუფალი მოქმედების უფლებები, მაგრამ პატრები მაინც განიცდიდნენ ღეგნასა და შევიწროებას, რაც (ავტორის მტკიცებით) გამოწვეული იყო სომეხთის პატრიარქისა და მისი მომხრეების საქმიანობით. სომეხთა .პატრიარქმა, დიდი ქრთამის საშუალებით, ირანის მესვეურებისაგან მიიღო სიგელი, რომლის ძალითაც მისიონერთა საქმიანობას დაბრკოლებებს უქმნიდა” (მ. პაპაშვილი, 1995, გვ. 243).

სომეხი სასულიერო პირების ანტიკათოლიკური განწყობილებების მიზეზების შესახებ ვ. გაბაშვილი წერს: “კათოლიკე მისიონერებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი სომხური ეროვნების თბილისელი ვაჭრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში. სომეხი ვაჭრები წინააღმდეგობას უწევდნენ კათოლიკე მისიონერების კომერციულ საქმიანობას, როგორც სპარსეთში, ისე საქართველოში” (ვ. გაბაშვილი, 1959, გვ. 63).

ამ მოსაზრებას არ იზიარებს მ.პაპაშვილი. მკვლევარი ეყრდნობა იმ ცნობილ ფაქტს, როცა 1633 წელს, “პროპაგანდა“-ის ბრძანებით, კათოლიკე მისიონერებს აეკრძალათ სავაჭრო საქმიანობა. ავტორი აღნიშნავს: “ამიერიდან მისიონერები ძალზე იშვიათად ერეოდნენ ამ საქმეში. ჩვენ არ ვაგვანინა არც ერთი საბუთი, რომელიც დაგვიდასტურებდა, რომ რომიდან გამოგზავნილი მისიონერები საქართველოში ეწეოდნენ სავაჭრო ოპერაციებს ანდა დაკავებული იყვნენ სავაჭრო საქმიანობით”. მეცნიერი სომეხი სასულიერო პირების ანტიგანწყობას კათოლიკე პატრებისადმი იმით ხსნის, რომ “კათოლიკური სარწმუნოების მიღებით სომხური ეკლესია კარგავდა მრევლს” (მ. პაპაშვილი, 1995, გვ. 244).

XVIIIს. ისტორიული საბუთების შესწავლა იძლევა საპირისპირო დასკვნის გამოტანის საფუძველს.

აღნიშნული პერიოდის ეკონომიკური ხასიათის მასალაში არაერთი დოკუმენტია, სადაც აშკარად ჩანს, რომ თბილისსა და გორში მცხოვრები კათოლიკე პატრები ცდილობენ მისიონისათვის შემოსავლის გაზრდას. ამ მიზნით ისინი იძენენ ღუქნებს, ეწვიან მეფავშეობას, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, ისაკუთრებენ დაგირავებულ ღუქნებს, სახლებს და ა. შ.

დასტურად მოგვყავს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დოკუმენტური მასალა.

XVIIIს. II ნახევრით თარიღდება ღუქნის ნასყიდობის წიგნი, მიცემული სიმონას მეულღე მარიამის მიერ პატრების სამძმოსათვის, სადაც ვკითხულობთ: “... ასე რომა, ჩემი ქმარი სიმონას ღუქანი ნახევარი მიეცა პატრების სამძმოსა 12 თუმნათა, თავის სამარხო იყო და 10 თუმანი მე მარიამს მამებარა და ამ ორი თუმნის სიგელი არ იყო გაცემული და ახლა ეს ორი თუმანი გამოგართო, ‘მდებარეობა’ ნიშანი, ორი გვერდი სულხან მდივნის სახლების კედელი, მესამე გვერდი პატრების სამძმოს ღუქნის კედელი და მეოთხე გვერდი, წინ ბაზარი და შარა” (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Ad-1009). როგორც საბუთიდან ჩანს, კათოლიკური მისიონის ორი ღუქანი მდებარეობდა სავაჭროდ მომგებიან ადგილზე — ბაზართან ახლოს.

ვნახოთ სხვა საბუთიც: 1789 წ. დაწერილ ღუქნების ნასყიდობის წიგნი, რომელიც გაცემულია ოსეფას მიერ ისე მეტეხის დეკანოზისადმი, ვკითხულობთ, რომ ქალაქის ხელოსანთა გაყიდული ღუქნები “დაფასდა ორას თუმნად ერთი ღუქანი ბაზაზ ხანაში ... ამასთან გირაოდ იყო ერთი ღუქანი სამოც თუმნადა. ამ ღუქანში პატრების წილი იყო 700 თუმანი” (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd — 13032).

დოკუმენტური მასალა ნათლად მიუთითებს, რომ კათოლიკე მისიონერები დაინტერესებულნი არიან, ქალაქში სავაჭრო ობიექტები

შეიძინონ. დუქნებიდან მიღებული შემოსავალი ხმარდებოდა პატრების სამშოს, კათოლიკურ ტაძარს.

ტაძრის შემოსავლის გაზრდის მიზნით, მისიონერები არ ერიდებოდნენ თანხის პროცენტით გაცემას, მევახშეობას.

მევახშეობამ XVIII ს. თბილისში განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო. ვახშით თანხებს გასცემდა საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი, მათ შორის სამღვდლოებაც (მ. სამსონაძე, 1980, გვ. 78).

მკვლევარი გ. აკოფაშვილი, აღნიშნული პერიოდის ეკონომიკური საკითხების განხილვისას, მიუთითებს, რომ “კაპიტალის დაბანდების, მისი ბრუნვისა და ზრდის ერთ-ერთი გავრცელებული სამოქმედო ასპარეზია მევახშეობა... XVIII ს. II ნახევარში არაერთი პირია ცნობილი, რომელთა მიერ გასესხებული კაპიტალი საერთო ჯამში ათეულ ათას მანეთს უდრის” (გ. აკოფაშვილი, 1966, გვ. 121).

სავაჭრო კაპიტალის მნიშვნელობა საქალაქო ცხოვრების ცნობილმა მკვლევარმა შ. მესხიამ განსაზღვრა: “სესხი, კაპიტალი XVIII ს. საქართველოს ქალაქებში ჯერ კიდევ უმთავრესად მოხმარებაზე მიდიოდა და ნაკლებ უმნიშვნელო რაოდენობით ხმარდებოდა წარმოებას. მიუხედავად ამისა, სავაჭრო კაპიტალს გვიანფეოდალური ქალაქების განვითარებისათვის. უსათუოდ მნიშვნელობა ჰქონდა” (შ. მესხია, 1983, გვ. 265).

ვახტანგის სამართლის მიხედვით, სესხი დაშვებულია, სამართალი არ კრძალავს სესხზე პროცენტის აღებას: “თეთრი რომ გასცეს კაცმან... სარგებელი... თუმანზე თვეში ორიდან ზუთ შაურამდე” — ადგენს სამართლის წიგნი (ნ. ქოიავა, 1963, გვ. 102).

“სესხი ამ პერიოდში ხმარდებოდა არა წარმოებას, არამედ მოხმარებას და ამიტომ სესხის დაფარვის წყარო ხშირ შემთხვევაში იყო გამსესხებლის ქონება” (ნ. ქოიავა, 1963, გვ. 103).

ისტორიულ საბუთებზე დაკვირვებამ დაგვიჩვენა, რომ XVIII ს. II ნახევარში საქართველოში მომდინარე პროცენტებში ჩაბმული იყო კათოლიკური მისიონერები. გავეცნოთ დოკუმენტურ მასალას: “ავილე მე... ფრანგის საყდრის უფროსის ფრანჩისკოსაგან 19 თუმანი ახალი თეთრი. ამის ბეუშართათ (გირაო) მოგეცი ჩემი ყმის გოლ-ხითარანთ სახლები და ორი დუქანი თავისი სიგლებითა ექვსი თვის ვადითა” (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd — 10359).

სხვა საბუთით, პატარაკაც თუმანიშვილმა ვერ შეძლო ვალის გადახდა და სესხში დაწინდებული სახლები გადასცა კათოლიკურ ტაძარს (დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, 1962, № 184).

წარმოგიდგინოთ კიდევ ერთ დოკუმენტს: XVIII ს. შუა ხანითაა დათარიღებული გორჯასპის ანგარიშის წიგნი: “ეს ქულბაქები (დუქნები) დაგირავებული ყოფილა ფრანგ სვიმონასთან რვა თუმნად. ამისი დახსნა ვეღარ შევიძელ და ახლაც პატრების ხელთ არის” — კვითხულობთ საბუთში (ნ. ბერძენიშვილი, 1955, გვ. 165).

საკითხისათვის საინტერესო ცნობებს გვაწვდის გორელი ვაჭრების “ჭულაბაშვილების დავთარი”. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ XVIII ს. 20-იან წლებში ჭულაბაშვილების ოჯახი გორში მყოფ კათოლიკე მისიონერებს უკავშირდება. დავთარში ჩამოთვლილია პაპუნა ჭულაბაშვილის მიერ

“პატრების უფროსისგან” სხვადასხვა დროს სესხად აღებული თანხები (დ. მეგრულაძე, 1965, გვ. 209, 215).

დოკუმენტის გამომცემი დ. მეგრულაძე აღნიშნავს, რომ “მისიონერებთან” ჭულაბაშვილების დაკავშირება შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. როგორც ცნობილია, მისიონერებს გარდა პოლიტიკურისა, ეკონომიკური პერსპექტივებიც ესახებოდათ საქართველოში. საქართველო საუკეთესო გზა იქნებოდა საფრანგეთის ვაჭრებისათვის ირანისაკენ. ასეთ შემთხვევაში მისიონერები დაინტერესებული იქნებოდნენ კავშირი უშუალოდ ქართველ ვაჭრებთან დაემყარებინათ, მეორეს მხრივ კი, საფიქრებელია, რომ ჭულაბაშვილები მისიონერებთან ურთიერთობით თავიანთი სამოქმედო არის გაფართოებას ფიქრობდნენ” (დ. მეგრულაძე, 1965, გვ. 210).

ასეთივე მოსაზრება უფრო ადრე გამოთქვა ს. კაკაბაძემ ნაშრომში: “საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში”, რომელშიც განხილულია ფრანგი დიპლომატის პეისონელის კავკასიის აღწერა.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ყირიმში საფრანგეთის კონსულს პეისონელს და მის აგენტებს თბილისში გაუჩნდათ ერთგული თანამოაზრეები კათოლიკე პატრების სახით, “რომელნიც შეეცადნენ კიდევ კათოლიკური ეკლესიის რელიგიური პროპაგანდის ინტერესები დაეკავშირებინათ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის პრობლემებთან” (ს. კაკაბაძე, 1940, გვ. 122).

ამდენად, ისტორიული საბუთების გაცნობამ დაგვარწმუნა ვ. გაბაშვილის მოსაზრების სისწორეში. საქართველოში მცხოვრები კათოლიკური მისიონი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. აკოფაშვილი, 1966 - გ. აკოფაშვილი, მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა (XVIIIს. II ნახ.), კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.

ნ. ბერძენიშვილი, 1955 - ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წ. III, თბ., 1955.

ვ. გაბაშვილი, 1959 - ვ. გაბაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, როგორც დიპლომატი, კრ.: “სულხან-საბა ორბელიანი” თბ., 1959.

დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, თბ., 1962.

ს. კაკაბაძე, 1940 - ს. კაკაბაძე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18ს., ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1940.

რ. კაშია, 2004 - რ. კაშია, მეცაშეობა XVIIIს. დასავლეთ საქართველოში, ხანძთა, ქუთაისის ხელოვნების ინსტიტუტის შრომები, II, 2004.

დ. მეგრულაძე, 1965 - დ. მეგრულაძე, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის (ჭულაბაშვილების დავთარი), კრ.: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნ. 35, თბ., 1965.

შ. მესხია, 1983 - შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, II, 1983.

მ. პაპაშვილი, 1995 - მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995.

მ. სამსონაძე, 1980 - მ. სამსონაძე, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIXს. I მესამედის საქართველოში, თბ., 1980.

ნ. ქოიავა, 1963 - ნ. ქოიავა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIIIს. ქართლ-კახეთში, თბ., 1963.

RUSUDAN KASHIA

ON ONE ASPECT OF CATHOLIC MISSIONS' ACTIVITIES IN GEORGIA IN THE 18TH CENTURY

In the 18th century Vatican launched a wide missionary activities in the Near East. Catholic missionaries appeared in Georgia as well in the 18th c. and established churches in Tbilisi, Gori and in Kutaisi.

The present paper discusses only one aspect of the many years of work of missionaries in Georgia. Namely, it deals with the economic issues. Catholic churches in Georgia gave loans for the purpose of increasing their income. They also bought shops and other businesses.

A part of researchers of the Catholic mission of the period (e.g. M.Papashvili) consider, that Catholic missions didn't take part in monetary-commercial relations. However, the other part of researchers (V.Gabashvili, D.Megreladze) think the opposite. They maintain that the Catholic church, apart from the political interests, had economic perspectives in Near East.

The documents given in this article clearly shows us the Catholic missions participation in country's economic work.

In Iran and Georgia Catholic Church was granted immunity but the Armenian patriarch and Armenian merchants persecuted and oppressed the Catholics. V.Gabashvili thinks that anti-catholic sentiments of the Armenian Church was conditioned by the fact that the Catholic missions vied the Tbilisi merchants of the Armenian ethnoses.

The record book of "Julabashvilis," Gori merchant family, provides interesting documents about the Catholics living in the family of Julabashvilis in the 20s of the 18th c.

Studying the historical materials confirmed the facts of the Catholic Mission's participation in the processes that took the place in Georgia within the given period.

რუსუდან კაშია,
რამაზ ხაჭაპურიძე

ხალხური საგვარეულო მატერიალი მედიცინა
(ქვემო იმერეთის ეთნობრაჟული მასალის მიხედვით) -

მაგიური სამკურნალო მოქმედებებიდან, საწესო რიტუალებიდან ყველაზე გავრცელებულია შელოცვა, როგორც ძლიერი ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენის საშუალება.

ქვემო იმერეთის ეთნოგრაფიულ მონაცემებში შელოცვები ერთ-ერთი მდიდარი და მრავალფეროვანი მასალებით გამოირჩევა. ნაშრომი ეყრდნობა იმ მასალას, რომელიც დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერაა ჩაწერილი იმერეთის ეთნოისტორიული, ყოფითი კულტურის გაცნობის დროს.

ხალხური მედიცინისა და ვეტერინარიის შესწავლამ დაგვანახა, რომ შინაური წამლის დამზადების რეცეპტებთან ერთად შემკვიდრებით გადაეცემა მკურნალობის მაგიური მეთოდები — შელოცვები, გარკვეული რიტუალები.

საქართველოში საგვარეულო სამედიცინო ცოდნა ტრადიციულად დაცული იყო. გვარი ცდილობდა როგორც წამლის დამზადების წესი, ასევე მაგიური სამკურნალო მეთოდი გვარიდან არ გასულიყო, მაგრამ ეს **“აკრძალვითი”** წესები დღესდღეობით მეტწილად აღარ მოქმედებს.

“უძველესი დროიდან დაავადების გამომწვევ მიზეზად **“ავი სული”** იყო მიჩნეული. შელოცვა-გამოლოცვა ავსულების განდევნისა და “ჯადოსგან” განკურნების საშუალებად ითვლებოდა” (რ. ხაჭაპურიძე, 2006, გვ. 7-8).

თანამედროვე ეპოქაში მკურნალობის დროს შელოცვების გამოყენებას ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს და რწმენის ფაქტორს ემყარება. სოფლებში ისევ შეხვდებით შემლოცველებს, რომელთა **“შენალოცი ჭრის”**, ამიტომ მათ მიმართავენ დახმარებისათვის ავადმყოფისა თუ დასნეულებული საქონლის პატრონები.

ეთნოგრაფიული მასალის მოძიების დროს იმერეთის სოფლებში შევხვდით ხალხური მედიცინით დაინტერესებულ რამდენიმე საგვარეულოს, მათ შემოინახეს წინაპრებისაგან ნასწავლი სპეციფიკური, გვარისათვის დამახასიათებელი შელოცვები და საწესო რიტუალები.

სოფელ მათხოჯის მკვიდრია **ბარაბაძეთა** დიდი გვარი, რომელიც რამდენიმე შტოდ იყოფა. წინაპართა სამკურნალო საქმიანობით დაინტერესებულა ამ გვარის ერთი განაყოფი, რომელიც **“ვატორიების”** გვარზედმეტითაა ცნობილი. ამ ცოდნის საფუძველზე ისინი მკურნალობენ დამწვრობას, დაჩრდილვას (ფრონტიტ-ჰაიმორიტი), ძირმაგარას, ნანემსარის დაჩირქებას, საწერელის, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს. იციან საქონლის “წყლისას” (მასტიტი), “პეპლის” (ფასიოლოზი), “სირსვილის” სამკურნალო საშუალებები.

ოჯახში გაჭირვებულბული ბავშვების დასამშვიდებლად ხშირად მიმართავენ შეშინებულის შელოცვას:

“ქორი იღდა ქანდარასა, დედამ შეგაშინა, მამამ შეგაშინა, დაცემაზე შეშინებული ხარ, მიყვირებაზე შეშინებული ხარ, გალახვაზე შეშინებული ხარ, რაცხაზე შეშინებული ხარ, მანც შეშინებული ხარ, გულო, მოდი, საგულესა, ნუ წასულხარ სამგულესა, არგე ლოცვა ჩემი, ბრძანებაა შენი!”

შელოცვის დროს, მლოცველი ავადყოფს გულზე აჭერს ხელს, ანდა ქამარს გაკეცავს შუაზე და ადებს ვისაც ულოცავს ხან ერთ ბეჭზე, ხან მეორეზე (თითქოს ურტყამს და აშინებს “ავ სულს”).

საწერელს მკურნალობენ დიდი ბებებისაგან (გვარად სარავა — აბაშიდან) ნასწავლი შელოცვის თანხლებით:

“—საწერელო, სად მიდიხარ?

— ადამიანთან!

— რისთვის?

— ხორცის საჭმელად, სისხლის სასმელად, ძვლის სატკვერლად...

— რა არის მისი წამალი?

— ელოანი, მელოანი, საწერი კალამი, ტორფის ცვილი, ქვაბის ყანგირი, ვაი, რა ვქნა და რა მოვიტანო ჩემი თავის გადასატანი”.

ბარაბაძეებმა მათ გვარში ცნობილი ნათვალევის შელოცვის ტექსტი გაგვაცნეს. ნათვალევის განსაზღვრულ დღეებში: სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს ულოცავენ:

“თვალსა ულოც თავემისას, გარეულისა, შინაურისა, აზნაურისა, თავადისა, გლეხისა. თვალშავიანისა, თვალთეთ-რიანისა, თვალწითლიანისა, ქალ-კაცისა, ბავშვისა, სამოზდაექისი წლის გამოშვებული ბორძალი,

ვაი, და უი, (ადამიანის სახელი) ავი თვალით შემხედვარეს!”

“გათვალულ” საქონელს ბარაბაძეები ნათვალევის შელოცვის ტექსტის დახმარებით წამლობენ:

“ცანცარე მიცანცარობს შარიაზე, ფეხებს მიაბაკუნებს, თვალებს მიაჭყატუნებს, გამჩენო ღმერთო, წმინდა გიორგი, მთავარანგელოზებო, დოუფსე თვალები და ამის ავის შემძახებელს გამოუკეტე კარები!”

გვარში დაცული სამედიცინო ცოდნა გაგვიზიარა ადელი (კუკლა) კაკაბაძემ. **კაკაბაძეები** სოფ. კუხის მკვიდრი გვარია. ადელი კაკაბაძის ოჯახი ერთ-ერთ შტოს (გვარზედმეტი — კიოწეები) ეკუთვნის. მან გაგვიზიარა წინაპრებისაგან ნასწავლი სამედიცინო ცოდნა და მოგვაწოდა შინაური წამლების რეცეპტები: დამწვრობის, სირსვილის, ძირმაგარის, სურავანდის, თირკმლების სამკურნალოდ.

ადელი კაკაბაძის მონათხრობით, მისი ბებია (ლიბარტელიანი - ლენტეხიდან) დამწვრობის მალამოს ლოცვის თანხლებით უსვამდა, რომლის დროს იხმარდა შევტარიან დანასა და ნახშირს. თვითონ რიტუალს აღარ მიმართავს, იცის მხოლოდ დამწვრობის შელოცვის ტექსტი:

“ოშოშინობდა, დაფოფინობდა წითელი ხარი,

წითელი ხუცესის ზღვას ხნავდა,

ქვიშას თესავდა, ვის გოუგონია სამ დღეს იქით

დამწვარი, დაძველებული, ქვაბში დაღუღებული”.

წამლების დამზადების დროს “მკურნალი” ხშირად იყენებს ნათვალევის შელოცვას. ტექსტს სამ დღეს იმეორებს, სამიჯვერ გასკვნის აბრეშუმის ძაფს, მესამე დღეს კი ნასკვს ავადმყოფს დააწყვეტინებს (შელოცვის ტექსტი მხოლოდ ნიუანსობრივად განსხვავდება ცნობილი ტექსტებისაგან, ამიტომ აქ არ მოგვყავს).

შაკიკის სამკურნალოდ კუკლა კაკაბაძემ შემდეგი რიტუალი გაგვაცნო: ავადმყოფი დილით ადრე უნდა ადგეს უბრად, სამჯერ შემოუაროს ნიგვზის ხეს. შემოვლისას ხეს თავი უნდა მიადოს და გაიმეოროს: “ნიგოზო, როგორც შენი ლებნებია ძმებივით ტოლები, ასე ძმებივით გაიზიარე ჩემი სატკივარი და დილის მზის სხივებს გაატანე” (რ. კაშია, VIII, 2004, გვ. 122).

შელოცვებს შორის, ნათვალევთან ერთად, პოპულარულია უქმურის, იგივე მონადების, შელოცვა. “უქმური” დაავადების აღმნიშვნელი ტერმინია. სნეულების გამომწვევად ძველად ავსული იყო მიჩნეული (ნ. მინდაძე; 1981, გვ. 76). მისგან თავდასაცავად ტრადიციულად შელოცვებსა და სხვადასხვა რიტუალებს მიმართავდნენ.

ქვემო იმერეთში უქმურის — მონადების შელოცვის სხვადასხვა ვარიანტი ჩავიწერეთ. ადელი კაკაბაძემ გაგვაცნო დიდი ბებისაგან ნასწავლი “უქმურის” შელოცვის შემდეგი ტექსტი:

“ნაუქმურებო დედიანო, ნაუქმურებო მამიანო, დილისა ხარ, შუადღისა ხარ, საღამოსა ხარ, მიწაზე შეხვედრილი ხარ, წყალში შეხვედრილი ხარ, მიანც მონადები ხარ, რბილში ხარ, გარე გამო გამოდი, ხორცში ხარ, გარე გამო გამოდი, ძვალში ხარ, გარე გამოდი, ამას (სახელი) გაეყარე, სხვას შეეყარე, შამგულეი დოუკლავენ, გიყვირიენ, გიძახიენ, გამოდი, გამეცალე!”

შემდეგ ავადმყოფს მოჭრი ფრჩხილს, თმას, აიღებ კატისა და ძაღლის ბეწვს, ცოტა თოფის წამალს, ნაკვერცხალზე დაყრი და ავადმყოფს სასუნთქებლად ახლოს მიიყვან, ამ რიტუალით **უქმური** შეშინდება და **ავადმყოფობაც** გაქრება.

მოგვყავს “წყლისას” (საქონლის ცურის ანთება-მასტიტი) შელოცვის კაკაბაძეების ოჯახში დაცული ვარიანტი:

“წყლისა აღმართო-დაღმართო,
ლორის კუდო, კუნკურახო,
რას ჩამოვიშვია შავად ქენჩერო,
ავალ ზეცას, კვითხავ დედას,
ჩამოვიტან ჩანგალ-ჩუნგალს,
დავკრავ ჩქიფსა, ავადენ სისხლსა,
დასწყევლის წმინდა გიორგიმ,
გაიპარა წყლისა!

ქვემო იმერეთი, სამეურნეო-კულტურული თვალსაზრისით, ძირითადად მიწათმოქმედების რეგიონია, თუმცა კარგად განვითარებული მესაქონლეობა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით ხასიათდება.

ხალხურ ვეტერინარიაში წამლის დამზადებისა და მკურნალობის წესები მეტწილად ლოცვების თანხლებით მიმდინარეობს. ეთნოგრაფიული

მასალის მოძიების დროს გავიცანით საგვარეულოები, რომლებიც წინაპრებისაგან გადმოცემული, დროით გამოცდილი სამკურნალო წესებით მკურნალობენ შინაურ ცხოველებს. მათ შორის წარმოვაჩინეთ **კუნალაშვილების** გვარს. **კუნალაშვილები** წარმოშობით ხონის რაიონის მაღალმთიან სოფელ **კინჩხიდან** არიან. მათი მამა-პაპა მესაქონლეები ყოფილან. ამჟამად ბუჭუ კუნალაშვილი სოფელ მათხოჯში ცხოვრობს, ხოლო მისი ბიძაშვილი — აბესალომი, სოფელ გუმში. ოჯახებში რამდენიმე ათეული სული მსხვილფეხა საქონელი ჰყავთ და წინაპრების მსგავსად კარგად იციან საქონლის მოვლისა და მკურნალობის წესები. კუნალაშვილებმა გავაცნეს ხალხური ვეტერინარიის არაერთი საინტერესო სამკურნალო საშუალება. ესენია: “წყლისას”, “სირსვილის”, “პეპლის” (ფასიოლოზი), ხარის კისრის ტკივილის, “საკრეჭელას” (ტილი), ჭრილობების მოსაშუშებელი, კუჭ-ნაწლავთა დაავადებები და სხვა.

მკურნალობის წესებთან ერთად ოჯახის დიასახლისი (გერა ბარაბაძე — ბუჭუ კუნალაშვილის მეუღლე) სპეციალურ, მათ გვარში ცნობილ შელოცვებსა და რიტუალებს იყენებს. **“წყლისას” შელოცვა:**

“კუჭურო, კუჭურაკო, ცხენის ჭანკო-ჭანჭალაკო,
რამ შემოვასხა შავი მახრა, აგჭერი-დაგჭერო, არელით,

მარელით.

ანი იყო, ბანი იყო, ორ წყალშუა ნავი იყო,
ნავის ზევით საყდარ იყო, საყდრის ზევით ქალი იჯდა,
ქალო, მომეცი კალამი, კალამი და კალმის ძირი,
წავალ ზეცას, ვკითხავ დედას, ჩავკრავ და
ამოვავლებ ქალწყლისეის ძირსა!”

საქონელს ზოგჯერ ემართება “დახუთვა”, “დავარდება და მოსტაცებს წელს”. ამ დაავადებას **“ფონცხოს”** უწოდებენ და მის სამკურნალოდ მხოლოდ შელოცვას მოუხმობენ:

“ფონცხო ფონცხოსია, ფონცხო ბარკალისა,
ხატო წმინდა, შენ უშველე ხატო ქაშუეთისა!”

ლოცვის დროს გავაზე უსვამენ ბზისაგან გამოთლილ “სავარცხელს”. შელოცვას მიმართავენ ასევე ქვეწარმავლის ნაკბენის დროს:

“სეთე, სამთე, ყამთე, თოფაფარი რეკე
მათიანი რძალი მყავდა, იქაური დედამთილი
ოქროს თაბახი წერია, სამი კურტანი წყაღია,
თუ მევიდეს, უამბე, თუ არა და ნუ ამბობ,
ნაკბენი მორჩა და მკბენი მოკვტა!”

ამ დროს საქონელი და ღორი გამდინარე წყალში უნდა გაატარო.

საინტერესოდ მივიჩინეთ შელოცვის მხოლოდ ხსოვნაში შემორჩენილი ძველი რიტუალი, რომელსაც შაბათ დღეს გვარის დიდი ბებია ასრულებდა — ნათვალევის მაგიური წამალი მზადდებოდა “მეხის ტყვიის, ტურის გულისა” და რაღაც (აღარ ახსოვთ) ბალახებისაგან.

ტრადიციულად სოფლებში შემლოცველად მიჩნეული იყო რომელიმე პირი. უფრო ეფექტურად მამაკაცისაგან შენალოცი ითვლებოდა. ასეთი პირი გასამრჯელოს სურსათის სახით. იღებდა.

ცხადია, დღესდღეობით, ამ მოვლენას სოფლებში მასიური ხასიათი აღარ აქვს; იმერეთის რამდენიმე სოფელში (მათხოჯი, ღანირი, გუბი და სხვ.), ხანდაზმულმა ადამიანებმა გაიხსენეს ძველად ასეთი შემლოცველების არსებობა.

სოფელ კუხში გაგვაცნეს მერი ბენიძე-კაკაბაძე, რომელსაც “კარგი თვალი აქვს, ლოცვა უჭრის” და ახლომახლო მეზობლები მას დახმარებას სთხოვენ. რაც შეეხება გასამრჯელოს, იმერეთში — **საგანაჩენოს** უწოდებენ და ამ მოვლენას უკვე სიმბოლური ხასიათი აქვს. “შენალოცმა რომ უკეთ გაჭრას”, შემლოცველი სიმბოლურად იღებს 5 თეთრს ან ერთ კამფეტს და ასე შემდეგ. ამდენად, ურთიერთობის ფორმამ მიიღო რიტუალური ხასიათი.

მერი კაკაბაძე იყენებს სხვადასხვა შელოცვას — ნათვალევის, შეშინებულის, საწერელის, უქმურის//მონადების, “წყლისას” და ა.შ. მეტწილად ულოცავს საჭმელზე, რომელსაც შემდეგ იღებს ავადმყოფი ან დაავადებული ცხოველი.

ჩვენ გამოვეყავით რამდენიმე სპეციალური შელოცვა, რომელიც კონკრეტული სნეულების დროს გამოიყენება. ჭვალის შელოცვა:

“პეტრე-პავლე მობრძანდება იორდანეს კარსაო.

პეტრემ უთხრა პავლესაო: დავჯდეთ, პური ვჭამოთო.

პავლემ უთხრა პეტრესაო: მე არა ვჭამ პურსაო,

ჭვალე მასვია გულსაო, ჩავკრავ ნამგალს, ამოვზდენ სულსაო!”

საწერელის შელოცვასთან ერთად “ექიმბაში” ამზადებს მალამოს: “პურის ფითქი, სამი ძირი პრასის ჩიჩხვის (ძირები) და ძაღლის ფონთი”.

“წითელი ქარის” შელოცვა:

“ქარი ხარ, ქარწითელი ხარ, ქართეთრი ხარ,

ქარი ხარ, ქარშავი ხარ, ქარი ხარ, ქარში მიდიხარ,

გასაქორი ხარ,

გეიქერი, გამოსავალი ხარ, გამოდი, თვარა აგჭრი,

აღისასა, მალისასა, შავტარიანი დანითა, ჩაგადგამ

ქვაბსა კურკუმისა,

გაგატან ქარსა სიონისა!”

შელოცვის დროს მლოცველს ორივე ხელში უჭირავს ფქვილი ან ნაცარი, ზოგჯერ ჭიქით წყალი, რომელსაც შემდეგ შეაყრის კედელს. მოვისმინეთ სხვა ვერსიაც: როცა კეცზე აყრიან ნიგოზს, პურის ფქვილს და შელოცვის დამთავრების შემდეგ მოუკიდებენ ცეცხლს და ასუნთქებენ ავადმყოფს.

საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული **ავი თვალისა** და **სნეულებისაგან** დამკავი **ავგაროზების** ტარება. ავგაროზი ქალაღზე დაწერილი ლოცვა ან შელოცვაა, რომელსაც ხავერდის ქსოვილში ან ტყავში გამოკერილს მკერდზე ჩამოკიდებულს ატარებდნენ (რ. ხაჭაპურიძე, 2006, გვ.31).

ქვემო იმერეთში ზოგჯერ ისევ შეხვდებით **ავგაროზის ანუ თილისმის** ტარების წესს. თილისმა დაფარული უნდა იყოს; მას

ტანსაცმლის შიგნით ატარებენ; ეს შეიძლება იყოს ნაჭერში გამოკრული ნახშირი, შელოცვის ტექსტი, რკინის პატარა ნატეხი, მწარე ბალისაგან გამოთლილი პატარა ხის ჯვარი და ა.შ.

“გათვალულ” საქონელს რქებს შუა აბამენ რკინის ან მწარე ბლის ჯვარს.

ამრიგად, ქვემო იმერეთის სამედიცინო ეთნოისტორიის შესწავლამ ნათლად დაგვანახა, რომ მკურნალობის მაგიური მეთოდები, განსაკუთრებით შელოცვები, მოსახლეობაში კვლავ ინტენსიურად გამოიყენება, შელოცვას რწმენის ძალა აქვს და ფსიქოლოგიური, დამხმარე სამკურნალო საშუალებების როლს თამაშობს.

დამოწმებული ლიტერატურა

ი. გაგულაშვილი, 1996 - ი. გაგულაშვილი, ქართული მაგიური პოეზია, თბ., 1996.

რ. კაშია, 2004 - რ. კაშია, თავის ტკივილის მკურნალობის საშუალებები ხალხურ მედიცინაში, ქართველური მემკვიდრეობა, VIII, ქუთაისი, 2004.

ნ. მინდაძე, 1981 - ნ. მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, თბ., 1981. ქართული ხალხური შელოცვები (შემდგენელი თ. შიოშვილი), ბათუმი, 1994.

თ. ცაგარეიშვილი, 1987 - თ. ცაგარეიშვილი, მესაქონლეობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1987.

რ. ხაჭაპურიძე, 2006 - რ. ხაჭაპურიძე, მაგიურ-რელიგიური მკურნალობის ისტორიიდან, ქუთაისი, 2006.

RAMAZ KHACHAPURIDZE, RUSUDAN KASHIA**FOLK CLANNISH HERMETIC MEDICINE
(According to the Materials of Kvemo Imereti)**

Incantations are the most prevalent among ceremonial rituals and hermetic healing means. Incantation has the power of credence and can strongly influence on the psychologically a person in the process of healing.

In the following paper there is presented the materials recorded in Imereti region by the Scientific-Researching Institute of Kartvelian Dialectology, while studying the culture reflecting ethno-historical and ordinary life.

In ancient periods the “devilry” where believed to be a main reason of any disease. Incantation and various ceremonial rituals were accepted as the means of avoiding and healing diseases.

In Georgia clannish medical knowledge was traditionally preserved. Certain clan used to keep the receipt of medicine as a secret. Though, such prohibitions are no longer in practice.

The majority of narrators generously helped us and gave information about the methods of hermetic healing, taught by their ancestors. ceremonial rituals nowadays are hardly in use. Incantations are more frequently used, as the assistance means of healing ill people, as well as sick animals.

Even nowadays in some areas of the villages of Kvemo Imereti we can meet a charmer, whose “pray is efficient”. A charmer receives her/his payment or “saganacheno” as a symbolic sum.

During the searching and analyzing of healing and hermetic materials we have discovered many texts of incantations, which were unknown till present.

მერაბ კეზევაძე

იმერეთის სამეფო სტამბის გაუქმების შემდგომი პერიოდი და უსწრაფესი მესტამბე-მონაგონი

საქართველოში არსებულ სტამბებს შორის მოკრძალებული ადგილი უჭირავს იმერეთის სამეფო სტამბას, რომელიც 1800-1810 წლებში არსებობდა ქუთაისში. ამ სტამბის ისტორია საკმაოდ შესწავლილია, თუმცა ზოგიერთი მოსაზრება მის შესახებ, განსაკუთრებით გაუქმების შემდგომ პერიოდზე, დაზუსტებასა და შევსებას მოითხოვს. იმერეთის სამეფო სტამბის საუკუნოვანი კვლევის ისტორიაში მკვლევართა აზრი თანხვედრილია სტამბის გაუქმების თარიღზე – 1810 წ., რისი საფუძველიც მასში დაბეჭდილი უკანასკნელი წიგნი “ლოცვანია”; სხვა წყარო, სამწუხაროდ, დღემდე მიუკვლეველია. განსხვავებულია მოსაზრებები გაუქმებული სტამბის შემდგომ ბედზე, რომლებიც შეიძლება პირობითად სამად დაჯგუფდეს: პირველი, ტრადიციული, რომ იმერეთის სამეფო სტამბის ბაზაზე დაარსდა საჩხერის ანუ საწერეთლოს სტამბა, მეორე, იმერეთის სამეფო სტამბის, ისე, როგორც სოფ. წესის საეკლესიო სტამბის იარაღ-მოწყობილობანი რუსეთის ადგილობრივი სამხედრო ხელისუფლების შტაბის გამგებლობაში გადავიდა და მესამე, იმერეთის სამეფო სტამბის ნაწილი გადაეცა არქიმანდრიტ ზაქარიას, რომელიც ამ უკანასკნელის დაპატიმრების შემდეგ დარჩა მის ძმას გიორგი გურგენიძეს. ამ საკითხებზე არაერთ მკვლევარს უმსჯელია. პროფესორმა ავთანდილ იოსელიანმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში – “ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები (უძველესი დროიდან XIX ს. 60-იან წლებამდე)”, შეიძლება ითქვას, ყველა სხვა მკვლევარზე უფრო სრულყოფილად შეისწავლა იმერეთის სამეფო სტამბის ისტორია. ამასთანავე, სავარაუდოდ, ლოგიკურად და არა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, 1810 წელს იმერეთში შექმნილი მდგომარეობის საფუძველზე, გააკეთა დასკვნა, რომ “იმერეთის სამეფო სტამბის იარაღ-მოწყობილობანი რუსეთის ადგილობრივი სამხედრო ხელისუფლების შტაბის გამგებლობაში გადავიდა” (ა. იოსელიანი, 1990, გვ. 304). ასევე წერს გაუქმებული წესის სტამბაზე მსჯელობისასაც – “სოლომონ მეორის სტამბასთან ერთად ახლად დამკვიდრებულ რუსეთის მთავრობისათვის უნდა ჩაებარებიათ”-ო (ა. იოსელიანი, 1990, გვ. 297).

ჩვენ არ ვიზიარებთ რა ბატონ ა. იოსელიანის ამ დასკვნას, გვსურს, მის მიერვე გამოყენებულ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობითა და ზოგიერთი დღემდე უცნობი წყაროს მოშველიებით, დავადასტუროთ, რომ იმერეთის სამეფო სტამბის ერთი ე. წ. მდარე კომპლექტი დარჩა არქიმანდრიტ ზაქარიას განკარგულებაში და ის წლების განმავლობაში

ინახებოდა გელათის მონასტერში, სადაც ზოგჯერ დანიშნულებისამებრ იყენებდნენ.

ცნობილია თავად ზ. წერეთლის ერთგვარი წერილი-თხოვნა საქართველოს მთავარმმართველ ნ. რტიშჩევისადმი, რომელშიც იმერეთის სამეფო სტამბაზეა საუბარი და მთავარმმართველ ალ. ტორმასოვის პასუხი ამ წერილზე, რომელშიც ვკითხულობთ: “დასასრულ, მმართველს მე გითხრათ თქვენ თქვენის სასტამბო სახლებისათვის, ლენერალ-მაიორი სიმონოვიჩი მომახსენებს, რომ არქიმანდრიტ ზაქარიას გაუყიდნია ერთი სახლი და ... იარაღნი, გაქცეულა მეფესთან და მეორე სახლი დრომდის პურობილ არს პრაიანცისათვის, რომელსაცა დაცლა და დაუყოვნებლივ უკან მოცემა თქვენის ბრწყინვალეებისათვის მე ვბრძანე, და რომელიც გაუყიდნია არქიმანდრიტს, უკეთუ არა აქვს სამართალი გაყიდვისა ჩამოართვან ის მყიდველსა და თქვენ უკუ მოქცენ” (ა. იოსელიანი, 1990, გვ. 290, 301). ამ დოკუმენტზე დაყრდნობით, ბატონი ა. იოსელიანი აკეთებს დასკვნას: “აქედან კარგად ჩანს, რომ ზურაბ წერეთელს ქუთაისში სტამბა მეფის სასახლიდან გადაუტანია საგანგებოდ გამართულ “სასტამბო სახლებში” (ორი სახლი, ორგვარი სტამბა), (სხვა ადგილას ასეთად წესის გაუქმებულ სტამბას მიიჩნევს გვ. 297 — მ.კ.), რომელთაგან ერთს თითქოს ზაქარია არქიმანდრიტი დაპატრონებია (სახლიც გაუყიდნია), ხოლო სტამბის იარაღი გადაუტანია თავისი ძმის გიორგის ბინაზე. რაც შეეხება სიმონოვიჩის მონათხრობს, რომ თითქოს ზაქარია არქიმანდრიტს ერთი სახლი და სტამბა მიეთვისებინოს და თან გაპყლოდეს იმერთა მეფეს სოლომონ მეორეს, არ გამოხატავს სინამდვილეს და მთლიანად მოგონილია” (ა. იოსელიანი, 1990, გვ. 301).

მკვლევრის ეს დასკვნა მართო ზემოთ მოყვანილ დოკუმენტს არ ეყრდნობა; მასში ხომ არსადაა საუბარი სტამბის იარაღების გადატანაზე ზაქარია არქიმანდრიტის ძმის ბინაზე. ამ ფაქტზე სხვა დოკუმენტებშია საუბარი, რომელიც მას წიგნის სხვა მონაკვეთში აქვს წარმოდგენილი; კერძოდ, როცა მოაქვს საქართველოს ეგზარქოსისადმი 1835 წლის 27 ნოემბერს იმერეთის მთავარეპისკოპოს სოფრონის სხვაგან ყოფნის გამო არქიმანდრიტ ნიკოლოზის გაგზავნილი პასუხი იმერეთის სტამბაზე. აი ეს პასუხიც — “იმერეთის სტამბის ხელჭურჭელნი იყვნენ — კარგის და მდარისა, რომელთაგან მდარისა შევიდა შემდგომად განდევნისა მეფე სოლომონისა არხიმანდრიტის ზაქარიას განკარგულებასა შინა ძმისა მისისა, აწ უკვე მიცვალბულის გიორგი გურგენიძისა, ... რომელმანცა მოიხმარა იგი თავის სასარგებლოდ. სტამბა იმერეთში დაფუძნებული იყო ჩ ყ გ წელს ბრძანებითა მეფისათა და არსებობდა ჩ ყ ი წლამდე და იბეჭდებოდნენ ქართულს ენაზედ ხუცური წიგნები; ხოლო იმ წელს პირველი გვარის სტამბის იარაღი წაიღო სახლთუხუცესმა ლენერალ-მაიორმა ზურაბ წერეთელმა თავის სახლად სოფელს, საჩხერეს, სადაც კვლავადვე არსებობდა იგი სტამბა ჩ ყ ი მ წლამდე, ე. ი. განშორებამდე არხი-მანდრიტის ზაქარიასა, რომლისა შ-დ იარაღები უნდა აქვნდეს უფალს პოდპოლკოვნიკს გრიგოლ წერეთელს, ხოლო ღღეს გელათის მონასტერში თავად არავითარნი კუთვნილებანი სტამბის არ იქონებიან” (ა. იოსელიანი, 1990, გვ. 340).

სამწუხაროდ, ავტორი არ მიუთითებს, თუ სად არის დაცული აღნიშნული დოკუმენტი. ამ დოკუმენტს იცნობს ბატონი ოთარ კასრაძეც (ო. კასრაძე, 1997, გვ.395, “ნარკვევები ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან”, თბილისი, “ხელოვნება” 1997, გვ. 395) და იმომწებს მას ზაქარია არქიმანდრიტის ბიოგრაფიაში, ოღონდ ისიც წყაროს მიუთითებლად. ჩვენი ვარაუდით, ეს დოკუმენტი დაცული უნდა იყოს საქართველოს საისტორიო არქივის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის, ან საქართველოს ეგზარხოსის ფონდში. ჯერჯერობით ჩვენ ეს დოკუმენტი აღნიშნულ ფონდებში ვერ მოვიძიეთ, მაგრამ ვიპოვეთ საარქივო საქმედ შექმნილი მიმოწერა ამ საკითხის ირგვლივ და მისი რუსულენოვანი ვარიანტის ასლი იმერეთის ეპარქიის კანცელარიის ფონდში, რომელიც ქუთაისის ცენტრალურ არქივშია დაცული (ქ.ც.ა. ფ. 21, ს. 1150). ხსენებული საარქივო საქმიდან ვგებულობთ, რომ 1835 წლის 28 სექტემბერს საქართველოს ეგზარქოს ევგენის იმერეთის არქიეპისკოპოს სოფრონიოსისათვის გაუგზავნია წერილი, რომელშიც წერს, რომ მისთვის საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის წევრებს არქიმანდრიტ იოანეს (დავით გარეჯის — მ.კ.) და დეკანოზ დიმიტრი ალექსევეს (ალექსიძეს, ანჩისხატის დეკანოზი — მ.კ.) მოუხსენებიათ, რომ იმერეთში სასულიერო უწყებას არხიმანდრიტ ზაქარიას ზედამხედველობით ჰქონია სტამბა, რომელშიდაც 1818 თუ 1819 წლამდე იბეჭდებოდა საეკლესიო წიგნები და, როგორც მათ გაუგონიათ, სტამბის მოწყობილობა დაცული ყოფილა გელათის მონასტერში. ეგზარქოსი ითხოვდა. არქიეპისკოპოსს მოეხსენებინა, ყოფილი იმერეთის სტამბის კუთვნილი რა ნივთები იმყოფებოდა სახეზე, რა ენაზე იბეჭდებოდა მასში წიგნები და როგორნი: საეკლესიონი თუ სამოქალაქონი, იმეამად სტამბის იარაღებიდან რა იყო ვარგისი და რა უვარგისი, როდის იყო სტამბა იმერეთში დაარსებული და რომელ წლამდე მოქმედებდა და ვისი განკარგულებით და რის საფუძველზე იყო გაუქმებული (ქ.ც.ა; ფ. 21, ს.1150, ფურ, 2).

აღნიშნული წერილი 5 ოქტომბერს იქნა მიღებული ქუთაისში; 15 ოქტომბერს, მასზე დაყრდნობით, არქ. სოფრონიოსმა იმავე შეკითხვებით წერილი გაუგზავნა გელათის მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტ ნიკოლოზს. სინოდის კანტორისადმი პასუხი კი რატომღაც დააგვიანა, ამიტომ 22 ნოემბერს განმეორებით გამოუგზავნა ეგზარქოსმა ევგენიმ თითქმის წინა წერილის განმეორება-წერილი (ქ.ც.ა; ფ. 21, ს.1150, ფურ, 5), რომელიც 27 ნოემბერს მივიდა ქუთაისში, რაზედაც იმავე დღეს გაიგზავნა პასუხი. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ მიკვლეული პასუხი რუსულენოვანი ასლია (“შავი პირი”) ხელმოწერის გარეშე, ამიტომ დაბეჭდვით ვერ ვიტყვივით ის არქიმანდრიტ ნიკოლოზის, როგორც ამას ა. იოსელიანი ადასტურებს, თუ არქიეპისკოპოს სოფრონიოსის ხელმოწერით გაიგზავნა. მთავარი ის არის, რომ პასუხში დადასტურებულია არქიმანდრიტ ზაქარიას კუთვნილებაში დარჩენილი იმერეთის სტამბის მდარე მოწყობილობის მისი ძმის, იმ დროისათვის უკვე გარდაცვლილი აზნაურ გიორგი გურგენიძისადმი მფლობელობა. სად უნდა ჰქონოდა შენახული აღნიშნული სასტამბო იარაღები გიორგი გურგენიძეს და რას ნიშნავს წერილში დაფიქსირებული აზრი “მოიხმარა იგი თავის სასარგებლოდ”?

სამწუხაროდ, გიორგი გურგენიძეზე ჩვენთვის ცოტა რამ არის ცნობილი და ისიც უარყოფითი ხასიათის; კერძოდ, 1834 წლის 27 დეკემბრის წერილში გელათის არქიმანდრიტი ნიკოლოზი არქიებისკოპოს სოფრონიოსს წერს, რომ არქიმანდრიტ ზაქარიას რუსეთში გაყვანის შემდეგ მისი ძმა, გიორგი გურგენიძე იმყოფება გელათის მონასტერში, სადაც, მოხუცებულობისა და ლათობის გამო, მეოთხედ გააჩინა ცეცხლი — ხანძარი. სთხოვს მის მონასტრიდან წაყვანას. არქიებისკოპოსმა ამაზე იმერეთის მმართველს აცნობა. როგორც იმერეთის მმართველ დ. ახლესტიშვილის 1835 წლის 22 აპრილის წერილიდან ჩანს, გელათის მონასტრიდან მართლაც გაუყვანიათ გიორგი გურგენიძე, რომელსაც პრეტენზია განუცხადებია გელათის მონასტერში დარჩენილ მის მიერ 15 წლის წინ შეძენილ სახლზე. განდევნილი მოხუცის ამ მოთხოვნას მისი გარდაცვალების შემდეგ 1835 წლის 30 სექტემბერს უარყოფითი პასუხი გასცა არქ. ნიკოლოზმა არქიებისკოპოს სოფრონიოსისადმი მიწერილ პასუხში, რომელშიც სახლის მიყიდვლად არქიმანდრიტი ზაქარია იღიარა, მეპატრონედ კი საეკლესიო უწყება (ქ.ც.ა., ფ. 21, ს. 1084, ფურ. 9). ამ მიმოწერიდან დასტურდება, რომ 1818 წლიდან, თუ მანამდე არა, გიორგი გურგენიძე ცხოვრობდა გელათის მონასტერში, ის გარდაცვლილა 1835 წლის ზაფხულში. რაც შეეხება სასტამბო იარაღების მოხმარებას, ჩვენი აზრით, არ ნიშნავს გაყიდვას, რასაც ქვემოთ მოტანილი დოკუმენტით დავადასტურებთ, რითაც ასევე უარყოფთ სინოდის კანტორაში გაგზავნილი პასუხის სისწორეს, რომ, 1835 წლის ნოემბერში “გელათის მონასტერში თვალად არაავითარნი კუთვნილებანი სტამბისა არ იქონიებიან”-ო (ქ.ც.ა., ფ. 21, ს. 1150, ფ. 7).

1832 წლის 25 ნოემბერს იმერეთის დროებითმა მმართველობამ განიხილა ქუთაისის მაზრის სოფელ ბობოთში მცხოვრები აზნაურ მეთოდე მხეიძის საჩივარი, რათა დაექმყოფილებინათ მისი მამამისისაგან ზაქარია არქიმანდრიტი-პაპოვის მინაყიდი ყმების ორი სული კოკელაძეების საფასურის მიცემით. სასამართლოს დაუდგენია მისთვის 400 მანეთის ასიგნაციით მიცემა გელათის მონასტერში დაცული ზაქარია არქიმანდრიტის კუთვნილი ნივთების გაყიდვის შემდეგ. მაგრამ, როგორც არქ. ნიკოლოზის პასუხიდან ჩანს, აღმოჩნდა, რომ 1835 წლის 2 აპრილისათვის ზაქარია არქიმანდრიტის დანატოვარი ყოველი ქონება გადაცემული იყო მის ნათესაებზე აზნაურ გიორგი და ილარიონ გურგენიძეებზე. მონასტერში დარჩენილი იყო მხოლოდ რამდენიმე შეუკვრელი, თავებისაგან შეკმული და არასრული საეკლესიო წიგნი და საბეჭდავი ხელსაწყოები (ქ.ც.ა., ფ. 21, ს. 1585, ფურ. 5). თვით აზნაურმა მეთოდე მხეიძემ კი 1840 წლის 9 დეკემბერს არქიებისკოპოს სოფრონიოსს მოახსენა: “არქიმანდრიტმა ნიკოლოზ წარმოწელობისაებრ თქვენისა მართალია მოძცა მე თანდასწრებითა სიმავერისა ჩემისა გარდაცვალებულისა ქუთაისის სობორის დეკანოზის იესე ზაქარაძისა აღნიშნულსა 400 რუბლის საღირალი წიგნები, ტყვია და სპილენძი, გარნა რადგან წიგნებითან რაოდენიმე რიცხვი მაგალითებრ ოცდა ათის მანეთის საღირალადმდე აღმომიჩნდა უვარჯნი, ამის გამო განცხადებულმან სიმავერმან ჩემმან ესე უვარჯნი წიგნები დაუბრუნა არქიმანდრიტ ნიკოლოზს, რომელსაც თავისის აღთქმისაებრ უნდა მოეცა მას სიმავერისათვის სხვანი

ნივთნი, მაგრამ ამგვარი მიიღო მან სიმავრმან ჩემმან არხიმანდრიტის ნიკოლოზისაგან, ანუ არა ისი ჩემდამი არღარა ცნობილ არს, რადგან მე ჩემის სიმავრისაგან შემდგომ ამისა არცა წიგნად და არცა ფულად არღარა მიმიღია რა“ (ქ.ც.ა., ფ. 21, ს. 1585, ფურ. 5). ამრიგად, 1835 წლის აპრილში ჯერ კიდევ იყო გელათის მონასტერში იმერეთის სტამბის მოწყობილობა ან მოწყობილობათა ნაწილი, რომელიც მეთოდე მხეიძეს ვალში გადაეცა. უფრო მეტიც, 1844 წლის 22 აპრილამდე გელათის მონასტერში ინახებოდა არქ. ზაქარიას კუთვნილი მოძრავი ქონება, რომელიც ამ დღეს ორად გაიყო, ერთი ნაწილი, მისი ძმის გიორგი გურგენიძის გარდაცვალების გამო, ნათესავს, ილარიონ გურგენიძეს მისცეს, მეორე კი ისევ საეკლესიო უწყებების საკუთრებაში დარჩა (ს.ც.ს.ა.ფ. 488, ს. 6007, ფურ. 27). ილარიონ გურგენიძემ მიიღო 11 მანეთისა და 5 კაპიკის (ვერცხლის ფულით) ქონება, ეკლესიას კი დარჩა — 18 მანეთისა და 10 კაპიკის (იგივე) აღწერილ ქონებაში, გარდა საოჯახო ნივთებისა, დასახელებულია სტამბის მოწყობილობანი, მათ შორის შრიფტი, ქალაღი, ოქროსა და ვერცხლის ვარაყი, შეუკრავი წიგნები, არქ. ზაქარიას საკუთარი ორი წიგნი — “დაბადება“ და საფილოსოფიო წიგნი წოდებული “გვემულად“ (ქ.ც.ა.ფ. 21, ს. 1514, ფურ. 137-138), ასევე კოლეჯის მდივან ბაქრაძისგან დაბრუნებული ნივთები, რომლებშიც ჩანს ოცი ოდიკი (გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველენი, თბ., 1994, გვ. 180). ყურადღებას იქცევს ფასებიც — ერთი ხის ყუთი შიგ ჩაწყობილი ასოებით შეფასებული იყო 60 კაპიკად, მეორე ასეთივე ყუთი 40 კაპიკად, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იქნეს აზნაურ მეთოდე მხეიძეზე გადაცემული ზაქარია აქრიმანდრიტის დანატოვები 400 მანეთის საღირაღის ქონება თუგინდ აღიზნაციით. სულ კი, როგორც არქ. სოფრონოსის 1838 წლის 30 ნოემბრის წერილიდან ირკვევა, საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორისადმი არქ. ზაქარიას გელათის მონასტერში მისი აქედან გაყვანისას დაუტოვებია არანაკლებ 1000 მანეთის საღირაღი ნივთები, რომელიც არქ. ნიკოლოზს ჰქონდა ჩაბარებული (ციტირებულია: ა. იოსელიანი — ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები (უძველესი დროიდან XIX ს. 60-იან წლებამდე), თბილისი, მეცნიერება, 1990 წ. გვ. 303), აქედან 400 მანეთით გათვალისწინებული იყო მოვალე მეთოდე მხეიძის გასტუმრება.

გელათის მონასტერში ქუთაისის სტამბის მოწყობილობას 1846 წელსაც ითხოვდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. იმერეთის მიტროპოლიტი დავით წერეთელი ამავე წლის 26 აგვისტოს სინოდის კანტორას მოახსენებდა სტამბის მოწყობილობის გამოგზავნაზე სპეციალურ გადაწყვეტილებამდე თავს ვიკავებო, იმიტომ, რომ ნაწილი ამ ნივთებისა არ აღმოჩნდა, ნაწილი კი არქ. ზაქარიას ნათესავებს აქვთ წაღებულიო. თუ ასე გჭირდებათ ქართული ასოები საჩხერაში წერეთლებთან არის სხვა მოწყობილობებთან ერთად დიდი ხნის უხმარი, მაგრამ ვარგისიო. ამრიგად საჩხერის სტამბის საბეჭდი მოწყობილობებიც 1846 წლამდე ადგილზე ყოფილა დაცული (პ. გუგუშვილი-ქართული სტამბის წიგნი 1629-1729, წიგნში საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება

XIX-XX საუკუნეებში, ტ. VII. თბილისი, "მეცნიერება", 1984 წ. გვ. 389). გელათის მონასტერში იმერეთის ყოფილი სამეფო სტამბის მოწყობილობის შენახვას კიდევ ერთი დოკუმენტით დავადასტურებთ, რომელიც ამასთანავე უფრო გაბედული ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს, კერძოდ, რომ გელათის მონასტერში იმერეთის ყოფილი სამეფო სტამბა არა მარტო ინახებოდა, არამედ შეიძლება კიდევ ფუნქციონირებდა, მას საკუთარი მმართველიც კი ჰყოლია.

ცნობილი ფაქტია, რომ 1821 წელს გელათში სოხასტრის ყოფილ მამათა მაცხოვრის მონასტერში დაარსდა დედათა მონასტერი, რომელიც 18რწ წლამდე მონასტრის სოფელ მღვიმეში გადატანამდე არსებობდა. მასში მრავალ ღირსეულ მონაზონს უმოღვაწნია. ერთ-ერთი მათგანია მონაზონი დარია, რომლის სრულყოფილი ბიოგრაფია 1861 წელს შედგენილმა ნამსახურების ნუსხამ შემოგვინახა. ამ დოკუმენტიდან ვიკებთ, რომ მონაზონი დარია დაბადებულა 1794 წელს. ეკუთვნოდა აზნაურთა წოდებას. ნამსახურების ნუსხის გრაფაში "სად რა უსწავლია და ან სხვისთვის რა უსწავლებია", აღნიშნულია: "თავისი მამის მესტამბეს გიორგი ზუმბოვთან უსწავლია კარგათ საღმრთო წერილი, წერა და ვალობა საქებრად, ჭვარის მოჭრა და სტამბის აწყობა და სხვათათვისცა უსწავლებია მას ესევეთარნი", ხოლო მისი ბიოგრაფია ასეა გადმოცემული "განკარგულებითა რაჭის არხიეპისკოპოსი სოფრონიოსისათა სიყრმიდგან განმზადილი სამონაზნოდ გაწესებულ არს წმიდის ნიკოლოზის სობორშიდ ჩ ყ ე-სა წელსა მაისის მ. გადაწყვეტილებითა მისეე არხიეპისკოპოსის სოფრონიოსისათა აღკვეცილ არს მონაზვნად მასეე სობორსა შინა არხიმანდრიტ სვიმეონის მიერ ჩ ყ ი ვ-სა წელსა აგვისტოს ი ბ-სა. ნებადართვითა მისეე სოფრონიოსის არხიეპისკოპოსისათა გადმოყვანილ არს გაენათის მონასტერის წინამძღვრის არქიმანდრიტის ნიკოლოზისაგან გაენათის მონასტერში სტამბის მართველად (კურსივი ჩემია — მ.კ.) ჩ ყ კ ე-სა წელსა იანვრის მ-სა დღესა და განკარგულებითა მისეე არხიმანდრიტის ნიკოლოზისათა განწესებულ არს სოხასტროს დედათ მონასტერში მონაზვნად ჩ ყ ლ ბ-სა წელსა შინა" (ქ.ც.ა., ფ. 21, ს. 8153, ფურ. 3-4) (მონაზონ დარიას 1838 წლის ნამსახურების ნუსხაში ზოგი ფაქტი სხვა წლითაა დათარიღებული, რაც ასეთი ნუსხებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა; ქ.ც.ა. ფ. 21, ს. 1514, ფურ. 137-138).

მონაზონი დარია საისტორიო ლიტერატურაში ფაქტობრივად უცნობი პიროვნებაა, მისი სახელი ჩანს 1796 წ. მესტამბე რომანოზ ზუბაშვილი-რაზმაძის სტამბურად დაბეჭდილი წერილის გასამაგრებლად გადაკრული წერილის ფრაგმენტში, რომელშიც ვკითხულობთ: "გელათში დარია მონაზონს კოლოფი აბარია, იმაჩი მაქვს სამი თამასუქის წიგნი, თეთრი სკულის კანონი, სამართლის წიგნი, 1 აბაზის ქალალი" (გ. ბოჭორიძე — რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994, გვ. 180)... ამ ფაქტიდან ჩანს, რომ მონაზონი დარია რომანოზ ზუბაშვილის ოჯახის წევრია, მაგრამ დასადგენია, თუ ვისი შვილია. ზემოთ მოტანილ ნამსახურების ნუსხაში მის მამად გიორგი ზუბოვია დასახელებული, რომლიდანაც სასტამბო საქმე უსწავლია. ჩვენი აზრით, აქ შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე, რამდენადაც ცნობილია, რომანოზ ზუბაშვილის შვილი გიორგი დაბადებულა

1806 წელს, დარია კი — ერთი მონაცემით 1794 წელს, მეორე მონაცემით — 1784 წელს. ის ვერ იქნებოდა გიორგის შვილი, ამიტომ მართებულია მის მამად მივიჩნიოთ რომანოზი.

არქიმანდრიტ ზაქარიას იმერეთის სამეფო სტამბის გაუქმების შემდეგ რომ საკუთარი სტამბა ჰქონდა, ამას კიდევ ერთი დოკუმენტით დავადასტურებთ. 1815 წლის 5 მაისს ზურაბ წერეთელსა და არქიმანდრიტ ზაქარიას შორის დადებულ პირობის წერილში უკანასკნელი ამბობს: **“თუ ჩემს სახლში რამ მცირე მცირე დავბეჭდო, შენი სტამბის წინააღმდეგო. და დამაყენებელი არც ის ვქნაო”** (პ. გუგუშვილი, 1984, გვ. 389) (ხაზი ჩემია — მ.კ.). პირობის წერილის ამ სიტყვებისათვის ჩვენამდე პროფ. პ. გუგუშვილს მიუქცევია ყურადღება და უვარაუდებია: **“ზაქარიას ეტყობა, თვითონაც ჰქონია თავის სახლში პატარა სტამბა, სადაც შეიძლება “მცირე-მცირე” რამეების დაბეჭდვა”-ო** (პ. გუგუშვილი, 1984, გვ. 389).

ზემოთ მოტანილ ფაქტებზე დაყრდნობით ვასკვნით — იმერეთის სამეფო (ქუთაისის) სტამბის გაუქმების შემდეგ, მისი მოწყობილობის ერთი კომპლექტი აღმოჩნდა არქიმანდრიტ ზაქარიას საკუთრებაში, რომელიც მას დაპატიმრებამდე ჰვლობდა, შემდეგ კი მის ნათესავებსა და ეკლესიას შორის იქნა გაყოფილი.

დამოწმებული ლიტერატურა

პ. გუგუშვილი, 1984 - პ. გუგუშვილი, ქართული სტამბის წიგნი 1629-1729, წიგნში “საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში”, ტ. VII, თბ., 1984.

გ. ბოჭორიძე, 1994 - გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994.

ა. იოსელიანი, 1990 - ა. იოსელიანი, ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები (უძველესი დროიდან XIX ს. 60-იან წლებამდე), თბ., 1990.

ო. კასრაძე, 1997 - ო. კასრაძე, “ნარკვევები, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან”, თბ., 1997.

ქცა-ში დაცული საარქივო მასალები

სცსა-ში დაცული საარქივო მასალები

MERAB KEZEVADZE**KUTAISI CENTRAL ARCHIVE
POST PERIOD OF THE ABOLISHMENT OF IMERETI ROYAL
PRINTING HOUSE AND THE UNKNOWN
TYPOGRAPHER MONK**

The subject matter of the article is the post period of Imereti printing house abolishment, particularly, according to the relevant sources it is confirmed that one of the complete sets of the whole equipment was left in the property of the typographer archimandrite Zaqaria, who owned and used it according to its function until his imprisonment (1818). Afterwards it was divided between the church and the relatives. Print house equipment assigned to the church was kept in Gelati monk until 1846. It was supervised by the monk Daria (Zubov-Zubashvili) for a certain period of time.

Unfortunately none of the books are found printed in archimandrite Zaqaria printing house.

Along with it it's confirmed that the equipment of Sachkhere printing house was still kept in Sachkhere to the Tsereteli nobleman in 1846.

სოფიო კეკუა

გალის გემო ზონის სკოლების
სასწავლო საგნები და მათი სწავლების ენა
(2009 წლის მონაცემები)

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შემავალი დღევანდელი გალის რაიონი იყოფა ორ ზონად: დაბალ და მაღალ ზონებად. დაყოფა მოხდა 1993-95 წლებიდან, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. ომამდე არ არსებობდა არანაირი ზონები. იყო მხოლოდ საქართველოში, აფხაზეთის ავტონომიაში შემავალი გალის რაიონი თავისი სოფლებით.

თვითონ ქალაქი პატარაა. მის გარშემო 34-მდე სოფელია. აქედან 19 სოფელი: საბერიო, ჩელაღი, რეჩხი, ხოლუ, ცხირი, ლუმურიში, I გალი, ნამარკილუ, კობორა, კონსტიტუცია, შეშელეთი, აჩიგუარა, წარჩე I და II, ჩხორთოლი, ოქუმი, დინაზურგა, ლეკუხონა, ჭუბურხინჯი და შაშიკვარა დღევანდელი დაყოფით მიეკუთვნება მაღალ ზონას, ხოლო დანარჩენი 15 სოფელი: ზემო ბარღეფი, ქვემო ბარღეფი, ხუმუშქური, ნაბაკევი, გაგიდა, განახლება, გუდავა, ფიჩორი, სიდა, რეფი, თავილონი, ოტობაია I და II, სობჩაი ეკუთვნის დაბალ ზონას.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის მიერ მაღალი ზონის სოფლები მიკუთვნებულია სხვადასხვა რაიონს; კერძოდ, სოფლების დიდი ნაწილი: საბერიო, ჩელაღი, რეჩხი, ხოლუ, ცხირი, ლუმურიში, I გალი, ოქუმი, ჩხორთოლი და წარჩე I-II ეკუთვნის ტყვარჩელს; შეშელეთი და აჩიგუარა — ოჩამჩირეს; ხოლო ჭუბურხინჯი, დინაზურგა და შაშიკვარა — გალს. გალის რაიონია ასევე მთლიანად დაბალი ზონის სოფლები.

მართალია, სკოლებში კონტინგენტი მცირეა (ზოგ სკოლაში 100 მოსწავლე ჰყავთ, ზოგშიც — 28), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩამოთვლილ სოფელთაგან უმრავლესობაში არსებობს საშუალო სკოლა. მაღალ ზონაში 13-მდე საშუალო სკოლაა, დაბალში — 9. ქალაქში არის ორი საშუალო სკოლა. ერთი რუსულენოვანია, მეორე კი — ნაწილობრივ ქართული.

დაბალი ზონის ყველა სკოლა ჯერჯერობით ქართულენოვანია. ბავშვები ისეთივე სახელმძღვანელოებით სწავლობენ, როგორთაც საქართველოს სხვა სკოლებში ასწავლიან. პრობლემურია მაღალი ზონის სკოლების საკითხი. აფხაზური ადმინისტრაცია ითხოვს, ბავშვებს სკოლებში რუსულ ენაზე ასწავლონ, კერძოდ, სამ რაიონად გადაწარმოებული გალის მაღალი ზონის სკოლებში მკაცრად ითხოვენ რუსულად სწავლებას.

საანალიზოდ წარმოვადგენთ ჩემი სოფლის, ლუმურიშის საშუალო სკოლას.

ლუმურიში დე ფაქტო ხელისუფალთა მიხედვით არის ტყვარჩელის რაიონი. ლუმურიშის სკოლაში სწავლობს 71 მოსწავლე. სკოლაში ისწავლება ყველა ის საგანი, რომელიც საერთოდ გათვალისწინებულია სასკოლო პროგრამით. კერძოდ: ქართული ენა და ლიტერატურა ერთ საგნად, აფხაზური ენა ერთ საგნად, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა, ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა, ალგებრა, გეომეტრია, ბუნება, რუსული.

ბუნებრივია, ომამდე და ომის შემდეგაც 2001-2002 წლამდე ჩემს სკოლაში სწავლა მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. ერთადერთი მოთხოვნა მაშინ ის იყო, რომ ერთ-ერთ საგნად ყოფილიყო აფხაზური ენა. სკოლაში სხვა პრობლემები არ იყო. 2002-2003 წლამდე დე ფაქტო ხელისუფლებას ოფიციალურად არ შეუზღუდავს ქართული ენა, თუმცა ქუჩაში მიიწვიდა ყველა ერიდებოდა ქართულად საუბარს.

დღეს ყველაფერი შეიცვალა: აფხაზეთის დე ფაქტო განათლების სამინისტროდან კატეგორიული მოთხოვნაა, რომ სკოლები გახდეს რუსულენოვანი. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, უპირატესობას ანიჭებენ რუსულ ენას. შესაბამისად, აფხაზური მეორეხარისხოვანი ენის როლშია; ეს ასახულია სასწავლო საგნებშიც, სადაც აფხაზური ისწავლება ერთ საგნად.

რუსულ ენაზე სწავლა ბავშვებისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს. მათ არ აძლევს საშუალებას ისწავლონ მშობლიურ ენაზე, რუსულად ყველა საგნის დაძლევა კი უჭირთ. სირთულეს აწყდებიან თვით მასწავლებლებიც, რადგან ყველა სრულყოფილად ვერ ფლობს რუსულს, ზოგმა არც იცის რუსული ენა. ძნელია რუსულად აუხსნა ბავშვებს ქიმია, ფიზიკა, ალგებრა და ა.შ. მაშინ, როდესაც მასწავლებელს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ქართულ ენაზე.

ხშირ შემთხვევაში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის გაგებინება რომ მოხდეს, მასწავლებელი იძულებული ხდება გაკვეთილი ჩაატაროს მეგრულ დიალექტზე. მასწავლებლები ცდილობენ და ხშირად ახერხებენ კიდევ ბავშვებს შეუტანონ ქართული სახელმძღვანელოები, მაგრამ ეს ერთგვარ რისკთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ხდება ხოლმე მოულოდნელი შემოწმებები დე ფაქტო ხელისუფლების მიერ, რაც შეიძლება კუდი შედეგით დასრულდეს. ერთ-ერთ სკოლაში იყო შემთხვევა: შემოწმებისას ბავშვებს აღმოუჩინეს ქართული სახელმძღვანელოები. აგრესია გამოიხატა იმით, რომ ბავშვებს დაუხიეს წიგნები და ასევე უსაყვედურეს მასწავლებლებსაც. ამ მიზეზთა გამო, ხდება ბავშვთა გონებრივად დაქვეითება. ფაქტობრივად გალის ზემო ზონის ბავშვებს წართმეული აქვთ უფლება, სრულყოფილად დაეუფლონ მშობლიურ ენას და დედაენაზე მიიღონ განათლება. მთავარი და სამწუხარო ფაქტი ის არის, რომ ყველანაირად ცდილობენ ახალ თაობაში ჩაახშონ ქართული ეროვნული ცნობიერება. ბავშვები ვერ ფლობენ სალიტერატურო ქართულს, ვერ იღებენ დედაენობრივ განათლებას და სწყდებიან როგორც ქართულ სამწიგნობრო ენას, ასევე ზოგადად ქართულ კულტურას.

აქვე მოკლედ შევხებით ისეთ პრობლემურ საკითხსაც, როგორიც არის ქართველთა იდენტობის წინააღმდეგ ბრძოლა.

გალის რაიონი ყოველთვის იყო და ახლაც ქართველთა ოჯახებით არის დასახლებული. მოსახლეობა ახლაც ქართულენოვანია, თუმცა იქ ქართველობის შენარჩუნება ძალიან ძნელია. ყოველი მხრიდან იგრძნობა ქართული ენის დევნა. ზემოთ ვნახეთ, თუ რა ვითარებაა სკოლებში. მსგავსი მდგომარეობა დასტურდება ეკლესიებშიც, სადაც იკრძალება წირვა-ლოცვა ქართულად. უფრო მეტიც, ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში არ შეუშვეს ქართველი მრევლი; იყო შემთხვევა, როდესაც არ მისცეს უფლება ბავშვი მოენათლათ.

ანტიქართული ხასიათის გაზეთები გამოიცემა გალში, სადაც თითქმის ყველა ნომერში წააწყლებით ქართველების საწინააღმდეგო სტატიებს. ამ გაზეთში, რომლის სახელწოდებაც არის "გალი", მიმდინარეობს აშკარა დაყოფა მეგრულ-ქართველებისა. აქ მეგრელები მოიაზრებიან სხვა ერად და ქართველები კიდევ სხვად. ქართველები მოიაზრებიან როგორც მოძალადეები, რომლებიც აიძულებენ მეგრელებს იყვნენ მათ მხარეზე. ძველი წყაროების მოშველებით, ზოგიერთი ამტკიცებს, რომ მეგრელებს საკუთარი დამწერლობა აქვთ და ყველანაირად უარყოფს მეგრელებისა და ქართველების ერთობას.

სამწუხაროდ, მოსახლეობის ნაწილშიც (არა ყველაში) გამჭდარია ის აზრი, რომ იგი არის მეგრული და არა ქართველი. ასე ფიქრობენ როგორც ასაკოვნები, ასევე ნაწილი ახალგაზრდობისა, რომელთათვისაც უცხოა დიალექტის გაგება. მათთვის არ არსებობს მეგრული დიალექტი, არსებობს მხოლოდ მეგრული ენა. ყოველივე ეს კეთდება ქართველი ერისა და საქართველოს დასაშლელად. საქართველოს დაქუცმაცებას ხელს უწყობს არა მხოლოდ ტერიტორიების ჩამორთმევა, არამედ ენობრივად დაყოფაც. ამიტომ აუცილებელია, თითოეულმა შევინარჩუნოთ მშობლიური ენა და გავუფრთხილდეთ მას.

ცოტა არ იყოს საკვირველია აფხაზთა დამოკიდებულება საკუთარი ენის მიმართ. აფხაზთა უმრავლესობა საუბრობს რუსულ ენაზე. შეიძლება ითქვას, რომ ოფიციალურ ენად მათთვის გამოდის რუსული. ამიტომ ჩვენ გაკვირვებას არც ის უნდა იწვევდეს, რომ დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები ღვენიან ქართულ ენას. დღეს აფხაზები გადაგვარების ზღვარზე არიან. ჩვენ, ქართველებს კი შეგვიძლია ჩვენი დედაენა და ეროვნება შევინარჩუნოთ, მიუხედავად გალში არსებული პრობლემებისა.

SOPHIO KEKUA

SCHOOL SUBJECTS AND THE LANGUAGE OF INSTRUCTION AT THE SCHOOLS OF GALI UPPER ZONE SCHOOLS ACCORDING TO THE DATA OF 2009

Modern Gali district of the Abkhazian Autonomous Republic is divided into the two (Lower and Upper) zones. The division was introduced between the years 1993-95 after the Russian –Georgian war.

Gali district has about 34 villages of which nineteen belong to the Upper zone. These villages are: Saberio, Cheghali, Rechkhi, Khoghu, Tskhiri, Ghumurishi, I Gali, Namarkilu, Kokhora, Konstitutsia, Shesheleti, Achiguara, Tsarche I and II, Chkhortoli, Okumi, Dikhazurga, Lekukhona, Chuburishinji, and Shashikvara. The other fifteen belong to the Lower zone, namely: Zemo Barghepi, Kvemo Barghepi, Khumushkuri, Nabakevi, Gagida, Ganakhleba, Gudava, Pichori, Sida, Repi, Tagiloni, Otobaia I and II, and Sobchai.

According to the re-arrangements of the *de facto* Abkhazian Government Upper Zone villages belong to the different regions (Tkvarcheli, Ochamchire, Gali). All the schools

of the Lower Zone still remain as Georgian language schools and textbooks are in Georgian. Only the Upper Zone schools have language related problems. Abkhazian administration demands to teach children in Russian.

For instance, according to the *de facto* authorities the village of Ghumurishi belongs to the Tkvarcheli region. Ghumurishi school has 71 pupils. The school taught subjects in Georgian before and after the war. Until the academic year 2001-02 the language of instruction was Georgian. The only requirement was to introduce the Abkhazian language as one of the subjects of the curriculum. Up to the years 2002-03 the *de facto* government did not oppress the Georgian language formally. However, everybody in the streets avoided using the Georgian speech.

Today the situation has changed drastically. The ministry of education of the *de facto* government makes it mandatory to introduce Russian as a language of instruction. Whatever surprising it may sound they promote Russian as a privileged language and the Abkhazian language has a secondary role. This is reflected in the school text-books that are written or compiled in Russian and Abkhazian language is taught as only one subject.

Learning subjects through the Russian language creates difficulties to the Georgian youth. It is also problem for the teachers as not all of them has the command of Russian to the academic level. They find it difficult to explain the questions of chemistry, physics, algebra etc., to their students as they have graduated from the Georgian language Universities.

In many cases teachers and students communicate in Megrelian dialect. Teachers also try and manage to provide students with the Georgian textbooks but it is related to the certain risk as they can be caught as a result of an unexpected control from the *de facto* authorities. During one of these checkings they found that students had Georgian text-books. The aggression from the authorities confined to tearing the books and teachers were admonished. In fact the children of the Gali Upper zone villages are deprived of the rights to get education in the national language and have the decent knowledge of their own language. Every efforts are made to suppress the Georgian spirit in the new generation. Children do not have the command of the literary Georgian and are torn off from the Georgian culture.

Gali district has always been populated with ethnic Georgian families and it is still now. However, it has become extremely difficult maintain the Georgian identity. From every directions one feels the persecution of the Georgian language. Churches are compelled not to conduct the service in Georgian. Moreover, in the Ilori Saint George church Georgian congregation were denied the entry. There was also an instance when parents were not allowed to have the child baptised.

The *de facto* authorities encourage the publication of the anti-Georgian newspapers where almost in every single number one can find articles against Georgians. Centuries-old Russian imperialistic propaganda of separating Megrels from the Georgians is again overtly activated. Unfortunately, one can find a part of Megrels who find it safer to declare to be Megrels and not Georgians. We should not exclude the number of Megrels who have been cheated by the persistent propaganda and the quite candid in their self-identity. All these efforts have always been directed for the disintegration of the Georgian nation.

The most strange out of all these affairs seems the Abkhazians attitude towards their native language. Most of the Abkhazians have Russian as their only language. They are on the brink of losing their language and ethnic identity. We, the Georgians, can preserve our language and nationality, in spite of the aforesaid problems in the Gali district.

მანანა კვაჭაძე

საბანმანათლებლო ტრადიციითა შესახებ:
სწავლა-აღზრდა კვილ საქართველოში
(ტიპოლოგიური ანალიზის ცდა)

ძველი სამყაროს ტრადიცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სწავლა-აღზრდის პრობლემას; აღზრდის ინსტიტუტი ორგანულად უკავშირდებოდა ქვეყნის სოციალურ სისტემას, მკაცრად ჩამოყალიბებული ხასიათი ჰქონდა და განპირობებული იყო სახელმწიფოს ინტერესებით.

აღზრდის ინსტიტუტის არსებობა უძველესი დროიდან დასტურდება; ამის ნათელი მაგალითია ძველი აღმოსავლეთის ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, შუამდინარეთი, ეგვიპტე, სპარსეთი და სხვ.) და ანტიკური სახელმწიფოები (საბერძნეთი, რომი), სადაც სწავლა-აღზრდა გაგებული იყო, როგორც მიზანმიმართული, ორგანიზებული პროცესი.

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან საქართველო საბანმანათლებლო ტრადიციების მხრივ ერთ-ერთ მოწინავე პოზიციებზე ჩანს მსოფლიოში. ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე მდებარე პატარა ქვეყანა, ნებსით თუ უნებლიეთ, ძველთაგან ეზიარა აღმოსავლურ და დასავლურ კულტურულ მიმდინარეობებს, რომელთა განვითარებაში თავადაც შექმნდა გარკვეული წვლილი. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი შეასრულეს წინა აზიისა და საბერძნეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულმა ქართული კულტურის კერებმა.

ქართველი ფილოსოფოსები ცნობილი იყვნენ როგორც საქართველოში, ისე წინააზიურ და ბერძნულ სამყაროში; მაგალითად, ნეოპლატონური მიმართულების ფილოსოფოსი ბაკური (IV ს.), სირიაში მძლავრი ფილოსოფიური სკოლის შემქმნელი პეტრე იბერი (V ს.), მის სკოლასთან მჭიდროდ დაკავშირებული ასურელი მამები, რომელნიც თეოლოგიურ-ფილოსოფიური ცოდნით იყვნენ აღჭურვილნი და რომელთა მიერ დაარსებული სავანეები (VI ს.) ქართული მწიგნობრობისა და განათლების ცენტრებად იქცა (ს. გამსახურდია, 1996, გვ. 5).

სწავლა-აღზრდის თვალსაზრისით, რამდენადმე მწირ, მაგრამ საინტერესო მასალას გვაწვდის ქართული წყაროები, როგორც ადრეულ ხანაში, ისე გვიან ფეოდალურ პერიოდში.

ჯერ კიდევ ძველი კალთისა (VI - III სს.) და იბერიის სახელმწიფოს (IV - III სს.) მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის განვითარების მაღალი დონე მიანიშნებს ადრინდელ ტრადიციებზე; აღმოჩენილი ხუროთმოძღვრების ძეგლები და ძვირფასი განძეულობაც იმის დადასტურებაა, რომ აქ მეტად მაღალ დონეზე იდგა ხელოვნების მრავალი დარგი, რომელთა განვითარებაც შესწავლა-დაუფლების შედეგია. ძველი საქართველოს მაღალი კულტურული დონის მიღწევა სწავლა-განათლების სათანადოდ განვითარებულ სისტემაზე მიუთითებს (გ. სიხარულიძე, 1974, გვ. 12).

რაც შეეხება მწიგნობრულ სწავლა-განათლებას: როგორც ირკვევა, ძველ საქართველოში არა მარტო ზეპირი სწავლების სკოლები არსებობდა, არამედ ქართული დამწერლობის შექმნის დროიდან ახალგაზრდების სწავლა-აღზრდას მწიგნობრული და ორგანიზებული ხასიათი უნდა ჰქონოდა (გ. სიხარულიძე, 1974, გვ.13). ჩვენთვის ცნობილი ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალი განვითარების საფეხურს წარმოადგენს, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა, ჩვენს ერამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ივარაუდება; ძველბერძენ მწერალთა ცნობით, ქართველებს დამწერლობა ადრევე ჰქონიათ, ლეონტი მროველის მიხედვითაც, ქართული ანბანი შეუქმნია ქართლის მეფე ფარნავაზს ჩვ.წ. აღრიცხვამდე III საუკუნეში: “ფარნავაზმა განავრცო ენაჲ ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულსა და ამან შექმნა მწიგნობრობაჲ ქართული” (“ქართლის ცხოვრება“, 1955, გვ.26).

სხვადასხვა წყაროდან და მასალიდან ნათლად იკვეთება, რომ ქართული დამწერლობის წარმოშობა და არსებობა გაცილებით უფრო შორეულ ეპოქას განეკუთვნება, ვიდრე ეს ფაქტობრივი მასალით არის დადასტურებული. ცხადია, ქართული წერა-კითხვის სწავლების საწყისებიც იმ შორეულ საუკუნეებში უნდა ვეძებოთ.

ქართული წერა-კითხვის სწავლება, როგორც ფოლკლორული მასალებით და შემდგომი დროის საისტორიო წყაროებით დასტურდება, უპირატესად ინდივიდუალური წესით წარმოებდა ოჯახებში, ხოლო შემდეგში თანდათანობით ჯგუფური მეცადინეობის ფორმაში გადაიზარდა, რომელმაც ქართულ დაწყებით სკოლას მისცა დასაბამი (გ. სიხარულიძე, 1974, გვ.15). ჩვენში, საოჯახო სწავლებასთან ერთად, უძველესი დროიდანვე სასკოლო სწავლებაც ყოფილა, რასაც უნდა დასატურებდეს კოლხეთში არსებული გიმნაზიონები და დისკოები (სამხედრო სასწავლებლები), რომელთა ძირითადი მიზანი იყო, ერთი მხრივ, ფიზიკური და სამხედრო მომზადება, მეორე მხრივ, ახალი თაობის გონებრივი განვითარება (ნ. ვასაძე, 1988, გვ.283).

ძველ სამყაროში — როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში — არსებული განათლების სისტემა ხასიათდება მიზანდასახულობით, სადაც ბავშვის სულიერი და ფიზიკური აღზრდა ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. ინტელექტისა და ზნეობის ჩამოყალიბების კვალდაკვალ, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სხეულის ფიზიკურ ვარჯიშს. ამ მხრივაც საქართველო ძველი ცივილიზებული სამყაროს ორგანულ ნაწილად გვევლინება.

დიონ კასიუსის ცნობით, მე-2 საუკუნის პირველ ნახევარში რომის კეისარს ანტონინუს პიუსს სტუმრად სწვევია ქართველთა მეფე ფარსმანი თავისი ოჯახითა და წარჩინებულებით. ანტონინუსს ფარსმანი კეთილად მიუღია, კაპიტოლიუმის ტაძარში მსხვერპლის შეწირვის ნებაც დაურთავს და უხვადაც დაუსაჩუქრებია. ერთ-ერთი საზეიმო თავყრილობის დროს ფარსმანის მხლებლებს ისეთი მომზიბვლელი ფიზიკური ვარჯიში შეუსრულებიათ, რომ ამ სანახაობით აღტაცებულ ანტონინუსს მარსის ველზე ფარსმანის ცხენიანი ქანდაკების აღმართვა უბრძანებია. ვარჯიშს მეფე, უფლისწული და წარჩინებულები (კასიუსთან — პირველი იბერები) ასრულებდნენ. როგორც ჩანს, იბერიის არისტოკრატიის განსწავლის პროცესში ფიზიკურ აღზრდას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ

(ს. გამსახურდია, 1996, გვ. 9-10); თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამორჩეული ყურადღება გონებრივ აღზრდას ეთმობოდა და, დაწყებითი და საშუალო განათლების გარდა, უკვე ახ.წ. III-IV საუკუნეებიდან კოლხეთში უმაღლესი ფილოსოფიური განათლების კერაც არსებობდა.

ერთი სიტყვით, წინაქრისტიანული ეპოქის საქართველოში ეუფლებოდნენ არა მარტო ქართული სწავლა-განათლების პირველსაწყისებს; არამედ როგორც ძველი ბერძნული წყაროებიდან ჩანს, საფუძვლიან უმაღლეს ფილოსოფიურ განათლებასაც იღებდნენ (გ. სიხარულიძე, 1974, გვ. 15).

გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსისა და რიტორის თემისტოსის (317-388წწ.) ცნობით, დასტურდება კოლხეთში, პონტოს ბოლოში, ფაზისის (ფოთის) მახლობლად სახელგანთქმული ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლის არსებობა, რომელშიც თავად ბერძნებიც მოდიოდნენ უმაღლესი რიტორიკული განათლების მისაღებად. პირადად თემისტოსს და მამამისსაც — ფილოსოფოს ევგენიოსს, რომელიც შემდგომი ფილოსოფიის განთქმული მასწავლებელი იყო კონსტანტინეპოლში, ფილოსოფიურ-რიტორიკული განათლება კოლხეთში მიუღიათ (გეორგიკა, 1961, გვ. 45-48); (ს. ყაუხჩიშვილი, 1964, გვ. 114-121). თემისტოსი წინა პლანზე “სიბრძნესა” და “სათნობას” აყენებს. აქ ხაზგასმულია, რომ აღნიშნულ სკოლაში არა “ისართ ტყორცნა და ოროლთ სროლა, ან ჯირითი” ისწავლებოდა მეზობელ ბარბაროსთა წესების მიხედვით, არამედ ის “თუ როგორ გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდა ელინთა დღეობებზე”.

თემისტოსის წერილში დაცული ცნობის მიხედვით, კოლხეთის რიტორიკული სკოლა თავისი შინაარსითა და მიზანდასახულობით ძველბერძნული და კერძოდ, რომაული რიტორიკული სკოლების მსგავსია; სასწავლო პროგრამა ლიტერატურის, ასტრონომიის, მუსიკისა და მათემატიკის ელემენტებს, ზოლო ძირითადად ფილოსოფიისა და სამართლის საფუძვლების ციკლს შეიცავდა; რიტორიკული მეცნიერება იმჟამინდელ საქართველოში, ისევე როგორც ბერძნულ და რომაულ სამყაროში, წმინდა პრაქტიკული მიზნითაც იყო გაგებული და არა მხოლოდ “ელინთა დღეობებზე” ორატორული ხელოვნების გამოსაჩენად (ს. გამსახურდია, 1996, გვ. 13); შალვა ნუცუბიძის აზრით, კოლხეთის რიტორიკული სკოლა კოლხურ-ბერძნული სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობების ნიადაგზეა შექმნილი. “იგი სასამართლოს მოღვაწეებს — დამცველებსა და ბრალმდებლებს ამზადებდა” (შ. ნუცუბიძე, 1956, გვ. 91).

კოლხეთის ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლის არსებობა უდიდესი ისტორიულ-კულტურული მოვლენა იყო დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში და ამ სკოლამ დიდი როლი შეასრულა ჩვენში ანტიკური განათლების გავრცელებისა და მეცნიერული აზრის შემდგომი განვითარებისათვის; მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან ბიზანტიური კულტურის განვითარებაშიც (გ. სიხარულიძე, 1974, გვ. 18).

ვარაუდობენ, რომ (ს. ყაუხჩიშვილი, შ. ნუცუბიძე) კოლხეთის უმაღლესი ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა ქრისტიანობის გავრცელების

შემდეგაც განაგრძობდა მოქმედებას და შესაძლოა სწორედ ამ სკოლაში მიეღოთ ფილოსოფიურ-რიტორიკული განათლება საბერძნეთში საკმაოდ ცნობილ ქართველ რიტორს — ბაკურს (IVს.), სახელგანთქმული პეტრე იბერიელის აღმზრდელ-მასწავლებელს — იოანე ლაზს (Vს.) და ცნობილ ლაზ რიტორებს — აიეტსა და ფარტაზს (VIს.); უმაღლესი რიტორიკული სკოლის არსებობა III-IVსს.-ში იმაზეც მეტყველებს, რომ ამ პერიოდში, და გაცილებით უფრო ადრეც, კოლხეთში დაწყებითი სკოლების მნიშვნელოვანი ქსელიც უნდა ყოფილიყო... და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისიც ცნობილია, რომ ამავე პერიოდში კოლხეთში ელინისტური “გიმნაზიონებიც” არსებობდა, რომლებშიც ტანვარჯიშსა და ფილოსოფიას ასწავლიდნენ.

IV საუკუნიდან, ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებიდან, იწყება საქართველოში ახალი, ქრისტიანული კულტურის შექმნა და განვითარება. ქრისტიანული საეკლესიო ცენტრები და სკოლები ყალიბდება ჯერ აღმოსავლეთ და შემდეგ — დასავლეთ საქართველოში. ასეთი სკოლები ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებთან იქმნებოდა და მათი ხელმძღვანელობით მოქმედებდა.

ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ძველ საქართველოში წარჩინებულ პირთა შვილებისათვის, განსაკუთრებით მეფის შთამომავლებისათვის, საშინაო, ინდივიდუალური სწავლა-აღზრდა იყო გავრცელებული.

ცნობილია, რომ პეტრე იბერიელს (ბავშვობაში მურვანოზს, ბაქარ მეფის შვილს) საშინაო აღმზრდელ-მასწავლებლად დასავლეთ საქართველოდან საგანგებოდ მოწვეული ფრიად განათლებული ლაზი — მითრიდატე (შემდეგში იოანე-ლაზი) ჰყოლია; ვახტანგ გორგასალთან დაკავშირებით, ჭუანშერის თხზულებაში კვითხულობთ: “და ევედრებოდეს ყოველნი ღმერთსა აღზრდისათვის ყრმისა ვახტანგისსა. მოითხოვა მეფისაგან საზრდოდ საურმაგ სპასპეტმან ვახტანგ, დიდითა ვედრებითა, ზოლო მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგ სპასპეტსა საზრდოდ. რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდნიან” (“ქართლის ცხოვრება”, 1955, გვ. 143).

“ქართლის ცხოვრებაში” ჩანს “ქალის ხაზიც”. წარჩინებულის ოჯახში აღსაზრდელად იგზავნება მეფის ასული: “...შუა საგდუხტ ასული სხუა, და უწოდა სახელი მას მირანდუხტ. და მოითხოვა იგი საზრდოდ სპასალარმან კასპისამან, და მისცა იგი მეფემან; და წაიყვანა იგი ქალაქად კასპისა, და იზრდებოდა მუნ” (იქვე).

გაბარებულ ბავშვებს, რომელნიც სხვის სახლში იზრდებოდნენ, ეწოდებოდათ ძუძუსძტე, ესე იგი ძუძუს მოზიარე სხვა ბავშვებთან; აღმზრდელს, რომელთანაც შვილს გააბარებდნენ “მამამძუძე” ერქვა; მის მოვალეობას შეადგენდა მიბარებული ბავშვის აღზრდაზე მეთვალყურეობა. “მამამძუძე”, როგორც გამზრდელი, მეურვე და მამის შემცველი, ისეა მიჩნეული.

რაჟდენ პირველმოწამის ცხოვრებაში წერია, რომ მას, რაჟდენს, “არწმუნეს ასული მეფისა აღსაზრდელად... რომელსა მამამძუძედ უხმობდეს და დიდად რადმე პატივად ანიჭებდეს”; იაკობ ხუცესის თქმით, შუშანიკი

სიკვდილის წინ თავისთან მოუხმობდა სახლის ეპისკოპოსს, “ვითარცა მამასა და მამა-მძუძუსა”.

აღსაზრდელსა და აღმზრდელს შორის დამყარებული ურთიერთობა იყო სისხლით ნათესაურზე უფრო ძლიერი, ღრმა. გამზრდელი ამორებდა აღზრდილს ხიფათს (თ. ჩხეიძე, 1979, გვ. 43). ცნობილია, რომ მეფე ფარნაჯომის მოკვლის შემდეგ, მისი ძე — მირვან — აღმზრდელმა იხსნა გასაჭირისაგან და მასთან ერთად თავი სპარსეთს შეაფარა: “ხოლო ძე ფარნაჯომისა მირვან, წლისა ერთისა ყრმა, წარიყვანა მამამძუძუმან, და ივლტოდა სპარსეთს” (“ქართლის ცხოვრება“, 1955, გვ. 30).

დიდა აღზრდილის მოვალეობანიც; ვავიხსენოთ: პიტიახშის ბრძანებით. მკველი არავის უშვებს დედოფალ შუშანიკთან. იაკობ ხუცესი მოაგონებს: “უბადრუკო, არა მისი გაზრდილი ხარა? და თუცა მოგკლან შენ მისთჳრაჲ არს?”

მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა, აგრეთვე, აღმზრდელისა და აღზრდილის ოჯახის წევრთა შორის. ფარსმან ქუელის ძუძუმტე სპასპეტ ფარნავაზ მეფესთან ერთად იბრძვის სპარსელების წინაღმდეგ; უადრესად თბილი ურთიერთობის მანიშნებელია ვახტანგ მეფის გლოვა საურმაგ სპასპეტისა; ასევე: ვახტანგისა და ბაყათარ ოსის ომში ვახტანგთან ერთად იბრძვის მისი გამზრდელის ვაჟი — არტავაზ ძუძუმტე, ძე საურმაგ სპასპეტისა; ვახტანგ მეფის ამაღლაში, მასთან დაახლოებულ პირთა შორის ჩანს საურმაგის ძმა ვარაზ-მიპირი; გამზრდელისა და გაზრდილის ოჯახთა მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს “მოქცევაჲ ქართლისაჲს” სიტყვები: “ხ-ესე აზოჲ წარვიდა: არიან ქართლად მამისა თჳსისა და წამოიყვანა რვა სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი” (თ. ჩხეიძე, 1979, გვ. 44-45).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მითრიდატე — იოანე ლაზი, რომელიც ბიზანტიაში მძევლად გაგზავნილ მურვანოზს თან გაჰყოლია... პეტრე იბერიელის ქართულ და ბერძნულ-სირიულ ბიოგრაფიებშიც არის აღნიშნული, რომ მას კონსტანტინეპოლშიც და სირიაშიც თან ახლდა მისი აღმზრდელი მითრიდატე ლაზი.

ამ კონტექსტშიც ნათლადაა გამოკვეთილი “ქალის ხაზი”: ქალი, ქალის აღმზრდელი — დედამძუძე, გაზრდილის ერთგული და მისი ჭირვარამის მოზიარე: “და მეთათხმეტესა წელსა ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ევლადგი: სახელით რიფსიმე რ-ლსამე მიზეზისათჳს: და მძუძითურთ” (“მოქ. ქართ“, გვ. 711).

რიფსიმემ და მისმა დედამძუძემ ერთად მიიღეს ნათლობა: “მასვე შინა წელიწადსა ნათელ ილო რიფსიმე... მისთანა გაიანეცა დედამძუძემან მისმან” (“ქართლის ცხოვრება“, 1955, გვ. 80) და ორივე ეწამა ქრისტეს რჯულისათვის: “მაშინ იწამა იგი (რიფსიმე), დედამძუძე მისი გაიანე” (თ. ჩხეიძე, 1979, გვ. 45).

ქართველ მეფეთა და წარჩინებულთა აღზრდა იყო მრავალმხრივი, გულისხმობდა ფიზიკურსა და მეცნიერულ მომზადებას; ისრის ტყორცნა, ოროლის ხმარება, მონადირეობა მათი ცხოვრების დამახასიათებელი ნიშნები იყო (იქვე). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ცოდნის შექმნას. ვახტანგ გორგასალთან დაკავშირებით შემდეგი ცნობა გვხვდება: “მაშინ

ვახტანგ იზრდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა” (“ქართლის ცხოვრება”, 1955, გვ. 146). თხუთმეტი წლის ვახტანგი ფილოსოფოსთა მიერაც ყოფილა აღზრდილ-განსწავლული; ქართლის წარჩინებულებთან შეხვედრის გამო, ნათქვამია: “მაშინ მეფემან, ვითარცა მოხუცებულმან და ბრძენმან და ვითარცა აღზრდილმან ფილოსოფოსთა თანა, იწყო ზრახვად ხმითა მალლითა” (იქვე, გვ. 147).

ჩანს, რომ ვახტანგი თხუთმეტი წლის ასაკში გონებრივად საქაოდ მომწიფებულ-განვითარებული ყოფილა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ მის საშინაო სწავლა-განათლებაში პედაგოგთა მთელი ჯგუფი იღებდა მონაწილეობას, რაც მომავალი მეფის ფართო განათლების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა; ცხადია, ეს “ფილოსოფოსნი” მას სხვადასხვა დისციპლინებს შეასწავლიდნენ.

ვახტანგისდროინდელ ქართლში თეოლოგიისა და ფილოსოფიის სწავლების ურთიერთშეთანხმება უკვე ხდებოდა, რაც, თავისთავად, ფილოსოფიის “გამორჩევით” შესწავლაზეც მიგვითითებს (ს. გამსახურდია, 1996, გვ. 17). ფილოსოფიური ცოდნის მიღების ტრადიცია საქართველოში ვახტანგის შემდგომ დროშიც გრძელდება.

ცხადია, საქართველოში მოსული ასურელი მამები თავიანთ ფილოსოფიურ ცოდნასაც გადასცემდნენ, როცა აქ “მოძღურებითა” მოღვაწეობას შეუდგნენ. მოგვიანებით, მე-8-9 საუკუნეთა მიჯნაზე ფილოსოფიურ მეცნიერებაში განისწავლებოდა ასევე გრიგოლ ხანთელი.

საქართველოში ფილოსოფიური ცოდნის მიღების ძველთაგანვე არსებული ტრადიცია ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომ პერიოდშიც გრძელდება და ამიერიდან იგი თეოლოგიის სამსახურშია ჩაყენებული.

სწავლა-განათლება, ძირითადად, ქრისტიანულ-საეკლესიო სკოლებში მიმდინარეობდა. პირველდაწყებითი რელიგიური სკოლები ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა. ძირითადი სასწავლო საგანი თეოლოგია იყო. სასწავლო სახელმძღვანელოებად იყენებდნენ როგორც ნათარგმნ, ისე საგანგებოდ შედგენილ ორიგინალურ წიგნებს. სასწავლოდ განკუთვნილი სახელმძღვანელო წიგნები ჯერ კიდევ ასურელი მამების დროს იწერებოდა; მაგალითად, შიო მღვიმელს ორიგინალური სახელმძღვანელო წიგნი დაუწერია თავისი მოსწავლეებისათვის (ი. აბულაძე, 1955, გვ. 19). მოგვიანებით ჰაგიოგრაფიულ თხზულებებსაც იყენებდნენ საკითხავად და დასაზეპირებლად (გ. სიხარულიძე, 1974, გვ. 24). საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების (IV ს.) შემდგომი ხანიდან ვიდრე მე-10-11 საუკუნეებამდე აღზრდის პროცესში ძირითადი სასწავლო საგნები იყო: ქართული მწიგნობრობა, თეოლოგია, ფილოსოფია, ჰიმნოგრაფია, ლიტურჯიკა, უცხო ენა, ან ენები, მშობლიური ქვეყნისა და უცხოური ქვეყნების ისტორია და, ბოლოს, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ (ს. გამსახურდია, 1996, გვ. 27).

როგორც სათანადო წყაროებიდან ჩანს, ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში სწავლება ეკლესია მონასტრებთან არსებულ სკოლებში მიმდინარეობდა. სწავლის დაწყების დროდ 6-7 წლის ასაკი იყო მიჩნეული, ხოლო დამთავრებისა — 16 წლის ასაკი. ჯგუფურ სწავლებას სპეციალურად გამოყოფილი პირები ხელმძღვანელობდნენ, რომელთაც, ძველი ტექსტების

მიხედვით, “მასწავლებელი”, “მოძღუარი” და “მზრდელი” ჰქვიათ. სწავლება და აღზრდა ერთ მთლიან პროცესადაა წარმოდგენილი. სწავლის პროცესის გამომხატველი ცნებებია — “სწავლაჲ” და “წურუთნა”, ხოლო სწავლებისა — “მოძღურება”. აღნიშნული ტერმინი სწავლების პროცესის გამომხატველადაც ხმარებულ ცნებებს “სწავლას” და “წურუთნას” ცვლის, ყურადღება აქვს დათმობილი მოზარდის ასაკობრივ და გონებრივ განვითარებას. სწავლის პროცესის ნორმალიზაციისათვის აუცილებელ პირობადაა მიჩნეული თანამიმდევრობა, სწავლისადმი თანმიყოლა, ბეჯითობა და სიმტკიცე (იქვე, გვ. 32).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართველთა მიერ V საუკუნეში შექმნილი უმაღლესი განათლების კერა საქართველოს ტერიტორიის გარეთ, შორეულ სირიაში. პეტრე იბერიელის სირიული სკოლა საფუძვლიანი რელიგიურ-ფილოსოფიური განათლების უდიდესი ცენტრი გახდა წინა აზიაში V საუკუნის მეორე ნახევარში. ამ სკოლაში ქართველი სწავლულები მოღვაწეობდნენ და ქართველი ახალგაზრდებიც იღებდნენ საფუძვლიან სწავლა-განათლებას... “ამიტომ შეიძლება ჩვენ მას ყოველგვარი უფლებით ვუწოდოთ სირიის ქართული სკოლა” (შ. ნუცუბიძე, 1965, გვ. 341).

პეტრე იბერიელის სირიულ სკოლაში სწავლების შინაარსი მრავალფეროვანი იყო. მასში, ქრისტიანულ რელიგიასთან ერთად, ანტიკურ ფილოსოფიასაც ასწავლიდნენ. სირიის ქართულ ფილოსოფიურ სკოლაში აღზრდილმა “სირიელმა მამებმა”, როცა საქართველოში დაბრუნდნენ (VI ს.), მრავალი ეკლესია-მონასტერი ააშენეს, ქართველ მოსახლეობასა და ჩრდილო კავკასიის ხალხებში ქრისტიანობა გავრცელეს და ჩრდილოეთის მხარეები ეკლესიურად საქართველოს დაუქვემდებარეს. ისინი ხელს უწყობდნენ ქართული ფეოდალურ-ქრისტიანული კულტურის გავრცელებას, კულტურულ-პოლიტიკურ სფეროში ბერძნულ-ბიზანტიური ორიენტაციის განმტკიცებას ირანის წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლაში. მათ მიერ დაარსებული სამონასტრო ცენტრები ქართული მწიგნობრობისა და განათლების უმნიშვნელოვანეს კერებად იქცა. სირიის ქართულ ფილოსოფიურ სკოლას უდიდესი როლი აქვს შესრულებული საქართველოში განათლების გავრცელების საქმეში (ნ. ვასაძე, 1988, გვ. 290).

ძველი სამყაროს საგანმანათლებლო ტრადიციათა შესახებ არსებული მასალა საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს, როგორც ტიპოლოგიური ანალიზის, ისე კულტურული ურთიერთობის თვალსაზრისით; ეს პრობლემა მეტად ფართოა, ვრცელი და საკითხთა მთელ რიგს მოიცავს საზოგადოდ და საქართველოსთან მიმართებაში — კერძოდ.

ადრეული ხანიდან მოყოლებული, საქართველო ძლიერი მეზობელი ქვეყნების ყურადღების ცენტრში იდგა და სხვადასხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ ბრძოლა და მათგან თავდაცვა უხდებოდა. საქართველო ხშირად ყოფილა ასპარეზი ამ სახელმწიფოების ინტერესთა თანხვედრისა თუ შეჯახებისა. ქართველებს ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ მეზობლებთან და ამ კონტაქტების კვალი მეტ-ნაკლებად აღიბეჭდებოდა

კულტურულ მემკვიდრეობაზეც. ცხადია, რიგი საერთო ფაქტებისა თავს იჩენს იმ ეპოქის საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ცხოვრებაში.

ჩვენი ქვეყნის დაპყრობას, აქ თავიანთი ძალაუფლების განმტკიცებასა და რელიგიის — მაზდეანობის შემოღებას ცდილა არაერთი სასანელი შაჰინშაჰი. ბუნებრივია, რამდენიმე საუკუნის მანძილზე არსებული კონტაქტი აღიბეჭდებოდა ამ ხალხების კულტურულ მემკვიდრეობაზეც. ირანულ-ქართული ურთიერთობა, ისტორიული კავშირი იქნება ეს, ენობრივი თუ ლიტერატურული და ფოლკლორული, ავლენს შრავალ საინტერესო ფაქტს ამ ორი ქვეყნის წარსული ცხოვრებიდან. ...რიგი საერთო ფაქტებისა თავს იჩენს იმ ეპოქის საქართველოსა და ირანის ცხოვრებაში, გამონაკლისს ამ მხრივ არც აღზრდის სისტემა წარმოადგენს (თ. ჩხეიძე, 1979, გვ. 4).

აქემენიანთა ირანში (ძვ.წ. 558-330) დამკვიდრებულმა აღზრდის სისტემამ ასახვა პოვა ბერძნულ წყაროებსა და ირანულ ლეგენდებში, მოგვიანებით — მხატვრულ ლიტერატურაში. ყურადღებას იქცევს ცნობები, რომლებიც ძველ ირანში უფლისწულისა თუ სხვა წარჩინებულ ოჯახთა ვაჟების აღზრდას ასახავს. აქემენიანთა ირანში არსებული აღზრდის სისტემა მიზნად ისახავდა მხნე, მამაცი მეომრის ჩამოყალიბებას, ამასთანავე, ზოროასტრული რელიგიის კარგ ცოდნასა და შესაფერი საერო განათლების მიღებას. აქემენიანთა უფლისწული იზრდებოდა სამეფო კარისაგან მოშორებით, სოციალურად უფრო დაბლა მდგომ ოჯახში, ხშირად უბრალო ხალხთან, ზოგჯერ — მწყემსებთან.

პართული სახელმწიფოს შესახებ (ძვ.წ. III ს.) ცოტა რამ არის ცნობილი. გაბნეული ცნობების საფუძველზე, რამდენადმე ჭირს პართული სახელმწიფოს ცხოვრების აღდგენა, თუმცა, სხვაენოვან წყაროებში დაცულ მონაცემებზე დაყრდნობით, გარკვეული დასკვნების გამოტანა შესაძლებელია; კერძოდ, “გაძიძავების” ინსტიტუტი დამკვიდრებული ჩანს, როგორც აქემენიანთა, ისე პართულ ხანაშიც.

გაძიძავების ტრადიცია გრძელდება სასანურ ეპოქაშიც (ახ.წ. III-VII სს.). ვაჟის აღზრდა არა მშობლების სახლში, არამედ სხვა ოჯახში წარმოდგენილია ფალაურ ლიტერატურასა და ისტორიულ ქრონიკებში. მაღალი წოდების ვაჟის აღზრდა გულისხმობდა კარგი მხედრისა და მეომრის ჩამოყალიბებას, ზოროასტრული რელიგიის კარგ ცოდნასა და შესაფერისი საერო განათლების მიღებას. ამდენად, აღზრდა ითვალისწინებდა როგორც ფიზიკურ წვრთნასა და სამხედრო-სპორტულ ვარჯიშებს, ისე თეოლოგიური განათლების მიღებასაც.

არისტოკრატ ვაჟთა საგანგებო მომზადება და წვრთნა ბავშვობიდანვე იწყებოდა. ბერძენ ავტორებთან აღზრდის ასაკობრივი დაყოფა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: 5-7 წლამდე დედასთან, 5-7 — 16-17 წვრთნა ზედამხედველების მეთვალყურეობით, 16-17 — 27 სამხედრო და სპორტული სრულყოფა, რაც ფაქტობრივად ემთხვევა სასანურ ირანში მიღებულ ასაკობრივ დაყოფას. საყურადღებოა, აგრეთვე, ვაჟების ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფის პრონციპები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ე.წ. “ქალის ხაზი” სწავლა-აღზრდის სისტემაში კავკასიის ეთნოგრაფიული მასალისა და წყაროების მიხედვით; აღზრდას სხვის ოჯახში, არა მშობლების სახლში, იღებდა ქალიც. რაც შეეხება სასაზღვრო ირანს, ამის შესახებ, მასალის სიმციროს გამო, სამეცნიერო ლიტერატურაში ერთგვარი თავშეკავებული მსჯელობაა. ევროპელ მეცნიერთა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ სასაზღვრო საზოგადოებაში ქალს ევალეზობდა მხოლოდ სახლის მოვლა და შესაბამისად, მისი განათლებაც ამით ამოიწურებოდა (თ. ჩხეიძე, 1979, გვ. 11). რამდენადმე განსხვავდება ირანელ მეცნიერთა დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ (*Tarikhe amuzesh va parvaresh eslam va Iran. Tehran, 1386 (2007)*).

სასაზღვრო წყაროებიდან ცნობილია, რომ აღზრდელსა და აღზრდილს შორის აქაც მყარდება მჭიდრო კავშირი, ნათესაურზე უფრო ძლიერი და რომ ეს ურთიერთობა არ წყდება აღზრდის დასრულების შემდეგაც. აღმზრდელი ინარჩუნებს გავლენას აღზრდილზე მთელი ცხოვრების განმავლობაში.

მსგავსება-შეხვედრები ორივე ქვეყანაში დამკვიდრებულ სწავლა-აღზრდის სისტემაში თავს იჩენს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი უცხოურ სესხებად ჩათვალოს, უფრო სწორი იქნება ვილაპარაკოთ პარალელურ განვითარებაზე და არა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადანერგილ ფაქტზე (თ. ჩხეიძე, 1979, გვ. 59).

საქართველო ყოველთვის ინარჩუნებდა თვითმყოფადობას, საკუთარი პირობებისა და აუცილებლობის შესაბამისად, საკუთარი ტრადიციებისა და ინტერესების გათვალისწინებით, შეიმუშავებდა და ქმნიდა სწავლა-აღზრდისა და საზოგადო, საგანმანათლებლო სისტემას.

დამოწმებული ლიტერატურა

ილ. აბულაძე, 1955 - ილ. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955.

სვ. გამსახურდია, 1996 - სვ. გამსახურდია, სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1996.

გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I (თემისტოისის XXVII სიტყვა), ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.

ნ. ვასაძე, 1988 - ნ. ვასაძე, ჰედეგოვიკის ისტორია, თბ., 1988.

კ კეკელიძე, 1960 - კ კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I., თბ., 1960.

შ. ნუცუბიძე, 1956 - შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I., თბ., 1956.

შ. ნუცუბიძე, 1965 - კრიტიკული ნარკვევები, თბ., 1965.

გ. სიხარულიძე, 1974 - გ. სიხარულიძე, ქართული პედაგოგიკის ისტორია, თბ., 1974.

ს. ყაუხჩიშვილი, 1955 - ს. ყაუხჩიშვილი, "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ტ. I, თბ., 1955.

ს. ყაუხჩიშვილი, 1964 - ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964.

თ. ჩხეიძე, 1979 - თ. ჩხეიძე, აღზრდის ინსტიტუტი სასანურ ირანში, თბ., 1979.

Tarikhe amuzesh va parvaresh eslam va Iran. Tehran, 1386 (2007).

MANANA KVACHADZE

ON THE EDUCATIONAL TRADITIONS: EDUCATION AND UPBRINGING IN GEORGIA (An attempt of typological analysis)

The old world tradition attached special importance to the issue of education and upbringing. The institute of upbringing was organically connected with the social system in a country. It was strictly established and was conditioned by State interests.

The upbringing institute existed since ancient times. This can be clearly illustrated on the example of ancient countries of the East (China, India, Mesopotamia, Egypt, Persia etc.) as well as antic states (Greece and Rome). In these countries education and upbringing was viewed as a targeted and well-organized process.

Ancient Georgia occupied one of the leading positions with regard to education and upbringing. Georgian sources referring to the period and later feudal epochs provide scarce, yet interesting materials with regard to education and upbringing.

It should be noted that the educational system of the ancient world involved both physical training and military-sportive preparation, and theological and secular education.

There is considerable information on the upbringing of princes or children of aristocratic families. Special attention should be paid to the tradition of sending children away to the families of nannies, the principle of division into age-groups, methods of group teaching, teacher-student relationships. The "line of women" in the system of upbringing is of special importance.

The materials on the education traditions of the ancient world draw an interesting picture with regard to typological analysis and cultural relations. This is a broad problem, embracing a whole range of issues in general, especially with regard to Georgia.

Georgians had long-standing relations with their neighbours and the trace of these contacts also influenced the cultural heritage. Naturally, numerous common factors appear in the lives of Georgia and its neighbours, and the system of upbringing is no exception. In this context, Georgia appears as an organic part of old civilized world. The country had always retained its uniqueness, based on its own conditions and necessities; envisaging its unique traditions and interests, Georgia elaborated and created the system of upbringing and education in general.

ციური ლაფაჩი

ჯავახიშვილი
(ლიტერატურული წარსული და მემკვიდრეული ანგარიშ)

ჯავახეთი უძველესი ქართული მხარეა მცირე კავკასიონის მთიანეთში. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მისი სახელი ძვ. წ. VIII ს-დან განუწყვეტლივ მეორდება, იქნება ეს ლურსმული წარწერების ზაბახა, I-II სს. მცხეთის ჯავახ ბიტიანში, XIII ს-ის მონეტაზე მოხსენიებული ჯავახთუფალი, თუ მომდევნო პერიოდის სახელგანთქმული საგვარეულო ჯავახიშვილებისა.

მხარის უმეტესი ნაწილი მაღალმთიან ზეგანს უკავია, რომლის აბსოლუტური სიმაღლეები 2250 მ-მდეა. ზამთარი აქ უფრო ცივი იცის, ვიდრე კავკასიონის იმავე აბსოლუტური სიმაღლის მქონე ადგილებში, თოვლის საბურველის ხანგრძლივობა 4-5 თვეა (ლ. მარუაშვილი, 1970, გვ.103). იენისვიც კი, ფარავნის ტბასთან მოსულმა წმ.ნინომ ნახა, რომ ჯავახეთის მთები "დღეთა მათ ზაფხულისათა იყვნენ სავსენი თოვლითა" (ს. ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 85). მკვეთრი კონტრასტია მტკვრისა და მის შემდინარეთა ხეობებში: აქ სიმაღლე საგრძნობლად ეცემა, მატულობს ტემპერატურაც, ეს ხეობები უმეტესწილად კლდოვანია და ხანმოკლე მზიანობის დროსაც კი საკმაოდ ცხელი. ამიტომაც ჯავახური სოფლების ბაღები სულ ასეთ ხეებშია, სადაც ძველთაგანვე გამოუყენებიათ ტერასული მეურნეობა, მიწათმოქმედების მაღალკულტურული ფორმა.

ბუნებრივი პირობების კარნახით, მეურნეობის ძირითადი დარგი ოდითაგანვე მესაქონლეობა იყო. ოქტომბრიდან მაისამდე საქონელი ბაგურ კვებაზე ჰყავდათ, მერე კი — საძოვრებზე.

ცნობილია ლექსი, რომელსაც თქმულება ახლავს: მეფე ერეკლეს ჯავახეთზე გამოუვლია თავისი ჯარით, რომლის დასაპურებლად საძოვარზე მყოფი საქონლის ყიდვა დაუპირებია. მწყემსს საქონლის გაყიდვაზე უარი უთქვამს, უსასყიდლოდ გამასპინძლებია ყველას, მეფემ მას აზნაურობა უბოძა, მწყემსს უფიქრია, ნეტავი ერთი მთა მომცა, უკეთესი იქნებოდაო და მოახსენა:

"მეფეო, მწყემსის ცხოვრება სუყველამ იცის მთა არის,

შვიდი ათასი ცხვარი მყავს, ექვსი ათასი თხა არის,

შვიდასი ძროხა მეწველი, ხარი-კამეჩი სხვა არის,

მე ესე სარჩო მეყოფის, აზნაურობა რა არის!"

ერეკლე მიუხვდა მწყემსს და მდივანს უბრძანა სიგელში ასე ჩაეწერა:

"ჯავახი არის ბრიყვობსო, ეს მთაც მსგავსი იყოსო" (ხალხური

პოეზია, 1976).

ჯავახეთის საძოვრებს ქართლ-კახეთის მოსახლეობა ძველთაგანვე იყენებდა თავისი ჯოგებისა და ფარებისათვის. სწორედ მცხეთის შემოგარენს უმასპინძლეს ქართლელმა მწყემსებმა წმ. ნინოს IV საუკუნეში ფარავნის ტბასთან. ამ ტბასთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავდა:

"ზაფხულს დღების გარემოს მაისს მრავალნი არგენი, ჯოგნი, მროწლესი... ზვასტანგი ქართლისა და კახეთისანი" (ვახუშტი, 1944, გვ. 131). ამიტომ იყო, რომ გეოგრაფიულად ჯავახეთში მყოფი ტბა დი მისი სოფლები ქართლში შედიოდა და თრიალეთის ნაწილად ითვლებოდა. იგი იმდენად აუცილებელი იყო აღმ. საქართველოს მესაქონლეობისათვის, რომ მაშინაც კი, როცა სამცხე-ჯავახეთი ოსმალებს ეპყრათ, მწყემსები იძულებულნი იყვნენ თავიანთი საქონლით სხვა სახელმწიფოში გადასულიყვნენ და იქ გაეტარებინათ ზაფხული. მესაქონლეობასთანაა დაკავშირებული ჯავახური ტოპონიმების მთელი წყება და სოფლის სახელებიც: აზავრეთი (ხარი, რომელსაც ტვირთს გადაჰკიდებდნენ), სათხე, ბატკანა, ღორმაკე, გომნი და სხვა. ჯავახეთში ქართველ მეცხვარეებს ახლაც დიდი ფარები დაუდით. ამ უძველეს ტრადიციას ადასტურებს ყორღანები, მესაქონლე ტომთა ბელადების საფლავები ძვ.წ. III ათასწლეულიდან, ჯგუფურად ან ცალცალკე განლაგებულნი. მათ გვერდით ქრისტიანული სამარხებიცაა: ქვაყუთები, ქვის ვერძები. ე.ი. ძველი და ახალი მესაქონლეები ერთ საძოვარზე იმარხებოდნენ... (ს. მაკალათია, 1938, გვ. 75).

მესაქონლეობის შემდეგ, უმნიშვნელოვანესი იყო ჯავახეთის მემინდვრეობა. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია, ისლი. საშემოდგომო ხორბალი კარგ მოსავალს იძლეოდა, რომელსაც მეტი ბზე რჩებოდა საქონლის საკვებად. ხშირად მიმართავდნენ პატივით მიწის განოყიერებას ("ნაფუზარი"), რაზედაც თესავდნენ ქერსა და საგაზაფხულო ხორბალს. XII ს-ის ერთ საბუთში ჯავახეთის სოფ. ქარცებიდან ბოლნისში ჩატანილ ხორბალზეა საუბარი. XVIII ს-შიც ოსმალთა ხელში მყოფი ჯავახეთიდან ხორბალი ქართლში ჩამოჰქონდათ (ნ. ბერძენიშვილი, 1985, გვ. 73).

"მე ჯავახეთს რა მიჭირდა, მთვარე იღვა მზესავითა, კალმახი და ქერის პური, წინ მეყარა ბზესავითაო", ნათქვამია ერთ ხალხურ ლექსში.

თევზის ასეთი სიჭარბე იქაურ ტბებსა და მდინარეებში ძველთაგანვეა შენიშნული: წმ. ნინოს ფარავნის ტბაზე ყოფნისას, პირველ რიგში, თევზით უმასპინძლეს, რადგანაც მან ითხოვა "საზრდელი მეთევზურთაგან და განძლიერდა ძალითა მათ საზრდელისათა" (ს. ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 86). ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, ჯავახეთშივე "ტბა კარწახისა არს დიდი აღვსილი თევზითა, უმეტეს კალმახთა ფრიად გემოანითა", ასევე "არს ტბა სადამოსი, დიდი და აღვსილი თევზითა გემოანითა, ამისათვის, რამეთუ არს ანკარა და ქვიანი" (ვახუშტი, 1944, გვ. 129-130)

მეთურნეობის ზემოხსენებულ დარგებს არც ახლა დაუკარგავს თავისი დიდი მნიშვნელობა.

წერილობით ძეგლებში ჯავახეთი პირველად იხსენიება ურარტუს მეფე არგიშთი I-ის წარწერაში ძვ.წ. 785 წელს იქ ზაბახა (ჯავახეთი) ივულისხმება ჩილდირის ტბის დასავლეთით, დაახლოებით კოლა-არტანის ტერიტორიაზე. შემდგომში იგი ჩრდილო-აღმოსავლეთითაც გავრცელებულა (ნ. ბერძენიშვილი, 1970, გვ. 376-377).

ქართული წყაროებიდან პირველია ლეონტი მროველი, რომლის მონათხრობის მიხედვით, ქართველთა მამამთავრის - ქართლოსის ძემ, მცხეთოსმა, თავის შვილს - ჯავახოსს მისცა ქვეყანა ფარავნიდან მტკვრის სათავემდე. "და ამან ჯავახოსს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქი: წუნდა და ქალაქი არტაანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ქვიან ჰური" ("ქართლის ცხოვრება" IV, 1973, გვ. 10). ფარნავაზის მიერ ერისთავთა განწესებისას, მეფემ "მეხუთე გაგზავნა წუნდას ერისთავად და მისცა ფარავნითაგან ვიდრე თავამდე მტკუარისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტაანი" (ვახუშტი, 1941, გვ. 120). ამ ცნობიდან ჩანს, რომ უძველესი ჯავახეთის შემადგენლობაში იყო კოლა-არტაანი და საერისთავოს ცენტრი იყო წუნდა, ჯავახეთის უმნიშვნელოვანესი ქალაქი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ლეონტი მროველისავე აზრით, ჯავახეთის უძველესი ციხე-ქალაქია ხერთვისიც, რომელიც თითქოს ალექსანდრე მაკედონელს უნახავს "ქუეყანასა ქართლისასა" წუნდის ოძრხის და სხვათა გვერდით. სომხურ წყაროთაგან, ჯავახეთს ქართლის შემადგენლობაში ასახელებდნენ მოსე ხორენელი და ძვ. სომხური გეოგრაფია. ეს უკანასკნელი გამოყოფს "ზემო ჯავახეთს", ე.ი. ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონებს. ივლინსძემბა, რომ "ქვემო ჯავახეთში შედიოდა მტკვრის კანიონისა და მისი მარცხენა სანაპიროს ტერიტორია (ნ. ბერძენიშვილი, 1985, გვ. 75-76).

არაბთა მიერ VII ს-ში დაპყრობილ ქართლის მხარეთა შორის, არსებული წყაროები მოიხსენიებენ ჯავახეთსაც. მიუხედავად არაბთა გაბატონებისა, ჯავახეთში მაინც ყოფილა პირობები ახალ ეკლესიათა მშენებლობისა: VIII ს-ის შუა წლებამდეა აგებული კვარშის, მირავის საროს, ალანძის, ხვილიშისა და სხვა დარბაზული ეკლესიები, რომლებიც ქართული კლასიკური ხუროთმოძღვრების ძველ ტრადიციებს აგრძელებენ" (ჯავახეთი, 2000, გვ. 95).

IX ს-ში გვარამ მამფალმა არაბებს წაართვა ჯავახეთი მეზობელ მხარეებთან ერთად, შემდგომში კი მას ქართველ ბაგრატიონთა უფროსი შტო გაუბატონდა. მომდევნო საუკუნეებშიც საქართველოს მეფეთა დაინტერესება ჯავახეთით სრულიად ამკარაა: ქვეყნის გაერთიანება არ ხერხდებოდა, ვიდრე ეს მნიშვნელოვანი მხარე სამეფო საკუთრებად არ იქცეოდა. ამას აპირობებდა აქ გავლილი ცენტრალური გზების სიხშირე, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ერთმანეთთან მოხერხებულად აკავშირებდა.

ქართველი მეფეები ჯავახეთს თავისი ერთგული ერისთავების მეშვეობით განაგებდნენ, ხოლო მცხეთის სვეტიცხოველს იქ თავისი საკუთარი სოფლებიც ჰქონდა. საქართველოს კათალიკოსთა მიერ აგებულ ეკლესიებს მათივე წარწერები ახლავთ.

X ს-დან იწყება ახალქალაქის დაწინაურება, რომელიც ჯავახეთის ახალ ადმინისტრაციულ ცენტრად გადაიქცა საქართველოს მეფეთა ინიციატივით. "ქართლის ცხოვრება" და მისი სომხური თარგმანი ბაგრატ IV-ს მიაწერს ახალქალაქის ზღუდეთა მშენებლობას. ეს იყო საკვანძო პუნქტი, ზემო ჯავახეთის ცენტრში ძირითად მაგისტრალებს რომ აკონტროლებდა.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, გაერთიანებული საქართველოს მეფეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ბიზანტიისა და სხვა

მეზობელი მხარეებისაკენ აქ გამავალ გზებს. ამის მოწმობაა ჯავახეთში აგებული ქარვასლები, ხიდები, საზაფხულო სამეფო სადგომები. ამ დროს აიგო საქვეყნოდ ცნობილი სამეფო მონასტრები ვარძიისა და ვანის ქვაბებში, წარმოიშვა ახალი დაბა-ქალაქები - ბარალეთი, გოკია, ალასტანი. ჯავახეთის სრული აყვავება, მისი პოტენციალის ბოლომდე გამოვლენა-გამოყენება, მხოლოდ გაერთიანებული, ძლიერი საქართველოს პირობებში მოხერხდა. მაშინ ცენტრალური ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური აქცენტები, დასავლეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ მიმართული, ჯავახეთზე გავლით ხორციელდება. ბასიანის ომის წინ საქართველოს მესვეურებმა "მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსით დარუბანდამდისა და შეკრიბეს ჯავახეთს და მოვიდა თამარ ვარძიას, ვარძიის ღვთისმშობლისა წინაშე... და დროშა სვიანი და ბედნიერად მყოფი გაგზავნა ვარძიით" — წერს თამარის ისტორიკოსი (ნ. ბერძენიშვილი, 1985, გვ. 85).

ჯავახეთის გამორჩეულობა საქართველოს სხვა მხარეთა შორის, მისადმი ლაშა გიორგის დამოკიდებულების განსაკუთრებულობა, ხაზგასმულია ლაშას სახელით მოჭრილი ფულის ზედწერილში: "გიორგი მეფე, თამარის ძე, ჯავახთუფალი". ჯავახეთი საუფლისწულო გახდა (ნ. ბერძენიშვილი, 1964, გვ. 145).

XV საუკუნიდან ათბაგები ეპატრონებიან ჯავახეთს, შემდგომში იქ გაჩაღებული შინაომიანობით კარგად სარგებლობს ოსმალეთი და XVI ს-ის ბოლოს ჯავახეთი, სამხრეთ საქართველოსთან ერთად, ოსმალთა იმპერიაში აღმოჩნდა. დაიწყო ოსმალთა მიერ ძირძველი, ქართული ქრისტიანული მხარის გამაჰმადიანების საუკუნოვანი პროცესი.

ქრისტიანობამ საქართველოში, ტრადიციის მიხედვით, ჯავახეთის გზებით შემოაღწია: ჯერ იყო, წმ. ნინომ გაიარა იგი ფარავნიდან სამცხემდე, შემდეგ კი, ლეონტი მროველის მიხედვით, ბერძენთა მეფე კონსტანტინეს მიერ გამოგზავნილმა მოციქულმა და იოანე ეპისკოპოსმა გადასერეს იგი, ერუშეთსა და მანგლის-მცხეთას წამოსულებმა. იოანე ეპისკოპოსი ერუშეთიდან "წამოვიდა და დაუტოვა წუნდას ხურონი და განძი და, რაეამს ეწყო ოდენ ეკლესიასა, წამოვიდა და მოვიდა მანგლისს". ვახტანგ გორგასალს დაუსვამს პირველი ეპისკოპოსი "ჯავახეთში წუნდას". საეპისკოპოსოში აქ იგულისხმება მის მახლობლად მდებარე კუმურდოს საეპისკოპოსო ტაძარი. მართლაც, 506 წ. საეკლესიო კრების მონაწილე ქართველ ეპისკოპოსთა სიაში, იხსენიებიან კუმურდოსა და წყაროსთავის ეპისკოპოსები. წყაროსთავის ეკლესია ჯავახეთში აუშენებია ვახტანგ გორგასალის ძეს მირდატს ("ქართლის ცხოვრება" II, 1959, გვ. 364).

კუმურდოელი ეპისკოპოსის სამწყსო ზემო ჯავახეთი იყო, წყაროსთაველისა - არტაანის ნახევარი და პოლაკაციო, ქვემო ჯავახეთის სოფლები კი საკათალიკოსო სახასო სამწყსოს და ვარძიის სამწყსოს წარმოადგენდა. მცხეთის, კუმურდოსა და ვარძიის ტაძრებს საკუთარი სოფლები და ყმა-მამული გააჩნდათ (ნ. ბერძენიშვილი, 1985, გვ. 85).

XVII ს-დან გამაჰმადიანების გზაზე შემდგარ ახალციხის საფაშოში ქრისტიანობა თანდათან მოიშალა. XVIII ს-ის შუა წლებში "უმეტესადრე

მოხობრდებოდნენ ეკლესიანი... მოისპობოდნენ ეპისკოპოსნი, თუ სადმე იყო, მონაზონნი და მწყემსნი და შეიქმნა სრულიად მაჰმადიანობა"-ო, წერს ვახუშტი ბატონიშვილი ("ქართლის ცხოვრება" IV, გვ. 728-729).

ჯავახეთის უძველესი მოსახლეობის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის არქეოლოგიური ძეგლები და ტოპონიმია. აქედან ჩანს, რომ იგი ძველი დროიდანვე შემოდიდა როგორც დასავლეთქართული, ასევე აღმოსავლეთქართული ტომების სფეროში.

ჯავახეთის ტოპონიმების უდიდესი ნაწილი, ცხადია, ქართულია, მაგრამ "ქართლის ცხოვრებაში" არის ცნობა, ჯავახეთში არსებული მოსახლეობის ერთი ჯგუფის შემოსვლაზეც. ლეონტი მროველის მიხედვით, I ს-ში წუნდაში ჩაუსახლებიათ "კაცინი მხეცნი ნათესავნი დევთანი". "ქართლის ცხოვრების" სომხური თარგმანი მათ უწოდებს "ეშმაკებრ მეტყველ კაცებს", ამის გამო წუნდას ჯახების ანუ დევების სახელი შეერქვა. აქ იგულისხმება ძველი აღმოსავლეთის მოსახლეობის რომელიღაც ტალღა. საქართველოს განაპირა მხარეში ეს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო (შდრ., "ქაჯის ციხე" ჩილდირის ტბასთან) (ს. ჯანაშია, 1952, გვ. 12).

უძველესი წარწერებიც ჯავახეთში სულ ქართულია, რაც უდავო მოწმობაა ქართული ქრისტიანობის აქ ადრიდანვე გავრცელებისა. ჯავახეთში დამოწმებული აღმ. საქართველოში ცნობილი ტოპონიმები ამ მხარეთა მჭიდრო ურთიერთობისა და მოსახლეობის ურთიერთშემღწევაზე მეტყველებს: ხანდო, ოკამი, არაგვა, მეღვრეკისი, ფოკა, კარწახი...

XIV ს-ში, როდესაც მესხეთს მაჰმადიანური სამთავროები თანდათან იმორჩილებდნენ, ჯავახეთისაკენ წამოვიდა სომხური მოსახლეობის ნაკადი. წუნდისა და თმოგვის სიახლოვეს გაჩნდა მათი პირველი დასახლებანი. საფლავებზე შემორჩენილი უძველესი სომხური წარწერების თარიღები 1356-1425 წლებს შორის თავსდება (შ. ლომსაძე, 1975, გვ. 336).

ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდგომი დაიწყო ჯავახეთის მოსახლეობის თანდათანობითი გათურქება. თავდაპირველად ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილმა აღმ. საქართველოს მიაშურა, მერე პოლიტიკური ვითარების გაუარესებისას, ისევ უკან გაბრუნდა (შ. ლომსაძე, 1975, გვ. 337).

1775 წელს, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევების შემდგომ ქვემო ქართლის თურმანული ელემების ერთი ნაწილი ახალციხის საფაშოში გადავიდა. XIX ს-ის დასაწყისში მათი ოჯახები ცხოვრობდნენ ხერთვისის სანჯაყის სოფ. ბალხოში. მომდევნო ათწლეულში ქვემო ქართლიდან თარაქამების მეორე ჯგუფი წავიდა, რომელთა უმრავლესობა ახალქალაქის გარშემო დასახლდა. 1831 წ. მათი ნაწილი იქიდან ნიალის ველზე გადასახლეს.

ჯავახეთში მტკვრის ხეობის სოფ. ჭოლთაში უცხოვრიათ მომთაბარე ქურთებსაც, ისინი ვერენის სახანოდან სამოვარზე წამოსულ ცხვრის ფარებს შემოჰყვნენ.

ახალციხის საფაშოს რუსეთის იმპერიაში შემოერთების შემდგომ, 1830-იან წლებში, ერზრუმის მხრიდან ჯავახეთს მოაშურეს სომხებმა

6000 ოჯახის შემადგენლობით და დიკავეს ახალქალაქის მაზრის სოფლები. 1840-იან წლებში კი რუსეთის მთავრობამ ჯავახეთში გადმოასახლა დუხობორები ტავრიის და ვორონეის გუბერნიებიდან.

1872 წელს დუხობორების 8 სოფელი განლაგებული იყო ჯავახეთის აღმოსავლეთ ნაწილში, სომხები ცხოვრობდნენ - 45 სოფელში, ქართველები - 4 სოფელში, თურქულენოვნები - 17 სოფელში, ძირითადად მხარის სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე; მათთანვე იყვნენ მცირერიცხოვანი ქურთებიც (შ. ლომსაძე, 1975, გვ. 472).

1886 წელს ახალქალაქის მაზრაში სახელმწიფო გლეხების კომლობრივ რაოდენობაში ქართველები შეადგენდნენ 9,01%, ქართველი სუნიტები - 4,4 %, მართლმადიდებლები - 4,3 %, კათოლიკები - 0,3 % (ვ. ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 34-35).

ასე იყო XIX საუკუნეში, შემდგომში დემოგრაფიული ვითარება იქ საგრძნობლად შეიცვალა, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, როგორც ვ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან შუა აზიის რესპუბლიკებში გამაჰმადიანებული მოსახლეობის გასახლება გახდა, რომლის ძირითად ნაწილს მაჰმადიანი ქართველები შეადგენდნენ. ამასთანავე, აღნიშნავს მკვლევარი - ჯავახეთში მწვავე დემოგრაფიულ ვითარებას ორი უმთავრესი ფაქტორი განაპირობებს - ქართველების სიმცირე და ისედაც მცირერიცხოვანი ქართველების ინტენსიური მიგრაცია, რაც საბოლოოდ მძიმე, ყურადსაღებ სურათს ქმნის (ვ. ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 32).

ამ მხრივ არც XXI საუკუნის დასაწყისში შეცვლილა რამე... პრობლემა გაიზარდა, მხოლოდ ჯავახეთის ძირძველი ქართული მიწა კი არა, თითქმის მთელი საქართველო მოიცვა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მთელი ძალით გაიშალა ბრძოლა ქართველი ხალხისადმი უსაფუძვლო ბრალდებებით, რასაც ქართველი ისტორიკოსები მეცნიერული სიზუსტით პასუხობენ, მაგრამ უშედეგოდ...

უშედეგოდ იმიტომაც, რომ ელვისებურად, მიზანმიმართულად ვითარდება ჯავახეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ეკლესია-მონასტრების დაზიანებისა და გადაკეთების ფაქტები. თუ აქამდე სომეხი ეროვნების მოსახლეობის ერთი ნაწილი იმითი კმაყოფილებოდა, რომ ანგრევდნენ ან ჩხენდნენ და ჭრიდნენ ქართულ ჩუქურთმებსა და წარწერებს, ახლა ამას დაემატა პერანგუმეოცილი ეკლესიების "გაწყობა" ტუფის კვადრებით და დაზიანებული ეკლესია-მონასტრების კედლების ცემენტის ხსნარით უხეშად შელესვა, თაღებისა და სახურავების დაბეტონება. ეს პროცესი თანათთან ღრმავდება და დანაშაულებრივ ფორმას იღებს. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული ძეგლების ინსპექტირების დროს, 2008 წელს, კვლავ ახალი დაზიანებული ძეგლები აღირიცხა, მათ შორის: ჯიგრაგენის, სირგვის, სირგვის ამალეების ჭვრის, მერენის წყაროსთავის, ხანდოს, ხიდისჯვრის და სხვა.

დამეთანხმებით, რომ ამ შეუქცევადი პროცესების მართვა და რეგულირება, მხოლოდ გონივრულ სახელმწიფოებრივ ჩარევას მოითხოვს და რაც შეიძლება ჩქარა.

დამოწმებული ლიტერატურა

- ნ. ბერძენიშვილი, 1964 - ნ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1964.
- ნ. ბერძენიშვილი, 1985 - ნ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985.
- ვახუშტი, 1941 - ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
- ვახუშტი, 1944 - ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1944.
- შ. ლომსაძე, 1975, - შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.
- ვ. ლორთქიფანიძე, 1994 - ვ. ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთი, XIX-XX სს. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1994.
- ს. მაკალათია, 1938 - ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938.
- ლ. მარუაშვილი, 1970 - ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ტ., II, 1970.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970.
- "ქართლის ცხოვრება", ტ, II, თბ., 1959.
- "ქართლის ცხოვრება", ტ, IV, თბ., 1973.
- ქართული ხალხური პოეზია, V, თბ., 1976.
- ს. ყაუხჩიშვილი, 1955 - "ქართლის ცხოვრება", ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ, I, თბ., 1955.
- ჯავახეთი I, თბ., გზამკვლევი, 2000.
- ს. ჯანაშია, 1952 - ს. ჯანაშია, აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის, შრომები, II, თბ., 1952.

TSIURI LAPACHI

JAVAKHETI

(Glorious past and painful present)

Javakheti is the oldest historical region in the highland of the Small Caucasus Range. In our country's history its name is continually recurrent through centuries: the term "Zabakha"-meaning Javakheti- is mentioned in the cuneiform inscriptions dated back to the 7th c. B.C., "Javakh-Pitiakhshi"-the ruler of Mtskheta-in the I-II cc., on the coins minted in the 13th c. there is the name of "Javakhtupali"-the sovereign of Javakheti;

According to the ancient written sources it is obvious that Kola-Artaani was the part of Javakheti, and the centre of "Saeristao", (principality) was Tsunda, the most important city of Javakheti, located on the right bank of the Mtkvari River, where Vakhtang Gorgasali appointed the first bishop in the 5th c. And in the list of the ecclesiastical council held in 506s., among the other Georgian bishops, the bishops of Kumurdo and Tskarostavi also are mentioned.

For a certain period Javakheti was occupied by Arabs, but still the building of churches was going on: Sirgvi, Alandza, Khvilisha...

In the 8th c. Guaram Mampal liberated Javakheti from Arabs and the senior branch of Georgian Bagratians had dominion over Javakheti.

From the 10th c. the importance of Akhalkalaki increased and it turned into a new administrative centre by the initiative of Georgian Kings.

In the 15th c. when Moslems were gradually subordinating Armenians, Armenian population moved to Javakheti and settled on the areas of Tmogvi and Tsunda. Besides the Armenians, Javakheti was also settled by Turkmen tribes-"Elebi" and nomadic Kurds. In 1830s. Russian authorities resettled 6000 Armenian families from Erzurum province, and in 1840s.-Duhobors from Tavria and Voronezh provinces.

This is the clear picture of the existing situation in the 19th c. Then the demographic situation was completely changed here not in favour of Georgian people. This process is still going on: the historical monuments and the trace of Georgian culture are being destroyed and damaged. The settlement of this problem requires the reasonable intervention on the state level.

გენალი მახარაძე

ქართული ნიშნის და პრესა აჭარაში

ოსმალთა მმართველობის პერიოდში ბათუმის ოლქი მოკლებული იყო პრესას და წიგნის ბეჭდვის სიკეთეს. მხოლოდ მშობლიურ კერაზე დაბრუნების შემდეგ გახდა შესაძლებელი აქ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემის და, საერთოდ, საგამომცემლო საქმის ორგანიზება.

პირველი სტამბა ბათუმში აშუშავდა 1879 წ.¹ და იარსება 1921 წლამდე. მისი ორგანიზატორი იყო ცნობილი პოლიგრაფისტი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მახარაძე,² რომელიც თბილისიდან ჩამოვიდა. უკვე მომდევნო წლიდან, გვიანდელი გამოცემების მიხედვით, იგი "ტიპო-ლითოგრაფიის ფირმად" გადაკეთდა.

ალ. მახარაძის სტამბა ბეჭდავდა განცხადებებს და ბლანკებს, ამზადებდა კონვერტებს, ღია ბარათებს, ასრულებდა სხვა ინდივიდუალურ დაკვეთებს ქართულ, რუსულ, სომხურ, ფრანგულ და სხვა ენებზე. 1882 წლის 1 ივნისიდან დაიწყო რუსულ ენაზე ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთის "ბათუმსკი ლისტოკ"-ის გამოცემა,³ რომელიც აჭარაში იყო პირველი გაზეთი. "ჩვენი გაზეთის პროგრამა, - აღნიშნავდა ალ. მახარაძე სარედაქციო განცხადებაში, - ძალიან ნათელია და მოკლე: მოვემსახურებით ადგილობრივ საჭიროებებს, ინტერესებს და სურვილებს".⁴

სტამბამ 1884 წ. აგვისტოში დაბეჭდა "**Уставъ батумскаго благотворительнаго общества**",⁵ რომელიც აჭარაში იყო პირველი ნაბეჭდი წიგნი.⁶

1889 წ. ალ. მახარაძის სტამბაში დაიბეჭდა აჭარაში პირველი ქართული წიგნი. ეს იყო მღვდლის შვილის გერასიმე თევზაძის მიერ შედგენილი "ახალი სახალხო ლექსები სედლოზედ, სალდათობაზედ და ჯიბის ფულზედ".⁷ გაზ. "კვალი" წერდა: "სმენა რომ იყოს, მაშინ განვლილ დროთა ჩვენთა მამა-პაპათა ძვალნი სამარეშიაც კი უნდა შეიძინენ სიხარულით,

¹ ამხვ, ფ. 5, ან. 1, ს. 173, ფურც. 1; იქვე, ს. 148, ფურც. 7; გაზ. "წითელი მბეჭდავი" (აჭარის პოლიგრაფთა ერთდღიანი საიუბილეო გაზეთი ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე), ბათ., 1923.

² ალ. მახარაძე 1886 წლიდან (13 წლის ასაკში) ეუფლებოდა ტიპოგრაფიულ საქმეს. 1879 წლის დამდეგს საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში და იმავე წელს აქ მოაწყო კერძო სტამბა. მისი ავადმყოფობის (1895 წ.) და გარდაცვალების (1899 წ.) გამო სტამბას უძღვებოდნენ ჯერ შეუღლე ეფემია, შემდეგ კი შვილი ალექსანდრე მახარაძე.

³ გაზეთის პირველი 20 ნომერი დაცულია რუსეთის სალიტკოვ-შჩედრინის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (სანკტ-პეტერბურგი).

⁴ Газ. «Батумский листок», 1.06. 1882.

⁵ ერთი ეგზემპლარი დაცულია საქართველოს სახელმწიფო არქივის ბიბლიოთეკაში.

⁶ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ცნობით, პირველი წიგნი აქ დაიბეჭდა 1889 წელს (იხ. "საქართველოს ისტ.", გვ. 332), რაც არ დასტურდება.

⁷ ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი ინახება სანკტ-პეტერბურგში სალიტკოვ-შჩედრინის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (საინვენტარო №6645).

რომ დღეს მათ ნატვრას - ქართულ სიტყვიერებას - კვალათ მიეცა აღორძინება; ვიტყვი, რომ ძველათ, ოსმალთაგან უწყალოთ დახოცილთ და წამებულთ ქართველთა მამათა ნატვრა აღსრულდა, მათი ცრემლი და სისხლი უბრალოთ არ დაინთხა, მათი ტანჯვა და წამება დროთა და ჟამთა ვითარებამ შეიწყნარა და სადაც გუშინწინ ქართველთა ხსენება და ენა ფერფლათ ქცევას და პირქვე დამარხვას ეძლეოდა, დღეს იქ ჟამთა ვითარების მეოხებით, ქართული სტამბის ჩარხი ტრიალებს და ქართული წიგნები იბეჭდება".⁸

ცნობილია ამ სტამბიდან ქართულ ენაზე გამოსული 12 დასახელების წიგნი ქართულ (12) და რუსულ (14) ენებზე, აგრეთვე ქართულ ენაზე იბეჭდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების გაზეთები: "ბათუმის გაზეთი" (1911 წ. 15 ივლისი)⁹, "ტალა" (1917 წ.), "მუშის სიმართლე" (1918 წ.).

1886 წ. ბათუმში გაიხსნა მეორე სტამბა, რომლის მეპატრონე იყო პ. ა. ლობკო. სტამბა ღებულობდა ყოველგვარ დაკვეთას, კერძოდ, ბეჭდავდა რუსულ ენაზე წიგნებსა და გაზეთებს, აფიშებს, პრესკურანტებს, ბლანკებს და ა.შ.

1887-1888 წლების მიჯნაზე პ. ა. ლობკოს სტამბა გადავიდა ფ. ფ. კრიშტოფოვიჩის საკუთრებაში. ახალმა მეპატრონემ გამოცვალა ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ, შეიძინა "ამერიკული კონსტრუქციის დიდი... სწრაფბეჭდავი მანქანა" თავისი "ახალი შრიფტით, მორთულობით და საჩამომსხმელოთი" და 1888 წ. 17 მარტს განაახლა მუშაობა.¹⁰ იგი განაგრძობდა რუსულ ენაზე წიგნებისა და გაზეთების გამოცემას.

1893 წ. იანვრის შუა რიცხვებში ფ. კრიშტოფოვიჩის სტამბა შეიძინა ნ. პ. გურსკაიამ, რომელმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა საქმიანობა. ჩვეულებრივი, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო შეკვეთების შესრულების გარდა, ბეჭდავდა სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურას. ცნობილია ამ სტამბის გამოცემული 30 დასახელების წიგნი ქართულ და რუსულ ენებზე; აგრეთვე, განაგრძობდა რუსულ ენაზე გაზეთების გამოცემას და ქართულ ენაზე "ქ. ბათუმის ექიმთა საზოგადოების ოქმები და შრომები"-ს ბეჭდვას.

1908 წ. ნ. პ. გურსკაიას სტამბა შეისყიდეს ნ. ი. ზვინგაიამ (იგი აქ მუშაობდა 1900 წლიდან) და მისმა მეგობარმა ვ. ი. ჩანტლაძემ.¹¹ 1912 წელს ეს უკანასკნელი მოკლეს და სტამბის ერთპიროვნული მფლობელი გახდა ნ. ზვინგაი, თუმცა, მომდევნო წელს ამ სტამბაში გამოშვებულ წიგნებზე მითითებულია "ნ. ი. ზვინგაი და კომპანია"! ამ შემთხვევაში სტამბის მესაკუთრეს ვილაც ჰყავდეს უნდა შეამხანაგებული. ყოველ შემთხვევაში, მომდევნო წლების გამოცემებზე, ნ. ი. ზვინგაისთან ერთად, სხვა კომპანიონი არ ჩანს. ახალმა მეპატრონემ გარდაქმნა სტამბის ტექნიკური აღჭურვილობა, შეცვალა მოძველებული შრიფტი, საბეჭდი მოწყობილობა,

⁸ გაზ. "კვალი", №31, 1896.

⁹ აქ და ქვემოთ მითითებულია გაზეთების მხოლოდ პირველი ნომრების გამოცემის თარიღები.

¹⁰ Газ. «Батум», 26. 02. 1889.

¹¹ ამხვ, ფ. 5, ან. 1, ს. 173, ფურც. 1.

1910 წლიდან დაიწყო ინტენსიური საქმიანობა და იარსება 1921 წლამდე. ძირითადად აქ იბეჭდებოდა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და მხატვრული ლიტერატურა. 1921 წლის მარტის დასაწყისში აქ დაიბეჭდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი — 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია; აგრეთვე, გამოიცა ნ. ბარათაშვილის ისტორიული პოემა “ზედი ქართლისა”, ვ. ჰიუგოს “მხიარული ცხოვრება” და სხვ. ცნობილია ამ სტამბიდან გამოსული 16 დასახელების წიგნი ქართულ (მათ შორის ერთი თარგმნილია ფრანგულიდან, ერთიც ჩინურიდან) და 12 სახელწოდების წიგნი რუსულ ენებზე, აგრეთვე ქართულ ენაზე გამომავალი გაზეთები: “ბათუმის მოამბე” (1911 წ. 7 მარტი), “ნმა” (1914 წ. 11 თებერვალი), “ბათუმის გაზეთი” (1911-1914 წწ.), “სამუსლიმანო საქართველო” (1919-1921 წწ.),¹² “მუშათა პრესის დღე” (1917 წ.) რამდენიმე ნომერი და ასევე გაზეთები რუსულ ენაზე.

1895-1900 წლებში ბათუმში აქტიურ საგამომცემლო საქმიანობას შეუდგა კ. თავართქილაძისა და ა. მიქელაიშვილის სტამბა. მასთან არსებობდა წიგნის მაღაზიაც.¹³ აქ დაიბეჭდა შ. რუსთაველის “ვეფხისტყაოსანი”, ე. ნინოშვილის თხზულება “ჩვენს ქვეყნის რაინდი”, თ. ხუსკივაძის საისტორიო მოთხრობა “ბატონიშვილი ეკატერინე”, მ. ლერმონტოვის “დემონის” მ. გურიელისეული თარგმანი, ფ. კოპპესის ერთმოქმედებიანი დრამა “შენდობის” ა. ნიკიტინისეული თარგმანი, ანდერსენის ზღაპრების (წიგნი პირველი და მეორე) ნ. ნაკაშიძისეული თარგმანი და სხვ. ცნობილია ამ სტამბის მიერ გამოცემულია 33 დასახელების წიგნი ქართულ (29) და რუსულ (4) ენებზე.

1900 წ. ბათუმში ამოქმედდა “ძმები თავართქილაძეების” სტამბა, რომელიც 1904 წლამდე ბეჭდავდა წიგნებს, ჰქონდა წიგნის მაღაზიაც. აქ დაიბეჭდა ს. გუგუნიას საისტორიო პოემა “თამარიანის” მეოთხე გამოცემა, დ. ჭონჭაძის მოთხრობა “სურამის ციხის” მეოთხე გამოცემა და სხვ. ცნობილია ამ სტამბის მიერ გამოცემული 12 დასახელების წიგნი ქართულ ენაზე.

1900 წ. ბათუმში სტამბა გახსნეს გიორგი თავართქილაძემ, ბართლომე კილაძემ¹⁴ და მაქსიმე წულაძემ (ეს უკანასკნელი ექვსი თვის შემდეგ ჩამოშორდა საქმეს).¹⁵ 1909 წ. ბ. კილაძე გადადის თბილისში, ხოლო გ. თავართქილაძე მარტო საქმიანობდა ბათუმში 1921 წლამდე. 1905 წ. 6 მარტს ამხანაგობა პრესაში გამოვიდა განცხადებით: “მრავალი წლის გამოცდილებამ, ტიპოგრაფიის ხელოვნებაში სპეციალურმა ცოდნამ და საქმისადმი ჩვენმა ენერგიულმა დამოკიდებულებამ შესაძლებლობა მოგვცა თანდათანობით გავაფართოვოთ ჩვენ მიერ 1900 წ. დაარსებული სტამბა იმდენად, რომ დღეისათვის შეგვიძლია შევთავაზოთ ჩვენს პატივცემულ კლიენტებს ყოველივე ის, რასაც ჰქვია საბოლოო სიტყვა ბეჭდვითი

¹² იყო “სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის” ორგანო. რედაქცია (და სტამბა) ბოლოს მდებარეობდა მარინეს გამზირზე.

¹³ სტამბაც და წიგნის მაღაზიაც გახსნილი იყო მარინეს (დღეს მ. აბაშიძის) გამზირზე.

¹⁴ ბართლომე კილაძე ამხანაგობასთან ერთად ბათუმში წიგნის ცნობილი გამომცემელი იყო. დასაწყისში სტამბა ჰქონდათ დონდუკოვ-კორსაკოვის (დღეს გამსახურდიას) ქუჩაზე, 1905 წ. გადაიტანეს მარინეს გამზირზე კომერციული ბანკის შენობაში.

¹⁵ ამფ, ფ. 5, ან. 1, ს. 143/162, ფურც. 2; ს. 173, ფურც. 1.

საქმის ხელოვნებაში. ძალებისა და საშუალებების დაუზოგავად, რომ ღირსეულად გვეპასუხა ჩვენი კლიენტების სურვილებზე, აგრეთვე, საქმის მოხერხებულობისათვის. ჩვენ ამა წლის 1 იანვრიდან სტამბასთან გავხსენით წიგნის, საწერი ქალაქის, საკანცელარიო ნივთების მაღაზია. სტამბა უშვებს წიგნებს, ანგარიშებს, ცირკულიარებს, წერილების ბლანკებს, სავიზიტო და მისალოც ბარათებს, აგრეთვე, ასრულებს ყოველნაირ ტიპოგრაფიულ სამუშაოს რუსულ, ქართულ, სომხურ და ევროპულ ენებზე.¹⁶ ამ სტამბაში დაიბეჭდა დ. კლდიაშვილის მოთხრობების I და II ტომის მ. კალანდარიძისეული გამოცემა, სამხარეთმცოდნეო გვირგვინად იქცა მხარის დაბრუნების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული "ბატუმ ი ევო ოკრესტნოსტ", 1906 წელს გამოცემული, რომელსაც დღესაც არ დაუკარავს მეცნიერული ღირებულება და სხვ. ცნობილია ამ სტამბის გამოცემული 24 დასახელების წიგნი ქართულ და 55 დასახელებისა რუსულ ენებზე. ამის გარდა, სტამბაში სხვადასხვა ღრის იბეჭდებოდა გაზეთები რუსულ ენაზე.

1899-1902 წლებში ბათუმში მოქმედებდა ვერეიჩევისა და კამენმახერის სტამბა.¹⁷ აქვე არსებობდა სამხაზველო და სამეკინძო. გამოვლენილია ამ სტამბაში დაბეჭდილი 4 დასახელების წიგნი რუსულ ენაზე.

1902 წლის შუა რიცხვებში აღნიშნული სტამბა შეისყიდა ა. ვ. კულჩიკომ. იგი მას ფლობდა 1903 წ. დამლევამდე. დადგენილია მხოლოდ 2 წიგნის გამოცემა რუსულ ენაზე. შემდეგ სტამბა ხ. მ. შმაევსკიმ დაისაკუთრა. მის ხელში იგი მოქმედებდა 1921 წლამდე. ამ სტამბაში იბეჭდებოდა ქართული გაზეთები: "ბათუმის ფურცელი" (1920 წ.), "ბათუმის ცხოვრება" (1920-1921 წწ.); აგრეთვე, რუსულ ენაზე გამოცემული 41 დასახელების წიგნი და 10 დასახელების გაზეთიც.

900-იანი წლების დამდეგიდან მოქმედებდა ი. ბ. მინკინის სტამბა. ბათუმში იგი იყო პირველი, რომელიც ორთქლზე მუშაობდა. მას ჰქონდა უახლესი კონსტრუქციის 4 სწრაფმბეჭდავი მანქანა, საკუთარი სამკინძო, საგრაფიორო, შტამპებისა და ბეჭდების, აგრეთვე, ქალაქების, კონფერტების, მოსაწვევი და სავიზიტო ბარათების დასამზადებელი საამქრო საწყობითურთ. აქ გამოიცა ნ. ბარათაშვილის ლექსები, ი. ჭავჭავაძის პოემა "ეპიზოდები ყაჩაღის ცხოვრებიდან", ს. ჭელიძის "ჩანგური" და სხვ. დღეისათვის ცნობილია ამ სტამბაში 1904 წ. დაბეჭდილი 11 დასახელების წიგნი ქართულ და რუსულ ენებზე. აგრეთვე, იბეჭდებოდა გაზეთი რუსულ ენაზე. სტამბა, როგორც ჩანს, 1905 წლის შემოდგომამდე მოქმედებდა, რადგან სექტემბრის შემდეგ გაზეთებში მასზე ვეღარაფერს ვხვდებით. ქუთაისის გუბერნიის უანდარმერიის სამმართველოს ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწის 1905 წ. 29 იანვრის პატაკიდან ჩანს, რომ 25 იანვარს ი. ბ. მინკინის სტამბის მუშებს გაფიცვა მოუწყვიათ.¹⁸

არსებობს შწირი ცნობები ბათუმში არსებული სხვა სტამბების შესახებაც. გ. პუტკინის სტამბა-ლითოგრაფია, სადაც სრულდებოდა სხვადასხვა

¹⁶ Газ. «Черноморский вестник», 06.03. 1905.

¹⁷ მღებარეობდა სასტუმრო "ფრანცის" პირდაპირ, ბაბურიშვილის სახლში.

¹⁸ ამხვ, ფ. 89, ან. 1, ს. 28ა, ფურც. 55.

ქრომო-ლითოგრაფიული და საგრაფიურო სამუშაოები. ცნობილია აქ რუსულ ენაზე დაბეჭდილი 2 დასახელების წიგნი და ერთიც გაზეთი.

1918 წ. გ. პუტკინის სტამბის მფლობელი გახდა ნ. კარნაუხოვი და იგი ამუშავა 1921 წლამდე. ამ სტამბაში იბეჭდებოდა გაზეთები რუსულ ენაზე.

1905-1921 წლებში ბათუმში მუშაობდა დ. კაპელის სტამბა.¹⁹ ამ სტამბიდან გამოვიდა რუსულ ენაზე 27 დასახელების წიგნი, 2 დასახელების ჟურნალი, ერთი გაზეთი და სხვ.

1908 წლიდან ბათუმში რეგისტრირებულია ა. შარიპოვის სტამბა, რომელშიც იბეჭდებოდა რუსულ ენაზე 2 დასახელების გაზეთი და ერთიც ჟურნალი.

გვაქვს ცნობები ბათუმში მოქმედი ბერძნული სტამბების შესახებაც. აქ მუშაობდა ა. დიმიტრიადის "ბერძნული ტიპოგრაფია", რომლიდანაც ცნობილია 1911 წელს რუსულ ენაზე დაბეჭდილი მხოლოდ ერთი წიგნი. სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ნ. გალინოსის სტამბა, რომელშიც იბეჭდებოდა ბერძნულ ენაზე გაზეთი "ხავარგი". ეს სტამბა მუშაობდა 1921 წლის შემდეგაც. ბოლშევიკები ამ სტამბით ინტენსიურად სარგებლობდნენ ინგლისელთა ოკუპაციის წლებშიც. ინგლისელები დარწმუნებული იყვნენ, რომ "სტამბას არ ჰქონდა რუსული შრიფტი" და ამიტომ სერიოზულად არც გაუჩხრეციათ. ამის გამო ბოლშევიკები რუსულ ენაზე აქ შეუფერხებლად ბეჭდავდნენ თავიანთ პრაკულამაციებს (პ.კვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წ. 2, ბათ., 1962).

აღნიშნულის გარდა, ბათუმში არსებობდა სხვა სტამბებიც, რომლებიც ეკუთვნოდნენ ცალკეულ პირებს თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. 1904-1920 წლებში გამოცემული წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით დასტურდება მ. ნ. სუკოიანის, კ. გ. პაპამოსკის, "განათლების", კ. ნ. ნიკიტინის, "ბათუმის საურთიერო საზოგადოების ბანკის", "პორუჩიკ მიხაილოვის" სტამბები. ცნობილია ამ სტამბების გამოცემული 20 დასახელების წიგნი - ქართულ (14) და რუსულ (6) ენებზე. აქ იბეჭდებოდა გაზეთებიც.

ცხადია, გაოცებას იწვევს პატარა ქალაქ ბათუმში ამდენი სტამბის არსებობა, მით უმეტეს, რომ ბევრი ერთდროულად და ერთმანეთის გვერდით მოქმედებდა. სინამდვილეში გასაოცარი აქ არაფერია, თუ გავცნობთ ამ "საწარმოების" ტექნიკურ აღჭურვილობას ან შესაძლებლობას. ამ მხრივ კი ისინი დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მეტწილად ეს იყო პრიმიტიული, არსებითად ერთი ან სამი საბეჭდი მანქანით აღჭურვილი სტამბა, რომელსაც ემსახურებოდა ორიდან (უმეტეს შემთხვევაში ერთი თავად მუშაობდა) ექვს მუშამდე. ამასთან, აქ დასახელებული სტამბებიდან ზოგი სრულიადაც არ იყო დასაქმებული წიგნების ან ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვით. მათი დიდი ნაწილი უპირატესად საამკინძაო

¹⁹ 1905 წლიდან მდებარეობდა მიხაილოვის ქუჩაზე, სასტუმრო "ფრანციის" პირდაპირ, მისამართი უცვლელი იყო შემდეგ წლებშიც.

საქმით, აფიშების, მოსაწვევი ბარათების ბეჭდვით, აგრეთვე, შტამების, ბეჭდების, კარის გრავირებული დაფების თუ ემალირებული აბრების დამზადებით იყო დაკავებული. და მაინც, XX საუკუნის პირველ ოცეულში ბათუმში იყო რამდენიმე დიდი სტამბა, რომლებიც გამოირჩეოდა ტექნიკური აღჭურვილობით, გამოშვებული პროდუქციის სიჭარბით, დასაქმებულ მუშათა რაოდენობით, წარმოების კულტურით.

ყველა ამ სტამბამ დიდი კვალი დააჩნია ბათუმის კულტურულ ცხოვრებას. ისინი ბეჭდადნენ და ავრცელებდნენ იმ წიგნებსა და გაზეთებს, რომლებშიც თანამშრომლობდნენ ამ რეგიონის მკვიდრნიც და მშობლიური წერა-კითხვის სურნელი, სიტკბო და მაღლი შეჭქონდათ უცხოელთა ხანგრძლივი ბატონობითა და ძალად თავსმოხვეული უცხო რელიგიით დაბეჩავებულ ხალხში. გამოვლენილია ბათუმის სტამბებში ქართულ და რუსულ ენებზე დაბეჭდილი სამასზე მეტი დასახელების წიგნი, მათგან 116 ქართულ ენაზე. ბევრი ამ წიგნთაგან, განსაკუთრებით ეროვნულ-პატრიოტული შინაარსისა, საგანმანათლებლო მისიით მოვლენილმა პედაგოგებმა თუ მოგზაურებმა გაავრცელეს ბათუმის ოლქის სოფლებში, რითაც დიდი როლი შეასრულეს მოსახლეობის ეროვნულ გათვითცნობარებასა და ქართველი ხალხის ერთიანობის განმტკიცებაში.

ბათუმში წიგნებს გამოსცემდნენ ცალკეული ენთუზიასტებიც. ამ მხრივ აქტიურობდა 1911 წ. "ბათუმის გაზეთის" რედაქტორი, ცნობილი გამოცემელი სპარიღონ ჭელიძე. იგი ბეჭდავდა და საზოგადოებას აწვდიდა არა მარტო საკუთარი შემოქმედების ნიმუშებს (კრებულები "სატირული ლექსები", "სასიყვარულო ლექსები"), არამედ ქართველი (იროდიონ ევლოშვილი, კარლამ რუხაძე) და უცხოელი მწერლების ნაწარმოებებსაც (კრებული "ქანარი"). მანვე გამოსცა ნ. ბარათაშვილის ლექსების კრებული, აგრეთვე, პოლიტიკური და მეცნიერული ხასიათის ლიტერატურა, მათ შორის ვ. შარქისის "საქიოთა შრომა და კაპიტალი", ვ. ლიბკნეხტის "რა უნდათ სოციალ-დემოკრატებს", მ. კოვალევსკის "ოჯახისა და საკუთრების წარმოშობა-განვითარება", ანონიმი ავტორის მიერ თარგმნილი "პოლიტიკური ეკონომიის ანბანი (მრეწველობის განვითარება)" და სხვ.

ქართული წიგნების გამოცემელნი კარგად აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, თუ რა ხასიათის ლიტერატურის გამოცემა იქნებოდა სასარგებლო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების ამძლავრებისათვის. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ მათ "რეპერტუარში" ჭარბად იყო წარმოდგენილი პატრიოტული შინაარსის წიგნები, მათ შორის: შოთა რუსთაველის პოემა, ილიასა და აკაკის ლექსები, ნიკოლოზ ბარათაშვილის, მამია გურიელის, დავით კლდიაშვილის, ეგნატე ნინოშვილის, სიმონ გუგუნიას, შალვა დადიანისა და სხვ. ნაწარმოებები, ზაქარია ჭიჭინაძის და სხვ. ნაწარმოებები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბათუმელ მესტამბე-გამომცემელთ უაღრესად გამაზვიანებელი ჰქონდათ პოლიტიკური გრძნობა, ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ დროის მსვლელობას და ოპერატიულად მიეწოდებინათ საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტები. შეგვიძლია დავასახელოთ ნ. ხვინგიას სტამბის გამოცემები: "სამუსლიმანო

საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის პროგრამა და ინსტრუქცია“ (1919 წ.), საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წ. 21 თებერვალს მიღებული დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921 წ.) და ა.შ.

ბათუმში დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ წიგნით ვაჭრობასაც. კერძო სტამბების ქართველი მფლობელნი, რომლებიც ბეჭდავდნენ გაზეთებს, განსაკუთრებით წიგნებს და მათი გავრცელებით იყვნენ დაინტერესებულნი, ცდილობდნენ საკუთარი მალაზიების მოწყობასაც. ამ მხრივ გამოირჩეოდა ნიკო ნიკოლაძის ძმის — მიხეილ ნიკოლაძის მალაზია,²⁰ რომელიც წიგნებით ვაჭრობასთან ერთად ეწეოდა წიგნის პროპაგანდასაც. აქ ხშირად იკრიბებოდნენ საბაასოდ არა მარტო ბათუმის ინტელიგენციის წარმომადგენლები, არამედ თბილისიდან ჩამოსული ქართული კულტურის ამადარნი. ბევრმა ბათუმელმა სწორედ ამ მალაზიაში გაიცნო ქართული მწერლობის კლასიკოსები, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები.

ლიტერატორი ლევ მაირანოვსკი იგონებდა: “1909 წ... ერთ დღეს, როცა ამხანაგებთან სამეცადინოდ მივიდიოდი, ივლისის პაპანაქება სიცხეში, ყოფილ მარინეს პროსპექტზე მდებარე ნიკოლაძის წიგნის მალაზიაში, თვალი მოვკარი აკაკი წერეთლის ნაცნობ სახეს. მაშინ არ ვიცოდი, რომ მგოსანი ბათუმში ელოდებოდა იტალიის გემის მოსვლას საფრანგეთში გასამგზავრებლად. მწერალთან ერთად იღვინე ნიკო ნიკოლაძის ძმა, ქალაქის გამგეობის წევრი ვოლსკი, მწერალი დავით კლდიაშვილი და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ექიმები ელიავა და მხეიძე. წიგნის მალაზიაში შესული მოქალაქეები მოწიწებით ესალმებოდნენ აკაკი წერეთელს და მის თანმხლებს”.²¹

ბუკინისტური მალაზია (“მეგობარი”) ჰქონდა, აგრეთვე, სპირიდონ ჭელიძეს, ბაზრის (დღეს ზ. გორგილაძის) ქუჩაზე, ზედ ბაზართან (ახლა ხელოვნების ჭუჭუქის ტერიტორიაზე). მან იგი 1897 წ. გახსნა. დავით კლდიაშვილის სატყვიით: “ჰქონდა მალაზია ავსილი ძველი და ახალი წიგნებით, წიგნაკებით, ფურცლებით, გაზეთებით... დაჰქონდა სოფლებში, ხან ჰყიდდა, ხან ისე ავრცელებდა-არიგებდა... საკმაოდ ენამეტყველი - იგი საოცარი ენერჯის პატრონი იყო, ამასთან, გულკეთილი და მოსიყვარულე ადამიანი. ახალგაზრდა თავისი ტკბილი სიტყვით და მოქცევით ხიბლავდა ახალგაზრდობას, რომელიც მხოლოდ მოდიოდა მის მალაზიაში და ხშირად მართავდა საერთო საუბარს-დაობას ამა თუ იმ საგანზე“ (დ. კლდიაშვილი, 1984, გვ. 72).

სპ. ჭელიძის მალაზიის ხშირი კლიენტები იყვნენ დავით კლდიაშვილი, გრიგოლ ვოლსკი, კარლო ჩხეიძე, ალექსანდრე წულუკიძე და სხვ., აგრეთვე, საკვირაო სკოლის მსმენელი მოწინავე მუშები, ე.წ. ახალი თაობის ახალგაზრდები და ცხარედაც კამათობდნენ სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხზე. ამის შესახებ თვით დ. კლდიაშვილი აღნიშნავდა: “მე ძლიერ

²⁰ მდებარეობდა მარინეს გამზირზე თავადი ქალის გურიელის სახლში. აქ დღესაც წიგნის მალაზიაა.

²¹ იხ. გაზ. “საბჭოთა აჭარა”, 27.11.1960.

მიყვარდა ამ მალაზიაში სიარული - მიყვარდა მისი პატრონი და მიყვარდა მოსმენა იმ გაცხარებული დაობისა, რომელიც იქ იმართებოდა ყმაწვილებს შორის“ (დ. კლდიაშვილი, 1984, გვ. 72).

ბათუმში ცნობილი იყო აგრეთვე წიგნებისა და საწერი ქალაღდის სხვა მალაზიებიც. “უნიონი”,²² “განთიადი”²³ და სხვ., რომლებიც ეკუთვნოდა ქართული წიგნის გამავრცელებელთა ამხანაგობებსა და საგამომცემლო საზოგადოებებს: “გლეხი”, “მუშა”, “ცოდნა”, “მეგობრობა” და ა.შ.

ამრიგად, XIX ს. დამლევსა და XX ს. პირველ ოცწლეულში ბათუმში მოქმედმა პოლიგრაფიულმა საწარმოებმა, მათ მიერ გამოცემულმა სხვადასხვა სახის წიგნებმა და ჟურნალ-გაზეთებმა დადებითი როლი შეასრულა ბათუმის ოლქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და კულტურულ განვითარებაში.

დამოწმებული ლიტერატურა

დ. კლდიაშვილი, 1984 - დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 1984.

პ. ცქვიტარია, 1962 - პ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წ. 2, ბათ., 1962.

გაზ. “კვალი”, №31, 1896.

გაზ. “საბჭოთა აჭარა”, 27.11.1960.

გაზეთი “წითელი მბეჭდავი” (აჭარის პოლიგრაფთა ერთდღიანი საიუბილეო გაზეთი ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე), ბათ., 1923.

Газ. «Батум», 26. 02. 1889.

Газ. «Батумский вестник», 06.03.1905.

Газ. «Черноморский вестник», 06.03.1905.

²² 1904 წ. იყო მიხაილოვის ქუჩის დასაწყისში, სასტუმრო “ფრანციის” შენობაში.

²³ 1914 წ. მღებარეობდა მარიხეს გამზირზე.

GENADI MAKHARADZE

GEORGIAN BOOK AND PRESS IN ACHARA

During the Ottoman reign Achara was deprived of the benefits of publishing of the Georgian press and books. Only after the victory of the Russian empire in the Russo-Turkish war of 1877-1878 did it become possible to organize printing press and publishing business in the region.

The first printing press in Batumi began to operate in 1879 and continued to exist until 1921. Alexandre Nikolozis-dze Makharadze was the first polygraphist who came from Tbilisi to organize printing-works in the city. From the second year of functioning the printing-house it was established as “the typo-lithographic “Firm”.

A. Makharadze’s firm printed advertisements and blanks, produced envelopes, post-cards and carried out individual orders, in Georgian, Russian, Armenian, French and other languages.

From June 1, 1882 the firm began to publish “Batumski Listok”(Batumi Paper) a Russian language literary and political newspaper, being the first ever newspaper published in Achara. In the editorial column A. Makharadze declared “our project is clear and brief: to serve the local needs, interests and wishes”:

In August 1884 A. Makharadze’s printing house published “Ustav Batumskogo Blogotvaritel'nogo Obshestva”, (“The regulation of the Batumi, charity association”) which was the first published book in Achara.

The first Georgian book in A. Makharadze’s printing press was published in 1889. It was Gerasime Tevzadze’s (son of a priest’s) compilation of “New Public Poems on Saddles, Soldiers and Pocket Money”.

During its history A. Makharadze’s printing house printed Georgian books of twelve titles and Russian books of fourteen titles. The printing press also produced social and political newspapers “Batumis Gazeti” (July 15, 1911), Talgha (1917) and “Mushis Simartle” (1918) all in the Georgian language.

In 1886 another printing – press opened in Batumi. It was owned by P.A. Lobko. This printing-house published books and newspapers in Russian, advertisements, price-lists, forms, etc.

In 1887-1888 P.A. Lobko’s printing house was transferred into P.P. Kristosovich’s ownership. In 1893 Kristosovich’s business was sold to N.K. Gurtskaia. N. Gurtskaia’s press published 30 books in Georgian and Russian languages. In 1908 Gurtskaia’s printing-press was purchased by N.I. Khvingia and V.I. Chantladze. After the murder of V. Chantladze N.Khvingia became the sole proprietor of the printing-house, which published books with the signature stamp: “N.I. Khvingia and Company”. It was a historical event that in March 1921 N.I. Khvingia’s printing-press published the February 21, 1921 Constitution of the Democratic Republic of Georgia. It is also known that this printing-press published 16 books in Georgian (among them one was translated from French and the other from Chinese, and 12 authors in Russian. It also printed Georgian language newspaper “Batumis Moambe”, (March 7, 1911) “Khma” (11 February, 1914), “Batumis Gazeti”

(1911-1914), “Samuslimano Sakartvelo” (1919-1921), “Mushata Presis Dghe” (1917) only a few numbers, as well as newspapers in Russian.

In the years 1895-1900 an active publishing business began to fledge in K. Tavartkiladze and A Mikelashvili’s printing-press. This printing house published books of 33 titles in Georgian and Russian Languages.

“Dzmebi Tavartqiladzeebis Stamba”, (brother Tavartkiladzes printing house) has opened in Batumi in 1900. This printing-press published books of 12 titles in the Georgian Language.

G Tavartkiladze, B. Kiladze and M. Tsuladze opened still another printing-press in Batumi in 1900. this printing-press existed till 1921 and published books 24 in Georgian and 55 in Russian.

Vereichev and Kamenmakher printing-press in Batumi functioned during 1899-1902. It was purchased by A. V. Kulchitsky, then the press came into Kh. M. Shmavski’s possession. This printing-house operated until 1921.

The books, we know, to be published here are of 43 titles in Russian, two newspapers in Georgian and 10 newspapers in Russian.

Apart from these printing-houses in Batumi of 1900s there were printing-houses of I.B. Minkin, and of G.Putkin, the latter being transferred into N. Karnaukov’s possession; there was also D.Kapel’s press and A. Shariapov’s press, and Greek typography of A. Dimitriadi; N. Galinson’s press; printing houses of M.N. Sukoian, K.G. Nikitin’s K.N. Papamoskich, of “Ganatleba”, K.N. Nikitin’s of “Batumi Relation Society Bank”, Poruchik Mikhailov’s printing-presses. These printing-houses published books and newspapers in Georgian and Russian languages.

ქეთევან მეგრელიშვილი

ირანულ ანთროპონიმთა ლამკომიღრეპისათვის ქართულში

(საშუალო ირანული ენობრივი ეპოქა)

ანთროპონიმები ონომასტიკონის დანარჩენ შემადგენელ ნაწილებთან ერთად ენის ლექსიკის უძველესი ფონდის კუთვნილებაა. საკუთარი სახელები სხვადასხვა წარმოშობისანი არიან და მათ გავრცელებას სხვადასხვა პირობები განსაზღვრავდა.

საკუთარ სახელთა ისტორიას შორს მივყავართ.

ქართველ ტომებს საკუთარ სახელთა თავიანთი სისტემა შეუქმნიათ ჯერ კიდევ ადრე, მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლის ეპოქაში. მათ თავიდანვე კარგად ჩამოყალიბებული თვითმყოფი ონომასტიკონი ჰქონიათ. ამას მოწმობს წარმართულ ღვთაებათა საკუთარი სახელები, რომელთა ერთი ნაწილი (ადილა, დალი, აშექალი, სამძიმარი და მისთ.) შემდეგ ადამიანთა სახელებს შეუსისხლბორცდა. მომდევნო ეპოქებში თავისთავად საკუთარ სახელებს ნასესხებიც შემოპრავია. ქართველურ ანთროპონიმოკაში გარკვეულ ადგილს სწორედ ეს მასალა იჭერს (ალ. ლლონტი, 1988, გვ.171).

უცხოური წარმომავლობის საკუთარი სახელები ქართულ ენას შეუთვისებია ჰურიტული, ბერძნული, სპარსული, არაბული, თურქული, რუსული და სხვა ენებიდან შესაბამის ხალხებთან პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობების გარკვეულ საფეხურზე.

ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია საშუალო ირანული ენობრივი ეპოქა თავისი დასავლური ტიპის ორი დიალექტით: ე. წ. სასანური ფალაურით — იგივე საშუალო სპარსული და არშაკიდული ფალაურით — იგივე პართული.

ირანულ ენობრივ სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტი თვალსაჩინოდ აისახა ქართულ ლექსიკაზე როგორც საზოგადო, ასევე კერძო სახელების დონეზე. პოლონელი ენათმეცნიერის ვ. ტაშიცკის მოსაზრებით, რომელიც იკვლევდა ძველპოლონურ საკუთარ სახელებს, “არსებითი სხვაობა ონომასტიკურსა და საზოგადო სიტყვებს შორის არ არსებობს. აქაც და იქაც გვაქვს სხვადასხვა ქრონოლოგიური ფენის ძველისძველი სიტყვებიც და ნასესხები სიტყვებიც. ესენიც და სხვებიც თანაზიარად ავსებენ ერთიმეორეს” (В. Ташицкий, 1961, გვ. 11). ირანული წარმომავლობის პირის საკუთარი სახელები მრავლად გვხვდება როგორც ქართულ ისტორიულ წყაროებში, ისე მხატვრული ლიტერატურის ძეგლებშიც. მასალა საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია.

წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება მივაპყართ საშუალო ირანული ენობრივი წრიდან ქართულში შემოსულ რამდენიმე ანთროპონიმს, რომლებიც

მეტ-ნაკლები ინტენსივობით დღესაც იხმარება ქართულ ონომასტიკონში როგორც პირის საკუთარ სახელებად, ისე გვარსახელების სახითაც. მეტწილად, მათი ფონეტიკური შემადგენლობა აადვილებს ამ ნასესხობათა ქრონოლოგიზაციას და მიუთითებს მათ უშუალო კავშირზე საშუალო ირანულ ენობრივ ეპოქასთან.

არჩილი — ქართულ საისტორიო წყაროებში გვხვდება ქართველთა მეფე არჩილი თრდატის ძე და არჩილ II სტეფანოზის ძე, ქართლის მეფე. “მაშინ შეითქუნეს აზნაურნი ქართლისანი, მოიყვანეს და დასუეს მეფედ მცხეთას ძე თრდატისი, ძმისწული მირდატისი, მეფისა წარტყუნულისა, სახელით არჩილ” (ჯუანშერი, ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, I, 139).

“ამან არჩილ მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, ნათესავი ივბიმიანოს მეფისა, სახელით მარიამ, და განაცხადა მტერობა სპარსთა” (ჯუანშ., 140).

“მეორმოცდაოთხე მეფე, არჩილ, ძე სტეფანოზ მეფისა და ძმა მეფისა მირისა, ხოსროიანი” (ჯუანშ., 241).

სახელის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს. ფერდინანდ იუსტი მას უკავშირებს სპარსულ **Artaxšir**-ს (F. Yusti, 1963, გვ. 64). სპ. **Artaxšir** ქართულში დაცულია **არტაქსირის** სახით, მომდინარეობს ძვ. სპ. **Artaxšaθra**-დან, ან ძვ. სპ. **Artaxšass**-დან მნიშვნელობით — “სამართლიანად მმართველი მეფე”. მ. ანდრონიკაშვილის მიხედვით, შესაძლებელია ეს ვარაუდიც, თუმცა თვითონ იგი სახელის ეტიმოლოგიას უკავშირებს ძველ სპარსულ ენაში დადასტურებულ ეპითეტს — **ariyačissa** — “არიელთა მოდემისა”, **ariya** “არიელი” + **čissa** “ნათესავი, თესლი, მოდგმა”. ძველი სპარსული **Ariyačiθra**-ს საშუალო სპარსული ფორმა იქნებოდა ***Arčihr**, რომელიც ქართულში კანონზომიერად მოგვცემდა არჩირ > არჩილ ფორმას (მ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 427, 435). ქართული ფონეტიკური კანონების მიხედვით, სესხებისას **h** თანხმოვანი ჩვეულებრივ იკარგება, ხოლო **r** დისიმილაციის შედეგად გვაძლევს **I**-ს.

ბაკური — ქართლის ცხოვრებაში ცნობილია ამ სახელის მატარებელი რამდენიმე მეფე და ერისთავი.

ბაკურ I — “მეოცდაურთე მეფე, ძე ვაჩესი, არშაკუნიანი (ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართლეთთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართ. ცხ., გვ. 58).

ბაკურ II დაჩის ძე, ქართლის მეფე:

“მეოცდათხუთმეტე მეფე ბაკურ, ძე დაჩი მეფისა, ხოსროიანი” (ჯუანშ., 206).

ბაკურ III — მეფე ქართველთა, ფარსმან VI ძე:

“და ვახტანგისითგან კათალიკონსი გარდაიცვალნეს რვანი და მოკულდა ფარსმან, და დაჯდა მეფედ ძე მისი ბაკურ... ესე ბაკურ იყო მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა. ამან გაამრავლნა ეკლესიანი და მღვდელნი სამეფოსა შინა თჳსსა” (ჯუანშ., 215).

სახელის უძველეს ირანულ ფორმად მიჩნეულია **Bagapuθra** - “ღვთის შვილი, ძე ღმერთისა.” სანსკრიტული **bhagaputra**; საშ. სპ. ***bay.puhr**, რომლისგანაც მომდინარეობს არაბულ-სპარსული **Fayfūr** — ჩინეთის

იმპერატორისა და ბიზანტიის კეისრის ტიტული. ამავე ძირიდან მომდინარედ მიიჩნევს მ. ანდრონიკაშვილი ქართულ **fagfuri, farfuri**-ს და ქართულ სიტყვას ფაიფურს. (მ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 445; ალ. ლლონტი, 1986, გვ. 81).

ქართულ ონომასტიკონში საკუთარ სახელად დასტურდება, აგრეთვე, ბაკურისგან. ნაწარმოები ფორმა **ბაკურიანი**. გრიგოლ ბაკურიანის ძე, ზორავარი აღმოსავლეთისა, გვხვდება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან (ქართ. ცხ., I, 1955, გვ. 318). ამჟამად ბაკურიანი დაცულია როგორც გეოგრაფიული სახელწოდება.

ბაკურისგან მომდინარეობს ასევე სახელი **ჩამბაკურ**, გვარი ბაკურაძე (ნასესხებ ანთროპონიმზე -ა კინობითი სახელების მაწარმოებელი ელემენტისა და გვარსახელთა ჩვეულებრივი მაწარმოებელი -ძე ლექსემის დართვით). სახელ ბაკურს უკავშირებს მკვლევარი ი. ახუაშვილი შემდეგ გვარებსაც: ბეკურაშვილი, ბეკურიშვილი // ბეკარიშვილი (ი. ახუაშვილი, 1994, გვ. 265). იმავე ძირისგან წარმოდგება ტოპონიმები; ბაკურციხე, ბაკურხევი (ზ. ჭუმბურიძე, 1971, გვ. 60).

საკუთარ სახელთან **ბაკურ** აიგივებს ფ. იუსტი ასევე სახელს **ბაქარი** (ფ. იუსტი, 1963, გვ. 238).

ბეჟანი — მოგვიანო ფორმაა საშ. ირანული ფორმისა **ვეჟან**. ეგსტათი მცხეთელის წამებაში გვხვდება ვეჟან ბუზშირი, მარზპანი ქართლისა.

“და შემდგომად სამისა წლისა შემოვიდა ვეჟან ბუზშირ ქართლისა მარზპანად”.

“და წარვიდეს სპარსნი მცხეთით, შემასმენელნი ნეტარისა ეგსტათისნი, ტფილისსა, და წარდგეს წინაშე ვეჟან ბუზშირ მარზპანისაჲ“ (ეგ. მცხ. წამება, გვ. 165).

ამავე სახელის ვარიანტია **მეჟანიც** — მცხეთელი სპასპეტის სახელწოდება ლეონტი მროველთან:

“მაშინ შეკრბეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი მცხეთას ქალაქსა სპასპეტისა თანა, რომელსა ერქუა მეჟან“ (ლ. მრ., 62).

სახელის ეტიმოლოგია მომდინარეობს ძვ. ირანული ფორმიდან ***Waijāna**, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება ავესტურ **Airyānam-vaējōs-**, ფალაურ **Eran.vəj-**ს (Nyberg, H. S., 1923-1931, გვ. 66), “არიელთა, ირანელთა სივრცე. ქვეყანა”. ძვ. ირანული **Vaijāna** > საშ. ირ. **Vējan** // **Vēžan** — “ვეჯელი”, ერან-ვეჯიდან ანუ ირანელი.

ისტორიულ წყაროებში დადასტურებულია ასევე ფორმა **ვეზანი**, კერძოდ, სუმბატ დავითის ძესთან გვითხულობთ:

“და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა ბაპარ ჩუბინისა, და ვეზან მოკლეს, და დაიპყრეს მათ კამბეჩოანი“ (სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ქ. ცხ., I, 374).

მ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით, **Vēžan**, შესაძლოა, თვით ფალაურში გვექნოდა **Vēžan**-ის პარალელურად. რაც შეეხება **მეჟან** ფორმას, საფიქრებელია, ქართულ ნიდაგზე იყოს მიღებული **ვეჟანისგან**. ვ > მ თანხმოვნების მონაცვლეობა გვხვდება სხვა შემთხვევებშიც, მაგ.: ვაზრი > მაზრაკი (ვაზრი — “გურზი”; მაზრაკი — “შუბის სახე, გურზი, ლახვარი”), (მ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 469).

წყაროებში ახალსპარსული ფორმით **ბეჟანი** მოიხსენიებიან: ბეჟან ავათოშვილი (1659 წ. 5 მარტი, ყმის ნასყიდობის წიგნი), ბეჟან აბულფათიშვილი (1708 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი), ბეჟან მეჩინბეთუხუცესი, ბარათაშვილი (1716 წ.) (ი. ახუაშვილი, 1994, გვ. 266).

სახელი **ბეჟანი** და მისი კნინობითი ფორმები დაცულია ქართულ გვარებში: ბეჟანიშვილი, ბეჟუაშვილი, ბეჟუაშვილი, ბეჟიტაშვილი (ზ. ჭუმბურიძე, 1971, გვ. 62). ამავე ძირისაა გვარები: ბეჟანიძე, ბეჟიკოშვილი, ბეჟანიშვილი (ი. ახუაშვილი, 1994, გვ. 266).

გოდერძი — დასტურდება ევსტათი მცხეთელის წამებაში გეოგრაფიულ სახელში — გოდერძისა ჰევე:

“აღვჰყევით პირსა მის მდინარისასა და მივიწიენით ჰევესა რასმე ღრმასა და უღაღსა, რომელსა გოდერძისა ეწოდების” (ე. მცხ. 229).

გოდერძი მგდუერი გვხვდება კახი აზნაურის საკუთარ სახელად “მატიანე ქართლისაჲში”. ამ სახელის მატარებელია ასევე კახთა ერისთავთ-ერისთავი:

“და ისნის ველსა მოვიდეს კახთა მეფე გაგიკ და ერისთავთ-ერისთავი გოდერძი, და ყოველნი დიდებულნი კახეთისანი დარბაზობად ბაგრატ მეფისა წინაშე და მშვიდობისა ძებნად” (“მატიანე ქართლისაჲ”; ქ. ცხ., I, გვ. 300).

გოდერძის ახალსპარსული ფორმაა **Gudarz**, ქურთულში არის **Göhdarz**. მისი არაბული ფორმაა **ğudarz**. სახელი მომდინარეობს საშუალო სპარსულიდან. მისი ეტიმოლოგია უკავშირდება ხარს: **Gō** “ხარი” + **darz** “ძლიერი, მტკიცე” (მ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 453). ე. ი. ძლიერი ხარი.

ანთროპონიმ გოდერძიდან მომდინარე გვარებია: გოდერძიშვილი, გოდერძაშვილი, გოდერძაული. დასტურდება ტოპონიმებშიც: გოდერძის უღელტეხილი, გადასასვლელი არსიანის ქედზე, მდ. ძინძეს სათავეში (ი. ახუაშვილი, 1994, გვ. 305).

გუარანდუხტი — საკმაოდ გავრცელებული სახელი იყო საქართველოს სამეფო კარზე. ამ სახელს ატარებდა არჩილ I-ის ძმისწული, ლეონ კეისრის ცოლი, ვახტანგ გორგასლის და, არჩილ I-ის ასული, ბაგრატ II-ის დედა — გუარანდუხტ დედოფალი, შვილი გიორგი აფხაზთა მეფისა; გიორგი I-ის ასული; დავით აღმაშენებლის მეუღლე.

“მას ჟამსა ეპყრა უფლისციხე და ქართლი გუარანდუხტ დედოფალსა. ესე გუარანდუხტ დედოფალი ასული იყო გიორგი აფხაზთა მეფისა და დედა ბაგრატისა” (მატ. ქართ., გვ. 275).

“და ამათ თანა უადვილეს იყვნეს მოსლვად მახლობელობითაცა და უპოვარებითა, და რამეთუ პირველ მოეყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გუარანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარადანის ძისა, სჯულიერად მეუღლედ თჳსად და დედოფლად ყოვლისა საქართველოჲსა” (დავ. აღმ., გვ. 336).

“მაშინ მისცა ლეონს (არჩილმა) ცოლად ძმისწული მისი გუარანდუხტ და გურგუნი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისთჳს” (ჯუანშ., 242).

სახელი **გურანდუხტი** ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი სიტყვისა წარმოადგენს მამაკაცის სახელს **გუარამ** > **გუარან** (საშ. სპ. **Vahrām**), მეორე ნაწილი **დუხტ** არის ახ. სპარსული **doxtar**-ის საშ. სპარსული ფორმა — **dux** და ნიშნავს "ასულს, გოგონას". შედგენილობის თვალსაზრისით, ასევეა მიღებული თხზული საკუთარი სახელები **ბარამდუხტი**, **მირანდუხტი** და სხვ.

სახელის თანამედროვე ვარიანტია გურანდა, მირანდუხტისა — მირანდა.

დაჩი — ვახტანგ გორგასლის შვილის სახელი.

"და მოიყვანა ვახტანგ ძე მისი, რომელსა ერქუა სპარსულად დარჩილ, ხოლო ქართულად დაჩი" (ჯუანშ., გვ. 185).

დაჩის სპარსული ვარიანტი **დარჩილ** უკავშირდება ძველ ირანულ სახელს **Dāryāciθra** "ტომის, გვარის მფლობელი, უფროსი". სახელი **დარიოხს** ძვ. სპარსულ ფორმაშიც **Dārayavahuš** - "ქონების, სიმდიდრის მფლობელი" იგივე ძირი გამოიყოფა. **dāraya** — "ფლობა, პყრობა", სახელის მეორე ნაწილი **ciθra**-ს მნიშვნელობაა (ძვ. სპ. **čissa**, ფალ. **čih**) "გვარი, ტომი, ნათესავი, მოღვაძე", საშ. სპ. ფორმა იქნებოდა **Dārčih**, რომელიც ქართულში მოგვცემდა დარჩილს, საიდანაც მივიღეთ დაჩი. არსებობს მეორე ვარაუდიც, რომ დაჩი ნიშნავს "დარიოხის მოღვაძისას" საშ. სპ. **Dārāčih**-იდან (მსგავსი წარმოშობისაა სახელი მანუჩარი **Manučih** - "მანუს მოღვაძისა").

"ქართლის ცხოვრებაში" იხსენიება დაჩი ქორეპისკოპოსი, ძე ივანე ქვაბულისძისა (ქ. ცხ., I, გვ. 254), აზნაური დაჩი კორინთელი (იქვე, გვ. 269) და სხვ. (ალ. ლლონტი, 1986, გვ. 111).

ვაჩე — "მეოცე მეფე, ძე რევისა, არშაკუნიანი" (ლ. მრ., გვ. 58).

"მეოცდაერთე მეფე, ბაკურ, ძე ვაჩესი, არშაკუნიანი" (იქვე).

სახელი **ვაჩე** მომდინარეობს ფალაური სიტყვიდან **Wačak** — "ყმაწვილი, ბავშვი, ბიჭი". **vatčak** > **vač(č)ak**. მისი ახალსპარსული ფორმაა **bača, bačča** — "ბავშვი, ახალგაზრდა ადამიანი ან ცხოველი". ანალოგიური წარმომავლობის საკუთარი სახელი ქართულშიც გვხვდება — ბიჭიკო.

ვაჩედან არის ნაწარმოები მოგვიანებით გვარები ვაჩანძე, ვაჩეიშვილი (ზ. ჭუმბურიძე, 1971, გვ. 72; დ. კლდიაშვილი, მ. სურგულაძე, 1993, გვ. 180).

ირანულ ენებს უკავშირდება ასევე სახელი **ვახტანგ** — სახელი ქართლის მეფე გორგასლისა.

"და შემდგომად ოთხისა წლისა საგდუხტ მიუღდა და შვა ძე, და უწოდა სახელი მისი სპარსულად ვარან-ხუასრო-თანგ, ხოლო ქართულად ეწოდა ვახტანგ" (ჯუანშ., გვ. 143).

ისტორიულ წყაროში დაცული სახელის სპარსულმა ფორმამ **ვარან-ხუასრო-თანგ** > **ვარანთანგ** გააჩინა ვარაუდი, სახელი დაეკავშირებინათ ძვ. ირანულ **Vərəθragna**-სთან, საიდანაც მოდის ფალაური **Vahram**, არშაკიდული **Varhrang** და სასანური **Varahran**, რომელიც ამოსავალია სომხური ფორმისა **Vahram** — **Vram**. მისი უფრო გვიანდელი ფორმიდან **Bahram** მოდის ქართული **ბარამი**.

მ. ანდრონიკაშვილი ემხრობა ვ. აბაევის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სახელი ვახტანგი უკავშირდება ოსურ **Wærxtanæg**-ს და

სიტყვასიტყვით "მგლისტანას" ნიშნავს (მ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 468; ალ. ლლონტი, 1986, გვ. 122). **Vaxtang < Warxtang < Varkatann.** სკვითურ-ალანური წარმომავლობის სახელები საკმაოდ გავრცელებული იყო ძველ საქართველოში: ასპარუგ, აღსართან, ქალის სახელი ბორენა-შორენა და სხვ.

რატი — ირანული წარმომავლობის საკუთარი სახელი, რომელიც ქართულ ისტორიულ წყაროებში ერისთავთა საგვარეულო სახელად დასტურდება. რატი კლდეკართა ერისთავი ბაგრატ III-ის დროს (ქართ. ცხ., I, გვ. 276); რატი, ძე ლიპარიტისა, დაიღუპა გიორგი I-ის დროს (იქვე, 284); რატი სურამელი (ქართ. ცხ., II, გვ. 34); რატი, შვილიშვილი ბექა სურამელისა (იქვე, გვ. 284). X ს-ში ცნობილია პოეტი-ჰიმნოგრაფი რატი ორბელი.

სახელის ეტიმოლოგია განმარტებულია როგორც "ბატონი", ან "დიდსულოვანი, სულგრძელი" (ი. ახუაშვილი, 1994, გვ. 505).

ქართულ ანთროპონიმიკაში ცნობილია ამ სახელიდან წარმომდგარი შემდეგი გვარები: რატია, რატიანი, რატიანიძე, რატიაშვილი, რატიძე (ი. ახუაშვილი, 1994, გვ. 506).

რევი — "მოქცევაჲ ქართლისაჲში" იხსენიება ქართლის მეფე რევ მართალი.

"და დაუტევა სომეხთა მეფემან ძე თუხი ქართლისა მეფედ, რომელსა სახელი ერქუა რევ, დისწული ამაზასპისი".

"მეცხრამეტე მეფე, რევ, არშაკუნიანი" (ლ. მრ., გვ. 58).

"ამან რევ მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, ასული ლოლოთეთისა, სახელით სეფელია" (იქვე).

"და ვიდრე იგი იყო მეფედ, არღარა-ვინ კლვიდა ყრმათა კერბათვის, არამედ ცხურისა და ზროხისა შეწირვა განუწესა. ამისთვისცა ეწოდა მას რევ მართალი. და მეფობდა ესე რევ კეთილად, და მოკუდა რევ" (ლ. მრ., გვ. 58).

რევი ჰქვია მირიან მეფის ძესაც:

"და მისცა (მირიანმა) ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასუა იგი უჯარმას, რევ და ცოლი მისი სალომე, ასული თრდატისი, და ცხოვრდებოდეს იგინი უჯარმას" (ლ. მრ., გვ. 70).

რევის გარდა გვხვდება ფორმა "რევიანიც", რევის, მირიანის ძის შთამომავლის მნიშვნელობით.

ფ. იუსტიტან სახელის ამოსავალი ფორმაა საშ. ირანული სახელი **Rev** (ფ. იუსტი, 1963, გვ. 504), რომელიც უნდა იყოს შემოკლებული ფორმა სახელისა **Rēwniz** — "სიცრუის დამამხობელი", ჰორნი ასეთნაირად შლის ამ სიტყვას: **riv** — "სიცრუე, სივრაგე" და **-niz** — მომდინარე ავესტურიდან **nyānc̥ah** — "დამამხობელი, დამრთგუნველი". მართლაც, ქართველი მეფის ზედწოდება "მართალი" გულისხმობს "სიცრუის დამამხობელს".

პირის საკუთარი სახელი **რევი** დასტურდება გვარში **რევიშვილი** (ალ. ლლონტი, 1986, გვ. 181; ი. მაისურაძე, 1981, გვ. 136).

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი საკუთარი სახელები მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს იმ ანთროპონიმებისა, რომლებიც სპარსული ენიდან დამკვიდრდა ქართულში. ისინი ძირითადად საშუალო ირანულ

ენობრივ ეპოქას განეკუთვნებიან. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ გამოიწვია წარმართულ ანთროპონიმთა თანდათანობით დავიწყება. ეს განაპირობა ქრისტიანული ეკლესიის მიერ ე.წ. კალენდრის სახელთა დარქმევის სავალდებულოდ გამოცხადებამ, თუმცა ძველი ტრადიციული სახელები რელიგიურად შემორჩა მთას და ბევრი მათგანი ხალხის მეხსიერებაშიც ჩაიბეჭდა.

ჩვენ შევეცადეთ შევხებოდით იმ ანთროპონიმებს, რომლებიც ბოლო დრომდე მეტნაკლები ინტენსივობით იხმარება ქართულ სინამდვილეში. როგორც მასალამ ცხადყო, საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული მათგან ნაწარმოები გვარსახელებიც (ბაკურაძე, გოდერძიშვილი, რევიშვილი, რატიანი და სხვ.).

უკანასკნელ ხანებში ჩვენს ქვეყანაში შეიმჩნევა ტენდენცია ბიბლიურ-ეკლესიური სახელების გვერდით ძველი ისტორიული სახელების დარქმევისა. ზემოთ განხილულ სახელთაგან განსაკუთრებით ხშირად გვხვდება დაჩი, რატი, ბაკური.

დამოწმებული ლიტერატურა

- მ. ანდრონიკაშვილი, 1966 - მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, I, თბ., 1966.
- ი. ახუაშვილი, 1994 - ი. ახუაშვილი, ქართული გვარსახელები, თბ., 1994.
- დ. კლდიაშვილი, მ. სურგულაძე, 1993 - დ. კლდიაშვილი, მ. სურგულაძე, პირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI — XVII სს-ის ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), ტ. II, თბ., 1993.
- ი. მაისურაძე, 1981 - ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1981.
- “ქართლის ცხოვრება“, 1955 - “ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ., I, თბ., 1955.
- ალ. ღლონტი, 1986 - ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1986.
- ალ. ღლონტი, 1988 - ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988.
- ზ. ჭუმბურიძე, 1971 - ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ?, თბ., 1971.
- В. Ташицкий, 1961 — В. Ташицкий, Место ономастики среди других гуманитарных наук, «Вопросы языкознания», № 2, 1961.
- Nyberg, H. S., Hilfsbuch des Pehlevi, I — II, Uppsala, 1923-1931.
- F. Justi, Iranisches Namenbuch, Huldeshim, 1963.

KETEVAN MEGRELISHVILI**ON THE PENETRATION OF IRANIAN ANTHROPONYMS
INTO GEORGIAN
(Middle Iranian Linguistic Epoch)**

Middle Iranian Linguistic Epoch is extremely important from the viewpoint of Georgian-Iranian language contacts. This epoch is characterized by two dialects of western type: the so-called Sassanian Pahlavi (the same as Middle Persian) and Arsacid Pahlavi (the same as Parthian).

Close language contacts with the Iranian world influenced Georgian lexis on the level of common nouns as well as proper nouns. Proper names of people of Iranian origin are frequent in Georgian historical sources and literary monuments. The material is rich and diverse.

The given paper focuses on several anthroponyms that penetrated into Georgian from Middle Iranian linguistic circle (Archil, Bakur, Bejan, Goderdzi, Gurandukht, Dachi, Vache, Vakhtang, Rati, Revi). These proper names have more or less survived in contemporary Georgian onomastics, and numerous family names have been derived from these first names. Their phonetic form facilitates the chronological investigation of these borrowings and points to their immediate relation with Middle Iranian Linguistic Epoch.

ნინო მინდაძე

სამედიცინო ანთროპოლოგია

სამედიცინო ანთროპოლოგია დღეს ანთროპოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. სახელწოდება სამედიცინო ანთროპოლოგია, დამკვიდრდა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, თუმცა დანიელი მეცნიერები მას ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყენებდნენ.

სამედიცინო ანთროპოლოგია შეისწავლის ჯანმრთელობასა და დაავადებას, საერთოდ ჯანმრთელობის დაცვის სისტემას, ბუნებრივ და სოციოკულტურულ გარემოსთან ადამიანის ბიოკულტურულ ადაპტაციას. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მედიცინის სოციოკულტურულ ასპექტებზე, რადგან "დაავადება და მკურნალობა მხოლოდ აბსტრაქტულად არის სუფთა ბიოლოგიური პროცესი... სად გახდა ავად ადამიანი, რა სახის დაავადება შეეყარა მას და რა სახის მკურნალობა სჭირდება, ბევრად არის დამოკიდებული სოციალურ ფაქტორებზე (კულტურა..., 1977, გვ. 14).. სწორედ ამიტომ, სამედიცინო ანთროპოლოგია, დაავადების ბიოლოგიურ გამომწვევებთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედ სოციალურ და კულტურულ ფაქტორებზე ამახვილებს.

სამედიცინო ანთროპოლოგია ადამიანს, პირველ რიგში, განიხილავს, როგორც სოციოკულტურულ არსებას და აინტერესებს შეხედულებები ადამიანზე როგორც ბიოლოგიური, ისე სოციოკულტურული თვალსაზრისით, დაავადებათა ეტიოლოგია, მკურნალობის პრინციპები, აგრეთვე დამოკიდებულება სამედიცინო პრაქტიკოსების მიმართ, ექიმისა და პაციენტის ურთიერთდამოკიდებულება, ასევე სამედიცინო სისტემების ადგილი სხვადასხვა საზოგადოებაში.

თანამედროვე სამედიცინო ანთროპოლოგიის კვლევის სფეროში მოექცა ბიომედიცინის განვითარებასთან დაკავშირებული იდეები და მეთოდები. ამასთან ერთად, დღეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სხვადასხვა კულტურაში სიცოცხლისა და სიკვდილის, დაავადების, ადამიანის სხეულის აღქმისა და გააზრების... კვლევას.

სამედიცინო ანთროპოლოგიის კვლევის სფერო კიდევ უფრო ფართო და მნიშვნელოვანია, რადგან მას დაავადება აინტერესებს, როგორც ფენომენი, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს სოციოკულტურულ მოვლენებსა და პროცესებზე.

ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და აქედან გამომდინარე დაავადება, უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლესთან, მის ზანგრძლივობასთან. ადამიანის და საერთოდ საზოგადოების ცხოვრების წესი, ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, დაავადებათა გავრცელების ინტენსივობაზე. თუნდაც რა როლს თამაშობს დაავადება ეკოლოგიურ და ევოლუციურ პროცესებში,

ასევე ადამიანის მიერ სამყაროს აღქმაში, სოციალური სისტემების შექმნაში, სოციალურულ-კულტურული ღირებულებების ჩამოყალიბებასა თუ სხვ. თუ სამედიცინო ანთროპოლოგიას ამ კუთხით შევხვდებით, დავინახავთ, რომ იგი იკვლევს არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას საზოგადოებაში, დაავადების გამომწვევს მიზეზებს, მკურნალობის საშუალებებსა და მკურნალობის შედეგებს, არამედ მთელ საზოგადოებას, მის სამედიცინო ასპექტებს სოციალურულ კონტექსტში: თვალსაჩინოებისთვის ერთი ცნობილი მაგალითიც იკმარება. მეცნიერთა დაკვირვებამ აჩვენა, რომ სტრესულმა რეაქციამ იმ ინდივიდებისა, რომლებიც თვლიან, რომ არიან მსხვერპლნი ჯადოქრობის ან იმსახურებენ მკაცრ სასჯელს ტაბუს დარღვევისათვის, შეიძლება გამოიწვიოს მათი დაავადება ან სიკვდილიც კი... (ამ შემთხვევაში კულტურა არის პათოგენური). დაავადების ასეთი ახსნა ხდება დაავადების ტრადიციული ეტიოლოგიის საფუძველი. იგი ერთხელ მიეწერება მაგიურ ზემოქმედებას და მიუხედავად იმისა, თუ რითი არის გამოწვეული რეალურად დაავადება, შემდეგაც გამოიყენება ადგილობრივი სამედიცინო პრაქტიკოსების მიერ აღნიშნულ დაავადებათა დიაგნოსტიკის დროს, განსაზღვრავს მკურნალობის ხასიათსაც. ამ შემთხვევაში ქცევა (დაავადების დიაგნოსტიკა და მკურნალობა) ტრადიციული რწმენა-წარმოდგენებით, ტრადიციული კულტურით არის განპირობებული და შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ზემოქმედი, გავლენის მქონე საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე ქცევა შეიძლება შესწავლილ იქნეს უფრო ფართოდ, სოციალურულ ასპექტში. კერძოდ, იგი აჩვენებს, რომ როდესაც საზოგადოების წევრები დაავადებას მიიჩნევენ სანქციად, სასჯელად ზნეობრივი თუ რელიგიური ნორმების დარღვევისათვის ან მტრის ქმედებად, სოციალურ სისტემაში იწვევს დაძაბულობას და კონფლიქტს (კულტურა... 1977, გვ. 13-15). აღნიშნულმა ატრიბუციამ შეიძლება აჩვენოს, აგრეთვე, რომ ასეთ სოციალურ სისტემას დაძაბულობის და კონფლიქტის დროს სხვა სახის დასასჯელი საშუალებები ნაკლებად ან საერთოდ არა აქვს. ამ შემთხვევაში სამედიცინო ფენომენი ხსნის სოციალურ მოვლენას.

ყველგან, ყოველი დროისა და ყოველგვარი ტიპის საზოგადოებაში დაავადება საფრთხეს უქმნისა როგორც ცალკეულ ადამიანს, ასევე საზოგადოებასაც; გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდა არა მხოლოდ ადამიანის თუ ადამიანთა მთელი კოლექტივის ბიოლოგიურ მდგომარეობაზე, არამედ სოციალურულ სისტემაზე, ისტორიული განვითარების პროცესზე; განაპირობებდა გარკვეულ ისტორიულ მოვლენებს. ცნობილია, რომ III ათასწლეულში ძველი ინდოევროპული მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი და ამ მიგრაციის მიმართულებების განმსაზღვრელი შავი ჭირისა და მალარიის გავრცელება იყო (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, 1984, გვ. 915-916; 963). არის მოსაზრება, რომ სწორედ შავი ჭირი გახდა მიზეზი ძველ აღმოსავლეთში მიცვალებულის კრემაციის ტრადიციის ჩამოყალიბებისა (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, 1984, გვ. 831). შუა საუკუნეებში კი შავი ჭირის ეპიდემიებმა, რომელმაც შეიწირა მილიონობით ადამიანი, მნიშვნელოვნად შეცვალა ევროპის დემოგრაფიული სურათი,

ყოფითი კულტურა... (ფ. ბროდელი, 1989, გვ. 97-102). ითვლება, რომ ამ დაავადების პანდემიამ შეუწყო ხელი ფეოდალიზმის რღვევას ინგლისში.

ამგვარად, სამედიცინო ანთროპოლოგიის კვლევის სფერო მხოლოდ სამედიცინო საკითხებს არ მოიცავს, მას აინტერესებს სამედიცინო სისტემა, როგორც გავლენის მქონე ადამიანის ეკოლოგიაზე, ევოლუციაზე, კულტურაზე, სოციალურ ღირებულებებზე... ასევე, მხოლოდ სამედიცინო პერსონალი და ავადმყოფი არ არის სამედიცინო ანთროპოლოგიის კვლევის ობიექტი, არამედ ზოგადად საზოგადოება, რამდენადაც ის დაკავშირებულია ჯანმრთელობასა და სამედიცინო პრობლემებთან. აქედან გამომდინარე, სამედიცინო ანთროპოლოგია, ერთი მხრივ, გულისხმობს სამედიცინო სისტემების შესწავლას სოციოკულტურული თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, სოციოკულტურული სისტემის, საზოგადოების შესწავლას სამედიცინო ასპექტით. სამედიცინო ანთროპოლოგია, როგორც სოციოკულტურული ანთროპოლოგიის ერთ-ერთი დარგი იყენებს ანთროპოლოგიის ცნობილ მეთოდებს: ევოლუციურს, ფუნქციონალურს სტრუქტურალურს... მისი კვლევის წყაროს ძირითადად არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სოციოლოგიური, ლინგვისტური, თანამედროვე სამედიცინო მონაცემები წარმოადგენს.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით და გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ სხვადასხვა საზოგადოებაში, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის, დაავადების მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების, განსხვავებული სამედიცინო აზროვნებისა და პრაქტიკის გამო, ძნელია ლაპარაკი ერთსა და იმავე სამედიცინო სტანდარტებზე, ნათლად უნდა ითქვას, რომ სამედიცინო ანთროპოლოგია მეცნიერების ინტერდისციპლინარული დარგია და კროსკულტურულ კვლევას ითვალისწინებს. სამედიცინო ანთროპოლოგია, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა.

სამედიცინო ანთროპოლოგიის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო სოციალური მედიცინის განვითარებამ, რაშიც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით XIX საუკუნის ცნობილ მეცნიერებს ფრანგ ველერმესა და გერმანელ ვირხოვს და, რაღა თქმა უნდა, ამავე ხანიდან მოყოლებული, ყველა იმ ეთნოლოგს, რომელმაც ყურადღება მიაქცია ტრადიციულ მედიცინას და ისეთ საკითხებს როგორცაა დაავადებათა ხალხური ეტიოლოგია, კლასიფიკაცია და სხვ. სამედიცინო ანთროპოლოგიის დარგში პირველ კონცეპტუალურ ნაშრომად კი 1924 წელს გამოქვეყნებული, ბრიტანელი ექიმის, ფსიქოლოგისა და ეთნოგრაფის რივერსის ნაშრომი — **“მედიცინა, მაგია, რელიგია”** არის მიჩნეული. ამ ნაშრომის შემდეგ იწერება ბევრი საინტერესო გამოკვლევა სამედიცინო ანთროპოლოგიის თვალსაზრისით, რომელთა ავტორებს შორის გამოირჩევიან: ევანს-პრიჩარდი, კლემენტი, აკერნახტი, ქაუდილი, სიგერისტი, პარსონსი, პოლგარი, სკოჩი, ალანდი, ფოსტერი და სხვ.

დღეს სამედიცინო ანთროპოლოგია მრავალ უძლიეს სასწავლებელში ისწავლება, ჩამოყალიბდა სამედიცინო ანთროპოლოგიის ბევრი საზოგადოება.

შექმნილია არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და შესანიშნავი სახელმძღვანელო, რომელთა შორის გამოყვანილი დავიდ ლენდლის რედაქტორობით გამოსულ კრებულს: **“კულტურა, დაავადება და მკურნალობა — კვლევა სამედიცინო ანთროპოლოგიაში”** (კულტურა... 1977) სადაც სამედიცინო ანთროპოლოგიის თვალსაჩინო მკვლევრების: ლაიბენის, დუბოს, ალანდის, ველინის, გლიკის, აკერნეტის და სხვათა ნაშრომებია მოთავსებული, განხილულია ისეთი საკითხები როგორცაა: სამედიცინო ანთროპოლოგიის კვლევის სფერო, პალეოპათოლოგია, დაავადებათა ეკოლოგია და გავრცელება, სამედიცინო სისტემები და თეორიები, დაავადებასა და მკურნალობის შესახებ, მკითხაობა და დიაგნოსტიკა, ჯადოქრობა დაავადებასა და მკურნალობაში, ტკივილი, სტრესი და სიკვდილი, პაციენტი: სტატუსი და როლი, მკურნალი, სტატუსი და როლი და სხვ.

სამედიცინო ანთროპოლოგია ძირითადად სამ მიმართულებას მოიცავს: 1. სამედიცინო ეკოლოგია — შეისწავლის გარემოსთან ადამიანის, საზოგადოების ბიოკულტურულ ადაპტაციას; იკვლევს თუ რამდენად ეფექტურად იყენებს ადამიანი ადაპტაციის პროცესში ბიოლოგიურ და კულტურულ საშუალებებს. რა გავლენას ახდენს დაავადება ეკოლოგიურ და ევოლუციურ პროცესებზე. 2. ეთნომედიცინას (ტრადიციულ, ხალხურ მედიცინას) — შეისწავლის მედიცინის ტრადიციულ სისტემებს საბუნებისმეტყველო და სოციოკულტურულ ასპექტში 3. გამოყენებით სამედიცინო ანთროპოლოგიას, რომლის მიზანია სამედიცინო ანთროპოლოგიური კვლევის შედეგების გამოყენება პრაქტიკულად, ავადმყოფის მკურნალობის დროს ყურადღების გამახვილება სოციოკულტურულ ასპექტებზე და სხვ.

საქართველოში უკვე საკმაო ხანია არაერთი მკვლევარი მუშაობს სამედიცინო ანთროპოლოგიის ერთ-ერთი მიმართულების — ეთნომედიცინის, იგივე ტრადიციული მედიცინის, კვლევის ხაზით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველგან, ყოველი დროისა და ყოველგვარი ტიპის საზოგადოებაში დაავადება გავლენას ახდენდა და ახლაც ახდენს ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის როგორც ბიოლოგიური, ისე კულტურული განვითარების პროცესზე, მეორე მხრივ კი, ადამიანის ადაპტაცია გარემოსთან, ადაპტაციის პროცესის სირთულე, არცთუ იშვიათად, ხდება მიზეზი ამა თუ იმ დაავადების გავრცელებისა. ტრადიციული მედიცინა, საუკუნეების მანძილზე დაავადებათა პრევენციის და მკურნალობის ბუნებრივი თუ კულტურული საშუალებებით (ამ უკანასკნელში უმეტესწილად იგულისხმება მკურნალობის მაგიურ-რელიგიური წესები და რიტუალები) ადამიანის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება, გარემოსთან ადამიანის ურთიერთობის საუკეთესო გამოცდილებას ემყარება და ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ეთნომედიცინა, ტრადიციული სამედიცინო კულტურის კვლევა მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ეთნომედიცინა, რაც ტრადიციული მედიცინის ანთროპოლოგიურ კვლევას გულისხმობს, არ შემოიფარგლება მხოლოდ მკურნალობის ხალხური,

ტრადიციული საშუალებების კვლევით, მას აინტერესებს თვით ადამიანი, ხალხური წარმოდგენები ადამიანზე როგორც ბიოლოგიურ და სოციოკულტურულ არსებაზე, მის სხეულსა და სულზე, ჯანმრთელობისა და დაავადების ხალხური გააზრება, საბუნებისმეტყველო შეხედულებები თუ რელიგიური რწმენა-წარმოდგენები დაავადების ეტიოლოგიაზე, მის ბუნებასა და ხასიათზე, დიაგნოსტიკის მეთოდები, მკურნალობისა და ავადმყოფზე ზრუნვის ხალხური ტრადიციები... მოკლედ რომ ვთქვათ, ეთნომედიცინა გულისხმობს ამა თუ იმ საზოგადოების ტრადიციული სამედიცინო აზროვნების, სამედიცინო თეორიისა და სამკურნალო პრაქტიკის კვლევას. ეთნომედიცინის კვლევის სფეროში შემოდის, აგრეთვე, სამედიცინო ინსტიტუტების, თვით დაავადების როლისა და მნიშვნელობის გარკვევა საზოგადოებაში და სხვ.

დამოწმებული ლიტერატურა

ე. აკერნეხტი, 1958 - Acherknecht E.H. Problems of Primitive Medicine. Reader in comparative Religion, An Antropological Approach. New-York, 1958.

ფ. ბროდელი, 2002 - Бродель Ф., Средиземное море и средиземно-морский мир в эпоху Филиппа II . Москва, 2002.

გამყრელიძე თ., ივანოვი ვიაჩ., 1984 - Гамкрелидзе Т., Иванов Вяч., Индоевропейский язык и индоевропейцы, реконструкция и историко-типологический анализ праязыка и пракультуры, Тбилиси, 1984.

კულტურა, 1977 - Culture, Disease and Healing. Studies in the Medical Anthropology. London, 1977.

MEDICAL ANTHROPOLOGY

The paper discusses the subject of the medical anthropology and its basic approaches.

Medical anthropology studies health and illnesses, and the health care system in general, and the bio-cultural adaptation of human-beings to the social and cultural environment. It lays special emphasis of the medical science. Above all, medical anthropology sees a human being as a social and cultural creature and is interested in the ideas about the human-being in terms of biological and socio-cultural standpoints; it is concerned with the etiology of diseases, treatment principles, as well as with the attitudes of medical practitioners, doctor-patient mutual relationships and with the place of medical systems in different societies.

Modern Medical anthropology embraces ideas and methods related to the development of the bio-medicine. It also investigates the perception and conception of life and death, diseases of the human body.

Medical anthropology deals with the three basic directions of the study:

1. Medical ecology studying bio-cultural adaptation of an individual and a society to the environment. It investigates the methods how efficiently the human being applies the biological and cultural means in the process of adaptation, and what are the influences of a disease on the ecological and evolutionary processes.

2. Ethno-medicine (traditional folk-medicine) studies traditional systems within the science and socio-cultural aspects.

3. Applied medical anthropology aims at the practical application of the results yielded from medical-anthropology researches focusing on the socio-cultural aspects during the patient treatment etc.

In Georgia quite a few specialists have been working for so long in one of its directions, in ethno-medicine, which is the same as the traditional medicine.

მაია მიქაუტაძე,
ეკა დადიანი

**იმერხეული სიძველეთმცოდნეობა და ონომასტიკური
მასალა, რომლის ქართული სამედიცინო პენის
სალექსიკონო ბაზისა და საქართველოს
ისტორიის უძრავი ძეგლი**

XVI-XVII საუკუნეებიდან მოყოლებული ისტორიული მესხეთის კუთხეები: კლარჯეთი, შავშეთ-იმერხევი, ერუშეთი, ლაზეთი, სპერი, კოლა, ტაო... მოწვეტილია დედასაქართველოს.

XIX საუკუნეში, თურქთა ბატონობის დროს, ეს მხარე მონახულეს დიმიტრი ბაქრაძემ და გიორგი ყაზბეგმა, რუსული მმართველობის დროს — ვ. ლისოვსკიმ, ა. პავლინოვმა, გრაფინია უვაროვამ, ყან მურიემ, ზაქარია ჭიჭინაძემ, ნიკო მარმა, ექვთიმე თაყაიშვილმა და სხვებმა.

XIX საუკუნის 70-იანი წლების მდგომარეობით, “ქართული ენა მთლიანად დაცულია იმერხევის ზემო ნაწილებში ყვირალა-წყლის ხეობის გასწვრივ, რომელიც შავშეთის ჩრდილო ნაწილს შეადგენს, ანუ იმ ადგილებში, რომელთაც მუდმივი ურთიერთობა აქვთ აჭარასთან; შემდეგ იგი ქრება შავშეთის დასავლეთ ნაწილებში, ისევე ჩნდება, თუმცა სუსტად, არტანუჯის უბანში, გურჯის-ხევში... იგი ჩანს კიდევ ართვინის ქვემოთ... გაბატონებულია მთელს სივრცეზე, რომელიც ართვინის უბნის ქვემოთაა, მურღულისა და მაჭახელის რაიონებსა და ჭოროხის ნაპირის გაყოლებით, მარალდის უბანში” (ნ. ცეცხლაძე, 2000, გვ. 26).

გ. ყაზბეგი 1874 წელს შავშეთში სხალთის ხეობის გავლით ჩავიდა. მისი ცნობით, შავშეთში იმერხევის ჩათვლით 58 სოფელია, საკუთრივ შავშეთში — 36. მოსახლეობა 12-დან 14 ათასამდე იქნება. მოსახლეობა, 145 კომლი სომეხის გამოკლებით არის სუფთა ქართველური რასის. შავშეთში უფრო ფეხმოკიდებულია თურქული ენა, იმერხევი კი გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ქართულ ენას... (გ. ყაზბეგი, 1995, გვ. 90-91).

თბილისში 1887 წელს კავკასიის სამხედრო ოკრუგის გენერალური შტაბის მიერ გამოიცა პოლკოვნიკ ვ. ი. ლისოვსკის წიგნი “ჭოროხის მხარე, სამხედრო-სტრატეგიული ნარკვევები”, სადაც აღწერილია ჭოროხის მხარის 461 ტოპონიმი, მათ შორის შავშეთ-იმერხევის გეოგრაფიულ სახელებს შეადგენს 58 ერთეული (ნ. ცეცხლაძე, 2000, გვ. 29).

ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, შავშეთი შედგება 7 სამამასახლისოსაგან, მათ შორის 4 ეკუთვნის შავშეთს, 3 — იმერხეს. შავშეთში ქართული ენა აღარ იცინა, სამ სოფელში ლაპარაკობენ მხოლოდ (ახალდაბა, გარყელობი, ჭუარები), იმერხევი კი გაბატონებულია ქართული ენა. აქ

არის ისეთი სოფლები, სადაც თათრული ენა სრულებით არ იციან (ზ. ჭიჭინაძე, 1913, გვ. 300). შავშეთში ყველა სოფელს ქართული სახელი ჰქვია. ქართული სახელის არმქონე სოფლები იშვიათია. ზ. ჭიჭინაძე ასახელებს შავშეთის 34 და იმერხევის 34 სოფელს (ზ. ჭიჭინაძე, 1913, გვ. 294-297).

1904 წლის ზაფხულში ტაო-კლარჯეთსა და შავშეთ-იმერხეში იმოგზაურა ნ. მარმა. 1911 წელს მან პეტერბურგში გამოაქვეყნა “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების” ქართული ტექსტი, ლექსიკონი და შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიური. მეცნიერმა რეგიონის მდიდარ ტოპონიმურ მასალას მოუყარა თავი; დაადიქსირა შავშეთ-იმერხევის დაახლოებით 144 ტოპონიმი.

ნ. მარის შემდეგ ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და შავშეთ-იმერხევის, მუჰაჯირი ქართველების ქართულზე ხანგრძლივი, სისტემატური დაკვირება და თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ჩვენებურების მეტყველების ტექსტები ენათმეცნიერული სიზუსტით აღნუსხვა შეძლო შ. ფუტყარაძემ. 1993 წელს გამოვიდა მისი “ჩვენებურების ქართული”.

2000 წელს გამოვიდა ნ. ცეცხლაძის “შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია”. მასში აღწერილია შავშეთისა და იმერხევის ორმოცდაათზე მეტი სოფლის ტოპონიმები და ჰიდრონიმები (სულ სამი ათას ერთეულზე მეტი). ამასთანავე, შესწავლილია საკვლევ რეგიონში გავრცელებული გვარსახელები. მასალა მოპოვებულია ავტორის მიერ 1995-1998 წლებში შავშეთ-იმერხევი საველე მუშაობის შედეგად.

2006 წლიდან, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექციის ხელმძღვანელობით, იმერხევისა და ტაოში რეგულარულად ეწყობა სამეცნიერო-საველე ექსპედიციები. მასში გარდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისა, მონაწილეობენ: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და მაგისტრანტები.

ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უპირველესი მიზანია ქართველური დიალექტების, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის შესწავლა; თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთა მეტყველების, აგრეთვე იქ მცხოვრებ თურქთა თურქულ მეტყველების თავისებურებების შესწავლა რეგიონში არსებული სამეტყველო კოდების შერევის კუთხით; დეტალური, მრავალფეროვანი და სანდო მასალის მოპოვება, მათი მეცნიერული დამუშავება.

ექსპედიციებში მოპოვებული მასალის საფუძველზე, ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტში მომზადდა დოკუმენტური ფილმი “ასე მეტყველებს იმერხევის მიწა-წყალი”, რომელშიც წარმოჩენილია იმერხევის (დიობანის ბელედის) სოფლების — ივეთი, იმფხრევი, ქოქლიეთი, დიობანი, ბზათა, აგარა, წეთილეთი, ჯოხლევი, იმნიეთი, მანატბა, შოლტისხევი, მაჩხატეთი... მიკროტოპონიმები.

2007 წელს დაიბეჭდა ტ. ფუტკარაძის წიგნი “იმერვევის მეტყველი მიწა-წყალი”, რომელშიც წარმოდგენილია ართვინის გუბერნიის შავშეთის რაიონის მეიდანჩიკის ბელედის რამდენიმე სოფლის მიკროტოპონიმია, ასახულია საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის კეთილშობილობა.

2007 წლის ზაფხულში იმერხევში სამეცნიერო ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალების ანალიზს მიეძღვნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2008 წლის მაისში გამართული რესპუბლიკური კონფერენცია. კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები შევიდა კრებულში “ქართული-თურქული კულტურული პარალელები”, I, თბ., 2009.

ექსპედიციების მასალების საფუძველზე მომზადებული ნაშრომები პერიოდულად ქვეყნდება სამეცნიერო გამოცემებში; ამავე მასალების გამოყენებით იწერება სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომები, სტუდენტთა საკონფერენციო თემები...

საუკუნეების მანძილზე სამწიგნობრო ქართულს დაშორებულ იმერხევლ ქართველთა მეტყველება საინტერესოა როგორც საკუთრივ გრამატიკული (ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური), ასევე ლექსიკური თვალსაზრისითაც.

იმერხევის შესახებ არსებულ ისტორიულ წყაროებსა თუ მეცნიერთა და მოგზაურთა ჩანაწერებში ხშირად გვხვდება ისეთი გეოგრაფიული პუნქტების სახელები, რომლებიც დღეს რეგიონში აღარ დასტურდება; მათი ლოკალიზება რთულია. სხვადასხვა მიზეზთა გამო, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ტოპონიმიაში. ზოგი გეოგრაფიული სახელი გაქრა, ან კიდევ სახეცვლილი ვარიანტით იხმარება (ნ. ცეცხლაძე, 2000, გვ. 36-37).

შავშეთ-იმერხევის ყველა ქართულ სოფელს ოფიციალურად უკვე თურქული სახელი ჰქვია; სახელთა გადარქმევა 1980 წელს მოხდა. ძველი ქართული სახელები თანდათანობით დავიწყებას ეძლევა.

რაც შეეხება მიკროტოპონიმიას, აქ განსხვავებული ვითარებაა. შეიძლება ითქვას, რომ რეგიონის ტოპონიმთა დიდი ნაწილი ძველია და ბევრი მათგანი უცვლელი სახითაა ჩვენამდე მოღწეული. ნ. ცეცხლაძის მიერ მოპოვებულ ტოპონიმურ მასალაში დიდია ქართული ტოპონიმების ხვედრითი წილი (71, 7%).

ტოპონიმებში დაცულია ავტოქთონი მოსახლეობის ენა, წარსული, ისტორია; მომხდლური ცდილობს მოსპოს დამხდლურის ისტორიული ცნობიერება: ხალხს ფიზიკურად ანადგურებს (იშვიათად), ან უცვლის მას ენასა და კულტურას. ასიმილაციის პროცესი მთავრდება ძველი ონომასტიკონის შეცვლით. ამგვარ გზას ადგა ოსმალეთის იმპერიაც, რუსეთის იმპერიაც და ა.შ. (ტ. ფუტკარაძე, 2007, გვ. 14).

ნ. ცეცხლაძის აზრით, იმერხევში ქართულ გეოგრაფიულ სახელებს საფრთხე ნაკლებად ემუქრება, რადგან რეგიონი მთლიანად ქართულენოვანია (ნ. ცეცხლაძე, 2000, გვ. 8).

ვფიქრობთ, საფრთხე რეალურია: მიკროტოპონიმები სრულყოფილად ძირითადად უფროსმა თაობამ იცის, საშუალო ასაკის ადამიანებმა — ნაწილობრივ, ხოლო ახალგაზრდებს თითქმის არ ახსოვთ თავიანთი სოფლების ცალკეული ადგილების სახელწოდებანი. ამგვარ ვითარებას

აღწერს ტ. ფუტკარაძე: “ბიჭები გვირევენ: რად გინდათ ძველი სახელები, რაში გპირდებითო, ვილაცამ თქვა, ნებართვა თუ გაქვთო... მე ხმას ავუწვი: ვიწერ, რომ თქვენს შვილებს შევეუნახო, რაც ამ დედემ იცის; თქვენ ამ ადგილების სახელები აღარ გახსოვთ; აბა, შენ (მივმართე ერთ-ერთს, უფრო აგრესიულს), მითხარი, რა ჰქვია ამ მთას? არ ვიციო; რა ჰქვია? მივმართე სანდომიან მოხუცს - **კლდეკარი**; ყველა გაჩუმდა...” (ტ. ფუტკარაძე, 2007, გვ. 68).

ისტორიულ ქართულ მხარეებში (ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, იმერხევი, არტანუჯი, ფოცხოვი, ერუშეთი, ლივანი, ჭანეთი...) დარჩენილ ტოპონიმთა, რომელიც საქართველოს ისტორიის უმრავლესი წყარო, ქართული ენის განძია, სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში გაქრობის საშიშროება ემუქრება.

იმერხელ დიალექტში მრავალად დასტურდება არქაული ქართული სიტყვები და გამოთქმები. მათი ნაწილი დღევანდელ სალიტერატურო ენაში აქტიურად არ გამოიყენება, ან კიდევ განსხვავებული მნიშვნელობით/ნიუანსით გვხვდება. ამგვარი სიტყვაფორმები ხშირ შემთხვევაში პარალელს პოულობს სხვა ქართველურ დიალექტებში. საანალიზოდ წარმოვადგენთ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს: **დათვლა/დათვალვა**, **სალოკელი**, **თრამლი**, **დაღრება**, **ჩააფურტნის**.

1. დათვლა/დათვალვა: იმერხეველ ქართველთა მეტყველებაში **დათვლა** ორი მნიშვნელობით დასტურდება: 1. თვლა, აღრიცხვა; 2. მიცვალებულის ხმით დატირება, მოთქმა:

1. ჩვენი გვარიდან რამდენი ოჯალია, მოვთვლო მაშინ? ახლა ჩამოვთვალე, ისენი მაღლების სახელებია... სხალი ჭინსები დეითვლება, მე რა ვიცი... ზველი სახელები დამავიწყდა, ვერ **დავთვლო** ახლა...

2. თქვენიდამ ერთი თანე იყო აქ, თქვენიდამ გამოსული იყო, ამათი ახრება იყო, იმ ქალმა **დათვალა**, იტირა, **დათვალა**, იტირა და სახში არვინ, ტირილი არ იყო ჰეჩ (=საერთოდ). ჰა, **დათვალა** და იტირა იმ თქვენიდამ მოსული ქალი, **დათვალა** და იტირა...

სულხან-საბას “სიტყვის კონის” მიხედვით: **თუალვა** - “რიცხვა” (სულხან-საბა, 1991);

ილ. აბულაძის “ძველი ქართული ენის . ლექსიკონში” **თუალვა** ზმნის შემდეგი მნიშვნელობებია აღნუსხული:

დათუალვა - ჩათვლა, მითვლა;

თუალვა - აღრიცხვა, თვლა; დათვალიერება;

მოთუალვა - დათვალიერება, მონახულება; დათვლა; ჩაბარება; შეწყყნარება;

მითუალვა - მიღება, შეწყყნარება, მითვლა, მირთმევა;

წარმოთუალვა - ჩამოთვლა, მოყოლა;

გარდათუალვა - გადათვლა;

ადთუალვა, **ათუალვა** - აღრიცხვა, დათვლა; დათვალიერება, აღლუმი (ილ. აბულაძე, 1973).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში **თვლა** ზმნა რამდენიმე მნიშვნელობითაა წარმოდგენილი:

დათვლის (დათვალა, დაუთვლია) - 1. თვლით რისამე რაოდენობას ვამოარაკვევს... 2. გადატ. იხ. ჩათვლის;

თვლის - 1. (თვალა, უთვლია) - რისამე რაოდენობას არკვევს;

2. (ჩათვალა, ჩაუთვლია) - მიაჩნია, ჰგონია;

3. ს-თვლის (შესთვალა, შეუთვალა), იხ. უთვლის (ქველ).

ქართველურ კილოებში **დათვლა/დათვალვა** ზმნას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელობებისა, განსხვავებული ნიუანსებიც მოეპოვება, კერძოდ:

მოხეურსა და მთიულურ-გუდამაყრულში “მოყოლის“, “მბობის“ მნიშვნელობით დასტურდება:

დათულის (მოხ.) - მოჰყვება, ჩამოთვლის (ამბავს, ზღაბარს, ლექსს).

ზიძავ, აბა *დაგუთითოლე* რაიმე ძუელი ამბოვი“ (ივ. ქავთარაძე, 1985);

დათვლიან (მთ.-გუდ.) - მოჰყვებოდნენ. ტექსტში: აქ *დათვლიანკე* ბერიკაცებმა - კარგი კაციო იყო - სანდროზე, ღვდელი მაინცდამაინც კერა (ლ. კაიშაური, 1978, გვ. 85).

ხევსურულში **დათვლა/დათვალვა** აღნიშნავს:

დათვალვა - 1. დათვლა, აღრიცხვა; 2. ლექსის თქმა ან ტირილით მოთქმა (მკვდარზე *დათვალვა* იცოდეს კაცებმ, ვპიტირილ მარტო მშავლებმ [კაცებმა] იცოდეს (ხევს. თავისებ., 341, 31);

დათვლა - იხ. დაუთვალავს (“კაცებმაც იციან მიცვალეზულისათვის დათვლა“ (სტ. მასპ. 47, 36-37); “ეხლადამც შენ გამახოლ ევერ, რაფელაც შენ დათვლაზე მიხიელ გამავილ!“ (სტ. მასპ. 49, 9);

დაუთვალავს - მოთქმით დაიტირებს, ტირილის ტექსტს ეტყვის (“ქალო, შენ რაადალ არ დაუთვალავ? ერთხან შენაც დაუთვალო!“ (ალ. ჭინჭარაული, 2005).

შდრ.; მეგრული **თვალუა**, რომელიც, ხევსურული და იმერხელი დიალექტების მსგავსად, აღნიშნავს: 1. თვლა, 2. მოთქმით ტირილი, გოდება (ო. ჭაჭაია, 2001).

როგორც ვნახეთ, **დათვლა/დათვალვა** ზმნა ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში რამდენიმე მნიშვნელობით დასტურდება: თვლა-აღრიცხვა, დათვალიერება, შეწყნარება, მოყოლა, მოთქმა, ხმით დატირება... ამათგან ამოსავალი პირველი მნიშვნელობა (თვლა) უნდა იყოს, დანარჩენი მისგან განვითარებული ჩანს.

საეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი ქართ. **თვალ-**: ზან. **თილ-**: სვან. **თერ-** // **თეურ-** // თვალი, დათვალიერება“ ძირთა შესაძლო კავშირზე ქართ. **თვალ-**: სვან. **შდილ-** // **შელდ-** // **შოლდ-** // **შელდ-** “დათვლა“ ფუძეებთან (მ. ჩუხუა, 2000-2003, გვ. 320).

II. სალოკელი: იმერხელ დიალექტში “მარილის, ქვამარილის“ მნიშვნელობით შეგვხვდა **სა-ლოკ-ელ-ი** (**ლოკ-** ძირისაგან **სა-ელ** კონფიქსით ნაწარმოები დანიშნულების სახელი):

ლახანას მოვსჭრი, შუა-შუა დავსჭრიოთ, ჭურეფში ჩავაჭახებ, იქილამ დავასხამთ წყალ, **სალოკელ** დავადებ, **მარილი**, **სალოკელ**, გეიგემებ, გერმელად დადებ და შჭამ...

...**ქვამარილაჲ, ხალოკი, ხალოკი** ასენ-ნა დაადვა, არ გადაამტუტო, მაატეხო თეთრი, შავიც, არა, თეთრი მარილი, დაადებ ლამაზა, დადგება და შჳამ...

ხალოკი/ხალოკელი ფორმები ქართული ენის ლექსიკონებში შემდეგი მნიშვნელობებით დასტურდება:

ხალოკელი - მჟავე შაქრით შეგბოლილი (შეგბობილი Ab) სნეულთათვის შესალოკად ZA. მჟავით შაქარსა შეაგბობენ სნეულის ხალოკელად (სულხან-საბა, 1993).

ხალოკელი/ხალოკი - ზედ. ასალოკავი, ან მჟავითა და შაქრით მოხარული საკმელი სნეულთათვის (დ. ჩუბინაშვილი, 1984).

ხალოკი - მიმღ. ვნებ. მყ. 1. რაც უნდა ლოკონ; რის ლოკვაც შეიძლება. 2. რითაც ლოკავენ. 3. მლაშე, მარილიანი ადგილი, სადაც პირუტყვი დადის ლოკვის მიზნით;

ხალოკელი - მიმღ. ვნებ. მყ. იგივეა, რაც ხალოკი (მნიშვნ. 1) (ქველ).

მსგავსი მნიშვნელობით დასტურდება **ხალოკი/ხალოკელი** დიალექტებშიც:

ხალოკ (ინგ.) - მონადირეების მიერ საგანგებოდ დამლაშებული წყლიანი ადგილი (მთის წყარო, გუბე და მისთ.) ნადირის მოსატყუებლად. — ჯან., მენთ., ხალოკი, ხალოკავი მლაშობი (ბიკობი) ადგილი, სადაც ნადირი მიდის ხალოკავად. ჭინჭ., ვაჟა (რ. ლამბაშიძე, 1988).

ხალოკი (ხეცს.) - მჟავე, მარილიანი წყალი (ალ. ჭინჭარაული, 2005).

სალიტერატურო ენასა და დიალექტებში **ხალოკი** ძირითადად ლოკვასთანაა დაკავშირებული. საკუთრივ “მარილის” მნიშვნელობით იგი მხოლოდ იმერხელში დასტურდება. **ხალოკელი** სიტყვისთვის ამოსავალი, რა თქმა უნდა, **ლოკ-** ძირი და მისი სემანტიკაა.

ლოკ- სქართველური ძირია; ჭან. **ლოკ-/ლოსკ-**, მეგრ. **ლოტკ-**, ქართ. **ლოკ-**, სვან. **ლი-ლწკ-ე...** აუხსნელი რჩება **ხ-** ჭანურში (**ლოსკ-**) და **ტ-** მეგრულში (**ლოტკ-**)... მნიშვნელობა ერთი და იგივეა“ (არნ. ჩიქობავა, 1938, გვ. 303).

3. ფენრიხი, ზ. სარჯველაძის მიხედვით: სქართველურში აღდგება ***ლოკ-**. ქართული **ლოკ-** ძირს შეესატყვისება მეგრული **ლოკ-**, ლაზური **ლოკ-** (მეგრ. **ლოსკ-** და ლაზ. **ლოსკ-** ვარიანტების წარმოქმნას ამ ძირის ექსპრესიული ხასიათი უნდა განაპირობებდეს) და სვანური **ლწკ-** (ასახსნელია **ლწკ-** ვარიანტის ხმოვნის წარმომავლობა)“ (3. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000, გვ. 307-308).

III. იმერხელ დიალექტში **თრამლი** გვხვდება “ჩირქის” აღმნიშვნელად. ადასტურებს შ. ფუტყარაძე (შ. ფუტყარაძე, 1993).

თხრამლი სულხან-საბასთან “არს მუწუკის ზრქელი ბაყლი ნადენი” ანუ მუწუკიდან ნადენი სქელი ჩირქი (სულხან-საბა, 1991); დ. ჩუბინაშვილთან — “ბაყლი, წუთხი, შალალი” (დ. ჩუბინაშვილი, 1984).

ილ. აბულაძე ამ ფორმას არ ასახელებს.

რ-ს სრული ასიმილაციისა და ლ-ს დაკარგვის შედეგადაა მიღებული იმერული ფორმა **თხლამი**-ი “ბაღლამი, ჩირქი” (ალ. დლონტი, 1984).

3. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე ერთმანეთს უკავშირებენ ქართულ **თხამლ-/თხრამლ-**, **თხამლ-ი/თხრამლ-ი**, მეგრულ **თხომურ-/თხუმურ-თხომურ-ი/თხუმურ-ი** "ჩირქი", **თხუმურელი** "მუწუკი" და ლაზურ **თხომურ-/თხომრ-/თხომბრ-/თხომურ-ი/თხომრ-ი/თხომბრ-ი** "ჩირქი", **თხომურ-ონ-ი** "ჩირქოვანი" ფორმებს.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ძველ ქართულ ენაში გვხვდება **თხრამლი** ფორმა და მოჰყავთ მაგალითი "შუშანიკის წამებიდან": "**თხრამლი** აღმოსდიოდა ადგილდ-ადგილდ" (მუშ. XIV,V).

ისინი ვარაუდობენ, რომ **თხრამლ-** ვარიანტის არქაული სახე დაცული უნდა იყოს **თხამლ-**ში, რომელიც დიალექტებში გვხვდება და არ არის გამორიცხული, "შუშანიკის წამებაში" თავდაპირველად **თხამლ-ი** ყოფილიყო (არგუშენტად მოჰყავთ ფაქტი, რომ "შუშანიკის წამების" ის ნაწილი, რომელშიც ეს სიტყვა დასტურდება, გვიანდელი, XVII-XVIII საუკუნეთა ხელნაწერებით არის მოღწეული) (3. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990).

ს.-ქართული, მეგრული და ლაზური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ. გ. კლიმოვი ***თხამლ** არქეტის ე.წ. ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისად მიიჩნევს (3. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990).

მ. ჩუხუა აღადგენს ს.-ქართველურ ***თხ-** "სითხე, თხევა" > სალიტ. ქართ. **თხ-**, **თხ(რ)-ამლ-ი**; სი-**თხ-ე** : ზან. **თხ-**, **თხ-ორ-**, **თხ-ომ-ურ-ი**. სვან. **თხ-ეკ-**, ლე-**თხრ-ე**, **თხ-უნ-**, **თხ-არ-||თხრ-არ-**.

იგი წერს: "ჩვენ მიერ მოხმობილი სვან. **თხ-ეკ-**, მეგრ. **თხ-** (< **თხ-**) იგივე ფუძეებია, რაც ჰან. **თხხორ-** "ღებინება", სვან. ლი-**თხ-**უნ-ე "პირღებინება", ა-**თხ-**არ "გასკადა", ლი-**თხრ-ე** "სითხიანი ჭურჭლის გახეთქვა", რომელთაც ადრე სამართლიანად აკავშირებდნენ ქართ. **თხ-** "სითხე, თხევა" ძირთან. აქვე შემოსატანია: ქართ. **თხრ-ამლ-ი** : ზან. **თხ-ომ-ურ-ი**: სვან. ლე-**თხრ-ე** "მუწუკი" (მ. ჩუხუა, 2000-2003).

ჩვენი აზრით, იმერხელში დადასტურებული არქაული **თხრამლი** > **თრამლი** "ჩირქი" ფორმა მიუთითებს, რომ "შუშანიკის წამების" **თხრამლი** ფორმა მეორეული არაა.

თუ გავითვალისწინებთ არქაული სამწიგნობრო ქართულის, მეგრულ-ლაზურის, სვანურისა და იმერხელის მონაცემებს, არქეტებად შეიძლება აღვადგინოთ არა **თხამლ-**, არამედ **თხრამლ-**, რომლისგანაც დიალექტთა ნაწილში **ხ-**ს ამოვარდნის შედეგად მივიღეთ **თრამლ**, ნაწილში **რ-**ს ასიმილაციითა და შემდგომ **ლ-**ს დაკარგვით — **თხამლ-**.

IV. იმერხელში დაღრება ნიშნავს: "თანდათანობით ავად გახდება, დაუძლურდება". გვხვდება შ. ფუტკარაძესთანაც (1993).

ილ. აბულაძის "ძველი ქართული ენის ლექსიკონში" ეს ფორმა განმარტებული არ არის, ისევე როგორც ზ. სარჯველაძესთან.

ქველ-ში **ღრება-ა** (**ღა-ღრა**, **ღა-მღრალა**) ფორმებს მითითებული აქვს, რომ ძველი ფორმაა, გვხვდება გურულ დიალექტში და ჩათვლილია "**ჰკენებას**" სინონიმურ ვარიანტად. აქვე მოტანილი არის ნიმუში "ვეფხისტყაოსნიდან": "ვარდი ჰნებოდა, **ღრებოდა**, ალვისა რტო ირხეოდა".

ქკნება- განმარტებულია შემდეგნაირად: სინედლე აკლდება, სინორჩეს კარგავს (ითქმის მცენარეზე). || ფიგურ. ავად როდი ვარ, როდი ვწევარ, ისე ფეხზე ვქკნები (ჭ. ლომთ.) (ქეგლ).

3. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე გამოყოფენ ***ღრ-** ძირს და ერთმანეთს უკავშირებენ ქართულ **ღრ- ღრ-ობა**-ა “ჭკნობა”, **ღრ-ებ-ა**, **და-ღრ-ა**, **და-მ-ღრ-ალ-ი** და სვანურ **ღრ- მგ-ღრ-ა** “მზეზე გამხმარი ხე” ფორმებს.

მეცნიერები არ გამორიცხავენ ამავე **ღრ-** ძირთან მეგრ. **ჟღირ-** (ჟღერ ქკნება“; **ჟღირ-აფ-ა/ჟღ რ-აფ-ა** ქკნება“ და სხვ.) ფორმის შესაძლო კავშირს (3. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990).

ღრ-, **ღრებ-** ძირს შეიძლება დაეუკავშიროთ იმერული და გურული **დაღრნობა** “დაჭკნობა” და **დამღნარი**, **დამღრალი** “დამჭკნარი” ფორმები (ალ. ლლონტი, 1984).

იმავე ძირის ფონეტიკური ვარიანტია გურულში დადასტურებული **ნაღრიბი** “გამხდარი, დაღეული ბავშვი” და იმერული **ნაღრიბალა** “პატარა, ერთიციქნა”, “დაგლახებული, გადატაკებული” (ალ. ლლონტი, 1984), “სუსტი, მისიკვდილებული, ცუდი” (ბაღდათი, მ. დოგრაშვილი) ფორმებიც: **“ნაღრიბალა** სიმინდი, **ნაღრიბალა** გოჭი”.

ამავე **ღრ-** ძირს უკავშირდება მეგრული **ღურ-ა** “სიკვდილი” (ო. ქაჯაია, 2002).

ამდენად, იმერხეული **დაღრება** საერთოქართველური **ღრ-** ძირის მქონე ფორმაა.

V. იმერხელში ჩააფურტნის აღნიშნავს: “ჩააფურთხებს”: ღარჭმა ზედან დააფურტნა...

ნ. მარის ტექსტებში ეს ფორმა არ დასტურდება; შ. ფუტკარაძესთან ამავე მნიშვნელობით გვხვდება.

სულხან-საბასთან **ფრუტ-**ი “ნისლიანი თქორია” (სულხან-საბა, 1993). ილ. აბულაძისა და ზ. სარჯველაძის ლექსიკონებში ეს ფორმები არ არის. ქეგლ-ში **ფრუტ-** ფორმა განმარტებულია სულხან-საბას ლექსიკონზე დაყრდნობით (ქეგლ).

გურულ დიალექტში **ფურტნა** ნიშნავს “ფურთხებას”; **მიაფურტნა** - “მიაფურთხას” (ალ. ლლონტი, 1984).

მეგრულშიც **ფურტინი** (ფურტინს) “ფურთხია” (ო. ქაჯაია, 2002).

3. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე ს.-ქართველური **ფრუტ-** ძირის კანონზომიერ შესატყვისად მიიჩნევენ მეგრულ **ფურტ-**სა და ლაზურ **ფურტ-**ს (< ***ფრუტ-** მეტათეზისის შედეგად). “მეგრულში სიტყვას აქვს ფურთხების მნიშვნელობა, რაც არ არის დამაბრკოლებელი შესაბამის ქართულ და ლაზურ ფორმებთან დაკავშირებისათვის” (3. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990).

მეგრული და ლაზური ფუძეები ერთმანეთს დაუკავშირა გ. კლიმოვმა; ქართული ეკვივალენტი მოიხმო ზ. სარჯველაძემ. გ. კლიმოვმა აღადგინა ***ფრტჟინ-** არქეტიპი (3. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990).

როგორც ვხედავთ, იმერხეული **ჩაფურტინის** შეიძლება დაფუკავშიროთ საერთოქართველურ **ფრუტ-** ძირს.

დღეს, გლობალიზაციისა და უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულების მოძალების ფონზე, იმერხეული დიალექტის შესწავლის საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. იმერხეულში თანდათან ფეხს იკიდებს უცხოური სიტყვა-გამოთქმები, რაც ნელ-ნელა საფრთხეს უქმნის ქართული ენის დიალექტის ლექსიკურ მარაგს. ამიტომ საშური და აუცილებელია საქართველოს დღევანდელ საზღვრებს გარეთ დარჩენილი ქართული კუთხეების ლექსიკური ფონდის შესწავლა, სიტყვაფორმების აღნუსხვა, სალექსიკონოდ მომზადება და გამოცემა, რაც დიდი ეროვნული და საშვილიშვილო საქმეა.

საფუძვლიანი მეცნიერული კვლევა-ძიება მოითხოვს რეგიონში ხანგრძლივ მუშაობას. მაგალითისთვის მოვიტანთ ერთი სოფლის, კერძოდ, იმფხრეგლი-იმნიეთის მიკროტოპონიმთა ჩაწერის ისტორიას:

იმფხრეგლში (სადაც იმნიეთიც მოიაზრება) ნ. მარს სულ ჩაწერილი აქვს 5 ტოპონიმი, შ. ფუტკარაძეს — 96, ნ. ცეცხლაძეს — 92. ამავე დასახლებულ პუნქტში (პუნქტებში) ჩვენ ჩავიწერეთ 189 ტოპონიმი (ტ. ფუტკარაძე, მ. მიქაუტაძე, 2006).

ამგვარი სხვაობა იმით აიხსნება, რომ ჩვენ საშუალება გვქონდა ოფიციალური ექსპედიციის პირობებში ერთი სოფლის მიკროტოპონიმების ჩასაწერად ერთი სრული დღის მანძილზე გვემუშავა (და შემდგომ საგანგებოდ გადავემოწმებინა), მაშინ როცა წინამორბედ მკვლევრებს მუშაობა რთულ ვითარებასა და მცირე დროში უხდებოდათ.

სხვა სახელმწიფოში ინტენსიური საველე მუშაობა რთულია.

ბოლო პერიოდში ევროკავშირზე ორიენტირებული თურქეთის ხელისუფლება კარგად აცნობიერებს, რომ თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში არსებული ქართველური ენა-კილოები და კულტურულ-მატერიალური ძეგლები დიდი სიმდიდრეა როგორც თურქეთისთვის, ასევე საქართველისთვის, შესაბამისად, ამჟამინდელი ხელისუფლება აღარ ზღუდავს ქართველი მეცნიერების გადაადგილებას ტაო-კლარჯეთსა და ცენტრალურ თურქეთში, მეტიც, ხელს უწყობს ქართველი და თურქი მკვლევრების თანამშრომლობას რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-პოპულარიზაციაში...

თუმცა პრობლემა იქმნება ფინანსური თვალსაზრისით. ვერ ხერხდება სამეცნიერო ექსპედიციების დაფინანსება, რომლის გარეშეც ამის გაკეთება შეუძლებელია. არადა, დრო არ ითმენს... მეცნიერთა (დიალექტოლოგთა) ვალია, მოვიძიოთ და შევისწავლოთ ჩვენს ისტორიულ კილოებში დავანებული სიტყვაფორმები. მსგავსი ექსპედიციების მოწყობა აუცილებელია ჩვენი ენის საფუძვლიანი კვლევისათვის, ქართული ენის ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად, ქართული სამწიგნობრო ენის სალექსიკონო ბაზის შევსება-სრულყოფისათვის.

დამოწმებული ლიტერატურა

ილ. აბულაძე, 1973 - ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ლ. კაიშაური, 1978 - ლ. კაიშაური, მთიულური ტექსტები, თბ., 1978.

Март Н.Я., 1911 - Март Н.Я., Дневник поездки в Шавшетию и Кларджети: Георгий Мерчуле. Житие св. Григория Хандзтийского, С. - Петербург, 1911.

ა. მარტიროსოვი, 1984 - ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.

შ. ნიჟარაძე, 1957 - შ. ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ), ბათუმი, 1957.

სულხან-საბა ორბელიანი, 1991 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991, ტ. II, თბ., 1993.

პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000 - პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

ტ. ფუტყარაძე, მ. მიქაუტაძე, 2006 - ტ. ფუტყარაძე, მ. მიქაუტაძე, იმნიეთის (შავშეთის) მიკროტოპონიმია, ქართველური მემკვიდრეობა, X, ქუთაისი, 2006.

ტ. ფუტყარაძე, 2007 - ტ. ფუტყარაძე, იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი, ქუთაისი, 2007.

შ. ფუტყარაძე, 1993 - შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

ივ. ქავთარაძე, 1985 - ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I-VIII, თბ., 1950-1964.

ო. ქაჯაია, 2001, 2002 - ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, სამ ტომად, თბ., ტ. I - 2001, ტ. II-III - 2002.

რ. ღამბაშიძე, 1988 - რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკა, თბ., 1988.

ალ. ღლონტი, 1974 - ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1974.

გ. ყაზბეგი, 1995 - გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, თბ., 1995.

დ. ჩუბინაშვილი, 1984 - დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, II გამოცემა, თბ., 1984.

მ. ჩუხუა, 2000, 2003 - მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.

ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, თბ., 2000.

ალ. ჭინჭარაული, 2005 - ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, ბათუმი, 2005.

ზ. ჭიჭინაძე, 1913 - ზ. ჭიჭინაძე, მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი, 1913.

MAIA MIKAUTADZE, EKA DADIANI

IMERKHEVIAN WORD-FORMS AND ONOMASTICS MATERIAL AS AN INEXHAUSTIBLE SOURCE OF THE GEORGIAN LITERARY VOCABULARY AND THE GEORGIAN HISTORY

The speech of the Imerkhebian Georgians, isolated during centuries from the literary Georgian language, is of great interests in terms of its grammar proper (phonetics-morphology-syntax), and its word-stock as well. In the existing historical records and in the writings of travellers about Imerkhevi we find Geographical names that are difficult to identify in the region at present. Due to variety of reasons it is hard to localize the place. Some names vanished, others have come to these days with altered variants.

Officially all the villages of Shavshet-Imerkhevi have been given Turkish names. Original Georgian names gradually fall into oblivion. Unfortunately, still survived Georgian toponyms in the popular memory that present an abounding source and treasury for the Georgian language and history are under the threat of the complete obliteration.

The Imerkhebian dialect abounds with archaic Georgian words and phrases. Although a certain part of these words still occurs sporadically in the literary Georgian many lexical units have acquired different nuances of their meanings. These word can have identical variants in other Kartvelian dialects.

This paper discusses some of these lexical units, as: *datvla/datvalva*, *salokeli*, *tramli*, *daghreba*, *chaafurtnis*.

1. *datvla/datvalva* – the verb, has the following meaning in the Imerkhebian dialect of Gergians: 1. count, calculate; 2. lamentation of the dead.

datvla/datvalva – verb has also some other meanings in the literary Georgian and the other dialects: count, calculate, register; observe, examine; forgive; narrate; lamentation.. evidently, the original meaning is ‘to count’ and all the others seem to develop from it

2. *salokeli* – in the Imerkhebian is used with the meaning “salt, lump of salt”. The root is “lok” (to lick) and the word is derived through sa-el confix.

In the literary language and dialects *salokeli* is mainly related to ‘licking’. With the meaning of “salt” it is attested only in Imerkhebian. The semantics of *salokeli* i.e. *licking* has become to denote the substance that could be licked.

3. In the Imerkhebian dialect *tramli* means “pus”. In the *Passion of Shushanik* “tkhramli” form is not the secondary one: *tkhramli* -> *tramli*.

Considering the data of the old Georgian, Megrelo-Laz, Svan and Imerkhebian dialects we can restore the architype *tkhraml* (and not *tkhaml*) from which in some dialects it is preserved as *tramli*, because of the loss of the *kh*; and in some instances through the assimilation of r-> l and then dropping the “l” gave *tkhaml* variant.

4. *daghreba* means “to become ill gradually”, “to become feeble”. -*ghr*- can be related to Imeretian and Gurian “daghroba” meaning “to wilt” and the derived

from it the words “damghnari, damghrali” (wilted). The same root occurs in the Gurian “naghribi” meaning a thin child, and Imeretian “naghribala” meaning “tiny,, very small”; and “impoverished.” The same root is found in megrelian *ghura* meaning “death”. The Imerkhebian form “daghreba” is related to the common Kartvelian root *-ghr-*.

5. *chaafurnis* means “he will spit”. Cf.: *prut-i* meaning “light rain in the fog, drizzling” according to Sul Khan-Saba dictionary. Gurian *prutna* also means “spitting”, and the megrelian *prutini* also means “the spit”.

H.Fernich, Z. Sarjveladze think that the Megrelian *prut* and Laz *purt* are regular correspondences to the common Karvelian *prut* root and we consider that to this also belong the Imerkhebian *chaafurnis*.

Nowadays on the background of the globalisation processes and high pressure of the foreign words creeping into the Imerkhebian dialects make urgent issue to learn the vocabulary of the dialects beyond the borders of the modern Georgian state and prepare them for publication.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

**მემედ აბაშიძე – ქრისტიან და მაკმადიან
ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი
ერთობისთვის მებრძოლი მამულიშვილი**

მემედ-ბეგ აბაშიძე (1873-1937 წწ.) იმ ქართველ მამულიშვილთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის ცნობიერებაში ისტორიულ ავტონომიაზე შედეგად დარღვეული ეროვნული ერთობის აღსადგენად. მისი მამულიშვილური ღვაწლის ამგვარი შეფასებისათვის მყარ საფუძველს ქმნის ის ფაქტი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დედამამულობის მოწყვეტილ ქართველ მუსლიმანთა კვლავაც ქართული სახელმწიფოს სისტემაში ნაწილად ქცევისათვის მან ძალზე ბევრი რამ გააკეთა როგორც თავისი აქტიური პუბლიცისტურ-ჟურნალისტური და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობით, ისე პრაქტიკული საქმიანობითაც.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ქართული სახელმწიფოს ღვიძლ და განუყოფელ ნაწილად “სამუსლიმანო საქართველოს” დამკვიდრების საქმეში მემედ აბაშიძის ნაპროვული ღვაწლი იმდენად დიდია და ყველასგან გამორჩეულია, რომ ამ მხრივ მას ფაქტობრივად ვერაფერს შეედრება. საკუთარი დამსახურება ზემოთ აღნიშნული მიმართულებით 1921 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში თავად მან შემდეგნაირად შეაფასა: “ჩვენ დავისახეთ მიზნად ისტორიული საქართველოს ძმობისა და საზღვრების აღდგენა და კიდევაც შევძელით, ოთხას ოცი წლის განმავლობაში მშობლიურ მიმართულებას ამცდარ ისტორიისათვის მიგვეცა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მსვლელობა. ამას ჩვენ ვისიმეს დავალებით კი არა, არამედ ჩვენი წინანდელი თაობის მიერ ჩვენდა სამკვიდროდ შექმნილი და გადმოცემული ეროვნული მეტყველება გვიკარნახებდა, და რისთვისაც სინდისიერად ვმსახურებდით” (მემედ აბაშიძე, თხზულებანი, გამოსცა გურამ შარაძემ, თბ., 1998 წ. გვ. 115-116).

სამწუხაროდ, მაკმადიან და ქრისტიან ქართველთა ეროვნული ერთობის მისაღწევად და დედამამულობისთან საუკუნეების განმავლობაში მისგან მოწყვეტილი და გაუცხოებული “სამუსლიმანო საქართველოს” მარადიულად დასაკავშირებლად გაწეული ეს დიდი ღვაწლი მემედ აბაშიძეს კომუნისტებმა იმით დაუფასეს, რომ, რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ხელმეორედ დაპყრობის შემდეგ, იგი ჯერ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დიდ ასპარეზს ჩამოაშორეს, 1937 წელს კი დაიჭირეს და წამებით გამოასალმეს სიცოცხლეს.

მიუხედავად იმ გაუმდებელი ღვენა-მევიწროებისა, რასაც მემედ აბაშიძე მთელი ცხოვრების განმავლობაში განიცდიდა როგორც შინაური მტრებისაგან, ისე რუსი და თურქი ოკუპანტებისაგან, მას უკან მიინც

არასოდეს დაუხევია და კარიერისტული მიზნების მისაღწევად თავისი მამულიშვილური იდეალებისათვის არასოდეს უღალატია. საკუთარი ეროვნული პრინციპებისადმი მ. აბაშიძის ამგვარი ერთგულების დასტურად აქ თუნდაც იმ შეფასების გახსენებაც იქნება საკმარისი, რომელიც მან საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მისი ცილისმწამებელი ოპონენტების მიერ მის წინააღმდეგ განახლებული ძალით წამოწყებულ ბრძოლას მისცა: “მართალია, — წერდა იგი 1921 წელს დაწერილ ერთ-ერთ წერილში, — თავისუფლების ხანაში ყველას აქვს თავისუფალი ნაზარდობის და ჯირითობის ნება, მაგრამ იმის ნებას კი არვის მივცემ, რომ გულზე ფეხი დამაბჯინოს და შემითითხნოს ის სიყვარული მამულისადმი, რომელიც მაფრთოვანებდა ბავშვობიდან, რომელმაც აღმზარდა, დამაფუძვალა და თავდავიწყებამდე მიმიყვანა. მე მთელი გული და მთელი მეჭლისის გულიც სამშობლოს სამსხვერპლოზე დავწვი და მიხარის ერთი, რომ მიზანი მიღწეულია: სამუსლიმანოს საქართველოს ავტონომია და დედა სახელმწიფო საქართველოსთან მარადიული შესისხლხორცება” (მ. აბაშიძე, მითითებული წიგნი, გვ. 119).

* * *

უპირველესი პრინციპი, რომელიც თავიდანვე იქცა მემედ აბაშიძის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და პუბლიცისტურ-ლიტერატურული მოღვაწეობისთვის უმთავრესი მიმართულების მიმკემ მოვლენად, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისთვის უკომპრომისო ბრძოლა იყო. ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთილი თავისი ეროვნული მრწამსით მ. აბაშიძე ამ შემთხვევაში იმ დიდი ტრადიციების ღირსეულ მემკვიდრედ გვევლინება, რომელთაც მისი წინამორბედი ქართველი მამულიშვილები, პირველ ყოვლისა კი ილია ჭავჭავაძე, ამკვიდრებდნენ თავიანთი აქტიური მოღვაწეობის შედეგად.

მ. აბაშიძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალთახედვისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ იგი მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში დედასამშობლოს მოწყვეტილი “ოსმალის საქართველოს” წიაღიდან ამოზრდილი პირველი დიდი მოღვაწეა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ეროვნული იდეალი საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობისა და დამოუკიდებლობისთვის აქტიური ბრძოლა იყო, მ. აბაშიძის საზოგადოებრივ და შემოქმედებით მოღვაწეობას ამ გარემოებად მკაფიოდ გამოკვეთილი მიმართულებაც მისცა — დამოუკიდებლობააღდგენილ ჩვენ ქვეყანაში ე. წ. “სამუსლიმანო საქართველოს” ადგლის განსაზღვრა და სარწმუნოებრივად განცალკევებულ ქართველებს შორის მყარი ეროვნული ერთობის დამკვიდრება.

ზემოთ აღნიშნული მიმართულებით მ. აბაშიძის უდიდეს პიროვნულ დამსახურებას ამ შემთხვევაში არა მარტო ის ფაქტი განსაზღვრავს არსებითად, რომ მან თეორიულად სრულიად სწორად და რეალისტურად გაიაზრა დედასამშობლოსა და “სამუსლიმანო საქართველოს” ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მთლიანობის განმაპირობებელი უმთავრესი პრინციპები, არამედ თავისი პრაქტიკული მოღვაწეობითაც შეასრულა მეტად

მნიშვნელოვანი როლი ამ მიზნის რეალურად განხორციელების საქმეში.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მ. აბაშიძის უპირველეს ეროვნულ იდეალს “სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის უზრუნველყოფა” წარმოადგენდა. უმთავრესი ბარიერი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში დედასამშობლოს მოწყვეტილ და სხვა სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცეულ ქართველებსა და მათ ქრისტიან მოძმეებს ერთმანეთთან დაშლავშირებელ გზაზე ელობებოდათ წინ, მათი რელიგიური რწმენის განსხვავებულობა იყო. მართალია, მ. აბაშიძეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ქრისტიანული სარწმუნოების განსაკუთრებული როლი ქართველი ხალხის ისტორიაში, მაგრამ, მისი ღრმა რწმენით, არც იმ ადამიანების ქართველობაში უნდა შეგვეტანა ეჭვი, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ გარემოებათა გამო მუსულმანები იყვნენ.

სამწუხაროდ, ჩვენი ერის სარწმუნოებრივი მთლიანობის რღვევის ამ პროცესმა XVI-XVII საკუნეებში იმდენად დიდი მასშტაბები შეიძინა, რომ თურქეთის მიერ დაპყრობილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა უდიდესი ნაწილი მართლმადიდებლურ ქრისტიანობას მოსწყდა და სხვა რელიგიურ აღმსარებლობათა, პირველ ყოვლისა კი მაჰმადიანობის, მიმდევარი გახდა. “სამუსლიმანო საქართველოს” ქართველთა შთამომავლობაში ეს რელიგია საუკუნეთა განმავლობაში იმდენად ფართოდ გავრცელდა, რომ დღეს საქართველოშიცა და მის ფარგლებს გარეთაც ამ აღმსარებლობის მიმდევარი მილიონობით ქართველი ცხოვრობს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მუსლიმანურ მოსახლეობაში ნებაყოფლობით მიმდინარეობს წინაპართა რელიგიური რწმენის აღდგენის პროცესი, ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში ის ქართველებიც აქტიურად არიან ჩართულნი, რომლებიც კვლავაც რჩებიან ისტორიული ავბედობის შედეგად მათი წინაპრების მიერ მიღებული მაჰმადიანური სარწმუნოების ერთგულნი. აქედან გამომდინარე, დღევანდელ ქართულ რეალობაზე დაყრდნობით, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება თქმა იმისა, რომ მ. აბაშიძის მიერ ეროვნულ იდეალად დასახული ეროვნული ერთობა ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველებისა უკვე რეალურად არის მიღწეული.

როგორც ჩვენთვის ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, მსოფლიოში დღესდღეობით მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთაგან მართლმადიდებელ ქრისტიანებზე არანაკლები ოდენობის (თუ მეტიც არა) მუსლიმანი ქართველი ცხოვრობს. მათი უმეტესობა თურქეთის მკვიდრია. სამწუხაროდ, ამგვარი სიმრავლის მიუხედავად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, მაჰმადიანური რწმენის მიმდევარ ქართველთა შორის, რომ იტყვიან, სანთლით საქებარი იყო ისეთი ქართველი, რომელიც თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად დიდ ქართულ საქმეთა კეთებასა და თავისი ისტორიული სამშობლოს სამსახურში ღვომას დაისახავდა.

რასაკვირველია, ყოველივე ზემოთქმული ისე არამც და არამც არ

უნდა გავიგოთ, თითქოს მაჰმადიან ქართველობაში ნიჭიერებით გამორჩეული პიროვნებანი არ გვხვდებოდნენ. სამწუხაროდ, ისტორიულ ავბედობათა შედეგად მშობლიურ ფესვებსა და გარემოს მოწყვეტილმა ამ ადამიანებმა თავიანთი ინტელექტუალური შესაძლებლობანი სხვა ქვეყნების სამსახურს მოახმარეს.

იმის გამო, რომ “სამუსლიმანო საქართველოს” ნაწილის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ ამ რეგიონის მოსახლეობის შერწყმა-შეისხლხორცების პროცესი ქართულ ინტელექტუალურ და საგანმანათლებლო სამყაროსთან საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მათი ცნობიერების არსებითი გარდაქმნა ზემოთ აღნიშნული მიმართულებით, ფაქტობრივად, მხოლოდ მეოცე საუკუნეში ხდება. მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ამ პროცესის წარმართვის საქმეში იმ პერიოდის მთელი ჩვენი ინტელექტუალური ელიტა იყო აქტიურად ჩართული, ამ გარდატეხის უპირველეს და უმთავრეს შემოქმედად მაინც მემედ აბაშიძე იქცა, — ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც და თავისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის მასშტაბებითაც მკაფიოდ გამორჩეული პირველი მუსლიმანი ქართველი მაიულიშვილი მთელი “სამაჰმადიანო საქართველოდან”.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მემედ აბაშიძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მრწამსის განმსაზღვრელი უმთავრესი პრინციპების შესწავლას არა მარტო ისტორიული თვალსაზრისით უნდა მივუქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, არამედ თანამედროვეობის არსში გასარკვევადაც და სამომავლო განვითარების სწორი ორიენტირების დასადგენადაც.

მ. აბაშიძის ეროვნულ მოძღვრებაში, ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით, ყველაზე მეტად ფასეული და მნიშვნელოვანი იმ ფაქტორების აქტიური ძიებაა, რომელნიც სარწმუნოებრივად ერთმანეთისაგან გამიჯნული ქართველებისათვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობის აღდგენის საფუძვლად უნდა ქცეულიყვნენ.

ამ ფაქტორთაგან მ. აბაშიძე, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს ენობრივ ერთობას გამოყოფს და თავის ამ მოსაზრებას ერთ-ერთ წერილში ამგვარი განზოგადებული ფორმით გამოთქვამს: “როდესაც ესა თუ ის ერი დაკარგავს მშობლიურ ენას, შემდეგ დაურჩება განა მას რაიმე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სახე? რასაკვირველია, არა” (მ. აბაშიძე, მითითებული წიგნი, გვ. 137).

ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებაზე დაყრდნობით, “საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს” გამოლიანების პერსპექტივას 1919 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში მ. აბაშიძემ ასეთი შეფასება მისცა: “სიტყვა “საქართველოს” განმარტება არ ესაჭიროება. როცა “საქართველო” ითქმის, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ამ სახელწოდების ერთი მოლაპარაკე ერის მიწა-წყალი, სამშობლო თვალ-წინ წარმოგვიდგება, რასაც საქართველო და საქართველოს ერთი მოლაპარაკე ერი — ქართველი ეწოდება.

და ამიტომაც არის, რომ სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობისთვის ვმუშაობთ” (მ. აბაშიძე, მითითებული წიგნი, გვ. 152).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტითაც თვალნათლივ ჩანს, ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების ეროვნულად გამაერთიანებელ უმთავრეს ძალად მ. აბაშიძეს მათი ენობრივი ერთობა მიაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული ავბედობის გამო ისინი საუკუნეების განმავლობაში იყვნენ ერთმანეთისაგან გათიშულნი, ზემოთ ხაზგასმული ენობრივი ერთობა ყოველგვარი დაეჭვების გარეშე ადასტურებდა ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების ეროვნულ მთლიანობასა და განუყოფელობას.

მ. აბაშიძისავე განმარტებით, მის მიერ იდეალად დასახული მიზნის „ძირითადი აზრი, იდეია ორი მუხლისაგან შედგებოდა: პირველი ძირითადი აზრი იყო საქართველოს მთლიანობა და მეორე — სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია“ (მ. აბაშიძე, მითითებული წიგნი, გვ. 163).

იმის გათვალისწინებით, რომ დედასამშობლოსაგან ოთხსაუკუნოვანი განშორების მიუხედავად, „სამუსლიმანო საქართველოს“ ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კვლავაც მშობლიური ენობრივი სამყაროს წიაღში ცხოვრობდა, მ. აბაშიძე ღრმად და დაუქვევლად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მის მიერ იდეალად დასახული ზემოთ აღნიშნული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობის აღდგენა სულაც არ წარმოადგენდა უტოპიური ოცნების საგანს.

თუმცა, მ. აბაშიძის მტკიცებით, სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და ყოფით-სარწმუნოებრივ სივრცეში ხანგრძლივად ცხოვრებამ ქრისტიანი და მუსულმანი ქართველები, მათი ეროვნული ერთობის მიუხედავად, იმდენადც დააშორა ერთმანეთს, რომ „სამუსლიმანო საქართველო“ ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში მხოლოდ და მხოლოდ ფართო ავტონომიის სტატუსით უნდა შესულიყო. ეროვნულ იდეალად დასახული ამ მიზნის მისაღწევად მ. აბაშიძე არა მარტო თავისი პუბლიცისტიკით იბრძოდა აქტიურად, არამედ პრაქტიკულადაც კერძოდ, ამ თვალსაზრისით მან მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია მისივე ინიციატივით შექმნილი „ქართველ მუსლიმანთა კომიტეტისა“ და „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ თავმჯდომარეობისა და ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა მეჯლისის ხელმძღვანელად ყოფნის პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ დედასამშობლოს შემადგენლობაში აჭარის ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრების პრობლემის გადასაწყვეტად გამართულ უმწვავეს ბრძოლაში მას თანამოაზრეებიც მრავლად ედგნენ გვერდით, ლიდერის როლის შესრულება, პირველ ყოვლისა, მაინც მას უხდებოდა და „სამუსლიმანო საქართველოს“ მოსახლეობის სახელით ხსენებული ორგანოების მიერ მიღებული ყველა დადგენილება, რომელშიც ჩვენი ქვეყნისა და აჭარის რეგიონის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მთლიანობა ერთმნიშვნელოვნად ხაზგასმული, მხოლოდ ფორმალურად არ ბოლოვდება მემედ-ბეგ აბაშიძის ხელმოწერით.

აღნიშნული თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა მემედ აბაშიძისა და მისი თანამოაზრე მუსლიმანი ქართველების: ზია აბაშიძის, გულო ალა კაიკაციშვილის, ისკანდერ ცივაძის, ხასან ლორთქიფანიძის, სულეიმან ბეჟანიძისა და სხვათა ორგანიზებით ბათუმსა და მის ოლქში 1919 წელს გამართულ ხალხმრავალ მიტინგებთან დაკავშირებით იმდროინდელ პრესაში

გამოქვეყნებული ინფორმაციები (ხსენებული პუბლიკაციები იხ. წიგნში: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, III, 2002 წ.).

მთელი აჭარის მასშტაბით გამართული მასობრივი მიტინგებისა და სახალხო კრებების დამაგვირგვინებელ მოვლენად იქცა მ. აბაშიძისა და მისი “კომიტეტი” წევრების ორგანიზებით 1919 წლის 31 აგვისტოს ჩატარებული ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა წარმომადგენლების ყრილობა, რომელმაც ერთსულოვნად დაადგინა: “ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლითა და ხორციით, ენით, კულტურით და ადათებით ქართველები” საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ “ამიერიდან და სამარადისოდ ბათომი და ბათუმის ოლქი უერთდებოდა თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას სამუსლიმანო ფართე ავტონომიის ნიადაგზე” (მ. აბაშიძე, მითითებული წიგნი, გვ. 145-146). ყრილობამ აირჩია ბათუმის ოლქის წარმომადგენლობითი ორგანო — მეჯლისი (იგივე პარლამენტი) და მის თავმჯდომარედ ერთხმად დაამტკიცა მემედ აბაშიძე.

თუ გავითვალისწინებთ იმ ურთულეს მდგომარეობას, რომელშიც ბათუმი და მთელი აჭარის რეგიონი იმყოფებოდა იმხანად (როგორც ცნობილია, ამ დროისათვის მის მისატაცებლად აქტიურად ეცილებოდნენ ერთმანეთს თურქეთი, რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი), ხსენებული დადგენილების მიღება მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამ რეგიონის პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადასაწყვეტად და დედასამშობლოსთან მის შესაერთებლად.

* * *

ერთ-ერთი ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთილი თავისებურება, რითაც მემედ აბაშიძის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თვალთახედვა ქართველ მწერალთა და პოლიტიკოსთა ეროვნულ მოძღვრებათაგან განირჩევა, მისი განსხვავებული სარწმუნოებრივი მრწამსია. ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ იგი იმ ქართველ მამულიშვილთაგან უბირველესია, ვინც პრინციპულად არ გაიზიარა ჩვენში ფართოდ დამკვიდრებული ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქართველი კაცის მიერ მაჰმადიანური რელიგიის მიღება ეროვნულ გადაგვარებასთან იყო გაიგივებული.

მ. აბაშიძის ღრმა და დაუეჭვებელი რწმენით, ამგვარი შეხედულება პრინციპულად მცდარ მოსაზრებას წარმოადგენდა და ის ფაქტი, რომ ქართველთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მაჰმადიანური სარწმუნოების აღმსარებელი იყო, არამც და არამც არ უნდა მიგვეჩინა მათი ეროვნული ცნობიერებისთვის ძირის გამოძხვრელ მოვლენად.

ასეთ თვალსაზრისს იგი გაუგებრობას უწოდებს და 1917 წელს დაწერილ წერილში “სამაჰმადიანო საქართველოს” მოსახლეობის სახელით ასეთ განცხადებას აკეთებს: “ჩვენ როგორც მაჰმადის რჯულით ვბედნიერდებით, ისე ქართული ეროვნებითა ვამაყობთ.” მეორეგან კი წერს: “როგორც ზემოდ აღნიშნული ტერიტორიის მიწა-წყალი, ჰაერი, ბუნება, ენა ქართულია და ხალხი ქართველია, ისე სარწმუნოებით მკვიდრნი

ჰემმარიტი ისლამის ძენი არიან. ვერავითარი ძალა ვერ წარმომიდგენია, რომ მათი სარწმუნოებრივი სიმტკიცე შეარყიოს და აგრეთვე ვერც იმისთანა მძლავრი გავლენა მომისაზრებია, რომ მათი ეროვნული გრძნობა ჩააქროს. არც რაიმე ძალის ზეგავლენით მიატოვებენ თურქულ ენას, რომელზედაც ოთხ საუკუნეზე მეტია მათი სოციალური და სარწმუნოებრივი ცხოვრება სწარმოებს და რომელიც სარწმუნოებრივ ენადაა მიჩნეული, და არც რომელიმე ფაქტორის ძალდატანებითა აიღებენ ხელს იმ მშობლიურ ქართულ ენაზე, რომელზედაც ისტორიის უხსოვარ დროიდან დღემდე ლაპარაკობენ და შეუღალაზავთ. როგორადაც მათი სარწმუნოებრივი დამოკიდებულება თურქებთან ძლიერია, ისე ქართველებთან მათი ეროვნული დამოკიდებულებაც მტკიცეა და შეურყეველი“ (მ. აბაშიძე, მითითებული წიგნი, გვ. 106-107).

დამოწმებულ ციტატაში გამოთქმულ მოსაზრებას მ. აბაშიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას რომ სძენდა, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ იგი მას სხვა დროსაც ხშირად იმეორებს ხოლმე.

მ. აბაშიძის ასეთი პრომუსლიმანური პოზიცია ვინემ შეიძლება იმეამინდელი ვითარებით გაამართლოს და ავტორის ლავირებული პოლიტიკის შედეგად მიიჩნიოს. ჩემის აზრით, ამგვარი თვალსაზრისი ნაკლებად სარწმუნოა და რეალურად არ გამოხატავს ამ დიდი მამულიშვილის რელიგიური თვალთახედვის არსს.

ფეიქრობ, მ. აბაშიძის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძღვრების მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არავითარი ჩრდილი არ მიაღვება იმის თქმით, რომ მისი რელიგიური თვალთახედვა გარკვეულწილად პრომაჰმადიანური მიმართულებისაცაა, რითაც აშკარად განსხვავდება ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის სარწმუნოებრივი მრწამსისაგან.

თუმცა მ. აბაშიძის ამგვარი რელიგიური თვალთახედვა და აშკარად გამოხატული პრომუსლმანური პოზიცია ვინემ ისე არამც და არამც არ უნდა გაიგოს, თითქოს ამით იგი, თუნდაც ღრმად შენიღბული ფორმითაც კი, უპირისპირდებოდეს ქრისტიანულ სარწმუნოებას და ამცირებდეს მის უდიდეს როლს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. რასაკვირველია, არა.

ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ეროვნული და სულიერი შეკავშირების გზათა აქტიურად მძიებელი დიდი მამულიშვილის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მოძღვრებაში ამ შემთხვევაში უმთავრესი და არსებითი იმის ქადაგება და ერთმნიშვნელოვნად აღიარება იყო, რომ სარწმუნოებრივი ნიშნით ჩვენი ერის დაყოფა და განცალკევება დამლუბველი მოვლენა იქნებოდა მისთვის. მ. აბაშიძის ღრმა რწმენით, აგრესორი სახელმწიფოების დამარცხება და მძლავრი ქართული სახელმწიფოს შექმნა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი, თუ ქართველი ხალხის ცნობიერებაში ერთმანეთს არ დაუპირისპირდებოდა ეროვნული თვითშეგნება და სარწმუნოებრივი აღმსარებლობა. მ. აბაშიძის მტკიცებით, პირველ ყოვლისა, სწორედ ქრისტიანულ და მაჰმადიანურ რელიგიათა აღმსარებელი ქართველების მხოლოდ ამგვარი მშვიდობიანი და ძმური თანაარსებობა დაამკვიდრებდა მათ შორის მტკიცე ეროვნულ ერთობას.

როგორც უკვე ითქვა, მემედ აბაშიძე არა მარტო სიტყვიერად ქადაგებდა მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სულიერი ერთობის აუცილებლობას, არამედ აქტიური პრაქტიკული საქმიანობათაც ცდილობდა მის რეალურ განხორციელებას. ამ თვალსაზრისით მან განსაკუთრებით ბევრი რამ გააკეთა 1917 წელს აჭარის მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის მიერ ქართველ მუსლიმანთა კომიტეტის თამჯდომარედ არჩევის შემდეგ. “სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ (შექმნა 1918 წელს) თამჯდომარეობისა და ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა მეჯლისის (1919-1921 წწ.) ხელმძღვანელობის პერიოდში კი მ. აბაშიძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა მოღვაწეობამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა.

იმხანად იგი არა მარტო აჭარის უპირველეს ლიდერად იქცა, არამედ ყველაზე ავტორიტეტულ პიროვნებად მთელს სამუსლიმანო საქართველოშიც.

როგორც მ. აბაშიძის ბიოგრაფიდანაა ცნობილი, ასეთ აქტიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას იგი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებიდან შეუდგა. კერძოდ, მისივე თქმით, XIX საუკუნის ბოლო წლებიდან მოყოლებული მთელი ცხოვრების განმავლობაში იგი “ურყევად იღვა საქართველოს მთლიანობის ნიადაგზე და ბრძოლის ამ ხაზზე არა ერთი და ორი სასტიკი იერიში მოუგერიებია როგორც პრესაში, ისე ყრილობებზე გამოსვლით“, რითაც “კვლავ გაამთელა სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს შორის ჩატყეხილი ხიდი“.

მაჰმადიანი ქართველების ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი გაერთიანებისათვის ბრძოლის საქმეში მ. აბაშიძის ერთ-ერთ უმთავრეს დასაყრდენად იქცა 1919-1921 წლებში მისი რედაქტორობით გამოძვალა გაზეთი “სამუსლიმანო საქართველო“, რომელიც “სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ ორგანოს წარმომადგენდა და საკმაოდ პოპულარული პერიოდული ორგანო იყო (მისი ტირაჟი 1500 ცალს აჭარბებდა). არსებობის სამი წლის განმავლობაში სულ გამოიცა გაზეთის ხუთასამდე ნომერი. სამწუხაროდ, მათგან დღესდღეობით მხოლოდ სამოცამდე ნომერია მიკვლეული. გაზეთში გამოქვეყნებული მასალები უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის იმდროინდელ აჭარაში არსებული ვითარების შესახებ (გაზეთის გადარჩენილი ნომრები 2008 წელს ცალკე კრებულად გამოსცეს ნარგიზ აბაშიძემ და თეიმურაზ კომახიძემ).

მ. აბაშიძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენდა ის ფაქტი, რომ ბათუმსა და მის ოლქში იმეამად უაღრესად დაძაბული მდგომარეობა სუფევდა და ამ რეგიონის მისასაკუთრებლად აქტიურად ეცილებოდნენ ერთმანეთს თურქეთი, რუსეთი, ინგლისი, სომხეთი და აზერბაიჯანი. თავიანთი აგრესიული დამპყრობლური პოლიტიკის შესანიღბად ამ ქვეყნების მესვეურებმა “სამუსლიმანო საქართველოს“ ტერიტორიაზე იმხანად სხვადასხვა ფსევდობატრიოტული და პრომუსლიმანური ორგანიზაციებიც შექმნეს, სადაც მათ მიერ მოწყიდული

ღა საკუთარი ხალხის მოღალატე ადამიანები იყვნენ გაერთიანებულნი.

კერძოდ, გაზეთ “სახალხო საქმის” ინფორმაციით (1920 წლის 4 აგვისტო), იმდროინდელ ბათუმის ოლქში ანტისახელმწიფოებრივ და ანტიქართულ საქმიანობას ექვსი სხვადასხვა ჯგუფის წევრები ეწეოდნენ: 1. ახალგაზრდა თურქების კომიტეტი; 2. აზერბაიჯანის აგენტები; 3. ბოლშევიკები; 4. რუსი მოხალისეები; 5. ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელიც არაფრით არ იყო დაკავშირებული ოლქთან და 6. სხვა მოსული ელემენტები“.

თავიანთი აგრესიული საქმიანობით ამ ორგანიზაციათაგან ყველაზე მეტად “სედაი მილეთელები” გამოირჩეოდნენ, რომლებიც ბათუმში 1919 წელს თურქულენოვან გაზეთსაც კი სცემდნენ. აჭარაში მოქმედი “სედაი მილეთის” ორგანიზაციის შემადგენლობას “უმთავრესად შეადგენდნენ ოსმალო ოფიცრები, ღენიკიელები, სომხეთისა და აზერბაიჯანის აგენტები, რომელთაც მხარს უზამდნენ ადგილობრივი და საქართველოს სხვა კუთხეებიდან გადმობეჭვილი საეჭვო წარსულის მქონე პირები და ყაჩაღური ბანდები. ამასთანავე, ადგილობრივ მოსახლეობაში იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ვერ გაერკვიათ თავიანთი პოლიტიკური ორიენტაცია. აქ მოქმედებდა რელიგიური ფაქტორიც. ისლამისადმი ფანატკური ერთგულება და ღვთის სიყვარული ასეთ ადამიანებს ძალაუვნებურად სედაი მილეთის გავლენის ქვეშ აქცევდა“ (ნ. ზოსიძე, ბათუმის ისლამური საზოგადოება თურქული წყაროების მიხედვით. იხ.: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემელ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, III, 2002 წ., გვ. 117).

ამ ორგანიზაციის უმთავრეს პოლიტიკურ მოთხოვნას ხან აჭარის რეგიონის თურქეთთან შეერთება წარმოადგენდა ცალკე ავტონომიის სტატუსით, ხანაც აჭარისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. ეს მოთხოვნები საერთაშორისო მოვლენათა რეალური განვითარების შესაბამისად იცვლებოდა. “სედაი მილეთელებს” იმხანად აქტიურად აუბა მხარი ახლადდაარსებულმა “ბათუმის ისლამურმა საზოგადოებამაც“, რომლის უმთავრეს მოთხოვნას წარმოადგენდა “თურქეთის ტერიტორიულ საზღვრებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ავტონომიურად გაერთიანების იდეა“ (ნ. ზოსიძე, იქვე).

როგორც მ. აბაშიძის პუბლიცისტიკითა და პრაქტიკული საქმიანობით დასტურდება, გასული საუკუნის ათიანი წლების მეორე ნახევარში მისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად “სედაი მილეთისა“ და მისი მსგავსი ფსევდოპატრიოტული ორგანიზაციების მესვეურთა მოღალატეობრივი საქმიანობის გამოაშკარავება იქცა. პრესაში გამოქვეყნებულ წერილებსა და სხვადასხვა სახის თავყრილობებზე წარმოდგენილ სიტყვებში მ. აბაშიძე, კონკრეტულ არგუმენტებზე დაყრდნობით, არწმუნებდა თავის მუსლიმან თანამემამულეებს, რომ “თუ არ გვსურდა ჩვენი ქვეყნის დაღუპვა, თუ არ გვსურდა, ჩვენი მხარე კვლავ რუსეთის ფარგლებში მოქცეულიყო, თუ არ გვსურდა კვლავ მონობის კლანჭებში ჩვენი არსებობის ჩახრჩობა, “სედაი მილეთელებს” არ უნდა აველოდით“ (მ. აბაშიძე, მითითებული წიგნი, გვ. 214).

სამწუხაროდ, “სედაი მილეთი“ გამოჩაყლისი არ ყოფილა და ვითარების არსში სათანადოდ გაუთვითცნობიერებელ ჩვენს მაჰმადიან მოძმეებში სეპარატისტული და ანტიქართული სულისკვეთების გასაღვივებლად ძირგამომთხრელ საქმიანობას იმხანად რუსი, სომეხი და აზერბაიჯანელი აგრესორებიც ეწეოდნენ აქტიურად. მ. აბაშიძის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და პუბლიცისტური ღვაწლის შეფასების დროს ჩვენი ქვეყნის ამ დაუნდობელი მტრების წინააღმდეგ მის უკომპრომისო ბრძოლასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ქართველი ხალხის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ერთობის მოწინააღმდეგე ქვეყნიებიდან მ. აბაშიძე ყველაზე მკაცრ და უკომპრომისო დამოკიდებულებას რუსეთისადმი ავლენდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 1918-1921 წლებში დაწერილი მისი წერილები და საჯარო გამოსვლები, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი რუსული იმპერიული პოლიტიკის მხილება და ამ პოლიტიკის მსხვერპლად ქცეული მისი მოტყუებული თანამემამულეებისთვის თვალის ახელის აქტიური მცდელობა იყო.

რუსული იმპერიული პოლიტიკის ამგვარი მხილებისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად, მ. აბაშიძეს მრავალი კონკრეტული მაგალითი მოჰყავდა როგორც ისტორიიდან, ისე თანადროული ვითარებიდან. იგი დაბეჭდილებით არწმუნებდა თავის თანამემამულეებს, რომ 1918-1921 წლებში ბათუმსა და მის ოლქში რუსი ავანტიურისტების განსაკუთრებული გააქტიურების უმთავრესი მიზანი ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონის მისაკუთრების მცდელობა იყო და ამ თვალსაზრისით დენიკინელებისა და ბოლშევიკების გეგმები არაფრით განირჩეოდა ერთმანეთისაგან.

მ. აბაშიძის ხსენებული ციკლის წერილები უაღრესად საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ მათში ბოლომდე გამოაშკარავებული და ნიღაბხდლილია ის ილუზიები, რომელთა მეშვეობითაც ბოლშევიკები მილიონობით ადამიანს უბნევენენ თავსას. სამწუხაროდ, ქართველი კომუნისტების აქტიურობის შედეგად, ამ ილუზიების ტყვეობაში იმხანად ჩვენი ხალხის გარკვეული ნაწილიც იმყოფებოდა.

მ. აბაშიძის ღვაწლის შეფასების დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მან ამ ილუზიების გასაფანტადაც გააკეთა ძალზე ბევრი რამ.

როგორც ვხედავთ, მ. აბაშიძემ იმთავითვე სრულებით სწორად დაინახა და უცდომელი სიზუსტით შეაფასა ის მოვლენა, რომ ლენინისა და დენიკინის იმპერიალისტური მიზნები არაფრით განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან და “დიდი, მთლიანი და განუყოფელი რუსეთისთვის“ აქტიურად მებრძოლი ამ ავანტიურისტების იმპერიული პოლიტიკა მხოლოდ იმით განსხვავდებოდა ერთიმეორისგან, რომ “დენიკინი მატლუშკა როსსიას“ სახელით აერთიანებდა რუსეთს, ლენინი კი იმავეს “სოციალიზმის“ ხელით ლამობდა.“ სინამდვილეში “სოციალიზმი აქ მხოლოდ შირმა იყო, ნამდვილათ კი ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ იმპერიალიზმი“ (მ. აბაშიძე, მითითებული წიგნი, გვ. 206).

ასე რომ, მ. აბაშიძის თქმით, “რუსეთის იმპერიალისტები, წითლები

არიან ისინი თუ შავები, ორივე ერთი მადითაა შეპყრობილი. ეს ძალა თავისუფალ ერთა დაპყრობა და დიდი რუსეთის აღდგენა ძველ საზღვრებში". ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, თავისი მუსლიმანი თანამემამულეების სახელით, მ. აბაშიძე კატეგორიული სიტყვებით ასკვნია, რომ ჩვენს ხალხს "არც მათი ლენინი სურდა და არც დენიკინი".

* * *

ასეთ აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და შემოქმედებით-პუბლიცისტურ საქმიანობაში განვლო მემედ აბაშიძის მთელმა ცხოვრებამ. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის გარეშე თუ შინაური მტრებისაგან, მისი ამგვარი საქვეყნო ღვაწლისა და დამსახურების გამო, იგი, ფაქტობრივად, მთელი სიცოცხლის განმავლობაში იყო დევნილ-რეპრესირებული. ამ დევნა-შევიწროებას განსაკუთრებით სამიშს ხდიდა ის ფაქტი, რომ დიდი მამულიშვილის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორები მხოლოდ მის მიმართ მტრულად განწყობილი ცალკეული პიროვნებანი კი არ იყვნენ, არამედ თურქეთისა და რუსეთის იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების მესვეურებიც.

თავად მ. აბაშიძე საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის თავმჯდომარისათვის გაგზავნილ წერილში მის წინააღმდეგ მიმდინარე ამ პერმანენტულ ბრძოლას ასეთ შეფასებას აძლევდა: "არც ერთ საგვარეულოს იმდენი დევნა და ვაება-სიღუბჭირე არ გამოუვლია — რაც ჩვენმა გვარმა. გვიჭირდნენ და გვაძწყვედნენ თურქები ტრაპეზუნდის ციხეში და სიკვდილით რომ არ დავესაჯეთ მხოლოდ იმიტომ, რომ თავს უშველეთ გაქცევით. გვდევნიდა და ფაქტიურად დატუსაღებულიც ვიყავით გენერალ კუკოლისის მიერ ინგლისელთა ბათომის ოლქის ოკუპაციის დროს, მაგრამ არც პირველ შემთხვევაში და არც მეორეში — ჩვენ ქედი არ მოგვიხრია იმ მუქარის წინაშე, რომელთაც მოქრთამვა ეწოდება. ყვითელმა ლითონმა, რასაც უხვად გვაპირდებოდნენ ყველანი, ვისაც ჩვენი საგვარეულოს მომხრობა უნდოდა საკუთარი პოლიტიკის გასაძლიერებლად, ვერ გაგვაბრძვივა. არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის ჩვენ გვარს დენიკინელთა ბატონობის დროს... ჩვენ ვაძლევდით იმათაც სათანადო პასუხს და ჩვენი პატარა კუთხე ასე თუ ისე უვნებლად მოვიყვანეთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე" (თ. კომახიძე, მემედ აბაშიძე, ბათუმი, 1993, გვ. 74).

როგორც დამოწმებული მასალებიდანაც თვალნათლივ ჩანს, მ. აბაშიძის წინააღმდეგ ბრძოლას საფუძვლად, უპირველეს ყოვლისა, მისი ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვა ედო, აქტიური და თავდადებული მოღვაწეობა ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი ერთობის მისაღწევად და დასამკვიდრებლად. მკითხველისათვის ადვილად გასაგებ გარემოებათა გამო, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დიდი მამულიშვილის დევნა-რეპრესირებამ კიდევ უფრო მასშტაბური ფორმა მიიღო.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გაჩაღებული აგიტაცი-პროპაგანდის ბრალდების საფუძველზე მემედ აბაშიძე 1923 წლის 24 იანვარს დააპატიმრეს, საქართველოდან გადაასახლეს და სამშობლოში დაბრუნების უფლება მხოლოდ 1928 წელს მისცეს.

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარისათვის 1925 წელს გაგზავნილ წერილში აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით იგი წერდა: “1923 წლის დასაწყისში, ქ. ბათუმში მე ვიყავი ადმინისტრაციულად დაპატიმრებული ცხრა თვე: ვიყავი პატიმრობაში ბათუმში და თბილისში. ამის შემდეგ საქართველოს საგანგებო კომისიის დადგენილებით ვარ გაგზავნილი ქ. ბაქოში.

ამნაირად, ორ წელიწადზე მეტია, რაც მე ჩემს სამშობლოს და ოჯახს მოშორებული განვიცდი სამინელ მორალურ და მატერიალურ უბედურებას. ოჯახი ჩემი (ავადმყოფი ცოლი და სამი მცირეწლოვანი ბავშვი) იმყოფება მეტად მძიმე მატერიალურ პირობებში, რადგანაც უცხო ქვეყანაში ვერ ვშოულობ საცხოვრებელ სახსარს“ (თ. კომახიძე, მითითებული წიგნი, გვ. 78).

ყოველივე ზემოთქმულისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით მისთვის წაყენებული ბრალდების უარყოფის შემდეგ, მ. აბაშიძე მოითხოვს, მიეცეს მას საქართველოში დაბრუნების უფლება თუნდაც იმის პირობით, რომ “არ ჩავიდეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სანამ ამის ნებას არ დართავდნენ სათანადო ორგანოები”.

სამწუხაროდ, მ. აბაშიძის წინააღმდეგ დაუსრულებლად გამართულ ამგვარ უსამართლო ბრძოლებს ის შედეგი მოჰყვა, რომ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში იგი, ფაქტობრივად, მთლიანად ჩამოშორდა აქტიურ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საქმიანობას. აი, რას წერს თავად ის ამ მოვლენასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისთვის გაგზავნილ წერილში: “...ამ ამბავს ჩვენ შეურიგდით და პოლიტიკასაც სრულიად ჩამოვშორდით. განდგომილი შორს, თუნდაც აი მე მემედ-ბეგი, რომელმაც მთელი ცხოვრება შევწირე პოლიტიკას — ჩამოვშორდი ყოველივეს და სოვდავრებს პირდაპირ ნოქრად უდგები. ამას დამიმოწმებს მთელი ბათომი“ (თ. კომახიძე, მითითებული წიგნი, გვ. 76).

საბოლოოდ, მ. აბაშიძის დევნილობისა და რეპრესირების პროცესი იმით დამთავრდა, რომ 1937 წელს ის და მისი ორი შვილი (მესამემ თურქეთში გაქცევით უშველა თავს) სახელმწიფო უშიშროებამ დააპატიმრა. შვილები ციხეში გადასახლეს, მემედ აბაშიძე კი თბილისში დახვრიტეს საქმის ყოველგვარი გამოძიების გარეშე.

დამოწმებული ლიტერატურა

მ. აბაშიძე, 1998 - მ. აბაშიძე, თხზულებანი, გამოსცა გ. შარაძემ, თბ., 1998.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, III, 2002.

ი. ბიბილეიშვილი, ო. გვარიშვილი, 1999 - ი. ბიბილეიშვილი, ო. გვარიშვილი, მემედ-ბეგ აბაშიძე — მწერალი და მოაზროვნე, ბათუმი, 1999.

თ. კომახიძე, 1993 - თ. კომახიძე, მემედ აბაშიძე, ბათუმი, 1993.

გაზ. "სამუსლიმანო საქართველო," ბათუმი, 1919-1921 წწ. გაზეთის გადარჩენილი ნომრები ცალკე კრებულად გამოსცეს ნ. აბაშიძემ და თ. კომახიძემ, ბათუმი, 2008.

გაზ. "სახალხო საქმე," 1919 წ. 15 თებერვალი.

გაზ. "სახალხო საქმე," 1919 წ. 25 ივლისი.

გაზ. "სახალხო საქმე," 1920 წ. 4 აგვისტო.

AVTANDIL NIKOLEISHVILI

MEMED ABASHIDZE - FIGHTER PATRIOT FOR THE
NATIONAL AND STATE UNITY OF CHRISTIAN AND
MOSLEM GEORGIANS

Memed-Beg Abashidze (1873-1937) was one of those prominent representatives of Achara, who fulfilled a great role in Georgian people's consciousness for the restoration of national unity. We would not exaggerate, if we say that for the inculcation of "Moslem Georgia" as a native and essential part of Georgian state, Memed Abashidze's personal enthusiasm and devotion was so great and distinguished from others that it is almost an unprecedented fact.

His highest principle was uncompromising fighting for our country's territorial integrity and independence, which from the beginning became the phenomenon providing him a guideline for his political and publicist, and literary works. Accordingly M. Abashidze in this case is represented as a real successor of those traditions, which Georgian patriots, (particularly Ilia Chavchavadze) established at the expense of their exploits and self-sacrifice..

Memed Abashidze not only sermonized verbally for the necessity of Moslem and Christian Georgians national state and soul unity, but he tried its realization by his practical activity. In his point of view he did especially much when he was chosen as

a chairman of the Georgian Moslem Committee in 1917 by the Acharan people. When he was a chairman of “Moslem Georgia Liberation Committee” (created 1918 .) and as a leader of Batumi region Georgian Moslem Ball (1919-1921ss.) M. Abashidze’s national and state activity took greater scales.

For the strengthening of Moslem Georgians national self-consciousness and for our country’s territorial unity M. Abashidze’s main helper became a newspaper, “Moslem Georgia,” which was being published in 1919-1921 and edited by him. The newspaper belonged to “Moslem Georgia Liberation Committee” and was popular all over Georgia.

ნიკოლოზ ოთინაშვილი,
ზაზა ოთინაშვილი

ტირიფონის ველის ონომასტიკონი

ტირიფონის ვრცელი მინდორი შიდა ქართლში ცნობილი სამეურნეო რეგიონი იყო საუკუნეების განმავლობაში. ჩანს, ამან განაპირობა, რომ ლეხურის ხეობის ძლიერი ფეოდალები, ამილახერები, ამ მიდამოების ძირითადი მფლობელები იყვნენ, თუმცა სხვა საფეოდალოებსა და აზნაურებსაც ჰქონდათ აქ წილი დადებული.

ტირიფონის მინდორი მდინარე ლეხურიდან დასავლეთით დიდ ლიახვამდე აღწევდა, ჩრდილოეთით კი ბერშუეთის, წინაგარის, აბრევისა და სხვა დასახლებული პუნქტების მთებსა და მთისწინეთს ესაზღვრებოდა.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის თხზულებაში "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" აღნიშნავს: "...ამ მთის მიყოლივით, დასავლეთისაკენ მეჯდამდე და ვიდრე დიდ ლიახვამდე და კვერნაქის მთის შორისა მინდორი დიდი (ტირიფონა - ნ.ო.) და უტყუო, გარნა დაბნებთა წალკოტოვანი, ნივზნარანი და ვენახნი მრავალნი და ირწყვის მინდორი ესე მეჯდის აღმოსავლეთის მეჯდის რუთი" (ვახუშტი, 1941). ციტატაში მოყვანილი დაბნები ანუ დასახლებული პუნქტები ვახუშტის მიერ შედგენილ რუკაზე ლეხურის ხეობაში და ტირიფონის მინდორზე 35 ერთეულია, მთის რეგიონის გარდა. დაახლოებით ამდენივე პუნქტს ასახელებს იოანე ბაგრატიონიც (იოანე ბაგრატიონი, 1980).

აღნიშნული რეგიონის სოფლები ვახუშტის განაწილებული აქვს ქართლში, კვერნაქში და მეჯდით მრწყევი სოფლების მიხედვით (ვახუშტი ბატონიშვილი, 1895).

იოანე ბაგრატიონის ასეთი დასათაურებთ: ქართლის სოფლები, რომლებიც საამილახეროს მიეწერება, კვერნაქზე რაც მიეწერება და გორს რაც მიეწერება (იოანე ბაგრატიონი, იქვე).

ტირიფონის ველის ონომასტიკონის შესასწავლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს მხარის ისტორიის, ეთნოგრაფიის, მოსახლეობის მიგრაციისა და იმიგრაციის შესწავლა, წერილობითი ძეგლების წარმოჩენა, მათი მონაცემების შედარება დღევანდელ ვითარებასთან.

ამ მხრივ საყურადღებოა "საამილახეროს დავთარი", რომელიც ცნობილმა მკვლევარმა სარგის კაკაბაძემ გამოსცა (ს. კაკაბაძე, 1925). აღნიშნული წყარო მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს მხარის მთელი რიგი საკითხებისა და მათ შორის ონომასტიკონის შესასწავლად. დავთარში აღნიშნულია, თუ რომელ მებატონეს რამდენი ყმა ჰყავს, რამდენი მოლაშქრე უნდა გამოსულიყო სხვადასხვა იარაღით და სხვა. სულ მხარის სოფლებში 840 კომლია, რომლებიც ცხოვრობდნენ შემდეგ სოფლებში: რეხა, ვერთა, ორჭომანი, ხურვალეთი, ბერშოეთი, ზემო ყური, მოხისი, ჭოხისი, ნადარბაზევი,

ქინძარა, ზეგარდა, წინაგარა, მთავარანგელოზი და სხვები, სულ 56 სოფელია დასახელებული.

დავთარში, ტაპონიძების გარდა, ვეცნობით მთელ რიგ ანთროპონიმებს, რომლებიც თავადურ, აზნაურულ და დაბალ სოციალურ კიბეზე მდგომ გვარებს მიეკუთვნება, მაგალითად: ქარუმიძე, მურაჩაშვილი, ყანჩაელი, ლულუაშვილი, ბასილიშვილი, ტარსაიჭიშვილი, სამთავნელი, მალრანელი, ლიბარტისშვილი, დახნელი, კორწყალაური, სავაზაშვილი, ამზიაშვილი, შავბლახაშვილი, ანეზაშვილი, გოჩიაშვილი, თუშიაშვილი, ნინიკაშვილი, ძიძიშვილი, კალტოზიშვილი, ჩიტუაშვილი, მეშველაშვილი, სარეველაძე, კუიწინაძე და სხვები.

მხარეში ჩამოთვლილ ტაპონიმთა და ანთროპონიმთაგან, დღევანდელი ვითარებით, უმრავლესობა აღარ არსებობს, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მიგრაციის და იმიგრაციის შედეგად შეიცვალა გეოგრაფიული სახელები, გაიყო და მივიღეთ ახალი გვარები, მოსახლეობა მთიდან ბარად ჩამოვიდა და საჭიროა ლოკალიზაციის განსაზღვრა, გასათვალისწინებელია ეთნიკური ვითარება, რასაც უცხოტომელთა მოძალების გამო ქართველობის აყრა-გადასახლება და ეროვნების შეცვლა მოჰყვა და სხვა.

ჩვენ წლების წინათ მოვიარეთ აღნიშნული მხარე, ჩავიწერეთ ონომასტიკური ერთეულები, შემდეგ გადავამოწმეთ მთელი რიგი საკითხები, მაგრამ დღევანდელი ვითარებით ზოგიერთ პუნქტში შესვლა შეუძლებელია ოკუპაციის გამო. აქ წარმოვადგინეთ რამდენიმე ტაპონიმის, ანთროპონიმის ეტიმოლოგია-ლოკალიზაციას და ენობრივ-დიალექტოლოგიური ვითარების ჩვენიუღ ძიებას.

ტირიფონა - სახელწოდება უკავშირდება სიტყვა ტირიფს, ტიროფიანს. ეს მცენარე მეჭუდიდან გამოყვანილი სარწყავი რუს ორივე ნაპირზე იყო გაშენებული, რომელიც ასე გამრავლდა ტირიფონის არხის ნაპირებზე, ასევე პატარა მდინარე ტორტლაზე. ტირიფის სხვადასხვა სახეობას ძეწნა და წნორი ჰქვია, რომელთაგან ასევე არის ნაწარმოები ტაპონიმები.

საშვები, იგივე **შავშვები**. ვახუშტი აღნიშნავს, რომ დიდი ველი (ტირიფონა - ნ.ო.) ირწყვის მეჭუდის რუთი. ეს მართლაც ასე იყო წარსულში, როცა მდინარის მარცხენა ნაპირიდან გამოტანილი რუთი ირწყვოდა ტირიფონის ველი.

მეცნიერს თავის მიერ შედგენილ რუკაზე მხარის სოფლები ნაწრეტი, საშვები და ნადარბაზევი კვერნაკის მთაზე აქვს აღნიშნული (ვახუშტი ბაგრატიონის რუკები (1745)), ხოლო სოფლების კუთვნილი მამულები ტირიფონის მინდორზე ჩრდილოეთით, მათ გასწვრივ იყო განლაგებული და მათი მორწყვა სწორედ მეჭუდის რუთი ხდებოდა. წყლის განაწილება ხდებოდა სპეციალური საშვებით, რომელიც ამ სახელწოდების სოფლის გასწვრივ იყო მოწყობილი. ამიტომაც დაერქვა სოფელი **საშვები**, რომელიც ჰიდრონიმულ წარმოშობისად მიგვაჩნია. მერმინდელი სახელწოდება **შაშვები** მიღებული ჩანს სისინა ს-ს გამჟღერებით შიშინად და მივიღეთ სახელი ასეთი ფორმით. ზემოაღნიშნული სამი სოფელი და სხვებიც დღეს

კერნაკის მიიდან დაბლა, თავიანთ კუთვნილ მამულებზე არიან დასახლებულები, მთაში კი დარჩა ძველი სახელები.

მხარის ანთროპონიმებიდან, რომლებიც დღეს თითქმის იშვიათობად არის ქცეული, აღსანიშნავია - გვარი იჩქითი, რომელიც დღეს ქართლში იჩქითის ფორმითაც გვხვდება. საამილახვროს დაფთარში ამ გვარის ადამიანებს უცხოვრიათ: ხურვალეთში, ზემო ყურში, ღროშში, მეჭვრისხევსა და რეზაში. მათი სახელებია პაატა, ბასილა, თევდორა, გიორგი, რუსიტა, ტეტია, მიქელი, ელიკა, რომლებსაც ლაშქრობაში იარაღით გამოსვლა ევალებოდათ. ქართულ ისტორიულ საბუთებში რამდენჯერმეა დასახლებული იჩქითის სახელი. მათ შორის აღსანიშნავია ვანის ქვაბთა მონასტრის ქვების წარწერები. ერთი მათგანი ასე გადმოგვცემს: "...მე იჩქით გურგენისძემან აღვაშენე კედელი ესე და დავასვენე ხატნი მაცხოვრისაი, ვინც ილოცვიდეთ მეცა მომიხსენეთ" (გ. გაფრინდაშვილი, 1966).

1189-1204 წლებში ასომთავრულით შესრულებული ამ წარწერიდან ჩანს, რომ აღნიშნული კედლის მშენებელი იჩქით გურგენისძე ყოფილა. ამ სახელით სხვა ისტორიული წარწერებიც არის შემონახული, საიდანაც ჩანს, რომ გურგენისძენი მესხეთის ერთი კუთხის ჯავახეთის მხარის ვანის ქვაბების მიმდებარე ტერიტორიის მფლობელები უნდა ყოფილიყვნენ.

აღნიშნული წარწერებიდან ნათელია, რომ **იჩქითი** სახელია და არა გვარი. შემდგომ, როცა მომდევნო საუკუნეებში ვანის ქვაბებს ახალი მფლობელები, რჩეულისძენი და თმოგველები, გამოუჩნდნენ, გურგენისძენი ასპარეზიდან გადიან და ჩანს, რომ ისინი ქართლში გადმოდიან და იჩქითის გვართ მკვიდრდებიან. ზემოხსენებულ სოფლებში მცხოვრები იჩქითები უკვე აღარ არიან რაიმე ფეოდალური სახელის მფლობელები, ყოველ შემთხვევაში დღეისათვის რაიმე ზელომსაჭიდი საბუთი არ არის აღმოჩენილი.

ტირიფონის ველის სოფლების ონომასტიკონის საწარმოებლად აუცილებელია ძველი და ახალი ვითარების გამოვლენა-შეჯერება, რომელიც საშუალებას წოგვცემს დავადგინოთ მთელი რიგი რეალიებისა ისტორიოგრაფიასა და ფილოლოგია-ენათმეცნიერებაში.

მხარის ტოპონიმიში სათანადოდ არის ასახული მეურნეობის სხვადასხვა დარგი. ტოპონიმებში მსაზღვრელი გამოხატავს კუთვნილებას და აღნიშნავს სოფლებს უზნებით, ცალკეულ გვარებს: კოლას წყარო, მჭედლიძეების ნაკვეთები, აბისონანთ (აბისონაშვილების) ქალა (სოფ. ხურვალეთი), ამირჯიბის საყდარი, ცეცხლადიანთ დასახვევი (სოფ. წითელი უბანი), მიდელაანთ (მიდელაშვილების) სერი, გაროზანთ (გაროზაშვილების) ახო, საბიანთ (საბიაშვილი) წვრიმალა (ყოფილი ნასოფლარი ნადარბაზევი).

პრეფიქსული წარმოებიდან წინავითარების სახელებს აწარმოებს **ნა-არ** (დისიმილაციით **ნა-ალ**) აფიქსები: ნავენახარი (ნაზერევი) (სოფ. ნადარბაზევი), ნადლეები (ძვ. საშვები), ნაბეყური (გვარია გადაშენებული), ნაფეტკარი, ნაწრეტი (სოფ. ნაწრეტი), ნაქცევი (სოფ. ხურვალეთი), ნაქერალი, ნასახლარი (ნასოფ. ავაზანი) და სხვა.

-ეთ სუფიქსი ქართველური ტოპონიმის ძირითადი მაწარმოებელია თავისი ვარიანტებით: საამილახვროს დაფთარის მიხედვით სოფლები და დღევანდელი ნასოფლარები ასეთ წარმოებას ინარჩუნებენ: ბერშო-ეთ-ი,

ტყურ-ეთ-ი, ღრღულ-ეთ-ი, მზურვალ-ეთ-ი, მძორ-ეთ-ი, ტბ-ეთ-ი, ხანდო-ეთ-ი, სავან-ეთ-ი, უსან-ეთ-ი, ყვერულ-ეთ-ი.

-თა სუფიქსით ნაწარმოები: ვერი-თა, კაბერ-თა, მიკროტოპონიმები: თამა-თა, ბალი-თა, გული-თა, ბაჩუ-თა და სხვები.

-თა სუფიქსის გენეზისის ახსნა ეკუთვნის აკად. ვ. თოფურისას, რომელიც აღნიშნავს, რომ "გეოგრაფიული სახელები ნაწარმოებია კომპოზიტურად, სადაც პირველი ნაწილი მართულია, ნათ. ბრუნვაში მოქცეული, ხოლო მომდევნო სიტყვა ნასაზღვრი - სახელობითში. ამგვარი წარმოება მხოლოდ მართო მხოლოდით რიცხვს როდი ახასიათებდა, მას ჩვენ მრავლობითშიც ვხვდებით. ასეთ ფორმებს დროთა ვითარებაში უნდა დაკარგვოდა მეორე შემადგენელი ნაწილი და მიეღოთ ემფატიკური -ა, რომლის შედეგს უნდა წარმოადგენდნენ ასეთი სახელები: ანგელოსთა, ბალთა, ბოსელთა და სხვა (ვ. თოფურია, 1924, გვ. 8-9).

მხარეში გვხვდება -ის სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები: ჯოხ-ის-ი, ცხინურ-ის-ი, ფუნაგ-ის-ი, ვეძ-ის-ი, ლომ-ის-ი, სამთავ-ის-ი, მან-ის-ი, სობ-ის-ი.

წარმომავლობას აღნიშნავს -ურ, დისიმილაციით -ულ სუფიქსები: დამია-ურ-ები (გვარია, სოფ. ზემო ყური) აღნიშნავს გვარისა და ნაკვეთის ლოკალიზაციას, სოფ. აღმოსავლეთ მხარეს, ბეკ-ურ-ი (სოფ. ღრღულეთი, გვარია, ტყე), კორწყილა-ურ-ი (სოფ. ღრღულეთი, ნასახლარები, სამოვარი), ვეშაპ-ურ-ი (სოფ. ზემო ყური, გვარი, ფერდობი, ნასახლარები), ფიდი-ურ-ი (გვარი, ციხის ფერდობი, სოფ. წუბენი), ღომელა-ურ-ი (ტყე, ბუჩქნარი, სოფ. ანდორეთი), ხუნდა-ურ-ი (ანდორეთი, გვარი, ტყე-ველი) და სხვები.

მხარეში გვხვდება ქართული გვარების მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელთაგანაც აღსანიშნავია სადასურობის აღმნიშვნელი გვარები. ზემოხსენებული დავთრის მიხედვით, ასეთ გვარებს მაწარმოებლად მოუღის -გულ სუფიქსი, რომელსაც აქვს პოტენცია დიალექტში იმავე ფუნქციით იქნეს გამოყენებული, როგორც -ურ სუფიქსი, იყოს წარმომავლობის მაწარმოებელი. მაგალითად: ხევისჯვარ-ელ-ი მოლაშქრე, იმერ-ელ-ი პაპუნა თოფით, ყინვან-ელ-ი გამიხარდი თოფით, მუხურ-ელ-ი პაპუნა თოფით, ცხაოტ-ელ-ი ივანა თოფით, მადრან-ელ-ი შუბით, ნიქოზ-ელ-ი პაპუნა შუბით და სხვა.

დავთრის მიხედვით, რამდენიმე გვარი წარმოშობილია ხელობის ან თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან. წყაროში გვხვდება ასეთი ხელობის ადამიანები: მჭედელი ღვინია სოფელ წინუბნიდან ლაშქრობაში თოფით უნდა გამოსულყო, სოფელ ვერიტადან ასევე მჭედელი შოშია - მშვილდით, მეცხვარე ძაძელა სოფელ ორჭონიდან - თოფით, მემარნე ალექსა - მშვილდით, მჭედელი ბოჯანო - მშვილდით, კოდისწყაროდან დალაქი ზურაბა - თოფით, ჭონი გიორგა - მშვილდით, მეზვრე ხოსიტა ნადარბაზევიდან - თოფით და სხვა.

გვხვდება ეთნონიმური გვარები, რომლებიც სხვადასხვა კუთხიდან არიან მოსულები მხარეში და ავლიათ ლაშქრობაში მონაწილეობა. ესენია: თორტიზიდან ჯავახი გოგია და ბერძენი გოგია, ზემოყურიდან

ამერელი ზურაბა, იმერელი პაპუნა, იმერელი გიორგი, მესხი თევდორა, რაჭველი ზურაბა, ჯავახი ბოგანო და სხვები.

მხარის შესასწავლად ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს დასახლებულ პუნქტთა და ნასოფლართა ლოკალიზაცია, რომელმაც უნდა მოგვეცეს სრულყოფილი შედეგი. როგორც აღვნიშნეთ, კვერნაკის ქედზე, საამილახვროს დაეთრის მიხედვით, განლაგებული იყო: სამეზბი/შავეშვები, ნაწრეტი, ნადარბაზევი, ავაზანი. ეს უკანასკნელი დღეს აღარაა და, ფაქტობრივად, შეერთებულია სოფელ ნადარბაზევთან. 1926 წლის აღწერით და ადმინისტრაციული დაყოფით (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1930 წ. (გორის ოლქი)), სოფელ ავაზანში სახლობდა ოთხი კომლი, რომელთა რაოდენობა შეადგენდა 25 სულს. უფრო ადრე კი, მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, საამილახვროს დაეთრის მიხედვით, ავაზნიდან ორ კაცს ევალებოდა შუბით ლაშქრობა (საამილახვროს დაეთარი, იქვე).

ქართული სამართლის ძეგლების მეოთხე ტომში მოთავსებულია არზა, რომლის მიხედვით 1754 წელს ამირინდო ამილახვრისა და მისი ბიძაშვილების ყმა-მამულების გაყრილობის წიგნით, რევაზ ამილახვარს ერგო ავაზანი (ქსდ, ტ. IV, დოკუმენტი 416, გვ. 521) რევაზ ამილახვრისა იყო სოფელი ტინისხიდიც გორის დასავლეთით და შეიძლება დავასკვნათ, რომ მან ჩამოასახლა სოფელ ავაზნიდან თავისი ყმები და მათ გეოგრაფიული სახელი გვარად მიიღეს და ისინი იწერებოდა ავაზნელად.

დაეთარში დასახლებულია სოფელი რეხი, რომელიც ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში იხსენიება (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 255), მასვე აღწერს ვახუშტი: "აქამდენ არს რეხის ხეობა ხილიან-ვენახიანი და ნაყოფიერი, ამას ზევით ქოლოთ ქვითკირი ვითარცა სხვა მთის ალაგნი" (ვახუშტი "აღწერა", გვ. 72.) დღეს ეს სოფელი და სახელი აღარ არსებობს, იგი დაიკავეს კორინთელებმა და სოფელსაც საკორინთლო ეწოდება, მდინარე ლეხურის მარჯვენა მხარეს.

ასევე ნასოფლარებია ახალქალაქი, ლევაშენი, ცხინურისი, ვანი, ქებაისმანი, ჯეჯეკური, ფუნაგისი, ვერთა, ჯონისი და სხვები, რომელთა სრულყოფილი წარმოჩენა და მეცნიერებაში მიმოქცევა ჩვენი მთავარი ამოცანაა.

დამოწმებული ლიტერატურა

ვახუშტი ბაგრატიონის რუკები (1745).

იოანე ბაგრატიონი, 1980 - იოანე ბაგრატიონი, "ქართლ-კახეთის აღწერა", ტომონიმიკა II, თბ., 1980.

ვახუშტი, 1941 - ვახუშტი ბატონიშვილი, "აღწერა სამეფოსა საქართველოსა", თბ., 1941.

ვახუშტი ბატონიშვილი, 1895 - ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, II წიგნი, ტფილისი, 1895.

- გ. გაფრინდაშვილი, 1966 - გ. გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბთა განძი, ძეგლის მეგობარი, 6, თბ., 1966.
- ვ. თოფურია, 1924 - ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში: ყურნალი ჩვენი მეცნიერება, №11-12, თბ., 1924.
- ს. კაკაბაძე, 1925 - ს. კაკაბაძე, საამილახვროს დავთარი, მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისა, საისტორიო მოამბე I, თბ., 1925.
- საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1930 წ. (გორის ოლქი).

NIKOLOZ OTINASHVILI, ZAZA OTINASHVILI

TIRIFONI PLAIN ONOMASTICS

Tirifoni has always been an outstanding agricultural region in the Shida Kartli.

It is mentioned in several historical documents. One of the most important sources for the comprehensive study of the region is the record book “Saamilakhoros Davtari” (the book of Amilakhori’s possessions) compiled in the late half of the 17th century.

The record book features a number of place-names and anthroponyms, the comparison of which to the present situation is very significant for the complete manifestation of the history of the region and its onomastics.

The toponyms mentioned are only Georgian words with transparent etymology as: Tiripona, Sashvebi, Natsreti, Nadarbazevi, Avazani and others.

Apart from the Amilakhvari families the other names of nobility in the region were: Karumidze, Murachashvili, Kancheli, Luluashvili, Basilashvili, Tarsaichishvili, Maghraneli, Liparitishvili and others.

There are hundreds of names in the record book of the family names of the lower social rank, the majority of which is no longer found.

The place names expressing former situation (i.e. nouns showing that someone or something is no longer the things referred to by that noun) are formed with *na-ar* (or *na-al*, in case of dissimilation) confix.

The function of *-ta* suffix is also an interesting issue in Kartvelology, as it is used to form toponymic vocabulary,

The book also gives place-names formed with *-is*, and *-ur* suffixes.

მანანა პაპავა

გერმანული პრესის სათავეებთან

ვიდრე იოჰან გუტენბერგის გენიალური გამოგონება - საბეჭდი მანქანა - გამოჩნდებოდა, ინფორმაცია მსოფლიოში სხვადასხვა გზით და მეთოდით ვრცელდებოდა, მათ შორის, ზეპირსიტყვიერად. თუმცა, თანამედროვე პრესის უშუალო წინაპრად გერმანიაში წერილი და ხელნაწერი გაზეთები ითვლება.

ჯერჯერობით ისევ არ არის დადგენილი, თუ როდის გამოჩნდა გერმანიაში პირველი ხელნაწერი გაზეთები. საზოგადოდ, ევროპაში, როცა ხელნაწერი პრესის გავრცელება დაიწყო, ანუ მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში, უკვე მოქმედებდა ნაბეჭდი პრესა.

ხელნაწერი გაზეთი არ იყო ყველასთვის ხელმისაწვდომი და ამასთან, ბევრად უფრო საშიში იყო ცენზურისთვის, ვიდრე ნაბეჭდი პრესა. ამგვარ გაზეთებს სწორედ "საშიშ გაზეთებს" უწოდებდნენ. თუკი ცენზურას შეეძლო გავლენა მოეხდინა ნაბეჭდ პრესაზე, იგი, ფაქტობრივად, უძლური იყო ცალკეული ხელნაწერი გამოცემების წინაშე. ხელნაწერ გაზეთს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ავსტრიაში მარია ტერეზიას (1717-1780) დროინდელი ცენზურის პერიოდში. ავტორები სხვადასხვა სახის ინფორმაციას განხვავებული წყაროებით მოიპოვებდნენ. ცნობილია, აგრეთვე, რომ მათ საკუთარი "მსტოვრებიც" კი ჰყავდათ მეფის კარზე.

მე-15 საუკუნეში ევროპის პირველმა მესტამბემ, მინცელმა იოჰან გუტენბერგმა ევროპული ტექნიკის ისტორიაში პირველი სტანდარტული დეტალები დაამზადა: ეს იყო ცალკეულ ასო-ნიშანთა ლიტერები და მათი ზომის შესაბამისი სახარვეზო მასალა. ამასთან, გუტენბერგმა შექმნა შრიფტის ჩამოსასხმელი და საბეჭდი დაზგები, შეიმუშავა შრიფტისთვის ლითონის შემადგენლობისა და საბეჭდი საღებავის რეცეპტურა.

ეს იყო ახალი ეპოქის დასაწყისი მსოფლიო კულტურის ისტორიაში. ბეჭდვის გამოგონების სავარაუდო თარიღად, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიით, 1440 წელი ითვლება. ამ ვარაუდს ის დოკუმენტები ამყარებს, რომელიც ავიონელი ნოტარიუსების საქმეებიდანაა ამოღებული. ეს დოკუმენტები ჯერ კიდევ 1890 წელს აბატმა რეჟენმა დაამუშავა. ირკვევა, რომ 1444-1446 წლებში ვინმე პროკოფი ვალდფოგელი შედიოდა გარიგებებში ცალკეულ პირებთან, რომელთაც, ფულისა და სხვა მოგების საფასურად აცნობდა "ხელოვნური წერილების" საიდუმლოს. თუმცა ფაქტია, რომ გუტენბერგის პირველი წიგნი 1440 წელს გამოვიდა, ნაბეჭდი ნიმუში არის 1445 წლით დათარიღებული "ფრაგმენტები განკითხვის დღისა".

მიუხედავად იმისა, რომ გუტენბერგს თავისი საქმიანობისთვის ძალიან მწირი თანხები ჰქონდა და არც გამოცდილი მუშახელი და

თანამედროვე ინსტრუმენტები გააჩნდა, მაინც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. 1456 წლამდე მან ჩამოასხა 5 განსხვავებული შრიფტი, დაბეჭდა ელვის დონატუსის მე-4 საუკუნის ლათინური ენის გრამატიკა, პაპის რამდენიმე ინტელეგენცია და თურქული კალენდარი. სხვათა შორის, კონრად ფონ ბაუერი პირველ პოლიტიკურ "მფრინავ ფურცლად" თურქულ კალენდარს თვლის, რომელიც 1454 წელს გამოვიდა და თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა.

გუტენბერგის კველაზე მნიშვნელოვან ნაბეჭდ წიგნად ითვლება 2 ბიბლია - 36 და 42 სტრიქონიანი. ეს უკანასკნელი 1453-65 წლებში დაიბეჭდა საკმაოდ მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით და იგი მაზარინის ბიბლიის სახელითაა ცნობილი.

ბეჭდვის გამოგონებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პრესის განვითარებაზეც, ვინაიდან შეიქმნა ახალი ამბების უფრო ფართო და სწრაფი გავრცელებისთვის შესაბამისი ტექნიკური პირობები.

ნაბეჭდი პრესა გერმანიაში 1500 წლიდან გამოჩნდა, პირველი ნაბეჭდი ფურცლების სახით. მას ასეთი სათაური ჰქონდა - "ნევე ცაიტუნგი" (Newe Zeitungen). ეს სახელწოდება მან ოფიციალურად 1567 წელს მიიღო, თუმცა, ჯერ კიდევ 1502 წლიდან ამგვარად მოიხსენებოდა. ნაბეჭდი ფურცლები გამოიკეძმოდა ცალ-ცალკე და იგი ბაზრობებსა და თავყრილობებზე გამოჰქონდათ. მათში მოთხრობილი იყო პოლიტიკური მოვლენების, ომების, ბუნებრივი კატასტროფების, აუხსნელი ზებუნებრივი მოვლენებისა და უჩაღლობების შესახებ.

ნაბეჭდი "მფრინავი ფურცლები", რომლებიც ომის შესახებ იუწყებოდნენ, გამოდიოდა ასეთი სათაურებით: "Schreckliche Zeitung" (საშინელი ცნობა), „ცული ცნობა“, "ომის ცნობა" და სხვ. თითოეული, წესისამებრ, ერთ რომელიმე კონკრეტულ ცნობას შეიცავდა. იმისთვის, რომ ამ ინფორმაციების მნიშვნელობისათვის ხაზი გაესვათ, გამოიკეძმები ფურცლებს ასათაურებდნენ, როგორც "ნამდვილად ახალ გაზეთს", ხოლო როცა რაიმე არასასიამოვნო ინფორმაციაზე იყო საუბარი, როგორც "ძალზე საშინელ, გაუგონარ ახალ გაზეთს". სენსაციური სათაურები გავლენას ახდენდა ფურცლების გასაღებაზე.

ერთფურცლიანი გაზეთები არ იყო ვათვალისწინებულნი ვრცელი ცნობების გამოსაქვეყნებლად. ხშირად მასში იბეჭდებოდა მხოლოდ სურათი (მაგალითად, ომის დროს დაპყრობილი ქალაქი), რომელსაც თან შესაბამისი სათაური, ქვესათაური და მცირე ტექსტი ჰქონდა დართული. მოგვიანებით, განსაკუთრებით 30 წლიან ომში, ამ ტექსტის მოცულობა გაიზარდა. თანდათანობით გაიზარდა "Newe Zeitung"- ის ფორმატიც. მაგალითად, ერთგან აღწერილია მაქსიმილიანის გამეფების ამბავი და დაწვრილებითაა ჩამოთვლილი, თუ ვინ მონაწილეობდა ამ პროცესში.

ოფიციალური ამბები გადმოიკეძმოდა უკომენტაროდ - ერთფურცლიანი გამოცემების სახით. ასე გამოვიდა 1495 წელს კიზერ მაქსიმილიან პირველის ცნობილი სამშვიდობო ტრაქტატი.

რაც შეეხება მრავალფურცლიან გაზეთს, იგი დაახლოებით, 4 გვერდიდან სქელტანიან რვეულამდე გამოდიოდა და მისი ზომა იყო 20x

15. ხშირად ეს გამოცემები გარეგნული ფორმით წიგნს ემსგავსებოდა. პირველ გვერდზე იბეჭდებოდა სათაური, ცნობები ავტორის, დამკვეთის, მბეჭდავის, დაბეჭვდის ადგილისა და წლის შესახებ. ზოგჯერ ამგვარი ცნობები იყო გაზეთის ბოლო გვერდზეც. სატიტულო გვერდები ხშირად იყო ილუსტრირებული, გრავირებული. ტექსტებში ხშირი იყო ორთოგრაფიული შეცდომები, გამოიყენებოდა დიალექტები.

თანდათანობით ახალი ამბების ფურცლებში გამოჩნდა პოლემიკური ტენდენციები. ავტორები საკუთარი და ამა თუ იმ გავლენიანი პირის ინტერესების გამოვლენას და დაცვას ცდილობდნენ. ზოგჯერ იბეჭდებოდა არაობიექტური მასალა, ნამდვილი ან გამოგონილი ინფორმაციის წყარო.

"*Newe Zeitungen*" ყოველთვის კარგი რეპუტაციით სარგებლობდა. მაგალითად, 1609 წელს ვენაში დაიბეჭდა სატირა ამ გაზეთისადმი, სათაურით "*Holla Neue Zeitung*" (*der Teufel ist gestorben*) შესაბამისი კარიკატურებით ("ავტორები ცდილობენ ტყუილი სინამდვილედ აქციონ").

1600 წლიდან გაზეთები უფრო ხშირად პერიოდული გამოცემების სახით გამოდიოდა და ყოვლისმომცველ აქტუალურ ინფორმაციებს შეიცავდა.

ევროპის უძველეს პერიოდულ გაზეთად ითვლება "ჰისტორიუმე რელაციონ" ("ანუს ქრისტი, 1597"). მისი გამოცემა 1597 წლის იანვარში დაიწყო და გამოდიოდა მთელი წლის მანძილზე, თვეში ერთხელ.

ყოველი თვის გამოცემის სათაური გამოდინარეობდა თავად ამ თვეების სახელწოდებიდან ან გაზეთის შინაარსიდან. პირველ გამოცემას ერქვა „*Historische Relation*". მისი ავტორი იყო სამუელ დილბაუმი აუგსბურგიდან, ხოლო გაზეთი დაბეჭდა ლეონარდ შტრუბმა რორშახ ამ ბოდენზეში. აქედან ეწოდა მას "რორშახერ მონატსშირფტი".

პირველი ნომერი შედგებოდა 12 ფურცლისაგან, მომდევნო გამოცემები კი იყო 6-დან 10 ფურცლაძე.

ყოველთვიური გამოცემა იტყობინებოდა აქტუალური პოლიტიკური მოვლენების, რაიხის პოლიტიკის, თურქებთან ბრძოლის, ავსტრიაში გლეხების აჯანყების, ნიდერლანდებში თავისუფლებისთვის ბრძოლის, ყაზალობებისა და სხვა სენსაციური ინფორმაციების შესახებ, ასევე, წერდა გადასახადებსა და ფასების ზრდაზე.

უცხოეთის ცნობებს დილბაუმი სხვადასხვა წყაროდან იღებდა, თუმცა, კარგა ხნის დაგვიანებით. ინფორმაციის წყარო გაზეთში არ იყო მითითებული.

ყოველთვიური გამოცემა 150 ეგზემპლარად იბეჭდებოდა. მისი გავრცელების უმთავრესი არეალი იყო კონსტანცი, ციურიხი, ბაზელი და აუგსბურგი.

დღეს ნაპოვნია ამ გაზეთის 1597 წლის 12-ვე ნომერი, მაგრამ არ არსებობს მომდევნო ნომერი. აქედან გამომდინარეობს ვარაუდი, რომ იგი მხოლოდ ერთი წლის მანძილზე არებოდა. შესაძლოა, მისი გამოცემა ფინანსური პრობლემების გამო შეწყდა.

თორმეტივე ნომერი აკინძულია წლიური გამოცემის სახით და ატარებს სახელწოდებას "ანუს ქრისტი, 1597".

"რორზახერ მონატსურიფტი" შეიძლება პირველ გერმანულ პერიოდულ გამოცემად ჩაითვალოს. მას ჰქონდა ადრეული გაზეთის ყველა ნიშანი: მრავალმხრივობა, აქტუალობა, პერიოდულობა.

შესაძლოა, მისი გამოცემა აიხსნას გერმანიის კაიზერის რუდოლფ მეორის მოთხოვნით, რომელმაც 1597 წელს დაადგინა, რომ ცნობები მხოლოდ ყოველთვიური გამოცემების სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. თუმცა, ამ დადგენილების შემდეგაც, არ შეწყვეტილა სხვა ცალკეული გამოცემების ბეჭდვა.

პირველი პერიოდული გაზეთების გამოჩენისთანავე დაიწყო კონკურენცია. დიდ ქალაქებში გამოდიოდა 2-3 ფურცელი, რომლებიც ერთმანეთისათვის კონკურენციის გაწევას ცდილობდნენ. გამომცემელი, ასეთ შემთხვევაში, მიდიოდა ვენაში, რათა თავისი გაზეთი კაიზერის მიერ პრივილეგირებული გაეხადა. ამგვარი პრივილეგიის წყალობით, გამომცემელი ხელში იღებდა მონოპოლიას და ეს იყო სასიკვდილო განაჩენი მისი კონკურენტებისათვის. შესაბამისად, ამგვარი პრივილეგია პარალიზებას უკეთებდა მთელ საგაზეთო საქმეს.

ამგვარი სახის ყველაზე ადრეული პრივილეგია განხორციელდა მაინის ფრანკფურტში. 1619 წელს აქ გამოდიოდა 3 გაზეთი: წიგნით მოვაჭრე ეგეროლფ ემელის უსათაურო გაზეთი, ფოსტის უფროსის იოჰან თეობალდ შიონჰეტერის "Diarium Hebdemodale". ამ უკანასკნელმა პრივილეგიის მიღება ფერდინანდ მეორის ფრანკფურტში ყოფნის დროს შეძლო. პრივილეგიის ფურცელი 1619 წლის 16 სექტემბრითაა დათარიღებული. თუმცა, ეს ფურცელი გამომცემელმა საჯაროდ დამალა, მაგრამ შენიშვნა მაინც გაკეთდა გაზეთზე "cum privilegio Caesareo", რამაც კონკურენტების პროტესტი გამოიწვია. 1620 წელს ფოსტის უფროსმა ბირგჰაიდენმა ორჯერ ამაოდ მიმართა კაიზერს თხოვნით ამ პრივილეგიის შეჩერების შესახებ, რადგან, მისი მტკიცებით, შიონჰეტერი იეზუიტი იყო და მისთვის ამგვარი პრივილეგიის მიცემა არ შეიძლებოდა. ასეთი მაგალითების მოყვანა გერმანული პრესის ისტორიიდან მრავლად შეიძლება. კონკურენტებს შორის ამგვარი კამათის შემდეგ ჩნდებოდა სხვადასხვა გამომცემლის ერთი და იმავე სახელწოდების გაზეთი, რაც მკითხველის დაბნეულობას იწვევდა. მაგ: *Augsprugische Ordinari Postzeitung* - ანდრეას მაშენბაუერის და მატეას ეტასის. კაიზერის პრივილეგიების გარდა, მოგვიანებით სხვა ცალკეული ქვეყნების პრივილეგიებიც გაჩნდა.

მე-17 საუკუნის პირველმა წლებმა განსაკუთრებული გარდატეხა შეიტანა ინფორმაციულ სფეროში. საგულისხმო და ხშირად სენსაციური მოვლენები, რომლებიც ადრე ცალკეული გამოცემების სახით შექდებოდა, უფრო რეგულარულად და დაწვრილებით აისახა ყოველკვირეულ ფურცლებში, შემდგომ კი უკვე - ყოველკვირეულ გაზეთებში.

პირველი ყოველკვირეული გაზეთები 1605-1608 წლებში გამოჩნდა. პირველი ყოველკვირეული ნაბეჭდი გაზეთი სტრასბურგში დაიბეჭდა და 4 გვერდისაგან შედგებოდა. იგი თავდაპირველად სათაურის გარეშე გამოიცემოდა, შემდგომში კი მან შემდეგი სატიტულო ფურცელი შეიძინა: „Relation: Aller fñnemmen und gedencckwürdigen Historien“... გაზეთი გამოდიოდა

1667 წლამდე და შეიცავდა მოკლე ინფორმაციებს სხვადასხვა უცხოური ქვეყნიდან.

მეორე ყოველკვირეული გაზეთი, რომელიც 1609-1610 წლებში დაიბეჭდა, ასეთი სათაურით გამოდიოდა: "Aviso, Relation oder Zeitung". იგი 1624 წლამდე გამოიცემოდა.

ამ ორი ყოველკვირეული გაზეთის მიხედვით, გერმანია შესაძლოა უძველეს ქვეყნად ჩაითვალოს, რომელშიც რეგულარული (პერიოდული) გაზეთების გამოცემა დაიწყო. 1620 წლისთვის გერმანიაში 14-მდე ყოველკვირეული გაზეთი გამოდიოდა, ხოლო მე-17 საუკუნის ბოლოსთვის მათი რაოდენობა 76-მდე გაიზარდა.

ცნობისათვის, ნიდერლანდებში ყოველკვირეული გაზეთი 1618 წელს გამოვიდა, ინგლისში - 1621 წელს, ავსტრიაში - 1622 წელს, ციურიხში - 1623 წელს, საფრანგეთში - 1631 წელს, იტალიაში კი - 1643 წელს.

მაღე დაიწყო გაზეთების კვირაში ორჯერ გამოცემა. მაგალითად, 1620 წელს ჰილდესჰაიმში გამოიცა "ჰილდესჰაიმერ ცაიტუნგი", ამავე წელს ფრანკფურტშიც დაიწყო გაზეთის კვირაში ორჯერ პერიოდულობით ბეჭდვა. 1650 წელს კი ლაიპციგში უკვე პირველი ყოველდღიური გაზეთი გამოვიდა.

ამ პერიოდში უკვე საგრძნობლად დაიხვეწა გაზეთის ფორმა და გაიზარდა მისი მნიშვნელობაც. მე-17 საუკუნიდან ტერმინმა "გაზეთი" უკვე ასეთი განსაზღვრება მიიღო: გაზეთის მიზანია უახლესი მოვლენების ამსახველი ცნობების დაბეჭდვა და მისი უმოკლეს დროში მიწოდება ფართო საზოგადოებისთვის. პრესის ეს ძირითადი განსაზღვრება, პრინციპში, დღემდე უცვლელი რჩება.

დამოწმებული ლიტერატურა

მ. გვენცაძე, 2009 - მ. გვენცაძე, "ლინგვისტური გერმანისტიკა", თბ., 2009.

Fischer Ernst, Wilhelm Haes, 1999 - Fischer Ernst, Wilhelm Haes, "Von Almanach bis Zeitung". Ein Handbuch der Medien in Deutschland, 1700-1800, München, 1999.

Schottenloher Karl, 1985 - Schottenloher Karl, "Flugblatt und Zeitung". Ein Wegweiser durch das gedruckte Tagesschriftum. Berlin, 1922, Neuherausgegeben, 1985.

Opel, Julius O., 1879 - Opel, Julius O., "Die Anfänge der deutschen Zeitungspresse, 1609-1650", Leipzig, 1879.

Heinz Pürer/Joannes Raabe, "Medien in Deutschland", B., 1, Presse.

MANANA PAPAVA**ON THE ORIGINS OF THE GERMAN PRESS**

In early periods the meaning of the word *die Zeitung* „newspaper” was „news”, „information”. This expression originates from 14th century. Some times later it merged with Lower- Germanic and Dutch languages. Far more earlier until the appearance of the script and print version of the newspaper, the meaning of this word was used in the following way: „ good newspaper”, “ bad newspaper”. (e.g. good or bad news)

New early German (about 1350-1650) is a kind of transitional stage from German language of the middle ages to contemporary German. This was the period when the basis of literary language was formed.

From 13th century the number of cities are growing in a high speed, the city populations acquire special status and their needs, accordingly bringing about *the burgher culture*. City needs educated people, the number of schools are growing fast, the universities are established. The development of education was reasonably supported by the invention of printing, which was quickly executed into a practice. The first owner of the print house was John Gutenberg. The date of the invention of printing is supposed to be about the 40s of 15th century. Print media was first appeared in Germany at the beginning of 16th century as the „ flying papers”. From 17th century the newspapers were published as the periodical additions and contained actual information. The first weekly printed newspaper was published in Strasburg. It contained 4 pages. Rorschacher Monatsschrift can be considered as the first German addition. Germany can be referred to as the oldest country, where the publishing of the periodical newspaper started.

ზენაბ სარია

ჯემალ ქარჩხაძის "რაპათ-ლუხუმი"

ჩენი ისტორიის წილში შევყავართ ჯემალ ქარჩხაძეს ნაწარმოებით, რომელსაც "რაპათ-ლუხუმი" ჰქვია. მას, ფაქტობრივად, ორი პერსონაჟი ჰყავს: ერთია უცხოეთში /კერძოდ, თურქეთში/ სულთნის ვეზირთან სადარბაზოდ ჩასული ევროპელი, რომელიც ოფიციალური შეხვედრის შემდეგ ჰერცოგს დაეთხოვა, ძველ უბანში დახეტილობს და მეორე — წითელჩაღმაინი სულეიმანი, დაახლოებით ოთხმოცდაათამდე წლისა, გაძლავებული, გარინდებაში ჩაძირული, თვალების მსგავსი ორი ნაპრალით, ცივი მზერით, მოხუცი, რომელიც მოულოდნელად, თითქოს მიცვალებული გაცოცხლდაო, წყევლის ნაკადს ამოუშვებს და ასევე მოულოდნელად წყევლას ენაცვლება მიპატივება რაპათ-ლუხუმის საყიდლად. ევროპელი მგზავრი ინტერესდება: რა ბოლომთ აქვს გული სავსე ამ თურქს და ვის წყევლის ასე? ვინ არის ომან ფაშა, რომელსაც თავის არწივს უწოდებს?

უცხოელი /ამ შემთხვევაში — ევროპელი/ მაშინვე როდი გაუბამს საუბარს ამ უცნაურ ვაჭარს, მხოლოდ მეორე დღეს გამოელაპარაკება, რადგან თავს ვერ აღწევს ამ უცნაურ მოხუცზე მოძალებულ ფიქრებს. უკვე თვალსაჩინოა მწერლის ოსტატობა: მან აღძრა ინტერესი მკითხველში, გაუღიზიანა მას ცნობისმოყვარეობა, შეუქმნა განწყობა, რომ განზავდეს ნაწარმოებში, დაიცხროს ცნობისწადილი.

მეორე, რითაც ავტორი ახერხებს მკითხველის ინტერესის შენარჩუნებას, არის ასეთი დეტალი: სულეიმანი ჯერ ამბის "დასასრულზე" საუბრობს, მერე ყვება სათხრობ ამბავს თავიდან. მან თქვა, რომ ომან ფაშას მოკვეთილი თავი მკვდარ მზეს ჰგავდა, აქედან კი გავიგეთ, რომ გმირი, რომელზეც მოთქვამს, ტრაგიკულად მოკლეს. ნაწარმოებში დროითი თანმიმდევრობა დარღვეულია, რაც გახლავთ ლიტერატურული ხერხი და მას ანაქრონია ეწოდება (ყურარ შენეტი, 1998). აქ გვაქვს ანაქრონიის სახე — ანალექსისი — მონათხრობი, რომელიც უკან ვვებრუნებას.

სულეიმანი ყვება, რომ შვიდი წლის ომან ფაშას აღმზრდელად მიიწვიეს. მან ჩათვალა, რომ საუკეთესო შეგირდმა საუკეთესო ოსტატი იბოვა და გულში ამოიჭრა მიზანი: ისე გაეზარდა, ოსმალეთში მისი მკობი არავინ ყოფილიყო და თუ ალაპიცი ინებებდა, სულთნის ტახტი ჩაეგდო ხელში.

მოსისხლე მტრის სიტყვით, თურქებს სურდათ ქართველთა მეფე ლუარსაბის ტყვედ ჩაგდება, გურჯისტანის დამორჩილება. ამ დროს ერთმა გურჯმა მკერდგანგმირულ ომან ფაშას ხანჯლით ყელი გამოლადრა. როცა ხმალამოწვდილი ოსმალები მისკენ გაქანდნენ, მარჯვე მეომარმა ომან

ფაშას თავი წვერით კბილებშუა მოიქცია, ორივე ხელი გაითავისუფლა და ასე ცხენდაცხენ გაიკაფა გზა, მტერს თვალსა და ხელს შუა დაეკარგა. ამბავი, რომელიც აქ ფიქსირდება, ისტორიული ფაქტია: პირველი შეტაკება ოსმალებთან სხერტის ჭალაში, თემძის ხეობაში მომხდარა. ქართველებმა თურქე უკუაქციეს რიცხვმრავალი თურქობა. სააკაძის ლაშქარში იბრძოდა სახელოვანი მეთამარი ზაზა ციციშვილი, რომელმაც თურქ ფაშას თავი გააგდებინა, წვერით კბილებში დაიჭირა და ორივე ხელით შეჭურვილმა განაგრძო შეტევა. ეს ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა (ლ. სანიკიძე, 2008, გვ. 215). გ. ჯამბურიაც ახსენებს გიორგი სააკაძის გვერდით სარდალ ზაზა ციციშვილს. ასევე იმასაც გვეუბნება, რომ დამარცხებული მტრის მოჭრილი თავები და ტყვედპყრობილი სარდლები შაჰ აბასს გაუგზავნეს, რითაც ვასალური "ერთგულება" დაუმტკიცეს შაჰს (გ. ჯამბურია, 1973, გვ. 257). სულეიმანიც ყვება, რომ ლუარსაბ ხანმა და სააკაძემ თურქებს შავი ღლე გაუთენეს. მოხუცი თვლის, რომ ნაწამები მღვდლის სული ბედისწერასავით სდევდა მათ ფეხდაფეხ. ახლა მღვდლის ამბავი იკითხა ევროპელმა. შემდეგ უკვე სულეიმანის მიერ მოყოლილ თევდორე მღვდლის ამბავს ვისმენთ, ქართველი მკითხველისათვის სასკოლო ასაკიდანვე საყოველთაოდ ცნობილს:

1609 წელი იყო. საქართველოს ახალციხის მხრიდან მოულოდნელად თავს დაესხა ოსმალთა ჯარი. მტერმა გადაწვა მანგლისი და სოფელ კველთაში შეიპყრო მღვდელი თევდორე. მას უბრძანეს, მეფე ლუარსაბის სამყოფლისკენ წაეყვანა ოსმალთა ურდო. მტერმა იცოდა, რომ მეფე შიდა ქართლში, სოფელ ცხირეთში იმყოფებოდა. გზად უღრანი ტყე უნდა გაევლოთ. თევდორეს ამბავი მოთხრობილია დაუძინებელი მტრის პირით. თევდორემ გზა აურია მტერს, უღრანში შეიყვანა, გზადაგზა კი ხალხს დაანახა მტერი. ამასობაში მეფემ ლაშქრის შეკრება მოასწრო და მომზდური სასტიკად დაამარცხა. ამ ბრძოლაში გიორგი სააკაძემ დიდად გამოიჩინა თავი, თუმცა თევდორე მღვდელს ეს თავდადება ძვირად დაუჯდა: იგი აწამეს, შემდეგ კი თავი მოჰკვეთეს.

სულეიმანი როგორ ყვება ამ ამბავს?

„იესო ქრისტეს უნდა დაეკითხო. თუ დასტურს მომცემს, გაგიძღვებით, — უთხრა თევდორე მღვდელმა თურქებს. დიდხანს იდგა მუხლებზე ზეცისკენ თვალბაღპყრობილი მლოცველი. რომ აღგა და მოტრილდა, სახე უელავდა, თვლებიდან კი თითქოს სხივებს აფრქვევდა. ეს ოსმალებმა ლოცვის ექსტაზს დააბრალებს.

მღვდელმა მხოლოდ ერთხელ ასწია თავი, გადაიხარა, ბუჩქში ერთი ყვავილი მოწყვიტა, უტყვირა და უბეში ჩაიდო. ეს ხომ ის პასაჟია, სუნთქვას რომ აჩერებს?... ავტორმა ასე გამოათხოვა თავისი პერსონაჟი სიცოცხლეს ზედმეტი სენტიმენტალობის გარეშე, ძუნწი ჟესტით, მამაკაცურად, ვაჟკაცურად...

მღვდელი სალ კლდესთან შეჩერდა: უფალმა ჩემმა აქ მიბრძანაო შენი მოყვანა. მისი მზესავით მოელვარე სახე სხივს აფრქვევს. მტრის თვალში ის წყეული მღვდელია. მიუხედავად ამგვარი განწყობისა, როდესაც

ჰეჟა-ქუხილი ატყდა, პირველსავე გაელვებაზე მათ ცის კაბადონზე იხილეს გურჯი მღვდლის სახე. ამას მოჰყვა მათი დამარცხება და ომან ფაშას სიკვდილი.

მაგრამ ნაწარმოები სრულდება მოულოდნელი პატარა აბზაცით: "ღღესაც არ ვიცი, ნამდვილად მოხდა ეს ამბავი, თუ ცბიერმა მოხუცმა ყველაფერი მართლა რაპათ-ლუხუმის გასასაღებლად მოიგონა". ეს, რასაკვირველია, მწერლის ლალი იუმორია, ასე ოსტატურად რომ აზავებს მძიმე ამბავს უდარდელ ტონალობასთან.

რეზო ყარალაშვილი თავის ნაშრომში "წიგნი და მკითხველი" ერთგან "ჩარჩოს ტექნიკაზე" გვესაუბრება. ცნობიერების გადართვას მხატვრული ნაწარმოების რეალიტეტზე ხელს უწყობს სწორედ ეს "ჩარჩოს ტექნიკა". ეს ისეთი ხერხია, როდესაც სათხრობი მასალა ისეა მოწოდებული, თითქოს ჩარჩოს მსგავსი ზღუდითაა გამოყოფილი რეალობიდან. მხატვრული გამონაგონი შემოსაზღვრულია გარესამყაროსაგან. ჯ. ქარჩხაძის ამ ნაწარმოებში სწორედ ჩარჩოს ტექნიკაა გამოყენებული. მკითხველის ცნობიერება უნდა გადაერთოს მთავარზე, სულეიმანის მონაყოლზე, რომელიც ფერმწერის ტილოსავით არის მოთავსებული ემპირიული რეალობის ჩარჩოში.

ვინ არის სულეიმანის მოსაუბრე? იგი შორეული ქვეყნიდან მოსული უცხო გვარ-ტომის წარმომადგენელია. "ჰერცოგს სავაჭრო საქმეთა მჩრეველად ვახლდი", — გვეუბნება მთხრობელი. ჰერცოგი დასავლეთ ევროპაში თავდა-ზნაურთა ერთ-ერთი უმძალესი ტიტულია. ესე იგი, მთხრობელი დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი ქვეყნიდანაა.

როგორც ვხედავთ, მწერალი ჩვენთვის ბავშვობიდან ცნობილი მოწამის ამბავს თურქის, ქართველთა დაუძინებელი მტრის ვერსიით გვაცნობს, ხოლო ყოველივე ამას უკვე მეორე უცხოელი, ევროპელი გვიყვება. ასე გვაიძულებს ავტორი, საკუთარ ისტორიას უცხოს თვალით შევხედოთ. რატომ გვთავაზობს ჯ. ქარჩხაძე ამგვარ მხატვრულ ხერხს? რომ შექმნას მიუყერძებლობის ეფექტი და დაგვაფიქროს, თურმე როგორები ვჩანვართ სხვათა თვალში.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა, თუ როგორ ახსიათებს მაჰმადიანი ალი-მირზა გურჯებს. ის გურჯისტანში მრავალი წელი ცხოვრობდა. სვიმონ მეფეს, ქართლის ტახტის მაშინდელ მპყრობელს, მსტოვრობისთვის დაუსაჭურისებია და გამოუძევებია ქვეყნიდან. მას ქართველთა ჯავრის ამოყრა სურს და ამიტომაც ეუბნება ომან ფაშას: "გურჯისტანი ტბილია, როგორც იქაური ყურძნის მარცვალი. ნელ-ნელა უნდა დააჭირო კბილი და ისე გასრისო, რომ სისხლის ყოველ წვეთს გემო ჩაატანო."

ჩვენზე დაკვირვებით ალი-მირზას ამგვარი შთაბეჭდილება შეექმნა: ბუნებით ყველა გურჯი მოღალატეა; შურიანები არიან, ერთიმეორის სიკეთე მოსვენებას უკარგავთ; სხვის ნათქვამს უფრო იჯერებენ, ვიდრე თავისიანისას; გურჯი სწრაფად მოგენდობა და შეუყვარდები, საკუთარი ძმა კი შესძულდება; თავიანთ ნაკლს მალავენ. თუ ნაკლი დაუფიქსირე, არ გაპატიებენ; ბრძოლა კარგი იციან, მაგრამ ღალატზე უკეთესი — არა;

სხვის ლაშქარში უფრო მონდომებით იბრძვიან, რადგან უცხოთ ვეღარ გამოიჩინა უყვართ; გურჯი არხენია და უზრუნველი, მუდამ ღვთის იმედზეა. ეს მწარე სიტყვები რომ სიმართლე იყო, მოღალატე ქართველის გამოჩენამ ნათელყო. ღამე გურჯები ღვინოს დალევენ და თუ მოულოდნელად დაესხმით თავს, მძინარეებს ამოხოცავთო, საზღვარზე მეთვალყურე ლაშქრის ამოხოცვამ ეს წინასწარმეტყველებაც დაადასტურა.

რატომ ამჯობინა მწერალმა, რომ უკიდურესად კრიტიკული მოსაზრებანი მტრულად განწყობილი უცხოელის პირით გამოეთქვა?

თუ ნაკლი არ ამხილე, ვერასოდეს მოიშორებ. მტერს შეუძლია შეულამაზებლად აფიქსიროს შენი მინუსები და ამაზე პირდაპირ ელაპარაკოს შენსავე მტერს /და არა შენ/. ავტორმა შესაძლებლობა მოგვცა, რომ გავგვეო ჩვენზე ერთი მტრის მიერ ნათქვამი სიტყვა. ეს ხედვის წერტილი არ არის ტრადიციული ქართული ლიტერატურისათვის, ამიტომაც მით უფრო საინტერესოა და დასაკვირვებელი. ავტორისათვის ისტორია ის რაობაა, რომელშიც საკუთარი სახის კონტურები იკვეთება. ის წერს: "თუ ადამიანის დანიშნულება არის საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობა, მაშინ ისტორიაა ის გზა და იაკობის კიბე, რომელსაც იგი ამ მიზნისკენ მიჰყავს" (ჯ. ქარჩხაძე, 1991, გვ. 82).

ამავე პუბლიკაციაში ჯ. ქარჩხაძე თვლის, რომ რაკი მცირერიცხოვანი ერი ვართ, ყველანი ერთმანეთს ვენათესავეებით, ამიტომ, ჩვენში ჭარბობს სიყვარული თუ სიძულვილი, მაგრამ არ არსებობს წმინდა გულგრილობა; ვცდილობთ, ნაკლს თვალი მოვარიდოთ. ჩვენგან განსხვავებით, უცხოელის თვალი გულგრილია. მას არც სიძულვილის დამალვა სჭირდება და არც პირმოთნეობაში გადასული სიყვარული.

მაგრამ იქნებ არც მტრის თვალი იყოს უცდომელი და სანიმუშოდ მიუკერძოებელი (გულგრილი)? ომან ფაშაც ხომ ალი-მირზას მტკიცებებზე დაყრდნობით უცილობელ ღალატს ელოდა თევდორე მღვდლისგან, გაკვირვებული იყო მოწამის სიმტკიცით და შეცბუნებული იმეორებდა: "აკი ყოველი ქართველიო?.."

ამ ნაწარმოებში ნაჩვენებია ძალგულოვანი ზაზა ციციშვილის სიჩაუქეც, სულკურთხეული თევდორე მღვდლის თავგანწირვაც, მაგრამ აქვეა ალი-მირზას მიერ გამოკვეთილი ზოგადი პორტრეტი ქართველობისა, ჩვენი ნაკლოვანებების ნუსხა, რაც ღირს იმად, რომ არაერთხელ მოვუბრუნდეთ ამ ნაწარმოებს და ვიფიქროთ...

ნაწარმოებში ევროპელი მგზავრის მიერ თურქეთში გატარებულ იორი დღეა ნაჩვენები. პერსონაჟები, აქ რომ მთავარი შტრიხებით ცოცხლდებიან, სულაც ცალი ხელის თითებზე ჩამოითვლებიან. ფინალი მომზიბვლელად მოულოდნელია, რადგან სიღრმისაყენ მიმზიდავ საფიქრალში მსუბუქი იუმორისტული განწყობილება შემოაქვს. რატომ არ არის ეს ნაწარმოები ნოველა? აქ ხომ მისი ყველა ნიშანი აშკარაა?.. რა დააკლდება ამ ჭეშმარიტად ლიტერატურულ ქმნილებას იმით, რომ მას ნოველა ეწოდოს?

ამ მოსაზრებას გამოვთქვამ მიუხედავად იმისა, რომ ვიცი ავტორის აზრი: „ჟანრობრივ დაწვრილმანებას, რაც ლიტერატურის თეორიისათვის იქნება აუცილებელი პედანტიზმიც იყოს, თავად ლიტერატურისათვის, ჩემი აზრით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. პირადად მე ყოველთვის ეჭვის თვალით ვუყურებდი ჟანრების მყიფე განმარტებებს და ახლაც ეჭვის თვალით ვუყურებ. ნაწარმოები, რომელიც დაიწერა, შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი, საინტერესო ან უინტერესო, ხატოვანი ან სადა, დაძაბული ან დუნე... ყველაფერი ეს რეალური თვისებებია და აუცილებლად ხაზგასასმელიც, მაგრამ ნაწარმოებს მოთხრობა ერქვას თუ რომანი, ამის გარკვევა, თუკი საერთოდ გავარკვეთ, მხოლოდ წმინდა ფორმალურ ნიშანს წარმოადგენს, რომელსაც ნაწარმოების შესახებ არაფრის თქმა არ შეუძლია. თუმცა რა ვიცი, იქნებ ისეთ სფეროში ვიჭრები, სადაც ვერაფერს დავამტკიცებ საკუთარი დილეტანტიზმის გარდა“...

ძალზე საინტერესოა ჟანრობრივ დიფერენციაციაზე ავტორის მიერ ღიად, უშუალოდ გამოთქმული მოსაზრება, რომელსაც, ცოტა არ იყოს, ლიტერატურული უდარდელობის იერი დაჰკრავს, იქნებ მთქმელის შემოქმედებით ხასიათზე რაღაცას ამბობდეს კიდევ, მაგრამ, არა მგონია, გასაზიარებელი იყოს. ჟანრი ნაწარმოებისთვის ერთგვარი ბინაა. არა მგონია, რთული იყოს ქმნილებისათვის ბინის მიჩენა. მართალია, ლიტერატურული ჟანრის გააზრება სხვადასხვა ეპოქისა და თეორიული კონცეფციის კონტექსტში შეიძლება იცვლებოდეს კიდევაც, მაგრამ ჟანრი ეს ლიტერატურის ძირითადი საკლასიფიკაციო კატეგორიაა. ამან განაპირობა, რომ მას შეისწავლიან სინქრონიულ და დიაქრონიულ რაკურსებში. სინქრონიზმი პერმანენტულობასა და მუდმივობას ასახავს, დიაქრონიზმი - ტრანსფორმაციას. მნიშვნელოვანი დასკვნები მიიღწევა ამ ორი რაკურსის სინთეზირებით (ი. რატიანი, 2009). მიუხედავად იმისა, რომ ჟანრი მარადცოცხალი ლიტერატურული ორგანიზმია, იგი გამყარებულიც არის და ნორმირებულიც. ვფიქრობ, ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების თანახმად (მცირე ფორმა, ადამიანის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდის ასახვა, მოქმედ პ. 'თა სიმცირე, მათი პორტრეტების შეკუმშულად წარმოდგენა, დინამიკური სიუჟეტი, მოულოდნელი ფინალი...), ეს ქმნილება ნოველია. დაეჭვებისთვის არანაირი საბაბი არა გვაქვს, ის კი არა და ლამის არის ნოველის კლასიკურ ნიმუშადაც გამოგვადგეს.

დამოწმებული ლიტერატურა

- უ. ჟენეტი, 1998 - Женетт Ж. Повествовательный дискурс. Фигуры. Т.2. М. 1998.
- ი. რატიანი, 2009 - ი. რატიანი, ჟანრის თეორია, თბ., 2009.
- ლ. სანიკიძე, 2008 - ლ. სანიკიძე, დედაისტორია, თბ., 2008.
- ჯ. ქარჩხაძე, 1991 - ჯ. ქარჩხაძე, ომი საკუთარ თავთან, ჟურნ. „კრიტიკა“, №1, 1991.
- გ. ჯამბურია, 1973 - გ. ჯამბურია, ტაშისკარის ბრძოლა, გიორგი სააკაძე, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. მე-4, თბ., 1973.

ZEINAB SARIA

JEMAL KARCHKHADZE'S 'RAHAT LUKHUM'
(Turkish delight)

A short story Rahat-Lukhum revives historical events of the 17th century. This gives a general portrait of Georgians as described by a Muslim Ali-Mirza; the list of our drawbacks.

There is a 'framework technique', as Rezo Karalashvili would refer to it, in the story. The main narrative (Suleiman's story) is provided the way as if it were separated from the reality by a framework.

From the genre viewpoint, this is a short story because it has short size. It describes an episode from a person's life (however, the story narrates the events that are important for the story); it is characterized with a dynamic plot, unexpected final and little number of characters whose portraits are represented with main features only.

The writer tells a story of a famous martyr Priest Tevdore, who we have all known since childhood, with the version of Georgians' sworn enemy. In this way the author makes us look at our history with the eyes of another person. Why is Jemal Karchkhadze offering us such an artistic expression?

As far as Georgians are not very many, we are all relatives to one another and this is why love or hate prevails among us, but there is no pure indifference. Unlike us, the foreigner's eyes are indifferent. They do not need to hide either hate or show love that has grown into flattery. If you do not unveil drawbacks, you will never be able to get rid of them. The enemy can state your disadvantages without bias and tell them to your enemy (and not to you). The author gave us an opportunity to learn the words told about us by one enemy. This viewpoint is not traditional for the Georgian literature and this is why it becomes more interesting nourishment for thought. For

the author the history is a thing where the features of one's own image are shaped. He thinks: 'if a person's mission in the world is perceive oneself and the world, then the history appears to be the way and Jacob's Ladder that leads one towards this goal'.

This story also describes valour of brave-heart Zaza Tsitsishvili, self-sacrifice of Priest Tevdore, whose spirit would be blessed, but there is also a general portrait of Georgians shaped by Ali-Mirza, providing a list of our drawbacks, which makes this story worth of reading and thinking about.

Thus,

- a) The genre of the story needs to be specified.
- b) The overall picture of the Georgians seen by the enemy's eyes deserves attention.
- c) A 'framework' technique is effectively used in the story.

რუსუდან სალინაძე

მღვდელმონაჰე სიმონ მჭედლიძის საგამომცემლო საქმიანობა

საეკლესიო მოღვაწეთა შორის, რომელთაც განსაკუთრებული ამაგი დასდეს საგამომცემლო საქმეს საქართველოში, გამორჩეულია მღვდელმონაჰე სიმონ მჭედლიძის სახელი. იგი XIX საუკუნის დასაწყისის (10-20-იანი წლების) არა მხოლოდ ქუთაისის, არამედ დასავლეთ საქართველოს ეპარქიაში მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა და განსაზღვრავდა ქართველი ხალხის სულიერი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას.

რევოლუციამდელ ქუთაისში რუსეთის ცარიზმი და ადგილობრივი ხელისუფლება ნაკლებ დაინტერესებას იჩენდნენ ან ყოველმხრივ აფერხებდნენ საგამომცემლო საქმეს. პროგრესულ აზრს საზოგადოებადმე გზას უღობავდა ცენზურა. ნშირად ესა თუ ის გამოცემა ხორციელდებოდა პოლიციური ზედამხედველობის ქვეშ. იყო მესტამებთა დაპატიმრების, ადგილობრივ ხელისუფალთა განკარგულებით გამოცემის შეწყვეტის შემთხვევებიც. ასეთ რთულ პირობებში, საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩავდების ფასად, ცალკეული პიროვნებები, ორგანიზაციები ახერხებდნენ სტამბის დაარსებასა და წიგნების, ჟურნალ-გაზეთების გამოცემას (რ. სალინაძე, 1989, გვ. 63).

მღვდელი სიმონ მჭედლიძე სამოძღვრო-საეკლესიო, სასულიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ნაყოფიერად უთავსებდა საგამომცემლო საქმიანობას. წიგნში "ქართული სტამბები 1627-1916 წწ." ზაქარია ჭიჭინაძე ცალკე თავს უძღვნის მღვდელ სიმონ მჭედლიძეს და მის სტამბას ქუთაისში: "მას ქუთაისში აქვს საკუთარი შესაფერი სტამბა, თვით აწარმოებს ამ სტამბას და მის საქმიანობას უძღვება თავის შესაფერისად. ამას გარდა, იგი ცნობილი მუშაკი გახლავთ ქართული სასულიერო მწერლობისა. იგი ბეჭდავს სხვადასხვა ისტორიულ წიგნებს, ამასთანავე, გახლავთ რედაქტორი სასულიერო და სამოქალაქო გაზეთ "მინაური საქმეებისა" (დ. მელიქიშვილი, 1995, გვ. 9).

როგორც ცნობილ ქართველ მოღვაწეთა თუ რიგით მკითხველთა პუბლიკაციებიდან ირკვევა, ს. მჭედლიძეს არაერთხელ დაუყენებია სამღვდელთა საეპარქიო კრებებსა თუ, საზოგადოდ, საქართველოს საეკლესიო წრეებში ზეპირად თუ საგანგებო პუბლიკაციებში საკითხი სამღვდელთა საკუთარი საგამომცემლო ორგანოს დაარსებისა, საკუთარი გაზეთის, ჟურნალისა და სამისიონერო წიგნაკების გამოცემის მიზნით. ამასთანავე, იგი მიიჩნევდა, რომ ამისათვის ხელი უნდა მოეკიდებინა თვით სამღვდელთა ან რომელიმე საზოგადოებას. სწორედ ამიტომ მან თავის თანამდგომებთან ერთად დააარსა "იმერეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა", რომლის მიზანს შეადგენდა სწორედ ამგვარი წიგნაკების გამოცემა და ხალხში გავრცელება ("მინ.

საქ.", 1910, №30). სტამბასაც, რომელშიც იბეჭდებოდა გაზეთი "შინაური საქმეები", შემდგომში ურნალი "განთიადი" და საგანმანათლებლო წიგნები, "ძმობა" ეწოდა. იგი მდებარეობდა ქუთაისში, საბურთალო-კახაკოვის შესახვევში, №17 სახლში, სადაც ცხოვრობდა მღვდელი ს. მჭედლიძე თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით.

"იმერეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა" ერთადერთი დაწესებულება იყო არა მხოლოდ იმერეთში, არამედ მთელი საქართველოს საეგზარქოსოში. მისი დანიშნულება და მიზანი იყო სარწმუნოების აღდგენა და ქრისტიანობის განმტკიცება ხალხში როგორც ქადაგებებით, "ისე ზებირ მოძღვრებათა და ქრისტიანული წიგნებ-წიგნაკების გამოცემის საშუალებით". ს. მჭედლიძეს არაერთხელ დაუსვამს საკითხი როგორც საეკლესიო კრებებზე, ისე გაზეთის ფურცლებზე სინოდის წინაშე, რომ "ეგზარქოსის, მისი მალაღყოვალადუსამღვდელოესობის განათლებული ყურადღება მიექციათ" ამ ძმობისათვის, რათა მას საშუალება მისცემოდა განეხორციელა "ინა ის მიზნები, რომლებიც დასახული ჰქონდა წესდებით. მართალია, სამღვდელოება და საზოგადოების გარკვეული ნაწილი მოწონებით შეხვდა "იმერეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობის" დაარსებას, მაინც საჭირო იყო მეტი მხარდაჭერა, განსაკუთრებით მატერიალური, რადგან "ძმობის" გაზეთის 300-მდე ხელისმომწერი მისი გამოწერის ხარჯსაც კი ვერ ანაზღაურებდა. "სიღარიბეზე თუ ვიტყვი, არავენ ქართველ რედაქტორზე ღარიბი არ იქნება. მთელი თავისი ენერჯია, ძალი და ღონე გამოცემას უნდა შესწიროს და თვითონ კი მშვიერ-მწყურვალი ეგდოს. მას კიდევ ზედ დაურთეთ ზნეობრივი ტანჯვა, რომ მის შრომას არავენ აფასებს... მაგრამ არა! ნურვინ გავაძხვლოთ სიღარიბე იქ, სადაც საქვეყნო, საერო და საეკლესიო საქმე კეთდება", — წერს ს. მჭედლიძე ერთ-ერთ სარედაქციო წერილში. მას გულს სტკენდა საზოგადოების ვულგარიზობა, ცდილობდა სამღვდელოების გამოცოცხლებას, მიაჩნდა, რომ საჭირო იყო თავდადებული მოძღვრები, წიგნები, წიგნაკები, ურნალები, გაზეთები ხალხის, სამღვდელოების საკითხავად და განსავითარებლად: "საჭიროა ჩვენი საღვთისმეტყველო ლიტერატურის გამდიდრება როგორც ძველი ჩვენი მამების ნაწერების გამოცემით, ისე ნათარგმნებითაც" ("შინ. საქმ.", 1910, №26).

ს. მჭედლიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მშობლიური ენის საკითხებს. რედაქცია მოითხოვდა და ასაბუთებდა პირველადწყებით სკოლებში საღვთო სჯულის, სასულიერო სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნების ქართულ ენაზე სწავლების შემოღების აუცილებლობას. "შინაური საქმეების" 1908 წლის 20 აპრილის ნომრის მიხედვით, 1907 წლის დეკემბერში თბილისში შემდგარა მთავრობისგან ნებადართული კრება ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოებისა, რომელსაც მრავალ საყურადღებო საკითხთან ერთად განუხილავს "საკითხი სემინარიაში საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლების შესახებ". კრების დეპუტატებს საჭიროდ მიუჩნევიათ საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლება და დადგენილება სინოდისთვის წარუდგენიათ, მაგრამ სინოდს იგი არ დაუმტკიცებია სახელმძღვანელოების უქონლობის მიზეზით. "შინაური

საქმეების" რედაქცია მოითხოვდა სახელმძღვანელოების ქართულად თარგმნას და ამისთვის ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის შემუშავებას. ერთ-ერთ სტატიაში "საკითხი სემინარიაში საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლების შესახებ" სარკინელი წერს: "თუ არ მიეცა ჩვენში საღვთისმეტყველო საგნების შესწავლას ჯეროვანი ყურადღება, მაშინ უმჯობესია მივიდეთ საეკლესიო მუზეუმში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავში, მოუყაროთ ერთად თავი საღვთისმეტყველო წიგნებს, რომლებიც დაწერილ არიან ჩვენ წინაპართა სისხლით და ოფლით და წაუკითხოთ მათ სულმობრძავის ლოცვა, ზედ პანაშვიდზე მოვებათ! თუ შეიძლება ქართულს ენაზე შედგენა სახელმძღვანელოებისა სიტყვიერების, მათემატიკის, ისტორიის და სხვა საგნების შესასწავლად, ღვთისმეტყველება რაღა არის?"

ს. მჭედლიძის მიერ დაარსებული "იმერეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა" და სტამბა "ძმობა" პრაქტიკულად ახორციელებდა საგამომცემლო საქმიანობას, ხელს უწყობდა ქართულ ენაზე საღვთო სჯულისა და საღვთო ისტორიის, ღვთისმსახურების შესახებ სახელმძღვანელოების შექმნას. სწორედ რედაქტორი ს. მჭედლიძე, მისი გაზეთის ("შინ. საქმ.") თანამშრომლები დეკანოზი ნესტორ ყუბანეიშვილი, მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე და "ძმობის" სხვა წევრები არიან ავტორები XX საუკუნის დასაწყისში შექმნილი საღვთო სჯულის სახელმძღვანელოებისა, რომლებიც დღესაც გამოიყენება სასწავლებლებში. "შინაური საქმეების" 1913 წლის №8-ში დაბეჭდილია ვრცელი სია სტამბა "ძმობაში" გამოცემული წიგნებისა. ესაა წმინდანთა ცხოვრება-მარტილობანი და სასულიერო-საგანმანათლებლო ხასიათის ლიტერატურა: "ახალი აღთქმის საღვთო ისტორია", "მოკლე საეკლესიო ისტორია საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით", "სარწმუნოება და მისი უარისმყოფელნი ჩვენში", "სინამდვილე სახარებისა", "წყარო ურწმუნოებისა", "ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე", "ქრისტიანობა და დემოკრატია", "პროფ. მაქს მიულერის აზრი მატერიალიზმზე", "ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში", "პატარა ქრისტიანი" და სხვა. ეს ჩამონათვალი მოწმობს "იმერეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობისა" და სტამბა "ძმობის" ნაყოფიერ შრომას. უმრავლესობა აღნიშნული გამოცემებისა ს. მჭედლიძეს ეკუთვნის.

ს. მჭედლიძემ თავის სტამბაში ცალკე წიგნაკად დაბეჭდა ალექსანდრე ცაგარელის მოხსენება "მოწმობანი მე-17-18 საუკუნეთა ოფიციალური მიწერ-მოწერისა საქართველოს (ივერიის) ეკლესიის ავტოკეფალიობის შესახებ" (დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში).

სტამბა "ძმობაში" იბეჭდებოდა არა მარტო სასულიერო, არამედ საერო ხასიათის ლიტერატურაც. მაგალითად: "სინამდვილე სახარებისა", უბის "ვეფხისტყაოსანი"...

"შინაური საქმეები" უყურადღებოდ არ ტოვებდა არც ერთ დიდმნიშვნელოვან ეროვნულ მოვლენას. მაგალითად, აკაკი წერეთლის

იუბილესთან დაკავშირებით რედაქციამ წიგნად გამოსცა მელიტონ კელენჯერიძის ლექციები "აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიწვილი".

ძალზედ მნიშვნელოვანი იყო "შინაური საქმეების" დამოკიდებულება საერთოდ ახალი გამოცემებისადმი. რედაქცია ხშირად აწვდიდა საზოგადოებას ინფორმაციასა და დაწვრილებითს ცნობებს ახალი წიგნების შესახებ.

1913 წელს ქარვასლის ქუჩაზე, ჩარეკოვის სახლში, ს. მჭედლიძის სტამბა "მშობაში" ს. მჭედლიძის რედაქტორობითვე გამოვიდა, აგრეთვე, 274 გვერდიანი ყოველთვიური საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური, პოლიტიკური და ლიტერატურული ყურნალი "განთიადი", მაგრამ დამარსებლის უსახსრობის გამო მისი გამოცემა შეჩერდა. ერთი წლის შემდეგ, 1915 წლიდან, ს. მჭედლიძისავე რედაქტორობით ისევ განახლდა 32 გვერდიანი ორკვირეული სამეცნიერო, სალიტერატურო და პოლიტიკური ყურნალ "განთიადის" სახით. ერთხანს (№5-დან) მას რომანოზ ფანცხავა (ხომლედი) უძღვებოდა. ამის შესახებ აღნიშნავს ი. კვიციანიძე "მწიგნობრობის თანამგზავრში": "ამ წლის იანვრიდან ქუთაისში იწყო გამოსვლა ყურნალმა "განთიადმა", რომლის ფაქტიური ხელმძღვანელობა რამდენიმე ახალგაზრდებთან ერთად იკისრა ჩვენ მწერლობაში ცნობილმა მე-90-იან წლების კრიტიკოსმა ბ. ხომლედმა. მან ეს მეექვსე ქართული გამოცემა ქუთაისში უპარტიო ორგანოთ გამოაცხადა და ყველა მიმართულებიდან იწვევს შიგ მწერლებს. ვნახოთ, ამგვარ ორგანოს რამდენი ხნის ბურჯი ექნება ჩვენში" ("განთ.", 1915, 6, 27).

ყურნალის პირველი ნომერი გამოვიდა საახალწლოდ წიგნაკის სახით, მცირე ფორმატის, 64 გვერდიანი. დანარჩენი ნომრები მოზრდილი ფორმატის 32 გვერდს მოიცავდა. იგი იშვიათად იყო ილუსტრირებული. გარეკანზე წარმოდგენილი იყო შინაარსი, პირველსა და ბოლო გვერდზე კი — რეკლამები სხვა გამოცემებისთვის. რამდენიმე ნომრის გარეკანზე მოთავსებული იყო აკაკის პორტრეტი.

როგორც ჩანს, ცენზორის (თანაც სამხედროსი) თვალი არც ამ პერიოდულ ორგანოს სცილდებოდა. ერთ-ერთი ნომრის (1915წ. №5) ბოლოში მითითებულია: "ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან".

ყურნალში იბეჭდებოდა სხვადასხვა სახის მასალა: მოთხრობები, ლექსები, შეხედულებანი სწავლა-განათლებაზე, კრიტიკა (მაგალითად, პირველ ნომერში იწყება და რამდენიმე ნომერში გრძელდება რუბრიკით "კრიტიკა" ხომლედის ავტორობით აკაკის ლირიკის კრიტიკული მიმოხილვა; ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა გ. ქიქოძის "ვაჟა ფშაველა" და სხვა); ქვეყნდებოდა, აგრეთვე, ფილოსოფიური ნააზრევი, სამეცნიერო ხასიათის წერილები, სამედიცინო მასალა. "განთიადში" თანამშრომლობდნენ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. ყველაზე აქტიური თანამშრომელი იყო ნიკო ნიკოლაძე. მის სტატიათაგან საყურადღებოა წერილი ხომლედლისადმი ილიასა და აკაკისთან დამოკიდებულების შესახებ ("განთ.", 1915, 8, 20); ყურნალში დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსები: "მერი", "ბედისწერა", "ვაგნერი" და სხვა. თანამშრომელთა შორის იყვნენ, აგრეთვე: დ. მეგრელი, დ. ჩიანელი, რ. და ი. ფანცხავები (ძმები), იბ. ვართაგავა, ი. გრიშაშვილი, გ. ქიქოძე და სხვ.

"განთიადი" უდიდეს ადგილს უთმობდა ქართველ კლასიკოსთა ცხოვრებასა და შემოქმედებას. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო აკაკი წერეთელი. ჟურნალი თვალს ადევნებდა პოეტის ჯანმრთელობას სიცოცხლის ბოლო ხანებში, ბეჭდავდა ინფორმაციებს მისი ავადმყოფობის შესახებ. რამდენიმე ნომერი დაეთმო მასალებს აკაკის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ: 1915 წლის 1 თებერვლის "განთიადი" მთლიანად მიძღვნა აკაკის გარდაცვალებას. პოეტის შესახებ წერდნენ: ხომელი, ნ. ყორღანია; ჟურნალში დაიბეჭდა ეგზარქოს პიტირიმის, ნ. ნიკოლაძის სიტყვები, გალაკტიონის ლექსი "აკაკის გარდაცვალების გამო" და სხვ.

ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურება ბოლშევიკებმა არ აპატიეს ს. მჭედლიძეს: ჩამოართვეს როგორც საცხოვრებელი სახლი ქუთაისში, ისე სტამბის შენობა, შემდეგ სვირში გახიზნულ ოჯახსაც მისწვდნენ და იქაც გაუნადგურეს ყველაფერი, მათ შორის, ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, ხატებიც... ბოლოს საშინელი განაჩენიც აღასრულეს: ჩეკას განკარგულებით 1924 წლის აგვისტოს მიწურულს ს. მჭედლიძე დახვრიტეს ქუთათელ-გაენათელ ნაზარი მიტროპოლიტთან ერთად. მასთან ერთადვე იგი 1995 წლის 19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შერაცხილ იქნა წმინდა მღვდელმონაწამედ.

დროის მსახვრალმა ხელმა ვერ შეძლო ს. მჭედლიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ისტორიის ბოლომდე განადგურება: დღეს ქალაქ ქუთაისში, პაოლო იაშვილის ქუჩაზე, დგას სხვათა საცხოვრისად ქცეული შენობა, მემორიალური დაფა კი გვაუწყებს, რომ ერთ დროს ამ სახლში იყო სტამბა "ძმობა" და მოღვაწეობდა მღვდელმონაწამე ს. მჭედლიძე. სტამბის შენობის პროექტი დაცულია ქუთაისის სახელმწიფო არქივში (ამის შესახებ ცნობა მოგვაწოდა არქივის დირექტორმა ბ-ნმა მ. კეხევაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ).

და კიდევ: ს. მჭედლიძის უმცროსი ქალიშვილის აკადემიკოს მარგარიტა მჭედლიძის სიცოცხლეში აუხდენელი ოცნება: "ჩვენ, მჭედლიძეები, ყველანი მონდომებული ვართ, რომ ქუთაისში, იმ სახლში, სადაც ვცხოვრობდით (პაოლო იაშვილის, ყოფილ ცხაკაიას ქუჩაზე) სიმონ მჭედლიძის მუზეუმი გაიხსნას. ჩვენ როდი ვითხოვთ მთლიანად სახლს, მუზეუმისათვის ერთი მოზრდილი ოთახიც საკმარისია. ვითომ სხვაგან შემოგვთავაზეს და რაღაც... მაგრამ სხვა სახლში რატომ უნდა მოეწყოს მამაჩემის მუზეუმი, სხვაგან რა ფასი აქვს? — როდესაც აქ, ქუთაისის ცენტრში, ცხოვრობდა მამა, აქ იყო მისი სახლი, აქ ქმნიდა ფასეულობებს, აქ ვიზრდებოდით ჩვენც..." (ნ. ცხველიანი, 2001, გვ. 8).

სამართლიანობა მოითხოვს, აღდგეს წაშლილი ისტორია. ს. მჭედლიძის სახელობის მუზეუმი ნამდვილად შეიძლება იქნეს ქუთაისის სულიერი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად. ერისა და ეკლესიის წინაშე ვალმოხდილი, თავდადებული მღვდელმონაწამის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალების გაცნობას ქართველი ხალხის, განსაკუთრებით კი მომავალი თაობების სულიერი მხნეობისთვის განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება.

დამოწმებული ლიტერატურა

ყურნ. "განთიადი", ქუთაისი, 1913-1915.

დ. მელიქიშვილი, 1990 - დ. მელიქიშვილი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე და მისი სასულიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა: ყურნ. "ჯვარი ვაზისა", 2, თბ., 1990.

დ. მელიქიშვილი, 1995 - დ. მელიქიშვილი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, თბ., 1995.

რ. სალინაძე, 1989 - რ. სალინაძე, XX ს. დასაწყისის ქუთაისის პრესის ისტორიიდან: თსუ ახალგაზრდა მეცნ. შრომები, XVII, თბ., 1989.

გაზ. "შინაური საქმეები", ქუთაისი, 1908-1916 წწ.

ნ. ცხვედიანი, 2001 - ნ. ცხვედიანი, "ძალიან ახოვანი, ლამაზი იყო ჩემი მამა!" გაზ. "P.S.", №26 (140), ქუთაისი, 2001.

RUSUDAN SAGINADZE

PUBLISHING WORKS OF THE SAINT SIMON MCHEDLIDZE

At the beginning of the 20th century, tsarist Russia and local government evince little interest or even impeded the publishing work in Kutaisi. Censorship thwarted the progressive ideas to reach the society. Very often certain publications were done under the police control. There were also the cases of publishers' arrests, suspending of the publishing works by the government order. Under these unfavorable circumstances some individuals and organizations managed to found the publishing houses and publish books, magazines and newspapers at the expense of risking their lives.

Martyr-priest Simon Mchedlidze, was an eminent public man not only in Kutaisi, but also in the eparchy of the west Georgia at the beginning of the 20th century. He determined the development of the spiritual or social life of the society; he perfectly combined his publishing activities with the religious, and pedagogical work. As it is seen from the publications of the famous Georgian figures or the ordinary reader's, S. Mchedlidze had several times put the question of forming the own clergy publishing institution at the Clergy Episcopalian meetings or among the Georgian church members. He thought that priesthood or some other organizations had to do this work. That's why he established "Religious-educational Brethren of Imereti eparchy" that aimed at publishing and distributing such kind of books. The publishing house, where the newspaper "Shinauri Sakmeebi"(internal affairs), magazine "Gantiadi" (dawn) and some educational books were published, lately was called "Dzmoba" (brotherhood). It was located in Kutaisi, 17 Saburtalo-Kazakovi lane, where the priest S. Mchedlidze lived with his extended family.

"Religious-educational brethren of Imereti's eparchy" was the only institution not only in Imereti, but in the whole Georgian exarchate whose aim and duty was to

reestablish the faith and strengthen Christianity with the help of oral sermons and publishing religious books.

S. Mchedlidze paid great interest to the native language, he demanded and substantiated the importance of teaching religious subjects in Georgian language in the theological seminary and in primary schools. It was necessary to translate and work without the Georgian religious terminology. He with the contributors of the newspaper "Internal Affairs", priest Meliton Kelenjeridze and the other members of "Dzmoba", did some publishing work. He took part in publishing the religious books in the Georgian language. These three people are the authors of the religious book written in the beginning of the 20th century, that is still used in teaching. In "Sashinao Sakmeebi' #8", published in 1913, there is a full list of the books published in "Dzmoba". These are about the life and martyrdom of saints and religious-educational literature: 'Divine History of the New Testament', "The Concise History of the Church with the Glorious Facts of the Georgian Church", "Faith and its Abjurers", "The Reality of the Gospel", "The Source of Skepticism", "Atheism, its Origin and Influence on Science and Life", "Christianity and Democracy", and more.. This list confirms the fruitful work of the "Religious-educational brotherhood of Imereti eparchy" and the publishing house "Dzmoba". The majority of the publications belong to S. Mchedlidze.

In 1913, in Charekov's house, Karvasla Street, S. Mchedlidze's publishing house "Dzmoba" with the editorship of Simon Mchedlidze printed "Gantiadi", a 274-page monthly holy-philosophical, political and literary magazine. But, because of the financial problems lately the publication was aborted. A year later by S. Mchedlidze 32-page fortnightly scientific, literary and political magazine "Gantiadi" was renewed. For some period Romanoz Pantskhava headed it. It was under the censor's (military censor) observation. At the end of one of the issues is written: "Approved by the military censorship".

Different kinds of materials were published in the magazine: stories, poems, different views about education, critic, philosophical views, scientific letters, and medical material. Famous writers and public men co-operated with "Gantiadi". A regular contributor to the magazine was Niko Nikoladze. Galaktioni's poems: "Meri", "Destiny", "Vagneri" and others were published. The other contributors were: D. Megreli, D. Chianeli, R. & I. Pantskhava (brothers), I. Vartagava, I. Grishashvili, G. Kikodze and others.

Bolsheviks did not forgive S. Mchedlize his contribution to the nation and church: his property in Kutaisi was confiscated, the building of the publishing house and all the possessions: newspapers, magazines, books, and even icons in Sviri were seized. Finally the verdict was accomplished: at the end of the August, in 1924 S. Mchedlidze together with the metropolitan Nazari was shot by the order of CHEKA. In September 19, 1995 they were canonized as saints by the Georgian Orthodox Church.

Time could not blot out the history of S. Mchedlize's life: Today in Kutaisi, in Paolo Iashvili street there is a building with the memorial board saying that once there was a publishing house "Dzmoba" and Simon Mchedlidze lived and worked in the house.

Introducing the material about the life and work of the honorable and faithful priest will have the great spiritual value for the future generation.

მანანა ტაბიძე

ენობრივი სიტუაციის ცვლის ეტაპები თანამედროვე
საქართველოში და მოსახლეობის ენობრივი
კომპაქტების ცვლის ღონისძიება

საქართველოში ენობრივი სიტუაციის მკვეთრი ცვლილებები განსაკუთრებულად მეოცე საუკუნეში ფიქსირდება. ეს პერიოდი თავისთავად გამოირჩეულია წინა ასწლეულებისაგან პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენათა ინტენსიურობით, ხოლო საქართველოსთვის ეს ინტენსივობა განსაკუთრებულია: XIX საუკუნის დასაწყისიდან დაწყებული რუსიფიკაციის პოლიტიკა, რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ ეროვნული ქართული სახელმწიფოს აღდგენის გამო, ახალი ენობრივი სიტუაციით იცვლება: სამეცნიერო და საქმისწარმოების ენად მკვიდრდება ქართული ენა, იხსნება ქართული უნივერსიტეტი და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა დღემდე აღმოჩნდა, მასში ჩასახულმა ენობრივმა სიტუაციამ მეტ ხანს გაძლო და, სწორედ უნივერსიტეტისა და მის ბაზაზე აღმოცენებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წყალობით, ქართულმა ენამ საგანმანათლებლო და კულტურული სივრცე სრულფასოვნად აითვისა. თუმცა, გასაბჭოებასთან ერთად, რუსეთმა დაიწყო იმ ეტაპობრივი პოლიტიკის (მათ შორის ენობრივისაც) გატარება, რომელსაც საბოლოო შედეგად ახალი ეთნოსის — ე.წ. საბჭოთა ხალხის — წარმოქმნა და რუსული ენის ჰეგემონია უნდა მოჰყოლოდა.

“თანამედროვე საქართველოს” ცნება სხვადასხვაგვარად გაიგება: ზოგისთვის ეს ოდენ ოცდამეერთე საუკუნეა, ზოგისთვის — XX საუკუნის 90-იანი წლების შემდგომი პერიოდი (ანუ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი ხანა), ზოგისთვის კი XXI საუკუნის დასაწყისი მთელ XX საუკუნესთან ერთად. ცხადია, პერიოდიზაციის ამ მრავალფეროვნებას საკლასიფიკაციო კრიტერიუმთა სხვადასხვაობა განაპირობებს: ვისთვისაც ენობრივი სიტუაციის დახასიათებისათვის განსაკუთრებით საინტერესო სამეცნიერო-ტექნიკური გარდატეხებია, მას შეუძლია “თანამედროვე საქართველო” მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლებიდან აითვალოს, ვისაც გადამწყვეტად რუსიფიკაციის დასაწყისი და დასასრული (!) ესაზნება, მას საბჭოური 70 წელიწადი ეგულება გამყოფად; შდრ.: ქართული ენის ისტორიის სპეციალისტთა ნაწილი დღემდე იყენებს ტერმინებს: “ახალი ქართული”, “თანამედროვე ქართული” (მათთვის, ასევე, “ახალია” XIX საუკუნის მეორე ნახევარში “რეფორმირებული” ქართული სალიტერატურო ენაც).

ჩვენთვის თანამედროვე საქართველო 1990-იანი წლებიდან იწყება და ენობრივი სიტუაციის განვითარება რამდენიმე, სოციალურ-პოლიტიკურად მარკირებულ ფაზად მიმდინარეობს:

I ფაზა — 1989-91 წლები (საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განსაკუთრებული გაქტიურება და დამოუკიდებლობის გამოცხადება); ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის რეალური ფუნქციონირებისათვის ბრძოლა. ქართული სკოლების, ქართული ენის სწავლების როლის გაზრდა, დისკუსიები ენის ნორმალიზაციის, ენის პრესტიჟის, ენის ეკოლოგიის, არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის ქართული ენის სწავლების საკითხებზე, ქართული: ენის სვე-ბედზე ზრუნვის ფართო ასპარეზს კვლავ უბრუნდება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია;

II ფაზა — 1991-1996 წლები (რუსეთის მიერ ორგანიზებულ საშხედრო გადატრიალება, აფხაზეთის დაპყრობა); საშხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, თავს იჩენს ეროვნული და ტრადიციული ღირებულებების დევალაცია, საგანმანათლებლო-სამეცნიერო ინსტიტუტების მუშაობის შეფერხება, დევნილი მოსახლეობის დიდი ნაკადების ახალსახლობის ადგილებზე ადაპტაციური პრობლემების წარმოქმნა (მათ შორის ენობრივისაც); კერძოდ, დევნილებსა და დამხედურ მოსახლეობას შორის ჩნდება ერთგვარი დაპირისპირება სამეტყველო ვარიანტების პრესტიჟის თემაზე; რუსული ენის ოფიციალური როლი მკვეთრად სუსტდება, საგანმანათლებლო სივრცეში რუსულის ადგილზე ინგლისური ენის პრიორიტეტულობის მტკიცება იწყება; სპეციალური პროგრამებით მიმდინარეობს სკოლის მოწაფეებისა და სტუდენტების ჩაბმა საერთაშორისო კონტაქტებში (ზაფხულის სკოლები, გაცვლითი პროგრამები, ერთწლიანი (ზოგჯერ მეტიც) პროექტები და სხვ. ყველაფერი ეს მიმდინარეობს საზღვარგარეთ მოსახლეობის ინტენსიური გადინების ვითარებაში;

III ფაზა — 1996-2003 წლები; ამ პერიოდში, ეკონომიკური სიღუბის ფონზე, მიმდინარეობს საერთაშორისო სოციალურ-პოლიტიკური კონტაქტების დამყარება, ენის კანონზე მუშაობა, ბოლონის პროცესთან მისაერთებელი ღონისძიებების დაგეგმვა და სხვ.; იწყება ქართველური ენობრივი სამყაროს მთლიანობის დაშლისაკენ მიმართული კიდევ ერთი ეტაპი და ამასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მწვავე დისკუსია.

IV ფაზა — 2003-2009 წლები; “ვარდების რევოლუცია” ენობრივი პოლიტიკის ლიბერალიზაციის სახელით, იწყებს რეფორმებს განათლების სისტემაში, იცვლება ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები, უმაღლეს სასწავლებლებში საერთო ეროვნული მისაღები გამოცდების შემოღებას ქართულ ენაში ახლავს ტესტირების ფორმათა ძიება, სასკოლო სახელმძღვანელოთა შერჩევის ახალი კრიტერიუმების შემუშავება, საერთაშორისო ურთიერთობის ენად ინგლისური ენის უპირობო არჩევა, საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, პერიოდიკისა და ტელევიზიის ენის უნიფიცირების შეუძლებლობა, სასაუბრო ენის გაბატონება თითქმის ყველა ფუნქციურ სტილში, თარგმანის უსისტემობა და ახალი, ტრადიციის უქონელი ენობრივი კონტაქტის (ინგლისურ-ქართულის) თანმხლები შეცდომები ენის ყველა გამოვლინებაში (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა) და სხვ.

დასახელებული ფაზების რაოდენობის გაზრდაც შეიძლება და შემცირებაც იმის მიხედვით, თუ რამდენად დეტალური ანალიზი

გვესაჭიროება. ანალიზი კი აუცილებელია, რადგან ამის გარეშე გაუგებარი დარჩება მრავალი საკითხი, მიიჩქმალება ბევრი პრობლემის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.

რუსიფიკაცია საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგიური კურსის უმთავრესი ნაწილი იყო. ხოლო რესპუბლიკათა კონსტიტუციებით დეკლარირებული ეროვნული ენების დაცვა-განვითარების მოწოდებას მულმივად ახლდა მოსკოვის ბრალდება სატიტულო ეთნოსის ენით არაავტოქთონი მოსახლეობის ენების შეზღუდვის შესახებ. უნდა ითქვას, რომ **ქართველთა მიმართ ეს «ბრალდება»** განსაკუთრებით მკაცრად ჟღერდა საბჭოთა პერიოდში, მაგრამ სინტერესო ისაა, რომ საბჭოეთის დაშლის შემდეგაც, როდესაც უამრავი კომუნისტური კლიშე გადაისინჯა, **ქართული ენით** არაავტოქთონი მოსახლეობის შეზღუდვის ლეგენდა მაინც მოქმედებს და ის ახლა არა მარტო რუსეთიდან მოდის, არამედ პროგრესული მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეშიც განიხილება.

ჩვენი მიზანია იმის გადამოწმება, თუ **რამდენად ეთქმის საყვედური ქართველებსა და ქართულ ენას სხვა ეთნოსთა ენების შეზღუდვაზე.**

მივმართოთ სტატისტიკას:

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, **რომელშიც ვერ მოხვდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეაონის მონაცემები**, საქართველოში ამჟამად 4371535 მოსახლეა, აქედან 3662273 ქართველია, ანუ არაქართველთა საერთო რაოდენობა 709262 (არაქართველებად დასახელებულია: აზერბაიჯანელი, სომეხი, ბელორუსი, ყაზახი, ყირგიზი, მოლდაველი, რუსი, ტაჯიკი, თურქმენი, უზბეკი, უკრაინელი, აბაზა, აფხაზი, ავარიელი (ხუნძი), ალუღელი, ადიღელი, ანდიელი, ბალყარელი, ბაშკირი, ბოთლიხი, ბურიატი, ვეპსი, გაგაუზი, პინუხი, ლოდობერიელი, დარგუელი, ებრაელი, მთიელი ებრაელი, ქართველი ებრაელი, შუააზიელი ებრაელი, ინგუში, ყაბარდოელი, ყარაიმი, ყარაჩაელი, ქისტტი, კომი, ყუშუხი, ლაკი, ლეზგი, მარიელი, მორღვა, კუმანდელი, საამი, ოსი, თაბასარანელი, ტაზი, თათარი ყირიმელი, თათარი ციმბირელი, თათარი ტუველი, თურქი მესხი, უდი, უდმურტი, ფინელი-ინგერმანლანდელი, ხაკასი, ხვარშიელი, ბოშა, ჭამალალელი, ჩელკანელი (ლეხედინელი), ჩეჩენი (ნოხჩო), ჩერქეზი, ჩუვაში, შუგანელი, ავსტრიელი, ალბანელი, ამერიკელი, ინგლისელი, არაბი, ავღანელი, ბელუჯი, ბულგარელი, უნგრელი, ვიეტნამელი, ჰოლანდიელი, ბერძენი, ესპანელი, იტალიელი, იეზიდი, ჩინელი, კორეელი, შვედი, ლატვიელი, ლივი, ლიტველი, გერმანელი, სპარსი (ირანელი), პოლონელი, რუმინელი, სერბი, სლოვაკი, თურქი (ოსმანი), უიგური, ფინელი, ფრანგი, ხორვატი, ჩეხი, ქურთი, ესტონელი, იაპონელი და ისეთი სპეციფიკური კატეგორია, როგორიცაა “სხვა ეროვნებები, რომლებიც არაა ზემოთ ჩამოთვლილი”).

სტატისტიკის დეპარტამენტის ბოლოდროინდელი მეთოდოლოგია, როგორც ჩანს, მოსახლეობის აღწერისას აღარ ხელმძღვანელობს წარსულში მოქმედი იმ პრინციპით, რომლითაც ეთნიკური ჯგუფები დემოგრაფიულ ცხრილებში მხოლოდ მაშინ შედიოდნენ, თუკი ისინი მოსახლეობის პროცენტულ ერთეულს შეადგენდნენ (ზღვრული პროცენტის დადგენა ხდებოდა

სახელმწიფოს მოსახლეობის საერთო რაოდენობისა და ამ რაოდენობაში ცალკეული ეთნიკური ჯგუფის რაოდენობრივი წილის გათვალისწინებით). ამჟამად საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის აღწერაში ისეთი პირებიც მოხვდნენ, რომლებიც ჩვენში საკუთარი ეთნოსის ერთადერთ წარმომადგენლად გვევლინებიან, ან რომელთა რაოდენობა ათამდეც კი ვერ აღწევს; ამგვარ კატეგორიას შეადგენენ: 2 აბაზა, 5 აღულელი, 3 ანდიელი, 5 ბალყარელი, 1 ბოთლიხი, 1 ჰინუხი, 1 ლოდობერიელი, 6 დარგულელი, 9 ინგუში, 3 ყარაჩაელი, 1 თაბასარანელი, 1 ხვარშიელი, 1 ჭამალალელი, 2 ბურიატი, 1 ვეპსი, 1 ყარაიმი, 2 კუმანდელი, 1 საამი, 9 ციმბირელი თათარი, 3 ტუველი თათარი, 5 ფინელი-ინგერმანლანდელი, 1 ჩელკანელი, 1 ალბანელი, 5 ბელუჯი, 10 ვიეტნამელი, 10 მარიელი, 8 სერბი, 2 სლოვაკი, 5 ფინელი, 1 უიგერი, 2 ხორვატი, 7 იაპონელი.

არაქართველ ეთნიკურ ჯგუფთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანელები (284761) და სომხები (248929) არიან — სულ — 533680. დანარჩენი 175582-დან კი 67671 რუსია, 38028 — ოსი, 15166 ბერძენი, 18729 იეზიდი, 2514 ქურთი, 7039 უკრაინელი, 7110 — ქისტი, 1360 ქართველი ებრაელი, 2333 ებრაელი, 1996 — ავარიელი (ხუნძი), 1271 — ჩეჩენი, აფხაზეთის გარდა, საქართველოში სულ 3527 — აფხაზი ცხოვრობს (მათი უმრავლესობა აჭარაში სახლობს), დანარჩენებიდან ზოგის რაოდენობა ათასსაც ვერ აღწევს, ხოლო უმრავლესობა ასამდე ან ათ კაცამდე დაითვლება.

მაშასადამე, ქართველთა მიერ ქართული ენის ცოდნით შევიწროებული და „ქართველიზებული“ (რომელიც ნებაყოფლობით არ ირჩევს ქართულენოვანობას, მაგრამ როგორც ზოგიერთი მიკროძობული ოპონენტი წერს „რომელთაც თავს ახვევდნენ და ახვევენ ქართულს“) იმ 533680 კაცში უნდა ვეძებოთ, რომელიც თავის ეროვნებად ქართველს არ მიუთითებს. სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებით, თავისი ეროვნების ენას სრულყოფილად (მშობლიურის სტატუსით) ფლობს 284761 აზერბაიჯანელიდან 283414 აზერბაიჯანელი, აზერბაიჯანელის გარდა საერთოდ არ იცის არც ერთი სხვა ენა **181782**-მა. მეორე ენად ქართული იცის მხოლოდ 43024-მა, ხოლო რუსული — 75207-მა.¹

248929 სომხიდან სომხური სრულყოფილად (მშობლიურის სტატუსითა და ხარისხით) იცის 235531-მა, საერთოდ არ ფლობს სხვა ენას 95618 სომეხი, მეორე ენად ფლობს ქართულს 81414 სომეხი, ხოლო რუსულს — 120543.²

აშკარაა, რომ:

1. რუსული ენა ამ ეთნიკური ჯგუფებისათვის არა მარტო წარსულში, არამედ დღესაც უპირატესია ქართულთან შედარებით;

2. დედაენის (საკუთარი ეთნოსის ენის) ცოდნის ხარისხი და მცოდნეთა რაოდენობა მიუთითებს, რომ ამ მოსახლეობისთვის არასოდეს შეუშლიათ ხელი საკუთარი ენობრივი კომპეტენციის შენარჩუნებაში;

¹ აზერბაიჯანელთაგან ქართული მშობლიურით იცის მხოლოდ 934-მა, რუსული კი — 385-მა.

² სომეხთაგან ქართული მშობლიურით იცის — 5692-მა, რუსული კი — 7525-მა.

3. მონაცემების მიხედვით, საქართველოში სომხურის ცოდნა დასჭირდება 11852 ქართველს, აზერბაიჯანულსა — 4062-ს, ოსურისა — 5214-ს, აფხაზურისა — 1265, ოსურისა — 5214 და სხვ. რუსული თავისუფლად იცის 1234 293-მა ქართველმა.

4. 1493 ქართველი რუსულენოვანი გამხდარა, 71 ქართველი აზერბაიჯანულენოვანია, 122 ქართველი გასომხებულა.

5. ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის შედარებით მაღალი ხარისხი კავკასიური წარმოშობის მცირე ჯგუფებმა აჩვენა.

6. რუსულენოვანი გამხდარა საქართველოს არარუსი მოქალაქეებიდან **18 182** ადამიანი, ქართულენოვანი კი მათგან მხოლოდ **12 616** ადამიანია, მათ შორის (ქართველი ებრაელები, ქისტები, ბერძნები, ოსები, დიდი ხანია ქართველებთან საუკეთესო ურთიერთობაში არიან და თავიანთი ცხოვრების წესითაც მიისწრაფვიან ინტეგრაციისკენ).

7. რუსულის ცოდნა უპირატესია შედარებით მცირერიცხოვან ეთნიკურ კოლექტივებსა თუ ინდივიდებშიც, მათ შორის, თვით იბერიულ-კავკასიურ ენობრივ ოჯახს მიკუთვნებულებშიც, რომელთაც ისტორიულად (არცთუ შორეულ წარსულამდე) ქართული ენის დაუფლებისაკენ მისწრაფება ახასიათებდათ.

სტატისტიკური სურათის მიხედვით, ქართული ენის ცოდნის ხარისხს მნიშვნელოვნად არ მოუმატია, თუმცა იმის გამო, რომ მოსახლეობის გარემოგრაფიის პროცესი ძალზე ინტენსიურია, ხოლო საქართველოდან გამსვლელი პირველი ნაკადები სწორედ რუსული ენის ცოდნის იმედად რუსეთისაკენ დაიძრა, საქართველოში შედარებით შემცირდა რუსულენოვანი მოსახლეობა.

2002 წლის აღწერის მონაცემებით:
მშობლიურის ფუნქციით

	მოსახლეობა	თავისი ეროვნ.	ქართ.	აფხ.	აზერ.	ოსურნი	რუს.	სომხ.	სხვ.
სულ	4 371 535	4335202	18 582	143	218	9	16355	122	904
ქართვე.	3 662 273	3 659 413	X	X	71	3	1493	169	
აზერბ.	284 761	28 3414	934	2	X	0	385	19	7
სომეხი	248 929	23 5531	5692	37	12	3	7525	X	129
აფხაზი	3 527	3 209	X	X	0	3	71	1	2
რუსი	67 671	66 652	940	15	5	0	X	11	48
უკრ.	7 039	5 466	310	10	0	0	1156	2	95

თავისუფლად ფლობს სხვა ენებს

	თავისი ეროვნ.	ქართ	აფხ.	აზერ.	ოს.	რუს.	სომხ.	ინგლ.	ფრანგ	გერმ.	სხვ.
სულ	15970	220133	2037	6704	5365	1480739	15085	163333	18764	51003	35941
ქართვე.	1243	X	1265	4062	5214	1234293	11852	153066	17717	48749	28025
აზერბ.	814	43024	102	X	16	75207	517	614	145	161	1308
სომეხი	6232	81414	267	1075	52	120543	X	4018	459	744	2293
აფხაზი	67	978	X	1	1	1662	9	131	8	23	89
რუსი	742	36642	197	485	54	X	1281	3015	215	789	1040
უკრაინელი	423	3333	38	24	4	4194	86	268	28	95	161

პროგნოზი, რომელიც აღვამოილია საქართველოში 2002 წელს

პროგნოზი	სულ	გეოგრაფიული							სკვა
		თავისი	ქართ.	აფხაზ.	აზერბ.	ოსური	რუს.	სომხ.	
ქართველი	3661173	3659413	X	9	71	3	1493	15	169
აზერბაიჯანელი	284761	283414	934	2	X	0	385	19	7
სომეხი	248929	235531	5692	37	12	3	7525	X	129
ბელორუსი	542	421	22	0	0	0	94	0	5
ყაზახი	70	54	0	0	0	0	15	0	1
ყირგიზი	113	85	14	1	0	0	13	0	0
მოლდაველი	864	761	17	0	0	0	52	0	34
რუსი	67671	66652	940	15	5	0	X	11	48
ტაჯიკი	15	113	1	0	1	0	0	0	0
თურქმენი	74	63	4	0	0	0	4	0	3
უზბეკი	81	65	2	0	1	0	13	0	0
უკრაინელი	7039	5466	310	10	0	0	1156	2	95
აბაზი	2	1	0	0	0	0	1	0	0
აფხაზი	3527	3209	244	X	0	0	71	1	2
აგარიელი (ბუნი)	1996	1989	3	0	0	0	4	0	0
ალბანელი	5	3	2	0	0	0	0	0	0
აღღველი	13	11	1	0	0	0	1	0	0
ანდიელი	3	2	1	0	0	0	0	0	0
ბალუჩი	5	4	0	0	0	0	1	0	0
ბაშკირი	36	29	3	0	0	0	3	0	1
ბოთოხი	1	0	1	0	0	0	0	0	0
ბურიატი	2	2	0	0	0	0	0	0	0
ვესი	1	0	1	0	0	0	0	0	0
გაგაუზი	32	29	0	0	0	0	3	0	0
ჩიხუზი	1	1	0	0	0	0	0	0	0
ლოლომერიელი	1	1	0	0	0	0	0	0	0

პროვნება	მშობლიური								
	სულ	თავისი	ქათ.	აფხაზ.	აჭარ.	ოსურ.	რუს.	სომხ.	სხვ.
დარგული	6	6	0	0	0	0	0	0	0
ებრაელი	2333	1369	687	5	0	0	255	6	11
მთიელი ებრაელი	53	34	17	0	0	0	2	0	0
ქართველი ებრაელი	1360	627	627	11	1	0	91	0	3
შუაზიელი ებრაელი	26	19	6	0	0	0	1	0	0
იხგუძი	9	5	2	0	0	0	1	0	0
ყაბარდოელი	23	20	1	0	0	0	2	0	0
ყარაიმი	1	0	0	0	0	0	1	0	0
ყარაჩაელი	3	3	0	0	0	0	0	0	0
ქისტი	7110	7080	22	0	0	0	3	0	1
კობი	5	1	0	0	0	0	3	0	1
ყუმუზნი	42	42	0	0	0	0	0	0	0
ლაკი	210	166	23	0	1	0	19	0	1
ლენჯი	44	33	0	0	0	0	5	0	0
მარიელი	10	9	0	0	0	0	1	0	0
შორღვა	19	15	0	0	0	0	3	0	1
კუმანდელი	2	1	1	0	0	0	0	0	0
სააძი	1	0	0	0	0	0	0	0	0
ოსი	38028	31372	6189	34	5	X	389	7	32
თაბასარანელი	5	5	0	0	0	0	0	0	0
ტაზი	1	0	0	0	0	0	1	0	0
თათარი	455	365	13	0	1	0	72	1	3
თათარი ყიზიბელი	15	12	0	0	0	0	3	0	0
თათარი ციბირელი	9	6	0	0	0	0	3	0	0
თათარი ტუველი	3	3	0	0	0	0	0	0	0
თურქი მესხი	53	51	2	0	0	0	0	0	0
უდი	203	203	0	0	0	0	0	0	0
უდმურტი	13	12	0	0	0	0	1	0	0
ფინელი-იზგერმანლანდელი	5	0	0	0	0	0	5	0	0
ხაკსი	3	3	0	0	0	0	0	0	0
ხვარშიელი	1	1	0	0	0	0	0	0	0
ბოშა	472	459	0	0	0	0	13	0	0
ჭამალაელი	1	1	0	0	0	0	0	0	0
ჩელკანელი (ლემბედინელი)	1	1	0	0	0	0	0	0	0

პროგნოზი	სულ	მშობლიური							
		თავისი	ქართ.	აფხაზ.	აზერბ.	ოსურ.	რუს.	სომხ.	სხვ.
სენი (ნახი)	1271	1257	5	0	0	0	7	0	2
ჩეჩენი	22	20	0	0	0	0	2	0	0
ჩუვაში	28	23	1	0	0	0	2	0	2
მუგანელი	1	1	0	0	0	0	0	0	0
ავსტრიელი	3	2	0	0	0	0	1	0	0
ალბანელი	1	1	0	0	0	0	0	0	0
ამერიკელი	27	22	0	0	0	0	0	0	5
ინგლისელი	25	24	1	0	0	0	0	0	0
არაბი	44	31	4	0	0	0	9	0	0
ასირიელი	3299	2445	656	1	0	0	185	4	8
ავღანელი	52	32	2	0	5	0	13	0	0
ბელუჯი	5	2	0	0	0	0	2	0	1
ბულგარელი	138	91	11	0	0	0	33	0	3
უნგრელი	32	20	4	0	0	0	8	0	0
ვიეტნამელი	10	4	0	0	0	0	6	0	0
პოლანდიელი	105	50	1	0	2	0	51	0	1
ბერძენი	15166	10707	1041	11	110	1	3143	16	137
ესპანელი	78	56	2	0	0	0	18	0	2
იტალიელი	31	26	0	0	0	0	4	0	1
იეზიდი	18329	16829	728	1	0	1	621	28	121
ჩინელი	47	38	6	0	0	0	2	0	1
კორეელი	22	16	1	0	0	0	5	0	0
შვედი	17	17	0	0	0	0	0	0	0
ლატვიელი	91	69	5	0	0	0	16	0	1
ლივი	2	1	0	0	0	0	0	0	1
ლიტველი	134	97	8	0	0	0	26	0	3
ვერმანელი	651	458	71	0	0	0	111	3	8
სპარსი (ირანელი)	46	42	1	0	0	0	2	0	1
პოლონელი	870	530	107	3	0	1	214	0	15
რუმინელი	22	17	3	0	0	0	1	0	1
სერბი	8	6	2	0	0	0	0	0	0
სლოვაკი	2	2	0	0	0	0	0	0	0
თურქი (ოსმანი)	441	414	13	0	0	0	8	0	6
უიგური	1	1	0	0	0	0	0	0	0
ფინელი	5	4	0	0	0	0	1	0	0
ფრანგი	40	28	9	0	0	0	2	0	1
ხორვატი	2	2	0	0	0	0	0	0	0
ჩეხი	46	22	2	0	0	0	21	0	1
ქურთი	2514	2313	87	2	3	0	98	2	9
ესტონელი	59	43	2	0	0	0	13	0	1
იაპონელი	7	6	0	0	0	0	1	0	0
სხვა ეროვნებები, რომლებიც არაა ზემოთ ჩამოთვლილ	359	290	21	1	0	0	20	7	20

პროვინცია	სულ	თანამშრომელთა ფორმის სხვა კენჭები							
		თავისი	ქართ.	აფხაზ.	აზერბ.	ოსური	რუს.	სომხ.	ინგლ.
ქართული	3661173	1243	X	1265	4062	5214	1234293	11852	153066
აზერბაიჯანული	284761	814	43024	102	X	16	75207	517	4018
სომეხები	248929	6232	8 1414	267	1075	52	120543	X	4018
ბელორუსი	542	20	274	3	4	1	294	11	24
ყაზახი	70	3	29	0	1	0	36	4	3
ყირგიზი	113	10	55	2	0	0	72	1	5
ძოლდაველი	864	22	317	3	3	0	445	5	13
რუსი	67671	742	36642	197	485	54	X	1281	3015
ტაჯიკი	15	2	6	0	0	0	8	0	0
თურქმენი	74	2	39	0	2	0	53	1	3
უზბეკი	81	1	33	0	1	0	55	1	3
უკრაინელი	7039	423	3333	38	24	4	4194	86	268
აბაზა	2	0	0	0	0	0	1	0	0
აფხაზი	3527	67	978	X	1	1	1662	9	131
აგრიელი (ხუნძი)	1996	2	1251	2	29	0	1113	16	6
ალუღელი	5	1	1	0	0	0	3	0	0
ადიღელი	13	0	6	0	0	0	9	0	0
ანდიელი	3	0	1	0	0	0	2	0	0
ბალაჩარელი	5	5	0	1	0	0	2	0	0
ბაშკირი	36	0	15	0	1	0	26	0	2
ბოთლიბი	1	0	0	0	0	0	1	0	0
ბურიატი	2	0	2	0	0	0	2	0	0
ვესი	1	0	0	0	0	0	1	0	0
გაგაუზი	32	0	19	1	0	0	26	0	0
კინუხი	1	0	1	0	0	0	0	0	0
ლადიბერელი	1	0	1	0	0	0	1	0	0
დარგუელი	6	0	3	0	1	0	4	0	0
ებრაელი	2333	189	845	5	7	1	1370	63	245
ძთიელი ებრაელი	53	3	22	0	1	0	26	2	2

ეროვნება	სულ	თავისუფლად ფლობს სხვა ენებს							
		თავისი	ქართ.	აფხაზ.	აზერბ.	ოსური	რუს.	სომხ.	ინგლ.
ქართველი ებრაელი	1360	161	375	1	15	2	775	2	2
მლანდიელი ებრაელი	26	3	10	0	0	0	14	0	1
ინგუში	9	1	4	0	0	0	6	0	0
ყაბარდოელი	23	0	13	0	0	0	15	0	2
ყარაიში	1	0	1	0	0	0	0	0	0
ყარაიაელი	3	0	2	0	0	0	2	0	0
ქისტი	7110	15	5488	3	7	0	1033	1	35
კომი	5	0	5	0	0	0	0	0	0
კუმუხი	42	0	21	0	6	0	33	0	0
ლაკი	210	11	121	1	9	0	121	2	12
ლენგი	44	2	25	0	2	0	23	2	0
მარიელი	10	0	3	0	0	0	6	0	0
მორღვა	19	0	11	0	1	0	13	0	0
კუმანდელი	2	1	0	0	0	0	1	0	0
საამი	1	0	0	0	0	0	0	0	0
ოსი	38028	3362	23527	74	94	X	13760	112	490
თაბასარანელი	5	0	1	0	0	0	5	0	0
ტაზი	1	1	0	0	0	0	0	0	0
თათარი	455	19	232	0	0	0	307	9	18
თათარი ყირიმელი	15	1	2	0	0	0	7	0	2
თათარი ციმბირელი	9	2	3	0	0	0	6	0	0
თათარი ტუველი	3	0	2	0	0	0	3	0	0
თურქი მესხი	53	1	26	0	2	0	23	0	2
უდი	203	0	191	2	0	0	146	1	0
უღმურტი	13	1	5	0	1	0	12	1	0
ფინელი- ინგერმანლანდელი	5	1	3	0	0	0	0	0	0
ბაკისი	3	0	1	0	0	0	2	0	0
ბვარძიელი	1	0	1	0	0	0	0	0	0
ბომა	472	6	184	3	0	0	237	0	2

ეროვნება	სულ	თავისუფლად უღირს სხვა ენებს							
		თავისი	ქართ.	აფხაზ.	აზერბ.	ოსური	რუს.	სომხ.	იხვლ.
ქაბალაღელი	1	0	0	0	0	0	1	0	0
ჩელკანელი (ლებედიანელი)	1	0	0	0	0	0	0	0	0
ჩეჩენი (ნაბჩო)	1271	8	49	1	3	0	974	0	14
ჩერქეზი	22	0	11	0	0	0	13	0	1
ჩუვაში	28	0	13	0	0	0	19	1	0
შუგხანელი	1	0	0	0	0	0	0	1	0
ავსტრელი	3	0	1	0	0	0	0	1	1
ალბანელი	1	0	0	0	0	0	0	0	0
ამერიკელი	27	0	12	0	0	0	6	0	1
იხვლისელი	25	2	8	0	0	0	4	0	0
არაბი	44	3	12	0	0	0	16	1	8
ასირიელი	3299	498	1571	2	65	1	1795	71	71
ავღანელი	52	7	15	0	3	0	16	0	2
ბელუჯი	5	3	1	0	0	0	1	0	0
ბულგარელი	138	10	75	1	1	0	69	0	10
უნგრელი	32	0	17	1	0	0	19	0	4
ვიეტნამელი	10	1	0	0	0	0	1	0	0
პოლანდიელი	105	11	14	0	2	0	17	1	3
ბერძენი	15166	1175	5060	20	706	13	7225	188	255
ესპანელი	78	1	21	0	3	0	32	2	7
იტალიელი	31	0	12	0	1	0	10	1	9
იუზიდი	18329	566	11781	31	41	4	11695	666	355
ჩინელი	47	0	13	0	0	0	24	1	12
კორეელი	22	0	5	0	0	0	13	0	5
ძველი	17	0	10	0	0	0	15	1	2
ლატვიელი	91	4	42	0	0	0	57	1	14
ლივი	2	0	2	0	0	0	2	0	0
ლიტველი	134	7	65	0	0	1	76	6	12
გერმანელი	651	102	341	0	4	1	332	9	59
სპარსი (ირანელი)	46	2	22	0	4	0	20	3	7
პოლონელი	870	76	481	1	3	0	429	23	60
რუმინელი	22	1	10	0	0	0	15	2	2
სერბი	8	0	4	1	0	0	6	0	1
სლოვაკი	2	0	1	0	0	0	0	0	1
თურქი (ოსმანი)	441	5	210	1	1	0	118	1	64
უიგური	1	0	0	0	0	0	0	0	0
ფინელი	5	1	2	0	0	0	3	0	1
ფრანგი	40	6	16	0	0	0	18	0	7
ხორვატი	2	0	1	0	0	0	2	0	0
ჩეხი	46	1	24	4	0	0	12	0	3
ქურთი	254	99	159	2	23	0	56	100	39
ესტონელი	59	5	32	0	2	0	36	4	3
იაპონელი	7	0	7	0	0	0	3	0	2
სხვა ეროვნებები რომლებიც არაა ზემოთ ჩამოთვლილი	359	12	84	0	8	0	128	4	140

MANANA TABIDZE

STAGES OF CHANGES OF THE LANGUAGE SITUATION
IN MODERN GEORGIA AND DYNAMICS OF CHANGE OF
THE LANGUAGE COMPETENCE IN ITS POPULATION

Russification had been the principal part of the Soviet regime's ideological course. The constitutional declarations of the protection and development of the national languages had constantly attended by the accusation from Moscow that the title ethnos of the given people were oppressing the languages of the non-autochthonic population of the corresponding republics. This "accusation" against the Georgians sounded particularly serious during the Soviet period, but more curious is the fact that after the disintegration of the Soviet Union and a revision of the many soviet clichés, the legend of oppressing of the non-autochthonic population on the language basis is still in existence and is heard and discussed now not only from Russia and in Russia but from the progressive parts of the world as well.

The aim of this paper is to examine once again the established stereotypes and make conclusions to what degree the Georgian people and the Georgian language deserves the accusation and rebuke for the "oppression" of the non-autochthonic population:

1. Not only in the past, but also at present these groups of the population consider Russian as primary communicative means in the country compared to the Georgian language.

2. The level of competence and number of speakers of the native languages of the non-autochthonic population in Georgia indicates unambiguously that the representatives of the non-autochthonic ethnos were not prevented from maintaining and developing their native language competence.

3. The present statistical data shows that 11852 ethnic Georgians in Georgia were necessitated to learn the Armenian language; - 4062 were to study Azeri; - 5214 – Ossetian; - 1255 Abkhazian; and 1 234 293 Georgians have the complete command of the Russian language.

4. 1493 Georgians consider Russian as their first language; 71- Georgians have Azeri; and 122 - Georgians are of the Armenian language.

5. Comparatively high degree of integration to the Georgian community is revealed among minor groups of the Caucasian origin.

6. Russian is the native language for the 18 182 for the non-Russian, non-autochthonic citizens of Georgia, while 12 612 give preference to the Georgian language and the latter ethnic groups are Georgian-Jews, Kist, Greeks, Ossetians who have been in a best relationship with Georgians and their ways of life confirmed their aspiration for the integration to the Georgian community.

The knowledge of the Russian language is privileged among minor ethnic groups and individuals of the peoples of Ibero-Caucasian origin who historically (not in the far past) aspired to learn the Georgian language.

ჰეტერ ჯ. უეიქფილდი

ამერიკული ბიბლიოთეკების კრეატიულობა

ამერიკაში რამდენიმე სხვადასხვა ტიპისა და ზომის ბიბლიოთეკაა, რომელთაგან მხოლოდ მცირე ნაწილს დაგვიხსიათ. ძირითადად, ყურადღებას გავამახვილებ საჯარო ბიბლიოთეკებსა და ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ გოლდსტეინის ბიბლიოთეკაში მიღებულ გამოცდილებაზე.

თუ საჯარო ბიბლიოთეკები ფინანსურად უზრუნველყოფილია და, შესაბამისად, ჰყავს მაღალკვალიფიცირებული მომსახურე პერსონალი, ამ შემთხვევაში ისინი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ამერიკულ საზოგადოებაში და ქმნიან შესაბამის გარემოს საგანმანათლებლო, სამოქალაქო და სოციალური მიზნებისათვის.

ამერიკული საჯარო ბიბლიოთეკები აღჭურვილია კომპიუტერებით, რომლებსაც სხვადასხვა კვლევისა და საინტერნეტო მომსახურებისათვის იყენებენ. არიან ადამიანები, რომელთაც არ მიუწვდებათ ხელი კომპიუტერსა და ინტერნეტზე და სჭირდებათ დახმარება კომპიუტერული მომსახურების თვალსაზრისით, ამიტომ ისინი აქტიურად სარგებლობენ საჯარო ბიბლიოთეკის კომპიუტერებით სამუშაოს მოძიების, სხვადასხვა სახელმწიფო თუ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. ბიბლიოთეკებში მომსახურე პერსონალი სისტემატურად ეხმარება მსგავსი პრობლემების მქონე ადამიანებს. საჯარო ბიბლიოთეკების უმრავლესობას გააჩნია საკონფერენციო დარბაზები და ოთახები, სადაც სხვადასხვა ორგანიზაცია ატარებს განსაზღვრულ შეხვედრებს. გარდა ამისა, მათ აქვთ სპეციალურად ბავშვებისა და მოზარდებისათვის განკუთვნილი სექციები, რომლებიც ხშირად აწყობენ მათთვის ღონისძიებებს. აქ იმართება სამკითხველო კლუბის შეხვედრები. უფრო დიდ ბიბლიოთეკებს, სხვადასხვა ჟანრის წიგნების თვალსაზრისით, შედარებით, ფართო არჩევანი აქვთ. ხშირად აღინიშნება ისტორიული და მიმდინარე მოვლენები. ზოგი ბიბლიოთეკარი სარგებლობს ყოველკვირეული და ყოველთვიური სოციალური თუ გასართობი პროგრამით, მაგ.: როგორცაა ყოველკვირეული სემინარი კინოთეატრში (შაბათობით). დამხმარე ბიბლიოთეკარები საჭირო მასალებს მოუძიებენ მსურველებს, ემსახურებიან ტელეფონით ან ინტერნეტით. ზოგი ბიბლიოთეკარი ამოწმებს მასალებს, პასუხობს შეკითხვებს ბიბლიოთეკის ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით. უფრო დიდ ბიბლიოთეკებს აქვთ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც სხვადასხვა საზოგადოებრივ და საბიბლიოთეკო სამუშაოს ასრულებს. სავალდებულოა, რომ ყველამ ერთად იმუშაოს ისე, როგორც შეკრულმა გუნდმა.

წილად მხვდა ბედნიერება, ვიყო ასისტენტი ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ გოლდსტეინის ბიბლიოთეკაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის აკადემიის ბიბლიოთეკა, ჩემი ძირითადი საქმიანობა საჯარო ბიბლიოთეკებს ეხება, მსურველებს ვაწვდი კატალოგის ონ-ლაინ მოხმარების ინსტრუქციებსა და სხვადასხვა მასალას. ვაწარმოებ გასაუბრებებს, იმისათვის, რომ წარმოვაჩინო ბიბლიოთეკის მომხმარებელთა საჭიროებანი, ვაკეთებ სლაიდებს სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით, ვეხმარები ჯგუფებს, რომლებიც სარგებლობენ ბიბლიოთეკით. კურსდამთავრებული ასისტენტის მსგავსად, დროგამოშვებით A კატეგორიის ბიბლიოთეკარადაც ვმუშაობ. ეს მომსახურება ნებისმიერ ბიბლიოთეკას აძლევს საშუალებას, ონ-ლაინ საუბრის რეჟიმის გამოყენებით დაეხმაროს მკითხველს სხვადასხვა, ვრცელი ინფორმაციის მოპოვებაში.

HEATHER J. WAKEFIELD

PRESENTATION AMERICAN LIBRARIES

As in Georgia, American libraries come in many sizes and types. We have academic libraries, private research libraries, law libraries, medical libraries, and different types of public libraries, including libraries for the blind. Today, I will focus on public libraries and their roles as community research centers. I will also discuss Ask-a-Librarian, an online reference service offered staffed by librarians.

Librarians, directors, and volunteers at public libraries work together to meet or exceed the public's expectations of services, resources, and environment. Librarians in public libraries actively seek feedback from patrons about what is most needed and wanted by that community. They observe and record what materials are most frequently requested and used. They also regularly monitor the growth and changes in the local population. The information they gain allows them to provide services specifically suited to the needs in that area as well as programs offered by most public libraries throughout the United States. I will tell you about some of the more common activities, a few of the more specialized programs, and the internet services that allow librarians throughout a state to help people and each other with reference questions.

Except for a few very specialized public libraries found mostly in very large cities, American public libraries have reference sections, adult fiction and nonfiction, children's and young adult sections, newspapers and journals, and public computers. Library patrons may use the computers for word processing, email, e-government forms, and researching on the internet. In places that have a high percentage of immigrants, libraries have larger foreign language collections. For example, in Miami, Florida libraries, many of the books and programs are in Spanish. Branches of the New York Public Library System serve a wide variety of ethnic populations, so they have materials and programs in several languages. They also have resources and activities for learning English.

American public libraries have meeting rooms where librarians hold special programs or outside groups and organizations use for their meeting that are open to the public. Library programs include children's activities such as story times for different age groups, games, movies, painting and drawing, and other special programs. Some program topics are safety, music, animals, and pirates. There are also may adult activities such as books discussions on books of different genres, internet and other computer classes, writing groups, yoga, CPR, chess club, epilepsy support, and many others. Some programs are specific to the area. For example, many Florida libraries have information sessions on hurricanes when hurricane season starts. Library activities happen every day. The Volusia County Library system has 16 branches. For the month of October, these 16 libraries had a total of 577 events or activities.

The New York Public Library system had 99 events in one day on October 13. These activities and the changing displays in libraries are designed to encourage community members to come to the library and use its many resources.

For those who cannot come to the library or need assistance while working on a school or work project, Ask-a-Librarian can help. Every state now has its own version which connects patrons and librarians from all over the state. While working at Goldstein Library at Florida State University, I was an online librarian for Florida's Ask-a-Librarian service. Librarians who staff Ask-a-Librarian must complete training sessions on the computer software, methods for interacting with users in an online environment, and about reference links. They have practice sessions on a regular basis to keep up skills and potentially learn about new online resources. That way, they are prepared to help users. Users can submit questions via email or, during regular operating hours, chat with a librarian online. When a library patron logs onto the system, he or she types in a question and enters the general topic of the question. The librarians on duty answer questions generally on a first come, first serve basis, but can select questions based on the topic if a librarian has special knowledge in a certain area. I answered many different questions from basic library operations to how to choose good books for an eight year old granddaughter to how one can find maps of ancient empires. I had one patron ask how many grains of rice there are in a kilo. Librarians can send links to the user to follow or, with permission from the patron, directly control the user's computer. When a librarian has control, a window pops up on his or her monitor screen showing exactly what is on the user's screen. The librarian can then demonstrate how to perform searches and call up useful sites on the patron's computer. The main goal for the librarian is not to just answer the patron's question, but to help him or her learn how to find the information. Of course some patrons are only interested in quick answers, but the librarians do their best to help them gain new information finding skills. This is especially true for school age users who must play an active role in completing their assignments.

ტარიელ ფუტკარაძე

ოლთისი: სახელის ეტიმოლოგიისა და ციხე-ქალაქის რეალური ისტორიისათვის

ლოკუმენტური წყაროების მიხედვით **ოლთისი** არის საქართველოს ისტორიული მხარის - **ტაოს** - ძველი ციხე-ქალაქის სახელი. ამ ოკონიმიტრანსფორმირებული ვარიანტი - **ოლთუ** (< **ოლთისი**) - ამჟამად ჰქვია ოლთისის ციხის გარშემო გაშენებულ პატარა ქალაქს, რომელიც თურქეთის რესპუბლიკის ერზერუმის ვილაიეთში შედის. ტოპონიმი **ოლთისი** დადასტურებულია ქვემო ქართლშიც - წალკაში¹.

ოლთის- ფუტეში შესაძლებელია გამოიყოს **ოლთ-** ძირი და **-ის** სუფიქსი, რომელიც ქართველურ ენობრივ ველში წარმომავლობას, ნათესაობას გამოხატავს; რაც შეეხება **-ოლთ-** სემენტს:

ფეიქრობთ, **-ოლთ-** არის ძველი ურარტულ-ქართველური ღვთაების აღმნიშვნელი სახელის - **არდის/ხალდის/ქართუს** - კიდევ ერთი ფონეტიკური ვარიანტი: ***ოლთი**; კერძოდ, სავარაუდოდ, ვრცელ ხურიტულ-ურარტულ-ქართველურ სივრცეში (ვანის ტბიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირომდე) იყო განფენილი ღვთაება **არდი/ქართუ/ხალდის სალოცავები**; შესაბამისად, ღვთაების აღმნიშვნელი ამოსავალი ***არდ-** ფუძის წინამავალი ხმოვნის ლაბიოველარიზებული შემართვა სხვადასხვა ენობრივ თუ დიალექტურ ველში განსხვავებულ ვარიანტებად (ა, ვა, ქა/ხა, ქა...უ, ა...უ) ტრანსფორმირდა² და შედეგად მივიღეთ რამდენიმე კანონზომიერი ფონეტიკური ვარიანტი:

*არდ- > ქარდ-/ქართ- (ლაბიოველარული კომპონენტის ქ-დ რეალიზებით): ქართ-ლ-ი, კარდ-ენ-ა-ხ-ი³; შდრ.: აღზევანი/ქალზევანი;

*არდ- > ვარდ- (ლაბიოველარული კომპონენტის ვ-დ რეალიზებით); ვარდ-ციხე, ვარძ-ია (< ვარდ-ია)⁴;

*არდ- > ქარდუ-/ქართუ- (ლაბიოველარული კომპონენტის გახლეჩითა და ვუს მეტათეზისით): ქართუ-ელ-ი⁵;

*არდ- > არდ-ართ- (ლაბიოველარული კომპონენტის დაკარგვით): არდ-უბანი, ართ-ვინი (< ართ-ოვანი)⁶; ქარდ-/ქარტ: არტ-ა-ანი⁷;

¹ ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, 1974, გვ. 26.

² ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), ქუთაისი, 2005, გვ. 166.

³ გ. ქავთარაძე, იბერიის სამეფოს "არსებობის არსი" ძველი საისტორიო წყაროების მიხედვით; მნათობი, 7-8, 2003, შენიშვნა 176; ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), ქუთაისი, 2005, გვ. 166-181.

⁴ ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), ქუთაისი, 2005, გვ. 166.

⁵ ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), ქუთაისი, 2005, გვ. 166-167.

⁶ გ. ქავთარაძე, იბერიის სამეფოს "არსებობის არსი" ძველი საისტორიო წყაროების მიხედვით; მნათობი, 7-8, 2003, შენიშვნა 176.

⁷ გ. ქავთარაძე, იბერიის სამეფოს "არსებობის არსი" ძველი საისტორიო წყაროების მიხედვით; მნათობი, 7-8, 2003, შენიშვნა 176.


***არდ** - > **ორდ**-**ოლთ**- (ლაბიოველარულ შემართვიანი **ა**-ს **ო**-დ ქცევით: **ა** > **ო**): **ოლთ**-ის-ი⁸; **ხალდ**-**ოლთ**- **მდრ.**: **ხაბარენი**/**ობარენი**; ***ოლთ**-**ორდ**-**ვარიანტი**სგან ჩანს მიღებული **ორდ-უ** (ქალაქის სახელი)...

თუ დავუშვებთ, რომ ლაბიოველარიზებული შემართვის მქონე ***არდი** უფლის აღმნიშვნელი ზოგადი სახელი იყო წინააზიურ ენობრივ ველში (ხურიტულ-კავკასიურ და ინდოევროპულ ენებში)⁹, ამავე ძირს შეიძლება დაუკავშირდეს **ღმერთ**- და **მ-ართ-ალ**- ფუძეებიც:

არდ > **ღვართ** > **ღმართ** > **ღმერთ** (იბერიულ-კავკასიური ენობრივი სამყაროსთვის ბუნებრივია **ლაბიოველარული კომპონენტის** რეალიზება **ღვ/ზვ კომპლექსად**)¹⁰.

ართ > **მართ-ალ**, სადაც **მ** - **ალ**- წარმომავლობის მწარმოებელი კონფიქსია, შესაბამისდ, **მართალი** - "ღვთისნერი" (მდრ.: **ფრისი** - **მ-ფრ-ელი**)¹¹. ბუნებრივია, არ გამოირიცხება, **ოლთ**-ის- ფუძის სხვაგვარი ეტიმოლოგიაც¹², მაგრამ კვლევის ამ ეტაპზე უფრო მისაღები მიჩვენება ჰიპოთეტური ***არდ**-**ქართ**- ძირის ფონეტიკურ ვარიანტთა ამგვარი პარადიგმა.


ისტორიული **ოლთუს ციხე** დღეს ტურისტთა ყურადღების ერთ-ერთი გამორჩეული ობიექტია; ისტორიული ექსკურსის ფორმატით ციხის კარებთან ტურისტებს ხვდებათ შემდეგი ორენოვანი წარწერა:



⁸ ტ. ფუტყარაძე, ქართელები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), ქუთაისი, 2005, გვ. 166.
⁹ მ.ანდრონიკაშვილის აზრით, **ართ-არდ**- "ღვთება" ინდოევროპული წარმოშობის სიტყვაა (მ.ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 26-27).

¹⁰ ტ. ფუტყარაძე, ქართელები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), ქუთაისი, 2005, გვ. 167 (უფრო ვრცლად სხვაგან გვექნება შესწავლა).
¹¹ მ.ანდრონიკაშვილის აზრით, **მ-ართ-ალ**- ფუძეში **ართ-არდ**- "ღვთების" აღმნიშვნელი ინდოევროპული ფუძეა (მ.ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 26-27); ტ. ფუტყარაძე, ქართელები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), ქუთაისი, 2005, გვ. 166-167.

¹² ფ. ლ. მგ., მ. ბერიძის აზრით, ტოპონიმი **ოლთ**-ის- შეიძლება მომდინარეობდეს "ოლთა" ფუძიდან; სათევზაო იარაღი: **ოლთა** - გრძელი მუა მრავალი ანკესით (მ. ბერიძე, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის, თბ., 2008, გვ. 224-225). ამ საინტერესო მოსაზრებაში ბუნდოვანია "ოლთა" ფუძის სემანტიკა.



თარგმანი ასე გამოიყურება:

“ოლთუს სიმბოლო - ოლთუს ციხე - არავინ იცის, როდის აშენდა; ვარაუდობენ, რომ ის აგებულია ამ ადგილებში მცხოვრები ურარტუელების მიერ ქრისტეს შობამდე 1000 წლის წინ. ეს ციხე ფუნქციონირებდა ბერძენების, რომაელებისა და ბიზანტიელების დროსაც.

შიდა ციხეს გარედან აკრავს ძველი ქალაქის სქელი კედელი. შიდა ციხე-სიმაგრე დღემდე უცვლელადაა შემორჩენილი. ქალაქის გარე კედლები მდინარის აღმოსავლეთ მხარეს მიუყვებოდა.

მე-11 საუკუნეში, სელჯუკების დროს, შიდა ციხის აღმოსავლეთ ნაწილში აშენდა ახალი აბანო. მე-16 საუკუნეში ოლთუს ციხე ოსმალების მიერ შეკეთდა“¹³.

ძეგლის შესახებ ინფორმაცია ოდნავ განსხვავებულია თურქულ ენციკლოპედიებში; დავიშოვებთ ერთ-ერთ საინტერნეტო ვერსიას:

“ქალაქ ერზურუმის რაიონის ოლთის მდინარის გვერდით გორაზე მდებარე ციხე აგებულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში. ციხე შეკეთებულია (განახლებულია) ბიზანტიელთა, სელჯუკებისა და ოსმალების დროს; შეკეთების შესახებ რაიმე წარწერა დღემდე არ არის მოღწეული.

¹³ კომენტარისთვის იხ.: <http://www.facebook.com/photo.php?pid=611839&id=1134800600>

ოსმალეთის დროს, ერთი პერიოდი ოლთისი ციხე ქარვასლად იყო გამოყენებული. ოლთისი ციხე აგებულია გათლილი ქვით. გარე ციხე და ციხისიმაგრის გალავანი დღემდე არ არის მოღწეული. დღეს მხოლოდ შიდა ციხეა დასათვალიერებლად ვარგისი...¹⁴.

სრულიად განსხვავებულად წარმოადგენენ ოლთისის ისტორიას სომხები:

ოლთი (Rriko, Rliko: **ოლთიქ/ულთიქ/ულთის/უხთიქ/ალთიქ**) - ქალაქი დიდი სომხეთის ტაიქის¹⁵ ოლქის ოქალეს მხარეში; მდებარეობს ჭოროხის აღმოსავლეთი მხარის შენაკადის - მდინარე ოლთის ნაპირთან (ოლთი, ისტ. უხთიქ - მდინარე მთიან სომხეთში¹⁶). ოლთი პირველად მოიხსენიება X-XI საუკუნეების წყაროებში, მაგრამ დაარსებულია გაცილებით ადრე. ოლთი თავდაპირველად ეკუთვნოდა მამიკონიანთა სანახარარო სახლს. შემდეგ გადავიდა ზაგრატუნინებთან (სომეხი ფეოდალები). იყო ისტორიული ტაოს საკურაპალატოს ცენტრი¹⁷. ამ უკანასკნელის დაცემის შემდეგ (1000 წ.) ეს ოლქი შეიერთა ბიზანტიის საკეისრომ. ეს ძირითადად სომხებით დასახლებული ქალაქი შემდეგ აღმოჩნდა თურქ-სელჯუკთა, მონღოლთა, თურქმანული ტომებისა და, ბოლოს, მე-16 საუკუნიდან - თურქების ხელში¹⁸... 1829 წლის ზაფხულში რუსთა ჯარმა მოკლევადიანად დაიპყრო ოლთი. 1877-78 წლების ომის შემდეგ ოლთისი როგორც ყარსის ოკრუგის ნაწილი, მოექცა რუსეთის შემადგენლობაში. მე-19 საუკუნის 40-იან წლებში ოლთისში იყო 142 კომლი; 1878 წელს - 1092

¹⁴<http://www.kenthaber.com/dogu-anadolu/erzurum/oltu/Rehber/kaleler/oltu-kalesi->
 “Erzurum Oltu ilçesinde, Oltu Çayy kıyısında tepe üzerinde bulunan kale M.Ö IV. Yüzyılda yapılmıştır. Kale Bizans, Selçuklu, Akkoyunlu, Karakoyunlu ve Osmanlı dönemlerinde onarılmıştır. Ancak bu onarımları belirten bur kitabe günümüze gelememiştir. Osmanlı döneminde bir süre kervansaray olarak da kullanılmıştır. Erzurum Oltu ilçesinde, Oltu Çayy kıyısında tepe üzerinde bulunan kale M.Ö IV. Yüzyılda yapılmıştır. Kale Bizans, Selçuklu, Akkoyunlu, Karakoyunlu ve Osmanlı dönemlerinde onarılmıştır. Ancak bu onarımları belirten bur kitabe günümüze gelememiştir. Osmanlı döneminde bir süre kervansaray olarak da kullanılmıştır. Oltu Kalesi kesme taştan yapılmıştır. Günümüze dýþ kale ile surları gelememiştir. Bugün yalnızca iç kale görülebilmektedir. Kalenin kuzeyindeki iki burçtan biri türbe olarak kullanılmıştır. Ayrıca kale içerisinde bulunan hamam da diðer bölümlere göre çok daha iyi durumda günümüze gelebilmiştir.

Oltu Kalesi kesme taştan yapılmış ve 3000 m2’lik bir alana yayılmıştır. Günümüze dýþ kale ile surları gelememiştir. Bugün yalnızca iç kale görülebilmektedir. Kalenin kuzeyindeki iki burçtan biri türbe olarak kullanılmıştır. Ayrıca kale içerisinde bulunan hamam da diðer bölümlere göre çok daha iyi durumda günümüze gelebilmiştir”.

¹⁵ იგულისხმება ქართული - ტაო (ტ.ფ.)

¹⁶ გაუგებარია, ისტორიული ქართული მხარე - ტაო რატომ ცხადდება მთიან სომხეთად (ტ.ფ.).

¹⁷ არაა მითითებული ამ საკურაპალატოს ქართულობა და დავით კურაპალატის ქართველობა.

¹⁸ სრულიად იგნორირებულია ოლთისის დასაცავად საუკუნეობით მიმდინარე ქართველთა ბრძოლები და ქართული წარწერები ოლთისის ციხის ეკლესიაში, რომ აღარაფერი ვთქვათ ტაოს ქართულობაზე. ოლთისის ქართველების შესახებ მსჯელობისათვის იხ.: ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისსა და ჩანგლში, პარიზი, 1917.

კომლი, რომელთაგან 1000 კომლი იყო სომეხი (200 იყო ადგილობრივი სომეხი, ხოლო 800 სომხური ოჯახი აქ მოვიდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ თურქეთის სხვა რაიონებიდან). ოლთისში სომეხებს ჰქონდათ სკოლა და რამდენიმე სასწავლებელი... ციხე აგებულია ბაგრატიონანთა დროს - X-XI საუკუნეებში. ციხის შიგნით იყო ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც გადაკეთდა მონასტრად. გარდა ამისა, ქალაქს ჰქონდა ორი სომხური ეკლესია (წმიდა გიორგისა და წმიდა იოვანესი). მნიშვნელოვანია მდინარე ოლთის ხიდი, რომელიც დღემდეა შემორჩენილი.

ბირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს თურქებმა დაიკავეს ოლთისი, მაგრამ მალევე დაკარგეს. 1918 წელს თურქთა ჯარებმა კვლავ დაიპყრეს ოლთისი და გაუღიჯეს სომეხები. გადაარჩენილი სომეხები გადასახლდნენ ამიერკავკასიაში და სხვაგან...¹⁹

აქ მოკლედ აღვნიშნავ: არმენთა ტომები ანატოლია-კავკასიაში შემოდიან ძვ.წ. VI-V საუკუნეებიდან. ჯერ კიდევ მაშინ, ძვ.წ. VIII საუკუნეში, როდესაც დიოხოს ძლიერი ცივილიზებული ქვეყანა იყო, არმენების წინაპრები ირანის ტრამალებში მომთაბარეობდნენ. საყურადღებოა ისიც, რომ გვიანაც უცხოა ოლთისი სომეხებისთვის, რის გამოც “ქართლის ცხოვრების” სომხურ თარგმანში დამახინჯებულია ოლთისის სახელი²⁰; ოლთისის ნამდვილი ისტორიისათვის იხ., ქვემოთ.

ოლთისის ისტორიის შედარებით ობიექტური ვერსია არის ინგლისურენოვან საინფორმაციო ქსელში (<http://en.wikipedia.org/wiki/Oltu>):

Oltu (**Armenian**: Riko *Ughtik* or Rliko *Ultik*, **Georgian**: ოლთისი *Olti*, **Russian**: Олти *Olti*) is a town and district of **Erzurum Province** in the **Eastern Anatolia** region of **Turkey**. It was historically considered to be a part of **Tao-Klarjeti**, ancient **Georgian** region. The town grew up on the site of the ancient **Georgian** and **Byzantine** fortress of Oukhiti. Oltu, which has the geographic coordinates of 41-59°00'N latitude and 40-34°00'E longitude, is geographically located through the Oltu Brook Valley, a tributary of the **Çoruh River**, to the northeastern region of **Turkey**. It has geographically mountainous topography with forests sprayed at large. The highest hills are Akdağ of 3030m and Kyrdağ of 2000m. Annual average temperature is 10.2°C. Oltu is famous for its **Oltu stone** or Oltu Gemstone, known as Black Amber with dull-bright black color and carved to produce jewelry, rosary beads, key-chains, pipes and boxes.

¹⁹ წყარო: “სომხური საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. XII, გვ. 527-528, ერევანი, 1986. სტატისის ავტორია თ. ჰაკოვიანი, რომელიც ასახელებს ორ წყაროს: ლ. იტიკიანი, აღწერა ძველი სომხეთისა“ 1822; ლ. ალიშანი, “დიდი სომხეთის აღწერა“ 1855. ჩემი თხოვნით, სომხური ტექსტი ქართულად გადმოთარგმნა პროფ. მერაბ რომაქიძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვასხენებ.

²⁰ სომხურ თარგმანში ოლთისის სახელის დამახინჯების შესახებ მსჯელობისათვის იხ.: ი. აბულაძე, 1944, გვ. 032). ზოგი სომეხი მეცნიერის მცდელობა, რომ ყველაფერი ქართული სომხურად გამოაცხადოს, არაერთხელ გამხდარა კრიტიკის ობიექტი; ტოპონიმ ოლთისის შესახებ იხ., მაგ., ნ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, თბ., 2005, გვ. 274.

წარმოდგენილი ტექსტი ჩვენთვის არსებითი ცვლილებით დევს სხვა ვებგვერდზე (<http://www.reference.com/browse/wiki/Oltu>); კერძოდ, ამ ინფორმაციაში შეცვლილია ფრაზა: It was historically considered to be a part of Tao-Klarjeti, ancient Georgian region ("ოლთისი ისტორიულად შედიოდა საქართველოს ისტორიულ რეგიონში - ტაო-კლარჯეთში"); კერძოდ, ვკითხულობთ: სომეხთა თვალსაზრისით ოლთუ ისტორიულად იყო Tayk-ის (or Tao-Klarjeti) ნაწილი: "It was historically considered to be part of the Tayk (or Tao-Klarjeti) region from the Armenian viewpoint".

შდრ., სრული ტექსტი:

Oltu (**Armenian**: Rriko *Ughtik* or Rliko *Ultik*, **Georgian**: ოლთისი *Oltisi*, **Russian**: Олти *Olti*) is a town and district of Erzurum Province in the Eastern Anatolia region of Turkey. It was historically considered to be part of the Tayk (or Tao-Klarjeti) region from the Armenian viewpoint. The town grew up on the site of the old Georgian and Byzantine fortress of Oukhiti. Oltu, which has the geographic coordinates of 41-59°00'N latitude and 40-34°00'E longitude, is geographically located through the Oltu Brook Valley, a tributary of the Coruh River, to the northeastern region of Turkey. It has geographically mountainous topography with forests sprayed at large. The highest hills are Akdağ of 3030m and Kırdağ of 2000m. Annual average temperature is 10.2°C. Oltu is famous for its Oltu Stone or Oltu Gemstone, known as Black Amber with dull-bright black color and carved to produce jewelry, rosary beads, key-chains, pipes and boxes²¹.

სამწუხაროდ, როგორც ვხედავთ, არც ოლთისის ციხის საცნობარო დაფაზე და არც თურქულ-სომხურ-ინგლისურენოვან ინფორმაციებში არაფერი წერია იმის შესახებ, რომ ეს ციხე-ქალაქი მდებარეობდა დიაოხში. რომ აღარაფერი ვთქვათ ქართველთა მეფის - დავით კურაპალატის - ვინაობაზე; არც ისაა აღნიშნული, რომ ოლთისი ქართველთა სამთავროს სამცხე-საათაბაგოს ცენტრი იყო რამდენიმე საუკუნის წინ.

ოლთისის აკადემიური ისტორიის გამოქვეყნებითა და ტურისტებზე ობიექტური ინფორმაციის მიწოდებით დღეს არაფერი დაეკარგება თურქეთს, ქართველი ერის მიერ შექმნილი მემკვიდრეობის შენახვას კი ხელს შეუწყობს. ახლა კი მოგაწვდით ოლთისის იმ ისტორიას, რომელიც გამოტოვებულია თურქულ-სომხურ თუ ინგლისურენოვან ვერსიებში:

ძველი მსოფლიოს ყველა აკადემიურ რუკაზე ჩანს, რომ ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე არსებული სახელმწიფო - დაიანნი/დიაოხი (სავარაუდოდ ქართველური მოდგმის ხალხის ქვეყანა)²² მოიცავდა გვიანდელ ტაოს.


კოლხასა და ურარტუს მიერ დიაოხის გაყოფის შემდეგ, ჭოროხის ხეობა (ოლთისითურთ) ისტორიული კოლხეთის ნაწილი ჩანს; პროფ. დოქტ. ველი სევიანის მონაწილეობით 2001 წელს გამოცემული ურარტუს

²¹ <http://www.reference.com/browse/wiki/Oltu>

²² იხ., Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1969; იხ. აგრეთვე: გ. ქავთარაძე, საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები, კავკასიოლოგიური სერია, II, თბ., 2006, გვ. 44, სადაც ავტორი დაიანნი/დიაოხის შესახებ ვრცელი უცხოური და ქართული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ ასკვნის: დაიანნი/დიაოხი უნდა ყოფილიყო ქართული სახელმწიფოების წინაპარი ქვეყანა; დიაოხშია საგულვეტელი ქართული სახელმწიფოებრივი ტრადიციის ფესვები.


რუკის მიხედვითაც ჭოროხის ხეობა არ შედის ურარტუს შემადგენლობაში, თუმცა ძნელია თქმა, სად მოიაზრება ოლთისის წყალის ხეობა.

საზღვაო სიღრმის რუკა
სადაც ნათქვამია ურარტოს
კალაქების, ანუ ურარტოს
ქალაქების მდებარეობა
და სადაც ნათქვამია ოლთისის
ხეობის მდებარეობა



ბუნებრივია, არ გამოირიცხება, რომ კოლხასა და ურარტუს მიერ ღიაობის გაყოფის პროცესში, რაღაც მომენტში, შეიძლებოდა ღიაობის მთელ ტერიტორიაზე ურარტუსაც განევრცო ბატონობა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ოლთისი მაინც დაიანის/ღიაობის (გვიანდელი ტაოს) ტერიტორიაზეა და არა ურარტუს; იხ., მაგ.:²³

მოგვიანებით, ტაო არის ფარნავაზისა და ქუჯის მიერ აღდგენილი ქართლის სახელმწიფოს ნაწილი; კერძოდ, “ქართლის ცხოვრების” მიხედვით,



²³ <http://www.angelfire.com/hi/Azgaser/map2.html>

არტანთან აზოსა და მისი მხარდაჭერი ბერძნების (პონტოელების) დამარცხების შემდეგ, ფარნავაზი აკონტროლებს აზოს დასაყრდენ სამხრეთ საქართველოსაც. აქვე ისმის კითხვა:

ფარნავაზის რომელ საერისთავოში შედიოდა ტაო (ოლთისითურთ): კლარჯეთის, ოძრხის თუ წუნდის? მეტი ალბათობით, ჭოროხის ხეობა ოლთისითურთ კლარჯეთის საერისთავოში შედიოდა; შდრ., ქართული წყაროს მიხედვით, **ოძრხოსი** აშენებს **თუხარისს**, რომელიც კლარჯეთისა და ტაოს საზღვარზეა; ქ.ც. 1955, გვ. 9, 131).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა “ქართლის ცხოვრების” ძველი სომხური თარგმანის ჩვენება; კერძოდ, ტექსტში ვკითხულობთ:

“მეხუთე გაგზავნა **წუნდისს**, ფარავნიდან მდინარე მტკვრის თავამდის, რომელი არს ჯავახეთი და არტაჰანამდის; მეექვსე გაგზავნა **ჟნძარისს** და მისცა მას **ტაოდან** არსიანამდის და ოსტანის თავიდან ზღვამდის (რომელი არის სამცხე და აჭარა)²⁴; მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთს და მისცა მას არსიანიდან ზღვამდის...” (ი. აბულაძე, 1953, გვ. 34~~35~~); რამდენადაც “ქართლის ცხოვრების” ქართულ ვერსიაში **ტაოს** ნაცვლად **ტაშისკარია**, ჩანს, სომეხი მთარგმნელისთვის ტაო საქართველოა; სხვა შემთხვევაში მას ტაო და ტაშისკარი ერთმანეთში არ აერეოდა.

წელთაღრიცხვათა მიჯნაზე, გარკვეული დროით, ტაოს სომეხები იპყრობენ. გორგასლის დროს **ტაო** ქართლის ნაწილია. იმიერტაო (ბანა, ოლთისი...) ქართველთა საცხოვრისია არაბობის დროსაც; მაგ., ოლთისთან ახლოს (30 კმ.) მდებარე **ბანა VII საუკუნიდან იყო დიდი ქართული ქრისტიანული ცენტრი. VII საუკუნეში აგებული და IX-X საუკუნეებში გადაკეთებული ბანას ტაძარი არის ძველი ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლი.**

ახ.წ. X საუკუნეში ოლთისი ქართველთა მეფის - დავით III დიდი კურაპალატის რეზიდენცია იყო; დავით კურაპალატის სიკვდილის შემდეგ (1001) **ქართველთა მეფეთა შვიფე** გურგენი ეცადა ოლთისის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ბიზანტიის წინააღმდეგობას წააწყდა.

ქართული წყაროების მიხედვითაც, XI საუკუნის დასაწყისში ბიზანტიისა და საქართველოს პოლიტიკური საზღვარი ოლთისის ხაზზე გადიოდა; რაღაც მომენტში **ოლთისს** ისევ ქართველები ვაკონტროლებდით; კერძოდ, 1021 წელს, საქართველოს მეფემ - გიორგი I-მა თავი აარიდა ბასილ II-თან ბრძოლას: დატოვა და გადაწვა საკუთარი ციხე-ქალაქი - ოლთისი²⁵.

“ქართლის ცხოვრების” მიხედვით XI საუკუნის მეორე ნახევარში ოლთისნი²⁶, კარი (ყარსი) და კარნუ-ქალაქი (ერზერუმი) ქართველი

²⁴ აჭარა და სამცხე თავსდება “ოსტანის თავიდან ზღვამდე” რეგიონში; შდრ., “ქართლის ცხოვრება”: ოძრხის საერისთავო - ტაშისკარიდან არსიანამდე და ნოსტის თავიდან ზღვამდე.

²⁵ “ქართლის ცხოვრება”, თბ., 1955, გვ. 284, 383.

²⁶ ოლთისნი - ოლთისი და მისი მიმდებარე ტერიტორია; შდრ.: იმერხელულ და ტაოლურ კელოებში ხშირია ამგვარი წარმოება, ოღონდ -ნ-ს ნაცვლად გამოყენებულია -თ-: ჯვარი - ადგილის სახელი; ჯვარ-თ-ი - ეს ადგილი მისი მიმდებარე ტერიტორიითურთ; გრცლად იხ.: ტ. ფუტყარაძე, იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი, თბილისი, 2006.

მხედართმთავრის - გრიგოლ ბაკურიანისძის²⁷ საგამგებლოა, რომელიც, ნომინალურად ემორჩილება ბიზანტიის იმპერატორს, მაგრამ ფაქტობრივად ექვემდებარება საქართველოს მეფეს (გიორგი II-ს), რომლის კუთვნილებაა **ტაო; კერძოდ, ქართულ წყაროში ვკითხულობთ:**

თურქ-სელჯუკების დამარცხების შემდეგ “წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თვისსა ტაოს, და მოვიდა ბანას” (ქ.ც. 1955, გვ. 318).

ბანაში მას ეწვია გრიგოლ ბაკურიანისძე, რომელსაც მან (გრიგოლმა) გადასცა ქალაქი ყარსი (ქ.ც. 1955, გვ. 318).

შდრ., “ქართლის ცხოვრების” ძველი სომხური თარგმანის ვარიანტი: “როცა გიორგი მეფე **ბანაკს** იყო, მოვიდა მასთან გრიგოლი, ბაკურიანის ძე, **უხტისა** (=ოლთისის), **კარისა** და ქალაქ **კარინის** პატრონი...” (ი. აბულაძე, 1953, გვ. 235).

აქვე აღვნიშნავ, რომ ქართულ წყაროებში **ოლთ-ის-ი** ერთადერთი, და ვფიქრობ, გამჭვირვალე ეტიმოლოგიის ვარიანტით დასტურდება; ამ სიტყვის ფუძე აშკარად უკავშირდება რეგიონის სხვა ტოპონიმების ფუძეებს; სომხურში იგი ასპონტანური ფონეტიკური ვარიანტებით (უხტი, Rriko Ughtik or Rliko Ultik...) დასტურდება, რაც ცხადყოფს, რომ თავდაპირველად სომხებისთვის ეს ტოპონიმი უცხო იყო.

საქართველოში “დიდი თურქობის” დროს (XI-XII სს. მიჯნა) **ოლთისის სელჩუკები ფლობდნენ, მაგრამ თურქ-სელჩუკების დამარცხების შემდეგ დავით IV აღმაშენებელმა უკან დაიბრუნა ეს მხარე** (სელჯუკებთან ბრძოლების დროს ოლთისი კიდევ ერთხელ გადაიწვა). ამის შემდგომ ოლთისი ისევ საქართველოს შემადგენლობაში იყო XIII საუკუნის 40-იან წლებამდე.

საქართველოს დიდი მეფის, თამარის მემკვიდრის - ლაშა-გიორგის - დროს სელჯუკთა მემკვიდრეებმა სცადეს ოლთისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების წართმევა, მაგრამ ყვარყვარე ჯაყელ-ცინისჯვარელმა მესხთა ჯარით შეძლო მათი დამარცხება და საქართველოს საზღვრებიდან განდევნა²⁸.

მონღოლთა ბატონობის ხანაში (უმეფობის პერიოდში), მკირეაზიელმა თურქმანებმა ოლთისი დროებით დაიკავეს, მაგრამ იგი მალე გაათავისუფლა სამცხის (ქართველების) ლაშქარმა.

თემურ-ლენგის შემოსევების დროს (1386-1403 წწ.) მისმა ურდოებმა ოლთისი სასტიკად ააოხრეს.

ცნობილია ისიც, რომ XV საუკუნის მიწურულს, საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, **ოლთისი** სამცხე-საათაბაგოს სამთავროს შემადგენლობაშია; ოლთისისა და მის შემოგარენს ქართული ფეოდალური საგვარეულო - ჯაყელთა დინასტია - განაგებს.

²⁷ ეს ის ტაოელი ქართველი გრიგოლ ბაკურიანისძეა, რომელმაც ბულგარეთში ააგო პეტრიწონის ქართული მონასტერი (ამ დროს ბულგარეთი შედიოდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში). მსჯელობისათვის იხ., ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. II, გვ. 159-161.

²⁸ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წიგნი: ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 209. ვახუშტის ცნობით: ჭოროხის აღმოსავლეთის კიდზედ, არს ოლთისი, ქალაქი კარგი და კეთილ-ჰაოვანნი. აქ არის ციხე მაგარი და დიდშენი. არს მეორე საჯლომი ათაბაგისა“ (იქვე, გვ. 683).

XVII საუკუნეში მანუჩარ ათაბაგმა (მანუჩარ III 1607-1628) ერთი პერიოდი ოლთისი კახეთის მეფე თეიმურაზს (1606-1648 წწ.) გადასცა. მაშინ როცა თეიმურაზ I ამალით სტამბოლში თურქეთის სულთანს - მუსტაფას (1617-1618, 1622-1623 წწ.) ეახლა, მეფემ ოლთისში დატოვა თავისი მეუღლე დედოფალი ხორეშანი. თეიმურაზ I-ის მიერ თურქეთის სულთნისადმი მორჩილების გამოცხადებამ ირანის შაჰი აბას I გააღიზიანა და **ოლთისში** დედოფალ ხორეშანის შესაპყრობად **ამირგუნე ხანი** გააგზავნა, რომელმაც ვერ შეძლო ციხის აღება და უკან გაბრუნდა.

XVI საუკუნეში ოსმალეთის სახელმწიფოს გაძლიერების შემდეგ საქართველოს სამხრეთი ტერიტორიები, მათ შორის ოლთისი, ქართველი თავადების - ჭაყვლების - დლატის გამო ოსმალეთის მფლობელობაში გადავიდა. ჭაყვლები ოსმალეთის კარის მოხელეებად იქცნენ და ამ გზით ეს მხარე სამართავად დაიტოვეს.

ოსმალური დოკუმენტური წყაროების საფუძველზე, თურქი მეცნიერი **ნები გუმიში** თურქთა მიერ ქართული მიწების, მათ შორის **ოლთუს (ოლთისის)**, დაპყრობას ასე აღწერს:

“ქართველი თავადები ამ ბრძოლაში დიდ როლს თამაშობდნენ. სტამბოლში დაცულია ტოპკაპი სარაი არწივის ნაშრომი, რომლის თანახმადაც თავიდან თავადები მხარს ყვარყვარეს უჭერდნენ, მაგრამ მოგვიანებით მანუჩარის მხარეს გადავიდნენ. თუმცა მას შემდეგ, რაც თავადებმა შეიტყვეს, რომ ირანელების 3000 კაციანი ჯარი მათ ტერიტორიას უახლოვდებოდა, მათ მხარდაჭერა შეწყვიტეს და ამით მანუჩარი ძალზე დააზარალეს. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მანუჩარი დაუფიქრებლად მოიქცა, როდესაც **ოლთუს ციხესიმაგრე - თავისი კუთხის დედაქალაქი** - მიატოვა. ყვარყვარემ ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა და ციხესიმაგრე დიკავა.

ათაბაგი ყვარყვარე (1515-1535 წწ.) საფავილების მხარდაჭერას მუდამ გრძობდა, ამიტომ ოტომანების მხარეს გადავიდა. 1535 წელს 15 აგვისტოს, მურკახეთის ბრძოლის დროს იგი იმერეთის მეფემ დაატყვევა და მისი ტერიტორიები თავის სამეფოს დაუმორჩილა.

მამის დატყვევების შემდეგ, ოთარ შალიკაშვილის რჩევით, უფლისწულმა ქაიხოსრომ დახმარებისთვის ოტომანებს მიმართა. თავდაპირველად ოტომანების დახმარება არცთუ ეფექტური აღმოჩნდა და უფლისწულმა იმერეთის მეფე ვერცერთ ბრძოლაში ვერ დაამარცხა...

1543 წლის გაზაფხულზე მუსა ფაშამ სამცხის დასაპყრობად ბრძოლა დაიწყო და **ოლთუს ციხე-სიმაგრეს** ალყა შემოარტყა. ამ სისხლისმღვრელ ბრძოლაში იგი იმერეთის მეფეს, ბაგრატს (1510-1565) დაუპირისპირდა.

შერკინების დროს ფაშა დაიჭრა, რის შედეგადაც ოტომანების არმია მტერთან ბრძოლაში მალე დამარცხდა.

ეს ამბავი დაიარბეკრის ბეგლარბეიმ, ჰადიმ ალი ფაშამ შეიტყო. იგი მაშინვე გამოემართა ბრძოლის ველისკენ და ქართველები დაამარცხა.

1545 წელს ქაიხოსრომ, ოტომანების დახმარებით, სოხოისტასთან ახლოს ბაგრატის დამარცხება შეძლო. მან შური იძია ბაგრატზე, რომელმაც ათი წლის წინ მისი სამფლობელო დაიპყრო და მამამისი დაატყვევა. ამ ყველაფრის შემდეგ ქაიხოსრო ტახტზე ავიდა. ათბეგ ქაიხოსროს (1545-1573 წწ.) მეფობის პერიოდში სამცხე კვლავ ოტომანების მფლობელობაში გადავიდა. ვახუშტის ცნობით, მან ოტომანებს ირანის წინააღმდეგ ბრძოლებში გაწეული დახმარების სანაცვლოდ მხარდაჭერა აღუთქვა.

სამცხის დაპყრობილ ტერიტორიაზე დაარსდა ისეთი სანჯაყები, როგორც იყო თორთუმი, აღსაკალე, კემჰიდი და ლივანე...²⁹. ოსმალეთის ისტორიის ცნობილი სპეციალისტის ჯ. ჰამერის მიხედვით, 1549 წლის სექტემბერში ოსმალებმა დაიპყრეს ოლთისის, თორთუმის, ნაჯახის, მირახორის, აქჩაქალის და ოცამდე სხვა მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე³⁰.

ოლთისის ციხის ქართულობას ცხადყოფს მასზე აღმოჩენილი ისტორიული წარწერებიც:

1843 წელს ოლთისის ციხე აღწერა კ. კობმა (შემდეგ - დ. ბაქრაძემ). მათი აღწერების მიხედვით, ოლთისის ციხის შიგნით შემორჩენილი იყო სხვადასხვა სახის ნაგებობები. მე-20 საუკუნის დასაწყისამდე მათ შორის გამოირჩეოდა ეკლესია. მიუხედავად ძლიერი დაზიანებისა, **პარმენ ზაქარაძე** თავის დროზე შეძლო გაერკვია ეკლესიის ტიპი და ტაძრის საერთო მასის საერთო კომპოზიცია. ტაძარი ექვსაფსიდიანია, რომლის შიდა კედლებზე შემორჩენილია ფრესკული გამოსახულებები. ე. თაყაიშვილი ფრესკული მოხატულობის რამდენიმე კომპოზიციას ასახელებს. ფრესკული კომპოზიციის გარდა, ექ. თაყაიშვილს მოჰყავს ლაპიდარული წარწერა სატრაპეზოს ქვაზე, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში დ. ქუთათელაძემ ჩამოიტანა თბილისში³¹. სატრაპეზო ქვის ოთხივე მხარეს იყო ქართული ასომთავრული წარწერა. მათ შორის ექ. თაყაიშვილმა დაზიანების გამო მხოლოდ ერთი წარწერა ვერ წაიკითხა. დანარჩენი სამი ქართულენოვანი წარწერა მოგვითხრობს:

“უფალო ყოვლისშემძლეო, იესო ქრისტე, შეიწყალე გაბრიელი, რომელმაც განადიდა წმიდა გიორგი და ააგო ეს საკურთხეველი“;

“ქ. დავითის მიერ შეიქმნა...“;

“ქრისტე, შეიწყალე გაბრიელი“...

როგორც წარწერებიდან ჩანს, ოლთისის ციხის ეკლესია წმიდა გიორგის სახელზე იყო აგებული და მისი ქტიტორი იყო გაბრიელი.

ციხის ტერიტორიაზე მდგარი ექვსაფსიდიანი ტაძარი ოსმალოებმა დაანგრიეს 1907 წელს³².

ბუნებრივია, ამხელა ინფორმაცია არა, მაგრამ ოლთუს ციხის მემორიალურ დაფაზე არსებულ წარწერას ერთი აბზაცი მთნც უნდა დაემატოს:

²⁹http://www.muslimgeorgia.org/haber_detay.asp?tur=115&id=106 (სტატია მომზადებულია ოსმალეთის არქივების მონაცემებისა და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე; დამოწმებებისათვის იხ., მითითებული ვებგვერდი).
³⁰ მსჯელობისათვის იხ., ზ. შამიკაძე, ქართულ-ოსმალური ურთიერთობიდან XVI საუკუნის 30-60-იან წლებში, საიუბილეო კრებული ნოდარ შენგელია - 75“, თბ., 2008; გვ. 260.

³¹ დაკულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.


³² *И. Закарава*, Зодчество Тáo-Кларджети, Тб., 1992, გვ. 111;

ი. გივიაშვილი, ი. კობლაძაძე, ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004, გვ. 107; <http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98>.


შდრ.: ივ. ჯავახიშვილის ცნობით, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ოლთისი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო საქართველოს სხვა ისტორიულ რეგიონებთან ერთად (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. 12, თბ., 1978; გვ. 488). 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ოლთისის საქართველოს შემადგენლობაში თვლიდა; 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის გარიგებით, ლენინმა და ათათურქმა საქართველო შუაზე გაიყვეს; ოლთისის მხარე თურქეთს ზედა წილად.

“ოლთისის ციხე აგებული უნდა იყოს ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში წინარეკართვლური სახელმწიფოს - დაიანის - არსებობის დროს; ოლთისს დიდი ხნის მანძილზე ფლობდნენ ქართველები“.

მემორიალურ დაფაზე უნდა იყოს ქართულენოვანი წარწერაც; მით უმეტეს, ამგვარი პრეცედენტი უკვე არის თურქეთის რესპუბლიკის ამავე მხარეში; შდრ., ოშკის საცნობარო დაფა:



კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღენიშნავ: თანამედროვე მსოფლიოში თურქეთიცა და საქართველოც ევროპისკენ მიმავალი ქვეყნებია; შესაბამისად, ე.წ. სახელმწიფოებრივი საზღვრების გადასინჯვის ყოველგვარი მცდელობა თუ გადასინჯვაზე საუბარი პროვოკაციადაა მისაჩნვეი (იხ., რუსეთის იმპერიის ქმედებები). დღეს აქტუალურია კულტურული მემკვიდრეობის საკითხი: ოლთისი როგორც თანამედროვე თურქეთის მოსაწოდების, ასევე ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობაა. ოლთისი, თორთუმი, არტანუჯი, ბანა, იშხანი, ხანძთა... ორივე ხალხის ღირსების ამამაღლებელი ფენომენია. ნუ დაუუკარგავთ ერთმანეთს ამ ისტორას.



დამოწმებული ლიტერატურა

- ი. აბულაძე, 1953 - ი. აბულაძე, “ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი (თარგმნა და გამოსცა ი. აბულაძემ), თბ., 1953.
- მ.ანდრონიკაშვილი, 1966 - მ.ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.
- მ. ბერიძე, 2008 - მ. ბერიძე, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის, თბ., 2008.
- ვ. ბერიძე, 1974 - ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, 1974.
- ნ. ბერძენიშვილი, 2005 - ნ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, თბ., 2005.
- ი. გვიიაშვილი, ი. კობლატაძე, 2004 - ი. გვიიაშვილი, ი. კობლატაძე, ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004.
- ე. თაყაიშვილი, 1917 - ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისსა და ჩანგლში, პარიზი, 1917.
- სომხური საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. XII, ერევანი, 1986.
- ტ. ფუტყარაძე, 2006 - ტ. ფუტყარაძე, იმერხევის მეტყველი მიწაწყალი, თბ., 2006
- ტ. ფუტყარაძე, 2005 - ტ. ფუტყარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, 11. დიალექტები), ქუთაისი, 2005.
- გ. ქავთარაძე, 2003 - გ. ქავთარაძე, იბერიის სამეფოს “არსებობის არსი“ ძველი საისტორიო წყაროების მიხედვით; მნათობი, 7-8, 2003.
- გ. ქავთარაძე, 2006 - გ. ქავთარაძე, საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები, კავკასიოლოგიური სერია, II, თბ., 2006.
- “ქართლის ცხოვრება“, 1955 - “ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ; ტ. I, თბ., 1955.
- “ქართლის ცხოვრება“, 1973 - “ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ; ტ. IV. თბ., 1973.
- ზ. შაშიკაძე, 2008 - ზ. შაშიკაძე, ქართულ-ოსმალური ურთიერთობიდან XVI საუკუნის 30-60-იან წლებში, საიუბილეო კრებული ნოდარ შენგელია - 75“, თბ., 2008.
- ივ. ჯავახიშვილი, 1983 - ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. II, თბ., 1983
- ივ. ჯავახიშვილი, 1998 - ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 12. თბ., 1998.
- П. Закарая, 1992 - П. Закарая, Зодчество Тао-Кларджети, Тб. 1992.
- Г.А. Меликишвили, 1969 - Г.А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1969.

TARIEL PUTKARADZE

OLTISI: ON THE ETYMOLOGY OF THE NAME AND THE REAL HISTORY OF THE ACROPOLIS

According to the documents Oltisi is a name of the walled-town in Tao, a historical region of Georgia. The transformed variant of this place-name Oltisi –Oltu (<-Oltisi) is a name of a modern small town around the historical fortress, situated in the Erzurum vilayet in the Republic of Turkey. The place name Oltisi is also found in Tsalka, lower Kartli, Georgia.

In the stem of Oltis – *Olt* can be a stem and –*is* is a suffix that in the Georgian language field denotes: “originated from”, “related to,” as for the –*Olt*- I think it is one more phonetic variant of * Olti , the ancient Urartian-Kartvelian deity – Ardis / Khaldis/ Kartu; we can assume that the broad Khuritian-Urartian-Kartvelian space (beginning from Lake Vani to the eastern coast of the Black Sea) should have had shrines and worship places in the name of Ardi/Kartu, Khaldi. Correspondingly *ard –, the original root denoting the deity would undergo phonetic changes in the different language and dialectal field caused by the Labio-velarized excursion of the initial vowel resulting several variants according to the regular phonetic laws (a, va, ka/cha, ka...u, a...u. *ard -> kard - /Kart (realized of the Labio-velar component as –k): Kart-l-i, Kard-an-a-kh-i; also cf.: Aghzevani/Kaghzevani;

*ard->vard-(realization of labio-velar component as v); Vard-tsikhe; Vardz-ia (<-vard-ia)


* ard-kardu-/kartu- (through the split of the Labio-velar component and the metathesis of v/u: kartu-el-i;

*ard- ard/art (through the loss of the labio-velar component; ard-ubani, art-vini (<-art-ovani) kard-/kart-; art-a-an-i;


* ard- ard-/alt (through the conversion of the labio-velar excursion – a into o: a>o); Olt-is-i; Khald-/Olt-. Compare: Kabareni/Obareni;

Ordu the name of the town, seems to be derived from *Olt-/Ord –variants.

Naturally, we should not exclude other variants to explain the etymology of *Olt-is-* stem; However, at the present level of investigation hypothetical *ard-/kard paradigm of the phonetic variant seems to me quite acceptable.



The fortification of Oltu is one of the distinguished historical sites for the tourist attraction. According to the format of historical excursion tourists can find the bilingual plate.



The history of Oltis is presented absolutely in the different way by Armenians. They think that Oltis ((Rriko, Rliko)) was an Armenian town. Consider the fact that Armenian tribes come in to the Anatolia-Caucasia in the VI-V cc B.C. As for the Diaokh where Oltis was one of the leading cities had flourished already in the VIII c. B.C. Surprisingly enough, neither in the information plaque of Oltis acropolis nor in Turkish-

Armenian-English language guide books no one mentions the fact that the Oltisi was situated in Diaokh and that this was a Georgian city for centuries and that David Kuropalat, the Georgian King had it as the capital city of a Georgian kingdom.

If the academic history of Oltisi is published and the tourists and general public receives objective information the Republic of Turkey loses absolutely nothing, on the other hand it will help the preservation of the monument created by the Georgian people.

The history of Oltisi in brief looks as follows:

On every academic map of the world it is shown that by the end of the second millennium and the beginning of the first millennium B.C. the state of Daiaeni/Diaokh (presumably, populated of the Kartvelian people) embraced the territory of the later kingdom Tao.

After the division of Diaokh between Kolkha and Urartu the Chorohki river valley (with Oltisi) appears a part of the historical Kolkheti (Colchis).

Naturally enough we cannot overlook the possibility that at a certain moment of history Urartu could have expanded its rule over the entire territory, but even in such an assumption Oltisi is on the territory of Daiani/Diaokh (Later the territory of Tao) and not in the territory of Urartu.

In the later period Tao is a part of the Kartli kingdom restored by Pamavaz and Kuji; namely, according to *the Georgian Chronicles* after the defeat of Azo and Greeks (Pontoans) at Artaan who supported Azo, Pamavaz wrests control even over the South Georgia, the main stronghold of Azo.

At the turn of the old and new era Tao is occupied by Armenia. During the reign of Gorgasali (5th c.) Tao is a part of Kartli. Imer-Tao (Bana, Oltisi) is the home of Georgians even during the Arab occupation. For instance, Bana, which is located close to Oltisi (30 km) is a great centre of the Georgian Christianity since the 7th century. Bana was first built in the 7th century and then rebuilt and altered in the 9-10th centuries and is regarded one of the conspicuous examples of the old Georgian architecture.

In the 10th century Oltisi is a residence of the Georgian king -Davit III the Great, Kuropalat. After the death of Davit Kuropalat (1001) Gurgen, King of Kings of Georgia, made attempts to seize Oltisi and encountered the opposition from Byzantium.

Again according to *the Georgian Chronicles* in the late half of the 11th c. Oltisni, Kari (Qarsi), and Karnu-Kalaki (Karnu-City, the same Erzerum) are in the territories ruled by the Georgian chieftain Grigol Bakuriansidze, who nominally is a vassal of the Emperor of Byzantium but in fact is subordinated to the crown of Georgia, namely, to king Giorgi II who is the real owner of Tao. During the period of "Didi Turkoba" (the Great Turkish Invasions), 11-12th cc. Oltisi fell under the Seljuk possession. But after the defeat of Seljuks by Davit IV the Builder, the Georgian king regained Oltisi (which was once again burnt during the battle). After that Oltisi is within the Georgian rule until the 40s of the 13th century.

During the reign of King Lasha-Giorgi, the heir of great Queen Tamar, Seljuk's heirs tried to seize Oltisi, but Kvarkvare Jakel-Tsikhisjvareli succeeded in defeating and expelling Seljuks from the Georgian borders by the army of the Meskhs.

During the Mongol domination (known as “Kingless Preiod”) Turkman tribes of Asia Minor temporarily occupied Oltisi, but it was soon regained by the Samtskhe troop of Georgians.

During the Tamerlane invasions (1386-1403) his hordes devastated Oltisi.

It is also known that by the end of the 15th century, after the disintegration of the united Georgian Kingdom Oltisi is in the Samtskhe-Saatabago principality. Oltisi and the surrounding region is governed by the Georgian feudal family- the dynasty of Jaqels.

In the 17th century Manuchar Atabag (Manuchar III 1607-1628) conceded Oltisi to Teimuraz I (1606-1648) king of Kakheti for a certain period. Teimuraz left his wife, queen Khoreshan in Oltisi when he, with his troop, visited Mustafa, (1617-1618, 1622-1623), Sultan of Turkey, in Istanbul. When Teimuraz I paid homage to the Sultan of Turkey, Shah-Abas I of Iran became irate and he sent Amirgune-Khan to Oltisi to seize the fortress and capture queen Khoreshan.

In the 16th c. after strengthening of the Ottoman state southern territories of Georgia, including Oltisi fortress, went into the possession of Ottomans due to the betrayal of the Jaqels feudal family to the Georgian crown. Jaqels turned to serve to the Ottoman royal court and in this way they retained rights to govern the region. According to J. Hammer, an eminent specialist in the history of the Ottoman state, ‘the Ottomans conquered Oltisi, Thortom, Najahki, Mirakhori, Akchakali and about twenty more important fortresses.’

That Oltisi is a Georgian monument can be seen with historical inscriptions made on the edifice.

In 1843 Oltisi was explored by K.Kokh (later by D.Bakradze). according to the records of the scholars inside the Oltisi castle there were different kinds of constructions. Until the beginning of the 20th c. one of the most conspicuous among the constructions was a church. It had been damaged considerably. However, Parmen Zakaraia succeeded in discerning the type of the church, and the general composition of the whole structure. The church had six apses with frescoes on the inside walls. E.Takaishvili names several compositions of the frescoes. Apart from the frescoes E. Takaishvili speaks about the lapidary inscriptions on the refectory stone. D. Kutateladze brought this stone to Tbilisi in the 20th c.. The refectory stone had the Georgian capital letter inscriptions on all the four facets. E.Takaishvili could not read out only one facet of the stone because of the serious damage. The rest of the three facets is read as follows:

“The Lord almighty, Jesus Christ, have a mercy on Gabriel, who glorified Saint George and built this church”..

“K. is created by Davit”..

“Christ, have a mercy on Gabriel”..

As it is seen from the inscription the Oltisi fortress church was built in the name of Saint George, and Gabriel was its citior.

The six apse church on the fortress territory was destroyed by the Ottomans in 1907.

I think that if the documented comprehensive information sounds redundant, at least one paragraph should be added to the Oltisi memorial plaque: “Oltisi fortress was built in the early half of the first millennium B.C. during the existence of Daiaeni, proto-Georgian state, and that Georgians possessed Oltisi for long period of history.”

The memorial plate may also have a Georgian language inscription; the more so, there is already a precedent on the information board of the Oshki church in the same region of the Republic of Turkey.

In the modern world both countries Turkey and Georgia are of the western orientation. Therefore, any attempt of re-considering of the state borders must be regarded as provocation (See the actions of the Russian empire). Nowadays only the question of cultural ancestry attracts the attention. Oltisi is a common cultural heritage for the Turkish and Georgian people. Oltisi, Bana, Ishkhani, Khandzta,... are the noble phenomena of the paragon of virtue of the two peoples. Let us not lose each other this history.

შუშანა ფუტკარაძე

მასალები სტამბოლის ქართული საგანის არქივიდან:

1. კ.გამსახურდიასა და ა.ხომბარბიას ნაწარმი "ქართულ-გერმანული ლექსიკონის" შესახებ

ჩვენი სახელოვანი წინაპრები უხსოვარი დროიდან მოყოლებული ისწრაფვოდნენ ქართველი ერის კულტურისა და განათლების მიღწევების ქვეყნის გარეთ გასატანად; ცდილობდნენ სამყაროს მოწინავე ხალხებისათვის გაეცნოთ ჩვენი ერის მონაპოვარი, შორს გაეთქვათ საქართველოს სახელი.

ღვთისა და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ჩვენი დიდი წინაპრები შინ და გარეთ, დღენიდაც არ იშურებდნენ ძალასა და სახსარს მამულის სამსახურში; მიდიოდნენ შორს მამულიშვილური საქმიანობის საწარმოებლად, განათლების მისაღებად. მაშინ უცხოეთში წასული განათლებული ქართველები სახლდებოდნენ ხოლმე მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრებში მხოლოდ იმისთვის, რომ იქ ქართული კულტურისა და განათლების კერები შეექმნათ, ქართული ეკლესია-მონასტრები დაეფუძნებინათ, უცხო ქვეყნების ხალხთა კულტურისა და განათლების მიღწევები ქართველი ერის სამსახურში ჩაეყენებინათ, ქართველი ხალხის მონაპოვარი საქვეყნოდ წარმოეჩინათ. ასეთი საქმიანობით ხდებოდა სხვადასხვა ხალხის სულიერ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლა.

დიდი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ "საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანების კულტურული მნიშვნელობა მეტად ფასეული იყო. იმ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში იქ დაუნჯებული ჰქონდა, სხვა მხრივაც გახლდათ მეტად დასაფასებელი. უცხოეთში მყოფი მონასტრების საშუალებით, საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისთვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც კი უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, საქართველოს უმაღლე სწვდებოდა ხოლმე იქ მომუშავე ქართველი მოღვაწეების - მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით (ივ. ჯავახიშვილი, 1983, გვ. 405).

საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ამგვარი დანიშნულების დაწესებულება გახლდათ ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის სავანე - წმ. მარია მღვთისმშობლის სახელობის ეკლესია-მონასტერი, ქართული სტამბითა და მდიდარი ბიბლიოთეკით. ამ სასულიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დამფუძნებელი იყო ახალციხელი მამა პეტრე ხარისჭირაშვილი. მისი თავდაუზოგავი ზრუნვის შედეგად, სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში - ფერიქოში (ანგელოზთა სოფელში)

1861 წელს აშენდა ეკლესია, დაფუძნდა დედათა და მამათა მონასტრები. 1870 წლისათვის აქ უკვე მუშაობდა ქართული სტამბა, იბეჭდებოდა ქართული წიგნები; მოგვიანებით იბეჭდებოდა ფრანგულ ენაზედაც.

სტამბოლის ქართული სავანის ეროვნულ ღვაწლზე მიგვივლით მკვლევრები და საზოგადო მოღვაწეები - მიხეილ თამარაშვილი, იტალიელი დიპლომატი, მწერალი ევგენი დალეჯიო დალესიო, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი გივი ზალდასტანიშვილი... ევგენი დალეჯიო დალესიო თავის წიგნში "ქართველები კონსტანტინეპოლში" (დაიბეჭდა ქართულად მონასტრის სტამბაში 1921 წელს. ფრანგულიდან თარგმნა მღვდელმა შალვა ვარდიძემ) წერდა: "სტამბოლის ქართული სავანის მღვდლებმა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა... მათ ეს სავანე გარდაქმნეს ეროვნულ კერად" (ე. დალეჯიო დალესიო, 1921, გვ. 30). საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლმა კომიტეტმა ამიტომაც დააჩილოვო ამ სავანის მღვდლები - შალვა ვარდიძე და პიო ბალიძე თამარ მეფის ორდენით.

გივი ზალდასტანიშვილი 1970 წელს ამერიკიდან სტამბოლში სპეციალურად ჩავიდა მონასტრის საქმიანობის გაცნობის მიზნით. ნიუ-იორკში გამოძავალ ქართულ გაზეთში - "ქართული აზრი" იგი ასე წერდა: "სტამბოლის მონასტერს - ჩვენი კულტურის სავანეს - საქართველოს მარადიულობისათვის ბრძოლაში დიდი მონაწილეობა მიუღია... თურქეთში ამგვარი ცენტრის არსებობას ჩვენი ერისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და სხვა ცენტრებთან შედარებით, უპირატესობა მიეკუთვნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი ქართული წარმოშობისაა ("ქართული გაზეთი", №85, 1970, ნიუ-იორკი). მართლაც, საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე (1861-1982 წწ.) სტამბოლის ქართული სავანის მაღლი ციურ მანანასავით ატკბობდა და სულში ეფინებოდა სამშობლოდან იძულებით გადახვეწილ, ოსმალეთის მთა-ბარს შეხიზნულ მილიონობით ქართველს. ამ სავანემ მთელი საუკუნის მანძილზე თავდადებით იღვაწა ოსმალეთში მცხოვრებ ქართველებში ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებისა და ამაღლებისათვის. პ. ხარისჭირაშვილის, ალფ. ხითარიშვილის, ანდრ. წინამძღვარიშვილის, პ. ადგულაძის დიდი მამულიშვილური საქმიანობით, სამშობლოდაკარგულ ოსმალეთში მცხოვრებ ქართველებში აღორძინდა, არ განეღრა ეროვნული სული. ამ ტაძარში გაბრწყინებული ეროვნული სულის ნაღვერდული დღესაც ღვივის მათში და ქართული ენის ფესვებს, ქართული სისხლის ყვივს აცოცხლებს დედის კალთას დანატრებულ იქაურ ქართველებში. ცნობილი მომღერალი **ბაიარ შაშინი** (გუნდარძე) ამიტომ არის ქართული სიმღერით შთაგონებული. დიდმა ანმედ მელაშვილმა, აქაური ბიბლიოთეკის წყალობით, შესწავლა საქართველოს ისტორია და თურქულ ენაზე დაწერა კიდევ შესანიშნავი წიგნი - **"გურჯისტანი"** (საქართველო). თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეულ მიწა-წყალზე მიმობნეულ ქართველებს სიზმარ-ცხადში რომ ენატრებათ საქართველო, ქართულ ენას თილისმასავით რომ ინახავენ, ამ დიდ საშვილიშვილო ეროვნულ საქმეში, სხვა მრავალ წყაროსთან ერთად, სტამბოლის ქართველთა სავანის ღვაწლიცაა ხელშესახები და სამუდამოდ

ღირსახსოვარი. ამის დასტურია სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცული თურქეთის სხვადასხვა მხარეში მცხოვრები ქართველების მიერ სავანეში მოღვაწე მღვდელ-მონაზონთა სახელზე გამოგზავნილი სამადლობელი ბარათები.

ამჯერად ჩვენი მსჯელობა შეეხება სტამბოლის ქართულ სავანის არქივში შემონახულ, დიდი ქართველი მწერლის, ქართული სიტყვის დიდოსტატის **კონსტანტინე გამსახურდიასა** და ცნობილი ბიზნესმენის (კაპიტალისტის) **აკაკი ხოშტარიას წერილებს**. არქივში დაცულია კ.გამსახურდიას ორი წერილი და აკაკი ხოშტარიას ერთი წერილი, პასუხი კ.გამსახურდიასადმი.

კონსტანტინე გამსახურდია ხშირად ყოფილა სტამბოლის ქართული სავანის სტუმარი, როგორც სტამბოლში ჩასული თითქმის ყოველი ქართველი. ევროპაში სწავლის გასაგრძელებლად მიმავალ ხელმოკლე სტუდენტ კ.გამსახურდიას რამდენჯერმე გაუთევია ღამე მონასტრის სასტუმროში თავის მეგობრებთან ერთად, რაზედაც მეტყველებს მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული შთაბეჭდილებათა წიგნი. ერთ-ერთი ჩანაწერი გაუკეთებია გერმანიაში, იტალიაში, შვეიცარიაში და ბელგიაში სწავლის გასაგრძელებლად მიმავალ ქართველ სტუდენტთა ჯგუფს. მონასტრისადმი სამადლობელ ჩანაწერს ხელს აწერენ: ფილოლოგიის დოქტორი **კ.გამსახურდია**, **ნიკო ქადაგიძე**, **ნიკოლოზ იმნაიშვილი**, **ალექსანდრე ნიკურაძე**, **გიორგი ნანეიშვილი**, **ალექსანდრე ჯანელიძე**, **აპოლონ კაკაბაძე**, **კიტა ჩხენკელი**, **ირაკლი ურუშაძე**, **მიხეილ ტატიშვილი**... სულ 25 კაცი. სტუდენტებს შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაუწერიათ 1920 წლის 6-7 იანვარს. ჩვენ მიერ სტამბოლის ქართული სავანის არქივში ნაპოვნი წერილებიც 1920 წლის 18-19 ივლისსაა დაწერილი ქ.ბერლინში.

კონსტანტინე გამსახურდიამ, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, 1911 წელს (დაიბადა 1893 წელს დაბა აბაშაში) წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია და იმავე წელს გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში. 1920 წლის 18 ივლისს აკაკი ხოშტარიასადმი მიწერილ წერილში კ.გამსახურდია წერს: "19 წლის ჭაბუკი მოვედი გერმანიაში - შავი ქვის საბჭოს 25 მანეთიან სტიპენდიით. ვსწავლობდი კონიგბერგის, ლაიპციგის, მჟუნჰენის უნივერსიტეტებში. 1919 წელს დავასრულე ბერლინის უნივერსიტეტი. იმ თავიდან იდეე ფიქრად გამიჩნდა ის აზრი, რომ მე მოწოდებული ვარ საქართველოსა და გერმანიას შორის ხიდი გაემდო. დღეს ჩემი სახელი ჯერაც არაფერს ეუბნება ქართველის გულს, რადგან 8 წლის განმავლობაში უცხოეთში ვმიმშობობდი, ვწერდი, მაგრამ გარეშე პირობების ენა რომ მკაცრია, თქვენ ჩემზე უკეთ იცით; დღემდის ვერ მოვახერხე ვერც ერთი ჩემი ნაშრომის ქართული საზოგადოების წინაშე გადაშლა-გამოცემა. ამ რვა წლის განმავლობაში ევროპაში დავწერე: 1. **გოეთეს ფაუსტის პირველი ნაწილი ლექსად**. ვერ გამოვეცი. 2. კიტა აბაშიძის თხოვნით, **თომას მანის "სიკვდილი ვენეციაში"** (რომანი). ვერ გამოვეცი; 3. ვაჟა-ფშაველას **"გველის მკამელი"** (პოემა) გერმანულად ვთარგმნე (1914-1915 წწ.). იგი დღესაც აგდია ლაიპციგში გამომცემელთან; 4. 1919 წ. დისერტაცია ბერლინის უნივერსიტეტს რომ წარვუდგინე გერმანულად: **"საქართველოს მეფის ერეკლე II-ის დრო. ისტორიული მონოგრაფია"**. ვერც ამის გამოცემა მოვახერხე; 5. **"რომში"**.

ფილოსოფიური ესაი (ტფილისშია გამომცემლთან. 1920 წ.); 6. **"უშანგ დადიანის სიჭაბუკე" I ნაწილი**, ორიგინ. **რომანი**. მანუსკრიპტი აქა მაქვს, ვერც ეს გამომიცია; 7. ახლა ვწერ ტფილისის უნივერსიტეტში საპროფესორო ეგზამენისთვის წარსადგენ შრომას **"პრობლემები ლიტერატორიული მეცნიერებისა"**, არც აქა მაქვს დიდი იმედები; 8. 1912-20 წელთა შორის **მითარგმნია ლექსები: გოეთესი, შილდერის, ლენაუს, ჰაინეს, რიკარდა ჰუნის, რიხარდ დემელის** (ნაწილი გაზეთებში გამოქვეყნდა ამ წლების განმავლობაში ("სახალხო ფურცელში", "სახალხო საქმეში", "კოლხიდაში", ყურნალებში: "პრომეთე", "ციხარტყელა" და სხვა)).

26 წლის ჭაბუკი კვამსახურდია მკითხველის წინაშე ჩანს მრავალმხრივ მოაზროვნე პიროვნებად, ენათა ურთულესი ლაბირინთების მცოდნე სიტყვის ოსტატად. თავისი ბარათით იგი მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების დღევანდელ გასაჭირსაც ეხმიანება. იგი წერს: "შრომა გერმანელებმა მასწავლეს, მაგრამ ისიც თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რომ **გონებრივი შრომა იქ ფუჭია, სადაც მეცენატი არაა. არც მიქელანჯელო, არც დავინჩი, არც გოეთე ქვეყანაზე არ იქნებოდა, რომ პაპა პიუს II, პავლე III, სიქსტუს I, ვაიმარის ჰერცოგი (გოეთეს მეცენატი) ღმერთს არ გაეჩინა**. ეს ურყევი დებულება, მთელი ისტორია ამის საბუთია. მე არ ავიწერთ იმ დიდ ფიზიკურ ტანჯვას, რომელიც დღემდის გადამხდენია. 1919 წელს უნივერსიტეტი გავათავე და იმის მაგივრად რომ ოჯახს მოვკიდებოდი და მოხუცი დედა რომ მყავს, იმისთვის მომიერა, ისევ აქ ჩამოვედი და უბრალო საელჩოს ატაშეს მცირე ჯამაგირით ისევ ვებრძვი გაჭირვებას, ვიბრძვი ჩემი სწავლის და განათლებისათვის, უმთავრესად ლექსიკონისათვის და ჩემი უკანასკნელი შრომის დასასრულებლად მოვედი ისევ ბერლინში; დალოცა ღმერთმა **ევგენი გეგეჰკორი** (მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, შ.ფ.), ეს პატარა ადგილი მომცა და შემაძლებინა აქ ვიმუშავო კიდევ. **არასოდეს ჩემი პირადი გაჭირვებით კაცი არ შემიწუნებია, არასოდეს არავისთვის არაფერი მითხოვია ჩემთვის**.

ამ ლექსიკონის საქმისთვის, **რაკი ეს დიდი ეროვნული საქმეა**, გავბედე და მოგმართეთ. თქვენ გენიალურად შენიშნეთ ინგლისელებზე ამას წინად **საელჩოში - "ისინი გზებხსა და ხიდებს რომ აშენებენ, ათასწლებზე ფიქრობენ"**. **კულტურული მუშაკიც ასე ფიქრობს. ხიდი უნდა დავდოთ გერმანიასა და საქართველოს შორის და ამ ხიდზე ათასმა თაობამ უნდა გაიაროს**".

ამ მრავალმხრივ საინტერესო წერილს კვამსახურდია წერდა იმდროინდელ სახელგანთქმულ ბიზნესმენს (კაპიტალისტს) **აკაკი ხოშტარიას**, რომელიც ცნობილი იყო თავისი ქველმოქმედებით. მისი მოღვაწეობის ამსახველი არქივის ერთი ნაწილი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში, სადაც ინახება აკ.ხოშტარიასადმი მიწერილი მადლობის ბარათები.

აკაკი ხოშტარია, როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ერთ-ერთი უმდიდრესი, უძლიერესი პიროვნება იყო, მრეწველობასაც მისდევდა და ვაჭრობასაც. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ხელმძღვანელობით შედგენილი რუკა თურქეთის რესპუბლიკის წიაღისეული სიმდიდრეების შესასწავლად. იგი უშუალოდ დაინტერესებული იყო **ლაზეთის წიაღისეულის**

შესწავლით. ამიტომ ცალკე, სპეციალურად შეადგენინა **მაფავრეს მხარის რუკა**; ამასთანავე აღწერა ამ მხარის სოფლები და მოსახლეობა. მის არქივში დაცული აღნიშნული მასალა ძვირფასი წყაროა ლაზეთის **ისტორიული გეოგრაფიისა და მოსახლეობის განსახლების შესასწავლად**.

კ. გამსახურდია წერილის დასაწყისში იძლევა ადრესატის შემზადებას თავის სასარგებლოდ და სამართლიანი სიამაყით მიმართავს მას: **"მე ვიცი, რომ თქვენ ნაპოლეონ ბონაპარტესავით არაფრით ხელში ქვეყანა დაიბყარით. ამაში მე ვხედავ ლაზური რაისის გენიალურ გონებაპანვილობის მანიფესტაციას; ვხედავდი მუდამ. ჩვენ, მეგრელები, სწორედ ამ ძველი ლაზური სისხლით განვირჩევიით დანარჩენ ქართველებისაგან. რამდენადაც მე თქვენი თანამოსიხსლე ვარ ამ მხრით, დაუტრაბახებლად შემიძლია ვთქვა, რომ დღესაც მე ამ გზაზე ვდგავარ; არაფრისაგან - ესე იგი აუტანელი პირობების წრიდან გამოსულს ის რწმენა მაქვს, რომ მე, როგორც პიროვნებას, დიდი კულტურული პრობლემების გადაჭრა მომიხდება"**.

კ. გამსახურდია აკაკი ხოშტარიას თხოვს მეცენატობას, რომ ამ მდიდარმა ქართველმა მიბაძოს მსოფლიოში სახელგანთქმულ ქველმოქმედებს და სახსრები გაიღოს ლექსიკონის სრულყოფილად მომზადება-გამოცემისათვის. **"ქართულ - გერმანულ ლექსიკონზე"** მუშაობდნენ კ.გამსახურდია და გერმანელი ენათმეცნიერი **რისნარ მეკელაინი (1880-1948)**, რომელთანაც მეგობრობდა ჩვენი მწერალი.

რ.მეკელაინი იყო ცნობილი ქართველოლოგი და სლავისტი, ნიჭიერი ლექსიკოგრაფი და ენათმეცნიერი, დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი. 1914 წლიდან მუშაობდა ბერლინის სამეფო (1919 წლიდან პრუსიის) სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. 1920 წლისთვის ის უკვე ბერლინის უნივერსიტეტის დოცენტი, რის შესახებაც წერს წერილში კ.გამსახურდია. მათ ამ დროისთვის ლექსიკონისთვის უკვე გამზადებული აქვთ 15 000 სიტყვა, ვარაუდობენ 20 000 სიტყვას: **"თუმცა ჩვენი ვარაუდი გამომცემლობის პირობასთანაც დაკავშირებულია"**, წერს მწერალი. ისინი ლექსიკონის მოსამზადებელ ხარჯებსაც ითხოვენ: **"ჩვენგან წარმოდგენილი კარტონის ნაჭრები თითქმის შემოგველია; არც მე მაქვს ამჟამად რაიმე სახსარი ქალაქისათვის და არც დოქტორ მეკელაინს. ის ჩემზე უფრო ღარიბი კაცია. მთელი დახმარება ჩვენი სახელმწიფოს მხრით დღემდის 1.500 მარკას არ აღემატება. ქართველს შეუძლია თავის საქმისათვის უსასყიდლოდ იმუშაოს, მაგრამ იმ კაცმა, რაც უნდა მეგობარიც არ უნდა იყოს, არა მგონია, რომ აწივ ისე გულდასმით იმუშაოს ამ საქმისთვის, ბოლოს ეს მის შესაძლებლობის ფარგალს აღემატება. ორ ადგილას მსახურობს, უნივერსიტეტში და სამეფო ბიბლიოთეკაში. ასე რომ მისი დრო ფრიალ შეზღუდულია.**

ბერლინში ერთმა ებრაელმა დოცენტმა რუმინულ-გერმანული ლექსიკონის შედგენა დაიწყო; ამისთვის რუმინეთის სახელმწიფომ 10.000 ფრანგული ფრანკი გადასცა მას. **ახე ეძებენ სხვა სახელმწიფოები თავიანთი კულტურის გამავრცელებლებს. ჩვენში კი კულტურული პოლიტიკა სრულიადც არ არსებობს"**.

კ. გამსახურდიას წერილები ბევრ საინტერესო საკითხს ეხება. მათ შორის საყურადღებოა ავტორის შეხედულება ლექსიკონის შედგენის პროცესზე და

შემდგენლებზე. იგი სამართლიანად წერს: "ლექსიკონი მხოლოდ ორის შეკავშირებით გამოიცემა. **ფილოლოგი და მწერალი უნდა შეკავშირდნენ, რადგან ერთი ენის კანონების მცოდნეა, მეორე ენის ბგერის, მისი მუხისიყის.** დოქტორი მეკლავინი ფილოლოგია, თქვენ უმორჩილეს მონას კანდიერება აქვს თავის თავს მწერალი უწოდოს".

აკაკი ხოშტარია საპასუხო წერილში მიესალმება "ქართულ-გერმანული ლექსიკონის" მომზადება-გამოცემის საქმეს და გამოთქვამს მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს მის გამოცემაში; ამასთანავე, მოითხოვს, რომ ეს ლექსიკონი მაშინდელი საქართველოს მთავრობის განათლების სამინისტროში იქნას წარდგენილი და მოწონებული. ამის პასუხში კ.გამსახურდია გამოხატავს თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას მაშინდელი მთავრობის განათლების სამინისტროს მიმართ. იგი წერს: "უნდა გამოგიტყდეთ, რამდენადაც მე პირადად ჩვენ მთავრობის პოლიტიკურ გეზს თანაუგრძობობ, იმდენად კრიტიკულად უტკეერი იმავე მთავრობის კულტურულ პოლიტიკის ორგანოს განათლების სამინისტროს; თქვენც დამეთანხმებით, თუ დღეს ევროპაშიაც შესაძლებელი გახდა ჟურნალისტური კარიერისაგან პოლიტიკურ სავარძლებში გადასვლა, ეს ჩვენშიაც შესაძლებელია, რადგანაც **ერის პოლიტიკურ წინამძღვრობას იმდენი სიძნელე არ უდგას წინ, რამდენადაც კულტურულს.**

ჩვენი ქვეყნის კულტურული პოლიტიკა, სამწუხაროდ, ძლიერ დაბლა დგას, ერთის მხრით იმიტომ, რომ მართლაც განათლებულთა კადრი ჩვენში ჯერ არც კი მოიპოვება, ან არა და ფრიალ მცირეერიცხოვანია. მართლაც განათლებულებს კი ჩვენში პოლიტიკური სტაჟის უქონლობით წინ ვერ წაუწევიათ. ეს ძველი ამბავია. უცხოეთიდანაც ვხედავთ, თუ რამდენი კომისია დგება ჩვენში ამ სამინისტროს გარშემო... ჩვენებურ კომისიებზე და მათ კოლექტიურ საქმიანობაზე ცოტა სკეპტიკური აზრები მაქვს. ნორმალურ პირობებში ჩვენ არაფერი გვექნებოდა ჩვენი შრომის განათლების სამინისტროსადმი წარდგენისა, მაგრამ ამ შემთხვევაში ამაზე ვადაპტირებ ვერ ვიპასუხებთ. რომ ვიცოდეთ ჩემს ნაშრომს მცოდნე ექსპერტები განიხილავდნენ, ცხადია, დათანხმებას არ დავაყოფნებ. მაგრამ როცა ვიცი, რომ **ამგვარ კომისიებში უმთავრესად ჟურნალისტებსა აქვთ ხმა და არა მეცნიერებს, აქ კი დაფიქრება დამჭირდება**".

კ. გამსახურდია თავის უკმაყოფილებას არ მალავს ქართველი გამომცემლებისა და საგამომცემლო სისტემაში და მკვიდრებული მართლწერის მიმართ. იგი წერს: "მართლწერას რაც შეეხება, მე პირველად **ნ. მარის მოწაფე ვიყავი** პეტერბურგის უნივერსიტეტში და დაახლოებით მისი მართლწერა მექნება სახელმძღვანელოდ. ხოლო ჩვენში რომ მართლწერაა გაბატონებული, მას მე არსებითად ვეწინააღმდეგები და ის მიორჩევნია სულ არ დაიბეჭდოს ლექსიკონი, ვიდრე ისეთის მართლწერით, რომელიც ამჟამად ჩვენში სუფევს"... ავტორი აკ. ხოშტარიას წერს: "ჩვენ უნდა შევთანხმდეთ იმ დებულებაზე, რომ ასეთი დიდი ლექსიკონის დაბეჭდვა მხოლოდ **ბერლინის სახელმწიფო სტამბაში შეიძლება**". იგი უკმაყოფილოა საქართველოში არსებული საგამომცემლო საქმის დაბალი დონის გამო. 1920 წელს 26 წლის ჰაბუკს უკვე აქვს გამოსაცემად გამზადებული სამეცნიერო ნაშრომებიცა და მხატვრული ნაწარმოებებიც, მაგრამ უიმედოდ აღნიშნავს: "ყველაფერი ეს ვერ გამომიცია, რადგან ჩვენ წვრილ გამომცემლებს, რომელთაც

სპეკულაციის მეტი არაფერი ესმით, კულტურული გამოცემის არა სცხიათ რა, ვერ დაველოჩე, ვერ ვთხოვე”...

1920 წლის 18 ივლისის ბარათში კვამსახურდია კიდევ ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის: “1918-19 წლებში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროპაგანდო განყოფილების დავალებით მე და დოქტ. მეკლანიმა შევადგინეთ 250 გვერდიანი წიგნი - **“გერმანული ენის გრამატიკა ქართულად”**. წიგნი სახელმწიფო სტამბაში აწყობილ იქნა. პირველი კორექტურა გავასწორეთ 1919 წლის ოქტომბერში. 8 ნოემბრის რევოლუციამ ცვლილებები გამოიწვია სამინისტროში; ახალმა მთავრობამ საჭირო ქალაქის ხარჯი არ გაიღო და ჩვენი წიგნის კორექტურა ახლაც საპროპაგანდო განყოფილების უფროსის პროფესორ **მიხეილის** განკარგულებაში იმყოფება დღესაც. ასეთი ბედი ეწია ჩვენს პირველ შრომას”.

1920 წლის 19 ივლისის ბარათში კ. კვამსახურდია საუბრობს საქართველოში ყურნალ “პრომეთეს” გამოცემის დროს შექმნილ სიძნელებზე: “ქართველი ამწყობი გერმანულ ლეტებს ვერ აწყობს, ეს გამოცდილებიდან დავიანახე 1917 წელს, როცა ტფილისში ყურნალ “პრომეთეს” ვკემდით მე და პროფ. **აკაკი შანიძე**”. როგორც ვხედავთ, დიდი მწერალი მეგობრობდა როგორც ქართველ ისე, გერმანელ დიდ ენათმეცნიერებთან - **აკაკი შანიძესთან** და **რიხარდ მეკლანთან**.

წერილების მიხედვით ჩანს, რომ ამ ორ პიროვნებას კვამსახურდიასა და რ.მეკლანის იმედი აქვთ აკ.ხომტარიას დახმარებისა, რადგან დარწმუნებულნი არიან მის ჰუმანიზმსა და ქველმოქმედებაში. ამიტომაც წერენ: “წუხელ გადავწყვიტეთ, ლექსიკონი აუცილებლად თქვენ სახელს უნდა ატარებდეს... გვერწმუნეთ, ჩვენი ნაშრომი თქვენს დიდ სახელს არ დასძრახავს. **მომავალი თაობანი გაივლიან ამ ხიდზე და ქართველი ერი გეტყვის თქვენ შალღობას**. წუხელ არც დოქტორ მეკლანის, არც მე არ გვძინებია: ორთავემ ვთქვით: “ლექსიკონის ბედი აწი თქვენ ხელშია”. თქვენ იცით, ჩვენ თავი არ დაგვიზოგავს და მომავალშიაც სრულიად უანგაროთ ვიმუშავებთ ამ დიდ საქმისთვის”.

მართლაც, 1922 წელს ბერლინში დაიბეჭდა “გერმანული ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის”, მეორედ დაიბეჭდა 1931 წელს. “ქართულ-გერმანული ლექსიკონი” კი დაიბეჭდა ბერლინში 1928 წელს. ამ წიგნების გამოცემა გერმანიაში, ალბათ, განახორციელა აკაკი ხომტარიამ, რადგან 1920 წლის 19 ივლისის წერილში ოგი წერდა: “ჩემი პირადი ეკონომიური დამოკიდებულება დასავლეთ ევროპის სხვადასხვა დიდ სახელმწიფოებთან მაიძულებს უფრო ფართო ნიადაგზე დაესვა საკითხი ჩემი შემწეობისა ლექსიკონების გამოცემაში”. როგორც ირკვევა, რ.მეკლანიმა მომდევნო წლებშიც განაგრძო ლექსიკოგრაფიული მუშაობა და “ქართულ-გერმანული ლექსიკონის” საფუძვლებზე შექმნა “გერმანულ-ქართული ლექსიკონი”, რომლის პირველი ნაწილი დაიბეჭდა ბერლინში 1937 წელს, ხოლო მეორე ნაწილი - ლაიფციგში 1943 წელს. ამ ლექსიკონის გამოქვეყნებით უსათუოდ დაინტერესებული იქნებოდა გერმანიის მთავრობა, რადგან მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის მხარეზე იბრძოდა ემიგრანტ ქართველთა ბატალიონები. ასეთი ლექსიკონი საურთიერთოდ იყო საჭირო.

კონსტანტინე კვამსახურდიასა და რიხარდ მეკლანის მეგობრობამ ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობა საკმაოდ გააუმჯობესა. რ.მეკლანიმა

ქართველ ჭაბუკში შეიცნო ერთგული მეგობარი და მომავალი დიდი პიროვნება; ამიტომაც შეიყვარა თავისი მეგობრის ენა და კულტურა; ათეული წლების მანძილზე იგი ემსახურებოდა ქართველი ხალხის ისტორიის, ენის, კულტურის პოპულარიზაციის საქმეს ევროპაში. მართლაც, 1922 წელს, რ. მეკელიანის ინიციატივით, ბერლინში შეიქმნა "რუსთაველის საზოგადოება". ამავე წელს მანვე დააარსა ჟურნალი "მორგენლანდი" (ხვალინდელი ქვეყანა), რომლის პირველი ნომერი მთლიანად საქართველოსა და კავკასიას მიეძღვნა. მისივე თაოსნობით, ბერლინში შეიქმნა გამომცემლობა "ახლო აღმოსავლეთი", რომელშიც იბეჭდებოდა ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობის ამსახველი მასალები. მანვე 1919 წელს ბერლინში გამოსცა წიგნი "ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში და პრუსიის სამეფო ბიბლიოთეკის წიგნსაცვებში არსებული ქართული გრამატიკებისა და ლექსიკონების ბიბლიოგრაფია".

დასანანია, რომ დღემდე სრულყოფილად არაა შესწავლილი მეოცე საუკუნის ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატის, ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსის კონსტანტინე კვამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მასზე მოცემულია გ.კანკავას მეტად გულდასაწყვეტი, უღიმიამო სტატია. ამავე ენციკლოპედიაში მეკელიანის სტატიაში საერთოდ არაა ნახსენები დიდი მწერლის ღვაწლი გერმანელი ენათმეცნიერისა და ლექსიკოგრაფის ქართველოლოგიური ნაშრომების შექმნასთან დაკავშირებით.

სტამბოლის ქართული სავანის არქივში შემონახული, ჩვენ მიერ განხილული წერილები წარმოადგენს მნიშვნელოვან ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულების მქონე წყაროს. ისინი ამდიდრებენ ორი დიდი ქართველის - კონსტანტინე კვამსახურდიასა და აკაკი ხოშტარიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდებს, წარმოაჩენენ ქართული ენათმეცნიერების, ლექსიკოგრაფიის, ლიტერატურთმცოდნეობის წინაშე ამ ორი პიროვნების მიერ გაწეულ დღემდე უცნობ ღვაწლსა და ამავს; საშობლოს სამსახურის მაგალითს აძლევენ მომავალ თაობებს, განსაკუთრებით კი საზღვარგარეთის ქვეყნებში სასწავლებლად გახიზნულ ქართველ ახალგაზრდობას.

დასასრულს კი დიდი მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ ჩვენი დიდი წინაპარი ახალციხელი მამა პეტრე ხარისჭირაშვილი, სტამბოლის ქართული სავანის დამფუძნებელი. მადლობა უნდა მოვახსენოთ სტამბოლის ქართული სავანის დღევანდელ მოამაგეს, დიდ ბიზნესმენსა და ქველმოქმედს, საქართველოს საპატრიო მოქალაქეს, ღირსების ორდენის მფლობელს ბატონ სიმონ ზაზაძეს, მის შვილს ბატონ პავლე ზაზაძეს, ვისი ძალისხმევითაც საიმედოდ არის დაცული და შენახული მდიდარი ბიბლიოთეკა და საინტერესო არქივი, რომელიც, ღვთის შეწევნით, მომავალი წლიდან ოფიციალურად გაიხსნება და ყველასათვის იქნება ხელმისაწვდომი. იგი მართლაც იქნება ხიდი ორ მეზობელ ქვეყანას - საქართველოსა და თურქეთს შორის და როგორც ბრძანებდა ხალხთა შორის კულტურული კავშირების ხიდების შესახებ დიდი კონსტანტინე გამსახურდია: "მომავალი თაობანი გაივლიან ამ ხიდზე და ქართველი ერი ეტყვის მადლობას" ბატონ სიმონ ზაზაძეს იმ ღვაწლისთვის, რაც მის ოჯახს, მის მამას - პავლე ზაზაძეს და რაც პირადად მას გაუწევია ამ სავანის შენარჩუნებისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. ამ სავანის არქივის საქალაქეობაში დაუნჯებული ფერწასული ქაღალდები მომავალშიც წარმოაჩენენ ჩვენი დიდი წინაპრების მიერ საშობლოს საკეთილდღეოდ გაწეულ ამავს და გაამდიდრებენ ქართული კულტურის ისტორიას.

დამოწმებული ლიტერატურა

დ. ბენაშვილი, 1962 - დ. ბენაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, თბ., 1962.

ევგენი დალეჯიო დალესიო, 1921 - ევგენი დალეჯიო დალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, თარგმანი ფრანგულიდან პ. შალვა ვარდიძისა, სტამბოლი, საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა საგანისა, 1921.

მ. თამარაშვილი, 1902 - მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თ., 1902.

სტამბოლის ქართული საგანის არქივი, საქმე-15.

შ. ფუტყარაძე, 2007 - შ. ფუტყარაძე, სტამბოლის ქართული საგანე, ქართველური მემკვიდრეობა, XI, ეძღვნება სტამბოლის ქართულ საგანეში პირველი წიგნის გამოცემიდან 130 წლისთავს, ქუთაისი, 2007.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ, თბილისი, 1981.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბ., 1983.

ივ. ჯავახიშვილი, 1983 - ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983.

გაზეთი "ქართული აზრი", №85, ნოე-იორკი, 1970.

SHUSHANA PUTKARADZE

MATERIALS FROM THE ISTANBUL GEORGIAN CLOISTER

K. Gamsakhurdia and Ak. Khoshtaria's correspondences about the
"Georgian-German Dictionary"

From time immemorial our eminent ancestors aspired to make known the culture and education of our country to the overseas. They made efforts to export the achievements of the Georgian nation to the advanced countries. For centuries educated Georgians emigrated and settled in the focal points of the world civilization and established centers of the Georgian culture and education. They built churches and monasteries and adopted the advance achievements of the host countries and brought them to Georgia, being constantly engaged in the activities of publicizing the achievements of the Georgian people and exchanging spiritual values.

More than a century period (1861-1982) the Istanbul Cloister of the Georgian Catholics with its Saint Mary Monastery, Georgian printing-press and a library and an invaluable archive. served the longstanding traditions and purposes.

The archive has, unknown to these days or little known, historical sources that are truly valuable for the country's history. This paper discusses the correspondences between Konstantine Gamsakhurdia and Akaki Khoshtaria preserved in the archive telling about the problems related to the publishing of the "German-Georgian Dictionary".

In the year 1920 Konstantine Gamsakhurdia, an eminent Georgian writer, was a 26 year old young man, already a graduate of the Berlin University, who had learnt many language and become a great master of the verbal art.

The ideas about the works of scientists and the man of arts conveyed in his letters resonates even the problems of our modern times. He writes: "Mental work is of no use where there is no patron. Neither Michael Angelo, nor Leonardo da Vinci, nor Goethe would be in this world if God had not sent to them Pope Pius II, Paul III, Sixtus I, Duke of Weimar, this is a strict statement. The whole history confirms it with evidences." Gamsakhurdia asks Akaki Khoshtaria, a famous capitalist of the period, to finance the publishing of "the German-Georgian Dictionary". The author is fully aware of the importance of this book. He knows that the German language readers will get acquainted with the rich vocabulary of the Georgian language and on the other hand the book will facilitate the Georgian reader to come closer to one of the most important languages of the western culture. The author writes: "this book will be a bridge between Georgia and Germany, which will be crossed by many generations."

"Georgian-German Dictionary" had been completed by 1920 by the joint work of Konstantine Gamsakhurdia and Richard Mekeleine, a German linguist to whom the Georgian writer had developed friendship.

R. Mekeleine was a famous Kartvelologist and Slavist, a great lexicographer and linguist. He worked at Berlin Royal (Prussian, since 1919) library and at the Berlin University. In his letter K. Gamsakhurdia writes about the theoretical and

practical issues related to the compilation of the Dictionary. He writes that “the art of compiling the dictionary is effective when there is a joint work of a philologist and a writer, as the former knows the rules of the language and the latter sounds and music of the language. Doctor Makeleine is a philologist, and I, your most humble servant, have the claim to refer myself – a writer.”

In the letter dated July 18, 1920 Gamsakhurdia provides some more interesting information. During 1918-1919 R. Makeleine and K. Gamsakhurdia wrote “a Grammar of the German Language in Georgian”.

The friendship of Konstantine Gamsakhurdia and Richard Mekeleine served to contribute considerably to Georgian and German cultural relationships. R. Makeleine saw in Gamsakhurdia a faithful friend and a promising great man. That is why the German scholar became interested in the Georgian Language and culture; for many decades Makeleine studied, language and the history of Georgia and did his best to make them known in Europe. In 1922 by the efforts of R. Makeleine “Rustaveli Society” was established in Berlin. In the same year he established a journal “Morgenland”, the first number of which was completely dedicated to Georgian and the Caucasus. Makeleine established “Near East” a publishing house in Berlin that published materials featuring the Georgian and German relationships.

In 1919 in Berlin R. Makeleine published a book “The Bibliography of Georgian Grammar books and Dictionaries Preserved in the Berlin State Library and the Prussia Royal Book Depository.” By the financial aid of Akaki Khoshtaria” the Georgian-German dictionary was published in Berlin in 1928 on the basis of which Makeleine compiled the “German-Georgian Dictionary” in 1937-1943.

The letters of the Istanbul Georgian cloister archives I discuss here present an important source of the historical and literature values. They fill up the gaps of episodes of the lives of Konstantine Gamsakhurdia and Akaki Khoshtaria, the great men of Georgia, and visualize the contributions of these two men to linguistics, lexicography and literary studies. They provide examples of duties before the homeland to the future generation, particularly to those who go abroad to get education and broaden and their visions.

Last but not least, I would like to express my gratitude to Father Petre Kharischirashvili, our great ancestor, for the establishment of the Istanbul Georgian Cloister and to Simon Zazadze, the present patron of the Istanbul Georgian Cloister, a businessman and philanthropist, an honorary citizen decorated with an order of honors and his son Pavle Zazadze

My thanks to the authorities of the Republic of the Turkey who grant the safe preservation of the library and archive created by the religions men of Georgia.

დანართი

ბერლინი, 1920 წ. ივლისის 18-ს

ბატონო აკაკი! მე ვიცი, რომ თქვენ ნაპოლეონ ბონოპარტესავით არაფრით ხელში ქვეყანა დაიპყართ. ამაში მე ვხედავ ლაზური რასის გენიალურ გონებამახვილობის მანიფესტაციას, ვხედავდი მულამ. ჩვენ - მეგრელები სწორედ ამ ძველი ლაზური სისხლით განვიჩქვეით დანარჩენ ქართველებსაგან. რამდენადაც მე თქვენი თანამოსისხლე ვარ ამ მხრით დაუტრაბახებლად შემიძლია ვთქვა, რომ დღესაც მე ამ გზაზე ვდგავარ, არაფრისაგან - ესე იგი აუტანელი პირობების წრიდან გამოსულს ის რწმენა მაქვს, რომ მე, როგორც პიროვნებას, დიდი კულტურული პრობლემების გადაჭრა მომიხდება.

19 წლის ჭაბუკი მოვედი გერმანიაში - შავი ქვის საბჭოს 25 მანეთიან სტიპენდიით ვსწავლობდი კონიგბერგის, ლაიპციგის, მიუნჰენის უნივერსიტეტებში. 1919 წელს დავასრულე ბერლინის უნივერსიტეტი. იმ თავიდან კიდევ ფიქრად შემეჩინდა ის აზრი, რომ მე მოწოდებული ვარ საქართველოს და გერმანიას შორის ხიდი გავლო. დღეს ჩემი სახელი ჭერაც არაფერს ეუბნება ქართველის გულს, რადგან 8 წლის განმავლობაში უცხოეთში ვმომშობობდი, ვსწავლობდი, ვწერდი, მაგრამ გარეშე პირობების ენა რომ მკაცრია, თქვენ ჩემზე უკეთ იცით, დღემდის ვერ მოვახერხე ვერც ერთი ჩემი ნაშრომის ქართული საზოგადოების წინაშე გადაშლა-გამოცემა. ამ რვა წლის განმავლობაში ევროპაში დავწერე:

1. გოეთეს ფაუსტის პირველი ნაწილი ლექსად. ვერ გამოვეცი.
2. კიტაბაშიძის თხოვნით, თომას მანის სიკვდილიწვეთიაში (რომანი). ვერ გამოვეცი.
3. ვაჟა-ფშაველას “გველის მჭამელი” (პოემა). გერმანულად ვთარგმნე (1914-1915 წ.წ.). იგი დღესაც აგდია ლაიპციგში გამომცემელთან.

4. 1919 წ. დისერტაცია ბერლინის უნივერსიტეტს რომ წარვუდგინე გერმანულად: “საქართველოს მეფის ერეკლე II-ის დრო. ისტორიული მონოგრაფია”. ვერც ამის გამოცემა მოვახერხე.

5. “რომში”. ფილოსოფიური ესაი (ტფილისშია გამომცემელთან. 1920 წ.,

6. “უშანგ დადიანის სიჭაბუკე” I ნაწილი, ორიგინ. რომანი. მანუსკრიპტი აქა მაქვს, ვერც ეს გამოიცია.

7. ახლა ვწერ ტფილისის უნივერსიტეტში საპროფესორო ეგზამენისთვის წარსადგენ შრომას “პრობლემები ლიტერარისტორიული მეცნიერებისა”, არც აქა მაქვს დიდი იმედები.

8. 1912-1920 წელთა შორის მითარგმნია ლექსები: გოეთესი, შილლერის, ლენაუს, ჰაინეს, რიკარდა ჰუხის, რიხარდ დემელის (ნაწილი გაზეთებში გამოქვეყნდა ამ წლების განმავლობაში (“სახალხო ფურცელში”, “სახალხო საქმეში”, “კოლხიდაში”, ჟურნალებში: “პრომეთე”, “ცისარტყელა” და სხვა).

ყველაფერი ეს ვერ გამოიცია, რადგან ჩვენ წვრილ გამომცემლებს, რომელთაც სპეკულაციის მეტი არაფერი ესმით, კულტურული გამოცემის არა სცხიათ რა, ვერ დავედრიე, ვერ ვთხოვე.

შრომა გერმანელებმა მასწავლეს, მაგრამ თქვენ ისიც ჩემზე უკეთ იცით, რომ გონებრივი შრომა იქ ფუჭია, სადაც მეცენატი არაა. არც მიქლანჯელო,

არც დავინჩი, არც გოეთე ქვეყანაზე არ იქნებოდა, რომ პაპა პიუს II, პავლე III, სიქსტუს I, ვიძარის პერცოვი (გოეთეს მეცენატი) ღმერთს არ გაეჩინა. ეს ურყევი დებულებაა, მთელი ისტორია ამის საბუთია.

მე არ ავიწერთ იმ დიდ ფიზიკურ ტანჯვას, რომელიც დღემდის გადამხდენია. 1919 წელს უნივერსიტეტი გვათავებ და იმის მაგივრად რომ ოჯახს მოვკიდებოდი და მოხუცი დედა რომ მყავს, იმისთვის მომეარა, ისევ აქ ჩამოვედი და უბრალო საელჩოს ატაშეს მცირე ჯამაგირით ისევ ვებრძვი გავჭირვებას, ვიბრძვი ჩემი სწავლის და განათლებისათვის, უმთავრესად ლექსიკონისათვის და ჩემი უკანასკნელი შრომის დასასრულებლად მოვედი ისევ ბერლინში. დალოცა ღმერთმა ევგენი გეგეჰკორი, ეს პატარა ადგილი მომცა და შემადლებინა აქ ვიმუშავო კიდევ. არასოდეს ჩემი პირადი გავჭირვებით კაცი არ შემეწუხებია, არასოდეს არავისთვის არაფერი მომიტხოვია ჩემთვის.

ამ ლექსიკონის საქმისთვის, რაკი ეს დიდი ეროვნული საქმეა, გავბედე და მოგმართეთ. თქვენ გენიალურად შენიშნეთ ინგლისელებზე ამას წინად საელჩოში: “ისინი ვზებსა და ხიდებს რომ აშენებენ, ათასწლებზე ფიქრობენ”. კულტურული მუშაკიც ასე ფიქრობს. ხიდი უნდა დავდოთ გერმანიასა და საქართველოს შორის და ამ ხიდზე ათასმა თაობამ უნდა გაიაროს. მე ვიცი, თქვენ ფაქტების ადამიანი ხართ. დღეს კი, სამწუხაროდ, უქეიფობის მიზეზით ვერ მიგვიღეთ, მოკლედ მოგახსენებთ ჩვენ მეთოდზე:

1. ჩვენს მეთოდი ისტორიულია. რადგანაც ჯერ ქართული აკადემიური მართლწერა არ არსებობს, ლექსიკონი უნდა ავაგოთ ისე, როგორც სიტყვები უწერიათ ქართული ლიტერატურული ძეგლების ავტორებს.

2. რა ელემენტები ავიღეთ? დაბადება, სახარება, ვეფხისტყაოსანი, ოდების მწერალნი (პროფ. მარის გამოკვლევების მიხედვით), შაჰნამე (იუსტ. აბულაძის გამოცემა), ვახუშტის “გეოგრაფია”, ბესიკის, დგურამიშვილის, თეიმურაზის, ილიას, აკაკის ნაწერები. შემდეგ ქართულ სიტყვებთან ერთად იქნება დიალექტის სიტყვები, უმთავრესად მეგრული. ხელში გვაქვს ლექსიკონები: საბა ორბელიანისა, ჩუბინაშვილის, რაფიელ ერისთავის “ბოტანიკური ლექსიკონი”.

3. ყოველ სიტყვას ნაჩვენები ექნება წყარო, საიდანაც ამოღებულია.

4. ლექსიკონი მხოლოდ ორის შეკავშირებით გამოიცემა. ფილოლოგი და მწერალი უნდა შეკავშირდნენ, რადგან ერთი ენისა კანონების მცოდნეა, მეორე - ენის ბგერის, მისი მუსიკის. დოქტორი მეკელანის ფილოლოგია; თქვენს უმორჩილეს მონას კადნიერება აქვს თავის თავს მწერალი უწოდოს.

5. რაც თქვენ მოგოტანეთ, ის ჯერ გასწორებული არაა, დაუსრულებელი ნამუშევარი, ჩემის აზრით, სხვას არ უნდა აჩვენო, მაგრამ ჩვენ გვინდოდა, რომ თქვენ ჩვენ მუშაობის დროს წავგვდგომოდით თავს. ჯერ ჩვენ კომპოზიციისთვის არ მოგვიცლია. ჯერ საძირკველი ჩაყარეთ. როცა გამოცემის იმედი გვექნება, პირველ სამ თვეში ასო “ა“-ს მზად მზარეულს მივცემთ სტამბაში. ლექსიკონები ნაწილ-ნაწილად იცემა (გერმ. *Lieferungsweise*).

6. ჩვენ გავკადნიერდებით და მოგახსენებთ: წუხელ გადავწყვიტეთ, ლექსიკონი აუცილებლად თქვენ სახელს უნდა ატარებდეს. რაც მოგიტანეთ, ეს ნაწილია მხოლოდ.

გვერწმუნეთ, ჩვენს ნაშრომი თქვენს დიდ სახელს არ დასძრახავს. მომავალი თაობანი გაივლიან ამ ხიდზე და ქართველი ერი გეტყვის თქვენ მადლობას.

წუხელ არც დოქტორ მეკელანის, არც მე არ გვძინებია: ორთავემ ვთქვით: “ლექსიკონის ბედი აწი თქვენ ხელშია”.

თქვენ იცით, ჩვენ თავი არ დავვიზოგავს და მომავალშიაც სრულიად უნაგაროთ ვიმუშავებთ ამ დიდ საქმისთვის.

მიიღეთ ჩვენი უღრმესი პატივისცემა

კ.გამსახურდია

P.S. 1918-19 წლებში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროპაგანდო განყოფილების დავალებით მე და ლოქტორ მეკელაინმა შევადგინეთ 250 გვერდიანი წიგნი - "გერმანული ენის გრამატიკა" ქართულად. წიგნი სახელმწიფო სტამბაში აწყობილ იქნა. პირველი კორექტურა გავასწორეთ 1919 წლის ოქტომბერში. 8 ნოემბრის რევოლუციამ ცვლილებები გამოიწვია სამინისტროში. ახალმა მთავრობამ საჭირო ქაღალდის ხარჯი არ გაიღო და ჩვენი წიგნის კორექტურა ახლაც საპროპაგანდო განყოფილების - "Nachrichten stelle für orient 19" უფროს პროფესორ მიტვოხის განკარგულებაში იმყოფება დღესაც. ასეთი ბედია ეწვია ჩვენს პირველ შრომას.

კ.გ.

Berlin, Le 19 juillet-1920

ბატონს კონსტანტინე გამსახურდიას.

ბატონო კონსტანტინე,

თქვენი გუშინდელი წერილის საპასუხოდ მოგახსენებთ, რომ დიდ პატივსაც ვსცემ იმ ინიციატივას, რომელიც გამოგიჩენიათ და იჩენთ კიდევ თქვენ და ბატონი მეკელაინ ქართულ-გერმანული ლექსიკონის შედგენის საქმეში. მწამს, რომ ამისთანა კერძო ინიციატივის მეოხებით სხვადასხვა დარგში შესაძლებელია საერთო მუშაობა, რომელიც აღორძინების გზაზე დააყენებს ჩვენს ქვეყანას.

ლექსიკონის გამოცემის შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი ორი ჩემი მოსაზრება:

1. საერთო მოქმედებაში, რომელიც მიმართულია საქართველოს აღორძინებისაკენ, საჭიროდ მიმაჩნია ერთნაირი სისტემა: პირველად მივაქციოთ ყურადღება იმას, რაც აუცილებლად დღესვე ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას. ეს არის მისი მეურნეობის და მრეწველობის აღორძინება. საჭიროა მაშინების ბლომად შექმნა. მხოლოდ ეკონომიურ სიმაგრეზე აშენდება საქართველოს კულტურული ძლიერება.

2. საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა და ჩემი პირადი ეკონომიური დამოკიდებულება დასავლეთ ევროპის სხვადასხვა დიდ სახელმწიფოებთან, მაიძულებს უფრო ფართო ნიადაგზე დავსვა საკითხი ჩემი შემწეობისა ლექსიკონის გამოცემაში: ლექსიკონი უნდა გამოიცეს არა მარტო ქართულ-გერმანულის, არამედ ქართულ-ინგლისურის, ქართულ-ფრანგულის, ქართულ-იტალიანურისა.

ამის გამო მე შემიძლია ქართულ-გერმანული დიდი ლექსიკონის გამოცემის საქმეს შევხედო მხოლოდ იმ თვლით, რა თვლითაც ამას შეხედავს ჩვენი მთავრობა.

მზად ვარ ფართე მატერიალური მონაწილეობა მივიღო თქვენ მიერ შედგენილი ლექსიკონის გამოცემაში, როდესაც ეს ლექსიკონი მოწონებული და მიღებული იქნება ჩვენი საერო განათლების სამინისტროს მიერ და ჩვენი მთავრობა დროის შესაფერად დაინახავს მის გამოცემას და მიმართავს ამის შესახებ კერძო ინიციატივას.

ყოველ შემთხვევაში მომავლისათვის მე მაინტერესებს ამ საქმეში ორი საკითხი: რამდენ სიტყვას შეიცავს თქვენი ქართულ-გერმანული ლექსიკონი და დაახლოებით რა დაჯდება მისი გამოქვეყნება.

ინებეთ მიიღოთ, ბატონო კონსტანტინე, თქვენ და ბატონმა მეკელიანმა, ჩემი სალამი და გულწრფელი მადლობა.

(ეს არის აკაკი ხოშტარიას საპასუხო ბარათის შავი პირი, დაცული მის არქივში. ტექსტი ალბათ დაიბეჭდებოდა და დაბეჭდილ ტექსტზე მოაწერდა ხელს. ამ პირზე ავტორის ხელწერაა, მაგრამ ბარათი დაწერილია აკაკი ხოშტარიას სატიტულო ფურცელზე - A.M. KHOCHTARIA

ივლისის 19-ს. 1920 წ.
ბერლინი.

დიდად პატივცემულო ბატონო აკაკი!

უწინარეს ყოვლისა გულითად მადლობას მოგახსენებთ თქვენი გულწრფელი წერილით გამხნეებისათვის.

რადცა შეეხება ლექსიკონს, აქ შემდეგ გარემოებაზე უნდა მივაქციოთ თქვენი ძვირფასი ყურადღება. ვიდრემდის საქართველოში ჩავიდოდი შარშან, მეც ვფიქრობდეთ განათლების სამინისტროსათვის მიმემართა, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რამდენადაც მე პირადად ჩვენი მთავრობის პოლიტიკურ გეზს თანაუგრძნობ, იმდენად კრიტიკულად უცქერი იმავე მთავრობის კულტურული პოლიტიკის ორგანოს - განათლების სამინისტროს; თქვენც დამეთანხმებით, თუ დღეს ევროპაშიაც შესაძლებელი გახდა ჟურნალისტური კარიერისაგან პოლიტიკურ სავარძლებში გადასვლა, ეს ჩვენშიაც შესაძლებელია, რადგანაც ერის პოლიტიკურ წინამძღვრობას იმდენი სიძნელე არ უდგას წინ, რამდენადაც კულტურულს.

ჩვენი ქვეყნის კულტურული პოლიტიკა, სამწუხაროდ, ძლიერ დაბლა დგას ერთის მხრით, იმიტომ, რომ მართლაც განათლებულთა კადრი ჩვენში ჯერ არც კი მოიპოვება, ან არა და ფრიად მცირერიცხოვანია. მართლაც, განათლებულებს კი ჩვენში პოლიტიკური სტაჟის უქონლობით წინ ვერ წაუწვიათ. ეს ძველი ამბავია. უცხოეთიდანაც ვხედავ, თუ რამდენი კომისია დგება ჩვენში ამ სამინისტროს გარშემო, მაგრამ ყველაზე ნაკლებად ქართველ კაცს ემარჯვება კოლექტიური მუშაობა. ეს ვიცი და ამიტომაც ჩვენებურ კომისიებზე და მათ კოლექტიურ საქმიანობაზე ცოტა სკეპტიკური აზრები მაქვს.

ნორმალურ პირობებში ჩვენ არაფერი გვექნებოდა საწინააღმდეგო ჩვენი შრომის განათლების სამინისტროსადმი წარდგენისა, მაგრამ ამ შემთხვევაში ამაზე გადაჭრით ვერ გიპასუხებთ. რომ ვიცოდეთ ჩემ შრომას მცოდნე ექსპერტები განიხილავდნენ, ცხადია, დთანხმებას არ დავაყოვნებ, მაგრამ როცა ვიცი, რომ ამგვარ კომისიებში უმთავრესად ჟურნალისტებსა აქვთ ხმა და არა მეცნიერებს, აქ კი დაფიქრება დამჭირდება. პრინციპიალურადაც რომ მოგხსნათ ასეთი საკითხი, მე ვფიქრობ ამ შრომის სამინისტროსადმი წარდგენა ტენიკურად შეუძლებელია. ჩვენ უნდა შევთანხმდეთ იმ დებულებაზე, რომ ასეთი დიდი ლექსიკონის დაბეჭდვა მხოლოდ ბერლინის სახელმწიფო სტამბაში შეიძლება, სადაც გერმანული ტიპებიც არის და ქართულიც. გარდა ამისა, ქართველი ამწყობი ლეტებს ვერ ააწყობენ. ეს გამოცდილებიდან დავინახე 1917 წელს, როცა ტფილისში ჟურნალ “პრომეთეს” ვცემდით მე და აკაკი შანიძე.

სადაც ლექსიკონი დაიბეჭდება, იქ უნდა ვიყოთ, როგორც მე, ისე დოქტორი მეკელიან. ჩვენი აქედან წასვლა არც ისე ადვილია; მე აქ სააბილიტაციო შრომას ვწერ, ის უნივერსიტეტის დოცენტია. გარდა ამისა, მე აქ სამსახურიც მაქვს.

გავზავნით, ჩვენ ვერ გავიმეტებთ ამდენი ხნის შრომას საქართველოში გასაგზავნად, რადგან ვიცით, ან გზაში დაიკარგება იგი, ან არა და შეიძლება ტფილისშიაც დაიკარგოს ნაწილი ხელიდან ხელზე სიარულის დროს.

სხვა მხრით არც მე და არც მეკელიანი რაიმე კონკურენციას, ან კრიტიკას არ გავუქცევით. შეიძლება დეფექტები აღმოაჩინონ სპეციალისტებმა ჩვენს შრომაში, მას შემდეგ რაც იგი უკანასკნელად გასწორდება, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ ასეთი შრომის კარდინალურად უარყოფა შეუძლებელი იქნება.

მართლწერას რაც შეეხება, მე პირველად მარის მოწაფე ვიყავი პეტერბურგის უნივერსიტეტში და დაახლოებით მისი მართლწერა მექნება სახელმძღვანელოდ. ხოლო ჩვენში რომ მართლწერაა გაბატონებული, მას მე არსებითად ვეწინააღმდეგები და ის მირჩევნია სულ არ დაიბეჭდოს ლექსიკონი, ვიდრე ისეთის მართლწერით - რომელიც ამჟამად ჩვენში სუფევს. ამის გამო მე უკანასკნელ ხანში სრულიად გავუბრძი ჩვენს პერიოდულ გამოცემებში თანამშრომლობას; რადგა შეეხება თქვენს ორ უკანასკნელ შეკითხვას: ა) რამდენი სიტყვა იქნება ლექსიკონში? მოგვხსენებთ, რომ ლექსიკონის დასრულებამდე საუკუნეშიც არ მოხერხდება. ჩვენ ახლა გვაქვს 15 000 სიტყვა; ხოლო ვარაუდობთ 20 000 სიტყვას, თუმცა ჩვენი ვარაუდი გამომცემლობის პირობასთანაც დაკავშირებულია.

ბოლოს, დღეს დილით გამომცემელთან ვიყავით, დაახლოებით ხარჯთაღრიცხვას გამოვიგზავნით ამ სამიოდე დღის განმავლობაში.

გარდა გამოცემის ხარჯებისა წინასწარი ხარჯებიც არის. ჩვენგან წარმოდგინილი კარტონის ნაჭრები თითქმის შემოგველია; არც მე მაქვს ამჟამად რაიმე სახსარი ქალაქისათვის და არც დოქტორ მეკელიანს. ის ჩემზე უფრო ღარიბი კაცია. მთელი დახმარება ჩვენი სახელმწიფოს მხრით დღემდის 1.500 მარკას არ აღემატება. ქართველს შეუძლია თავის სექსისათვის უსასყიდლოდ იმუშაოს, მაგრამ იმ კაცმა, რაც უნდა მეგობარიც არ უნდა იყოს, არა მგონია, რომ აწიცი ისე გულდასმით იმუშაოს ამ საქმისთვის, ბოლოს ეს მისი შესაძლებლობის ფარგალს აღემატება. ბატონი მეკელიანი ორ ადგილას მსახურობს - უნივერსიტეტში და სამეფო ბიბლიოთეკაში. ასე რომ მისი დრო ფრიად შეზღუდულია.

ბერლინში ერთმა ებრაელმა დოცენტმა რუმინულ-გერმანული ლექსიკონის შედგენა დაიწყო; ამისთვის რუმინეთის სახელმთფომ 10 000 ფრანგული ფრანკი გადასცა მას; ასე ეძებენ სხვა სახელმწიფოები თავიანთი კულტურის გამავრცელებლეს. ჩვენში კი კულტურული პოლიტიკა სრულიადაც არ არსებობს.

ჩემი მცირე გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ კერძო ინიციატივას გაცილებით მეტი პოტენციალური ძალა აქვს, ვიდრე სახელმწიფოს.

ეს გახლავთ ჩემი პასუხი.

გთხოვთ მაპატიოთ, რომ ამდენი დრო წაგართვით.

მარად თქვენი პატივისმცემელი დავშთები

გიორგი ქავთარაძე

"არიან-ქართლი" – მიტი თუ რეალობა?

ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართველთა პირველსაცხოვრისის — არიან-ქართლის — საკითხის მსგავსად, რომანტიკული შარავანდელით ალბათ არც ერთი სხვა საკითხი არ არის მოხილი. ცნობა ქართველთა თავდაპირველი სამშობლოს „არიან-ქართლის“ შესახებ უძველეს ქართულ მატრიანეს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შემოუნახავს. ამ ცნობის მიხედვით, ქართლში გამოლაშქრებულმა ალექსანდრე მაკედონელმა მცხეთაში მეფედ მასთან ხლებული არიან-ქართლის მეფის ძე — აზო დაადგინა. X ს. შატერდული ხელნაწერი გვამცნობს: „...ესე აზოა წარვიდა არ[ი]ან-ქართლად, მამისა თჳსისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამუღეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანა-ჰყვანდეს კერპნი ღმრთად — ვაცი და ვა, და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა აზოა, ძმ არიან-ქართველთა მეფისა...“

მიუხედავად მრავალი მკვლევრის მცდელობისა, არიან-ქართლის პრობლემა ჯერაც ამოუხსნელია; იგი ვარაუდების სფეროს, მათ შორის საკმაოდ გონებამახვილურს, ვერა და ვერ გასცდა. ქართველი ისტორიკოსებიდან ვინ არ შეხებია ამ საკითხს: დ. ბაქრაძე და ა. ხახანაშვილი, თ. ჟორდანიას და მ. ჯანაშვილი, ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი და პ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი, კ. თუმანოვი და გ. მელიქიშვილი, გ. მამულაია და გ. ქანთარია, ვ. გოილაძე და ნ. ხაზარაძე, მ. სანაძე და შ. გაბესკირია. მკვლევართა უკვე ეს არასრული ჩამონათვალი მოწმობს, რომ „არიან-ქართლის“ საკითხი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ კარდინალურ პრობლემას წარმოადგენს.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ არის გავრცელებული და საკმაოდ მყარად ფესვგამდგარი გ. მელიქიშვილის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომლის თანახმადაც, სახელწოდება „არიან-ქართლი“ არიელთა ანუ სპარსელთა ქართლს უნდა აღნიშნავდეს¹. უფრო მეტიც, საქართველოს ძველი ისტორიის ბევრი სპეციალისტი გ. მელიქიშვილის ამ ვარაუდს ყოველგვარი კრიტიკის გარეშე იზიარებს და უკვე საბოლოოდ გადაჭრილი საკითხად და ისტორიულ ჭეშმარიტებად მიიჩნევს. გ. მელიქიშვილის მოსაზრების ფაქტობრივი უალტერნატივობა სხვა მკვლევართა მიერ გამოთქმულ შეხედულებებთან შედარებით და ხანგრძლივი პოპულარობა ამ მოსაზრების უფრო მეტი ლოგიკურობითა და არგუმენტირებულობით აიხსნება.

აღსანიშნავია, რომ თვით გ. მელიქიშვილი სულაც არ იყო თავის მიხედვით დარწმუნებული ტერმინ „არიან-ქართლის“ სპარსეთის ქართლად მიჩნევის სისწორეში, 1959 წელს გამოცემულ თავის უმნიშვნელოვანეს ნაშრომში, „К истории древней Грузии“, ამ საკითხზე მსჯელობისას, იგი შენიშნავდა: „Впрочем, у нас нет полной уверенности в таком объяснении этого непонятного термина“².

¹ Г. Меликишвили, 1959, 278.

² Г. Меликишвили, 1959, 278, Sen. 197.

არიან-ქართლის “სპარსეთის ქართლად” აღქმისას, როგორც ჩანს, ეყრდნობიან ხოლმე ქორონიმს არიანას (Ariana) — ბერძნული *Apeiaivῆς*-ს ლათინიზირებულ ფორმას (ძველსპარსული ფორმაა *Aryana-, ავესტური — *Airiiana-*, ხოლო ირანულთა მითიური წინასაცხოვრისისა — *Airiianəm vaējō*). ტერმინით არიანა“ აღინიშნებოდა სპარსეთის აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით და ინდოეთის დასავლეთით მდებარე ვრცელი ქვეყანა, რომელიც, თავის მხრივ, სხვა ოლქებთან ერთად, მოიცავდა ცენტრალურ აზიაში მდებარე, მსგავსი სახელის მქონე არიის სასატრაპოს, რომელიც ძველბერძნულში ცნობილია *Ap(ε)ῖα* -ს სახელწოდებით; მისი ძველსპარსული ფორმაა *Haraiva[ta]*, ხოლო ავესტური — *Haraeuua*. ცნობილია, რომ სპარსელები თავიანთ თავსა და ენას აღნიშნავენ ტერმინით *ariya*³.

„არიან-ქართლის“ სავარაუდო ლოკალიზაციიდან გამომდინარე, ტრადიციულად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ხოლმე ქართლის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთს — ტაო-კლარჯეთსა და სპერს. ითვლება, რომ აქემენიანთა იმპერია, ისტორიული საქართველოს ყველა სხვა რეგიონთან შედარებით, უპირველეს ყოვლისა აქ, მდ. ქოროხის ზედა წელზე იყო გავრცელებული⁴.

ეს შეხედულება, მნიშვნელოვანწილად, ტერმინების — „სპერი“, „სასპერი“ და „ჰესპერიტი“ — გაიგივებიდან გამომდინარეობს; ეყრდნობა, აქემენიანთა XVIII სატრაპიაში ალაროდიელებთან და მატინებთან გაერთიანებულ სასპერიებს⁵ უფრო გვიანი ხანების ჰესპერიტებთან აიგივებენ⁶, რომელთაც, თავის მხრივ, სპერის მოსახლეობად მიიჩნევენ ხოლმე⁷.

ტერმინი „ჰესპერიტი“ გვხვდება ქსენოფონტის „ანაბასისის“ დასკვნითი პარაგრაფის საწყის ნაწილში, სადაც ვკითხულობთ, რომ „მმართველები მეფის იმ ქვეყნებისა, რომელნიც ვავიარეთ, იყვნენ...“⁸ ანუ „ანაბასისის“ ამ ნაწილში ჩამოთვლილია მხოლოდ ის ქვეყნები და ტომები, რომლებიც, „ანაბასისის“ ძირითადი ტექსტის მიხედვით, ბერძენთა გზაზე მდებარეობდა და რომლებიც აქემენიანთა იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება დაედო საფუძვლად იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც სპერი და იქ მცხოვრები მოსახლეობა (სავარაუდოდ ქართული წარმომავლობისა) სპარსული სახელმწიფოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო მოქცეული.

ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ერთი რამ ცხადი ხდება, ქსენოფონტსა და მის ჯარისკაცებს ჰესპერიტების ტერიტორიაზე უნდა გაეგოთ. ამავე დროს, რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, „ანაბასისის“ ძირითად ტექსტში „ჰესპერიტები“ არ არიან დასახელებულნი. რით უნდა ყოფილიყო

³ იხ. Schmitt 2004, 717.

⁴ Меликишвили 1959, 117-118, 232-233, 267-268; Адонц 1908, 83; Lehmann-Haupt 1931, 790; მამულია 1979, 112, 162.

⁵ *Ἰσθμειοί*, — Hdt., III, 94.

⁶ *Ἰσθμειοί* — Xen., Anab., VII, VIII, 25.

⁷ იხ. Lehmann-Haupt 1931, 394; Lehmann-Haupt 1928, 348; მიქელაძე 1967, 146, შენ. 75; მიქელაძე 1955, 23-25; Меликишвили 1959, 267; Kaegi 1981, 311; Salia 1983, 15, pl. 1; შდრ., ქავთარაძე 1985, შენ. 478-479.

⁸ Xen., Anab., VII, VIII, 25.

ეს გამოწვეული? კარგად ცნობილი ფაქტია, რომ „ანაბასისის“ დასკვნით ნაწილში შავიზღვისპირა ხალიბები აღმოსავლეთ ანატოლიის მთიანეთის ხალიბებისაგან განსასხვავებლად უნდა ყოფილიყვნენ „კოდიტები“⁹ სახელწოდებით მოხსენიებულნი¹⁰, მაგრამ გაურკვეველია, თუ რად უნდა მოეხსენებინა თვით ქსენოფონტს თუ „ანაბასისის“ ჰიპოთეტურ ექსტრაპოლატორს, რომელიც კარგად გათვითცნობიერებულ ავტორად არის მიჩნეული, ქსენოფონტის გზაზე მდებარე რომელიღაც ტომი „ჰესპერიტების“ სახელით.

ჰესპერიტების ვინაობის დადგენასა და ადგილმდებარეობის განსაზღვრაზე მსჯელობისას, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ „ანაბასისის“ დასკვნით ნაწილში მოხსენიებული ფასიანებისა და ჰესპერიტების მმართველი ტირიბაზი, ამავე თხზულების ძირითადი ტექსტის მიხედვით, დასავლეთ არმენიის სატრაპია¹⁰. ამრიგად, „ანაბასისის“ დასკვნით პარაგრაფში ტირიბაზის უმთავრესი მოვალეობა — დასავლეთ არმენიის მმართველობა — შეცვლილია ფასიანებისა და ჰესპერიტების მმართველის წოდებით. ხოლო ტირიბაზის ქვეშევრდომების — ქსენოფონტისა და მისი თანამოლაშქრეების გზაზე მოსახლე არმენიელების¹¹ ნაცვლად ჰესპერიტები არიან დასახლებულნი. თავისთავად ჩნდება კითხვა: ხომ არ არის „ანაბასისის“ დასკვნით ნაწილში გამოყენებული ტერმინით „ჰესპერიტები“ ნაგულისხმევი დასავლეთ არმენიის მოსახლეობა და არა სპერის ბინადარი, როგორც ეს ჩვეულებრივ მიაჩნიათ ხოლმე?

მსგავსი ვარაუდის საფუძვლიანობას უნდა მოწმობდეს ის გარემოება, რომ ბერძნული სიტყვა *ἑσπέρα* გამოიყენება „დასავლეთის“, ხოლო *ἑσπέριος/ἑσπερος* — „დასავლურის“ მნიშვნელობით¹²; საყურადღებოა, რომ სტრაბონი ცნებას „ლიბიელი ჰესპერიტები“ იყენებს დასავლელი ლიბიელების აღსანიშნავად¹³. შესაბამისად ამისა, სავსებით დასაშვებად მიმაჩნია, „ანაბასისის“ დასკვნით ნაწილში გამოყენებული ტერმინი „ჰესპერიტები“ ანუ „დასავლელი“ — დასავლეთ არმენიის მოსახლეობის აღსანიშნავად ყოფილიყო ნახმარი¹⁴, რაც, ალბათ, ნაკარნახევი იქნებოდა სურვილით, განერჩიათ ისინი აღმოსავლეთ არმენიის სატრაპიაში მცხოვრებ

⁹ უდრ., Xen., Anab., III, V, 17; IV, III, 3; IV, IV, 4.

¹⁰ უდრ., Xen., Anab., VII, VIII, 25 და IV, IV, 4.

¹¹ Xen., Anab., IV, IV-V.

¹² Kaegi 1981, 311.

¹³ Strabo, XIV, I, 39.

¹⁴ აღსანიშნავია, რომ მ. პაპეს ბერძნულ საკუთარ სახელთა ცნობილ ლექსიკონში, მიუხედავად იმისა, რომ ჰესპერიტები მართებულად დასავლეთ არმენიის (*Ἀρμενία πρὸς ἑσπέρας*, — Xen., Anab., IV, IV, 4) მცხოვრებლებად არიან დასახლებულნი, მათ ნამდვილ სახელად ჰეროდოტესეული სასუქერი¹⁴ არის მიჩნეული და იქვე განმარტებულია, რომ მათში — ანაბასისის“ დასკვნითი პარაგრაფის ჰესპერიტებში — უფრო გვიანდელი ხანების ისპირიტისის ანუ ისპირის (იგივე სპერის) მოსახლეობა უნდა იგულისხმებოდეს (Pape 1884, 395; უდრ., Lehmann-Haupt 1937, 75, შენჯ); ეს შეხედულება, როგორც ითქვა, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.

არმენიელებისაგან, რომელთა ტერიტორიაც კარდუნების ქვეყნიდან გამოსულმა ბერძენმა მოლაშქრეებმა დასავლეთ არმენიის სატრაპიის მიწაზე მოხვედრამდე გაიარეს¹⁵ და რომელთა სატრაპიც ორონტე იყო და არა ტირიბაზი¹⁶. თავისთავადაც, შემდეგდროინდელი სპერის ტერიტორია თავისი ადგილმდებარეობით უფრო აქემენიანთა მეცამეტე (თუ არა მეცხრამეტე) სატრაპიაში უნდა ყოფილიყო მოთავსებული, ვიდრე სასპეიდრებით დასახლებულ მეფერამეტე სატრაპიაში, რომელიც, როგორც ჩანს, უფრო აღმოსავლეთით მდებარეობდა.

ძველბერძნულ ტექსტებში, ზოგიერთ შემთხვევაში, შეინიშნება ერთისა და იმავე ეთნონიმების განსხვავებული ფორმების გამოყენება, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს ამ ეთნონიმის მატარებელი მოსახლეობის განსხვავებულ ჯგუფებს შორის არსებული შინაარსობრივი სხვაობის გამოხატვა. როგორც ჩანს, „ანაბასისის“ დასკვნით პარაგრაფში ტერმინი „ჰესპერიტები“ იმგვარადვეა გამოყენებული დასავლეთელი არმენიელების გამოსარჩევად აღმოსავლეთელი არმენიელებისაგან, როგორც ტერმინი „კოადტები“ შვიზღვისპირა ხალიბების აღმოსავლეთანატოლიელი ხალიბებისაგან განსასხვავებლად¹⁷.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ „ანაბასისის“ დასკვნითი ნაწილი შინაარსობრივი თვალსაზრისით არ არის დაშორებული ძირითად ტექსტს, უფრო მეტიც, ტომთა განსხვავებული სახელწოდებების („კოადტები“, „ჰესპერიტები“) გამოყენება თავისთავად განპირობებული ჩანს მოთხოვნილებით, თხზულების შემაჯამებელ ნაწილში აღრევის თავიდან ასაცილებლად დაკონკრეტებული ყოფილიყო, თუ რომელი ტომი (ან მისი ნაწილი) იყო ტექსტში ნაგულისხმევი. აღნიშნული გარემოება მიგვანიშნებს, რომ „ანაბასისის“ დასკვნითი ნაწილი, თუნდაც იგი ქსენოფონტის კალამს არ ეკუთვნოდეს, შინაარსობრივად ძირითად ტექსტთან სავსებით თანხვედრილია და აქ, ალბათ, საეჭვო აღარაფერია.

ზემომოყვანილი მსჯელობა ტერმინ „ჰესპერიტის“ რაობასთან დაკავშირებით იმისათვის დაგვირდა, რომ თვალსაჩინო გაგვხადა ამ ტერმინის სპერთან (თანამედროვე თურქული ისპირი) დაკავშირების უსაფუძვლოება, რაც, ჩემი აზრით, თავის მხრივ საფუძვლს აცლის მყარად ფიქსირდებულ შეხედულებას, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობის „არიან-ქართლის“ არიული ანუ ირანული კუთვნილებისა თუ დაქვემდებარების შესახებ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წინაეღონისტური ხანის აღმოსავლეთი საქართველო თავად ატარებს არცთუ უმნიშვნელო აქემენიდური ზეგავლენის კვალს და ძნელი წარმოსადგენია მისგან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე, რთულრელიეფიანი, კლდე-ხევეზსა და ტყეებში ჩაკარგული ქართული ტომებით დასახლებული რომელიმე სხვა მხარე უფრო მეტად ყოფილიყო „ირანიზირებული“ და შესაბამისად ტერმინი „არიან-ქართლიც“ ამ რეგიონის „დანარჩენი“ ქართლისაგან განმასხვავებლად ყოფილიყო ნახმარი.

აქემენიანთა ეპოქის თანადროულ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ირანული ზეგავლენის არსებობის უტყუარ ნიშანს

¹⁵ შდრ., Xen., Anab., IV, III, 1, 3, 4, 20; IV, IV, 1-4.

¹⁶ Xen., Anab., III, V, 17; IV, III, 3; IV, IV, 4.

¹⁷ შდრ., Xen., Anab., III, V, 17; IV, III, 3; IV, IV, 4.

წარმოადგენს აქ გამოვლენილი ზოროასტრიული რელიგიის გავრცელების ამსახველი ნაშთები, უზვად გამოვლენილი მატერიალურ კულტურაში; განსაკუთრებით გასათვალისწინებელია კავთისხევის ციხიანგორა და ხოვლეგორა (ქ. კასთან), სადაც შესაძლოა არსებობდა აქემენიდური ხანის საკულტო ადგილები. მრავლისმეტყველია თუნდაც ღვთაება არმაზის სახელწოდებისა¹⁸ და საზოგადოდ არმაზის სანახების ტოპონიმის ირანული ხასიათი.

რაც შეეხება ჰეროდოტესთან მოყვანილი “სატრაპიების ანუ დარიოსის მოხარკეთა სისი” იმ ცნობას¹⁹, რომლის მიხედვით, ერთსა და იმავე XIII სატრაპიაში პაქტიიკესა და არმენიის მოსახლეობასთან გაერთიანებული და არმენიის მეზობლად მცხოვრები ტომები თითქოს ევქსინის პონტომდე ვრცელდებოდნენ, უნდა ითქვას, რომ XIII სატრაპიის შავიზღვისპირეთამდე გავრცელება ნომინალური ხასიათისა უნდა ყოფილიყო; ძალზე საეჭვოა, რომ ძვ. წ. IV ს. დასაწყისისათვის დასავლეთ არმენიის სატრაპიის ტერიტორია მდ. არაქსის ზემო წელის მარცხენა (ჩრდილოეთ) ნაპირს დიდი მანძილით ყოფილიყო დაშორებული. გარდა იმისა, რომ ქსენოფონტის „ანაბასისი“ მონაცემებით, ტაოხები და ხალიბები სპარსეთის მეფეს არ ემორჩილებოდნენ²⁰, სავარაუდოა, რომ მათ, ამავე დროს, ხალიბების მეთაურობით, ერთი ტომობრივი გაერთიანება უნდა ჰქონოდათ ჩამოყალიბებული²¹.

ხალიბები და ტაოხები დასავლეთ არმენიის სპარსელ სატრაპს რომ არ ექვემდებარებოდნენ, გარდა ქსენოფონტის „ანაბასისის“ დასკვნითი პარაგრაფის საწყის ნაწილში აქემენიანთა იმპერიის შემადგენლობაში შემაჯალ და ბერძენთა გზაზე მდებარე ქვეყნებსა და ტომებს შორის მათი დაუსახლებლობისა²², მოწმობს ტირიბაზის ჯარში მათი ცალკე — „მოქირავებულ“ მოხსენიებაც, განსხვავებით საკუთრივ ტირიბაზის მეომრებისაგან²³, ვინაიდან, ძნელი წარმოსადგენია დასავლეთ არმენიის მმართველს, ტირიბაზს თავისივე ქვეშევრდომები დაექირავებინა. ხალიბთა ქვეყანა და არმენია აშკარად არიან ერთმანეთთან დაპირისპირებული დასავლეთ არმენიის ერთ-ერთი სოფლის მამასახლისის (*κώμαρχο*) მიერ ქსენოფონტისათვის ნათქვამ სიტყვებში, რომ წინ ბერძენთა გზაზე მდებარე არმენიის მეზობელი ქვეყანა ხალიბებს ეკუთვნოდათ²⁴.

ბუნებრივია კითხვა, თუ ჰესპერიტებში არა სპერის, არამედ დასავლეთ არმენიის მოსახლეობა იგულისხმება, ვის უნდა ეცხოვრა ასეთ შემთხვევაში ძვ. წ. V საუკუნის მიწურული ხანის სპერში? ამ საკითხის გარკვევაში ისევ „ანაბასისის“ მონაცემები გვეხმარება, რომელთა მიხედვით, სპერის ადგილმდებარეობა ყველაზე უფრო უახლოვდება იმ ტერიტორიას, რომელიც სკვითინებით იყო დასახლებული. როგორც ვიცით, ქსენოფონტისა და მისი თანამემამულეების გზა, ხალიბების ქვეყნის გავლის შემდეგ — მდ.

¹⁸ იხ., მაგ., ქავთარაძე 2009.

¹⁹ Hdt., III, 93.

²⁰ შდრ., Xen., Anab., V, V, 17; VII, VIII, 25.

²¹ შდრ., Xen., Anab., IV, IV, 18; IV, V, 34; V, VI, 5; IV, VII, 1, 15-18; VII, VIII, 25.

²² შდრ., Xen., Anab., VII, VIII, 25.

²³ Xen., Anab., IV, IV, 18.

²⁴ Xen., Anab., IV, V, 34.

²⁵ Xen., Anab., IV, VII.

პარპასოსიდან (გაიგივებულია მდ. ჭოროხთან) მაკრონთა ქვეყნამდე (ქ. ტრაპეზუნტის სამხრეთით) — სკვითინების მიწაზე გადიოდა²⁵.

სკვითინების ქვეყნის ადგილმდებარეობის განსაზღვრის შესაძლებლობას, უპირველეს ყოვლისა, უნდა იძლეოდეს მათი უმნიშვნელოვანესი ქალაქის — გვიმნიასის მდებარეობა ქ. ტრაპეზუნტის სამხრეთით განლაგებული მთების გადაღმა 5-დღის სავალ მანძილზე²⁶, რაც, როგორც ფიქრობენ, დაახლოებით თანამედროვე ქ. ბაიბუთის სანახებზე უნდა თანხვედრიდეს ანუ ისტორიულ სპერს. სკვითინების ქვეყნის შუაგულში ქ. გვიმნიასის მდებარეობას მოწმობს ის გარემოება, რომ ბერძენთა მსვლელობის გზაზე, როგორც ამ ქალაქამდე, ასევე მისი გავლის შემდეგაც, სკვითინების ტერიტორია საკმაოდ დიდ ფართობზე იყო გადაჭიმული²⁷.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ტერმინ „არიან-ქართლისათვის“ მისადაგებულ სპერსის ოლქში (და შეიძლება ითქვას, რომ არც მთლიანად ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში) არ იკვეთება აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით სპარსელთა პოლიტიკური ბატონობისა თუ ეთნიკური დომინანტების უფრო მნიშვნელოვანი ნაკვალევი, რაც საშუალებას მოგვცემდა გვეფიქრა ამ მხარის უფრო მეტ სპარსელობასა თუ არიელობაზე. შესაბამისად, საფიქრებელი ხდება, რომ არც ტერმინ „არიან-ქართლში“ გამოყენებული სიტყვა — „არიანი“ უნდა ყოფილიყო სპარსულ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად აღმოცენებული.

ჩვენი აზრით, ტერმინ არიან-ქართლში ასახულია გადმოცემა ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორ II-ის (ძვ. წ. 605-562 წწ.) მიერ ადრიაკისა (ლიბიისა) და პირენეს ნახევარკუნძულის (იბერიის) დალაშქრებისა და იქიდან წამოყვანილი ტყვეების პონტოს გადაღმა მდებარე იბერიაში, ანუ კავკასიაში დასახლების შესახებ, რომელიც, თვით ძველ მწერალთა ნითითების თანახმად, მივწერებოდა მცირეაზიელ ბერძენს, ისტორიკოსს, გეოგრაფოსსა და დიპლომატს, „ინდოეთის ისტორიის“ ავტორს — ჰერაკლიდეს (დაახლ. ძვ. წ. 350-290 წწ.). ეს ლეგენდარული ცნობა, დასავლეთის იბერიების აღმოსავლეთში გადმოსახლების თაობაზე, რომელსაც საფუძვლად ედო მხოლოდ და მხოლოდ ორი (დასავლეთისა და აღმოსავლეთის) იბერიის სახელწოდებათა იდენტურობა, საკმაოდ ფართოდ გავრცელდა. გარდა ძველბერძნულ-რომაული სამყაროსი, იგი პოპულარული იყო აღმოსავლეთშიც, კერძოდ, სირიულ და სომხურ ლიტერატურაში; სავსებით მოსალოდნელია, თავისებური ასახვა მას ქართულ მატრიანეშიც ეპოვნა. მაგრამ ეს საკითხი უკვე სულ სხვა მოხსენების თემაა²⁸.

²⁶ Xen., Anab., IV, VII, 18-27; IV, VIII, 1.

²⁷ იხ. ქავთარაძე 1985, 91 შმდ.

²⁸ იხ. ქავთარაძე 2009a, 70-74.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. მამულია, 1979 - გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979.

თ. მიქელაძე, 1955 - თ. მიქელაძე, ფასიანების სადაურობისა და ადგილსამყოფელის გარკვევის საკითხისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955.

თ. მიქელაძე, 1967 - თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“ (ცნობები ქართველი ტომების შესახებ), თბ., 1967.

გ. ქავთარაძე, 1985 - გ. ქავთარაძე, ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985.

გ. ქავთარაძე, 2009 - გ. ქავთარაძე, წარმართული იბერიის ღვთაებათა არსისათვის, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XIII, თბ., 2009.

გ. ქავთარაძე, 2009ა - გ. ქავთარაძე, ტერმინ „არიან-ქართლის“ განმარტებისათვის, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქუთაისური საუბრები“ XII, სიმპოზიუმის სამუშაო პროგრამა და წარმოდგენილ მოხსენებათა მასალები, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009.

Н. Адонц, 1908 - Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана. Политическое состояние на основе нахарарского строя, С. Петербург, 1908.

Г. А. Меликишвили, 1959 - Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, Тбилиси, 1959.

A. Kaegi, 1981 - Benselers Griechisch-Deutsches Wörterbuch. Bearbeitet von A. Kaegi. Leipzig, 1981.

C.F. Lehmann-Haupt, 1928 - C. F. Lehmann-Haupt. Siegl vom Kentritis bis Trapezunt, Gnomon, Bd IV, H. 6, 1928.

C.F. Lehmann-Haupt, 1931 - C. F. Lehmann-Haupt. Armenien einst und jetzt, Bd II, H. 2. Berlin/Leipzig, 1931.

C.F. Lehmann-Haupt, 1937 - C. F. Lehmann-Haupt. On the origins of the Georgians, Georgica, a Journal of Georgian and Caucasian Studies, nos. 4-5, 1937.

M. Pape, 1884 - M. Pape. Wörterbuch des Griechischen Eigennamen, dritte Auflage, erste Hälfte. Braunschweig, 1884.

K. Salia, 1983 - K. Salia. Histoire de la nation Géorgienne (deuxième édition). Paris, 1983.

R. Schmitt, 2004 - R. Schmitt. Old Persian, in: The Cambridge Encyclopedia of the World's Ancient Languages. Edited by R. D. Woodard. Cambridge: Cambridge University Press, 2004.

GIORGI L. KAVTARADZE

"ARIAN-KARTLI" — MYTH OR REALITY ?

The localization of *Arian-Kartli* mentioned in the old Georgian Chronicles (e.g. "The Christening of Kartli") has been among the unsolved problems of Georgian historiography. By the generally accepted opinion *Arian-Kartli* should be searched south-west of modern Georgia, in the north-eastern parts of Anatolia, on the territory of south-western part of historical Georgia. As to "The Christening of Kartli", Alexander the Great, after having arrived in Kartli (Iberia), installed his close supporter Azo as a king in Mtskheta. Azo is a king's son of the country of *Arian-Kartli*, and he took his countrymen and idols Gatsi and Ga with him from his old homeland to Mtskheta.

The opinion is widespread among specialists that the term *Arian-Kartli* means "Arian", i.e. Persian/Iranian, Kartli and it was used to designate territories located in the south-western part of historical Georgia where old Georgian provinces of Speri (modern Turkish Əspir, on the upper flow of Chorokhi/Choruh) and Tao-Klarjeti were located. It has been taken into consideration that in the final part of Xenophons "Anabasis" only such countries and tribes were enumerated which, in accordance with the basic text, were on the route of Greeks. Among others there is mentioned an ethnonym "Hesperitae" (VII, VIII, 25).

The problem of settlement of *Hesperitae* is a crucial one, because of their location, by some scholars, in Speri, the Achaemenian empire is thought to be spread there at the beginning of 4th century BC and as the consequence the term "Arian-Kartli" should emerge as the reflection of the Iranian dominance in this part of Georgia, with the meaning of "Arian" (or Persian) Kartli.

I think the fact must be taken into consideration that at the time of the identification of the *Hesperitae* and the definition of their location, Tiribas, mentioned in the final part of the "Anabasis" as a governor of the *Phasianoi* and *Hesperitae*, in accordance with the basic text, was the satrap of Western Armenia (IV, IV, 4). Thus in the final part of the "Anabasis", the main function of Tiribas – that of a ruler of Western Armenia – was changed to the task of a ruler of the *Phasianoi* and *Hesperitae* and instead of Armenians, subjects of Tiribas whose country was situated on the route of Xenophons Greek companions, are mentioned *Hesperitae*.

Consequently, the question is inevitable: Was the population of Western Armenia, mentioned in the basic part of "Anabasis", implied under the name of "Hesperitae" of the final part of the same text?

The validity of such an assumption can be reinforced by the fact that the Greek word *επειβ* means "west" and *ἐσπεριος/ἔσπερος* – "western". It is important to notice that Strabo used the term *Hesperitae of Libya* to designate Western Libyans (XIV, I, 39). Therefore it seems quite possible that the term of the final part of the "Anabasis", "Hesperitae" or "inhabitants of west" was used for the designation of Western Armenians, and this fact was apparently dictated by the wish to detach them from the Armenians who lived in the satrapy of East Armenia and the territory

of which the Greeks passed, until they reached the land of the satrapy of Western Armenia (cf. IV, III, 1, 3,4, 20; IV, IV, 1-4). In a similar way for the distinguishing of the Chalybes, living at the Black Sea littoral from the Chalybes of the East Anatolian highlands, the ethnonym "Coites" was used (cf. III, V, 17; IV, III, 3; IV, IV, 4). Therefore we can approve that the final part of the "Anabasis" from the point of view of its contents is by no means contradictory to the main basic part.

Consequently, we must exclude any possibility to consider the West Armenian "Hesperitae" of Xenophons "Anabasis" as a Kartvelian tribe or as a population of Speri, of the upper flow of Chorokhi and therefore the idea of the dominance of Achaemenid Persia in the territory of Speri is quite groundless.

In our opinion in the term "Arian-Kartli" was reflected the very popular idea of the Classical times, that the Babylonian king Nebukhadnezzar II of the 7th-6th centuries took the captives from among the Iberian and Libyan people, whom he had taken as prisoners and resettled them on the right side of the Pontus Sea after having attacked the land of the Libyans and Iberians. The information about the migration of Iberians (*i.e.* ancient Georgians) from Africa (Libya) and the Iberian peninsula (Western Iberia) by the Babylonian king Nebukhadnezzar, was ascribed to the historian Megasthenes of the late 4th - early 3rd centuries BC already at the Classical times. This information concerning the resettlement of the population of the Iberian peninsula to the Caucasus was created by the old Greek and Roman authors in consequence of wrong use of old ethnonyms.

რევაზ შეროზია

ენობრივი პოლიტიკის საკითხები XX საუკუნის
30-იანი წლების საქართველოში

1. ქართველი ხალხისათვის გასული საუკუნის 30-იანი წლები ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდი იყო მთელი ისტორიის მანძილზე - ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ხელშეორედ დაპყრობის შემდეგ, სოციალურ-პოლიტიკური ტერორი მძვინვარებდა. თავისი არსითა და მასშტაბებით იგი ბევრად აღემატებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის რუსიფიკატორულ ქმედებებს, რომლებიც მთლიანად მიმართული იყო ქართველური ენის, როგორც ქართველი ერის საარსებო საშუალების, გასაქრობად. რუსეთის მეფისა და რუსეთის ბოლშევიკთა იმპერიების მიზანი თუ ერთი იყო, განხორციელების გზები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან: იმპერატორის გარემოცვა უზრუნველყოფდა ტაქტიკას, განხორციელება კი ევალებოდა ისევ რუს ჯარისკაცებს, იანოვსკებს, ვოსტორგოვებს, გერშელმანებს... ბოლშევიკი იმპერატორების ტაქტიკა უფრო ვერაგული გახლდათ: სოციალური სამოსელით უნდა შეემოსათ ყველაფერი და, ამავე დროს, შემსრულებლები უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ ადგილობრივი, "ეროვნული" ძალები; ამ შემთხვევაში, ცხადია, "პილატეს" ხელები დაბანძილი ექნებოდა.

ქვემოთ შევეცდებით გავაანალიზოთ გასული საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებული ენობრივი დივერსიის ფაქტი, მისი მნიშვნელობა და შედეგები. ვფიქრობთ, ეს მცდელობა გამართლებული უნდა იყოს, რადგან ხსენებული დივერსია, როგორც ჩანს, გათვალისწინებული გახლდათ ხანგრძლივი მოქმედებისათვის (როგორც ასეთივე ხანგრძლივი ქმედების კიმიური იარაღი).

შენიშვნა: ჩვენ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით 30-იანი წლების შესახებ - დახურული საიდუმლო მასალები, ალბათ, უამრავ საინტერესო და საჭირო ინფორმაციას შეიცავს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს და მადლობაც ეთქვას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელმაც უკანასკნელ ხანს მსგავსი მასალების გამოქვეყნება დაიწყო თავისივე საარქივო სამმართველოს პერიოდულ ჟურნალში "საარქივო მოამბე". ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ დოკუმენტების გარეშე სწორი და მართალი ისტორია ვერ დაიწერება.

2. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა და პარლამენტი ნაციონალურ და ენობრივ საკითხებში იმავე გზას მიჰყვება, რაც ცნობილია უძველესი დროიდან, კერძოდ, პატივისცემა ყველა ერის წარმომადგენლებისა. სხვა პრეცედენტი, ალბათ, არც მოიძებნება ამისა, რომ სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, პარლამენტში სხვა ეროვნების მოქალაქეებს თავიანთ ენაზე შეეძლოთ სიტყვით გამოსვლა. 1918-21 წლების საქართველოს პარლამენტში არჩეულ დელაგატს კი უფლება ჰქონდა, თავის ენაზე წარმოეთქვა სიტყვა, თუ ეს ენა იცოდა პრეზიდენტის ერთმა წევრმა მაინც. მაგრამ, ამავე პერიოდში და, განსაკუთრებით, რუსეთის მიერ საქართველოს მეორედ დაპყრობის შემდეგ, გრძელდებოდა არა მარტო აფხაზების, ოსების, სომხების, აზერბაიჯანელებისა და სხვათა, არამედ ქართველური მოსახლეობის დამუშავება, რომ მეგრელები, აჭარლები, სვანები, ლაზები, იმერლები ქართველები არ იყვნენ და ამიტომაც ისინი იზარებოდნენ ქართველების მიერ. აქ ერთი დეტალიც უნდა აღინიშნოს: აფხაზს ჩააგონებდნენ, რომ ქართველი მათი ისტორიული მტერია, ქართველები იტაცებენ აფხაზთა მიწებს, ჩუმ-ჩუმად სახლდებიან იქ, ხელს უშლიან აფხაზური კულტურის განვითარებას და უნდათ მოსპონ აფხაზი ერი. ასეთი სულისკვეთებით არის დაწერილი ვინმე მარდანიას წერილი "აფხაზ ძმებს", რომელშიც არსად ჩანს რუსების მიერ აფხაზთა გენოციდის ფაქტი, არც ის, რომ როგორც მეფის რუსეთი, ისე ბოლშევიკთა რუსეთიც მუდამ ცდილობდა (და დღესაც ცდილობს), "აეთვისებინა" ეს მხარე იქ რუსებისა და სხვა ეროვნების ჩასახლებით. ასეთივე პოლიტიკა ტარდებოდა სამეგრელოს მიმართ, მაგრამ საქართველოს ანექსიის მერე რუსები მეგრულ ბოლშევიკებს იმავეს ვერ ათქმევინებდნენ, რასაც აფხაზებს, ამიტომ გამოინახა სხვა სამიზნე, იდეოლოგიური, მაგრამ სოციალურით შეფერილი: ბოლშევიკ უვანიასთვის მტერი ქართველი კი არ იყო, არამედ მენშევიკური მთავრობა, რომელიც თავადაზნაურული იყო, ბურჟუაზიული. თავის წიგნში ი. უვანია ასე ახასიათებს მათ: "მენშევიკებს შემოეცალნენ მუშები და გლეხები, რომელთა ნაცვლად ხელში შეიჩაბ ბურჟუაზია, მღვდლები, თავადაზნაურობა და ნაციონალ-შოვინისტური მაღალი ინტელიგენცია და ჩარჩი ვაჭარ-კულაკობა" (ი. უვანია, 1931, გვ. 147). მისი (ანუ ბოლშევიკთა!) აზრით, 21-ე არმიის შემოსვლის შემდეგ საქართველოში ყველაფერი სწორი გზით წარიმართა. ერთ-ერთი "მონაპოვარი" იყო 1929 წელს ბოლშევიკური მთავრობის მიერ გამოცემული დადგენილება, რომლის მიხედვით, ზუგდიდის მაზრის იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცოდა (!), საქმისწარმოება და სასამართლოს წარმოება მეგრულ ენაზე უნდა შესრულებულიყო. ამ დადგენილების I და II პუნქტებში ერთმანეთს უპირისპირდება ქართული და მეგრული (დედაენა). IV პუნქტში კი მითითებულია, რომ დადგენილებები, განკარგულებები უნდა გამოქვეყნდეს როგორც სახელმწიფო ენაზე, ისე მეგრულ ენაზეც.

შენიშვნა: შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალებში საძიებელია, თუ რა დაედო საფუძვლად ამ დადგენილებას. სავარაუდოა, რომ ეს "ჟვანიების განცხადებამიმართვა" ყოფილიყო.

ამ დადგენილებას ხელს აწერენ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ნაცვლად ვ. ბოლქვაძე, სახალხო კომისრების საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე, აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. სორდია.

ამის აღნიშვნა იმიტომ დაგვჭირდა, რომ ამ დადგენილების მიღება შეუძლებელი იყო რუსეთის მთავრობის, კერძოდ კი სტალინის ნებართვის (ან მითითების) გარეშე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბოლშევიკების რუსეთამდე აღებული გეზის გამგრძელებელი იყო 30-იანი წლების რუსული სახელმწიფო მანქანა, კერძოდ: აფხაზეთის მსგავსად დაპირისპირებინათ ქართველებისათვის ვითომ განსხვავებული ენისა და ერის წარმომადგენელი სამეგრელოს მოსახლეობა. ამ დაპირისპირების შემოქმედი შუა რგოლი აღმოჩნდა ფ. მახარაძის გუნდი საქართველოს მთავრობის სახით, შემსრულებელი კი - ბოლშევიკ ი. ჟვანიას გუნდი. მაგრამ მალე ვითარება შეიცვალა. საქართველოს მთავრობის მეთაური ლ. ბერია გახდა (იმავედროულად იგი ამიერკავკასიის საქმეებსაც განაგებდა).

შენიშვნა: 30-იან წლებში, ქართველოლოგთა შეხედულებით, ქართველური ენობრივი სივრცე სამწევრა იყო, რასაც, შესაძლოა, "ქართიზაციის" ჰიპოთეზაც უწყობდა ხელს. ასეა თუ ისე, ენობრივმა დაყოფამ ბუნებრივად მოგვცა ქართველური მოსახლეობის დაყოფა და შემდეგ - გაუცხოება. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინდელი ჩადებული ნაღმი დღესაც მოქმედებს: ი. ჟვანიას მსგავსი "ცხელი თავები" თანამედროვე საქართველოსაც ჰყავს.

3. 1929 წლის იმ ავბედითი დადგენილების მერე ი. ჟვანიას გუნდს ხელ-ფეხი გაეხსნა. დაიწყო მეგრული სიტყვაფორმებით ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა. 1931 წ. იბეჭდება ი. ჟვანიას წიგნი "როგორ იბრძოდა სამეგრელოს მშრომელი გლეხობა საბჭოების ხელისუფლებისათვის". ამ წიგნს რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ჩანს მისი 30-ათასიანი ტირაჟითაც. მთავარი კი ის იყო, რომ ავტორი სამეგრელოს მოსახლეობას არწმუნებდა მენშევიკური მთავრობის არა მარტო სისასტიკეში, ბურჟუაზიულ-მოვინიტურ შეხედულებებში, არამედ მშრომელი გლეხობის ძარცვასა და ყაჩაღობაში. იგი წერს, რომ მენშევიკურმა მთავრობამ სამეგრელოს ეკლესიამონასტრებიდან აურაცხელი ოქრო-ვერცხლი გაიტაცა. რა თქმა უნდა, მას არ "ეხსომებოდა" ბოლშევიკების მიერ დანგრეულ-განადგურებული ეკლესიები და საქართველოს საგანძურის აღნუსხვა-შენახვა ძარცვად წარმოუდგებოდა.

სამეგრელოში ეს ვაკანალია სულ რაღაც 5 წელიწადში დამთავრდა. რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, 1934 წლის მერე მსგავსი პუბლიკაციები შეწყდა, არსად ჩანს ი. ჟვანიაც. სამაგიეროდ, 1937 წელს

საქართველოს მთავრობის მეთაური ლ. ბერია აღწოთებული წერს სტალინისადმი გაგზავნილ წერილში, რომ საკავშირო აკადემიის ენათმეცნიერების, ანთროპოლოგიის ინსტიტუტების მეცნიერები "თავგზაბნეულები" არიან და "თავიანთი დასკვნებით ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან" (წერილის პირველ ვარიანტში მათ "ველიკოდერჟავული" სულით გაჟღენთილებად" მოიხსენიებს. იხ. საარქივო მოამბე VI, 2009). საქმე ეხება 1926 და 1937 წლის აღწერების შედეგად საკავშირო აკადემიური წრეების მიერ საქართველოს დაყოფას სხვადასხვა ეროვნებად. კერძოდ, 1926 წელს რუსეთის (იგივე საბჭოთა) აკადემიამ საქართველო ასე დაყო: **ქართველები** (ქართლები, კახელები, თუშები, ფშავ-ხევსურები, სომხები, ჯავახები, მესხები, კლარჯეთელები, ტაოელები, აჭარლები, გურულები, იმერლები, რაჭველები, ლეჩხუმელები), **მეგრელები**, **ჭანები**, **სვანები**, **ბაცბები**.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის შეხედულებით, 1937 წელს ასეთი სურათი გვაქვს: ქართველები, მეგრელები, ლაზები, სვანები, ბაცბები, აჭარლები. იმავე წელს ანთროპოლოგიის ინსტიტუტს შეუდგენია თავისი ვარიანტი, რომელიც შემდეგ საფუძვლად დასდებია "ეროვნებათა ლექსიკონს". აქ ქართველებად არიან მიჩნეული მეგრელები, ლაზები, სვანები და ბაცბები, მაგრამ აჭარლები ცალკე ნაციად არის დასახლებული. ლ. ბერია ყველა მასალას იცნობს, მაგრამ აქცენტს აჭარლებზე აკეთებს და სთხოვს სტალინს, ჩაერიოს და არ დაუშვას ასეთი შეცდომა "ეროვნებათა ლექსიკონში", რადგან ეროვნებათა ასეთი დაყოფა ეწინააღმდეგება ბელადის მოსაზრებებს ნაციის შესახებ.

თავისთავად ჩნდება კითხვები, რომელთაგან ამჯერად მხოლოდ ორს გამოვყოფთ: 1. რამ განაპირობა ლ. ბერიას ინტერესი მხოლოდ აჭარლების საკითხით, როცა ამ "უთავბოლოობაში" მოყვნიენ მეგრელები, ჭანები, სვანები, სომხები, ბაცბები ...?

2. ზეპირი ცნობებით, ყვანიას საქმე და ზემოთ ხსენებული 1929 წლის დადგენილებიდან გამომდინარე ქაოსი ლ. ბერიამ მოსპო. მანვე გაანადგურა ყვანიას წიგნის ტირაჟი. ყველაფერი ეს მოსკოვის პოლიტიკისა და გეგმების საწინააღმდეგო ქმედება იყო. მაშ, როგორი ახსნა უნდა მოეძებნოს ამ ფაქტს? ვფიქრობ, რომ საიდუმლო მასალების გამომზეურება საშუალებას მოგვცემს სწორი დასკვნები გავაკეთოთ.

ერთი კი ნათელია: 30-იანი წლების ეროვნულ-ენობრივმა პოლიტიკამ დიდი ზიანი მიაყენა არა მარტო საქართველოს მოსახლეობას, არამედ ქართველურ მეცნიერებასაც, ქართველოლოგიას; ევროპაში ფოიერშტაინები აფრიალებენ "ყაზახიში გაზეთის" ფურცლებს და ქართველებს ადანაშაულებენ მეგრელების "შევიწროებაში", ხოლო თანამედროვე ყვანიები ტერენტე გრანელის ლექსებს "თარგმნიან" მეგრულ "ენაზე" და ამას მშობლიურ ენაზე დაბრუნებად მიიჩნევენ... დიდი ხნის განმავლობაში მსგავს ფაქტებს ქართველი მეცნიერები არასერიოზულად თვლიდნენ, საშიშროებას ვერ ხედავდნენ; მაგრამ დღევანდელი ვითარება საკმაოდ მძიმეა, როცა ფოიერშტაინები დაძწიან სამეგრელოში და მოსახლეობას არწმუნებენ, რომ მეგრელები სხვა ენა და ქართველები მათ ჩაგრავენ, ან ფრანკურტის უნივერსიტეტის ერთი ჯგუფის მიერ შედგენილი კითხვარით არკვევენ მეგრელთა დედანა რომელია... ამიტომ საჭიროა ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ერთობლივი ძალისხმევა ერის მთლიანობის შესანარჩუნებლად.

დამოწმებული ლიტერატურა

ი. ყვანია, 1931 - ი. ყვანია, როგორ იბრძოდა სამეგრელოს მშრომელი გლეხობა საბჭოების ხელისუფლებისათვის, თბ., 1931.
საარქივო მოამბე VI, თბ., 2009.

REVAZ SHEROZIA

**QUESTIONS OF THE LANGUAGE POLICY IN 30S
OF 20TH C. GEORGIA**

The 30s of the last century was one of the gravest periods of the country's history; Russia occupied Georgia, second times, now called Bolshevik Russia, which was ravaging the country with social and political terror.

With its scales it far exceeded the Russification policy of the second half of the 19th century and the beginning of the 20th c. This time actions were being directed and carried out for the complete annihilation of the all the essential resources for the existence of the Georgia nation.

This paper discusses one of the facts of the subversive activities on the Georgian language.

After the second occupation of Georgia, Russia revitalized and persistently and intensely began indoctrinate the population of Georgia and not only Abkhazians, Ossetians, Armenians Azeries etc. but also the native Georgians as Megrels, Acharans, Svans, Laz, Imeretians that they were not Georgians and that they were oppressed by the Georgians.

Abkhazians were told that Georgians were historical enemies, and that they encroached their territories and hindered the development of Abkhazian culture aiming at the complete extirpation of the Abkhazian ethnos. The same policy was carried out against Megrelia. However, Russians knew that as different from Abkhazians, Megrel Bolsheviks would not agree at being robbed off from their Georgian nationality, and Russia thought different target for animosity; this was an ideological attack with social coloration. For the Bolshevik Zhvania Georgian could not serve an enemy, then enemy was a Menshevik, aristocratic, and bourgeois government. According to Zhvania (i.e. according to the Bolshevik ideology) after the invasion of Georgia by the 21st Army everything in the country went to its right track. One of the "achievements" of the events was the resolution adopted by the Bolshevik Government, in 1929, according to which in those villages of Zugdidi Mazra where the considerable number of the population did not have a command of the literary Georgian, the business and the law court language should be Megrelian language. The point I and point II of this resolution contradicted each other, as both Georgian and Megrelian are referred to as mother tongues, whereas the point IV determines

that official resolutions and regulations must be published in both languages, the state language and Megrelian language.

It stands to reason that nobody could dare to adopt such resolution without the permission of the Russian Government, namely, without Stalin's permission. This simply meant that the Russian state machine of 30s was the heir of the same Russian political and ideological route adopted by the country before the Bolsheviks. namely: to put Megrelia's population as, if they were the people of different language and nation. in the confrontation with Georgians with the same methods as it had been done in case of Abkhaz and Georgian peoples.

This bacchanalia, begun in 1929 triggered by the aforementioned resolution ended up in five years. In 1937 L.P. Beria writes to Stalin about the scholars of the Research Institute of Linguistics and anthropology of the Academy of Sciences of Georgia how "they are embarrassed and perplexed and contradictory in their conclusions".

The accent was made on the division of Georgia into several ethnic entities according to the census of 1926-1927 by Soviet Union academic circles. In particular, in 1926 Russian Soviet Academy divided Georgia into Georgians proper, **Megrels, Chans, Svans, and Batzbs**.

According to the views of the institute of linguistics of 1937 the picture looks as follows: **Georgians, Megrels, Laz, Svans, Batzbs and Acharans**.

In the same year the Anthropology Institute of Academy of Sciences drew up its variant, which then became the basis for the "Dictionary of Nations." In this variant Georgians are Megrels, Laz, Svans and Batzbs, but Acharians stand apart as a separate nation. L. Beria is acquainted with all the materials but asks Stalin to take part in the problem solution and not to allow such a mistake to creep into the "Dictionary of Nations", as 'the sort of division was against the chief's ideas about nations'.

The fact, as what conditioned the real reason of confining Beria's interests only to the Acharan's issue, when in this chaos we see Megrels, Chans (Laz), Svans, Armenians and Batzbs...and why Beria vanished the case of Zhvania, and the turbulence caused by the 1929's resolution, as long as it was against the Soviet ideology at the given period, is a matter of conjecture until the secret documents become known to allow the scholars to make right conclusions.

In any ways one thing is clear: National and language policy of the 30s of the 20th century caused great damage to not only Georgian population but to the Georgian science and to Kartvelology. In Europe Friersteine's flapped the papers of "Kazakhishi Gazeti", blaming Georgians in the oppression of Megrels; this was in the past, but at present the modern "Zhvanias" come to "translate" the poems of Terenti Graneli into Megrelian "language" and they call it the comeback to the native language.

რიტა წაქაძე

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის
სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ბიბლიოთეკაა. იგი ფლობს 1 მილიონ საბიბლიოთეკო დოკუმენტს: წიგნებს, პერიოდულ გამოცემებს, CD-ROM-ებისა და DVD-ის კოლექციებს. ფონდში დაცულია როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ლიტერატურა, მნიშვნელოვანი იშვიათი გამოცემები.

ბიბლიოთეკა 136 წლისაა. იგი დაარსდა 1873 წელს, ანტონ ლორთქიფანიძის თაოსნობით. ანტონ ლორთქიფანიძე თერგდალეულთა თაობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია. იგი ქუთაისში დაიბადა 1847 წელს. ოდესის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ანტონ ლორთქიფანიძე დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში და აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას შეუდგა. იგი იყო ქალაქის დეპუტატი, საადგილმამულო ბანკის ძველი თაობის წარმომადგენელი.

1873 წელს ვაზეთი "დროება" წერდა: "ბეჯითად ვიცი, რომ ნოემბრამდის ქუთაისში ბიბლიოთეკა და საკითხავი კაბინეტი გაიხსნება. ეს საქმე უკისრია ანტონ ლორთქიფანიძეს, რომელსაც ამ მოსაწონი საქმის დაწყებისათვის საზოგადოების სრული თანადგომა უნდა ეკუთვნოდეს". საკმაო ზრუნვის შემდეგ, ანტონმა საჭირო ბინა აღმოაჩინა, ინვენტარი შეიძინა, ბიბლიოთეკარიც აიყვანა და ოთხი ათასამდე წიგნიც შეაგროვა. "სულ ყველაფერი მზათ მაქვს, - წერს იგი კირილე ლორთქიფანიძეს, - კატალოგი უნდა წარვადგინო და გახსნის ნებასაც იმ დღესვე მომცემენ. წიგნებს გლახასა და კარგს, ფრანციზულს და რუსულს შევუყარე თავი ოთხი ათასამდის. ბაბლიოვის ბიბლიოთეკის დანარჩენი ვიყიდე, სახლი ვიქირავე, ბიბლიოთეკარებიც მყავს, ჟურნალებიც არის და მეტელიც მაქვს, ერთი სიტყვით ყოველისფერით მზათ ვარ. ახლა, თუ დრო გექნება, გაისარჯე და იშოვნე ბიბლიოთეკის პრავილოები (წესდებები), აგრეთვე პატარა ბლანკები, რომელიც წიგნების წამლებს მიეცემა. ერთი სიტყვით, ყოველივე, რაც კი შეეხება ბიბლიოთეკის პრავილოებს, გამომიგზავნე საჩქაროთ. ამ ბიბლიოთეკას ვხსნი ჩემს სახელზედ. არას კაციდგან არაფერს შემწეობას არ ვნახულობ, რადგანაც ვიცი, რომ ბევრი პატრონების ჯოგს ხშირათ სჭამს მგლები". წერილი დათარიღებულია 1873 წლის 6 ოქტომბრით.

წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ანტონ ლორთქიფანიძის მიერ გახსნილ სამკითხველთა ბიბლიოთეკისათვის საჭირო ყველა ძირითადი ატრიბუტი გააჩნდა: შენობა, ფონდი (როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი), პერიოდული გამოცემები, კატალოგი, მკითხველის ბარათები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წესდება (პრავილოები). 1873 წელი მიჩნეულია ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დაარსების წლად; სწორედ ის თარიღი, როცა ანტონ ლორთქიფანიძემ დააფუძნა სამკითხველო ქუთაისში.

გახსნის პირველი დღეებიდანვე ბიბლიოთეკა იქცა ქუთაისის მოზროვნე საზოგადოების თავშესაყარ ადგილად. მან 20 წელი იარსება, ხოლო 1893 წელს, როცა ქალაქის მმართველობის გადაწყვეტილებით, ქუთაისში გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა, ანტონ ლორთქიფანიძემ მას უსასყიდლოდ გადასცა 1.500 ცალი წიგნი. 1894 წელს გაზეთი "კვალი" წერდა: "წელს ანტონ ლორთქიფანიძემ ნაშთი თავის საჯარო ბიბლიოთეკისა შესწირა ქალაქ ქუთაისს, რომლის საქალაქო გამგეობამ მადლობა გამოუცხადა შემწირველს. ისარგებლა იმ ბიბლიოთეკით რა, შეუდგა ამ ბოლო დროს უფრო ვრცელის საჯარო სამკითხველოს დაარსებას". თავდაპირველად საჯარო ბიბლიოთეკისათვის ქალაქის სამმართველოს შენობაში გამოუყვიათ ორი პატარა ოთახი: ერთი საცავისათვის, მეორე-სამკითხველო დარბაზისათვის. ქუთაისელი საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს. ბიბლიოთეკისათვის წიგნები შეუწირავთ კირილე ლორთქიფანიძეს, სერგო ბახტაძეს, რიგით მოქალაქეებს. თუმცა საბიბლიოთეკო საქმიანობაში ბევრი ხარვეზიც ყოფილა. ამის შესახებ 1909 წელს გაზეთი "ფონი" წერდა: "ნეტავ რადის იქნება, ჩვენი "ღუმა" წიგნის სამკითხველოსთვისაც იფიქრებს და რადის იქნება, ჩვენი საზოგადოება სამკითხველოში ჯდომას ისწავლის".

1910 წელს ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიაში ორი მნიშვნელოვანი მომენტი აღინიშნა: ბიბლიოთეკისათვის გამოიძებნა შედარებით უკეთესი შენობა ქალაქის სამმართველოს კლუბში და ქალაქის თავის - ჩიქოვანის მოწვევით, 1911 წელს ბიბლიოთეკის გამგედ დაინიშნა პედაგოგი და მწიგნობარი ქალი პელაგია ლორია. ამ უკანასკნელის ინიციატივითა და ენერგიული ხელმძღვანელობით ბევრი რამ გაკეთდა ბიბლიოთეკის მუშაობის გარდასაქმნელად.

1930 წლიდან ბიბლიოთეკას ეწოდა ქუთაისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა და მის პირველ დირექტორად დაინიშნა კოსტა თავბერიძე, ხოლო 1957 წელს, მას დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის სახელი მიეკუთვნა.

1974 წელს ქუთაისში, საჯარო ბიბლიოთეკის ბაზაზე განხორციელდა ქალაქის ბიბლიოთეკების ცენტრალიზაცია. დღემდე ყველა საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკა ექვემდებარება ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკას. საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით, 1997 წელს საჯარო ბიბლიოთეკას შეეცვალა სახელწოდება და ეწოდებოდა ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო-უნინერსალური ბიბლიოთეკა. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 ივლისის დადგენილების საფუძველზე, ბიბლიოთეკის ამჟამინდელი სტატუსი შემდეგნაირად განისაზღვრა: კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

აზოგად, დღეისათვის ქუთაისში ფუნქციონირებს ქალაქის თვითმმართველობის დაქვემდებარებაში მყოფი ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა 22 საქალაქო ფილიალი: 17 საქალაქო და 5 საბავშვო.

2007 წლის სექტემბრიდან ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს საბიბლიოთეკო რეფორმა. რეფორმის მიზანი საბჭოური ტიპის წიგნსაცავიდან თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკაზე გადასვლაა. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკას ოფიციალურად აქვს მინიჭებული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სტატუსი, იგი ჩვეულებრივ აგრძელებს საჯარო

ბიბლიოთეკის ყველა ფუნქციის შესრულებას - ემსახურება მკითხველთა ნებისმიერ კატეგორიას. სამეცნიერო მუშაობა კი წარმოადგენს ბიბლიოთეკის საქმიანობის მთავარ პრიორიტეტს. ამიტომ ბიბლიოთეკაში დაფუძნდა სამეცნიერო საბჭო, რომელშიც გაერთიანებული არიან არა მარტო ბიბლიოთეკის თანამშრომლები, არამედ ქალაქის სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები. საბჭოს უმთავრესი ფუნქციაა, განსაზღვროს ბიბლიოთეკის სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულებები და უზრუნველყოს ბიბლიოთეკის ბეჭდვითი სამეცნიერო ორგანოს გამოცემის ორგანიზება. საბჭოს ეგიდით, თვეში ერთხელ ბიბლიოთეკაში ტარდება საჯარო ლექციები. სამეცნიერო საბჭოს გააჩნია საკუთარი დებულება, რომელიც წარმოადგენს ბიბლიოთეკის დებულების ერთ-ერთ მუხლს და დამტკიცებულია ქუთაისის თვითმმართველობის მიერ.

ახალი სტატუსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ბიბლიოთეკის სტრუქტურამ და საკადრო პოლიტიკამ.

ბიბლიოთეკის კადრების დიდი ნაწილი მაღალინტელექტუალური ძალებით დაკომპლექტდა, ბიბლიოთეკაში სამუშაოდ მოვიდნენ ქალაქის სამეცნიერო ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები.

რაც შეეხება სტრუქტურას, გაუქმდა რამდენიმე განყოფილება, რომელთა პრაქტიკული საჭიროება არ იგრძნობოდა. სანაცვლოდ, შეიქმნა ისეთი მნიშვნელოვანი განყოფილებები და სამსახურები, რომელთა არსებობა აუცილებელია სამეცნიერო ბიბლიოთეკის სრულფასოვანი მუშაობისათვის.

ხარისხის მართვის განყოფილება სისტემატურად აკვირდება მიმდინარე საბიბლიოთეკო საქმიანობას თითოეულ განყოფილებაში, თუ რამდენად მაღალხარისხობრივ დონეზე სრულდება იგი, ე.ი. საბიბლიოთეკო სტანდარტების შესაბამისად. ცალკეულ რგოლებსა და დანაყოფებში წარმოებული პროცესების მაღალი ხარისხი თავისთავად განაპირობებს ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანის შესრულების ხარისხს. განყოფილება ახორციელებს, აგრეთვე, ინოვაციური პროცესების დაწერვასა და მართვას.

ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნად და პერიოდულ გამოცემათა ფონდში ყოველთვის უზვად მოიპოვებოდა უნიკალური გამოცემები მაგრამ, სამუშაოზე, ეს გამოცემები გაბნეული იყო ერთიან საცავში, არასოდეს მომხდარა მათი გამოყოფა, მეცნიერული შესწავლა და რესტავრაცია, არადა უნიკალური წიგნები წარმოადგენს ეროვნულ საგანძურს და მათ განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა ესაჭიროებათ. ამ ხარვეზის გასასწორებლად შეიქმნა იშვიათი გამოცემების განყოფილება. დღისათვის ქართული უნიკალური ფონდის (როგორც წიგნები, ისე ყურნალ-გაზეთები) გამოყოფისა და იშვიათი გამოცემების განყოფილებაში მოთავსების პროცესი თითქმის დასრულებულია. აქ დაცული ყველაზე უძველესი ქართული გამოცემა 1818 წლით თარიღდება; ესაა არისტოტელეს "განსჯანი ბოროტისა და კეთილისა", აქვე ინახება 1853 წელს გამოცემული არჩილის "ცხოვრება თეიმურაზ I-ისა", 1846 წელს ჩუბინაშვილის მიერ გამოცემული "ფეხისტყაოსანი", 1852 წლით დათარიღებული ტიმოთე გაბაშვილის "მიმოხილვა" და სხვა. მალე შევუდგებით უცხოეთიდან იშვიათი გამოცემების გამოყოფას. ცოტა ხნის წინ ბიბლიოთეკამ საჩუქრად მიიღო შალვა ნუცუბიძისა და ქეთევან ძოწენიძის ხელნაწერები. აქამდე ბიბლიოთეკას ხელნაწერთა ფონდი არ გააჩნდა, ამით საფუძველი ჩაეყარა ხელნაწერთა ფონდსაც. ხელნაწერთან ერთად, ბიბლიოთეკამ ასევე საჩუქრად მიიღო ქეთევან ძოწენიძის პირადი საენათმეცნიერო ბიბლიოთეკა. ეს ფონდი

მთლიანად მოთავსდა იშვიათი გამოცემების განყოფილებაში, რადგან ბევრი წიგნი უნიკალურია ტირაჟის თვალსაზრისით, უამრავ მათგანზე კი ისეთი ცნობილი პიროვნებების მინაწერებია, როგორცაა აკ. შანიძე, გ. ახვლედიანი, შ. ძიძიგური და სხვა.

უკვე საბოლოოდ დაფუძნდა და მთელი დატვირთვით მუშაობს რესტავრაციის განყოფილება. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დახმარებით მოხდა სპეციალისტების მომზადება, შეძენილია ყველა საჭირო დანადგარი და სარესტავრაციო მასალები. სამწუხაროდ; რესტავრაციის განყოფილება თითქმის 20 წელი აღარ ფუნქციონირებდა. შესაბამისად, ფონდი მნიშვნელოვნად დაზარალდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია უნიკალური გამოცემები. ზოგიერთი მათგანი იმდენად დაზიანებულია, სექვოა, მოხერხდეს მათთვის პირვანდელი სახის დაბრუნება.

გაიხსნა ბიბლიოთეკათა შორისი აბონემენტის განყოფილება. თანამედროვე ბიბლიოთეკის სრულყოფილი მუშაობა წარმოუდგენელია ამ განყოფილების გარეშე, მით უფრო დღეს, როცა ასე დახვეწილია საკომუნიკაციო საშუალებები. განყოფილების ფუნქციაა, ქვეყნისა და უცხოეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებსა და ბიბლიოთეკებში მოიძიოს და მკითხველს მიაწოდოს ის ლიტერატურა, რომელიც არ მოიპოვება ადგილობრივ ფონდში.

მიუხედავად ბიბლიოთეკის ფონდის და თავად ბიბლიოთეკის სიძველისა, საკადრო და სტრუქტურული ცვლილებებისა, დღეს შეუძლებელია ისაუბრო თანამედროვე ბიბლიოთეკაზე ელექტრონული რესურსების გარეშე. ამიტომაც ბიბლიოთეკა გაძულებით ცდილობს, გამოიყენოს ყველა საშუალება ელექტრონული რესურსების განსავითარებლად. ამისათვის ძირითადად ორი გზა არსებობს:

1. ელექტრონული საინფორმაციო ბაზების შექმნა;
2. ელექტრონულ მონაცემთა ბაზების შექმნა

1. ელექტრონული საინფორმაციო ბაზების შექმნა

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის დახმარებით, ბიბლიოთეკა ყოველწლიურად იწერს ელექტრონულ ბაზებს მსოფლიოს ცნობილი საინფორმაციო ცენტრებიდან, კერძოდ, EBSCO (აშშ - ბოსტონი), ოქსფორდი და კემბრიჯი. ბაზებში თავმოყრილია მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო გამოცემები, უახლესი ინფორმაცია მეცნიერების სხვადასხვა დარგში - ჯანდაცვა, მედიცინა, ბიოლოგია, ფიზიკა, არქეოლოგია და სხვა მრავალი.

ბიბლიოთეკაში მოქმედებს, აგრეთვე, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საინფორმაციო ელექტრონული ბაზა: "კოდექსი-2005". ბაზაში სისტემატურად იტვირთება ყველა საკანონმდებლო ცვლილება თუ სიახლე.

2. ელექტრონულ მონაცემთა ბაზების შექმნა

ცხადია, გაცილებით ძნელია და შრომატევადი საკუთარი ელექტრონული ბაზების შექმნა, ვიდრე ელექტრონული ინფორმაციების შექმნა. საკუთარი ელექტრონული ბაზები გულისხმობს მთელი საბიბლიოთეკო ფონდის ბექტური ვერსიიდან ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას. აქ ორი მიმართულება განიხილება: ა) ელექტრონული ბიბლიოთეკა და ბ) ბიბლიოთეკის ფონდის ელექტრონული კატალოგიზაცია. მუშაობა დაწყებულია ორივე მიმართულებით. მზადდება ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი.

როტულად, მაგრამ ნელ-ნელა ყალიბდება ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. ამ ეტაპზე არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების რაოდენობა საშუალებას იძლევა გარკვეული დოზით განხორციელდეს ბიბლიოთეკის ავტომატიზაცია.

ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდი 1 მილიონ საბიბლიოთეკო დოკუმენტს მოიცავს. ამჟამად მიმდინარეობს აღწერის პროცესი ბიბლიოთეკის ყველა განყოფილებასა და ძირითად საცავში, რათა საბიბლიოთეკო კატალოგებს, საინვენტარო წიგნებსა და რეალურად არსებულ ფონდს შორის ცდომილება აღარ არსებობდეს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბიბლიოთეკის დაკომპლექტების პოლიტიკის სწორად წარმართვას. მიმდინარე დაკომპლექტების ხარისხი ეყრდნობა მკითხველისა და ინფორმაციის მომხმარებელთა თვალსაზრისს, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დააკმაყოფილებს, რამდენად მოძრავი იქნება ესა თუ ის გამოცემა მკითხველებში. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ბიბლიოთეკის მიდგომა, მისი თვალსაზრისი და რეკომენდაცია. ის ბიბლიოთეკარები, რომლებიც სისტემატურად მუშაობენ მკითხველებთან, კარგად ერკვევიან ფონდების შემადგენლობაში, მკითხველთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნებების სტრუქტურაში. საბიბლიოთეკო დოკუმენტების ძირითადი ნაწილი, რომელსაც იძენს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, წარმოადგენს მეცნიერულად ღირებულ გამოცემებს, სამეცნიერო-პოპულარულ მასალებს. პროფილის ხასიათი არ ნიშნავს ბიბლიოთეკის ფონდებში მხოლოდ სამეცნიერო გამოცემების შექმნას. საბიბლიოთეკო ფონდები თავიანთი შინაარსით პასუხობს მკითხველის მრავალფეროვან მოთხოვნებს; ბიბლიოთეკაში შემოტანილი თითოეული საბიბლიოთეკო დოკუმენტი გათვლილია მოსალოდნელი მოთხოვნებისათვის.

ა. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შეიქმნა ფრანკოფონიული სექცია. ბიბლიოთეკას სისტემატურად ეგზავნება საჩუქრად ფრანგული წიგნები და აუდიო-ვიზუალური მასალა.

ბიბლიოთეკას პარტნიორული ურთიერთობა აქვს თბილისის გოეთეს ინსტიტუტთან, რომელთა თანადგომით ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს გერმანული ენის საინფორმაციო ცენტრი.

სპეციალური საბიბლიოთეკო სერვისი მოქმედებს უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ ადამიანებისათვის. მკითხველთა ამ კატეგორიის განკარგულებაშია ხმოვანი (CD-ROM) და ბრაილის შრიფტიანი წიგნები, CD პლეერები, კომპიუტერული პროგრამა "ბუ."

საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება ამზადებს ყურნალ "განთიადის" ბიბლიოგრაფიას, ყურნალის დაარსებიდან დღემდე. სამუშაოს დასრულების შემდეგ ბიბლიოგრაფია გამოიცემა წიგნად.

თვეში ერთხელ, ანტილოგრაფი გამოცდილი კარდების საშუალებით, ტარდება სემინარები ბიბლიოთეკარებისათვის. ტრენინგებს მართავენ, აგრეთვე, მოწვეული საბიბლიოთეკო ექსპერტებიც. ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა არის სამხარეო საკოორდინაციო მეთოდური ცენტრი; ამდენად, ბიბლიოთეკა მეთოდურ დახმარებას უწევს იმერეთის მხარის ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკებს.

ბიბლიოთეკას მულტივი კავშირი აქვს კულტურის სამინისტროსთან, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასა და საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან, რომელთა დახმარებითა და მეთოდური მითითებებით ახორციელებს საბიბლიოთეკო საქმიანობას.

ლ. მესხი, 1971 - ლ. მესხი, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკა, გაზეთი "ქუთაისი," №6, 1971.
 ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა - 110, თბ., 1984.

RITA TSAKADZE

ILIA CHAVCHAVADZE KUTAISI SCIENTIFIC LIBRARY

I.Chavchavadze Kutaisi Scientific Library has been existing for already 136 years. It contains library documents, Georgian, as well as foreign papers and magazines.

The first reading hall was established in 1873 with the initiative of Anton Lortkipanidze, one of the representatives of the most important literary and public movement called "Tergdaleulebi". He granted 1500 books to the newly established public library. The library was called after Ilia Chavchavadze in 1957.

According to the centralization process of libraries executed in 1973 the library took control over eleven civil and five children libraries. In 2007 it was given the status of the scientific library. The library staff and the representatives of the scientific intelligence of the town are enrolled in the scientific board of the library. The scientific board defines the main directions of the library scientific work and organizes the publications of the print scientific organ.

Due to the new status it was essential to implement the changes in the structure and the personnel staff of the library. New important departments were established and the new services were formed.

The library leadership established the department of unique publications in order to study and restore the unique materials. The restorers were trained with the help of National Library of the Georgian Parliament. The new installations and materials were acquired.

The electronic bases were purchased from the world famous information centers with the help of the Georgian Library Association. The library is trying to form its own electronic bases and intends to form the electronic version of the whole library fund.

The library has the close relationship with Dumas French Culture Centre as well as Goethe Institute, which provide the library with new foreign editions.

Special library services are for blind and visually impaired readers, the books with verbal sound and brail print.

Reference-bibliography department provides the bibliography of the magazine "Gantiadi" which is planned to be published as a book.

The library has the permanent contacts with the Ministry of Culture, Library Association, Parliament and National Scientific Libraries.

ემზარ ჭანტურიძე

ქუთაისის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკაში დაცული პირველწყაროებში საქართველოს შესახებ

მსოფლიო ისტორიის ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენა შესაბამის საისტორიო წყაროებშია ასახული. თვითმხილველი, თანადროული პერიოდის მემატრიანეები თუ მათი შემოქმედებითი მემკვიდრეები აკვირდებოდნენ მომხდარ ამბებს და მეტ-ნაკლები სიზუსტითა და მეტ-ნაკლები ობიექტურობით აღწერდნენ თავიანთ საისტორიო შრომებში. საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის, წერილობით წყაროებთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ასევე არქეოლოგიურ, ნუმიზმატურ, დოკუმენტურ მასალასა და ყოველივე მას, რაც წარსულიდან დღევანდლამდე შემოგვრჩა. მათ შორის განსაკუთრებით დიდია წერილობითი წყაროების მნიშვნელობა.

საქართველოს ისტორიის შესახებ არსებული წერილობითი წყაროების გამოვლენასა და გამოქვეყნებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით დიდ ქართველ მეცნიერებს: დ. ბაქრაძეს, ე. თაყაიშვილს, ივ. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძეს, ს. ჯანაშიას, ი. აბულაძეს, ს. ჯანაშვილს, ნ. ბერძენიშვილს, ნ. მარს, ა. შანიძეს, ს. ყაუხჩიშვილს, გ. მელიქიშვილს, ი. აბულაძეს, ა. გამყრელიძეს, ნ. ლომოურს, გ. ალასანიას, ზ. ალექსიძეს, რ. კიკნაძეს, ა. აბდლაძეს, აკ. ურუშაძეს, თ. მიქელაძეს, გ. წერეთელს, ს. ჯიქიას, თ. ყაუხჩიშვილს, ელ. მეტრეველს, ვ. ფუთურიძეს, ჯ. ოდიშელს, ნ. შენგელიას, ი. ტაბაღას, ლ. ჯანაშიას, ნ. კეჭუყაძეს, მ. სვანიძეს... მათ გამოავლინეს, დაადგინეს უცხო ტექსტები, თარგმნეს ქართულ ენაზე და კომენტარებითურთ გამოაქვეყნეს მრავალი საინტერესო დოკუმენტი და ისტორიული მასალა.

ქართველურ ტომებს თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე სხვადასხვა ხალხთან ჰქონდათ მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობა. ამდენად, იმ ხალხთა მწერლობაში გაჩნდა ცნობები ქართველური ტომების შესახებაც. ცნობები დაცულია აღმოსავლურ წარწერებში, ბერძენ, რომაელ, სომეხ, არაბ, სპარსულ, თურქ მწერალთა (ისტორიკოსები, გეოგრაფები, ფილოლოგები...) თხზულებებში, ევროპელ მოგზაურთა და მისიონერთა დღიურებში, ჩანაწერებში, დიპლომატთა მოხსენებით ანგარიშებში. ყველა ეს უცხოენოვანი მასალა საუკეთესო წყაროა საქართველოს ისტორიის შესასწავლად. ამდენად, საქართველოს ისტორიის კვლევისათვის, ქართულენოვან წყაროებთან ერთად, უცხოენოვანი წყაროების გაცნობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში საქართველოს ისტორიის შესახებ დაცული წყაროები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ჩვენ წინამდებარე პუბლიკაცია მიზნად ისახავს, წარმოადგინოს იმ წერილობითი წყაროების

(ბიზანტიური წყაროები მე-3-8 საუკუნეები) ანტირებული ბიბლიოგრაფია, რომელიც დაცულია ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. ყველა წარმოდგენილი წყარო ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ (სულ 81 წყარო „გეორგიკის“ 8 ტ.)

„გეორგიკის“ I ტომის ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1961 წ., I ტ., შეტანილია 22 წყარო.

+ 1) ნიკეის 325 წ. I მსოფ. საეკლესიო კრების ამსახველი ტექსტებიდან ამოკრებილი მასალა. დღევანდლამდე მოღწეულია სხვადასხვა საუკუნის ხელნაწერი ნუსხები ექვს ენაზე: ბერძნული, ლათინური (2 ნუსხა), სირიული, არაბული, სომხური, კობტური. ნუსხებში დაცულია კრების მონაწილეთა სია, შედგენილი საეკლესიო ეპარქიებისა და საეპისკოპოსო კათედრების მიხედვით. ექვსივე ნუსხაში, სხვა ეპარქიების წარმომადგენლებთან ერთად, მოხსენიებულია ნეოკესარიის, ტრაპეზუნდისა და პიტეუნტის (ბიჭვინთის) საეპისკოპოსო კათედრები (ლონგინოზი ნეოკესარიიდან, დომინოს ტრაპეზუნტიდან, სტრატოფილე პიტეუნტიდან). ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია ნ. გელცენის, ნ. ჰილგენფილდის და ო. კუნტცის (1898 წ.) გამოცემული ტექსტების მიხედვით.

+ 2) უცნობი ავტორის „წარმოშობის წიგნი“ და „ქრონიკა 334 წ.“. ორივე თხზულება წარმოადგენს „შესაქმის წიგნის“ ლათინურ დამუშავებას, რომელიც დაცულია, ერთი მხრივ, დამოუკიდებელ გამოცემებში ფრედეგარის ხელნაწერებით და, მეორე მხრივ „334 წ. „ქრონიკაში“. პირველი თხზულების ბერძნულ ორიგინალში წყარობად გამოყენებულია III ს. მოღვაწეების კლიმენტი ალექსანდრიელის „stromata“ და იპოლიტე რომაელის ქრონოგრაფიული ნაწარმოები „lider generation“ („წარმოშობის წიგნი“). წყაროში საუბარია წარღვნის შემდგომი პერიოდის მოვლენებზე, ენათა აღრევის შემდეგ ხალხთა წარმოშობაზე. ორივე წყაროდან ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი შესრულებულია ფრიკის (1892 წ.) გამოცემული ტექსტების მიხედვით.

+ 3) იპოლიტე რომაელი, III ს. მოღვაწე, რომელსაც აქვს დაწერილი „liber generation“ („ხალხთა წარმოშობის წიგნი“). მასში საუბარია სხვადასხვა ტომებზე. მათ შორის ქართველურ ტომებზე და მათ საცხოვრისზე (იბერიელები, ბერანები, სავნები — იგივე სანიგები). აღნიშნულ თხზულებასთან დაკავშირებით უფრო სრული ინფორმაცია იხ. კაკელიძის გამოკვლევაში „ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძვ. ქართულ მწერლობაში“, თსუ შრომები, ტ. VII, 1938 წ., ასევე გ. ჟორდანიას „მეზურელნი“, თბ., 1956 წ.

+ 4) ვესევი კესარიელი (იგივე ვესევი პამფილი), III–IV სს. (260-340 წწ.) საეკლესიო მოღვაწე, რომელსაც დაუწერია ქრისტიანული მწერლობის სხვადასხვა ჟანრის თხზულებები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვნადაა მიჩნეული საისტორიო ხასიათის „ქრონიკა“ (სრული სათაურია „ქრონიკული ნუსხები და მოკლე მიმოხილვა სხვადასხვა ამბებისა, როგორც ელინთა, ისე ბარბაროსთა ისტორიიდან“). ეს თხზულება დაუმთავრებია 303

წელს. მისივე „საეკლესიო ისტორია“ „ქრონიკის“ ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. თხზულებებში დაცულია ცნობები ქართველურ ტომებსა (კოლხები, ტიბარენები, იბერები, ბერანები, სანიგები) და მათ საცხოვრისზე, ანდრია პირველწოდებულის ქადაგებაზე.

აღსანიშნავია, ასევე, ისიც, რომ ევსევი კესარიელს უსარგებლია ჩვენთვის უცნობი პირველწყაროთი, რომელშიც აღნიშნულია, რომ თესალიელნი (ძველი პელაზგების ტერიტორიაზე მცხოვრებნი) თოთბალებსაგან იყვნენ წარმოშობილნი.

†5) ევსტათი ანტიოქიელი (280-360 წწ.), საეკლესიო მოღვაწე. 324-330 წწ.-ში ანტიოქიის ეპისკოპოსი. ნიკეის I მსოფ. საეკლესიო კრებაზე (325 წ.) იბრძოდა არიანოზელთა წინააღმდეგ. 330წ. ანტიოქიის არიანოზულმა კრებამ ის გადააყენა ეპისკოპოსობიდან, ხოლო კონსტანტინე კეისარმა ევსტათი გადაასახლა თრაკიაში, სადაც გარდაიცვალა 360 წელს.

მის შრომებში დაცულია ცნობები ქართველური ტომების (თეობელები-თუბალები-იბერები, მესხები-მესხენები ევსტათის მიხედვით კაპადოკიელები) შესახებ.

†6) კესარიოს ნაზიანზელი (გრიგოლ ნაზიანზელის უმცროსი ძმა), IV ს. მოღვაწე (გარდაიც. 368 წ.), მის ნაშრომთაგან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ერთი დიალოგის ფრაგმენტი, რომელიც, მკვლევართა აზრით, ჩაწერილი უნდა იყოს კესარიოსის გარდაცვალების შემდეგ — 395წ. დიალოგში საუბარია ამპონებზე, პონტოს ჩრდ. და აღმოსავლეთ სანაპიროებზე მცხოვრებ ტომებზე.

†7) ეპიფანე კვიპრელი (314-403 წწ.), საეკლესიო მოღვაწე. 367 წლიდან კონსტანციის ეპისკოპოსი (ძველი სალაშინი). მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე, ის დაუღალავად იბრძოდა მწვალებლური მიმდინარეობების წინააღმდეგ.

ეპიფანეს შრომებში დაცულია ცნობები სხვადასხვა ტომთა წარმომავლობისა და მათი საცხოვრისის შესახებ. მათ შორისაა ქართველური ტომები: ხალიბები, ფსილიტები, ლაზები, მოსინიკები, იბერები, ამაზონები, კოლები, ტიბარენები, კოლხები, მელასქენები (კაპადოკია, ლაზია, იბერია).

†8) თემისტოხოსი, IV ს. გამოჩენილი ფილოსოფოსი და რიტორი, უმაღლესი რიტორიკული განათლება მასა და მის მამასაც მიუღიათ „კოლხების ქვეყანაში“, ქ. ფაზისში (ან „ფაზისის მახლობლად“). ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმპერატორ იულიანე „განდგომილთან“. გარდაიც. დაახ. 387-388 წ. მის თხზულებებსა და წერილებში დაცულია ცნობები ქართველურ ტომებზე: იბერიელებზე, კოლხებზე და აქ არსებულ რიტორიკულ სკოლაზე, რომელსაც ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს — უწოდებს „მუზების ტაძარს“. მისი ცნობები გამოირჩევა დამაჯერებლობითა და სანდოობით.

†9) ლიბანიოსი (314-393 წწ.), ფილოსოფოსი. ჰქონდა გახსნილი თავისი სკოლა ჯერ კონსტანტინეპოლში, შემდეგ ნიკომედიაში, ბოლოს კი თავის მშობლიურ ქ. ანტიოქიაში, სადაც ის სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. თავისი მსოფლმხედველობით ის ბოლომდე წარმართი

დარჩა. ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმპერატორ იულიანესთან, ასევე დაახლოებული ყოფილა ბიზანტიაში მოღვაწე ქართული სამეფო გვარის შთამომავალთან ბაკურთან, რომელსაც თავის ახლო წრეში ზშირად აქვს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბაკური ასევე მოხსენებული ჰყავს გელასი კესარიელს (ქართლის მოქცევის საკითხთან დაკავშირებით), ამიანე მარცვლინეს, რუფინუსს.

➔ 10) აგათანგელოსი, IV ს. სომეხი ისტორიკოსი, რომლის „სომეხთა მოქცევის“ ისტორია ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ VIII ს. რედაქტირებული სომხური ტექსტით. „გეორგიის“ I ტომში შეტანილი ტექსტი თარგმნილია 1107 წ. გადაწერილი ტექსტიდან, რომელიც გამოაქვეყნა ყ. გარიტმა 1906 წ. „Византийский Временик“-ის XII ტ. ნაშრომი გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება. მას ტენდენციურად აქვს გადმოცემული გრიგოლის „ღვაწლი“ სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა გაქრისტიანების საქმეში. ყველასათვის ცნობილია, რომ გრიგოლის მოღვაწეობა არანაირად არ უკავშირდება ქართლის მოქცევასთან დაკავშირებულ საკითხებს. აგათანგელოსის მსჯელობიდან გამომდინარე, მთელი კავკასია, მათ შორის ქართული სამეფოები (ქართლი-იბერია და ლაზიკა) ემორჩილებოდა სომეხთა მეფე ტირიდატს, რაც ყოველგვარ რეალობას მოკლებულია. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, აგათანგელოსის „სომეხთა მოქცევა“ „სომხური ეროვნული მონოფიზიტური საეკლესიო წრების სულიკვეთების გამოხატველია“.

➔ 11) ამიანე მარცვლინე (დაახლ. 330-332-392-393 წწ.) გვიანანტიკური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. მისი „ისტორია“ მოიცავს 96-378 წწ-ს. მისი ნაშრომის 31 წიგნიდან ჩვენამდე მოღწეულია 18 (XIV-XXXI). მას „ისტორიის“ წერისას უსარგებლია ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების (ლივიუსი, ტაციტუსი, პტოლემეაოსი, პომპონიუს მელა ერასტოსეუსი, დიონეისი პერიეგეტი ...) შრომებითა და ოფიციალური დოკუმენტური მასალით. ნაშრომში მოთხრობილია იბერიის მეფე მირიანისა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხები. აღწერს ქართველური ტომების (ხალიბები, ბიზარები, საპირები — საბირები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები-ჭანები, ფილირები, ჰენიოხები) საცხოვრისსა და მათ საქმიანობას. უხვი ცნობებია ასევე დაცული რომსა და სპარსეთს შორის IV ს. გაჩაღებულ ომებში იბერთა მონაწილეობაზე.

➔ 12) ევნაბი სარდელის (IV-V სს. 354-420 წ.) („მოსაჯონარი ამბები“ „ისტორიული ჩანაწერები“) შრომების ფრაგმენტებია ჩვენამდე მოსული, ბოლო ნაშრომი შედგებოდა 14 წიგნისაგან და მოიცავდა 270-404 წლის ამბებს. საუბარია ერთ-ერთი კოლხი მეომრის, საქურის ევტროპიოსის, მეშუბეთა უფროსის სუბარმახიოსისა და კოლხურ მითებზე.

➔ 13) "Notitia dignitatum" — ეს წყარო არის V ს. დასაწყისში ოფიციალური წიგნების მიხედვით შედგენილი ძეგლი, რომლის სრული სათაურია „ნუსხა ყველა თანამდებობისა და მმართველობისა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედროსი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეებში“.

„ნოტაციაში“ დაცულია ცნობები ქართველური ტომებიდან (აბაზგების, იბერების, ჭანების) დაკომპლექტებული რაზმების ბიზანტიის ჯარში სამსახურის შესახებ.

†14) გელასი კესარიელი, IV ს. (გარდაიცვ. 395 წ.) საეკლესიო მოღვაწე, ისტორიკოსი, 339-395 წწ.-ში პალესტინის კესარიის ეპისკოპოსი. მას დაუწერია „საეკლესიო ისტორია“, რომელსაც მომდევნო პერიოდის ისტორიკოსები (თეოდანე, გიორგი მონაზონი, ჰიერონიმე, ფოტიუსი, რუფინუსი) იყენებენ როგორც პირველწყაროს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის ცნობებს საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან დაკავშირებით.

გელასი კესარიელი თავის „საეკლესიო ისტორიაში“, სხვა ავტორებისაგან განსხვავებით, გვაწვდის ცნობას იბერების მოქცევის, „იმავე ხანებში“, ე.ი. კონსტანტინე I-ის მეფობის დროს — ლაზების მოქცევის შესახებ.

†15) რუფინუსი - IVს. მეორე ნახევრის — Vს. დასაწყისის (გარდაიცვ. 410 წ.) საეკლესიო მოღვაწეა. მას დაუწერია 11 წიგნისაგან შემდგარი „საეკლესიო ისტორია“, რომლის წინა თავები წარმოადგენს ევსევი კესარიელის „საეკლესიო ისტორიის“ თარგმანს. ბოლო ორი — X-XI — წარმოადგენს რუფინუსის მიერ გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორიის“ თარგმანს ლათინურ ენაზე, სადაც შიგადაშიგ ორიგინალური ამბებიც ჩაურთავს. ამდენად, რუფინუსის „საეკლესიო ისტორია“, რომელიც ორიგინალურ ნაწარმოებად იყო ცნობილი, წარმოადგენს გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორიის“ ბერძნული ტექსტის თარგმანს.

†16) თეოდორიტე კვირელი V ს. (393-457/8 წწ.) საეკლესიო მოღვაწე, იოანე ოქროპირის ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე.

„გეორგიკის“ I ტომში შეტანილია ამოკრებილი მასალა მისი „საეკლესიო ისტორიიდან“ და „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების“; მათში მოთხრობილია იბერთა (ქართლის) მოქცევაზე, წმ. ნინოზე და მის ქადაგებაზე ქართლში, ეკლესიის მშენებლობაზე. ეკლესიის ორგანიზაციასა და სასულიერო პირების ხელდასმაზე. გარდა იბერებისა, თეოდორიტეს დასახელებული ჰყავს ის ქართველური ტომები (აფხაზები, ლაზები, სანები, აბაზგები), რომლებმაც აღიარეს ქრისტეს სჯული. გარდა ამისა, ის ურთავს განმარტებებს, თუ რა სახელით იყვნენ ადრე მოხსენებული ეს ტომები. მაგ.: მოსოხ//კაბადოკიელებია, თობელ//იბერები.

†17) სოკრატე სქოლასტიკოსი (380-440 წწ.). მისი ნაშრომი „ისტორია“ გაგრძელებაა ევსევი კესარიელის „საეკლესიო ისტორიისა“. სოკრატეს „ისტორია“ მოიცავს 305-439 წლების ამბებს. ნაშრომის წერისას სოკრატეს გამოუყენებია რუფინუსის, ევსევი კესარიელის, ათანასეს და ევტროპის შრომები. ასევე საეკლესიო კრებათა აქტების კრებული და ეპისკოპოსთა სიები. „ისტორიაში“ მოთხრობილია იბერთა მოქცევის ამბები. რადგანაც მისი ერთ-ერთი წყარო რუფინუსი იყო, ამიტომ იმეორებს მის მცდარ ინფორმაციას, რომ იბერთა მოქცევის შესახებ რუფინუსს უამბო იბერთა უფლისწულმა ბაკურმა. განსხვავება ის არის, რომ რუფინუსს ბაკური მოხსენიებული ჰყავს, როგორც ამ ხალხის მეფე, სოკრატე კი მოიხსენიებს ბაკურს უფლისწულად.

18. ერმია სოზომენე V ს. ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწეა. მისი „საეკლესიო ისტორიის“ მხოლოდ ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული. სოზომენე მთლიანად სოკრატეზეა დამოკიდებული, თუმცა გამოყენებული აქვს სხვა წყაროები, რომელსაც არ ასახელებს.

“გეორგიკის” I ტომში შეტანილია მისი „საეკლესიო ისტორიის“ მხოლოდ VII წიგნის VII თავიდან ამოკრებილი მასალა, სადაც საუბარია იბერთა მოქცევაზე, არგონავტებსა და იოანე ოქროპირის გადასახლებაზე ბიჭვინთაში.

19. ზოსიმე V-VI-სს. ისტორიკოსია. მისი ისტორია მოიცავს იმპერატორთა მმართველობის ხანას. უფრო დაწვრილებით აქვს აღწერილი 395-410 წლების ამბები. „ისტორიის“ წერისას მას გამოუყენებია წინადროინდელ ისტორიკოსთა თხზულებები, მათ შორის ენაპი სარდელის (345-420 წწ.) „ისტორიაც“. ზოსიმეს „ისტორიის“ I წიგნში მოთხრობილია რომაელთა 256 წ. მოწყობილ ლაშქრობაზე დასავლეთ საქართველოში. II წიგნში საუბარია მდ. ფაზისზე (რიონი) არსებული სიმაგრეების შესახებ. IV წიგნში დაცულია მასალა ბიზანტიის არმიაში მოღვაწე იმ ქართველ სარდალ ბაკურზე, რომელსაც ასევე მოიხსენიებენ: გელასი კესარიელი, გიორგი ამარტოლი, ლიბანიოსი, ამიანე მარცელინე. მათგან განსხვავებით ზოსიმე ბაკურს წარმომავლობით სომხად მიიჩნევს.

20. პრისკე პანიონელი VI ს. სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი, რომლის თხზულება „გუთების ისტორიის“ ძირითადი ნაწილი (433-474 წწ.) დაკარგულია და ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ფრაგმენტები, კონსტანტინე პორფიროგენეტის (კეისარი 912-959 წწ.) ბრძანებით შედგენილ კრებულში „ელჩობის შესახებ“. პრისკე პანიონელის „გოთების ისტორიის“ შემორჩენილი თხზულებიდან “გეორგიკის” I ტომში შეტანილია მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი, სადაც დაცულია უნიკალური ცნობები საქართველოში სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობითი წესის შესახებ (გუბაზ I-ის მეფობის პერიოდი). პრისკეს მიხედვით, V საუკუნის შუა ხანებში ლაზეთი უკვე ქრისტიანული ქვეყანა ყოფილა. პრისკე პანიონელის მიერ აღნიშნული განამტკიცებს გელასი კესარიელის მიერ „ეკლესიის ისტორიაში“ გამოთქმულ მოსაზრებას „იმავე ხანებში“ (კეისარ კონსტანტინე I-ის მეფობის წლებში) იბერების და ლაზების მოქცევის შესახებ.

21. იოსებ ფლავიუსი, ახ. წ. II ს. (37-95 წწ.) ებრაელი ისტორიკოსი, სასულიერო წრიდან გამოსული. დედის მხრიდან მაკაბელთა სამეფო გვარიდან იყო. მისი მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებით ყურადსაღებია „იუდეველთა სიძველენი“ და „იუდეველთა ომები“.

“გეორგიკის” I ტომში შეტანილი ფლავიუსის ნაშრომებიდან ამოკრებილ მასალაში საუბარია ქართველურ ტომებზე და მათ ურთიერთობაზე რომთან: თუბალები, რომელთაც, ფლავიუსის განმარტებით, იმ დროისათვის იბერები ეწოდებოდათ; მოსოხინები-მოსოხი-მესხები, რომელთაც უკვე კაპადოკიელები ჰქვიადათ, ჰენიოხები, კოლხები.

იოსებ ფლავიუსის ნაშრომებიდან ამოკრებილი მასალა შეტანილია, ასევე, საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების სერიით 1983წ.

გამოცემულ „ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“ №28, რომელიც ძველი ბერძულიდან თარგმნა, გამოიკვლია და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. „მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელ სიტყუაობისანი“ ორ ტომად გამოიცა 1987 და 1988 წწ. ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. მელიქიშვილმა.

† 22. ჰიდატუსის „ქრონიკა“.

ახ. წ. VI. რომაელი ისტორიკოსი ჰიდატუსი დაბადებულია 393წ. ესპანეთის პროვინცია გალისიაში. „გეორგიკის“ I ტომში შეტანილია მისი თხზულება „ქრონიკიდან“ მხოლოდ ერთი ფრაგმენტი, სადაც მოთხრობილია იმპერატორ მარკიანეს (450-457 წწ.) დროს ბიზანტიელთა ლაშქრობის შესახებ ლაზეთში გუბაზ I-ის წინააღმდეგ. ანალოგიური ცნობა დაცულია პრისკე პანიონელის „ისტორიაში“ (იხ. გეორგიკა, ტ I, გვ. 254-255).

„გეორგიკის“ II ტომი გამოცემულია 1965 წელს. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. II ტომში შეტანილია V-VI სს. 5 ავტორის 12 თხზულებიდან ამოკრებილი მასალა: ანონიმი ავტორის „იუსტინიანეს ნოველები“, პროკოპი კესარიელი, იოანე ლიდე, იოანე რუფუსის ორი ნაწარმოები.

† 23. VI. ანონიმი ავტორის თხზულება „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, მკვლევართა მოსაზრებით, დაწერილი უნდა იყოს VI. II ნახევარში. საქართველოს შავიზღვისპირა სანაპიროების აღწერისას უცნობი ავტორი ეყრდნობა არიანეს, მენიპე პერგამონელის, მარკიანე ჰერაკლელის, ფსევდო სკიმნოსის, სკილაქს კარიანდელის შრომებს. მასში ჩამოთვლილია საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ქალაქები და მდინარეები. ანონიმ ავტორს დასახლებული ჰყავს ქართველური ტომები (ჰენიოხები, მაქლონები, ბიზირები, ზიდრიტები, კოლხები, რომლებსაც იმ პერიოდისათვის უკვე ლაზებად მოიხსენიებდნენ. დრილები, აფსილები, აბაზგები, სანიგები, ტიბარენები, მელანქლენები, კერკეტები, მოსინიკები, მაკრონები...) და ტერიტორია სადაც ეს ტომები ცხოვრობდნენ.

ანონიმ ავტორს, ისე როგორც მის პირველწყაროს, არიანეს, აღნიშნული აქვს, რომ იმ ტერიტორიაზე „ძველი ლაზიკიდან“ ვიდრე აქეუნტის მდინარემდე წინათ ცხოვრობდნენ: ჰენიოხები, კორაქსები, კილიკები, მელანქლენები, მაქლონები, კოლხები ლაზები: ამჟამად კი ცხოვრობენ ჩიქებო.

† 24. იუსტინიანეს ნოველები — VI საუკუნის იურიდიული ძეგლია, რომელიც წარმოადგენს 534 წლის შემდეგ იუსტინიანე კეისრის მმართველობის წლებში 527-565 წწ. გამოცემულ ახალ საკანონმდებლო აქტების კრებულს. იუსტინიანეს სიცოცხლეში ნოველები ქვეყნდებოდა ცალ-ცალკე. კრებულის სახით მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. ჩვენამდე სულ მოსულია 169 ნოველა. „გეორგიკის“ I ტომში შეტანილია მხოლოდ ორი IX (I) და XXXI (XXXIII) ნოველა, რომლებიც უშუალოდ ეხება VI საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხებს.

†25. პროკოპი კესარიელი VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი. ჩვენამდე მოღწეულია მისი სამი თხზულება: „პოლემიკა“ პროკოპი კესარიელის ძირითადი ნაშრომია. ის შედგება 8 წიგნისაგან, დაწერილია 545-553 წლებში. ეს ნაშრომი იყოფა სამ მონაკვეთად:

1) ომი სპარსელებთან; 2) ომი ვანდალებთან; 3) ომი გუთებთან. „ომების“ VIII წიგნი მოგვითხრობს საომარი ოპერაციების მიმდინარეობას ყველა ფრონტზე.

2) პროკოპი კესარიელის მეორე ნაშრომია „შენობათა შესახებ“, დაწერილია 6 წიგნად, 553-555 წწ. მკვლევართა ვარაუდით, პროკოპი კესარიელს ეს თხზულება იუსტინიანე კეისრის დავალებით უნდა დაეწერა.

3) „საიდუმლო ისტორია“ - ეს თხზულება იმავე ხანებშია დაწერილი, როცა იწერებოდა „ომების“ ისტორია. პროკოპი მას წერდა ყველასაგან ფარულად. ის მხოლოდ 1623 წელს აღმოაჩინა ნ. ალემანიმ ვატიკანის ბიბლიოთეკაში.

პროკოპი კესარიელის სამივე თხზულება შეიცავს შესანიშნავ ცნობებს VII. საქართველოს ისტორიის შესახებ.

†26. იოანე ლიდე VIს. ბიზანტიელი ისტორიკოსი, პროკოპი კესარიელის თანამედროვეა. ღღევანდლამდე მოღწეულია მისი 3 ნაშრომი: 1) „თვეების შესახებ“, რომელიც შედგებოდა 4 წიგნისაგან, რომლის მხოლოდ ფრაგმენტებია მოღწეული; 2) „ციურ ნიშანთა შესახებ“ და 3) „რომაელთა სახელმწიფოს თანამდებობათა შესახებ“, რომელიც შედგება 3 წიგნისაგან. თხზულება მოიცავს ხანას ენესიდან იუსტინიანემდე. სავარაუდოდ, თხზულება დაწერილი უნდა იყოს 554წ. თხზულება მთლიანობაში, განსაკუთრებით მისი ბოლო ნაწილი (რომელიც ეხება VIს. - ავტორის თანამედროვე ხანას), წარმოადგენს საუკეთესო პირველწყაროს VIს. საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

†27. „გეორგიის“ II ტომში დამატების სახით შეტანილია ამოკრებილი მასალა იოანე რუფუსის (გარდაიცვალა 408 წ. შემდგომ ახლო ხანებში) თხზულებებიდან: „პეტრე იბერის ცხოვრება“ და „პლეროფორიები“. რუფუსის პირველი თხზულება ცნობილი მკვლევრების (ედ. შვარცი, ს. ყაუხჩიშვილი, ივ. ჭავჭავაძე, შ. ნუცუბიძე, ავ. გაწერელია) მტკიცებით, დაწერილი ყოფილა ბერძნულად. ჩვენამდე მოღწეულია მისი სირიული თარგმანი, რომელიც 1895 წ. გერმანული თარგმანით გამოსცა რ. რააბემ. სწორედ ამ ტექსტზე დაყრდნობით შეასრულა ქართული თარგმანი და შეიტანა „გეორგიის“ II ტომში ს. ყაუხჩიშვილმა. ნაშრომში აღწერილია ცნობილი ქართველი მოაზროვნის, პეტრე იბერის, წარმომავლობა, ცხოვრება და მოღვაწეობა.

„პლეროფორიები“ გვაწვდის ცნობებს ქალკედონის 451 წ. საეკლესიო კრების შემდეგ გაშლილი იდეოლოგიური ბრძოლის შესახებ უმთავრესად პალესტინაში და გვაცნობს ამ ბრძოლის ეპიზოდებს, რომლებიც პეტრე იბერის წრეში ხდებოდა.

„გეორგიის“ III ტომში შეტანილი ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო აკად. ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1936 წ. აღნიშნულ ტომში შეტანილია VI ს. 10 მწერლის თხზულება და ერთი დამატება.

† 28. VI საეკლესიო მოღვაწე ზაქარია რეტორის მრავალრიცხოვანი შრომებიდან “გეორგიის III ტომში შეტანილია “საეკლესიო ისტორიის“ ის ნაწილი, რომელიც ეხება პეტრე იბერიის ცხოვრებას. გარდა ამისა, ჩვენამდე მოღწეულია პეტრე იბერიელის ცხოვრების ასურული ტექსტი 1895 წ. რ. რაბეს გამოცემული და ქართული ტექსტი “ცხოვრება პეტრე იბერიის“ ნ. მარის გამოცემული 1896 წ.

გეორგიის III ტომში შეტანილი ზაქარია რეტორის ნაშრომის ქართული თარგმანი შესრულებულია კ. არენსის და გ. კრიუგერის მიერ გამოცემული (1899წ.) გერმანული თარგმანის მიხედვით, რომელიც შედარებულია ჰამილტონის და ბროკსის მიერ გამოცემულ (1899წ.) ინგლისურ თარგმანს.

† 29. აგათია სქოლასტიკოსი VI საუკუნის ისტორიკოსი (536-582 წწ.). მისი ნაშრომი „ისტორია“ მოიცავს 552-558 წწ. ამბებს. ნაშრომზე მუშაობისას, სხვა წყაროებთან ერთად, აგათიას გამოუყენებია სპარსული ქრონიკები. “გეორგიის“ III ტომში შეტანილი მასალა ძირითადად ასახავს სამხ.-დას. საქართველოში მიმდინარე ამბებს (ლაზიკაში, ჭანეთში).

ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი შესრულებულია დინდორფისა (1871 წ.) და დე ბოორის (1903 წ.) მიერ გამოცემული ტექსტების მიხედვით.

† 30. საბას ანდერძი VI საუკუნის ძეგლია. ანდერძი დაწერილია პალესტინის ცნობილი ლავრის დამაარსებელ საბას (გარდაიცვალა 524 წ.) მიერ. ანდერძი წარმოადგენს მონასტრის წესდებას, რომლის დაცვა-შესრულება საბას გარდაცვალების შემდეგ ევალებოდათ ლავრის წინამძღვრებს.

საბას ანდერძიდან ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი შესრულებულია დიმიტრიევსკის (1890-1895 წწ.) და კურტცის (1894 წ.) მიერ გამოცემული ტექსტების მიხედვით.

† 31. პეტრე პატრიკიოსი (500-562 წწ.) ისტორიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე. მას დარჩა ორი თხზულება: „ისტორია“ და „სახელმწიფო წყობილების შესახებ“. ორივე თხზულების 17 ფრაგმენტი შესულია კონსტანტინე პორფიროგენეტის შრომებში.

პეტრე პატრიკიოსის „ისტორიიდან“ შერჩეული ფრაგმენტების ქართული თარგმანი შესრულებულია დინდორფის (I ტ.) და დე ბოორის მიერ გამოცემული ტექსტების მიხედვით.

† 32. იოანე ეპიფანელი VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი, რომლის ნაშრომის მხოლოდ ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული. მისი თხზულება მოიცავს 572-592 წწ. ამბებს. მისი ცნობები განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რადგანაც ის არა მარტო მომსწრე იყო აღწერილი ამბების, არამედ მისი მონაწილეც.

იოანეს ტექსტის ფრაგმენტების ქართული თარგმანი შესრულებულია დინდორფის და მიულერის მიერ გამოცემული ტექსტების მიხედვით.

† 33. მენანადრე პროტიქტორი, VI საუკუნე, ბიზანტიელი ისტორიკოსი. მისი „ისტორია“ გაგრძელება აგათიას თხზულებისა და მოიცავს 558-582 წწ. ამბებს. ნაშრომი ჩვენამდე ფრაგმენტების სახითაა მოღწეული,

რომლის ძირითადი ნაწილი დაცულია სვიდას ლექსიკონში და კონსტანტინე პორფიროგენეტის შრომებში.

ბერძნული ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია ნებურის (1829 წ.), მიულერის (1885 წ.), დინდორფის (1871 წ.), დე ბოორის (1903 წ.) გამოცემული ტექსტების მიხედვით.

†34. თეოფანე ბიზანტიელი VI საუკუნის ისტორიკოსი, რომლის „საისტორიო თხზულებიდან“ ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ 4 ნაწყვეტი, რომელიც დაცულია ფოტიოსის ბიბლიოთეკაში. თეოფანეს თხზულების ერთ-ერთ ფრაგმენტში დაცულია ცნობა ქართველთა და სომეხთა ერთობლივ აჯანყებაზე სპარსელების წინააღმდეგ 571 წ. თეოფანეს ცნობით, იბერებს მამინ მეთაურობდა გორგენი. ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით, ის უნდა იყოს ქართულ წყაროებში ნახსენები გუარამ ერისთავი.

ქართული თარგმანი შესრულებულია ნებურის, დინდორფის, ბეკერის მიერ გამოცემული ტექსტების მიხედვით.

†35. იოანე მალალა, VI საუკუნის პირველი ბიზანტიელი ქრონოგრაფისტი. მისი „ქრონოგრაფია“ წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას, რომელიც მოიცავს პერიოდს ქვეყნის დასაბამიდან ავტორის დრომდე. ნაშრომი ჩვენამდე მოღწეულია XI ს. ხელნაწერით. თხრობა მთავრდება 553 წლით. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ თხრობა 574 წ. გრძელდებოდა.

„გეორგიკის“ III ტომში შეტანილი ბერძნული ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია დინდორფის, დე ბოორის და შენკის მიერ გამოცემული ტექსტების მიხედვით.

†36. სტეფანე ბიზანტიელი, VI ს. მოღვაწე, 55 წიგნისაგან შემდგარი გეოგრაფიული ლექსიკონის ავტორი. მას, როგორც წყარო, გამოუყენებია ჰეკატე მილეტელის, ჰეროდოტეს, თუკიდიდეს, პოლიბიოსის, სტრაბონის შრომები. სტეფანე ბიზანტიელის ლექსიკონიდან ამოკრებილ მასალაში დაცულია ცნობები საქართველოს სხვადასხვა პროვინციასა და ქართველურ ტომებზე (აფსილები, კოლხები, ლაზები, დრილები, იბერები, ჰენიოხები...). ქართული თარგმანი შესრულებულია დინდორფის (1825 წ.), მაინეკის (1849 წ.) გამოცემული ტექსტების მიხედვით.

†37. ევაგრე სქოლასტიკოსი, VI საუკუნის მოღვაწე. დაწერილი აქვს 6 წიგნისაგან შემდგარი „საეკლესიო ისტორია“, რომელიც მოიცავს 431-594 წლების ამბებს. ნაშრომში საუბარია პეტრე იბერიელზე, კონსტანტინეს გაქრისტიანებაზე, იბერიასა და კოლხეთზე, სომეხთა და ქართველთა განდგომაზე სპარსთაგან.

†38. დამატება: ბიზანტიური ეპოქის ციხესიმაგრეები ლაზეთში (შორაპანი-სარაპანისი, სკანდე, ვარდციხე-როდოპოლისი, ტოლები-ტელეფისი, ისულა-ნესოსი, ლენაკის რ-ნი/, ნოქალაქევი, ციხისძირი).

„გეორგიკის“ IV ტომში შესულია რვა ავტორი და ორი დამატება.

ბერძნული ტექსტი თარგმანიურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1952 წ.

†39. ბასილი სოფონელი VI ს. მოღვაწე, რომელმაც დატოვა აღწერილობა სადაც ჩამოთვლილია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს

სამიტროპოლიტოები, მასში შემავალი საეპისკოპოსო კათედრები და ავტოკეფალური ეკლესიები. ნაშრომი შეიცავს ბიზანტიის იმპერიის პროვინციათა და ქალაქთა ნუსხას. ამდენად ნუსხა საერო ხასიათისაა და წარმოადგენს ბიზანტიის იმპერიის ადმინისტრაციულ აღწერას. აღწერაში მოხსენიებულია „ლაზიკის“ და „როდოპოლის“ ეპარქიები.

†40. ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი VIII-IX სს. საეკლესიო მოღვაწე; მას, საღვთისმეტყველო ნაშრომებს გარდა, დაუწერია ორი ისტორიული ხასიათის თხზულება: 1) მოკლე ისტორია მაკრიკის მეფობის დროიდან. თხზულება მოიცავს 602-769 წწ. 2) მოკლე ქრონოგრაფია. ეს ნაშრომი წარმოადგენს მოკლე, მშრალ ქრონოლოგიურ ნუსხას ადამიდან კეისარ ნიკიფორე I-ის გარდაცვალებამდე (829წ.).

†41. ნიკოლოზ მისტიკოსი (852-925 წწ.), საეკლესიო მოღვაწე. ის ორჯერ იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქი (901-907 და 912-925 წწ.) მისი წერილები საყურადღებო ცნობებს შეიცავს იმდროინდელ პოლიტიკურ და საეკლესიო ცხოვრებაზე.

†42. კონსტანტინე VII პორფიროგენეტი, ბიზანტიის კეისარი (912-959 წწ.), ისტორიკოსი. მან დაწერა რამდენიმე ორიგინალური და კომპილაციური ხასიათის ნაშრომები: „გეორგიკის“ IV ტომში შეტანილია მისი 3 თხზულება „ბიზანტიის სამეფო კარის ცერემონიები“, „ბასილ მეფის ცხოვრება“, „სახელმწიფო მართვის შესახებ“, სადაც აღწერილია სამეფო კარზე სხვადასხვა შემთხვევების დროისთვის მიღებული წესები.

†43. იოსებ გენესიოსი X საუკუნის მოღვაწე, რომელსაც 945-959 წწ. დაუწერია საისტორიო შრომა „მეფობანი“. შრომა მოიცავს 813-867 წწ. ისტორიას, საკმაოდ ტენდეციურად დაწერილს. წყაროებად გამოუყენებია ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის, დავით პავლაგონელის, ივნატი პატრიარქისა და გიორგი ამართლის შრომები. „მეფობანი“ შედგება 4 წიგნისაგან. მე-4 წიგნს დამატების სახით დართული აქვს ბასილ I-ის მეფობის ისტორია.

†44. გიორგი ამართლი, შემოკლებული „ქრონოგრაფიის“ ავტორი, IX საუკუნის საეკლესიო მოღვაწე. ნაშრომი წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას 842 წლამდე. „ქრონოგრაფიაზე“ მუშაობა დაუშთავრებია 867წ. მასში საუბარია ქართველთა და სომეხთა მოქცევაზე. გიორგი ამართლის ნაშრომი ქართულად ითარგმნა ჯერ კიდევ XIIს. არსენ იყალთოელის მიერ. „ქრონოგრაფიის“ ქართული თარგმანი, რომელიც „გეორგიკის“ IV ტომშია შესული, შესრულებულია დებორის მიერ 1904წ. გამოცემული ტექსტის მიხედვით.

†45. სვიდას ლექსიკონი, რომლის სახელით მოღწეულია ჩვენამდე XI ს. შუა წლებში შედგენილი ლექსიკონი. საისტორიო ხასიათის განმარტებისათვის ავტორს უსარგებლია კონსტანტინე პორფიროგენეტის კრებულებში მოთავსებული ნაწყვეტებით ისტორიკოსთა თხზულებებიდან. ხოლო ენობრივი ხასიათის განმარტებებისათვის კი ჰარპოკრატონის, ჰელადიოს ალექსანდრიელის და ევდემოსის ლექსიკონებით. ქართული თარგმანი შესრულებულია ი. ბეკერის (1854წ.) გამოცემული ტექსტის მიხედვით.

46. თეოფანეს გამგრძელებელი (Xს.). ეს საისტორიო თხზულება „ქრონოგრაფია“ ეკუთვნის არა ერთ, არამედ 3 ავტორს. ეს თხზულება მოიცავს 813-961 წწ. და აგრძელებს თეოფანე უამთაადმწერლის „ქრონოგრაფიას“. წყარობად გამოუყენებიათ გენესიოსის „მეფობათა ისტორია“, კონსტანტინე პორფიროგენეტის შრომები, გიორგი ამარტოლის „გამგრძელებლის“ თხზულება.

ქართული თარგმანი შესრულებულია ი. ბეკერის მიერ 1838 წ. გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„გეორგიკის“ V ტომში შეტანილი ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო აკად. ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1963წ. აღნიშნულ ტომში შეტანილია XI ს. ექვსი წყარო.

47. ლონ გრამატიკოსი X-XI სს. ქრონოგრაფოსი. ჩვენამდე მოღწეულია მისი ნაშრომი „ქრონოგრაფია“, რომელშიც თბრობა იწყება ადამის გაჩენიდან და მთავრდება ბიზანტიის კეისარ რომანოზ I ლეკაპენის (919-944 წწ.) გარდაცვალებამდე. ავტორს თავისი თხზულების დაწერა დაუმთავრებია 1013 წ. ნაშრომის ძირითადი ნაწილი კომპილაციას წარმოადგენს. საკუთრივ მისი დაწერილი თხზულების ბოლო ნაწილი მოიცავს 811-944 წწ.

ლონ გრამატიკოსს თავის თხზულებაში მოცემული აქვს ხალხთა წარმოშობის გენეალოგიური სია, მათ შორის ნახსენებია ქართველური ტომები.

ლონ გრამატიკოსის „ქრონოგრაფიიდან“ ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი შესრულებულია ბეკერის (1842 წ.), პატცოვის (1894 წ.), პრეგერის (1892 წ.), ბოორის (1897 წ.) და სხვათა გამოცემული ტექსტების მიხედვით.

48. გიორგი კედრენე, XI საუკუნის ისტორიკოსი - ქრონოგრაფისტი. ჩვენამდე მოღწეულია მისი „ისტორიული მიმოხილვა“. ნაშრომი მოიცავს პერიოდს უძველესი პერიოდიდან 1057 წლამდე. „ქრონოგრაფიის“ წერისას მას გამოუყენებია აღრიხნელი პერიოდისა და მისი თანამედროვე ხანის ისტორიკოსთა თხზულებები.

კედრენეს „ქრონოგრაფიაში“, სხვა ხალხებთან ერთად, საუბარია ქართველურ ტომებსა (იბერებზე, კოლხებზე, ლაზებზე, აბაზგებზე) და მათ საცხოვრისზე.

გიორგი კედრენეს თხზულებებიდან ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი შესრულებულია ბეკერის (1838-1839 წწ.), კ. პრეტერის (1897 წ.), ბოორის (1904, 1905 წწ.), შვანიტურგის (1929-1930 წწ.), ვასილევსკის (1899წ.) მიერ გამოცემული ტექსტების მიხედვით.

49. ნიკიფორე ვრიენიოსი, XI-XII სს. მოღვაწე (1062-1137 წწ.), ბიზანტიის კეისარ ალექსი კომნენოსის ქალიშვილის, ცნობილი ისტორიკოს ანას ქმარი. მას დარჩა დაუმთავრებელი ნაშრომი, რომელსაც უწოდა „საისტორიო მასალები“, სადაც სხვა საკითხებთან ერთად საუბარია საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის ასულ მარიამზე, რომელიც 1065 წელს ცოლად მიათხოვეს ბიზანტიის კეისრის კონსტანტინე X-ის ვაჟს (1059 - 1067 წწ.) მიხეილს.

† 50. კეკავშენოსი, XI საუკუნის ბიზანტიელი სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი, რომელსაც დაუწერია დარიგებითი ხასიათის ნაშრომი, სადაც დაცული ცნობები ასახავს ბიზანტიის ურთიერთობას სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან. ნაშრომი მოიცავს პერიოდს ბასილ II-ის (976-1025 წწ.) დროიდან, რომანოზ IV დიოგენამდე (1067-1071 წწ.). შრომას შემოკლებით ეწოდება „სრატეგიკონი“.

„სრატეგიკონიდან“ ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი შერულებულია ვ. ვასილევსკის და ვ. იერნშტედტის მიერ (1896 წ.) გამოცემული ტექსტების მიხედვით.

† 51. პეტრიწონის წესდება დაწერილია 1083 წ. (შანიძის მიხედვით), 1084 წელს (ს. ყაუხჩიშვილის მიხედვით), XI საუკუნის ბიზანტიაში მოღვაწე ცნობილი ქართველი სამხედრო მოღვაწის — გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ. წესდებაში საუბარია პეტრიწონის მონასტრის დაარსების მიზანსა და ამოცანებზე. წესდებით განსაზღვრულია მონასტრის თანამდებობის მქონე პირთა ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი; სემინარიაში სწავლა, მღვდელმსახურება მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა შესრულებულიყო. წესდებაში საუბარია ასევე სხვადასხვა სახის სამეურნეო და ორგანიზაციულ საკითხებზე.

„გეორგიკის“ V ტომში შეტანილი პეტრიწონის მონასტრის წესდების ბერძნული და ქართული ტექსტები დაბეჭდილია კორაის სახელობის ბიბლიოთეკაში (კუნთულ ქიოსზე) დაცული პეტრიწონის მონასტრის №1598, 1599 ხელნაწერის (ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით, XI-XI სს., ა. შანიძის თანახმად, XIII ს.) მიხედვით. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, ხოლო ქართული ტექსტი — ა. შანიძემ (იხ. ა. შანიძე, თხზ., ტ. IX, 1985 წ.).

„გეორგიკის“ VI ტ., ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო აკად. ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1966 წ.

VI ტომში შეტანილია XI—XII სს. 10 ავტორის 12 ძეგლი (10 თხზულება, 2 ტრაქტატი).

† 52. მიქელ პსელოსი (1018-1077 წწ.), XI ს. სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, მწერალი. მას დარჩა ისტორიული ხასიათის ნაშრომი „ქრონოგრაფია“, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან. I ნაწილი მოიცავს 976-1056 წლების ისტორიას, II ნაწილი - 1059-1077 წლების ამბებს. „ქრონოგრაფიაში“ საუბარია იბერების ჯარსა და მათ მონაწილეობაზე ბარდ ფოკას აჯანყებაში. ასევე დაცულია ცნობები იბერიის თემზე, მარიამ დედოფალსა და მის ვაჟ კონსტანტინეზე...

მიქელ პსელოსის „ქრონოგრაფიიდან“ ამოკრებილი ქართული თარგმანი შესრულებულია კ. სათას (1874-1899 წწ.), რონაულდის (1926-1928 წწ.) მიერ გამოცემული ტექსტების მიხედვით.

53. „გეორგიკის“ VI ტომში მიქელ პსელოსის სახელით შეტანილია ასევე 2 ტრაქტატი: ა) განმარტებად დღესასწაულთათვის („მიქელ პანუპერტიმოსისა მონაზონისა პსელოსისა თქმული განმარტებად საიდუმლოსა საუფლოსა წმინდათა დღესასწაულთასა“). ბ) „პირმოძსათჳს („დიდისა ფილოსოფოსისაჲ მოწაფეთა თჳსთა მიმართ თარგმანებაჲ სიტყუასა მას

ღმრთისმეტყუელისასა მეტყუელსა: „ვითარცა იქმნა პირშო მრავალთა მძათა შორის, ეგრეთვე პირშო მკულდართავან ღირს იჩინა ყოფად“.

† 54. მიხეილ ატალიატე, XI ს. II მეორე ნახევრის მოღვაწე. მის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია „ისტორიას“, რომელშიც აღწერილია 1034-1079 წლების ამბები. თხზულება, სავარაუდოდ, დაწერილი უნდა იყოს 1080-1081 წლებში. თხზულებაში საუბარია იბერიელთა წარმოშობაზე, ბიზანტიის ჯარში იბერიელთა სამსახურზე.

მიხეილ ატალიატეს „ისტორიიდან“ ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი შესრულებულია ბეკერის (1853 წ.) გამოცემული ტექსტის მიხედვით.

† 55. ანნა კომნენე XI-XII სს. მოღვაწე, ბიზანტიის კეისრის ალექსი კომნენოსის (1081-1118 წწ.) უფროსი ქალიშვილი, 15 წიგნისაგან შემდგარი საისტორიო ნაშრომ „ალექსიადას“ ავტორი. თხზულება მოიცავს 1069-1118 წლების ამბებს და, ფაქტობრივად, წარმოადგენს ალექსი კომნენოსის მოღვაწეობის ისტორიას. მისი „ალექსიადა“ ნიკიფორე ვრიენიოსის „ისტორიის“ გაგრძელებაა.

თხზულებიდან ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი შესრულებულია ლ. შოპენის (1839 წ.), ა. დავისის (1928 წ.), კარპოვის (1895 წ.), ლიუბარსკის (1965 წ.), მიერ გამოცემული ტექსტების მიხედვით.

† 56. ნიკეტა ხონიატე (აკომინატი), XII-XIII სს. მოღვაწე (გარდაიცვალა 1213 წ.). მისი მრავალმხრივი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან მთავარ ნაშრომად მიჩნეულია 21 წიგნისაგან შემდგარი „ისტორია“, რომელიც მოიცავს 1180-1206 წლების ისტორიას.

ნიკეტა ხონიატეს „ისტორიიდან“ ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი შესრულებულია ი. ბეკერის (1835 წ.), ვ. დოლცოვის (ნიკეტა ხონიატეს „ისტორია“ რუსულ ენაზე თარგმანი — 1860 წ. ტ. I), ნ. ჩელცოვის (ტ. II, 1862 წ.), ფ. გლაბერის (ბიზანტიოლოგიური შრომები. IX, თარგმანი და განმარტებები გლაბერის მიერ, 1958 წ.) მიერ გამოცემული ტექსტები

† 57. იოანე კინამოსი, XII ს. II ნახევარი, ისტორიკოსი. 1180-1183 წწ. დაუწერია ისტორიული ხასიათის ნაშრომი „მოკლე მიმოხილვა ნეტარისა, პორფიროგენეტ მეფის უფალ იოანე კომნენოსის წარმატებებისა და მოთხრობა მისი სახელოვანი ვაჟის, მეფისა და პორფიროგენეტ უფალის მანუელ კომნენოსის საქმეებისა, თხზულება სამეფო მდივნის კინამოსისა“.

გარდა ამისა, მას როგორც მაღალი თანამდებობის პირს (სამეფო მდივანი), ხელი მიუწვედებოდა საარქივო მასალებზე.

იოანე კინამოსის თხზულებიდან ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი შესრულებულია ა. მაინეკის (1836 წ.), კარპოვის (1859 წ.), გამოცემული ტექსტების მიხედვით.

† 58. გიორგი კოლინე, XII ს. მოღვაწეა, თუმც მკვლევართა ერთ ნაწილს XI ს. მოღვაწედ მიაჩნია. კოლინეს სახელით ჩვენამდე მოაღწეულია ორი შრომა: 1) „პატრი“ („patria“), რომელიც წარმოადგენს ტრაქტატების კრებულს. 2) მეორე თხზულება წარმოადგენს კრებულს „თანამდებობათა

„მესახებ“. თუმც ამ კრებულის ავტორად კოდინეს აღიარება მკვლევართა დიდ ნაწილს საეჭვოდ მიაჩნია. გიორგი კოდინეს თხზულებებიდან ამოკრებილი მასალის ქართული თარგმანი შესრულებულია გ. მორავსკის (Byzantinoturcica, I, 1958 წ.), გ. ლასკინი (георгий кодин о древностях константинополя, 1905 г.). გამოცემული ტექსტების მიხედვით.

† 59. „მოკლე ქრონოგრაფია“, დაწერილი XII-XIII სს. მოღვაწის იოველის მიერ, ლათინთა ბატონობის ხანაში (1204-1261 წწ.); მოკლე „ქრონოგრაფიაში“ აღწერილი ამბები მოიცავს პერიოდს დასაბამიდან 1204 წლამდე.

„გეორგიკის“ VI ტომში შესულია იოველის „მოკლე ქრონოგრაფიის“ მხოლოდ ბოლო ნაწილი, რომელშიც მოკლედ არის აღწერილი მარიამ-პართაყოფილის (ბაგრატ IV-ის ასული) თავდადასავალი.

აღნიშნული ნაშრომის ფრაგმენტის ქართული თარგმანი შესრულებულია ი. ბეკერის („იოველის ქრონოგრაფიის კომენტარები“, I, 1836 წ. В С, MIG-ne, patrologia Graeca, 139) გამოცემული ტექსტების მიხედვით.

† 60. იოანე სკილიცეს გამგრძელებელი XI ს. უცნობი ავტორი, მიქელ პსელოსის თანამედროვეა. მისი „ისტორია“ წარმოადგენს იოანე სკილიცეს თხზულების გაგრძელებას, რომელიც მოიცავს 1057-1079 წლების ამბებს, სადაც საუბარია იბერიაზე, მარიამ (მართაყოფილი) ბაგრატიონზე.

იოანე სკილიცეს „ისტორიიდან“ ამოკრებილი ბერძნული ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია ბონის კორპუსის II ტ. (CB, 1889 წ.), Mig-ne PG, 122 (1889 წ.) გამოცემული ტექსტების მიხედვით.

† 61. კონსტანტინე მანასე, XII ს. სასულიერო მოღვაწე (გარდაიც. 1187 წ.). „ქრონიკა“ დაწერილია ე. წ. პოლიტიკური ლექსით. ნაშრომი მოიცავს ამბებს „დასაბამიდან ქვეყნისა“ ბიზანტიის კეისარ ნიკიფორე ბოტანიტამდე (1078-1081 წწ.).

„ქრონიკაში“ მოთხრობილია მიხეილ VII პარაპინაკსა და მის მეუღლე მარიამზე — მართაყოფილზე, ბარდა ფოკას აჯანყებასა და „იბერების“ მონაწილეობაზე მასში.

კონსტანტინე მანასეს „ქრონიკიდან“ შერჩეული მასალის ქართული თარგმანი შესრულებულია ი. ბეკერის (1837 წ.), რ. ჰერხერის (1859 წ.) მიერ გამოცემული ტექსტების მიხედვით.

† 62. იოანე ზონარა XI ს. დასასრულისა და XII ს. დასაწყისის მოღვაწეა. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია ისტორიული ხასიათის ნაშრომი „მსოფლიოს ქრონიკა“, რომელიც დიდი მოცულობის თხზულებაა და ძირითადად მოიცავს ამბებს ქვეყნის დასაბამიდან 1118 წლამდე; მის ნაშრომში ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც დაცულია ცნობები იოანე II კომნენოსის (1118-1143 წწ.) და მანუელ I-ის (1143-1180 წწ.) მეფობის პერიოდზეც. ნაშრომზე მუშაობისას მას უსარგებლია წინამორბედი ისტორიკოსების შრომებით.

იოანე ზონარას ნაშრომიდან ამოკრებილი მასალის თარგმანი 1954-1955 წწ. შეასრულა მ. კახაძემ; შეავსო და უზუსტობანი გაასწორა ს. ყაუხჩიშვილმა, რომელმაც რედაქტირებისას ისარგებლა ლინდორფის (1868-1875 წწ.), ბ. ვობსტის (1897 წ.), ბოლიანსკის (1847 წ.) ლავროვის (1897_византийский вр. 4) გამოცემული ტექსტების მიხედვით.

EMZAR CHANTURIDZE**THE PRIMARY SOURCES ABOUT GEORGIA PRESERVED
IN KUTAISI I.CHAVCHAVADZE SCIENTIFIC LIBRARY**

Every significant event in the world history is described in the relevant historic sources. The eye-witnesses, the chronicles of the contemporary period observed the current tidings and described them in their historic works with more or less precision and objectivity. In the scientific research of Georgian history along with manuscripts, the matters of great importance are the archeological, numismatic, documentary materials and everything which we have inherited from the past. Among them the manuscript sources are considered to be the most significant ones.

In displaying and publishing of the oldest manuscripts about Georgian history the greatest tribute was done by the following Georgian scientists: D. Bakradze, E. Takaishvili, Iv. Javakhishvili, K. Kekelidze, S. Janashia, I. Abuladze, S. Janashvili, N. Berdzenishvili, N. Mari, A. Shanidze, S.Kaukhchishvili, G. Melikishvili, I. Abuladze, A. Gamkrelidze, N. Lomouri, G. Alasania, Z. Aleksidze, R. Kiknadze, A. Abdaladze, Ak. Urushadze, T. Mikeladze, G. Tsereteli, S. Jikia, T. Kaukhchishvili, El. Metreveli, V. Puturidze, J. Odisheli, N. Shengelia, I. Tabagua, L. Janashia, N. Kechekmadze, M. Svanidze... They are the people who displayed, established, translated foreign texts in Georgian language and published a lot of interesting documents and historic materials with comments.

Georgian people had the close political, economical, cultural relationships with different nations during the period of their existence. Due to these facts some pieces of information can be found about Georgian ethnos in their handwritings. Notes are preserved in the oriental manuscripts, in the works of Greek, Roman, Armenian, Arab, Persian, Turkish writers (historians, geographers, philologists...) they can be found in the diaries and records of European travelers and missionaries, in the reports of foreign diplomats. All these materials written in foreign languages are the best resources for studying the history of Georgia. Thus it's important to be aware of foreign materials while making research in the history of Georgia.

In Kutaisi Scientific Library quite a big amount of resources are preserved about the history of Georgia. Our publication aims to present annotated bibliography of the handwritten resources (Byzantium resources III-VIII centuries) preserved in Kutaisi Scientific Library. All the materials presented are the most significant for the study of Georgian history.

ალექსანდრე ჭულუხაძე

ტერმინ “ერის” ეტიმოლოგია და სემანტიკა უძველეს ქართულ წყაროებში

ტერმინ ერის ეტიმოლოგიისა და სემანტიკის შესახებ დღემდე მეცნიერთა მიერ რამდენიმე ვარაუდი იქნა გამოთქმული:

1. ნ.მარის სიტყვა **ერ**-ს თავდაპირველად სომხური სიტყვა **այრ** “ხალხიდან” ნასესხებად თვლიდა¹, რომელიც ინდოევროპული ***neriō-** “მამრი; მამაკაცი; მამაკაცური; მამრის ძალ-ღონე” < ***ner-(t-)/*aner-** “მამაკაცური; მამრისა; ღონიერი”² ფუძიდან წარმოებულ ძირეულ სომხურ სიტყვად ითვლება. მან შემდგომში თავისი აზრი შეიცვალა და ქართული **ერ**-ძირი ჰიპოთეტური ქალღანური **ir** “მამა; კაცი; მამრი” ფუძიდან ნასესხებად ჩათვალა³.

2. გ.მელიქიშვილის აზრით, ქართული **ერ**-სავარაუდოდ ინდოევროპული ოჯახის გერმანიკულ ენათა ჯგუფიდან იქნა ნასესხები და შესაძარებლად მოჰყავს ძვ.გერმანული და ფრიზიული **heri**, შვედური **här**, დანიური **hær**, გოთური **haryis**, ახ.გერმანული **Heer**, ძვ.ისლანდიური **herr** ძირები, ზოგადი მნიშვნელობით “ჯარი”⁴, რომლებიც საწყისი ინდოევროპული ***koro-s***//**koīō-s** “ომი; ბრძოლა; მეომარი; ომის მეთაური”⁵ ძირის დერივაციას წარმოადგენს. მისი მოსაზრება ა.აფაქიძემაც გაიზიარა⁶, მაგრამ აღნიშნული გერმანიკული ძირების ქართულ ენაში შემოსვლისა და დამკვიდრების დრო და გზები ძალიან ბუნდოვნად და ნაკლებსავარაუდოდ გამოიყურება.

1. Март Н.Я., Физиолог, Армяно-грузинский извод,Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, Т. VI, С-Петербург 1904, сс. 11, xxxv; Георгий Мерчул, Житие Григория Хандзтийского, издал Н.Я.Март, С-Петербург 1911, с. LXIII; Март Н.Я., Древнегрузинско-русский словарь к I-II главам Евангелия Марка, С-Петербург 1913, с. 39; Март, Н.Я., О числительных, Избранные работы, Т. III, Москва-Ленинград 1934, с. 281; Март Н.Я., Орбели, И., Археологическая экспедиция 1916 года в Вань, Петербург 1922, с. 38.

² Hübschmann H., Armenische Grammatik, I Theil, Armenische Etymologie, I-II abteilung, Leipzig 1895-1897, zз. 417-418; Pokorny J., Indogermanisches Etymologisches Wörterbuch, I band, Bern-München 1959, z. 765.

³ Март Н.Я., Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидаании средиземноморской культуры, Избранные работы, Т. I, Ленинград 1933, с. 113.

⁴ მელიქიშვილი გ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი 1965, გვ. 227.

⁵ Pokorny J., ibid, 615.

⁶ აფაქიძე ა., მოსახლეობის ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ქართულში, ორიონი აკაკი შანიძეს, თბილისი 1967, გვ. 90-96.

3. ლ. ჰერცენბერგის ვარაუდით, ქართული **ერ-** ძირი შესაძლოა ირანული *ariya* “არიელი, ირანელი” ძირიდან იქნა გადმოღებული ქართულში⁷.

4. მჩუხუას კი მიაჩნია, რომ ქართული **ერ-** ძირი წინარეპართველური *-რ- *-r- “სიმრავლე, სიუხვე” ძირიდან განვითარდა⁸.

ზემომოყვანილი ეტიმოლოგიური ვარაუდები არასწორია. სიტყვა **ერ-** V-XI საუკუნეების ნათარგმნ და ორიგინალურ ქართულ თხზულებებში “1. ხალხი, ხალხის კრებული, გუნდი; 2. სახალხო ლაშქარი, თავისუფალი მოლაშქრეები; მხედრობა; სპა, ლაშქარი, ჯარი” მნიშვნელობებითა და სხვადასხვა წარმოებულებით მრავალჯერაა დადასტურებული⁹.

ჩვ.წ. I-V საუკუნეებში საქართველოს ბარის მოსახლეობაში საკუთარი მიწის მქონე თავისუფალ მიწათმოქმედთა ფენა ჩამოყალიბდა, რომელიც ალბათ უკვე იმ დროს სასოფლო (ტერიტორიალურ) თემებში იყვნენ გაერთიანებულნი და სოციალურ-პოლიტიკური დიფერენცირების თვალსაზრისით, “**ლაოი**” – “**გლეხთა**” ანუ მეფეზე, ფეოდალებსა და დიდ მიწათმფლობელებზე დამოკიდებულ არათავისუფალ მიწათმოქმედთა და “**სამეფო მონებზე**” ანუ “უქონელთა, ღატაკთა” ფენებისაგან განსხვავდებოდა. თავისუფალ მიწათმოქმედთა გარკვეული ნაწილი დროთა განმავლობაში დაბალი წოდების არისტოკრატიის ანუ წვრილახანაურთა ფენად ჩამოყალიბდა, რომელსაც პრივილეგიებთან ერთად მეფისა და მალალი წოდების დიდგვაროვანთა მიმართ გარკვეული სამხედრო

⁷ Герценберг Л. Г., **Индоевропейский, картвельский и иранский**, VI Всесоюзная научная конференция по актуальным проблемам иранской филологии (тезисы докладов), Тбилиси 1970, с. 20.

⁸ ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი 2000-2003, გვ. 174.

⁹ წიგნი ჯველისა აღთქუმისანი, ტ. I, შესაქმისაი, გამოსვლათაი, თბილისი 1989, გვ. 136; წიგნი ძველისა აღთქუმისანი, ტ. II, ლევიტელთაი, რიტუელთაი, მეთროსა სჯულისა, თბილისი 1990, გვ. 33; წიგნი ძველისა აღთქუმისანი, ტ. III, ისო ნავესი, მსაჯულთაი, რუთისი, თბილისი 1991, გვ. 47., 125; იმნაიშვილი ი. ვ., ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი 1986, გვ. 157-160., 164., 165.; აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი 1973, გვ. 148; იოვანე საბანის ძე, წამებელი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტეისასა ჰაბოსი, აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, რედ. კაპელიძე, თბილისი 1935, გვ. 76; მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, (V-X სს.), თბილისი 1963, გვ. 42; **Март Н. Я., Физиолог, с. II; Георгий Мерчул, Жизнь Григория Хандзтийского, там же**; ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი 1957, გვ. 3., 8., 31., 120., 137., 189., 190; ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილი, თბილისი 1955, გვ. 112., 146., 173., 174., 175., 237., 239; სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილი, თბილისი 1955, გვ. 374., 376., 377, 384; მატეანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილი, თბილისი 1955, გვ. 299; ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილი, თბილისი 1955, გვ. 75., 84., 90., 112., 135; ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილი, თბილისი 1955, გვ. 40., 41., 42., 57; იხ.: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წლები), გამოსცა ა. გ. შანიძემ, თბილისი 1945.

ვალდებულებებიც გააჩნდა და არამედმივი, სახალხო ლაშქრის ბირთვს შეადგენდა. ასეთი სამობილიზაციო სამხედრო ძალა ძველ ქართულ წყაროებში თავდაპირველად **ერ-** ტერმინით, ხოლო შემდგომ ჯერ ადრეულფალაურიდან ნასესხები **სპა** და შემდგომ გვიანფალაურიდან ნასესხები **ლაშქარ-** ტერმინებით მოიხსენიება¹⁰.

ჩვენი აზრით, ტერმინ **ერ-**ს ქართულში თავდაპირველად "თავისუფალი ხალხის, თავისუფალი მიწათმოქმედისა" და მისგან განვითარებული ზოგადად "ხალხის, გუნდის" მნიშვნელობა ჰქონდა და შემდგომ მოხდა მისი სემანტიკური ტრანსფორმაცია "სახალხო მხედრობის, თავისუფალ მოლაშქრეთაგან შემდგარი მხედრობის, სპის, ლაშქრის, ჯარის" მნიშვნელობაში და სავარაუდოდ ჩვ.წ. III-IV საუკუნეების მიჯნაზე სამხრეთ კავკასიაში სასანური ირანის გაძლიერების პერიოდში საშუალო სპარსული და ფალაური სიტყვა **ēr** "თავისუფალი ადამიანი, თავისუფალი მიწათმოქმედიდან" იქნა ნასესხები. ტერმინი **ერ-**ი ქართულში ზემოაღნიშნული ორივე მნიშვნელობით XVIII საუკუნის ბოლომდე იხმარებოდა, მაგრამ დღევანდელ სალიტერატურო და სამეტყველო ენაში მხოლოდ "ხალხის, ნაციის"¹¹ მნიშვნელობით გამოიყენება და მთიულურ დიალექტსა და გუდამაყრულ კილოში "ძალის, შნოს"¹² მნიშვნელობითაც დასტურდება.

ჩვენთვის საინტერესო ტერმინი ჩვ.წ. IV-VIII საუკუნეების პართულ და საშუალო სპარსულ ანუ ფალაურ წყაროებში შემდეგი ლერვიტებითაა წარმოდგენილი: **ēr** [y] "თავისუფალი, თავისუფალი ადამიანი; ფალავანი", **ērīh** [ylyh] "1. თავისუფლება; კარგი, კეთილშობილი და ღირსეული ქცევა; 2. ხალხი; 3. ზორასტრელნი, მორწმუნენი"¹³, [ry] "თავისუფალი; კეთილშობილი ადამიანი"¹⁴, **ērīk/ērīg** [ylyk] "კეთილშობილი, ღირსეული, დიდებული, კეთილშობილი გვარისა; ჯიშისანი, კარგი მოდგმის"¹⁵, რომლებიც ძველი სპარსული **ariya-** "არეილი; კეთილშობილი წარმომავლობის ადამიანი; აზნაური; არისტოკრატი"¹⁶ ძირიდან მომდინარეობენ. შდრ.: ავესტური

¹⁰ ჯავახიშვილი ი., მასალები საქართველოს (ქართველი ერის) მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. III-IV, თბილისი 1962, გვ. 213-214; ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, II/1, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბილისი 1982, გვ. 134-135; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, რედ. ვ.მელიქიშვილი, თბილისი 1970, გვ. 572-573; მელიქიშვილი ი., *ხათესავი, ტომი, ერი* ტერმინთა მნიშვნელობისა და ურთიერთმიმართებისათვის წმიდა წერილის ძველ ქართულ თარგმანებში, ქართველური მეცნიერება II, ქუთაისი 1998, გვ. 174-176.

¹¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, რედ. არნ.ქობავა, თბილისი 1953, გვ. 1392-1393.

¹² ლლონტი ა.ა., ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონა, თბილისი 1984, გვ. 219.

¹³ Nyberg H.S., *A Manual of Pahlavi*, Part II, Glossary, Wiesbaden 1974, p. 71; MacKenzie D.N., *A Concise Pahlavi Dictionary*, Reprint with corrections of the edition of 1971, London 1986, 30; Navvabi M., *Gozideye Andarze Puryutkayshan* (andarz furu TqaiSani, falauri teqsti), Tabriz University Journal, year 12th, p. 528; Bahar M., *Bundahishn* (bundahiSni, falauri teqsti), Tehran 2000, pp. 109., 190; Периханян А., *Общество и право Ирана в парфянский и сасанидский периоды*, Москва 1983, с. 9.

¹⁴ Gignoux Ph., *Glossaire des Inscriptions Pehlevies et Parthes*, in : *Corpus Inscriptionum Iranicarum*, Vol. I, London 1972, p. 47.

¹⁵ Farevashi B., *Farhange Zabane Pahlavi* (ფალაური ენის ლექსიკონი), Tehran 2001, p. 179.

¹⁶ Kent R.G., *Old Persian*, Second Edition, Revised, New Haven 1953, p. 170.

¹⁷ Bartholomae Ch., *Altiranisches Wörterbuch*, Strassburg 1904, z. 198.

airya//ariya- “არიელი; კეთილშობილი წარმომავლობის ადამიანი”¹⁷. მოყვანილი ძველი სპარსული და ავესტური ფორმები, საწყისი ძველი ირანული ძირის *āriā-//*ariā- “არიელი; კეთილშობილი და ღირსეული გვარისა”¹⁸ დერევატებს წარმოადგენენ, რომელიც, თავის მხრივ, სავარაუდოდ ინდოევროპული *ariō- “ბატონი; პატრონი; თავისუფალი ადამიანი”¹⁹ ძირიდანაა მიღებული. შდრ.: სომხური ნასესხობანი ēr “არიელი, კეთილშობილი” < ფალაური ēr ; anēr “არაარიელი; უცხოელი, უთვისტომო” < ფალაური an + ēr²⁰; erani “კურთხეული, დალოცვილი, ბედნიერი” < ფალაური ariya/ayra + (a)ni²¹; ari//arik “ირანელი, სპარსი” < პართული aryān “არიელი, კეთილშობილი; ირანელი”²².

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ზემოაღწერილ საშუალო სპარსულ ფორმებთან ფონეტიკურად მსგავსი ფალაური ტერმინი ēriḡān [’ylyk’n] “ქვეშევრდომნი; საზოგადოების დაბალი ფენების წარმომადგენელი; არააზნაურული ფენის წარმომადგენელი”²³, რომელიც ēr [’dl] > ēr + īḡ + ān “ქვეშე, ქვემო”²⁴ ძირიდანაა ნაწარმოები, მაგრამ ქართულ ტერმინ ერ-ს “ხალხი; სპა” < “თავისუფალი; კეთილშობილი” და ფალაურ ტერმინ ēr [’yl] “თავისუფალი; ფალავანი; კეთილშობილი, ღირსეული; აზნაური” არანაირად არ უკავშირდება. ტერმინი ერ-ი ქართული ენიდან a-რ “სპა; ლაშქარი” ფორმით აბზახურ და r- “სპა; ლაშქარი” ფორმით აბზახურ ენებშიც იქნა ნასესხები²⁵.

¹⁸ Расторгуева В.С., Эдельман Д.И., *Этимологический словарь иранских языков*, Т. I, Москва 2000, с. 222; ასევე იხ.: Bailey H.W., *Arya II*, in : BSOAS, XXIII, 1, 1960, pp. 19-21.

¹⁹ Pokorny J., *ibid*, 67.

²⁰ Hübschmann H., *ibid*, z. 26.

²¹ Bailey H.W., *To the Zāmasp-namak I*, in : BSOS, VI, 1, 1930, p. 40.

²² Lamberterie Ch., *Arménien ari et anari*, in : *Études Irano-Aryennes offertes à Gilbert Lazard*, Paris 1989, pp. 239-244.

²³ Oryan S., *Vazhenameye Pahlavi-Pazand* (ფალაურ-ფაზანდის ლექსიკონი), Tehran 1998, p. 205.

²⁴ MacKenzie D.N., *ibid*.

²⁵ ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ.: Климов Г.А., Халилов М.Ш., *Словарь кавказских языков, Сопоставление основной лексики*, Москва 2003, с. 259.

ALEXANDER CHULUKHADZE

ETYMOLOGY AND SEMANTICS OF THE TERM *ER*- “NATION” IN THE ANCIENT GEORGIAN SOURCES

Until the present time several assumptions have been made by scientists about etymology and semantics of the term *er*- “Nation”:

1. N.Marr initially considered the word *er*- to be borrowed from the Armenian word *ayr* “people” but later he changed his position and considered the root of the Georgian *er*- to be borrowed from hypothetical Kaldanian root *ir* “father; man; male”. 2. In the opinion of G.Melikishvili, the Georgian *er*- is supposed to have been borrowed from the group of Germanic languages and he presented various data of these languages for comparison but the time and ways of introduction and inculcation of Germanic roots in the Georgian language look rather obscure and less possible. 3. As assumed by L.Herzenberg the Georgian root *er*- may have been borrowed into Georgian from the Iranian root *ariya* “Arian; Iranian”. 4. M.Chukhua considers that the Georgian root *er*- has been developed from the proto-Georgian root **-r*- “abundance, plenty”.

The abovementioned etymological assumptions are wrong. In the translated and original Georgian writings of V-XI centuries the word *er*- has been confirmed by meanings of “1.People, gathering, team of people; 2.People’s army, free troops, horsemen, troops, army” and various derivatives.

In the I-V centuries A.D. a layer of free land cultivators having their own land was established among population of lowlands of Georgia. Over the time, their certain part was established as a layer of low-ranking aristocrats. Apart from privileges, they had been bound with certain military obligations towards the King and high-ranking noblemen and they made a part of the regular people’s army. Such mobilized military force initially had been mentioned by the terms *er*- and later by the term *spa* which had been borrowed from the early Pahlavi language and afterwards by the term *laškar*- which had been borrowed from the late Pahlavi language.

In our opinion, the term *er*- initially had a meaning of “free people, free land cultivators” and the general meaning of “people, team” developed from it. Later it underwent semantic transformation into the meaning of “people’s army, army consisting of free soldiers; army, troops” and supposedly, in III-IV centuries A.D., in the period of strengthening of Sassanids Iran in the South Caucasus it was borrowed from the middle Persian word *er* “free person, free land cultivator”. The term *er*- was used in Georgian with both above-mentioned meanings until the end of the 18th century. But in the present literary and colloquial language it is used only with the meaning of “people, nation” and presented in the Mtiuletian and Gudamakarian dialects with the meaning of “power”.

შორენა ხადური

ურანგული ენის ON და ქართული ენის თავად ნაცვალსახელების შესახებ (სოციოლინგვისტური ასპექტი)

On არის ფრანგული ენის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი, **თავად** კი ქართული ენის განსაზღვრებით ნაცვალსახელს წარმოადგენს. მაშ, რა აქვთ მათ საერთო ისეთი, რაც მათი შედარების საშუალებას იძლევა?

ორივე ამ ნაცვალსახელს თავთავიანთ ენებში ახასიათებს პოლისემიურობა და პოლიფუნქციურობა. ერთ-ერთი ამ მრავალფუნქციითაგანი არის ის, რომ ისინი იხმარებიან მიმართვის ნაცვალსახელებად როგორც თავაზიან, ასევე ფამილარულ საუბარში.

On და **თავად** ნაცვალსახელები. მომდინარეობენ კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვებისგან. **On** წარმოშობილია ლათინური არსებითი სახელის **homo**-ს სახელობითი ბრუნვის ფორმისაგან. **Homo** ნიშნავს კაცს, ადამიანს, **თავად** მიღებულია **თავი** სიტყვის ვითარებითი ბრუნვის ფორმიდან.

On მხოლოდ ადამიანების აღსანიშნად გამოიყენება. ვგაკი მიუთითებს, რომ ეს ნაცვალსახელი ინარჩუნებს განსაზღვრულობის წილს, მიუთითებს რა ყოველთვის სულიერ ობიექტზე (ვ. გაკი, 1979, გვ. 147).

თავად, ძირითადად, ადამიანთა სახელების ნაცვალად იხმარება, თუმცა, შეიძლება, გამოიყენებოდეს არაადამიანთა სახელების მაგიერაც.

რაც შეეხება ამ ნაცვალსახელთა გავრცელებულობის საკითხს. ორივე ეს ნაცვალსახელი ძველისძველია ამ ენებში. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ **on**-ის გამოყენება განუსაზღვრელი მნიშვნელობით დაწყებულია მე-რ საუკუნეში. თუმცა, მეცნიერები ერთსულოვანი არ არიან ამ საკითხში და თვლიან, რომ ეს შესაძლოა უფრო ძველი მოვლენა იყოს (მ. ფრენი, 1990, გვ. 179).

თავად ნაცვალსახელი ქართულ ლიტერატურას ოდითგანვე მოსდევს. მისი გამოყენების სიხშირე ყოველთვის არ იყო ერთნაირი, მაგრამ, ფაქტია, რომ იგი გვხვდება ყველა პერიოდის ქართული ლიტერატურის ძეგლებში.

On ნაცვალსახელი ფორმაცვლელია, არ გააჩნია მრავლობითი რიცხვი. იგი თავისი ფორმით მიმავრებულია მე-3 პირის მხოლოდობით რიცხვს. **თავად** ნაცვალსახელი ფორმაცვალეზადია. იგი იბრუნვის. გვხვდება სახელობითში (თავადი), მოთხრობითში (თავადმან), მიცემითში (თავადსა), ნათესაობითში (თავადისა). მას აქვს მრ. რიცხვიც: “ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ თავადნი დიდნი მარხვანი გარდავლნის მცირედითა კალნაბითა უმბგვრითა“ (“გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

თავად ნაცვალსახელი სხვადასხვა დიალექტში განსხვავებული სახით გვხვდება. მთიულურში, თუშურსა და ფშაურში გვაქვს **თავად**, მოხეურში - **თავათა**, რაჭულში - **თავათ**, ხევსურულში - **თაოდ**.

On ნაცვალსახელი გამოიყენება ყოველთვის ქვემდებარის ფუნქციით. **თავად** ნაცვალსახელი შეიძლება შეგვხვდეს არსებითის ან ზედსართავის ფუნქციით. შეიძლება იყოს სუბიექტი ან ობიექტი, ან კიდევ მათი განსაზღვრება.

ორივე ეს ნაცვალსახელი შეიძლება გამოვიყენოთ სხვა ნაცვალსახელების მაგიერ. მრავალი მეცნიერი აღიარებს, რომ **on** ძალზე ხშირად იხმარება ფაილარულ ენაში **nous** (ჩვენ) ნაცვალსახელის ნაცვლად. თუმცა, მ. გრევისი აღნიშნავს, რომ ეს ნაცვალსახელი სტილისტური ნიუანსით (თავმდაბლობა, მოკრძალება, ირონია, ზიზღი და ა.შ.) ყველაზე დახვეწილ ენაშიც კი გამოიყენება ყველა სხვა პირის ნაცვალსახელის მაგიერ (მ. გრევისი, 1993, გვ. 1101).

მარტინე მიუთითებს, რომ განუსაზღვრელობით **on**-ში განსხვავება გრამატიკულ პირებს შორის ნეიტრალიზდება (მოიშლება). განუსაზღვრელობითი პირი განუსხვავებელი საშუალებებით წარმოადგენს ამ პირთაგან ერთს ან მათ გარკვეულ კომბინაციას და ასეთი პირის აღსანიშნავად გამოიყენება **on** ნაცვალსახელი (ა. მარტინე, 1979, გვ. 52).

ფრეინის აზრით, **on**-მა შეიძლება ჩაანაცვლოს ნებისმიერი სუბიექტური პირის ნაცვალსახელი, რაც წარმოაჩენს დისტანციას, რომლის დამყარება სურს მთქმელს თავის თავსა და სხვებს შორის, ან როცა მას სურს, ხაზი გაესვას ირონიას, თანდგომას, მწუხარებას, გულგრილობას, სიამაყეს (მ. ფრეინი, 1990, გვ. 189).

როცა **on** გამოყენებულია მხ.რ-ის 1-ლი პირის მაგიერ, იგი არის მოკრძალების, თავმდაბლობის გამომხატველი: **En publiant ce livre, on voudrait faire l'œuvre utile.** ეს არის ავტორისეული **on**, სადაც იგი ცვლის **nous** (ჩვენ) ნაცვალსახელს, რომელიც თავის მხრივ, გამოიყენება **je**(მე)-ს ნაცვლად. ამ შემთხვევაში **on** არის სალიტერატურო ნორმის გამომხატველი. თუმცა, ეს **on** 1-ლი პირის ნაცვლად გამოიყენება ფაილარულ ენაშიც. **Attendez un moment, on est a vous (je suis a vous).**

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ **on** გამოიყენება მე-2 პირის (**tu**)-ს ნაცვლად ძალზე ხშირად, როცა მიმართავენ ბავშვებს (განსაკუთრებით, ბურჟუაზიულ ოჯახებში). **On a été sage à l'école ? (tu as été...)**

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ **on** თავისი ფორმით მიმადგრებელია მე-3 პირის მხოლობით რიცხვს. ბუნებრივია, რომ მას განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს **il** და **elle** ნაცვალსახელებთან. მე-3 პირის მაგიერ გამოიყენებული **on** თავს არიდებს ქვემდებარის ზუსტ დასახელებას და საუბრობენ კონფიდენციალური ტონით.

On m'a volé ma chanson.

On=nous (ჩვენ). ეს არის ყველაზე ხშირი შემთხვევა. **on**-ის გამოყენება **nous**-ს ნაცვლად უნდა გავრცელებულიყო მე-19 ს-ში. ამჟამად იგი უკიდურესად ხშირია სასაუბრო ენაში. მგრევისი მახვილგონივრულად აღნიშნავს, რომ ბევრ გრამატიკოსს **on** ამაოდ "ეცოდება". იგი გახდა

ნამდვილი პირის ნაცვალსახელი (მ. გრევისი, 1993, გვ. 1101). **Ma cousine et moi, on a le meme age. On= vous** (თქვენ). ამ შემთხვევაში მან შეიძლება მოახდინოს ინტენსიფიკაცია ზოგიერთი მოწოდებისა. გამოიყენება აყოლების, შეთავაზების მიზნით:

On travaille bien (vous travaillez bien) - Qu'est-ce qu'on prendra ? (ეუბნება ოფიციალტი კლიენტებს). **On=ils,elles. C'est Mozart qu'on assassine.**

ასევე გამოიყენება **თავად** ნაცვალსახელი სხვა პირის ნაცვალსახელების ნაცვლად.

1-ლი პირი: ესტატე გულდასმით ამტკიცებდა: მე **თავათ** ვნახე ის ფრინველი... (კ. გამსახურდია). **თავად** ვარ დროის მობედე, **თავად** ვქმნი დროს და თარიღებს (ტ. მეტურიშვილი).

მე-2 პირი: ზღვისფერი გაქვს თვალები და **თავათ** ჰგავხარ ზღვას (კ. გამსახურდია).

მე-3 პირი: ვიხილე **თავათ** დიდი თამარი, ვით ბასიანის ომში პირველად (გრ. აბაშიძე).

მრ. რ-ის 1-ლი პირი: წმინდა მამები ამის შესახებ ამბობენ, რომ ღმერთი კი არ საჭიროებს ჩვენს ლოცვას, არამედ იგი **თავად** ჩვენ გვესაჭიროება ("მრევლი").

მე-2 პირი: ქაქუცას ვახლავარ, ქაქუცას. როგორ ხარ, ჩემო ქაქუცა? მადლობთ, ბატონო ქაიხოსრო, თქვენ **თავად** როგორ ბრძანდებით? (რ. ჭეიშვილი, კრიტიკული წერილები).

მე-3 პირი: დაქვეითდა სამი მორჩილი, ეპისკოპოსებს დაუთმეს ჯორები, **თავად** ფეხით გაუდგნენ გზას.

ორივე ეს ნაცვალსახელი სტილისტურად შეფერილი და ექსპრესიულად ძალზე დატვირთულია. **On** ნაცვალსახელის სტილისტური ნიუანსით გამოიყენება მე-17 ს.-ში მიეკუთვნებოდა ამაღლებულ სტილს. **Commandez qu'on (=elle) vous aime et vous serez aime (Racine).** **On**-ის გამოყენება სხვა ნაცვალსახელის მაგიერ შეიძლება გამოხატავდეს ირონიას, საყვედურს, ფამილარობას, მოკრძალებას და ა.შ.

თავად გამოიყენება ამაღლებულ საგანთა სინონიმად, ღმერთის, პატივსაცემი ადამიანების თუ საგნების მსაზღვრელად. მისი გამოყენება წინადადებას სტილისტურად შეფერილს ხდის. იგი გამოიყენება ისეთი საუბრის დროს ან ისეთ წერილობით ტექსტებში, რომლებშიც გამოიხატება მოკრძალება, პატივისცემა, თანაგრძნობა, მწუხარება, ტკივილი...

ორივე ამ ნაცვალსახელის ყველაზე მნიშვნელოვან თვისებად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ მათ ახასიათებთ დიდი მოქნილობა და შეიძლება გამოყენებულ იქნენ ნებისმიერი სუბიექტური პირის მაგიერ. ამ ნაცვალსახელთა გამოყენების დიდ სიზშირეს ხსნიან მათი საოცრად დიდი ლაბილურობით. აგრეთვე, მხედველობაში მიიღება მათი ემოციური დატვირთულობა.

როგორც აღვნიშნეთ, **On** ნაცვალსახელი ძალზე დიდი სიზშირით გამოიყენება როგორც სალიტერატურო, ასევე ფამილარულ ენაში. სასაუბრო ენაში იგი გვევლინება როგორც **nous** ნაცვალსახელის კონკურენტი. ბ. პიტერსი ერთ-ერთ სტატიაში განიხილავს ფრანგული ენის პირის

ნაცვალსახელთა მდგომარეობას. სტატიას ჰქვია **Nous on vous tu(e)**. აქ არის სიტყვების თამაში, ითარგმნება **nous, on**-ი თქვენ გკლავთ. ავტორი ყურადღებას ამახვილებს პირის ნაცვალსახელთა «მშვიდობიან» ომზე, რომელშიც **on** გამოდის გამარჯვებული.

აღსანიშნავია, რომ **თავად** ნაცვალსახელი ძალზე იყო გავრცელებული მთის დიალექტებში, რომლის დასადასტურებლად მხოლოდ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაც კმარა. ამის გამო იყო, ალბათ, არ. მარტიროსოვი **თავად** ნაცვალსახელის არასალიტერატურო იერზე რომ მიუთითებს თავის მონოგრაფიაში (არ. მარტიროსოვი, 1964, გვ. 219).

ლ. შალვაშვილი აღნიშნავს, რომ თანამედროვე მწერლობაში მას შემდეგ, რაც საგრძნობი ცვლილება მოხდა, დიალექტური შეფერილობა **თავად** ნაცვალსახელმა სავსებით დაკარგა და სალიტერატურო ენის ფორმად იქცა. იგი დღესდღეობით ლიტერატურული ფორმაა (ლ. შალვაშვილი, 1988, გვ. 312).

უნდა აღინიშნოს, რომ **on** ნაცვალსახელის ასეთ ხშირ გამოყენებას, განსაკუთრებით **nous**-ს ნაცვალად, უარყოფენ გრამატიკოსები და მიიჩნევენ ეულგარიზმად (რ. ვაგნერი, ი. პინშონი, 1962, გვ. 199). ჩანაცვლების ამ ტენდენციას ასევე მკაცრად აკრიტიკებენ პურისტები. თუმცა, თანამედროვე გრამატიკოსები იძულებულნი გახდნენ ეს ფაქტი ელიარებიანთ ენის თვისებად. ამ მხრივ საინტერესოა მ. გრევიშის შენიშვნა. იგი აღნიშნავს, რომ სასაუბრო მეტყველებაში **on** ჩანაცვლებს **nous** ნაცვალსახელს, მაგრამ მან გავლენა მოახდინა სალიტერატურო ენაზეც, ასე რომ ვთქვათ, გამოყოფა სალიტერატურო ენაშიც.

ამავე თვალსაზრისით, საინტერესოა სიტუაცია **თავად** ნაცვალსახელის გამოყენების მხრივაც. ლ. შალვაშვილი თავის ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს ო. ხუციშვილის სტატიაზე “გვმართებს მეტი გულისყური და დაკვირვება” (“კომუნისტი”, 1984). ავტორი თვლის, რომ **თავად** ნაცვალსახელს გაუმართლებლად ენიჭება უპირატესობა **თვით, თვითონ, თავად** სინონიმური სამეუღლიდან. იგი მიიჩნევს, რომ **თავად** ნაცვალსახელი პრივილეგირებულია და გამოიყენება სტილისტური საჭიროების გარეშე. ლ. შალვაშვილი ავტორს ეთანხმება ამ საკითხში და ეპქვივემ აყენებს ავტორთა მიერ გამოყენებულ ფრაზებში ამ ნაცვალსახელის სტილისტურ მართებულობას (ლ. შალვაშვილი, 1988, გვ. 324).

ჩვენ კი ვთვლით, რომ რადგან ეს ნაცვალსახელი უკვე ასე მასიურად გამოიყენება (ეს ფაქტია) და მისი გამოყენების არეალი სულ უფრო და უფრო ფართოვდება, შესაძლებელია, მან სხვა სტილისტური ელფერიც შეიძინოს, როგორც ეს **on** ნაცვალსახელს აქვს და ისიც ისე ფართოდ გამოიყენებოდეს როგორც სალიტერატურო, ასევე ფამილარულ მეტყველებაში. ენა, ხომ სოციალური მოვლენაა და გვინდა თუ არა ლინგვოსოციუმის წევრი ენას იყენებს ინდივიდუალური თვალსაზრისითაც.

მეტად საინტერესოა ერთი თვისება, რომელიც ორივე ამ ნაცვალსახელს ახასიათებს. პირისპირ საუბრის დროს გასათვალისწინებელია ის მოვლენები, რაც შეიძლება გახდეს ამა თუ იმ ნაცვალსახელის შერჩევის შედეგი; ან მთქმელი გრძნობდეს, რომ ნაცვალსახელის ეს არჩევანი არ იყოს მისაღები

(სასიამოვნო). **On** ნაცვალსახელის გამოყენებით მთქმელს აქვს საშუალება ამგვარ შემთხვევებში პირდაპირობისაგან თავის არიდებისა. მას არ აქვს მხოლოდ განუსაზღვრელის მნიშვნელობა, იგი გამოხატავს, აგრეთვე, განსაზღვრულ პირებს, ოღონდ ის მათ ნიღბავს. ამგვარად, **on** გამოდის როგორც საშუალება ძნელი და დელიკატური სიტუაციებიდან თავის დაღწევისა. სწორედაც, რადგან იგი არაკერძობითი და არაკონკრეტულია, ყველა შესაძლებლობა ღია რჩება. **თავად** ნაცვალსახელს გააჩნია მსგავსი უნარი. ეს ნათლად ჩანს შემდეგ კითხვაზე პასუხში:

— როგორ ხარ? (ან ხართ?)

— კარგად. **თავად** როგორ?

ამგვარი პასუხით ძნელი გასარჩევია, მოპასუხე შენობით მიმართავს თუ თქვენობით თანამოსაუბრეს.

On ნაცვალსახელი გამოიყენება ანდაზებში, მაქსიმებსა და სენტენციებში, ზოგადი ჭეშმარიტების მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიაში:

On connaît l'arbre a ses fruits (ხე ნაყოფით იცნობა).

On ne discute pas les goûts et les couleurs (გემოვნებასა და ფერზე არ დაობენ).

On a souvent besoin d'un plus petit que soi (ხშირად თანამდებობით შენზე პატარა კაციც დაგჭირდება).

თავად ნაცვალსახელიც გვხვდება ანდაზებში:

თავად არ იყო ძმარო, ზედ დაუმატეს წყალიო.

თავად სჭრის და თავადვე ჰკერავსო.

ესეღარმა **on** ნაცვალსახელის შესახებ დაწერილ სტატიას სათაურად მისცა **Le Cameleon**, ამით შეგვიძლია აღვიღად გავიგოთ, თუ რის შემოთავაზებას აპირებდა ჟამელეონის წარმოსახვით. მართლაც, ჟამელეონის ფერის მსგავსად, **on** ნაცვალსახელის მნიშვნელობა იცვლება მისი გარემომცველი არის შესაბამისად. ასე რომ მას აქვს შესაძლებლობა, შეცვალოს ერთი სიტუაცია მეორეთი ერთი წინადადების საზღვრებშიც კი. აი, ასეთ საინტერესო ნაცვალსახელებს წარმოადგენს **on** და **თავად**. მათი გამოყენების განსაკუთრებული მრავალფეროვნების გამო გადავწყვიტეთ სწორედ ამ ორი ნაცვალსახელის ერთად განხილვა.

დამოწმებული ლიტერატურა

3. გაკი, 1979 - В. Гак, Теоретическая грамматика французского языка, Москва, 1979.

მ. გრევისი, 1993 - Grevisse, M. Le bon usage, Paris, 1993.

რ. ვაგნერი, ი. პინშონი, 1962 - Wagner, R.L. Pinchon, J. Grammaire de français classique et moderne, Paris, 1962.

ზ. კიკვიძე, 1999 - ზ. კიკვიძე; თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები, თბ., 1999.

ა. მარტინე, 1979 - Martinet, A. Grammaire fonctionnelle du français, Paris, 1979.

არ. მარტიროსოვი, 1964 - არ. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964.

ბ. პიტერსი, 2006 - Peeters, B. «Nous on vous tu(e).-La guerre (pacifique) des pronoms. Zeitschrift für romanische philologie. volume 122. Tasmania, 2006.

ი. სელარი, 1978 - Cellard, J. Le Cameleon. Le Monde, Paris, 1978.

მ. ფრეინი, 1990 - Freine, M.J. Pronouns and people, The linguistic constructions of social and personal identity, Oxford, 1990.

ლ. შალვაშვილი, 1988 - ლ. შალვაშვილი, თვით, თვითონ, თავად ნაცვალსახელთა განაწილება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული კულტურის საკითხები, VIII; თბ., 1988.

SHORENA KHADURI

ON THE FRENCH *ON* AND THE GEORGIAN *TAVAD* PRONOUNS (Sociolinguistic aspects)

The paper analyzes French indefinite pronoun *ON* and Georgian definite pronoun *TAVAD* from the sociolinguistic standpoint.

One of the most striking aspects of contemporary French and Georgian is the extreme variety and diversity of the uses to which *ON* and *TAVAD* are put.

They are used as pronouns of address. It is not restricted to formal or informal speech but characterizes speakers at all levels of the scale.

ON designates only persons. *TAVAD* can refer to people in general but we can also use it to refer to things.

ON is invariable pronoun, *TAVAD* is variable one.

ON can stand only as a subject, *TAVAD* is able to signify subject or object and even their attribute.

ON and *TAVAD* can designate all the persons of verb, taken together or taken singly and they carry some special stylistic weight.

The extremely high frequency of *ON* and *TAVAD* is disapproved by traditional grammarians but more recent writers have been obliged to recognize it as an established feature of the language.

ON serves as a means of stepping around a choice perceived difficult or delicate. Precisely because *ON* is non specific, all possibilities remain open, and no options are closed off. It is possible to use the pronoun *TAVAD* in the same purpose.

They are both used in proverbs.

The article concerns the extreme adaptability of these pronouns and the wide range of the uses the language has found for these highly flexible pronouns.

სტივენ ჯონსი

საქართველოს “ვარდების რევოლუცია”: პალაოგრივი მშვიდობა

ქართველი მშობლები უყურებენ თბილისის ცივ და წვიმიან ქუჩებში გამართულ თეატრს - “ვარდების რევოლუციის” გამირობასა და დიდებას და შიშისაგან ცახცახებენ. გაზეთები აცხადებენ, რომ ჩრდილოეთიდან წამოსული ჯარისკაცებით სავსე ტრანსპორტი დაბლოკა სოფლების მოსახლეობის მიერ გზებზე აღმართულმა ბარიკადებმა. სახელმწიფო კანცელარიამ გააფრთხილა მოსახლეობა მეორე სამოქალაქო ომის შესახებ. ქართველმა მშობლებმა გაიხსენეს 1956, 1989, 1991 წწ. მსგავსი გამოწვევები, რომელთა კულმინაცია დახოცილი მოზარდები იყო. დასავლელი ლიდერებიც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. 2003 წლის ადრეულ პერიოდში სენატორი ჯონ მაკკეინი, ჯონ შალიკაშვილი და სტროუბ ტალბოტი ჩავიდნენ საქართველოში. ივლისში ჯეიმს ბეიკერი ჩაფრინდა თბილისში სამართლიანი არჩევნების დასაკვირვებლად. ასეთი ყურადღება განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა “ცივ მშვიდობაში”, რუსეთთან უთანხმოებას მილსადენებთან დაკავშირებით კი, შესაძლოა, მოულოდნელი შედეგები მოჰყოლოდა აშშ-ს გეგმებისთვის, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. არსებობდა იმედი წარმატებული პროდასავლური ტრანზიტისა რეგიონში და განმტკიცდებოდა არგუმენტი იმის შესახებ, რომ აშშ გულუხვია, როცა საქმე დემოკრატიულ ექსპერიმენტს ეხება. საბედნიეროდ, კრიზისი საქართველოში არაძალადობრივი აღმოჩნდა.

ბევრმა დასავლელმა დამკვირვებელმა “ვარდების რევოლუცია” განიხილა როგორც ამერიკული და ევროპული პოლიტიკის გამართლება სამოქალაქო და დემოკრატიულ განვითარებაში. რიჩარდ მაილსმა, რომელიც იმ დროისთვის აშშ-ს ელჩი იყო, მშვიდად ამოისუნთქა, რადგან, ბოლოს და ბოლოს, საქართველოსგან “რალაც გამოვიდა”. ტრიუმფალური რიტორიკისა (რომელიც თბილისის თავისუფლების მოედანზე ისმოდა) და დასავლური კაპიტალის რაციონალიზაციის მიუხედავად, ამ რევოლუციის ბედი, როგორც სხვა დანარჩენებისა, ბევრზე ეკიდა — რევოლუცია მოულოდნელი და არასასურველი იყო თავად ოპოზიციის ლიდერთათვისაც.

“ვარდების რევოლუცია”, ისევე როგორც რევოლუციები სერბეთში (2000), უკრაინასა (2004-2005) და ყირგიზეთში (2005), განიხილებოდა როგორც არაძალადობრივი ნაბიჯი კორუფციული და ხშირად რეპრესიული მთავრობების წინააღმდეგ. მან აჩვენა, რომ რევოლუციის დასასრულის ჩანაფიქრი კომუნისმის დამარცხებისა და “ლიბერალური დემოკრატიის” შემდეგ იყო უდროო, წინასწარ მოუფიქრებელი. ის ამტკიცებდა არაძალადობრივი სტრატეგიის ეფექტურობას.

მიუხედავად იმისა, რომ იზიარებდა 1989 წლის რევოლუციის ღირებულებებს, ვარდების რევოლუციამ არ დააყენა გადამწყვეტი მოთხოვნები ეკონომიკური, სოციალური და სისტემური ცვლილებების შესახებ. მან პოსტკომუნისტური რევოლუციის ახალი მოდელი გამოამჟღავნა. ვარდების რევოლუციის ლიდერთა სლოგანი იყო "რევოლუცია რევოლუციის გარეშე". მას არ გააჩნდა არავითარი იდეოლოგიური ინოვაცია, არავითარი "ანტიპოლიტიკა", ან "სიმართლით ცხოვრება", არ არსებობდა სოციალური ან მშვიდობიანი ხასიათის მოძრაობა და მოლოდინი სოციალ-ეკონომიკური ტრანსფორმაციისა. არაძალადობრიობა იყო სტრატეგია და არა იდეოლოგიური მიზანი. იდეური გაგებით, დასავლეთეევროპული წინამორბედებისაგან განსხვავებით, რევოლუცია გაცილებით სუსტი იყო.

პროტესტის მასშტაბები, ცვლილებათა სისწრაფე, მმართველი ელიტის არაინტეგრაციულობა, შეიარაღებული ძალების მიერ პრეზიდენტ შევარდნაძის მიტოვება, ემოციური გამოსვლები სახელმწიფო კანცელარიის წინ, მოწოდებები განახლებისა და ეროვნული ერთობისაკენ — ეს იყო რევოლუციური სიტუაციის მახასიათებლები. "ვარდების რევოლუცია" კლასიკური მაგალითია ცენტრიდან მომდინარე სტრუქტურული არაინტეგრაციულობისა. ამ პროცესს სერ ლუის ნაშიერმა "მთავრობის მორალური და მენტალური ბაზების კოროზია" უწოდა.

სამთავრობო მმართველობაში თაობათა მზრივ გარკვეული ცვლილებების, კორუფციული არჩევნებისა და ოლიგარქების "ემანსიპაციის" მიუხედავად, გაჩნდა პრეტენზიები "ვარდების რევოლუციის" გლობალური მნიშვნელობის მიმართ, რადგან მისი მიზანი იყო "ანტირევოლუციური რევოლუცია".

"ვარდების რევოლუციის" რეპუტაცია ემყარება მის ხარისხს. ეს იყო პირველი წარმატებული შეტევა პოსტსაბჭოთა სივრცეში, როგორც იტყვიან, "კონკურენტუნარიან ავტორიტარულ სახელმწიფოში". ყველა ამ სახელმწიფოს — საქართველოს, სომხეთს, უკრაინასა და ყირგიზეთს — მართავდნენ საბჭოურად გაწვრთნილი ჩინოვნიკები. მათ საჯაროდ დაგმეს დემოკრატიულობა, არჩევნების, პრესის თავისუფლების ხარისხისა და ორგანიზებული საჯარო თანხმობის ჩათვლით, მაგრამ ეს ყველაფერი წინ უძღოდა რეჟიმს, რომელიც თავისებურ, პოსტსაბჭოთა პიბრილად გადაიქცა. იგი ხასიათდებოდა სათავეში მყოფი ვაგლენიანი პიროვნებებით, კორუფციულ ქსელში ჩართული ადამიანებითა და ნახევრად პრივატიზებული სახელმწიფოებრივი სტრუქტურით. როცა კორუფციას, ეკონომიკურ დაკნინებასა და არაეფექტურ სახელმწიფო სტრუქტურას ფანტაზიისა (დემოკრატია) და რეალობის (პოპულარული არაძალადობრიობა) ორი ბუნება შეერწყა, მივიღეთ არსებითი ხასიათის მოწყვლადობა ამ ტიპის რეჟიმების მიმართ, რაც ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად აითვისეს. თუმცა, ამ პიონერულ შტრისზე გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ ვარდების რევოლუცია უსისხლოდ დასრულდა - ეს მოხდა ქვეყანაში, რომელმაც 15 წლის წინ გადაიტანა სამოქალაქო ომი, ორი ომი ტერიტორიული მთლიანობისათვის და პრეზიდენტის მკვლელობის, სულ მცირე, ორი მცდელობა. ამ მშვიდობიანმა რევოლუციამ მოლოდინი

გაუცრუა ბევრ ადამიანს, რომლებიც, სხვა საპროტესტო აქციების (1956, 1989, 1992 - პრეზიდენტ გამსახურდიას ჩამოგდება) მსგავსად, მის სისხლიან დასასრულს ელოდნენ.

საკითხავია, რადგან არავინ დაღუპულა ბარიკადებზე, მშვიდობიანი ცვლილების ინოვაციური მოდელი იყო ეს თუ, უბრალოდ, იღბალი?! ხომ არ იყო ეს რეგიონალური მოდელი რევოლუციისა, რომელსაც პოსტსაბჭოური მემკვიდრეობა აქვს და მობილიზაციის სტრატეგიებს იზიარებს (სერბული ახალგაზრდული ორგანიზაციის “otporis” აქტივისტმა, სლობოდან ჯინოვიჩმა განაცხადა, რომ შევარდნაძე მოიშორეს იუგოსლავური სცენარით), თუ მშვიდობიანი გამოსავალი, რომელსაც ქართული პოლიტიკური კონტექსტი ჰქონდა?

დაბოლოს, დასავლეთი და მისი მხარდაჭერა, სამოქალაქო-საზოგადოებრივი ინსტიტუტები, დემოკრატიის მაშენებელი პროგრამებით, რა დოზით ჩაერივნენ ამ უსისხლო გამარჯვებაში?!

STEPHEN JONES

GEORGIA'S ROSE REVOLUTION OF 2003: A FORCEFUL PEACE¹

I. Introduction

Watching the theatre, heroism, and glory of the Rose Revolution in the cold and rainy streets of Tbilisi in November 2003, Georgian parents trembled with fear. Newspapers announced that trains transporting soldiers from the north to the capital of Tbilisi were blocked by villagers dragging logs onto the tracks. The State Chancellery warned of a 'second civil war.'² Georgian parents recalled similar challenges to the state in 1956, 1989, and 1991 which led to bloody climaxes and dead teenagers. Western leaders were also concerned. Earlier in 2003, Senator John McCain, John Shalikashvili (former chairman of the Joint Chiefs of Staff), and Strobe Talbott visited Georgia. In July James Baker flew in to Tbilisi to mediate honest elections. Lynn Pascoe, Deputy Assistant Secretary for European and Eurasian Affairs arrived on 18 November, a few days before the final confrontation. Why such attention? Georgia was a vital ally in the 'cold peace' being fought with Russia over energy pipelines and a violent breakdown would have unpredictable consequences for US marines stationed in Georgia. It would end the hope of a successful pro-Western transition in the region and reinforce the arguments of the US's domestic critics of wasteful spending on democratic experiments. Fortunately, the crisis in Georgia turned out to be non-violent. The climactic storming of the Georgian parliament ended with one smashed window and yet another political patriarch slinking off the political stage.

Many Western observers saw the Rose Revolution as a vindication of US and European policies of civic and democracy development. Richard Miles, the US ambassador at the time, sighed with relief that 'finally in Georgia there was something you could look at and say, 'it worked.'³ But despite the triumphal rhetoric blasted through megaphones in Tbilisi's Freedom Square, and the rationalizations in Western capitals, this revolution like most others, hung on a thread, had no script, was unexpected and mostly unwanted by the opposition leaders themselves. The sober revolutionary, Leon Trotsky, reminds us that 'people do not make revolutions eagerly any more than they do war.' This was not a carnival despite rock groups and parades, and it could have ended in catastrophe.⁴

¹ I would like to thank Gia Tarkhan-Mouravi, Lado Papava, Tedo Japaridze, Mamuka Tsereteli, and Zurab Karumidze for their comments on a draft of this chapter.

² *The Daily Telegraph*, 12 November, 2003, www.telegraph.co.uk/news/main.jhtml?xml=/news/2003/11/12/wgeor12.xml.

³ David Anable, 'The Role of Georgia's Media – and Western Aid – in Georgia's Rose Revolution' *Working Paper Series*, Joan Shorenstein Center on the Press, Politics, and Public Policy, no. 2006-3, 28.

⁴ Leon Trotsky cited in 'The Russian Revolution: Red October and the Bolshevik Coup (2)' in *The History Guide: Lectures on Twentieth Century Europe*, www.historyguide.org/europe/lecture6.html (last accessed 1/25/07).

The Rose Revolution, along with its 'coloured' companions in Serbia (2000), Ukraine (2004-2005) and Kyrgyzstan (2005) has added to the scholarly debate on revolution as well as to the successful record of non-violence against corrupt, often repressive, governments. It showed that speculation about the end of revolution after communist defeat and the triumph of 'liberal democracy' was premature.⁵ Second, it proved the effectiveness of non-violent strategies. Political violence would have been the Rose Revolution's undoing. Third, despite the values it shared with the 1989 revolutions, the Rose Revolution made no demands for major economic, social or systemic change. It revealed a new model of post-communist revolution. The slogan of the Rose Revolution's leadership was 'revolution without revolution.' There was no ideological innovation, no 'anti-politics' or 'living in truth,' no social or peace movement, and no expectation of socio-economic transformation. Non-violence was a strategy, not an ideological goal. In terms of ideas, the revolution was poorer than its East European predecessors. Based on its ideological content, 'colourless' is the best adjective. It sought to improve market democracy and return to liberalism's constitutional principles. It was, as Ghia Nodia put it, a 'catch-up revolution' which wanted to join the mainstream, not abandon it.⁶

Yet the scale of protest, the rapidity of change, the disintegration of ruling elites, the abandonment of President Shevardnadze by the armed forces, the passionate speeches in front of the State Chancellery and the call for renewal and national unity – characterized a revolutionary situation. The Rose Revolution was a classic example of structural disintegration from the center, a process Sir Lewis Namier described as the 'corrosion of the moral and mental bases of government.'⁷ But despite the important generational change in leadership, the 'emancipation' from corrupt elections and oligarchs, and claims for the Rose Revolution's global significance, in goals and outcome the Rose Revolution was an anti-revolutionary revolution.⁸ It rejected absolutism and millenarianism in favor of normalcy and legality. The victors moved rapidly to have the November election results dismissed by the Supreme Court and new legal elections take place. This revolution was about moral regeneration, clean government, joining the world, and sticking to the rules, not about creative destruction or the building of a new society. Yet the non-violent struggle was passionate. It resulted in the complete and sudden removal of the old political elites.

⁵ See in particular the debate between Jeff Goodwin, 'Is the Age of Revolutions Over?', and Eric Selbin, 'Same as It Ever Was: the Future of Revolution at the End of the Century', in Mark N. Katz (ed.) *Revolution: International Dimensions* (Washington D.C.: CQ Press), 272-297.

⁶ Ghia Nodia, comments on my paper as discussant at the Conference on Civil Resistance and Power Politics, St Antony's College, University of Oxford, 15-18 March 2007.

⁷ Cited from Sir Lewis Namier, *Vanished Supremacies*, (London, 1962) in Krishan Kumar (ed.) *Revolution: Readings in Politics and Society* (London: Weidenfeld and Nicholson, 1971), 170-173.

⁸ For an assessment of the relationship of the 1989 revolutions to revolutionary theory, see Richard Sakwa, 'The Age of Paradox: the Anti-Revolutionary Revolutions of 1989-1991,' in Moira Donald and Tim Rees (eds.) *Reinterpreting Revolution in Twentieth Century Europe* (New York: St Martin's Press, 2001), 159-176.

The fame of the Rose Revolution rests in part on its primacy. It was the first successful assault in the former Soviet Union on what the scholarly field calls 'competitive authoritarian states.' All such states – Georgia, Armenia, Azerbaijan, Ukraine and Kyrgyzstan - were (and most still are) led by Soviet-trained former *apparatchiki*. They were publicly committed to democracy including elections, a degree of press freedom and organized public dissent.⁹ But all presided over regimes which had metamorphosed into peculiar post-Soviet capitalist hybrids, distinguished by presidential strongmen ruling through corrupt client networks and semi-privatized state structures over fractured societies. The duality of fantasy ('democracy') and reality (popular powerlessness), when combined with corruption, economic decline, and ineffectual state structures, produced significant vulnerabilities in these regimes which Georgian dissenters were the first successfully to exploit.

More important than its pioneering feature (which only applied to the post-Soviet space) was the Rose Revolution's bloodless consummation - this in a country which over the last fifteen years has experienced a civil war, two secessionist wars and at least two assassination attempts on its President. How was it that this peaceful liberal revolution – what Timothy Garton Ash in another context has called 'refolution' - confounded the expectations of many of us who concluded it could only end in bloodshed like the Georgian protests of 1956 and 1989, and 1992 (the overthrow of President Gamsakhurdia). Was it an innovative model of peaceful change or blind luck that no one was sacrificed on the barricades? Was it a regional model of revolution based on post-Soviet legacies and shared mobilization strategies – the Serbian youth organization *Otpor*'s Slobodan Djindjic declared that Shevardnadze was ousted 'according to the Yugoslav scenario'¹⁰ - or was the peaceful outcome due to Georgia's own political context? And finally, to what degree did the West and its support of civil society institutions and democracy-building programs, contribute to the bloodless victory?

II. The Context: the Post-Soviet Legacy in Georgia

After the overthrow of President Gamsakhurdia in January 1992, Western governments saw Shevardnadze as the best political bet for the transition to liberal democratic state building in Georgia. But despite restoring central government and stabilizing the economy between 1992 and 1995, Shevardnadze's government failed to establish its authority or democratic credentials. It was constructed from the roof downwards and although democratic scaffolding was in place, its core was a tradition-based patrimonial authority which ruled by custom, threat, private dispensations and

⁹ Steven Levitsky and Lucan Way, 'Elections Without Democracy: The Rise of Competitive Authoritarianism,' *Journal of Democracy*, 13, no.2, (2002) 51-65.

¹⁰ *The Hindu*, 31 Dec. 2003, www.hindu.com/2003/12/31/stories/2003123101161000.htm.

privileges granted by the President. The state facilitated private networks that dominated the country's economic life and which deprived it of the proper political and economic revenues needed to function. The state was effectively privatized, in part by Shevardnadze's family. It had no monopoly of violence in vast areas of the country which were either independent or ruled by regional overseers accountable to a chief executive who after 30 years of almost uninterrupted leadership, had slipped into routine and passivity. Shevardnadze relied on familiar personnel, traditional networks, and *ad hoc* advisory bodies such as the National Security Council and the regionally appointed governors to maintain his power, rather than accountable institutions and popular authority. The council of ministers was a rag-bag of officials with no collective identity or political influence and parliament's power was undermined by ineffective parties, fixed elections and powerful unelected regional governors. Clientalism and informal channels of power were the hallmark of Georgian politics under Gamsakhurdia and Shevardnadze.¹¹

Lucan Way argues that a major feature of this soft authoritarianism is 'the inability of incumbents to maintain power or concentrate political control by preserving elite unity, controlling elections and media, and/or using force against opponents.' The source of this 'pluralism by default' as he calls it, is 'incumbent weakness,' 'ineffective elite organization,' and 'a widely popular national identity' which together undermine the incumbent's political capacity even where civil society is weak.¹² Georgia under Shevardnadze was not in the same authoritarian category as Russia and Belarus, but the fragmentation of the state, deepened by centrifugal forces among Georgia's national minorities and competition among criminalized elite networks within the ministries and security bodies, led to a dilemma for Shevardnadze. How to remain a 'democrat' without democracy? Splitting power at the top and permitting dissent from below gave an impression of pluralism and competition, but it disguised the fact that Shevardnadze, though not quite a dictator, was not much of a democrat either. When the crisis came, he was unable to unite political elites to defend his 'democracy' or to appeal to popular sentiment against rebellious former ministers. Poor constitutional design, which worked against collective responsibility in the cabinet, and poor supervision of parliament and the executive added to his troubles. When the time came to defend the regime, the long-standing competition and antagonism among Georgia's post-Soviet elites made a coherent government response impossible. Most important of all was Shevardnadze's status as a lame duck President. With 17 months left of his term, there was little point in defending him. The lame duck, in the days and weeks of November, became a visibly dead duck. This is what primarily separates 2003 from the violent experiences of 1956, 1989 and 1990-91

¹¹ For an assessment of the Shevardnadze era, see Jonathan Wheatley's *Georgia from National Awakening to Rose Revolution: Delayed Transition in the Former Soviet Union* (Aldershot: Ashgate), 2005.

¹² Lucan Way, 'Authoritarian State Building and the Sources of Regime Competitiveness in the Fourth Wave: The Cases of Belarus, Moldova, Russia, and Ukraine,' *World Politics*, 57, no.2 (2005) 231-261.

when the state had the ability – and took the initiative – to suppress the opposition violently. In November 2003, by contrast, Shevardnadze had been abandoned by all.

The fragility of the *ancien regime* is only part of the story. Revolutions are complicated, often inarticulate sequences of events that are shaped by ideological frameworks, leadership errors, popular participation and, in many cases, external involvement. In the Georgian case, the catalyst for years of popular discontent was the 2 November parliamentary elections. Since 1990 Georgians have participated in thirteen nationwide elections but before 2003, only two (in October 1990 and arguably October 1992), led to any real change in power. Georgian elections since 1992 have been peaceful, but marred by party boycotts, poor electoral design, including vast disparities between the numbers of voters in each electoral district, inadequate mechanisms for ensuring transparency, and a party list system which marginalized national minority representation. The falsified election in Georgia in November, as in Serbia and Ukraine, was a perfect tool for the Georgian opposition to underline the illegitimacy of the regime, maintain popular attention, mobilize citizens, and invite international attention.¹³

In the lead up to the November 2003 parliamentary elections, there was hope that new legislation incorporated into the Unified Election Code, would end government manipulation of the vote. There was for the first time a real choice of parties beyond those compromised by deals and alliances with the government. Amendments provided for parallel tabulation of votes, a new marking system to prevent repeat voting, the eradication of supplementary voting lists, and the open tabulation of precinct election results. Electoral Commissions, which had been in the hands of the ruling parties, were revamped to give the opposition better representation. But despite \$2.4 million from the US government to help Georgia prepare for the November ballot and the presence of 5,000 electoral observers from the OSCE, the National Democratic Institute for International Affairs (NDI), the International Republican Institute (IRI), and indigenous NGOs – and regardless of exit polls pointing to quite different results – Shevardnadze's unpopular coalition 'For a New Georgia,' secured first place in the 235 seat house with 21.3% of the vote (57 MPs). The Union of Democratic Revival, led by Aslan Abashidze, came second with 18.8% (39 MPs). Abashidze ruled Achara, an autonomous republic in Georgia's south west, as a personal fiefdom, and free elections had not taken place there for over a decade. In the November 2003 election, his party won 96.7% of the vote in Achara, with a Soviet-style 97% turnout. The United National Movement, led by the youthful and popular Mikheil (Misha)

¹³ For a review of Georgian elections between 1992-1995, Darell Slider 'Democratization in Georgia' in Karen Dawisha and Bruce Parrott (eds.) *Conflict, Cleavage, and Change in Central Asia and the Caucasus* (Cambridge, UK: CUP, 1997), 156-198. For the 2003-2004 elections, see Stephen Jones 'Presidential and Parliamentary Elections in Georgia, 2004' *Electoral Studies*, 24, no. 2, June 2005, 303-311; on the November 2003 parliamentary elections, see *Georgia, What Now?* (Tbilisi/Brussels: International Crisis Group), Europe Report no. 151. www.crisisgroup.org/library/documents/europe/caucasus/151_georgia_what_now.pdf (last accessed 7/25/07)

Saakashvili, came in third with 18.1% (36 MPs) despite leading in the exit polls and in the parallel tabulation of votes.¹⁴

Given expectations of change and the crude falsification of the vote, the November result led to mass indignation. The opposition, in particular strategists in the Liberty Institute, knew the methods and techniques that had made 'electoral revolutions' in the Philippines (1986), Chile (1988), Slovakia (1998), and Serbia (2000) so powerful, and over the month of November, using a combination of patriotic rallies, marches, boycott of parliament, painted slogans, T-shirts blazoned with anti-Shevardnadze catchphrases, and concerts, focused on maintaining high numbers of demonstrators on Rustaveli Prospect, the main thoroughfare, effectively paralyzing the government. The planning, discipline and organizational capacity of the opposition (helped by cell phones and the internet) was a crucial departure from previous revolts in Georgia since independence, but it was the bitter popular disappointment with a regime that had failed to end the population's economic misery that led them to the streets.

III. An Innovative Model of Change?

On 10 November, in televised comments, Shevardnadze declared he was 'elected by the Georgian people, and I do not intend to resign at the demand of individual politicians and a few dozen young people waving flags.'¹⁵ He thought, as he later confirmed, that it would all blow over. But this time was different. First, the opposition was organized with an artful thirty-six year old Mikheil Saakashvili at its head, backed by a supreme strategist, the former Speaker of parliament and Shevardnadze's erstwhile campaign manager, Zurab Zhvania. Before 2003, like other governments in the CIS, the Georgian administration had faced little organized political resistance in parliament. Georgian political parties, despite their colourful posturing and occasional successes, were not formed by grass roots organizations but were creations of the state or powerful kingpins. They belonged to what Scott Mainwaring calls 'weakly institutionalized' party systems - volatile, poorly rooted, weak in legitimacy, and possessing few resources with indistinguishable programs.¹⁶ The formation of the United National Movement in October 2001 by Saakashvili changed the political landscape. Saakashvili, an effective populist, exalted 'the people' and displayed unabashed patriotism. He resembled the best media-savvy American politicians and after his resignation as Justice Minister in the fall of 2001, as newly

¹⁴ Some of this material, including statistics on the elections results in November 2003 is in my 'Presidential and Parliamentary Elections'. See also Jean-Christophe Peuch, 'Georgia's Parliamentary Elections: Democracy in the Making,' *Caucasus Election Watch*, (Washington D.C: Center for Strategic and International Studies), 27 Oct., 2003; for more detail, see *International Election Observation Mission; Parliamentary Elections, Georgia - 2nd November 2003* (Tbilisi: OSCE/ODIHR Election Observation Mission), 2003, 9. www.osce.org/press_rel/2003/pdf_documents/11-3659-odihrl.pdf (last accessed 1/25/07).

¹⁵ *The Guardian*, 10 Nov. 2003, www.guardian.co.uk/international/story/0,,1081370,00.html.

¹⁶ Scott Mainwaring, 'Party System in the Third Wave,' in Larry Diamond and Marc Plattner (eds.) *The Global Divergence of Democracies* (Baltimore: The Johns Hopkins University Press, 2001), 185-199.

ected Chair of the Tbilisi City Council, he relentlessly exposed government corruption. His party, though dependent on Saakashvili's personality, was more modern and more successful than any other in reaching out to the regions, to disillusioned students and to marginalized pensioners. It was the first really post-Soviet party, one that Shevardnadze was unable to tempt with sinecures and access to state resources. It was led by sophisticated urban youth, many of whom had been educated in the West, had worked in Western NGOs in Georgia, or had participated in Western-funded indigenous NGOs like the Liberty Institute, which promoted media freedom, religious tolerance and human rights.

Second, the united opposition had a strategy. Benefiting from networks of European civil society activists and electronic access to international media, the National Movement, the United Democrats and other smaller allied parties quickly absorbed the lessons of non-violent movements elsewhere. The influence of the Serbian opposition including the youth movement, *Otpor* (Resistance), which had helped oust Slobodan Milosevic in October 2000, was important. Giga Bokeria, the National Movement's most influential ideologue, along with Levan Ramishvili, a founder of the influential Liberty Institute, met with *Otpor* and other Serbian activists in Belgrade in spring 2003. In the summer of 2003, *Otpor* trainers traveled to Tbilisi to instruct Georgian youth. The Georgian youth organization *kmara* (Enough), established in the spring of 2003 and a noisy battalion in the Rose Revolution, replicated the tactics of *Otpor*.¹⁷ Its organizational model, like *Otpor*'s, was horizontal and decentralized. Its confrontational tactics included the establishment of youth groups, outreach to traditionally apolitical sections of the population through graffiti, rallies, and theatre, including the cooption of rock groups and media personalities. In mid-November, as *kmara* activists mobilized demonstrators by email and cell phone in the Liberty Institute - its walls decorated with Serbian resistance posters including the clenched fist of *Otpor* - the independent TV channel, Rustavi 2, showed the film 'Bringing down a Dictator,' a documentary about the fall of Milosevic.¹⁸ Ivane Merabishvili, general secretary of the United National Movement and by all accounts the organizational genius of the Rose Revolution, later declared that 'all the demonstrators knew the tactics of the revolution in Belgrade by heart because they showed . . . the film on their revolution. Everyone knew what to do. This was a copy of that revolution, only louder.'¹⁹

The ideas of the National Movement, as it became known, were not Gandhian. There was no clear code of conduct defining passive resistance, no condemnation of force. The fiery symbol of the revolution, Mikheil Saakashvili, was irascible and emotional, threatening revenge and retribution. But the lessons of the Serbian experience were clear: renounce armed struggle which had proved too costly in Georgia in the early 1990s; mobilize crowds onto the streets to prevent retaliation; ensure international media coverage; fraternize with the police and army; maintain a

¹⁷ On the role of *kmara* in the Rose Revolution, Giorgi Kandelaki 'Georgia's Rose Revolution: A Participant's Perspective' United States Institute of Peace, *Special Report* 167, July 2006.

¹⁸ David Anable, 'The Role of Georgia's Media,' 5.

¹⁹ Anable, *Ibid.*, 11

unified political opposition and establish an alternative source of authority. Nino Burjanadze, Speaker of the Parliament, for example, was persuaded to announce herself interim Georgian President the day before Shevardnadze's resignation. The decision to create a Civil Disobedience Committee, also known as 'Art Committee' (*Artcom* for short) because of the large number of artists, film directors and writers in its leadership, was an echo of the Serbian campaign. Its strategy of disruption included sit-down demonstrations at regional administrative offices, occupations of universities, chains of people around the State Chancellery, strikes (some teachers responded), and synchronous horn blowing by Tbilisi's cars, a sound which eerily echoed the whistle blowing of striking factories in 1917.²⁰

The effect of the Serbian movement should not be exaggerated; its impact in Georgia depended on the right local conditions, among them weak incumbency, an electoral crisis, and a united opposition – but it illustrates the importance of two phenomena in the Rose Revolution: first, what Marc Beissinger calls 'modular action,' or revolutionary waves as one revolutionary opposition emulates another.²¹ Our electronic world permits rapid communication between what Margaret Keck and Kathryn Sikkink call 'transnational advocacy networks.'²² These international networks consist of democracy activists who have access to significant funding from international foundations and Western governments. The Liberty Institute, *kmara*, the Georgian Young Lawyers Association (GYLA), and other NGOs – important influences on the course of the Rose Revolution – benefited from information, training and advice from these international alliances. Second, the ideas of these advocacy networks reflect not only democratization and a moralization of politics, but a renewed practice of non-violence and grass roots mobilization. Leaving aside for now whether this establishes a new 'soft power' of Western hegemony, it has led to the creation of a network of 'professional revolutionaries' (or 'consultants' if they get paid), supported by Western states, transnational organizations and international NGOs.²³ Their activity stretches as far as Lebanon and Zimbabwe. The ideas, methods and success of the Rose Revolutionaries, who participated in these networks from the 1990s on, showed them to be adept learners.

IV. A New Georgian Path

Mark Beissinger suggests that without the Serbian 'Bulldozer' revolution, there would likely have been no Rose Revolution at all.²⁴ His proposition underlines the

²⁰ Interview with David Zurabishvili, one of the leaders of the Liberty Institute, in Zurab Karumidze and James V. Wertsch (eds.) *"Enough: The Rose Revolution in the Republic of Georgia, 2003"* (New York: Nova Science Publishers Inc., 2005), 66.

²¹ Mark Beissinger, Dept. of Political Science, University of Wisconsin-Madison, 'Structure and Example in Modular Political Phenomena: the Diffusion of Bulldozer/Orange/Tulip Revolutions,' paper to be published in *Perspectives on Politics*, June 2007.

²² See Margaret Keck and Kathryn Sikkink, *Activists Beyond Borders: Advocacy Networks in International Politics* (Ithaca: Cornell University Press, 1998).

²³ Nicolas Guilhot in his *The Democracy Makers: Human Rights and the Politics of Global Order* (New York: Columbia Univ. Press, 2005), suggests that these advocacy networks have become a new instrument of Western powers and their strategic and economic goals in developing countries.

²⁴ Beissinger, 'Structure and Example,' 25

impact of ideas, emulation, and international advocacy networks over structure, culture, and history as sources of Georgia's Rose Revolution. Other analyses of post-communist stagnation and weak statehood emphasize the legacies of the Soviet era and national political culture. Jadwiga Staniszkis, Ken Jowitt, and Katherine Verdery are some of the best known scholars who have thought about the complexities of path dependence in communist and post-communist states.²⁵ Their ideas suggest the best clues to the genesis of the coloured revolutions is in national-Soviet legacies.

In answering why the Shevardnadze regime was defeated and why it went peacefully, structural explanations, focusing on the weakness of the ancien regime, are convincing. But they cannot be disconnected from national legacies and political culture.²⁶ There are four specific Georgian contexts to the Rose Revolution I want to highlight. First, twentieth century Georgian history is littered with bloody revolutions and counter-revolutions (or attempted revolutions and coups, depending on your definition): 1905, February 1917, February 1921 (the Red Army invasion of Georgia), the end of Communist rule in 1989-1990 and the overthrow of President Gamsakhurdia in 1992. The non-violent Rose Revolution in this historical context is exceptional, yet its peaceful outcome was, in part, conditioned by the country's history of violence. Zurab Zhvania, in an interview on the November 2003 events, declared:

People were not looking for a revolution . . . The new generation in Georgia has experienced what civil unrest means [in the civil war and war in Abkhazia in the early 1990s]. They have experienced how turbulent events can affect every family.²⁷

The Georgian population was severely chastened by the civil war of 1991-3, which ended in the destruction of Tbilisi's city center, the division of families, and 100s of dead and wounded. The bloody failure of Gamsakhurdia's radical revolution in 1991-93 contributed to a popular mood which rejected violence and excessive militancy. In an IRI survey in May 2003, six months before the Rose Revolution brought thousands onto the streets, 75% disapproved of 'demonstrations without permission' and 78% condemned the 'occupation of buildings and enterprises.'²⁸ This mood was reinforced by the position of the Georgian Church. Consistently the most respected institution among Georgians in opinion polls, it warned against violence in its sermons, in the patriarch's epistles, and at decisive moments on Georgians' path to independence, such as the Patriarch's call to abandon public protest in April 1989 just before demonstrators were slaughtered by Soviet troops. The Shevardnadze

²⁵ See Jadwiga Staniszkis, *The Ontology of Socialism* (Oxford: Clarendon Press, 1992), Ken Jowitt, *The New World Disorder: the Leninist Extinction* (Berkeley: University of California Press, 1992), and Katherine Verdery, *What was Socialism, and What Comes Next?* (New Jersey: Princeton University Press, 1998).

²⁶ Classic examples of structural interpretations of revolution, which because of their emphasis on peasant societies, have less relevance to the Georgia case, are Theda Skocpol, *States and Social Revolutions: A Comparative analysis of France, Russia, and China* (Cambridge, UK, CUP, 1979), Barrington Moore Jr., *Social Origins of Dictatorship and Democracy: Lord and Peasant in the Making of the Modern World* (Boston: Beacon Press, 1966), Jack Goldstone, *Revolution and Rebellion in the Early Modern World* (Berkeley: University of California Press, 1991).

²⁷ Karumidze and Wertsch, "Enough," 35.

²⁸ International Republican Institute/Georgia www.iri.org/eurasia/georgia.asp (last accessed 20th August, 2007), 'Survey of Georgian Public Opinion' May 2003, 15.

government exploited this anxiety and warned of the dangers of 'one more civil confrontation.'²⁹ In this context, any attempt to use arms would have damned the National Movement and have made victory less likely, less legitimate, and less popular.

Second, although the Serbs provided a systematic strategy for civic resistance, non-violent strategies were not new to Georgians. In the last decades of Soviet rule in Georgia, rallies, petitions, hunger strikes and appeals to international forums took place. Some, like the 1978 protest in central Tbilisi demanding the retention of Georgian language status in the constitution, were successful demonstrations of public resistance. At the same time, the bloody denouements to public rallies in 1956 and 1989, added to the heroic virtues of defiance. After the collapse of the USSR, Georgian politics was an intoxicating mix of civic protests, boycotts, occupations, sit-ins, mass rallies and vigils. Although they were overshadowed in the Western media by reports of violence, parliamentary fistfights and attacks on religious minorities, these civic strategies were successful weapons against state arbitrariness. They brought Gamsakhurdia's government to power, and they helped bring it down. In November 2000, non-violent rallies led to the resignation of the government and in October 2001, to the resignation of a number of powerful ministers. There was a strong and fruitful tradition of direct action and civic resistance to draw upon in Georgia. The Serbian model incorporated civic protests into an overall strategy, but Georgian activists were experienced organizers.

Third, the Rose Revolution was a revolution of national and moral regeneration. Its complaints focused on Georgian domestic troubles such as state and judicial corruption, unemployment, disreputable political parties, and healthcare. But underlying this concern for practical improvements in their lives, was a yearning among Georgians for a lost identity, pride and national renewal. Saakashvili in a later interview declared the Rose Revolution 'was all about morality and restoring morality in the government.'³⁰ The absence of the Georgian Patriarch at the opening of the new - and to most people illegitimate - parliament on 22 November under Shevardnadze's jurisdiction, was an endorsement of the opposition's claims for the moral high ground. Just as Gandhi's spinning wheel symbolized a return to an idealized past of community and simplicity, the new Georgian flag of five crosses which fluttered in thousands at every rally, represented a return to a lost past of Christian morality and a repossession of Georgia's 'special place within European civilization.'³¹ Georgians' enthusiasm for integration into Europe, their ardent support of Western interests from the NATO to US troops in Georgia, the participation of Georgian youth in Western educational exchange programs (Saakashvili was educated at Columbia University), all contributed to dense connections with European (and North American) governments, NGOs, and international financial organizations in the 1990s. Much more than in neighboring Azerbaijan and Armenia, this contributed to a small, but exceptionally sophisticated

²⁹ Nodar Ladaria in "Enough," 116.

³⁰ Mikheil Saakashvili in "Enough," 26.

³¹ See Mikheil Saakashvili's inaugural speech as newly elected President in Jan. 2004. 'Inaugural speech by President Mikheil Saakashvili' www.president.gov.ge/?l=E&m=1&sm=1, last accessed 1/26/07.

Third Sector which as the Shevardnadze era dragged on became increasingly politicized and oppositionist.

Finally, there is Eduard Shevardnadze. The personality of leaders can make or break revolutions. Shevardnadze was shaped by his long experience with public resistance in the USSR and post-Soviet Georgia. He learned, before the debacle of Gamsakhurdian excess, that government violence in Georgia, even in tough situations, rarely gains support. It is a sure way to undermine government legitimacy. This understanding, combined with his helplessness as power ebbed away from his office, and an awareness that bloody denouements result in retribution, led in the end to the inevitable decision to resign without a fight despite a final feeble attempt to declare a state of emergency.

V. Civil Society and the West

One of the more popular theories used to explain the peaceful outcome of the Rose Revolution is the growth of Georgian civil society. Laurence Broers suggests that 'it was civil society, rather than warlord armies, that emerged as the major force behind the revolution.'³² Valerie Bunce in her work on comparative youth and electoral revolutions agrees that post-communist revolutions were 'built on the long-term development and organizational capabilities of civil society.'³³ David Anable points to the media, an important instrument of civil society, as the crucial factor.³⁴ Underlying all these arguments is the implication that Western governments and organizations, by funding democracy-building programs and the media, played a crucial role in preparing the conditions for a peaceful Rose Revolution.

The impact of the West on Georgian civil society development was powerful. Between 1995 and 2000, the US government spent over \$700 million on direct aid to Georgia. The US blanketed Georgia with civic and democracy-building programs through USAID, NDI, the World Bank, the Eurasia Foundation and a myriad of other smaller programs. The EU was not far behind. Between 1991 and 2003, it contributed total grant aid valued at more than €385 million and this did not include contributions from separate member states.³⁵ Shevardnadze's tolerance of the process - an acknowledgement of his pro-Western orientation and support of his claims for Western credits - led to the largest Third Sector in the Caucasus. In 2005, 9000 NGOs were registered with the Ministry of Justice, although not all were active. Shevardnadze later regretted his indulgence - he threatened at one stage to expel the Soros Foundation from Georgia - for he realized, as Thomas Carothers, Michael McFaul, and others

³² Laurence Broers, 'After The Revolution: Civil Society and the Challenges of Consolidating Democracy in Georgia,' (unpublished paper), 2.

³³ Valerie Bunce and Sharon Wolchik, 'Youth and Electoral Revolution in Slovakia, Serbia, and Georgia,' *SALS Review*, XXVI, no. 2, (Summer-Fall 2006), 55-65.

³⁴ David Anable, 'The Role of Georgia's Media,' *passim*.

³⁵ *Country Strategy Paper 2003-2006, TACIS National Indicative Program 2004-2006, Georgia* (Brussels: European Commission, 2003), 5. ec.europa.eu/comm/external_relations/georgia/csp/georgia_csp_6.pdf, (last accessed 7/25/07).

have pointed out, that it is precisely such political space that gives the opposition its opportunity.³⁶ Despite the waste, inefficacy, poor coordination and one-sided understanding of civil society among Western funders - trade unions as defenders of labor rights were completely neglected, for example -- a Westernized, educated, and youthful 'labor aristocracy' was nurtured and sustained. The privileged leaders of the Georgian Third Sector in Tbilisi, paid in dollars and driving imposing looking Landrovers, were often resented by the general population, but they promoted norms of democracy and civil rights in legislation, in the media, and in the universities.

The Georgian Third Sector was elitist and weak; it had poor representation in the provinces, was dependent on Western funding, and its penetration of Georgian society was shallow. Yet it had a disproportionate influence on the Rose Revolution and its peaceful outcome. First, Georgian NGOs, loosely coordinated by Western-funded organizations such as the International Society for Fair Elections and Democracy (ISFED) and GYLA, mobilized thousands of monitors and established a system of parallel voting tabulation and exit polls in a number of precincts. Forty-three monitoring organizations were registered with the Central Election Commission and ISFED alone claimed it dispensed 2500 monitors.³⁷ This exercise proved that a cynical electoral swindle had nullified the popular will. Whether the parallel voting tabulations and the exit polls were accurate did not matter. The popular perception was that they were, because they differed from government tallies. Second, NGOs had the equipment and training to mobilize the population and coordinate demonstrations throughout November. Saakashvili in his own assessment of the Rose Revolution admitted 'the mobile phone was very important.'³⁸ Third - and more important than the cell phone - was the NGO movement's close association with the media and its ability to generate interest in the West. The Liberty Institute, which took a leading role in November 2003 and helped establish *kmara*, was created in the mid-1990s by two employees (Levan Ramishvili and Giga Bokeria) of Rustavi-2, an independent TV channel highly critical of the government. During November, Rustavi 2 was the most important tool for mobilizing the public - Ghia Nodia called it the 'revolution television.'³⁹ Rustavi 2 later dubbed itself the 'TV of the Victorious People.'

Western governments and their money played a vital role in keeping the Third Sector alive in the 1990s. The media assistance programs from the Eurasia Foundation, USAID and the Californian NGO, Internews, were critical in the early stages of Georgia's media development. In the lead up to the November elections, the international community created an Ambassadorial Working Group (AWG) and a Technical Working Group (TWG) to help ensure proper elections. IREX, a US agency concerned primarily with exchange programs, helped organize political debates for regional and Tbilisi-based media. Western money helped transform the November

³⁶ Thomas Carothers, *Critical Mission: Essays on Democracy Promotion* (Washington D.C.: Carnegie Endowment for International Peace, 2004), especially 167-217. Michael McFaul, 'Transitions from Communism,' *Journal of Democracy*, 16, no. 3, July 2005, 5-19.

³⁷ *International Election Observation Mission: Parliamentary Elections, Georgia -- 2nd November 2003*, 9.

³⁸ Mikheil Saakashvili in "Enough," 25.

³⁹ Cited in David Anable, 'The Role of Georgia's Media,' 9

election into an open and technically sophisticated referendum on Shevardnadze's record. Western governments' multiple linkages to Georgian society and business, and their crucial role in Georgian economic and military security, significantly hindered Shevardnadze's ability to use force. An important turning point in the November events was the US withdrawal of support for Shevardnadze's conduct of the elections. On 20 November, the US State Department declared that 'the results do not accurately reflect the will of the Georgian people, but... reflect massive vote fraud.'⁴⁰ Even so late in the game, Zurab Zhvania believes Shevardnadze could have recovered.

The Western contribution to the Rose Revolution was ambiguous. Western governments supported Shevardnadze for years when it was clear that reform and democratization had stalled. They discouraged - in particular US ambassador Richard Miles - the Rose revolutionaries from radical action, preferring negotiations and the preservation of the Shevardnadze regime until its term officially ended.⁴¹ On this, they were one with the Russian government. At the same time, their democracy-building programs created a frustrated and educated constituency for change. In November, Western governments were confused. They wanted both stability and change. However, their pressure on Saakashvili and Shevardnadze to refrain from violence was an important calculation for both contenders. The first to use violence would tilt Western support in favor of his opponent.

External intervention can have a crucial impact on revolutions. But in this case, overall US support for Shevardnadze or Saakashvili had marginal influence. The same applies to Russia. Its government was as baffled as its Western counterparts. Russian foreign minister Igor Ivanov, dispatched to Georgia on 23 November, was, according to Zurab Zhvania, 'shocked' at the speed of events. After greeting protestors and briefly trying to affect some compromise, he departed for Achara.⁴² This was a Georgian revolution made by Georgians in Georgian conditions. The man in charge was a Columbia-educated lawyer which strengthened the view of Shevardnadze and Russian officials that Western governments were behind the revolt, but they were not and gave no surety of influence either. Pol Pot, after all, was educated in Paris.

Conclusion: A bit of luck and a lot of pluck?

Was the non-violent outcome luck? The answer - although it provides no new insight - is yes and no. All peaceful revolutions - that is, minimally, contesting groups backed by large-scale popular participation, compressed and unconstitutional political change, and elite replacement - are often a matter of 'luck and pluck.' But much depends on the authorities, the strategies of the opposition, the role of outsiders (what if Russia had provoked violence in Abkhazia?), and the local political culture

⁴⁰ 'Washington says Georgia election results reflect "massive vote fraud,"' 21 Nov. 2003, *Agence France Presse*.

⁴¹ David Zurabishvili in "Enough," 65.

⁴² Zurab Zhvania in "Enough," 38-39.

(attitudes towards guns, for example). In November there seemed to be a lot of luck; a shoot out in Samegrelo, West Georgia, during the election campaign, was quickly controlled; club-wielding Acharans stationed outside the parliament under the orders of Aslan Abashidze, never used them; the police never put up any serious resistance to the large crowds as they stormed parliament, and the army, despite Shevardnadze's last ditch attempt to introduce a state of emergency, stayed in its barracks.

But it was not *blind* luck. First, the bad luck that brings violence was fettered by Georgian conditions. This is what made 2003 a peaceful revolution compared to the bloody tragedies in 1956 and 1989. By mid-November, it was clear – unlike 1956 and 1989 – that the state had lost its governing capacity. Shevardnadze was powerless. He had alienated reformers, initiated the disintegration of his own party - the Citizens Union of Georgia - and had failed to create a coherent government. He had long lost the media which considered itself victimized by the government, and students (who in September 1993 had begged on their knees that he withdraw his resignation). He alienated many in the Georgian Church, both his Western and Russian allies, lost touch with vital regional constituencies, and most importantly of all, failed to secure the loyalty of an impoverished army and a corrupt police force. The police had not been paid for three months prior to November 2003.

Second, the opposition by mid-November was united - with some exceptions such as the Labor Party and the party of New Rightists - behind a charismatic leader who promoted a non-violent strategy. This included fraternization with the police (providing police guards with sandwiches and sending women to place flowers in their gun barrels), the paralysis of government by overwhelming numbers on the streets, clever stage-managed images of popular support for Western cameras, mobilization of the provinces, and finally a heroic storming of the last corrupt bastion of the ancien regime - the parliament - with roses in their hands. The role of Saakashvili was fundamental. Revolutions need their leaders and Saakashvili's commanding style – brash, risky, energetic, – was in line with Georgian cultural expectations. The mild mannered Zhvania and the neatly coiffured Nino Burjunadze, his colleagues in the triumvirate which emerged from the revolution, did not fit the bill.

The November events reflected Lenin's two conditions for revolution: '“lower classes” [who] do not want the old way, and ... “upper classes” [who] cannot carry on in the old way.’⁴³ Civil society, the media, Western governments and the opposition – all had a role in establishing propitious conditions for a peaceful transfer of power in November 2003. But all were secondary to the most significant agent of the non-violent revolution – a disarmed, illegitimate and morally compromised government unable to control its own armed forces. This, combined with a united, popular and

⁴³ Krishan Kumar, *Revolution*, 165.

well-led opposition reduced bad luck's capacity to turn the revolution into a bloody one.

However, the practice of non-violence in November 2003 was a strategic decision. This explains, as does Georgia's unstable regional environment and the demands of state-building, why Georgia's Rose Revolutionaries have spent their energies since 2003 on the creation of a powerful army. Georgia in 2007, where the ideas of civil resistance along with the influence of civil society have been marginalized by a government-inspired martial patriotism, suggests the legacy of successful civil resistance on a state's administrative practice and foreign policy is a limited one. This was confirmed forcefully by the violent events in November 2007 when President Saakashvili, the Rose Revolution's fabled leader, crushed peaceful demonstrations against his government and declared a state of emergency. Peace and "normal politics" has since been restored, but the Rose Revolution's bloom has faded.

კომპიუტერული უზრუნველყოფა - ქმედებან ბაჭრაბე

გარეკანის დიზაინი - ბელა ღაჭავა

გადაეცა წარმოებას 1.09.2010;
ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.09.2010;
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 44;
ტირაჟი 150; შეკვეთა №433

ფასი—სახელშეკრულებო

ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბა
ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33